ნოდარ ჭითანავა
ლარისა თაკალანძე

სოციალური ეკონომიკა

ფორმირება და განვითარება

I ნაწილი

თბილისი
2008

ნოდარ ჭითანავა
ლარისა თაკალანძე

სოციალური მეთოდიკა

ფორმირება და განვითარება

I ნაწილი

თბილისი 2008

UDC (უაკ) 332.012.2
ჯ – 54

ნოდარ ჯითანავა, ლარისა თაკალანძე: სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I).
გვ 596. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.
თბილისი 2008.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა განსხვავებული ფორმით, შინაარსით, მასშტაბითა და მნიშვნელობით წარმოჩინდა.

წინამდებარე ნაშრომის (გათვალისწინებულია მისი სამ ნაწილად გამოცემა) პირველ ნაწილში სისტემური მიდგომით განხილულია საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები, ტენდენციები, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, კრიზისის გამომწვევი მიზეზები, სოციალური ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლის ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციული ხასიათის რეკომენდაციები.

ნაშრომი განკუთვნილია საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და პოსტსოციალისტურ სივრცეში სოციალური ეკონომიკის ფორმირების საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ISBN 978-9941-9029-3-2

მეცნიერ-რედაქტორები:

გიორგი მალაშხია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

ევგენი ბარათაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის უფროსი.

რედაქტორ-გამომცემელი:

ზაურ ნაჭყებია, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი.

რეცენზენტები:

როზეტა ასათიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

რევაზ ხარებავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

მადონა გელაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

რედაქტორებისაგან

„მე არ მადარდებს, ვინ წერს ქვეყნის კანონებს ან აწარმოებს ქვეყნისათვის ხელსაყრელ მოლაპარაკებებს, თუ ამ ქვეყნისთვის ეკონომიკის სახელმძღვანელოს დაწერა შემიძლია,“– გვამცნობს ცნობილი ეკონომისტი ნობელის პრემიის ლაურეატი **პოლ სამუელსონი**. მართლაც, საზოგადოებისათვის კარგი წიგნის მიწოდება ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი მოვლენაა თვით ავტორისთვის და მკითხველისთვისაც. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ისეთ წიგნზე, რომელსაც მოაქვს ახალი ინფორმაცია, სინათლე შეაქვს ჯერ კიდევ გაურკვეველ საკითხებში, შეუძლია შემატოს ახალი ცოდნა ადამიანებს. კარგი წიგნი უთუოდ ნიშნავს ეროვნული სულიერი სიმდიდრის მატებას. ეს, რა თქმა უნდა, ყველა ავტორს არ გამოსდის. სასიხარულოა, როცა ასეთი წიგნი გამოჩნდება.

ჩვენმა ქვეყანამ ბოლო პერიოდში ურთულესი და უმძიმესი გზა გამოიარა. ტრანსფორმაციული პერიოდის, ცხოვრების წესის მეტამორფოზის მეტად მწვავე ტკივილებს, რაც ბუნებრივად ახლავს ისტორიულ შემოტრიალებას, თან დაერთო ეკონომიკური ნგრევა და ხალხის ცხოვრების დონის არნახული დაქვეითება. ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა მომავლისკენ გზების ძიებისა და უხეში შეცდომების, გარკვეულ წარმატებებთან ერთად სავალალო ჩავარდნების, იმედებისა თუ სასოწარკვეთილების მომგვრელი მოვლენების თანხლებით.

ამ პროცესების მეცნიერული შესწავლა, მათი მიზეზების ფესვებში წვდომა, პირუთვნელი და მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულებული ანალიზი, ეპოქის მოვლენათა ჭეშმარიტი სურათი და დასკვნები ჰაერივით სჭირდება დღევანდელობასა და მომავალ თაობას – ვინც დღეს იღვწის ქვეყნის პროგრესისათვის და ვისაც დააინტერესებს მომავალში, თუ რას და როგორ აკეთებდა წინა თაობა. მაგრამ საღეისოდ ნაკლებად მოიძებნება ფართომასშტაბიანი კვლევები, რომლებიც ყოველივე ამის ირგვლივ პასუხს მრავალ კითხვას ერთბაშად გასცემს.

უთუოდ ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ ჩვენი დღევანდელი რეალობისა და ბოლო პერიოდში განვლილი გზის შესახებ ჩნდება ღრმა, გულმოდგინე კვლევის შედეგად შექმნილი **ნოდარ ჯ̆ითანავას** და **ლარისა თაკალანძის** წიგნი **„სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება“**. ფართო მკითხველისთვის ცნობილია ბატონი ნოდარის ადრე გამოცემული საინტერესო და ღრმა გამოკვლევები, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ეკონომიკის ანატომიისა და სიცოცხლიუნარიანობის, პერსპექტივის საკითხების შესწავლაში. ამჯერად იგი ახალგაზრდა მკვლევართან - ლარისა თაკალანძესთან ერთად მოგვევლინა მასშტაბური ნაშრომის ავტორად საზოგადოების კარდინალურ და თავსატეხ საკითხთა გარშემო – **თუ როგორია, როგორი შეიძლება და უნდა იყოს ეკონომიკა და ცხოვრება საქართველოში.**

ჩვენი მიზანი არაა მკითხველს თავს მოვახვიოთ ამ ნაშრომის შეფასებები, მაგრამ გვინდა განვაწყოთ იგი წიგნის წაკითხვისკენ, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, უთუოდ სასარგებლო იქნება მისთვის, თუ მას აინტერესებს ცხოვრების რეალური მოვლენების ბუნებასა და ხასიათში საფუძვლიანად გარკვევა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ყოფის საკითხების ძირში ჩახედვა, ან კიდევ თავისი ბუნდოვანი წარმოდგენის გაფანტვა რიგ მოვლენებზე, სურს პოლემიკის გამართვა ქვეყნის განვითარების პრობლემატიკის ირგვლივ.

მიგვაჩნია, რომ მკითხველთა კმაყოფილებას უთუოდ გამოიწვევს ავტორების მიერ გაწეული უზარმაზარი ნაყოფიერი შრომის შედეგი და წიგნის მაღალი თეორიული დონე. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ნაშრომი უთუოდ არის ქართული ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი. მასში ფართო თეორიულ ფონზე და თანამედროვე მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე ღრმადაა გაშუქებული, საერთოდ, პოსტსოციალისტური სინამდვილის მოვლენები და, კერძოდ, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება ისტორიის ახალ ეტაპზე. სოციალური განვითარების პრიზმით დიდძალი ფაქტობრი-

ვი მასალის მოხმობითა და გამოყენებით წარმოდგენილია დღევანდელი სინამდვილის პანორამა, ტენდენციები, მოწოდებულია საფუძვლიანად არგუმენტირებული მოსაზრებები სოციალური აქტორების ქცევის მიზანშეწონილ მიმართულებათა შესახებ საქართველოში პროგრესისა და საყოველთაო კეთილდღეობისათვის.

წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ სოციალური ეკონომიკის შემსწავლელთ, არამედ საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შესახებ ღრმა ცოდნის შეძენის მსურველთ. უთუოდ ავტორების დიდი დამსახურებაა მსოფლიოს განვითარების ფონზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პროცესების ასე საფუძვლიანად და ფართოდ გაშუქება, რიგი ორიგინალური განზოგადების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ირგვლივ. ამით წიგნი დაეხმარება ახალგაზრდობას, პოლიტიკოსებს, მეცნიერ მკვლევარებს, ყველა დაინტერესებულ მკითხველს.

საგულისხმოა, რომ ავტორების მიერ დიდი რუდუნებით გაწეული შრომა გვარწმუნებს: ადამიანებში შემეცნებითი ინტერესი არ ქრება, იგი აქარწყლებს ინდიფერენტულობისა და ნიჰილიზმის აპათიის მომგვრელ სენს. ავტორები მკითხველს პირდებიან გაგრძელებას და იგიც იმედით დაელოდება მაღალ პროფესიონალთა ასევე საინტერესო ახალ მონოგრაფიას ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასა და მოსალოდნელ მომავალზე.

გიორგი მალაშხია
ევგენი გარათაშვილი

წინასიტყვაობა

მსოფლიოში მწვავე სოციალური პრობლემების (უპირველეს ყოვლისა, სიღარიბის) გადაწყვეტა უმნიშვნელოვანეს ამოცანადაა აღიარებული, სოციალური ეკონომიკა კი – XXI საუკუნის ეკონომიკურ სისტემად. ამასთან, მეცნიერებასა და პოლიტიკაში მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები (პოზიციები) და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ჩამოყალიბდა. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. იგი ორი ურთიერთდაკავშირებული გლობალური პროცესის თავისებურებებითაა განპირობებული.

პირველი, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ახალი ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის („ახალი ეკონომიკის“) ფორმირება დაიწყო. საყოველთაო აღიარებით, იგი სამ მთავარ საყრდენს ეფუძნება: **საბაზრო სისტემას, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და სოციალურ მდგრადობას**. ეს უკანასკნელი პრინციპულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკაში და გულისხმობს საზოგადოებისა და ეკონომიკის სოციალური სტაბილურობის მუდმივ აღწარმოებას [175.73].

მეორე, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სოციალისტური ეკონომიკის **„პერესტროიკამ“** დააჩქარა თვით ეკონომიკური სისტემის (რომელმაც ვერც მოასწრო ინდუსტრიული ეკონომიკის უპირატესობათა რეალიზაცია) სპონტანურად დაშლისა და კლასიკურ კაპიტალიზმზე (ინდუსტრიული კაპიტალიზმის მოდელზე) „გადასვლის“ პროცესი.

ფაქტობრივად, ერთდროულად ორი პლანეტარული მნიშვნელობის პროცესი მიმდინარეობს, რომლებიც ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და განვითარების მიზნებით, პრინციპებით, მეთოდებით, მექანიზმებით და მოსალოდნელი შედეგებითაც მკვეთრად განსხვავდება. **პირველ პროცესს (პროგრესულს) ახასიათებს ევოლუციური განვითარება, იგი ეფუძნება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებს, მართვის თანამედროვე სის-**

ტემის სრულყოფის პრინციპს, მდგრად სოციალურ სტაბილურობას და მიზნად ისახავს უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევას.

მეორე პროცესი რევოლუციურია, ეფუძნება არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის (სოციალისტურის) ძირფესვიანი ნგრევის პრინციპს, ტრანსფორმაციის ურთიერთგამომრიცხავ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, კაპიტალის დაგროვების XIX საუკუნის მოდელს. ამასთან, იგი სოციალური კატაკლიზმების ინიცირების მთავარი მიზეზ-ფაქტორიცაა.

პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკა, მეორე პროცესის (ჯერ ნგრევის, შემდეგ კი აღმშენებლობის იდეას ამოფარებული) ეპიცენტრში აღმოჩნდა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის „სტრატეგიით“ შექმნილი სისტემური კრიზისიდან გამოსავლის ძიებაშია.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მრავალი ცნობილი პრობლემა განსხვავებული მასშტაბით, ფორმით, შინაარსით, როლითა და მნიშვნელობით წარმოჩინდა. განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა სოციალური პრობლემები.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი ქვეყანაში სპონტანურად დაიწყო და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესები სტიქიურად განვითარდა. **ეკონომიკა სისტემურ კრიზისში აღმოჩნდა, გაუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგა. გაღრმავდა სოციალური დაძაბულობა, გაძლიერდა რევანშიზმი, დაკნინდა ერის ინტელექტუალური პოტენციალი, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში გაჩნდა უნდობლობა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა და ზოგადად დემოკრატიის მიმართ, დამკვიდრდა ხელჩაქნეულობის და სხვის ხარჯზე ცხოვრების ფსიქოლოგია, გამოვლინდა ქვეყნის დეგრადაციის სხვა სახიფათო სიმპტომებიც.**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ასეთი არაორდინალური სიტუაციის შემდგომი გაღრმავება რეალურ საფრთხეს შეუქმნის მის ისტორიულ მომავალს. ამიტომ, რადიკალურად უნდა დადგეს სისტემური კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარების საგანგებო ამოცანა. კითხვაზე, თუ როგორია კრიზისიდან გამოსვლის გზები, ამ ეტაპზე პასუხი ცალსახაა: საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანამედროვე მდგომარეობის თეორიული და მეთოდოლოგიური ანალიზი, კრიზისის მიზეზების, განვითარების პროცესების, მანამდე უცნობი მოვლენების ურთიერთკავშირების ლოგიკური ახსნა და შეფასება. მოცემული ისტორიული მომენტის თავისებურებათა გამო, რომლებიც განაპირობებს გარდაქმნების წინაადმდეგობრივ ხასიათს, მიზანშეწონილია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი (კონცეპტუალური მიდგომები, ეტაპები, ამოცანები, ზემოქმედების მექანიზმები და ა.შ.) განხილულ იქნეს როგორც ერთიანი, მთლიანობითი სისტემა მისი ყველა (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, ეკოლოგიური და ა.შ.) შემადგენელით. ობიექტური ანალიზი საჭიროა არა იმისთვის, რომ ქვეყანაში ამგვარი მდგომარეობის შექმნის გამო მავანთა ისტორიული პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რამდენადაც იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს, თუ საით და როგორ წავიდეთ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას, ჯერ-ერთი, დროსა და სივრცეში რეალურად შევაფასოთ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები, ფაქტორთა ერთობლიობა, თავისებურებანი, ტენდენციები, კანონზომიერებანი. მეორე, საზოგადოებას (მის ყველაზე აქტიურ ნაწილს მაინც) მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია ქვეყანაში (ეკონომიკაში) შექმნილი მდგომარეობის ხასიათის (პოზიტიური, ნეგატიური) შესახებ, რათა სწორად იქნეს გაცნობიერებული არა მხოლოდ ამოცანების მნიშვნელობა, არამედ, ისიც, რომ მათი განხორციელება დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. მესამე, არსებული მდგომარეო-

ბის სისტემური ანალიზი და შეფასება როგორც ამოსავალი საწყისი საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ახალი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლობალიზაციითა და მასთან დაკავშირებული პროცესებით მომავალშიც გაძლიერდება ზემოქმედება სუვერენულ ქვეყნებზე, კერძოდ, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. საგარეო ფაქტორების, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური როლი მომავალშიც სახეშეცვლილი ფორმითა და თითქოს უხილავი მექანიზმების მოქმედებით იქნება წარმოდგენილი. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ამის გამო საქართველო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან იზოლირებული უნდა იყოს. პირიქით, ქვეყნის განვითარებაში მთავარ პრიორიტეტად უნდა ვაღიაროთ ზოგადსაკაცობრიო ტენდენციებთან ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შეხამება და საერთო გლობალურ პროცესებში ქვეყნის აქტიური ჩართვა. თანაც, ამგვარ ვითარებაში, სწრაფად ცვალებად სიტუაციებში აუცილებელია გვახსოვდეს: **„ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა. შრომითა და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული – კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომას და გარჯას, ცოდნას და ხერხს, ვერავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“ [99.V.13].**

დიდი მამულიშვილის ეს წინასწარმეტყველება უაღრესად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში, როცა ეროვნული უსაფრთხოება ფართო გაგებით, ქვეყნის ისტორიული მომავალი, არ განისაზღვრება მავანთა მხოლოდ სამხედრო ძლიერებით. თანამედროვე მეცნიერებაში მკაფიოდ ჩამოყალიბდა ერთიანი აზრი: **ადრე მსოფლიო ეკონომიკა ის სივრცე (ველი) იყო, სადაც მოქმედებდნენ სუვერენული სახელმწიფოები, ახლა იგი გარდაიქმნა დამო-**

უკიდებელ სუბიექტად, რომელიც თავისუფლად მოქმედებს სუვერენული სახელმწიფოების საზღვრებში. გასაგებადაა ნათქვამი. ისიც ცხადია, რომ ფორმირებადი **„მსოფლიო წესრიგი“** უფრო და უფრო ვლინდება **„ეკონომიკური წესრიგის ფორმით“**. გლობალური ეკონომიკა, რომელსაც მართავენ ზესახელმწიფოებრივი ცენტრები, მთელ პლანეტაზე თანდათანობით წარმმართველი სისტემა ხდება. შესაბამისად იცვლება საერთაშორისო სამართალი, რომელიც დღემდე ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპს ეფუძნება, ეკონომიკის განვითარების პარადიგმები, ტრადიციები, ფართო გაგებით, მსოფლიო კულტურაც. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ეკონომიკამ აქტიური პოლიტიკის ფუნქციები შეიძინა. გეოეკონომიკური ინტერესები უფრო დომინირებადი ხდება. არც ფინანსურ-სამართლებრივი რეგულირების, როგორც გლობალურ პროცესებზე ზემოქმედების საშუალების, როლის წინ წამოწევაა შემთხვევითი. ფაქტორთა ასეთი ერთობლიობით, ბუნებრივია, თვისებრივად შეიცვლება მსოფლიოს სოციალური სურათი, რომლის დღევანდელი მდგომარეობაც საგანგაშო მოვლენადაა დაფიქსირებული. მხედველობაში გვაქვს სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაღრმავების საშიში ტენდენცია. მაგალითად, პლანეტის უმდიდრესთა 20%-ისა და უღარიბესთა 20%-ის შემოსავლების შეფარდება 1960 წელს იყო 30 : 1, 1991 წელს – 61:1, 1994 წელს – 78:1, 2004 წელს – 150:1 [66.84].

როგორც ჩანს, ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ბედი, მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების დაპირისპირების პროცესში გადაწყდება და „ღია სამყაროს“ პირობებში ფორმირებადი ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონით და მდგრადი განვითარების პოტენციალის უნარით შეფასდება. ამიტომ, საჭიროა ქვეყნის პოტენციალის, მათ შორის მისი „მთვლემარე“ ნაწილის ამოქმედება, ინტეგრაციული პროცესების მიზანმიმართული განვითარება, საგარეო და შიდა ფაქტორების ოპტიმალური შეხამება, რათა მომზადდეს ადეკვატური ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და ღია ეკონომიკის კონკურენტულ

სივრცეში ეფექტიანი ფუნქციონირების მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძველი.

ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალური მიდგომებით შევეცადეთ შეგვესწავლა ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, როგორც ერთიანი მთლიანობითი პროცესის თავისებურებები, ტენდენციები, კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს მომავალ'ში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმართულებას.

გამოკვლევების შედეგებმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეროვნულ სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება სოციალური ეკონომიკა, როგორც საბაზრო ეკონომიკის ტიპი და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატური ეკონომიკური სისტემა. ამან განაპირობა წინამდებარე წიგნის (რომლის გამოცემა გათვალისწინებულია სამ ნაწილად) დასახელებაც – „სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება“ (I ნაწილი).

წინამდებარე წიგნში თემები (პრობლემები) განხილულია ერთიანი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომით. ფართოდაა გამოყენებული მეცნიერების (თეორიის) ცალკეული სკოლების შეხედულებათა შეჯერების, პრობლემის ისტორიულ ასპექტში განხილვა-განზოგადების, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები და სხვ. ქართველი მკვლევარების ნაშრომებთან ერთად გამოყენებულია ჩვენთვის საინტერესო თემებზე არსებული უცხოური ლიტერატურა, რამაც საშუალება მოგვცა საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნების განვითარების იდენტურ თავისებურებათა და ტენდენციების ანალიზი-განზოგადებით უფრო ფართოდ წარმოგვედგინა საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესწავლა-ანალიზმა გვიჩვენა, რომ საჭიროა მომავალში მეცნიერება და საერთოდ, საზოგადოება უფრო მეტად დაინტერესდეს ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებით, მა-

თი სოციალური და პოლიტიკური შედეგებით.

საქართველოში სოციალური ეკონომიკის ფორმირების მონოგრაფიული გამოკვლევის იდეა გამომდინარეობდა პრინციპიდან: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური კრიზისი თავად მოითხოვს პრობლემების სისტემურ გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში არ შეიძლება შემოვიფარგლოთ კვლევის მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით, აუცილებელია გარდაქმნების ადეკვატური გზების ძიება, თვისებრივად ახალი პრობლემების მიმართ ახლებური მიდგომა, თანამედროვე ცოდნის საფუძველზე რესურსების ოპტიმალური კომბინაციისა და რეგულირების ახალი მექანიზმების შერჩევა და ამოქმედება და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანწილად სახელმძღვანელოს როლსაც შეასრულებს. დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიკურ თეორიაში არსებული შეხედულებების შეჯერებასა და ანალიზს, სხვადასხვა კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების განხილვას, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების კოორდინაციის გამოყენებული მექანიზმების თავისებურებების ახსნას და ა.შ., რათა სოციალური პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ პირებს გარდამავალი პერიოდის ძირითადი ტენდენციებისა და შედეგების მრავალმხრივი შეფასების საფუძველი ჰქონდეთ. ეს კი გარკვეულწილად ხელს შეუწყობს დროის მოთხოვნის ადეკვატური საზოგადოებრივი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას.

I თავში – „სოციალური ეკონომიკის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები“ –განხილულია სოციალური ეკონომიკის (როგორც საბაზრო ეკონომიკის უმაღლესი ფაზის) ფორმირებისა და ფუნქციონირების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ეკონომიკის ჰუმანიზაციისა და სოციალიზაციის პროცესების თავისებურებანი და ტენდენციები, სოციალური საბაზრო მოდელების თეორიულ-ორგანიზაციული ასპექტები და ა.შ.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებისა და სა-

ბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების ანალიზის საფუძველზე **გაკეთებულია დასკვნა: სოციალური ეკონომიკა თავისი ფორმითა და შინაარსით, საკუთარი პოტენციალის სრულყოფის უნარითა და განვითარების ლოგიკით შეესაბამება პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) ეპოქის მოთხოვნებს, პოსტსოციალისტურ სივრცეში რეალურად პასუხობს გლობალური პრობლემის – სიღარიბის გამოწვევას და მიზნებით, მოტივაციით, რეგულირების მექანიზმების მრავალფეროვნებით ხელს უწყობს საზოგადოების მდგრად განვითარებას.**

II თავში – „ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება – სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი“ – განხილულია ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების პრინციპები, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ ეკონომიკურ თეორიაში არსებული შეხედულებანი, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების განმსაზღვრელი ფაქტორები და ობიექტური აუცილებლობა, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია **დასკვნა: გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ასრულებს თვისებრივად ახალ, ექსკლუზიურ ფუნქციებს. კერძოდ, ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირების ფუნქციას, რაც ისტორიულად არ ყოფილა დამახასიათებელი ამჟამად განვითარებული ქვეყნებისათვის. საქართველოში კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად არასწორად შეირჩა ეკონომიკური რეფორმების სტრატეგია. ეკონომიკურ პოლიტიკას აკლდა კომპლექსურობა, თანმიმდევრულობა, ეტაპებსა და მიზნებს შორის ლოგიკური კავშირი, განვითარების გვერდითი მოვლენების პროგნოზირება და ა.შ. ფაქტობრივად, სახელმწიფომ რეფორმების სასტარტო ეტაპზე საკუთარი**

ექსკლუზიური როლი ვერ შეასრულა. სოციალურ ეკონომიკაში ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკურად ორიენტირებული სოციალურ-კულტურული პოლიტიკის ერთიანობა.

III თავში – „საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები“ – განხილულია 1990-2006 წლებში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ტენდენციები, გამოვლენილია სისტემური კრიზისის გამომწვევი მიზეზები და შეცდომები (კერძოდ, თეორიულ-პოლიტიკური, თეორიულ-ეკონომიკური, თეორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი, თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომები).

გაკეთებულია **დასკვნა: ქვეყანაში ჩამოყალიბდა და არაეფექტიანად ფუნქციონირებს კვაზისაბაზრო ეკონომიკა-კონგლომერატი, თვისებრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ტიპი. დღეს ეროვნული ეკონომიკა მრავალსუბიექტიანია და ეკონომიკის გაჩანაგების საერთო ფონზე დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება. ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული ფენა (ჯგუფი): „ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“. გარდამავალი პერიოდი ხანგრძლივია და უშუალოდ განიცდის გლობალიზაციის გავლენას.**

IV თავში – „მოსახლეობის ცხოვრების დონე – სოციალური ეკონომიკის განმსაზღვრელი ინდიკატორი“ განხილულია ცხოვრების დონის არსი, მისი შეფასების კრიტერიუმები, ურთიერთკავშირები ცხოვრების დონესა და საზოგადოებრივ პროგრესს შორის, სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტრუქტურა. გამოვლენილია რიგი თავისებურებები და ტენდენციები.

განხილულია სიღარიბის პრობლემა, როგორც გლობალური სოციალური მოვლენა, მისი წარმოშობის მიზეზები, სიღარიბის ანალიზის არსებული კონცეფციები, სიღარიბის შეფასების კრიტერიუმები, მაჩვენებელთა სისტემა, სიღარიბის დაძლევის ფორმები, მეთოდები და გამოცდილება. **გაკე-**

თებულია დასკვნა: პოლიტიკური ამოცანის „საქართველო სიღარიბის გარეშე“ კონტექსტში შემუშავდეს სიღარიბის დაძლევის 5-წლიანი სახელმწიფო პროგრამა.

V თავში – „სოციალური ინფრასტრუქტურა: როლი და ფუნქციები“ – განხილულია სოციალური ინფრასტრუქტურის არსი, შემადგენლები, ფუნქციონირების მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლები, მისი როლი ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების (ურთიერთგანპირობებულობის) საერთო პირობების უზრუნველყოფაში. განსაზღვრულია ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის სფეროს როლი ეკონომიკის ეფექტიანობაში, მათი რეორგანიზაციის ძირითადი მიმართულებები, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, განვითარების პერსპექტივები.

VI თავში – „ეკონომიკური განვითარება სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების პირობა“ – განხილულია ეკონომიკური განვითარების (ზრდის) თანამედროვე პრობლემები, ეკონომიკურ თეორიაში არსებული შეხედულებანი, მათი ევოლუციის მახასიათებლები, სოციალური სფეროსა და განვითარების შედეგების ურთიერთდამოკიდებულების დონე, ნაჩვენებია საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს განვითარებაში ჩამორჩენა.

გაკეთებულია **დასკვნა: ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპები, მისი დაბალი ამოსავალი ბაზის გამო სოციალური სფეროს (უფრო სწორად ცხოვრების დონის ამაღლებაზე) გაჯანსაღებაზე რეალურ გავლენას ვერ მოახდენს, რომ აუცილებელია ქვეყნის განვითარების „გარღვევის სტრატეგიის“ განსაზღვრა და ამ მიზნით სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-განხორციელება.**

VII თავში – „სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვა და განვითარება“ – ეკონომიკური დაგეგმვა განხილულია მის ორგანულ ნაწილთან – სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებასთან, პროგრამირებასთან და ინდიკატიურ დაგეგმვასთან ლოგიკურ კავშირში, მათი როლი სო-

ციალური ეკონომიკის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში. **ეკონომიკური დაგეგმვის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ინდიკატიური დაგეგმვა ობიექტური პროცესია შერეული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ეკონომიკის გლობალიზაციის, რეგიონალიზაციისა და ლიბერალიზაციის ერთიან სივრცეში, შემოთავაზებულია რეკომენდაციები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინდიკატიური დაგეგმვის ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ.**

VIII თავში – „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“ – განვითარებულ ქვეყნებში არსებული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირებისა და გამოყენების პრინციპები, კონცეფციები, მოდელები, ძირითადი მიდგომები, შეხედულებები, მათი ევოლუციის თავისებურებები და საქართველოში განვითარების პერსპექტივები.

IX თავში – „ეკონომიკური უსაფრთხოება – სოციალური ეკონომიკის ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორი“ – განხილულია ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, გაანალიზებულია ძირითადი საფრთხეები (მუქარები), ფაქტორები, მაჩვენებელთა სისტემა, განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე გადასვლის ძირითადი მიმართულებები.

კარგად გვაქვს წარმოდგენილი, რომ მწვავე და აქტუალური თემების (პრობლემების) კვლევისას გამოთქმული მოსაზრებები, წამოყენებული დებულებები, დასკვნები, ცალკეული ტენდენციების შეფასებები შეიძლება საკამათო იყოს. ეს ბუნებრივიცაა, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის ეროვნული ეკონომიკის რთული პრობლემების განხილვა-ანალიზისას ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს საპირისპირო მოსაზრებები და არგუმენტები.

მკითხველთა ნებისმიერ კონსტრუქციულ წინადადებას, შენიშვნას თუ რეკომენდაციას კმაყოფილებით მივიღებთ.

თავი I. სოციალური ეკონომიკის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. სოციალური ეკონომიკის არსი და ამოცანები

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნები კვლავაც წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ძველი და ახალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რთულ კვანძებად ფორმირების პროცესი ღრმავდება და მწვავე ხასიათს იღებს. განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროს ფუნქციონირებაში ჩამოყალიბდა ნეგატიური მოვლენები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოებრივ პროგრესს. საზოგადოების ერთ ნაწილში (არსებითად მათი, ვისი ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა), ძლიერდება ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე ტრანსფორმაციის მიმართ უნდობლობა, ღრმავდება სოციალური დიფერენციაციის რთული პროცესი, რაც საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი დაქვეითების მრავალმხრივობაში აისახება (სიღარიბე იქცა გლობალურ პრობლემად, დამკვიდრდა მათხოვრობა როგორც სოციალური მოვლენა, ნარკომანიამ მოსახლეობის ჯანმრთელობას რეალური საფრთხე შეუქმნა, ახალგაზრდობაში თანდათანობით, ხშირად იმპულსურადაც თავს იჩენს კრიმინალური ტენდენციები და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში უაღრესად საშიში ტენდენცია ჩამოყალიბდა, რომელიც ტრადიციულად დამახასიათებელი არ იყო სოციალისტური ეკონომიკური სისტემისათვის. იგი სოციალური დიფერენციაციის პროცესზე აისახა. დღევანდელობას ორი მხარე წარმოადგენს: ის, ვინც სიმდიდრეს კრიმინალურ ცნობიერებაზე დაყრდნობით სწრაფად აგროვებდა და ის, ვინც დაკარგა ადრე პატიოსანი

შრომით შეძენილი ქონებაც, სამუშაო ადგილიც, მინიმალური სოციალური დაცვის გარეშე დარჩა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ახალ გარემოსთან ადაპტირებას ვერ ახერხებს.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში ასეთი დაყოფა (პოლარიზაცია) ადამიანების პიროვნული საწყისის (ეგოიზმი, მომხვეჭელობა), სხვისი (განსაკუთრებით სახელმწიფოსი) ქონების მითვისებისკენ სწრაფვა, კორუფცია და სხვ.) ნეგატიურად განვითარების სპონტანურად ჩამოყალიბებულ „დემოკრატიულ“ გარემოსთან შეგუების უნარით განისაზღვრა. საზოგადოებრივი გარდაქმნების „სტრატეგიამ“ განაპირობა ეროვნული ეკონომიკის სისტემურ კრიზისში შესვლა, გააღრმავა სოციალური დაძაბულობა, რაც ღრღნის მორალურ-ზნეობრივ ფენომენს, აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. განვითარების ასეთ ნეგატიურ ფონზე რეალურად ჩამოყალიბდა ტენდენცია: **სოციალური წინააღმდეგობა „ახალ მდიდრებსა“ (საზოგადოების უმცირესი ნაწილი) და „ახალ ღარიბებს“ (საზოგადოების გაღატაკებული უმრავლესობა) შორის გადაიზარდა მთავარ სოციალურ-პოლიტიკურ დაპირისპირებაში.**

გარდაქმნების უმოკლეს პერიოდში რადიკალურად შეიცვალა საზოგადოებაში, კერძოდ, მეცნიერებაში გაბატონებული პარადიგმები, სტერეოტიპები, საზოგადოების (ეკონომიკის) განვითარების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები, თუმცა ასეთ ფონზე ფორმირებადი საზოგადოებრივი მენტალიტეტი ჯერ კიდევ რეალურად ვერ აფასებს მიმდინარე პროცესებს, მის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება რეალურ სინამდვილეს მოწყდა. ცხადია, რომ სახელმწიფომ, როგორც ასეთმა, გარდამავალ ეტაპზე ვერ შეძლო ახალი სიტუაციებიდან გამომდინარე საკუთარი როლისა და ფუნქციების სწორად განსაზღვრა და ნებაყოფლობით დაუთმო „ნიშა“ მაფიოზურ-კლანურ, სპონტანურად ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს. ამიტომ შედეგებმაც არ დააყოვნა. ადამიანი საზოგადოებაში შექმნილ „უწონადობის სივრცეში“ აღმოჩნდა, იგი ფსევდო დემოკრატიზაციის ფონზე მოქმედე-

ბის გზაჯვარედინზე დგას, არც იცის საით წავიდეს. ერთი მხრივ, თავისუფლებისა და დემოკრატიზაციის პრინციპებს ნაწილობრივ ნაზიარები, გარედან ზეწოლის გაშიშვლებული ობიექტია, ხოლო მეორე მხრივ, როგორც საზოგადოებრივი სუბიექტი, ფაქტობრივად ასრულებს პიროვნული ღირსებებისა და მორალურ-ზნეობრივი საწყისების დათრგუნვა-დეგრადირების ხელშემწყობი ფაქტორის როლს. ადამიანის გაორების ეს მახასიათებელი საზოგადოების დეგრადირების წანამძღვარია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთიან, მაგრამ მრავალგანზომილებიან პროცესში განვითარების ეკონომიკური და სოციალური შემადგენლები ერთმანეთს მოწყდა, უფრო სწორად, მათი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიზნები, განსაკუთრებით მათი განხორციელების მექანიზმები ერთმანეთს დაუპირისპირდა და სხვადასხვა (ძირითადად ფარული) ფორმით გამოვლინდა. კერძოდ, საწარმოო და არასაწარმოო სფეროები გაითიშა, სტიქიურად ძლიერდება დეინტეგრაცია, დაჩქარდა საზოგადოების კრიმინალიზაცია, რომელიც რეალიეფურად აისახა სახელმწიფო საკუთრების საყოველთაო დატაცების შედეგებზე.

საქართველოში (ასევე, სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში) სოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების სტიქიურად განვითარებამ განაპირობა საბაზრო ეკონომიკის არასრულყოფილი (მახინჯი) პრინციპების (მექანიზმების) დამკვიდრება. ფაქტობრივად ჩამოყალიბდა კვაზისაბაზრო ეკონომიკა. იგი წარმოიქმნა „საბჭოთა სოციალიზმის“, „ველური კაპიტალიზმის“ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ სისტემათა ელემენტების გადაკვეთის მეტად შეზღუდულ პერიმეტრზე და ჩამოყალიბდა ისეთ სისტემად, რომელიც თვისებრივად განსხვავდება დღემდე არსებული ეკონომიკური სისტემებისგან და სიტუაციის (გარდამავალი პერიოდის) თავისებურებების, აგებულების (ფორმირებადი სტრუქტურა), საზოგადოებრივი გარდაქმნების ობიექტური და სუბიექტური პირობების მომწიფების დონით, მათი ურთიერთგანპირობებულობის მაღალი

ხარისხით გამოირჩევა. მეტიც, მას ისტორიული ანალოგი არ გააჩნია. ასეთ სისტემაში დაუნდობლად მოქმედებს კაპიტალიზმის პირვანდელი მოდელის ფუძემდებლური პრინციპი **„სუსტები იღუპებიან“.** სამწუხაროდ, „სუსტები“ დღევანდელ საქართველოში, კაპიტალიზმის კლასიკური სქემისაგან განსხვავებით, ძირითადად ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლები არიან – **ქვეყნისათვის მეტად საჭირო პოტენციური ძალა, ის, ვინც არც ისე დიდი ხნის წინათ საზოგადოების დასაყრდენს წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო მინიმალური სოციალური სტანდარტებით** (დასაქმება, სოციალური დაცვა, სახელმწიფოს ხარჯზე განათლების მიღების, მკურნალობის შესაძლებლობა და სხვ.).

ასეთი ტიპის ეკონომიკური სისტემის – კონგლომერატის შექმნაში წარმმართველი როლი შეასრულეს საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა სტრუქტურებმა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ.), რომელთა ძალისხმევით პოსტსოციალისტურ ქვეყნებს თავს მოახვიეს „ვაშინგტონის კონსენსუსის“ შედეგად ჩამოყალიბებული დოქტრინა „შოკური თერაპია“. არც ის არის შემთხვევითი, რომ სოციალისტური ეკონომიკის გარდაქმნების კონცეფციად აღიარებულ იქნა დასახელებული დოქტრინა, რომელიც თავის დროზე შეიმუშავეს მესამე სამყაროს ქვეყნების ეკონომიკის სტაბილიზაციის განმსაზღვრელ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად.

ტრანსფორმაციული პროცესების ნეგატიურ ფონზე ლოგიკურად დადგა (თუმცა, დიდი დაგვიანებით) ისეთი ტიპის ეკონომიკური სისტემის (მოდელის) შექმნის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს უმწვავესი, ახალი რაკურსით გამოვლენილი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ასეთ ტიპურ მოდელად თანამედროვე პირობებში აღიარებულია სოციალური ეკონომიკა, როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარების უმაღლესი ფორმა. ამ მიდგომას აძლიერებს სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით მსოფლიო თანამეგობრობის მიერ უკანასკნელ პერიოდში გა-

ტარებული ზომები, მის მიერ შემოთავაზებული ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მიდგომები. მაგალითად, 1995 წელს კოპენჰაგენში (დანია) გაეროს ეგიდით გამართულმა მსოფლიო ფორუმმა კომპლექსურად განიხილა მსოფლიოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია და ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება XXI საუკუნის უმთავრეს ამოცანად მიიჩნია. ფორუმის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ სამართლიანი სოციალური განვითარება ეკონომიკის აყვავებისა და მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფორუმის მოთხოვნით ყველა ქვეყანამ ეკონომიკის განვითარებაში ორიენტაცია უნდა აიღოს ადამიანის მოთხოვნილებათა უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილებაზე, აღიაროს სოციალური განვითარების უნივერსალურობა და შეიმუშაოს მისადმი ახალი, უფრო ეფექტიანი მიდგომა, რათა გაძლიერდეს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობა. თანამედროვეობის ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემის – სიღარიბის დაძლევას მიზნად ისახავს გაეროს ეგიდითა და შესაბამისი საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სტრუქტურების მონაწილეობით მრავალ ქვეყანაში შემუშავებული სიღარიბის დაძლევის პროგრამები და სხვა სახის დახმარებები (ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის საგარეო ვალის ჩამოწერის, გადახდის განვადების, ან მიზნობრივი ე.წ. წერტილოვანი (მაგალითად, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა) მხარდაჭერის პრაქტიკა და სხვ.

სოციალური ეკონომიკა თანამედროვეობის მწვავე სოციალური პრობლემების წარმოშობის მიზეზ-ფაქტორებს და მათი გადაწყვეტის გზებს შეისწავლის. იგი უშუალოდაა დაკავშირებული მეცნიერებათა თითქმის ყველა მიმართულებასთან, აქვს კვლევის საკუთარი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი.

რაში მდგომარეობს სოციალური ეკონომიკის არსი, პრინციპები, რა ნიშნები განასხვავებს მას ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკური სისტემისაგან, რომელმაც დღევანდელ განვითარებულ ქვეყნებში საზოგადოების კეთილდღეობის მნიშ-

ვნელოვანი ამაღლება უზრუნველყო? ეს და სხვა მრავალი კითხვა სათანადო პასუხს მოითხოვს. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სოციალური ორიენტაციის ეკონომიკასა და საბაზრო ეკონომიკას შორის პრინციპული წყალ-გამყოფი ნიშან-თვისება არ არსებობს. განსხვავება პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებისა და რეგულირების მექანიზმების გამოყენების ტაქტიკაშია, რომლის მიხედვით შესაძლებელია მნიშვნელოვნად შერბილდეს საზოგადოებაში სოციალური დაპირისპირება და ხელი შეეწყოს სტაბილურობას, როგორც ადამიანის კეთილდღეობის თანმიმდევრულად ზრდის პირობა-ფაქტორს.

აღიარებულია, რომ სოციალური ეკონომიკა თავის თავში მოიცავს საბაზრო ეკონომიკას (მის თანამედროვე მოდელს), ეყრდნობა საბაზრო პრინციპებს (მოტივაცია, არჩევანის თავისუფლება, კერძო საკუთრება, კონკურენცია და სხვ.), ამასთან, გამოირჩევა ეკონომიკის სოციალური ორიენტაციით (კეთილდღეობის ამაღლების წინასწარ განსაზღვრული მიზნით). ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია გულისხმობს არა მხოლოდ განაწილების სრულყოფას, როგორც ამას მისი მოწინააღმდეგეები მთავარ არგუმენტად ასახელებენ, არამედ, პირველ რიგში, წარმოების აღმავლობას, ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობის პრიორიტეტს, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილიზაციას (სოციალურ მდგრადობას), რომლის მიღწევის მრავალ ფორმას (მექანიზმს) შორის, განსაკუთრებული როლი სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტს აკისრია.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ სოციალური ეკონომიკა ფორმითა და შინაარსით საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის განვითარების მაღალი ფაზაა (დონე), რომელიც სრულად შეესაბამება პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) ეპოქის მოთხოვნებს და სტრატეგიულ მიზნად ისახავს მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მისი როლის გაძლიერებას ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში.

სოციალური ეკონომიკის – მეცნიერების მიმართულების – საგანია საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის ფორმირების პროცესი, რომელიც გულისხმობს ადამიანების კეთილდღეობის თანმიმდევრულად ამაღლებას ერთი მხრივ, მოგების მიღებისადმი სწრაფვის (მოტივაცია და შესაბამისი საბაზრო მექანიზმები) და მეორე მხრივ, ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის (სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური თავისუფლების შერწყმა) შეხამების ოპტიმალური გარემოს შექმნის გზით.

თანამედროვე პირობებში მიჩნეულია, რომ სოციალური ეკონომიკა კვლევის ამოცანებით (მრავალმხრივობა), თეორიული საფუძვლებით (ეკონომიკა თავისი დანიშნულებით ადამიანს ემსახურება), მეთოდოლოგიით (საზოგადოების განვითარების ეკონომიკური და სოციალური შემადგენლების ერთიანობა), ფაქტობრივად წარმოადგენს მსოფლიოს გლობალური პრობლემის – სიღარიბის გამოწვევას. ეს დატვირთვა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოციალური ეკონომიკის პრობლემატიკას. ძირითადი პრობლემები, რომლებსაც სოციალური ეკონომიკა შეისწავლის, შედეგია:

– მოსახლეობის მოძრაობის დინამიკა, მისი რიცხოვნობის ზრდის შესაძლებლობები და პირობები, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი, პროფესიული და სოციალური სტრუქტურა (მიზანი: რეალურად განისაზღვროს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებები და შესაბამისად მათი უზრუნველმყოფი ფაქტორები);

– ტერიტორიების ბუნებრივ-კლიმატური პირობები (მიზანი: მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მოქმედი გარემო პირობების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა);

– მოსახლეობის გადაადგილების (მიგრაციის), სამუშაო ადგილის და სამუშაოს არჩევანის თავისუფლება (მიზანი: ეფექტიანი შრომის პირობებისა და ფაქტორების განსაზღვრა);

– ეკონომიკური გარემო (პოტენციური სამუშაო ადგილები, ანაზღაურების დონე, თანამედროვე ტექნოლოგიები,

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდების გამოყენება. მიზანი: ოპტიმალურად განისაზღვროს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოყენება);

– საგანმანათლებლო-კულტურული, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების, ჯანდაცვის, სპორტის, ტურიზმის, შრომის დაცვის სფერო (მიზანი: თითოეული სფეროს მიხედვით განსაზღვრა ამოცანებისა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას (იგულისხმება ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ხარჯზე);

– მშპ-ში მოსახლეობის შრომითი და სოციალური შემოსავლების წილის გამიჯვნა (მიზანი: ეკონომიკის ორიენტაცია სოციალური განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე) [172. 21].

ბუნებრივია, რომ ზემოთ დასახელებული პრობლემების შესწავლისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელია სხვა სამეცნიერო დისციპლინების თანამედროვე მიღწევების შესაბამისობის მიხედვით გამოყენება. ეს კი მოითხოვს სოციალური ეკონომიკის ინტეგრაციას მეცნიერების სხვა დარგებთან. კერძოდ, ეკონომიკურ თეორიასთან, დემოგრაფიასთან, დარგობრივ ეკონომიკასთან, სოციალური სფეროს ეკონომიკასთან, მართვის თეორიასთან, ეკონომიკურ გეოგრაფიასთან, სოციალურ ეკოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, შრომის ეკონომიკასთან, პროგნოსტიკასთან, სოციალურ დაცვასთან და დაზღვევასთან, ორგანიზაციის თეორიასთან, სოციალურ-შრომითი სისტემების მართვასთან და სხვ. მეცნიერებათა დარგებს შორის ინტეგრაციული პროცესების მიმართულებები, მასშტაბები, ფორმები, ორგანიზაციული მექანიზმები განისაზღვრება განვითარების მოცემული ეტაპის თავისებურებების, ტენდენციების და დასახული მიზნების (ამოცანების) შესაბამისად. **ერთი რამ ცხადია, რომ მომავალში სოციალური პრობლემების სიმწვავისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გაღრმავების პირობებში, როცა ადამიანისეული კაპიტალი (ადამიანის მიერ დაგრო-**

ვილი ჯანმრთელობის, ცოდნის, ჩვევების, უნარის, მოტივაციის მარაგი) ეკონომიკური განვითარების მთავარ წყაროდ და ადამიანის კეთილდღეობის მთავარ ფაქტორად გვევლინება, სოციალური ეკონომიკა თავისი მიზნებით, კვლევის მეთოდებით მეცნიერებათა ურთიერთკავშირების სისტემაში მაკოორდინირებელი (ინტეგრატორის) რგოლის ფუნქციებს შეიძენს.

1.2. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თეორიული საფუძვლები

სოციალური საბაზრო ეკონომიკა, როგორც ლიბერალური ეკონომიკის ნაირსახეობა, ერთი მხრივ, გერმანული სოციალური და ეკონომიკური მეცნიერების და, მეორე მხრივ, მეურნეობრიობის გერმანული გამოცდილების პირმშოა. იგი რიგი თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით გამოირჩევა.

ჯერ-ერთი, სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია (მეთოდოლოგია) ფორმირების არც ერთ ეტაპზე ჩაკეტილი, დასრულებულად აღიარებული არ ყოფილა, მასში შესაბამისი კორექტივები შეჰქონდათ სრულყოფის მიზნით, თუმცა უნივერსალური მიდგომები პრინციპულად არ იცვლებოდა.

მეორე, აღნიშნულ კონცეფციას ძლიერი თეორიული საფუძველი ჰქონდა, რომელიც გერმანიაში XX საუკუნის 30-40-იან წლებში შეიქმნა და განმტკიცდა 50-იან წლებში. მხედველობაში გვაქვს გერმანელ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და მის დასრულებაზე. ამ თვალსაზრისით 3 ძირითად მეცნიერულ სკოლას (მიმართულებას) გამოყოფენ:

– **ფრაიბურგის სკოლა** (მისი წარმომადგენლები იყვნენ პროფესორები: ვ. ოიკენი, ფ. ბემი და ხ. გოსმან-დერტი). ამ მიმართულებას ორდოლიბერალიზმსაც უწოდებენ;

– **ჰუმანიტარული ტრადიციების ნეოლიბერალური მიმარ-**

თულება (წარმომადგენლები ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი);

– **სოციალ-ლიბერალების მიმართულება** (წარმომადგენლები ა. მიულერ-არმაკი და მისი თანამოაზრენი).

მესამე, აღნიშნული სკოლების მიერ (მიუხედავად, ზოგიერთი განსხვავებული პოზიციისა) შემუშავებული კონცეფცია ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის ახალ მეთოდოლოგიურ მიდგომას ეფუძნებოდა. მათ მიერ ეკონომიკა განიხილებოდა საზოგადოებრივი სისტემის ერთ-ერთ ელემენტად, რომელიც ურთიერთკავშირშია სხვა ელემენტებთან: სახელმწიფო მოწყობასთან, სამართლებრივ წესრიგთან და სხვ. ამიტომ, მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნა მისი კომპლექსური განხილვა.

მეოთხე, ეკონომიკის აღდგენისა და შემდგომი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის განხორციელებისას გერმანელი პოლიტიკოსები და სახელმწიფო სტრუქტურები ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო მიმართულებების მიერ შემუშავებული პრინციპების სინთეზირებით (და არა რომელიმე პრინციპის გაფეტიშებით). გზადაგზა კორექტივები შეჰქონდათ შემუშავებულ პოლიტიკაში და ამით სრულყოფდნენ სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციას (აღწევდნენ თეორიისა და პრაქტიკის სიმბიოზს). ნიშანდობლივია, რომ პრაქტიკაში **ლ. ერჰარდი** და სხვები მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს განიხილავდნენ როგორც ორიენტირს, პრინციპების ერთობლიობას და არა როგორც პროექტს (მით უმეტეს, დოგმას), რომელიც ზუსტად უნდა განხორციელდეს. შემოთავაზებული პრინციპების გამოყენებისადმი ასეთმა პრაგმატულმა მიდგომამ საშუალება მისცა ქვეყანას მოეხდინა მეურნეობის სისტემური ტრანსფორმაცია. ამ გამოცდილებას დიდი თეორიულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის.

მეხუთე, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით გერმანიაში XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა უნიკალური გამოცდილება, რომელმაც გარკვეული ბიძგი მისცა ეკონომიკის განვითარების სოციალურ ორიენტაციას. მხედ-

ველობაში გვაქვს გერმანიის კანცლერ **ოტო ფონ ბისმარკის** სოციალური გარდაქმნები, რომლებიც გატარდა ინდუსტრიალიზაციით გამოწვეული მწვავე სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

საინტერესოა შემდეგი დამთხვევაც. ცნობილია, რომ კაპიტალიზმის განვითარებას (ინდუსტრიულ ეპოქას) თან ახლდა სოციალური პრობლემების გამწვავება, განსაკუთრებით უმუშევრობის ზრდა, მისი თანმდევი მოვლენა – სიღატაკე. ყველაზე მწვავედ იგი გამოვლინდა ინგლისში, რომელიც ევროპაში მრეწველობის ფლაგმანს წარმოადგენდა. არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ **კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა,** წარმოშობით გერმანელებმა, ინგლისის ინდუსტრიალიზაციის ფონზე გაანალიზეს „სოციალური პრობლემები“ და დაასკვნეს, რომ კაპიტალისტურ სისტემაში სოციალური საკითხები არ გადაწყდებოდა, იგი მოგვარდებოდა მხოლოდ ახალ ფორმაციაში, რომელსაც აუცილებლად უნდა შეეცვალა კაპიტალიზმი ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვებით. გერმანიის კანცლერმა **ოტო ფონ ბისმარკმა**, რომელიც შეეცადა თავიდან აეცილებინა პროლეტარული რევოლუცია, გადადგა უაღრესად თამამი ნაბიჯი, რომელმაც თვით კაპიტალისტურ სისტემაში რადიკალურად, თუმცა დროებით, შეცვალა სიტუაცია. რეფორმების არსი მდგომარეობდა თვისებრივად ახალი წესრიგის (სისტემის) შექმნაში. სახელმწიფოს ფუნქცია სოციალური პრობლემების გადაწყვეტა გახდა. მაშინ, როცა ბისმარკის თანამემამულე **კ. მარქსი** სოციალური საკითხების გადაწყვეტას უშუალოდ უკავშირებდა სახელმწიფოს კვდომას, ბისმარკის სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ზრუნვა დაქირავებულებზე. ეს ახალი მოვლენა იყო სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებაში.

ოტო ფონ ბისმარკის შეხედულებების რეალიზაციის საფუძველს სავალდებულო დაზღვევა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ 1883 წელს გერმანიაში მიიღეს კანონი სამედიცინო დაზღვევის შესახებ, 1884 წელს – კანონი უბედური შემთხვევების შესახებ, 1889 წელს – ინვალიდებისა

და მოხუცებულობის გამო საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. იმ პერიოდში, დასახელებული კანონების მიღების შემდეგ, ყოველ დაზღვეულ დაქირავებულ მუშაკს მძიმე სიტუაციისას (შრომისუნარიანობის დაკარგვისას) ჰქონდა უფლება დახმარებისთვის სახელმწიფოსათვის მიემართა. მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო შენატანებს იხდიდნენ თვითონ მუშაკები და მეწარმეები, ხოლო სახელმწიფო უმატებდა მხოლოდ უმნიშვნელო სუბსიდიებს, იმის გამო, რომ სისტემა იქმნებოდა სახელმწიფოს მიერ, მას სახელმწიფოებრივად მიიჩნევდნენ. ბისმარკის მოდელი მალე ჩიხში მოექცა ფინანსური ხარჯების გაზრდის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ბისმარკის სოციალურ რეფორმებს მკაცრად აკრიტიკებდნენ, მას უკვალოდ არ ჩაუვლია. მან გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქვეყნის, განსაკუთრებით ეკონომიკის განვითარებისადმი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომების, კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ასპექტების ჩამოყალიბებას და შექმნა აზრი იმის შესახებ, რომ თვით კაპიტალიზმის ჩარჩოებში შეიძლებოდა სოციალური საკითხების გადაწყვეტა. ამ მოვლენამ (როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ), გარკვეულწილად გავლენა იქონია ზემოთ აღნიშნული გერმანული სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებაზეც.

განვიხილოთ თითოეული სამეცნიერო სკოლის როლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის (წესრიგის) ფორმირებაში.

ფრაიბურგის სკოლამ (ხელმძღვანელი – **რიკენი)** შექმნა სამეურნეო წესრიგის თეორია. მისი არსი, ცენტრალური იდეა, მდგომარეობს იმაში, რომ არა იდეოლოგიები და წარმოებითი ურთიერთობანი, არამედ, მეურნეობრიობის პრინციპები და წესები, ასევე, ეკონომიკური მართვა განასხვავებს ერთმანეთისგან ეკონომიკურ სისტემებს. ამასთან, იგი განიხილავდა ეკონომიკურ წესრიგს, როგორც საზოგადოებრივი სისტემის ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია სხვა ელემენტებთან. ეს გულისხმობდა იმის აღიარებას, რომ ეკონო-

მიკური წესრიგის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული სხვა ელემენტებზე, როგორც ფაქტორებზე. ამრიგად, არგუმენტირებული იყო პრობლემის მიმართ კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა.

ფრაიბურგის სკოლის დიდ დამსახურებად აღიარებულია ისიც, რომ მან ნაცისტურ გერმანიაში შექმნა ლიბერალური, ანტიტოტალური სამეცნიერო სკოლა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მოენახა ახალი სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის[1] (სისტემის) შექმნის გზა. იგულისხმებოდა ისეთი წესრიგი (სისტემა), რომელიც განსხვავებული იქნებოდა კაპიტალიზმის სისტემისგან, სადაც იმ დროს უარყოფილი იყო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები, ასევე საბჭოთა სოციალისტური სისტემის და გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმისგანაც. იგი უნდა ყოფილიყო ქვეყნის განვითარების „მესამე გზა“. აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები ყოველთვის მხარს უჭერდნენ ძლიერი სახელმწიფოს პოზიციას. ამასთან, ისინი თვლიდნენ, რომ ეფექტიანი სოციალური წესრიგი მდგომარეობს არა განსაკუთრებულ სოციალურ დახმარებასა და სოციალურ დაზღვევაში, არამედ, სახელმწიფოს მიერ ისეთი პირობების შექმნაში, როდესაც თითოეული შეძლებს დამოუკიდებლად იზრუნოს საკუთარ თავზე და ოჯახზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ საჭიროა არა ბაზრის შედეგების „ძლიერი სოციალური პოლიტიკით“ კორექტირება, იგულისხმებოდა მისი გადანაწილება, არამედ დახმარება მხოლოდ მათ მიმართ, ვინც „ამოვარდა“ საბაზრო ურთიერთობებიდან – ასაკის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო. ამ სკოლის წარმომადგენელთა დამსახურებაა ის, რომ მათ შეძლეს ეფექტიანი სამეურნეო წესრიგის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

---

1 **„ეკონომიკური წესრიგის“ კლასიკური, საერთოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. უფრო გავრცელებულია შემდეგი მოსაზრება: არის მეურნეობრიობის წესების, ნორმების, ჩვევების, ინსტიტუტების (რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვას), ეკონომიკური ცხოვრების სუბიექტების ურთიერთმოქმედების, სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზებული სტრუქტურების მხრივ ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მექანიზმების ურთიერთდაკავშირებული ერთიანობა [126. 10].**

ვ. ოიკენს მიაჩნდა, რომ ეფექტიანი სამეურნეო წესრიგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ტოტალიტარული. ამიტომ სთავაზობდა ისეთ სისტემას, რომელიც ავტომატურად მოახდენდა რეაგირებას ტოტალიტარიზმის ნებისმიერ ზემოქმედებაზე. ასეთი მიდგომით ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგების (სისტემების) ურთიერთდამოკიდებულების ლოგიკით უნდა მიღწეულ იყო თავისუფალი საზოგადოების სტაბილურობა.

ახალი წესრიგის (სისტემის) უმნიშვნელოვანეს ელემენტად აღიარებული იყო **თავისუფალი კონკურენციის პრინციპი**. ვ. ოიკენის აზრით, კონკურენცია განაპირობებს საბაზრო სისტემის ეფექტიანობას და ქმნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების გარანტიებს. იგი წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ თავისუფალ ფასებს, არამედ ეკონომიკისა და საზოგადოების თავისუფალ განვითარებას. ვ. ოიკენი სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის წინააღმდეგი იყო. მას მიაჩნდა, რომ საბაზრო კონკურენცია გარკვეული წესრიგის ბაზაზე ყალიბდება, როცა თავად სისტემა ხელს არ უშლის ეკონომიკურ თავისუფლებას, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს მას. ამიტომ იგი მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში კონკურენტული გარემოს შექმნისათვის.

ნეოლიბერალები (ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი) ფრაიბურგის სკოლისგან განსხვავებით ასაბუთებდნენ იმას, რომ საბაზრო მექანიზმი საკმარისი არ არის თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის, ამიტომ, აუცილებელია ეკონომიკაში მორალური, ეთიკური პრინციპების დამკვიდრებაც. ისინი მხარს უჭერდნენ „ძლიერი სახელმწიფოს“ იდეას კონკურენტული გარემოს შექმნისათვის, მკაცრად აკრიტიკებდნენ როგორც კაპიტალიზმს, ასევე სოციალიზმს, სწორად თვლიდნენ განვითარების „მესამე გზის“ იდეას.

ვ. რეპკემ 1942 წელს პირველმა წამოაყენა დებულება **„მესამე გზის“** შესახებ. მისი კონცეფცია საზოგადოებაში მიჩნეულ იქნა **„ეკონომიკურ ჰუმანიზმად“,** რომლის მიხედვი-

თაც ინდივიდი პრიორიტეტულია კოლექტივთან და სახელმწიფოსთან შედარებით, რომ ადამიანი – მთავარი მეურნე და პოლიტიკური სუბიექტია, და არა „ჭანჭიკი“. ვ. რეპკეს აზრით, ეფექტიანი სამეურნეო სისტემა თავისუფალი ადამიანების „სოციალური ინტეგრაციის“ მხოლოდ ნაწილია, რომელიც წარმოიშვება **„მორალისა და ინსტიტუტების“** ურთიერთმოქმედებით. **„სოციალური ინტეგრაციის“** პირველ პირობად იგი აღიარებდა თავისუფალ სახელმწიფოს, ე.ი. სახელმწიფოს, რომელშიც არსებობს იძულებაც, შეწყალებაც, წესრიგიც, მხოლოდ იმ მოქალაქეთა თანხმობით, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს უფლებამოსილებას ანიჭებენ. აქედან გამოდის, რომ მხოლოდ წესრიგი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მიერ მკვიდრდება ეკონომიკასა და საზოგადოებაში, უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფლებას. ვ. რეპკე თვლიდა, რომ სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, რათა წარმატებით ებრძოლოს ძლიერ მონოპოლიებს და სხვა ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე გაბატონებას. ამიტომ სახელმწიფო, ნაცვლად იმისა, რომ მოახდინოს შემოსავლების გადანაწილება, ვალდებულია დაიცვას საბაზრო პრინციპები, უპირველესად კონკურენცია.

ვ. რეპკეს მიხედვით, „სოციალური ინტეგრაციის“ მეორე პირობაა დემოკრატიის დაცვა, რომელიც არ შეიძლება იყოს უსაზღვრო. მისი აზრით, სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა დაადგინონ მისი საზღვრები. სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ისეთი ზომების განხორციელებას, რომ საბოლოოდ მიღწეულ იქნეს საზოგადოების მაქსიმალური ერთიანობა. საყურადღებოა რეპკეს პოზიცია ოჯახთან მიმართებაში. იგი მას სოციალური სოლიდარობის მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებდა და თვლიდა, რომ ოჯახი ნამდვილ სოციალურობას ანიჭებს საბაზრო სამეურნეო წესრიგს, სისტემას. ამასთან, ასაბუთებდა რელიგიის დიდ როლს ადამიანის კეთილდღეობის ზრდაში.

სოციალ-ლიბერალების შეხედულებები არსებითად ორიენტირებული იყო ქრისტიანულ სოციალურ ეთიკაზე. ამ მიმართულების წარმომადგენლის ა. მიულერ-არმაკის მთა-

ვარი იდეა მდგომარეობდა ბაზრებზე თავისუფლების პრინციპის სოციალური გათანაბრების პრინციპთან შეერთებაში. ვ. ოიკენს და მის თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ თუ შეიქმნება ეფექტიანი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც გადაწყვეტს ყველა სოციალურ პრობლემას, საჭირო არ იქნება სპეციალური სოციალური პოლიტიკა. ამის საპირისპიროდ მიულერ-არმაკი კატეგორიულად ასაბუთებდა იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკა და სოციალური პოლიტიკა ერთ დონეზეა. იგი აშკარად მხარს უჭერდა სახელმწიფოს მიერ სოციალური მიზნებისათვის შემოსავლების პირდაპირი გადანაწილების პრინციპს. **ა. მიულერ-არმაკის** აზრით, სახელმწიფო იყენებს თავის შესაძლებლობებს სამეურნეო ძალების განვითარების მხარდასაჭერად, ხოლო სამეურნეო ძალები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საერთო ინტერესის მისაღწევად. სწორედ ამაში ხედავდა მეცნიერი სამეურნეო წესრიგის არსს და თვლიდა, რომ სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელი არ არის სოციალისტური სისტემა და გეგმიანი ეკონომიკა. იგი მიღწევადია კონკურენტულ გარემოში, თავისუფალ სამეურნეო და საზოგადოებრივ სისტემაში. მისი აზრით, მხოლოდ კონკურენციის მექანიზმი სოციალურ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამრიგად, მიულერ-არმაკისათვის ახალი სამეურნეო წესრიგის სოციალურ ასპექტს ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა, მას ეკონომიკური პოლიტიკის მიზნად მიიჩნევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიულერ-არმაკი სახელმწიფოში ხედავდა ცხოვრების „უნივერსალურ ძალაუფლებას“ და იმ პოლიტიკურ სტრუქტურებს, რომლებიც მიმართულებას აძლევენ ხალხის ნებას.

ვ. ოიკენისაგან განსხვავებით ა. მიულერ-არმაკი თვლიდა, რომ სახელმწიფომ წესრიგის პოლიტიკასთან ერთად უნდა გაატაროს აქტიური კონიუნქტურული პოლიტიკა, როგორც სამუშაო ადგილების შექმნისა და დაცვის ინსტრუმენტი.

აღსანიშნავია, რომ ა. მიულერ-არმაკის პოზიცია სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ზომების შესახებ არსებითად განსხვავდებოდა ორდოლიბერალიზმისა და ნეოლიბერალე-

ბის შეხედულებებისაგან. იგი გამოკვეთილად მხარს უჭერდა სოციალური დახმარების გაფართოებას ოჯახებისათვის, მართვაში, საკუთრების ფორმირებაში მონაწილეთათვის და ა.შ. მისი აზრით, გარემოს დაცვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ცოდნის მიღების შესაძლებლობათა შექმნა სოციალური საბაზრო ეკონომიკის განმტკიცებისა და სრულყოფის მნიშვნელოვანი ელემენტებია [126.60].

ეხებოდა რა სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის შემუშავებაში ა. მიულერ-არმაკის განსაკუთრებულ როლს, გერმანელი ეკონომისტი, ბერნის უნივერსიტეტის პროფესორი **ე. ტუხტფელდტი** ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომლითაც იგი შემუშავებულ იქნა მიულერ-არმაკის, როგორც მეცნიერის მიერ და გამოყენებულ იქნა პრაქტიკაში ლ. ერჰარდის, როგორც პოლიტიკოსის, მიერ. როგორც ჩანს, მხედველობაშია მიღებული ის, რომ ფრაიბურგის სკოლის ძირითადი იდეები გერმანიის ომის შემდგომ გარდაქმნებში მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოყენებული. ლ. ერჰარდის მიერ რეალიზებული სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია არსებითად სოციალ-ლიბერალების (ა. მიულერ-არმაკის) თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზაზე შეიქმნა. ამიტომ ითვლება ა. მიულერ-არმაკი ახალი მოდელის სოციალური საბაზრო მეურნეობის ავტორად [126.55].

სამეურნეო წესრიგის შესახებ გერმანელი მეცნიერების თეორიულ შეხედულებათა ბაზაზე ჩამოყალიბდა ომის შემდგომ პერიოდში გერმანიის ეკონომიკური და სოციალური სისტემების ტრანსფორმაციის სახელმწიფო პოლიტიკა. ლ. ერჰარდის რეფორმების მიზანი არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა, არამედ თვისებრივად ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირება იყო. გერმანიამ ეს მოკლე პერიოდში შეძლო (1948-1954 წლები). ქვეყნის გამოცდილება „ეკონომიკურ სასწაულად“ აღიარეს. არც თუ იშვიათად გერმანული გამოცდილების ფაქტორების შესახებ ცალმხრივი შეფასებებიც გვხვდება. გაბატონებულია აზრი იმის შესახებ,

რომ ეკონომიკის მინისტრმა ლ. ერჰარდმა, როგორც მეცნიერმა და პოლიტიკოსმა, შეუძლებელი შეძლო და პრაქტიკულად განახორციელა სწორი თეორიული მიდგომები. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულია მისი როლი „ეკონომიკური სასწაულის“ მიღწევაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორების როლი დავაკნინოთ. საყოველთაო აღიარებით, გერმანიის წარმატება უზრუნველყოფილ იქნა ფაქტორთა ერთობლიობით. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მწვავე და მიზანმიმართული დებატების შემდეგ განვითარების არჩეული კურსის არა მხოლოდ მთავრობის, არამედ, მთელი საზოგადოების მხარდაჭერა, რაც დღევანდელი კრიტერიუმებით პოლიტიკური სტაბილიზაციის უმთავრესი პირობაა. ასევე გარდაქმნების პერიოდი დაემთხვა მსოფლიოში ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზას, რომელიც გამომდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგებიდან. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკის აღდგენა სრულიად ახალ ტექნიკურ საფუძველზე დაიწყო, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში გერმანიიდან ჩამოტანილი მოძველებული ტექნოლოგიებითა და მანქანა-დანადგარებით მოხდა სამამულო წარმოების „გადაიარაღება“. ამასთან, გერმანიაში იყო კვალიფიციური და შრომის მოყვარე სამუშაო ძალა. ამას დაემატა გარედან ძლიერი მხარდაჭერა, რომელიც ცნობილია „მარშალის გეგმით“. ამ გეგმის კონცეპტუალური პრინციპები, რაც ეყრდნობოდა ინდივიდუალური თავისუფლების პირობების შექმნას, სრულად შეესაბამებოდა სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე გერმანიის მთავრობის ორიენტაციას. ინტერესების ასეთმა თანხვედრამ ხელი შეუწყო განვითარების გარე და შიდა ფაქტორების ერთობლივ მიზანმიმართულ გამოყენებას. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აღნიშნულ პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფდა სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას, რომ არა გერმანიის ახალი ხელმძღვანელობის კ. ადენაუერის, ლ. ერჰარდის და მათ თანამოაზრეთა მიზანმიმართული საქმიანობა.

გერმანიის გამოცდილება კარგი მაგალითია იმისა, თუ რო-

გორ შეიძლება სწორი თეორიული შეხედულებების საფუძველზე სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, როცა ცხოვრების (პრაქტიკის) მიერ შემოთავაზებული კორექტივებიც დროულად იქნება გათვალისწინებული.

ამრიგად, გერმანიამ კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით მოკლე პერიოდში აღადგინა (1948-1954 წწ.) ომით გაჩანაგებული ეკონომიკა, ამასთან შექმნა თვისებრივად ახალი სამეურნეო და სოციალური წესრიგი (სისტემა). მიუხედავად განვლილ პერიოდში გარკვეულწილად მისი მოდიფიცირებისა, იგი ამჟამადაც ეფექტიანად ფუნქციონირებს. როგორია მისი ძირითადი ნიშნები?

– სოციალური საბაზრო მეურნეობა არის ლიბერალური ეკონომიკის ნაირსახეობა, მაგრამ იგი არ ეფუძნება კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებს („დე, წავიდეს ისე, როგორც მიდის“), არამედ ეყრდნობა სოციალურ ნეოლიბერალიზმს და ორდოლიბერალიზმს;

– კონცეფციის ამოსავალი საწყისია ინდივიდის თავისუფლება, რომლის მიღწევისათვის საჭიროა შესაბამისი სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკური წესრიგი (სისტემა);

– თავისუფლება დაკავშირებულია წესრიგთან, რომელიც მნიშვნელოვანწილად იქმნება და კონტროლდება სახელმწიფოს მიერ, რომელიც ახორციელებს პოლიტიკას, მაგრამ უშუალოდ არ ერევა სამეურნეო პროცესებში [126.73].

კონკურენტული გარემო და არა გადანაწილება, სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად, წარმოადგენს სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელის ცენტრალურ პრინციპს. იგი იქმნება საკუთრების უფლების დაცვისა და ერთდროულად ქონებრივი პასუხისმგებლობის პრინციპის რეალიზაციის საფუძველზე. ამასთან, სახელმწიფო ატარებს კონკურენტული გარემოს დაცვის შესაბამის ღონისძიებებს. საბაზრო კონკურენცია უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას და ამით ქმნის „ყველასათვის კეთილდღეობის“ საფუძველს. კონკურენცია ინდივიდს თვითრეალიზაციისა და დამოუკიდებელი ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის შანსს ანიჭებს;

– სახელმწიფო ატარებს აქტიურ პოლიტიკას იმათ მხარდასაჭერად, ვისაც არ შეუძლია დამოუკიდებლად გააუმჯობესოს საკუთარი ცხოვრების პირობები. გარკვეულმა სოციალურმა გამოთანაბრებამ ხელი უნდა შეუწყოს სისტემის სტაბილურობას და ხანგრძლივ პერიოდში მდგრადობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის დასასრულს გერმანიაში ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები უფრო გაძლიერდა გარემოს მაღალი ხარისხის მიღწევაზე ორიენტაციით. ამიტომ, გერმანიის ეკონომიკურმა სისტემამ ახალი დატვირთვა მიიღო და მას საზოგადოებაში „ეკოლოგიურ სოციალურ საბაზრო მეურნეობასაც“ უწოდებენ.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სოციალური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის (სისტემის) მოდელი თავისი ბუნებით, ფუნქციონირების ლოგიკით, ამოსავალი საწყისით ლიბერალურია და ორიენტირებულია ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, ეყრდნობა ძლიერ სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის სტრატეგიული ამოცანაა კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, სოციალური სამართლიანობისა და სტაბილურობის პრინციპების დაცვა [126.73].

1.3. ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე: თავისებურებები და ტენდენციები

XX საუკუნეში ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად მსოფლიოში თვისებრივად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმა, შინაარსი, რეგულირების მექანიზმები, სოციალური ორიენტირები, რაც რიგმა ფაქტორებმა განაპირობა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა-პროცესი პოსტინდუსტრიული ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა იყო. ცნობილია, რომ ეკონომიკის ინდუსტრიული ტიპი თავდაპირველად ინგლისში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში XVIII

საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამრეწველო გადატრიალების შედეგად ჩამოყალიბდა. ლიტერატურაში აღნიშნულია ამ ტიპის ეკონომიკის შემდეგი ძირითადი ნიშნები:

– მრეწველობის წამყვანი როლი ეკონომიკურ ზრდაში;

– ეკონომიკის ყველა სფეროში კერძო კაპიტალისტური წყობის გაბატონებული მდგომარეობა;

– ეკონომიკის ყველა სფეროში საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირება, როგორც ეროვნული, ასევე მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბება;

– განვითარების ციკლური ხასიათისა და პერიოდული კრიზისების გამოვლინება;

– სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმების სრულყოფა;

– სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ტემპები, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავების მნიშვნელოვანი ზრდა, განვითარებული ქვეყნების მხრივ კოლონიური და ნახევრად კოლონიური ქვეყნების პოტენციალის უპირატესად მათ სასარგებლოდ გამოყენება და სხვ. [127.7]

ზემოთ აღნიშნული ნიშნების მნიშვნელობაზე საერთო წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი 1.1.

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში (1750-1900 წ.წ.) ევროპისა და აშშ ქვეყნების ინდუსტრიული ზრდის მაღალი მაჩვენებლები მიღწეულ იქნა მესამე სამყაროს ქვეყნების სამრეწველო პოტენციალის მკვეთრი შემცირების საფუძველზე.

განვიხილოთ, თუ როგორი პრინციპებით განვითარდა გვიანინდუსტრიული ტიპის ეკონომიკა, რომლის ფორმირება XX საუკუნეში მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის ეკონომიკა ჩამოყალიბდა ინდუსტრიული საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობების გამწვავების ფონზე, რაც აისახა ორი მსოფლიო ომისა და მსოფლიო ეკონომიკური დეპრესიის სოციალურ შედეგებზე.

ცხრილი 1.1

ინდუსტრიულ ეკონომიკაში სამრეწველო განვითარების მაჩვენებლები

ქვეყნები	მსოფლიო სამრეწველო წარმოების წილი %		მოსახლეობის ერთ სულზე ინდუსტრიული განვითარების დონე % (დიდი ბრიტანეთი 1900-100%)	
	1750 წელი	1900 წელი	1750 წელი	1900 წელი
ევროპა მთლიანად	23,2	62,0	8	35
დიდი ბრიტანეთი	1,9	18,5	10	100
საფრანგეთი	4,0	6,8	9	39
გერმანია	2,9	13,2	8	52
იტალია	2,4	2,5	8	17
ავსტრია-უნგრეთი	2,9	4,7	7	23
რუსეთი	5,0	8,8	6	15
აშშ	0,1	23,6	4	69
იაპონია	3,8	2,4	7	12
მესამე სამყარო	73,0	11,0	7	2
ჩინეთი	32,8	6,2	8	3
ინდოეთი	24,5	1,7	7	1

წყარო: Государственное регулирование рыночной экономики, Учебник, под общей ред. проф. Кушлина В.И. и проф. Волгина Н.А., М., 2001, с. 8.

მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ გვიანინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბება მოხდა ორ ვარიანტად. **პირველის** მაგალითია განვითარების სახელმწიფო-მონოპოლისტური ფორმა. უფრო ლიბერალური სახით იგი გამოვლინდა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ა.შ. ტოტალიტარულ-მილიტარისტული სახით კი ფაშისტურ გერმანიაში, იტალიაში, იაპონიაში და სახელმწიფო სოციალისტური ფორმით – საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებში, რომლებმაც სოციალიზმის მშენებლობის გზა აირჩიეს.

როგორი ნიშნებით ხასიათდება გვიანინდუსტრიული ეკონომიკა?

– წარმოების მაღალი კონცენტრაცია, ინდუსტრიული გიგანტების შექმნა, რომლებიც ორიენტირებულია მსოფლიო ბაზრებზე;

– საკუთრების მონოპოლიზაციის მაღალი დონე, ტრანსეროვნული კორპორაციების შექმნა, რომლებიც თანდათანობით გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ სუბიექტებად გარდაიქმნებიან;

– ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის დომინირებადი მდგომარეობა. იგი წარმოდგენილი იყო სამი ერთმანეთისგან განსხვავებული მოდელით. **პირველი,** მონოპოლიებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების შერწყმა სახელმწიფო აპარატთან განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. **მეორე, ჯ. კეინზის** შეხედულებათა შესაბამისად სახელმწიფო რეგულირების პრინციპებისა და მექანიზმების გამოყენება **(აშშ „ახალი კურსის“ დოქტრინა) და მესამე,** სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო – საგეგმო მექანიზმების ყოვლისმომცველი ხასიათი (საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპების დამკვიდრება);

– დასაქმებისა და უღარიბესი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო რეგულირების ახალი მექანიზმების გამოყენება (ამის აუცილებლობა ეკონომიკის ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა);

– ეკონომიკის მილიტარიზაციის გაძლიერება და სამეცნიერო-ტექნიკური რესურსების, კვალიფიციური სამუშაო ძალისა და ფინანსური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაციის მიზნით ძლიერი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების შექმნა (სოციალისტურ ქვეყნებში ამ პროცესის შედეგად შეიქმნა მწვავე სოციალური პრობლემები, განსაკუთრებით XX საუკუნის 80-იან წლებში).

– შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავების შედეგად ახალი ინტეგრაციული ალიანსების (კავშირები) შექმნა, კერძოდ, ევროკავშირი, „ნაფტა“, „სევი“ და ა.შ. [127.9]

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან თავი იჩინა ინდუსტრიული ეკონომიკის წინააღმდეგობებმა,

რომლებიც ეკონომიკური, ენერგეტიკული და ეკოლოგიური კრიზისების ფორმით გამოვლინდა. მზარდ წინააღმდეგობრივ სიტუაციაში თანდათანობით ჩამოყალიბდა პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამძღვრები. ამ ტიპის ეკონომიკის ძირითადი ნიშნები უკვე გამოჩნდა და მეცნიერების დასკვნით უფრო სრულყოფილი სახით გამოვლინდება მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში.

როგორია ახალი ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი ნიშნები? ლიტერატურაში განხილულია ზოგიერთი მათგანი. **პირველი,** აშკარად გამოიკვეთა ეკონომიკის ჰუმანიზაციის პროცესი. ეკონომიკა თანამედროვე პირობებში ემსახურება უფრო მეტად თავის ბუნებრივ დანიშნულებას – ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ადამიანების კეთილდღეობის ზრდას. ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე და მომავალი მოთხოვნილებების გათვალისწინება ეკონომიკის წარმატებული განვითარების აუცილებელ პირობადაა მიჩნეული. ამას ადასტურებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც. საზოგადოების, განსაკუთრებით ეკონომიკის, ჰუმანიზაციის მრავალმხრივი პროცესი ახალ მოთხოვნებს უყენებს ეკონომიკის სტრუქტურას, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ინსტიტუტებს. ეს გარკვეულწილად გამოვლინდა ეკონომიკის დემილიტარიზაციის ტენდენციებში. ნაწილობრივ განხორციელდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონვერსია, შესაბამისად გაიზარდა სამომხმარებლო სექტორის როლიც. უფრო მეტი სახსრები იხარჯება ადამიანის პოტენციალის და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. დაფიქსირდა თავისებურება: სოციალურ სფეროში ინვესტიცია უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ეროვნული მეურნეობის მატერიალურ-ნივთობრივ სფეროში. ამასთან, თავად თანამედროვე წარმოება უფრო მოქნილი, დივერსიფიცირებული გახდა, რომელიც სწრაფად რეაგირებს მოთხოვნილებათა მზარდ ცვლილებებზე. იგი ინტეგრაციული პროცესებისა და კავშირურთიერთობების რთულ სისტემაში სამეცნიერო მომსახურებას ემყარება.

მეორე, აღნიშნულ პერიოდში ფართოდ განხორციელდა წარმოების დეკონცენტრაცია, თანდათანობით მცირდება სამრეწველო გიგანტების რაოდენობა, ფართოდ ვრცელდება მცირე და საშუალო საწარმოები. ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება მათი როლი დასაქმებაში, მოთხოვნისა და ინოვაციების ცვლილებებზე რეაგირებაში. წარმოების სტრუქტურის თვისებრივმა ცვლილებებმა ხელი შეუწყვეს სოციალური ორიენტაციის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის საერთო რაოდენობის 90%-ზე მეტი. მათი საქმიანობის ტრადიციული სფეროებია: **დამხმარე, წვრილსერიული წარმოება, წვრილი საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომსახურება. ნიშანდობლივია,** რომ მცირე ბიზნესი თანდათანობით ერთვება მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში. იგი დიდ როლს ასრულებს დასაქმების პრობლემების გადაწყვეტაში.

მესამე, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ტიპების ურთიერთობათა თვისებრივად ახალი მექანიზმები. კერძო, ჯგუფური, კორპორაციული და საზოგადოებრივი ინტერესების დაახლოებისა და ინტეგრირების პროცესში შეიქმნა სხვადასხვა სახის შერეული, მრავალსუბიექტიანი ეკონომიკური სისტემები. საკუთრების თითოეულ ფორმას და მასზე დაფუძნებულ მეურნეობრიობის სუბიექტებს (ტიპებს) საკუთარი ადგილი გააჩნიათ და შესაბამისად, ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების როლიც აკისრიათ. კლასიკური საბაზრო მეურნეობის უმთავრეს პირობად აღიარებული კერძო საკუთრების ტრანსფორმაციამ გამოიწვია მისი სხვადასხვა ინსტიტუციურ ფორმად გარდაქმნა. ეს მოხდა უპირატესად სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბების გზით. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორმა. სახელმწიფო საკუთრებამ შეიძინა ახალი ნიშანთვისებები. კერძოდ, მის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო-კერძო და სახელმწიფო-კოლექტიური მეწარმეობის შერეული

ფორმები. ამასთან, შეიცვალა სახელმწიფოს როლი და ფუნქციები, ეკონომიკაზე ზემოქმედების ფორმები და მეთოდები (უფრო ვრცლად ამ საკითხს განვიხილავთ მეორე თავში). ყველა განვითარებულ ქვეყანაში გაიზარდა სახელმწიფოს როლი ეროვნული პროდუქტის განაწილებაში. მაგალითად, 1950-1993 წლებში მეპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილი გაიზარდა აშშ-ში 20%-დან 38%-მდე, იაპონიაში – 20%-დან 38%-მდე, გფრ-ში და ინგლისში – 36%-დან 50%-მდე, საფრანგეთში – 31%-დან 54%-მდე [139.113]. ამრიგად, ამ პერიოდში მკაფიოდ გამოიკვეთა საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ერთდროულად გამოყენება და ეფექტიანობა.

მეოთხე, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება. რეგიონული ინტეგრაციის ტენდენციები გაღრმავდა. ქვეყნების ურთიერთობებში გამოჩნდა საერთაშორისო ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის უნიფიცირების, ეკოლოგიური და მეტეოროლოგიური სამსახურების, ტექნოლოგიური სტანდარტების ერთობლივად (პარტნიორულ საწყისებზე) გამოყენების შესაძლებლობანი. ტრანსეროვნული კორპორაცია გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტად გადაიქცა. თვისებრივად ახალ სიმაღლეზე ავიდა საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების საქმიანობა. მათი მთავარი ორიენტირებია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპების დაჩქარება, სიღარიბის დაძლევა და სხვ.

მეხუთე, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების ყველაზე არსებით ტენდენციად სოციალური მიმართულება გახდა. ეს ლოგიკურიცაა. იგი გამომდინარეობს ეკონომიკის ჰუმანიზაციის საერთო პრინციპებიდან, ვლინდება შრომის ჰუმანიზაციის სხვადასხვა ფორმებით, ადამიანის როლის ამაღლებით წარმოების მართვაში, განვითარების ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ინტეგრირებით, სოციალური პარტნიორობის პრინციპების დამკვიდრებით და სხვ.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ერთი მხრივ, საბაზრო მექანიზმებს და, მეორე მხრივ, არასაბაზრო მომსახურების სფეროს რეგულირებას ეყრდნობა, რომელშიც სახელმწიფო შექმნილი დოვლათის (შემოსავლების) სოციალური სამართლიანობის საფუძველზე გადანაწილების მრავალმხრივ ფუნქციებს ასრულებს. ასეთია მაგალითად, ფუნდამენტური მეცნიერების, განათლების, კულტურის განვითარება, სოციალური მხარდაჭერა, დემოგრაფიული პროცესების, სოციალური მობილურობის, სოციალური სტრატიფიკაციის რეგულირება და სხვ. [127.9-11].

1.4. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელები: თეორიულ-ორგანიზაციული ასპექტები

სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის ქვეყნებს აქვთ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემები (ინსტიტუტები), რომლებიც მიმართულია სოციალური წონასწორობისაკენ და მიზნად ისახავს მოსახლეობის ძირითადი მასის ცხოვრების დონის ამაღლებას, მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას.

მსოფლიოში სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის რამდენიმე მოდელს გამოყოფენ [22;56]. მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღიარებულია მათი კლასიფიკაციის ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა: ეროვნულ პრიორიტეტებს შორის სოციალური პოლიტიკის ადგილი; სოციალურ კეთილდღეობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ალტერნატივა; სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეწარმეო სექტორს შორის სოციალური ფუნქციების განაწილება; სახელმწიფო სექტორის მასშტაბები, რომლებიც განისაზღვრება გადანაწილების მოცულობითა და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წონით; სოციალური პოლიტიკის თავისებურება, რაც განასხვავებს ერთმანეთისაგან სოციალური პოლიტიკის მიზნებს და ინსტრუმენტარებს, მაგალითად, დამოკიდებულება სრული დასაქმების პრობლემისადმი.

სრული დასაქმების მხარდაჭერასა და ეფექტიანობის სტიმულირებასა და წარმოების კონკურენტუნარიანობას შორის არჩევანი. სოციალური სექტორის განვითარების ხასიათი (სოციალური მომსახურება შეიძლება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს). სოციალური დაზღვევის წილი სოციალური მიზნით საერთო საბიუჯეტო სოციალურ დანახარჯებში; განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პოლიტიკის მიმართულების პრინციპები და სხვ. ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით განიხილავენ „სოციალური ეკონომიკის" ოთხ ძირითად მოდელს [122.77].

მოკლედ შევეხოთ მათ ძირითად თავისებურებებს. **პირველი**. გერმანული მოდელი, რომელიც გერმანიის გარდა, გამოიყენება ავსტრიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, ნაწილობრივ საფრანგეთშიც. ამ მოდელებისათვის დამახასიათებელია მშპ გადანაწილების დიდი მოცულობა ბიუჯეტის მეშვეობით (50%-მდე), დაზღვევის ფონდების ფორმირება ძირითადად დამსაქმებელთა ხარჯზე, სოციალური პარტნიორობის განვითარებული სისტემა, სრული, ან უკიდურეს შემთხვევაში, მაღალი დასაქმებისადმი მხარდაჭერა.

მეორე. სკანდინავიის მოდელი (შვეიცარია, დანია, ნორვეგია, ფინეთი) გამოირჩევა აქტიური სოციალური პოლიტიკით. ამ მოდელს უფრო სოციალ-დემოკრატიულ ტიპს მიაკუთვნებენ. მოდელის მიხედვით სოციალური კეთილდღეობა განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის მიზანი, ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილდება ეროვნული შემოსავლების 50-60%; განსაკუთრებით გამოკვეთილია სოციალური სოლიდარობის იდეა და აქტიური სოციალური პოლიტიკა.

მესამე. ანგლოსაქსური, რომელიც გამოიყენება ინგლისში, ირლანდიასა და კანადაში. იგი ითვალისწინებს მშპ-ის გადანაწილების შედარებით დაბალ დონეს, არა უმეტეს 40%-ისა [122.77]. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის მიხედვით სახელმწიფოს პოლიტიკა დასაქმების მიმართ პასიურია, ამასთან, მაღალი ხვედრითი წონით ხასიათდება სოციალურ

მომსახურებაში კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა.

მეოთხე. ხმელთაშუა ზღვის მოდელის (საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია) მიხედვით მშპ მოცულობა, რომელიც ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილდება, მერყეობს 60%-დან საბერძნეთსა და იტალიაში, 40%-მდე ესპანეთში. ამ ქვეყანაში სოციალური პოლიტიკა დიფერენცირებულია.

სოციალური მიმართულების ეკონომიკას უშუალოდ უკავშირებენ ომის შემდგომი გერმანიის განვითარების მოდელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოდელს ზემოთ შევეხეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ მისი ზოგიერთი თავისებურება.

მეცნიერებასა და პრაქტიკაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით, სოციალური საბაზრო მეურნეობა, როგორც „მესამე გზა“, ძევს XIX და XX საუკუნის დასაწყისის საბაზრო კაპიტალიზმსა და ტოტალიტარულ ადმინისტრაციულ ეკონომიკას შორის, როგორც გზა მიმავალი საზოგადოებასა და ეკონომიკაში თავისუფალი, ეკონომიკურად ეფექტიანი, სტაბილური წესრიგისაკენ.

ხ. ლამპერტის განმარტებით, სოციალური საბაზრო ეკონომიკურ-პოლიტიკური კონცეფცია მიმართულია სამართლებრივი სახელმწიფოს მიერ გარანტირებული თავისუფლების, ეკონომიკური თავისუფლებისა და სოციალური სახელმწიფოს იდეალების (სოციალური დაცვა და სოციალური სამართლიანობა) შერწყმისაკენ [141.66]. მიზნების ეს შერწყმა-თავისუფლება და სამართლიანობა აისახება „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ცნებაში.

გერმანული მოდელის თეორიული საფუძველია ეკონომიკურ წესრიგსა და პოლიტიკურ, სახელმწიფო და სამართლის წესრიგებს შორის ურთიერთკავშირების შესწავლა. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა სისტემური ანალიზის საფუძველზე კომპლექსურად განვიხილოთ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კონსტრუქციულ ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მათი ურთიერთგანსაზღვრის ხარისხი. საზოგადოებრივი განვითარების პოლიტიკურ-სა-

მართლებრივი ანალიზი საშუალებას იძლევა მრავალმხრივ იქნეს შესწავლილი ეკონომიკური და პოლიტიკური სუბიექტების კოორდინაციის წესი და ხასიათი, რაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიანი პროცესის კომპლექსურად განხილვა-შეფასების რეალურ საფუძველს ქმნის. საყურადღებოა ამ მოდელის შემდეგი ასპექტიც. გერმანიის ცენტრალიზებულად გეგმური ეკონომიკის ტრანსფორმაციის მეთოდოლოგიური საფუძველი იყო სამეურნეო წესრიგის თეორია, რამაც ხელი შეუწყო გერმანიაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 50-იან წლებში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ბაზაზე საზოგადოებამ შეძლო გაეფართოებინა არა მარტო ინდივიდუალური, არამედ, საზოგადოებრივი მოხმარებაც. ეს პერიოდი აღსანიშნავია იმით, რომ იცვლება წარმოდგენები სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ, რომ იგი აღიარებულ იქნა არა მხოლოდ მამობილიზებელ, წარმართველ ძალად, არამედ, სამეურნეო რეგულირების ეფექტიან ინსტიტუტად, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი დოვლათის მზარდ წარმოებას. ასეთ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. იგი სახელმწიფოს, როგორც უნივერსალური ფენომენის, აღიარებას უდევს სათავეს და ადასტურებს ბაზრისა და სახელმწიფოს სიმბიოზის აუცილებლობას.

გერმანიის მოდელის საფუძველია საბაზრო ურთიერთობა, რომელიც ეყრდნობა კონკურენციის ყოვლისმომცველობისა და ხელფასის და სხვა პარამეტრების დაწესებაში სახელშეკრულებო ურთიერთობების უპირატესობის იდეას [122.73]. ამ მოდელში სახელმწიფო არ განსაზღვრავს ეკონომიკურ მიზანს (ეს ინდივიდუალური საბაზრო გადაწყვეტის საფუძველზე ხდება), არამედ ქმნის სოციალურ და სამართლებრივ გარემოს ეკონომიკური ინიციატივის რეალიზაციისათვის. სახელმწიფო „უხილავი ხელის“ ყოველმხრივ მხარდაჭერის გარანტად გამოდის. ეს აღიარებულია, როგორც ინდივიდების სოციალური თანასწორობისათვის (უფლებათა თანასწორობა, სამართლებრივი დაცვა და სხვ.) მხარდაჭერა.

გერმანულ, ასევე სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის სხვა მოდელებში იგულისხმება, **რომ სახელმწიფო უფრო აქტიურად ერევა ეკონომიკაში, ვიდრე ეს ტრადიციულადაა აღიარებული.** სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს საბაზრო ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ბალანსი.

გერმანიის სოციალურ ეკონომიკაში ბაზარი თვითმიზანი არაა. იგი განიხილება, როგორც საშუალება სოციალური მიზნების მისაღწევად, რაც იმაში გამოიხატება, რომ კერძო ინიციატივა, კონკურენცია სახელმწიფოს მხრიდან რიგ შემთხვევაში აქტიურ ჩარევას ბუნებრივად მოითხოვს.

გერმანული მოდელის მიხედვით, სახელმწიფო გარდაქმნათა ცენტრში დგას ადამიანი თავისი ინტერესებით, როგორც თავისუფალი პიროვნება, რომელსაც სავსებით შეგნებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. თავისუფლება ეკონომიკური თვალსაზრისით ნიშნავს საზოგადოების ინტერესების გაგებას და თავისი ადგილის მოძებნას სისტემაში „წარმოება-მოხმარება“ [56.57].

ამრიგად, გერმანული მოდელის დამახასიათებელი ნიშნებია: **პირველი,** ინდივიდუალური თავისუფლება, როგორც საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირების პირობა. ნიშანდობლივია, რომ ამ პირობას სახელმწიფო უზრუნველყოფს კონკურენციისადმი მხარდაჭერით, ე.ი., ერთი მხრივ, ინდივიდუალური თავისუფლების (საქმიანობის არჩევა, გადაწყვეტილებების მიღება) და, მეორე მხრივ, ამ თავისუფლების რეალიზაციის გარემოს (კონკურენციის) მხარდაჭერა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკით; **მეორე,** სოციალური თანასწორობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ შემოსავლების საბაზრო განაწილება განისაზღვრება დაბანდებული კაპიტალის მოცულობით ან ინდივიდუალური ძალისხმევის სიდიდით. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ეყრდნობა საზოგადოების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის კომპრომისების ძიებას, ასევე სოციალური კეთილდღეობის განაწილებაში უშუალო მონაწილეობას, მაგალითად, საბინაო მშენებლობაში და სხვ. **მესა-**

მე, ანტიციკლური რეგულირება; **მეოთხე,** ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ინოვაციების სტიმულირება; **მეხუთე,** სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება; **მეექვსე,** კონკურენციის დაცვა და წახალისება [122.74].

ავსტრიის სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, რომელშიც ტრადიციულად სახელმწიფო ასრულებს დიდ როლს, მიზანმიმართული და ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული პოლიტიკის შედეგია, რომელიც წლების მანძილზე მიზნად ისახავდა ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციას, ფასებისა და ხელფასების რეგულირებას, კონკურენციის სტიმულირებას, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ა.შ. აღიარებენ, რომ ავსტრიის სოციალურ ეკონომიკაში მოინახა ოპტიმალური პროპორციები სახელმწიფოს და კერძო საკუთრებას, ცენტრალიზებულ და საბაზრო სტრუქტურებს შორის. სწორედ ამით ხსნიან ქვეყნის საბაზრო სისტემის ეფექტიანობას. აღსანიშნავია, რომ გარდაქმნების თავისებურების მიხედვით, ფინანსური წონასწორობის მიზნით ქვეყანაში გამოიყენეს საგადასახადო პოლიტიკის დიფერენცირებული მიდგომა. მაგალითად, 50-იან წლებში გაიზარდა არაპირდაპირი გადასახადები საბიუჯეტო შემოსავლების გაფართოებისათვის, ხოლო პირდაპირი გადასახადები მიმართულ იქნა შრომის მწარმოებლურობის გასადიდებლად. 1954 წელს შეიცვალა საწარმოების ქონების შეფასების წესი. ქონების ბალანსიდან დაჩქარებით ჩამოწერამ დადებითი როლი შეასრულა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 1948-1955 წლებში ავსტრიამ „მარშალის გეგმით“ და სხვა წყაროებიდან 1,5 მლრდ დოლარი მიიღო. სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობით შესაძლებელი გახდა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზება. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სახელმწიფო პოლიტიკის სოციალურმა მიმართულებამ. სახელმწიფომ შეძლო შეექმნა სამართლებრივი და ორგანიზებული გარემო ჯანსაღი კონკურენციისთვის, ყოველმხრივ ხელი შეუწყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დაახლოებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამ საქმეში იყო ფასებისა და ხელფასის რეგულირების საერთო ეროვნული პო-

ლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ეს მოხერხდა მყარი სოციალური პარტნიორობის საფუძველზე, რომელშიც მთავარი როლი ავსტრიის გაერთიანებულმა პროფკავშირებმა შეასრულეს. მათი უმთავრესი მიზანია სრული დასაქმება. ნიშანდობლივია, რომ პროფკავშირები აერთიანებენ ყველა დაქირავებულს. ავსტრიაში შექმნილმა მექანიზმმა, ხელფასისა და ფასის საკითხებზე საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა უზრუნველყო. ასეთი მექანიზმის როლი წარმატებით შეასრულა პარიტეტულმა კომისიამ, რომელშიც მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლები, მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ. კომისიას ქვეყნის კანცლერი მეთაურობდა.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო კონკურენციის სტიმულირებას ორი გზით ახდენს: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერით და ქვეყნის ეკონომიკის „გახსნით", მისი მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვით. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბაზარზე კეთილსინდისიერ შეჯიბრებას. სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება მსხვილი ბიზნესი, მაქსიმალური თავისუფლება ეძლევა მცირე ბიზნესს, ყოველივე ეს რეგულირდება შესაბამისი კანონებით. აღიარებულია, რომ ავსტრიის ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესი ფაქტობრივად ასრულებს ბაზრის სტაბილიზატორის როლს. ამიტომაა, რომ სახელმწიფო შეღავათიან კრედიტებს, დოტაციას აძლევს ფირმებს ხელსაყრელი სასტარტო პირობების შექმნის მიზნით. საერთოდ მეწარმეობას, როგორც ასეთს, პრესტიჟული მნიშვნელობა ენიჭება. რაც შეეხება „ღია ეკონომიკის" ფუნქციონირებას, იგი განისაზღვრება გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგიით, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ყოველმხრივ აწონილ პოლიტიკას ეყრდნობა. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში საქონლის 3 კატეგორიას გამოყოფენ: **„თავისუფალი"** (გატანა-შემოტანას ნებართვა არ სჭირდება), **„ლიბერალიზებული"** (ფორმალურად ნებართვა სჭირდება), **„კონტროლირებადი"** (გარდა ნებართვისა, ამ ჯგუფის საქონელი განსაკუთრებული დაბეგვრით ხასიათდება). ავსტ-

რიაში შექმნილია ექსპორტის სტიმულირების სახელმწიფო სისტემა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი დოვლათის გადანაწილება ეკონომიკური ზრდის ტემპთან მიმართებაში ხდება. ეს კი ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალური პროცესების დაბალანსებას;

ავსტრიაში სოციალური დაზღვევის კარგი ტრადიციები არსებობს. **საზოგადოება აზღვევს ინდივიდს რისკისაგან, რაც ეწინააღმდეგება ტრადიციულ საბაზრო პრინციპს, რომლის მიხედვით თითოეული ინდივიდი პასუხს აგებს თავისი საქმიანობის შედეგებით**. სოციალური დაზღვევის დაფინანსება ხდება სადაზღვევო შენატანებით, რომლებიც დაზღვეულებსა და სამუშაოს მიმცემთ თანაბრად შეაქვთ. პირები, რომლებიც დაქირავებულნი არ არიან, სადაზღვევო შენატანებს მთლიანად თვითონ იხდიან.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში 1877 წლიდან ხდება უბედური შემთხვევის დაზღვევა, ხოლო, 1888 წლიდან მოქმედებს ავადმყოფობის გამო დაზღვევა. 1906 წელს მიღებულ იქნა კანონი კერძო ფირმების მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ. 1911 წლიდან აიკრძალა ღამის საათებში ქალის შრომა. საპენსიო დაზღვევის შენატანებს იხდიან დამსაქმებლები და დასაქმებულები. საპენსიო ფონდებიდან გაიცემა მოხუცებულობის, ინვალიდობის და პროფესიული შრომისუუნარობის პენსიები, აგრეთვე პენსიები ქვრივებსა და ობლებზე. აღსანიშნავია, რომ პენსიების ინდექსირება ხდება ხელფასის ზრდის კვალობაზე. ავსტრიაში გამოყენებულია დაზღვევა უმუშევრობის შემთხვევაშიც. შრომისუნარიანი უმუშევრები გარკვეულ პირობებში იღებენ დროებით დახმარებას, რომლის სიდიდე მათი ბოლო ხელფასის მოცულობაზეა დამოკიდებული. ავსტრიაში მოქმედი უბედური შემთხვევის დაზღვევის შენატანებს იხდის დამსაქმებელი. საგულისხმოა, რომ დაზღვეულია ყველა, ვისაც შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ასევე ბავშვები, რომლებიც საბავშვო ბაღებში დადიან, მოწაფეები, სტუდენტები და ა.შ. [153.136]

ავსტრიის სოციალური ეკონომიკის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებების, ფუნქციონირების პრინციპების გაცნობა გვარწმუნებს იმაში, რომ თითოეულ ქვეყანას სჭირდება ადგილობრივ პირობებს მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა. იგი მოქნილი უნდა იყოს და პასუხობდეს ცვალებადი სიტუაციებით განსაზღვრულ ამოცანებს.

შვედეთს სოციალური გარდაქმნების უნიკალური გამოცდილება გააჩნია. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა წინასწარ განისაზღვრება როგორც სოციალური მიმართულებისა, რომელიც ეფუძნება სოციალური სამართლიანობის, სოლიდარობისა და კოლექტივიზმის პრინციპებს.

ეკონომიკის შვედურ მოდელს განსაზღვრავენ ფორმულით: **„დინამიკური ბაზრის შერწყმა სოციალური მიზნების მიღწევებთან“**. ეს ფორმულა ჩამოყალიბდა XX საუკუნის 30-იან წლებში და იგი ცნობილია როგორც „ფუნქციონალური სოციალიზმი“. განვლილ პერიოდში მისი არსი თითქმის არ შეცვლილა. იგი ამჟამადაც ეყრდნობა მთავარ პრინციპს: საბაზრო ძალებმა თავისუფლად შექმნან მატერიალური დოვლათი, მაგრამ სახელმწიფოს მეთვალყურეობით შესაძლებელი უნდა იყოს არასასურველი სოციალური შედეგების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა. მიღებული სიმდიდრე რაც შეიძლება თანაბრად უნდა გადანაწილდეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა პრიორიტეტით. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვისადმი საზოგადოების მხრივ მუდმივ ყურადღებას.

აღიარებულია, რომ შვედური მოდელი სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ მისი ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმია სოციალური შედეგები (იაპონიის მოდელისა კი – ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ასეთი მიდგომა მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის სხვა ქვეყნებისთვისაც).

შვედეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა სამ ძირითად ბერკეტს ეყრდნობა: 1. **ახლო პერსპექტივაში ეკონომიკური**

წონასწორობის პროგნოზირება. აქ გამოყოფენ: დასაქმებას, ინფლაციის ზრდის ტემპს, საგარეო და საშინაო საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლებს; 2. **კაპიტალური დაბანდების მოცულობისა და მიზნების კონტროლს; 3. მოსახლეობაში რესურსების განაწილებას, თითოეული ადამიანის შესაძლებლობების გამოთანაბრებას.** ასეთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საფუძველზე უზრუნველყოფილია მოსახლეობის სამართლებრივი და სოციალური დაცვის მაღალი დონე. მოსახლეობას უნერგავენ მისწრაფებასა და სურვილს, რაც შეიძლება აქტიურად მონაწილეობდეს რესურსების სამართლიან გადანაწილებაში. აღსანიშნავია, რომ შვედი თავისი შემოსავლების 50%-ს გადასახადების სახით იხდის. ამას იმით ხსნიან, რომ ამ თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მასვე დაუბრუნდება ე.წ. სოციალური კეთილდღეობის ხაზით.

შვედური ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ტენდენციებია: **ეკონომიკის სტაბილური ზრდა, ინფლაციის დაბალი ტემპი, დასაქმების მაღალი დონე, მოსახლეობის შემოსავლების დაახლოება, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორება.** შვედეთში მიღწეულია არა მხოლოდ ცალკეულ მოქალაქეთა კეთილდღეობა, არამედ ქვეყანაში ცხოვრების საერთო მაღალი დონე. მისთვის დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორიცაა: **შრომისა და მოხმარების თანაბარი უფლება, საბავშვო დაწესებულებებსა და სკოლებში უფასო კვება და განათლება, მოხუცებულთა ცხოვრების მაღალი დონე. სოციალური თვალსაზრისით ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანი ჰუმანიზებული სისტემის ფუნქციონირება, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების ფენებად დაყოფას, მის დიფერენციაციას** [22.104].

მიჩნეულია, რომ შვედური ეკონომიკური პოლიტიკა ავსებს იმას, რაც არ შეუძლია გააკეთოს ბაზარმა და ოჯახმა – ამიტომ მოქმედებს შერჩევისა და დახმარების გზით. ამასთან, ასეთი პოლიტიკა მოიცავს მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს. სოციალური პოლიტიკა ეყრდნობა შემოსავლების გადანაწილების პრინციპს, მოსახლეობას აქვს სოციალური

დაზღვევის რეალური გარანტია, უფრო ხელმისაწვდომია სამედიცინო მომსახურება და განათლების სხვადასხვა სახე[1]. შვედური მოდელის „ცენტრალური მზიდი კონსტრუქცია“ არის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით პირველადი შემოსავლების გადანაწილების მაღალი წილი მოქალაქეთა სოციალურ მომსახურებაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, ძლიერი სოციალური პოლიტიკით განისაზღვრება ის სოციალური შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას და მის საფუძველზე ეკონომიკის სტაბილიზაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია **„სრული დასაქმების“** შედეგი, რომელიც ათეული წლების მანძილზე იყო მიღწეული შვედეთში (უმუშევრობა შეადგენდა 2-2,5%). 1979-1986 წლებში საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული იყო ყოველი 3-დან 2 ადამიანი[2]. მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა: იაპონიასა და აშშ-ში – 5-დან 3, საფრანგეთში, გფრ-ში, იტალიაში, ჰოლანდიაში – 2-დან 1.

შვედეთში დასაქმება განიხილება როგორც ინდივიდის შემოსავლის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოს პირველი ამოცანა, ხოლო, სოციალური დახმარებები, ე.წ. პასიური მხარდაჭერა მეორე რანგის ამოცანადაა მიჩნეული. სწორედ ესაა სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირების ერთ-ერთი

---

1 80-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატებში ჯანმრთელობაზე იხარჯებოდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 11%, შვედეთში უფრო ნაკლები – 9%, მაგრამ პირველის აქტიური მოსახლეობის 1/3 ავადმყოფობისას დაზღვეულნი არ არიან. შვედეთში საზოგადოება თავის ყველა წევრს აძლევს რეალურ უფლებას სოციალურ კეთილდღეობაზე. შვედეთში სოციალურ მომსახურებას თვლიან საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებულ სფეროდ [152.19].

2 აღსანიშნავია, რომ შვედეთში 80-იან წლებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის 68% შეადგენდა სახელმწიფოს ხარჯებს. შვედეთში მთელი სოციალური ინფრასტრუქტურა სახელმწიფოს ხელშია. ამ სექტორში დასაქმებულია საერთო რაოდენობის ერთი მესამედი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ასრულებს განსაკუთრებულ როლს, როგორც სამუშაოს მიმცემი. ე.ი. საბაზრო სუბიექტი. ბოლო წლებში, სახელმწიფო-კომუნალური სექტორის განვითარებაში ახალი, უფრო რეალური მიდგომა დაფიქსირდა – ამ სექტორის ეფექტიანობის ამაღლება [152.20].

მთავარი „წყარო“. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია ამისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ადამიანს. ამ შემთხვევაში პოლიტიკა მიმართულია არა მარტო საზოგადოების ყველა წევრის სოციალური კეთილდღეობისკენ, არამედ ითვალისწინებს უშუალო („წერტილოვან“) მიზანს – თითოეულის დაკმაყოფილებას. ასეთი პრინციპებით შვედეთში შესაძლებელი გახდა საბოლოო შემოსავლების გადანაწილებით წონასწორობის მიღწევა. მაგალითად, XX საუკუნის 80-იან წლებში შვედეთისა და აშშ მცირეშემოსავლიანმა ოჯახებმა (ოჯახების საერთო რაოდენობის 20%) მიიღეს შესაბამისად საერთო შემოსავლების 12 და 4,6%, ხოლო იმავე რაოდენობის მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებმა, შესაბამისად 37,5 და 43,7% [133.20]. ნიშანდობლივია, რომ შვედეთის ეკონომიკურმა პოლიტიკამ სიღარიბესთან ბრძოლაში წარმატება მოიპოვა. ეს არ არის შემთხვევითი შედეგი. ცნობილია, რომ შვედეთში ათეული წლების მანძილზე პოლიტიკური დემოკრატიის კარგი ტრადიციები ჩამოყალიბდა. მაგალითად, 1634 წლიდან მოქმედებს კონსტიტუცია, 1766 წლიდან – კანონი პრესის თავისუფლების შესახებ, 1842 წლიდან – კანონი საყოველთაო განათლების შესახებ.

შვედურ მოდელში მთავარია ადამიანისეული ფაქტორი, განსაკუთრებით მისი ისეთი მხარე, როგორიცაა: საერთო და სპეციალური განათლების დონის ამაღლება. შვედეთში ცდილობენ დაიცვან პრინციპი, რომ კვალიფიკაციის დონის ამაღლება უნდა უსწრებდეს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესს და სტრუქტურულ ცვლილებებს. ეკონომიკის ეფექტიანობა უნდა განსაზღვრავდეს სოციალური რეფორმის დონეს, ხასიათს, ამიტომაა, რომ სამუშაო ძალის ხარისხის ამაღლებისა და დასაქმებისათვის გამოიყენება დასაქმების მიზნით გამოყოფილი ბიუჯეტის სახსრების 3/4 ნაწილი, მაშინ, როცა საფრანგეთში, ესპანეთში, ირლანდიაში ამ მიზნით გამოიყოფა 2/5-დან 1/5-მდე, ხოლო აშშ – 1/4. დანარჩენი ნაწილი გამოიყენება უმუშევრობისათვის დახმარების სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოიყენება ეფექტიანობის ამაღლების ე.წ. წერტილოვანი მიდგომები.

ამით უნდა აიხსნას ტენდენცია, რომელიც შვედეთს სხვა განვითარებული ქვეყნებისგან გამოარჩევს, კერძოდ, ის, რომ მრეწველობაში ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასს ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებისას შვედეთში ჩამორჩება მხოლოდ 10%-ით, იტალიაში, ნორვეგიაში, დანიაში – 15-16%-ით, საფრანგეთში, ფინეთში, ბელგიაში, გფრ, ინგლისში – 20-30%-ით, იაპონიაში – 50%-ით და მეტად.

შვედეთის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოოპერატივს. ამასთან, დროთა განმავლობაში მთავრობამ საკუთარი საწარმოებიც შექმნა. ამით, როგორც სპეციალისტები აღიარებენ, კერძო მეწარმეობა უფრო მრავალფეროვანი გახდა. ეკონომიკაში კერძო სექტორი (აქციონერული) დომინირებულ მდგომარეობაშია. საკუთრების სხვადასხვა ფორმა აძლევს ეკონომიკას მოქნილობას, ახალ სიტუაციასთან ნაკლები დანახარჯებით ადაპტირების უნარს [56.80].

შვედეთში გამოიყენება პირდაპირი სახელმწიფო დაკვეთების სისტემა. მაგალითად, მრეწველობის უმსხვილესი კლიენტებია რკინიგზის, ტელეგრაფის, ჰიდრორესურსების, გზების მშენებლობის და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, მათი დაკვეთა ლითონდამმუშავებელი მრეწველობის დაკვეთების მოცულობის 85%-ია.

მიუხედავად რიგი უპირატესობებისა, ბოლო პერიოდის განვითარების პროცესები ადასტურებენ, რომ შვედურ მოდელს სერიოზული გამოცდა ელის. უკვე აღიარებენ, რომ კოლექტიურ-სახელშეკრულებო რეგულირების ცენტრალიზებული სისტემა კრიზისს განიცდის. პროფკავშირების როლი მცირდება. დასაქმების სფეროში არსებითი ცვლილებები მოხდა (უმუშევრობამ 1995 წელს 8% შეადგინა). მაკროკონსენსუსის ნაცვლად ძლიერდება კონსენსუსი მიკროდონეზე (საწარმო). ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ შვედური სისტემა თითქოს კარგავს მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ჩვენ შვედურ სისტემას განვიხილავთ, როგორც გამოცდილებას, რომელმაც პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრა-

ტიის ქვეყნისთვის დამახასიათებელ თავისებურებებსა და ტენდენციებზე დაყრდნობით დროის კონკრეტულ მონაკვეთში (ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში) შეძლო ეჩვენებინა სოციალური სამართლიანობის, სოლიდარობის, საბაზრო ეკონომიკისა და სახელმწიფოს სიმბიოზის – როგორც მაღალეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მიზანმიმართული სოციალური გარდაქმნების ერთ-ერთი არსებითი, სრულიად ახალი ფაქტორის როლი და მნიშვნელობა.

საინტერესოა დანიაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – საგადასახადო სისტემის სოციალური ასპექტების განხილვა.

ნიშანდობლივია, რომ გადასახადები ამ ქვეყანაში მაღალია, რასაც სამომავლო ინვესტიციების საფუძვლად აღიარებენ, თითქმის ყველაფერი იბეგრება. სიგარეტის, სპირტიანი სასმელების, ღვინის, ლუდის და თვით მინერალური წყლის აქციზს ხაზინისათვის ყოველწლიურად 2 მლრდ დოლარი მოაქვს. დაბეგრილია პირადი ტრანსპორტიც. მანქანების რეგისტრაციისა და დაზღვევის, ბენზინისა და საბურავების გაყიდვის მოსაკრებელი სახელმწიფოს წლიწადში 4 მლრდ დოლარს აძლევს. ხაზინას შემოსავალს მატებს ყოველი ფინჯანი ყავა და ჩაი, თითოეული ფილა შოკოლადი [61.2].

აღსანიშნავია, რომ საგანგებო ფუნქციას ასრულებს ქვეყნის კანონმდებლობა. დანიაში არ ყოფილა ე.წ. საგადასახადო ამბოხებანი. სოციოლოგიური გამოკვლევებით დაფიქსირდა, რომ დანიელთა უმრავლესობა მზად არის კვლავაც იხადოს დიდი გადასახადი გარანტირებული საზოგადოებრივი სერვისის პირობებში. აღმოჩნდა, რომ ქვეყნის მცხოვრებთა მინიმუმ 20% თანახმაა გადასახადები გაიზარდოს კიდეც, თუ შესაბამისად გაფართოვდება მომსახურების სახეობანი.

დანიაში ცხოვრობენ და მუშაობენ მოუსყიდველი მოხელეები, პოლიტიკოსები, მეწარმეები. 1998 წელს გამოკვლევებით მსოფლიოს 85 სახელმწიფოს შორის ამ მაჩვენებლით დანიას პირველი ადგილი ეკავა.

ქვეყნის ეკონომიკა სტაბილურია. გადაწყვეტილია საბინაო საკითხი. 5,2 მლნ კაციდან პირად მფლობელობაში მილიონზე მეტს საკუთარი სახლი აქვს. ყველას აქვს მობილური ტელეფონი, საჭირო ნივთების ყიდვას საოჯახო კომპიუტერის მეშვეობით აწარმოებენ. ფართოა სატრანსპორტო საშუალებათა არჩევანი. დაბალია უმუშევრობის მაჩვენებელი. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში აქტიური და შედეგებით სტაბილურია. აღსანიშნავია, რომ კორპორაციები დანიაში სოციალურად უფრო ორიენტირებულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. სპეციალისტების აზრით, ამის მეოხებით დაქირავებულნი მესაკუთრეების მიმართ ლოიალურნი არიან, რაც ინტერესების ერთიანობას ხელს უწყობს, საბოლოოდ, სოციალური თანხმობის შექმნის რეალურ წანამძღვრებს ამზადებს.

სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების ზემოთ აღნიშნული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად მათი სოციალური ორიენტაციისა, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ ეფექტიანობით, არამედ ფუნქციონირების პრინციპებით, რეგულირების მექანიზმებით. მაგრამ მათ აერთიანებთ ის, რომ საბაზრო ურთიერთობათა საფუძველზე სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს მთელი საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი ერთი ნაწილის) კეთილდღეობის ამაღლების ამოცანის განსაზღვრასა და განხორციელებაში, ეყრდნობა შესაბამის ინსტიტუტებს და საბაზრო მექანიზმებთან კოორდინაციით ცდილობს მიაღწიოს სოციალურ თანხმობას.

1.5. სოციალური ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები და პირობები

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა ჩამოყალიბდა კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ნიშანდობლივია, რომ საბაზრო ურთიერთობებმა არსებითი ცვლილებები განიცადეს, ვიდრე დღევანდელ ფორმას შეიძენდნენ. ეს ნიშ-

ნავს იმას, რომ იგი ეკონომიკის განვითარების ეტაპების შესაბამისად ვითარდებოდა საკუთარი შიდა ორგანიზაციული პრინციპებითა და პირობებით. იმისათვის, რომ გადაწყდეს ეკონომიკის წინაშე დასმული ამოცანები – რა აწარმოოს, როგორ და ვისთვის აწარმოოს, აუცილებელია არჩეულ იქნეს ორგანიზაციის ესა თუ ის ფორმა. აღიარებულია, რომ ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაცია ყველაზე ეფექტიანი ფორმაა. ეს დასტურდება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თავისებურებებითა და ტენდენციებით. მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი არგუმენტი. **პირველი,** საბაზრო სისტემა რთული, ინტეგრირებული სისტემაა. ეკონომიკის ვერც ერთი სფერო იზოლირებულად ვერ იფუნქციონირებს. მწარმოებლებისა და მომხმარებელთა ურთიერთობის განმსაზღვრელია ფასები და სწრაფვა ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. **მეორე,** შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პირობებში ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში ხორციელდება ცალკეული სამეურნეო სუბიექტების კოორდინაცია, იღებენ გადაწყვეტილებებს საკუთარი არჩევანის შესაბამისად, თუ როგორ გამოიყენონ შეზღუდული რესურსები. ცნობილია ეკონომიკური პროცესების კოორდინაციის 3 ძირითადი მექანიზმი. ესენია – **ტრადიცია, ბაზარი, გეგმა**. თითოეული მათგანის მიხედვით განისაზღვრება ეკონომიკური სისტემის ტიპი. მაგალითად, სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ჩამოყალიბებული ტრადიციების, ჩვეულებებისა და მენტალიტეტის საფუძველზე, იწოდება ტრადიციულ ეკონომიკურ სისტემად. იგი დღესაც ფუნქციონირებს რიგ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური უძრაობა. იგი იშვიათად გვხვდება განვითარებულ ქვეყნებშიც (აშშ-ში ინდიელების კარჩაკეტილი ცხოვრების მაგალითები და სხვ.). კოორდინაციის აღნიშნული მექანიზმის (ტრადიციების) როლი თანამედროვე ეკონომიკაში სიმბოლურია და წარსულში ეკონომიკის განვითარების ცალკეული პროცესების თავისებურებების აღმნიშვნელად თუ გამოდგება.

ბაზრის, როგორც კოორდინაციის მექანიზმის, ჩამოყა-

ლიბების პროცესი XVII საუკუნიდან დაიწყო, თუმცა მისი ელემენტები დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ბაზრის ფუნქციონირების პროცესი რიგი მნიშვნელოვანი მომენტებით ხასიათდება. ისტორიულად გამოყოფენ: საბაზრო ეკონომიკის განვითარების შემდეგ ეტაპებს: **თავისუფალი კონკურენცია** (იგი პირობითადაა თავისუფალი); **მასობრივი წარმოების პერიოდი,** როდესაც ეკონომიკური საქმიანობის ყველა მხარე ფასდება წარმოების ფაზის მიხედვით; **გასაღების ეპოქა** (ცვლის მასობრივი წარმოების პერიოდს XX საუკუნის 30-იან წლებში, მისთვის დამახასიათებელია პროდუქციის სწრაფი დიფერენციაცია, შესაბამისად მომხმარებლების მოზიდვისათვის მიზანმიმართული საქმიანობა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ეკონომიკის განვითარების ორიენტაციის ახალი კონცეფცია, რომელიც **მარკეტინგის სახელწოდებითაა** ცნობილი.

პოსტინდუსტრიული ეპოქა რეალურად ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. მის მთავარ ფაქტორად მიჩნეულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელმაც დაარჩარა არსებული ტექნოლოგიებისა და შესაბამისად წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის თვისებრივად შეცვლა. ზემოაღნიშნული ტენდენციები გვიჩვენებს, რომ საბაზრო მექანიზმის ფორმირებას და, მით უმეტეს, ფუნქციონირებას, შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები სჭირდება.

ცნობილია, რომ ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციაში ფასები კოორდინაციის ფუნქციას ასრულებენ, თანაც ისე, რომ საბაზრო ურთიერთობებში ყველა მონაწილის ინტერესები დაკმაყოფილებულ იქნეს. მიჩნეულია, რომ ფასები იძლევა ინფორმაციას, ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანი ეკონომიკური მეთოდების გამოყენების სტიმულირებას და რაც არსებითია, გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე. ბაზრის ფუნქციონირების პირობებში შემოსავლების განაწილება ტრადიციულად ხდება წარმოების ფაქტორების საკუთრების შესაბამისად. ცნობილია, რომ თითოეული ფაქტორით იქმნება მისი მესაკუთრის სპეციფიკური შემოსავა-

ლი. მაგალითად, მიწა იძლევა რენტას, შრომა – ხელფასს, კაპიტალი – მოგებას. თითოეული მათგანის სიდიდე დამოკიდებულია წარმოების ფაქტორების საბაზრო ფასებზე. ბაზარი და კონკურენცია ფაქტობრივად სინონიმებად აღიქმება, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ კონკურენციას, გააჩნია რა თავისებური ეკონომიკური იძულების ხასიათი, ხელს უწყობს მაღალ აქტიურობას, ახალი შესაძლებლობების ძიების ინტერესის გაძლიერებას. ამრიგად, ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის პირობათა ურთიერთკავშირებში ბაზარი გამოდის როგორც ყველაზე ეფექტიანი ორგანიზაციის სისტემა. მიუხედავად ამისა, მას რაციონალური ფუნქციონირებისთვის გარკვეული გარე პირობებიც სჭირდება. კერძოდ, საკუთრების სამართლებრივი საფუძველი, კანონმდებლობით მეწარმეობის არჩევანის თავისუფლების დაცვა, პირადი ინტერესებისა და ეკონომიკური მოტივაციის გარემო, მონოპოლიური ტენდენციების შეზღუდვა. ასეთი პირობების შექმნა ტრადიციულად სახელმწიფოს ფუნქციებით განისაზღვრება. როგორც ჩანს, თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში მეურნეობის ორგანიზაციის საფუძველია ბაზარი და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. ასეთი ორგანიზაციის რაციონალურობა პრაქტიკამ მრავალგზის დაამტკიცა. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალიზმის რეფორმირებისას დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გამოიკვეთა სახელმწიფოს როლის ზრდის ტენდენცია. ხოლო XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ძალაუფლება გადანაწილდა სახელმწიფოს, მსხვილ საწარმოებსა და პროფკავშირებს შორის.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კი დაფიქსირდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური დაცვა, ადამიანის ნორმალური ცხოვრების გარანტიების საკანონმდებლო საფუძვლები. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ორგანიზაციაში აისახა ინდივიდუალურ თავისუფლებასა და სახელმწიფოს ფორმალურ უფლებას (რომელიც გარკ-

ვეულად ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას) შორის კლასიკური კონფლიქტი. სოციალურმა საბაზრო ეკონომიკამ ეს კონფლიქტი გარკვეულწილად აღმოფხვრა.

სოციალური სამართლიანობის ადრინდელი პრინციპი შეიცვალა სოციალური უზრუნველყოფის პრინციპით. თავისუფლება აღიარებულ იქნა როგორც ინდივიდის თვითრეალიზაცია, კონკურენცია და კერძო საკუთრება – საქმიანობის მოტივაციის საფუძველი, ხოლო ეკონომიკური და საზოგადოებრივი დეცენტრალიზაცია როგორც ხელისუფლებაზე კონტროლის ფორმა. ამრიგად, სოციალურად ორიენტირებულმა საბაზრო ეკონომიკამ საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებით შეძლო ინდივიდუალური თავისუფლებისა და ეკონომიკური სისტემის ურთიერთდაკავშირება ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობისათვის აუცილებელია საკუთრების ფორმების ადგილისა და ფუნქციების სწორად განსაზღვრა, კონკურენტული გარემოს მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნა, მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება, საკონტრაქტო უფლება, პოლიტიკური სტაბილურობა, სტაბილური საფინანსო და საბანკო სისტემების არსებობა და სხვ. თანამედროვე პირობებში მიჩნეულია, რომ სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალური პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. კერძოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაცია, სიღარიბის, დამნაშავეობის ზრდის შეჩერება, შრომისუნარიანობადაკარგულთა დაცვა, ეკოლოგიური პროცესების გაჯანსაღება **და ა.შ. სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის შექმნაში განსაკუთრებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, შრომის როლი. ადამიანის პოტენციალის მაქსიმალური განვითარება თავად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ახალი რესურსების, ტექნოლოგიების შექმნის, ახალ ორგანიზაციულ-მმართველობით ურთიერთობათა ფორმირების და სხვ. დაჩქარების ფაქტორია, ტექნიკური**

პროგრესი კი ეკონომიკის ეფექტიანად განვითარების პირობა-ფაქტორი. ეფექტიანობა უზრუნველყოფს შემოსავლების ზრდას, რაც უპირველესად ადამიანების კეთილდღეობისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. ეს კი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, როგორც ასეთის, ოპტიმალურად გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

სოციალურ ეკონომიკაზე ორიენტაცია სამ მთავარ კომპონენტს მოიცავს. **პირველი,** ორიენტაცია ეკონომიკის ეფექტიანობაზე, მოგების მაქსიმიზაცია, რაც მიიღწევა საბაზრო ორგანიზაციით; **მეორე,** ორიენტაცია საზოგადოების ახალი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შექმნაზე, მოტივაციის ახალი სისტემისა და მისი შესაბამისი ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე; **მესამე,** ორიენტაცია ადამიანზე, მის უნარსა და მოთხოვნილებებზე.

აქვე ლოგიკურია განვიხილოთ სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობის – სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შეხამების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ეკონომიკაში სოციალური სამართლიანობა მოცემულ საზოგადოებაში შექმნილი წარმოდგენების, ინტერესების, მოთხოვნილებების მიხედვით განისაზღვრება. ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში გამოიყენებოდა დოვლათის განაწილების სხვადასხვა კრიტერიუმები, მაგალითად, წარმომავლობის (არისტოკრატი, მონა და ა.შ.), მდგომარეობის, ქონების (მესაკუთრე, პროლეტარი), შრომის კრიტერიუმები. ამჟამად, საზოგადოებრივ ცნობიერებაში სოციალური სამართლიანობის 3 ძირითად კრიტერიუმს განიხილავენ: გათანაბრებითს, საბაზროს (წარმოების ფაქტორების მიხედვით განაწილება) და შრომითს.

შემოსავლების სახელმწიფოებრივი გადანაწილების მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ ამ პრინციპის გამოყენება გამოიწვევს, ჯერ ერთი, სტიმულების დაკარგვას, როგორც დახმარების მიმღებთათვის, ისე იმათთვის, ვინც უწევს ამ დახმარებას. მათი აზრით, თვითონ სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილება ბადებს გადანაწილებული სახსრების არაეფექტიანობას (მხედველობაში იღებენ გადანა-

წილების ორგანიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს). როგორც ეკონომიკის განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობს შემოსავლების გადანაწილებას, უმუშევართათვის დახმარების გაწევას, ოჯახის განვითარების მატერიალურ მხარდაჭერას, უმუშევრების სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, დაქირავებულთა მინიმალური ხელფასით უზრუნველყოფის, განათლებისა და ჯანმრთელობის გარანტიებს და სხვ. რამდენად აუცილებელია ასეთი პრაქტიკის შემდგომში გამოყენება? ზოგიერთების აზრით, მიზანშეწონილი არ არის. თუმცა, განსხვავებული პოზიციებიც არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოების ფაქტორებს შორის მთავარი რესურსია შრომა, მისი ორგანიზაცია, შრომის მწარმოებლურობა კი საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობის ძირითადი და განმაზოგადებელი მაჩვენებელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომასთანაა დაკავშირებული ფიზიკური და მორალური კულტურა, ჯანმრთელობა, განათლების დონე, შეძენილი გამოცდილება, ბუნებრივი უნარი და სხვ. ისინი ერთ მთლიანობაში ქმნიან ეკონომიკური ეფექტიანობის ფუნდამენტურ საფუძვლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი პროგრესის უწყვეტობისთვის აუცილებელია არა მხოლოდ არსებული მრავალმხრივი ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნება, არამედ, დროისა და ამოცანების მოთხოვნების შესაბამისად მისი განვითარება.

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტიანობას, როგორც აღვნიშნეთ, იგი გულისხმობს ოპტიმალური შედეგების უზრუნველყოფას. იგი წინააღმდეგობაშია სოციალურ სამართლიანობასთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა: რესურსების გადანაწილება უქონელთა სასარგებლოდ, დასაქმების მხარდაჭერისთვის, ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად და სხვ. მართებულადაა მიჩნეული, რომ ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული წინააღმდეგობა რეალურად გამოხატავს აღწარმოების ორ ფაზას – წარმოებასა და მოხმარებას შორის ტრადიციულად არსებულ წინააღმდეგობას.

თანამედროვე პირობებში გამოიყენება უფრო ფართო ცნება: სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოიცავს სოციალური დანაკარგებისა (დაავადება, გარემოს გაჭუჭყიანება და ა.შ.) და სოციალური სიკეთის (ჯანმრთელობა, განათლება, სამეცნიერო პოტენციალი) კატეგორიებს. ასეთი ცნება დაკავშირებულია სოციალური წინააღმდეგობების შერბილებასთან, რომლის გარეშეც ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია.

ეკონომიკური ეფექტიანობა საბაზრო პირობებში აღრმავებს სოციალურ დიფერენციაციას, რადგანაც მასში მთავარია წარმოების ფაქტორების მიხედვით განაწილება, თუ სახელმწიფო აქტიურად არ მონაწილეობს შემოსავლების განაწილებაში. ამიტომ, მიჩნეულია, რომ სოციალური სამართლიანობის რეალიზაცია ხდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის შემოსავლების გადანაწილებით, რაც ზღუდავს საბაზრო მექანიზმების სტიქიურ მოქმედებას. განვითარებულ ქვეყნებში მიღწეულია სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის დაბალანსებული შეხამება, რაც ქმნის მოსახლეობის ყველა ფენის შემოსავლების გადანაწილების მყარ სოციალურ გარანტიებს და თანაბარ სასტარტო პირობებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: საქართველოში სოციალური ეკონომიკის ფორმირებასა და ფუნქციონირებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

პირველი, საზოგადოებაში სოციალური თანხმობის ერთიანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა. ქვეყნის სტრატეგიული განვითარების შესახებ საზოგადოებრივი კონსენსუსი მიღწეულ უნდა იქნეს ქვეყნის, საზოგადოების ფენების (ჯგუფების) და მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების – პოლიტიკური პარტიების, სამთავრობო და

არასამთავრობო ინსტიტუტების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, გაერთიანებების, მეცნიერებათა აკადემიების, სხვადასხვა ტიპის ასოციაციების და სხვ. ინტერესების დაბალანსებით. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი საქართველოში დაიწყო მწვავე პოლიტიკური და სამოქალაქო დაპირისპირებით, რომელმაც მკვეთრად გააუარესა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ბუნებრივად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონსენსუსი (თანხმობა) ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შესახებ. საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა ახალი ტიპის სოციალური სახელმწიფოს აშენება, პოსტსოციალისტური ეპოქის თავისებურებების გათვალისწინებით ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება და პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციული პროცესების ტენდენციების გათვალისწინებით ახალი ტიპის სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება. ნიშანდობლივია, რომ ეს სამერთიანი სტრატეგიული ამოცანა უნდა განხორციელდეს ერთდროულად დროსა და სივრცეში. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი ეფექტიანად არ იქნა გამოყენებული. მიზეზები მრავალგვარია. მთავარი კი ისაა, რომ თავად ფორმირებადმა სახელმწიფომ – ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელმა, მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული სტატუსით დაკისრებული ფუნქციები ვერ შეასრულა (1995 წელს საქართველოში მიღებული კონსტიტუციით განისაზღვრა, რომ საქართველოს მიზანია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს აშენება). თავიდან ვერ იქნა აცილებული სოციალური დაძაბულობის უკიდურესი გამწვავება, რაც სიტუაციისა და მიღწეული კონსენსუსის არაადეკვატური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო. საზოგადოება გარკვეულ ეტაპზე აღმოჩნდა ქაოსურ მდგომარეობაში, სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა მატერიალური, მორალური, ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედების რეალური მექანიზმები. საქართველომ გარკვეულ პერიოდში, როგორც იტყვიან, თავი გაიტანა ჰუმანური დახმარებით. თუმცა, სა-

ხელმწიფოს წაყრუებით, გარედან დახმარების ეს ფაქტორიც მიზნობრივად არ იქნა გამოყენებული. პარადოქსია, რომ ზემოთ აღნიშნული სოციალური თანხმობის ფონზე არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებმაც ვერ შეძლეს გარდაქმნებში საკუთარი როლისა და ადგილის სწორი განსაზღვრა. როგორც ზემოთ ითქვა, **სახელმწიფომ** სწორად ვერ გააცნობიერა მისი თვისებრივად ახალი ფუნქციები. **პოლიტიკურ პარტიებს,** როგორც მათ მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული პროგრამებიდან ჩანს, სწორად არ აქვთ აღქმული ქვეყნის განვითარების სირთულეები. მათი მიდგომები ზოგად ქრესტომატიულ ჩარჩოში თავსდება, ეკლექტიკურია. **საქართველოს მეცნიერება,** რომელსაც ადრე დიდი პოტენციალი ჰქონდა, დანაწევრდა. ნაცვლად იმისა, რომ მეცნიერება სათავეში ჩადგომოდა ქვეყნის ტრანსფორმაციის რთულ პროცესს, სამწუხაროდ, იგი ამ პროცესს საერთოდ ჩამოცილდა, საბოლოოდ, თვითიზოლაციის პირობები თავად მოამზადა. არასამთავრობო ორგანიზაციები, სერიოზულ გავლენას ვერ ახდენენ მიმდინარე პროცესებზე, ცალმხრივად უდგებიან განვითარების მწვავე პრობლემებს. რეფორმების ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი **კერძო სექტორის ჩამოყალიბება-ფუნქციონირებაა.** იგი, ნაცვლად იმისა, რომ წარმოების ეფექტიანობა აამაღლოს, რაც მისი განვითარება-გაფართოების მთავარი ფაქტორია, ეკონომიკის პოლიტიზების დაჩქარების ფუნქციას ასრულებს და ამით კრიზისს ახანგრძლივებს, ე.ი. თავის წილ პასუხისმგებლობას არ იღებს ქვეყნის განვითარებისათვის. **კერძო სექტორისა და ხელისუფლების კრიმინალური ნაწილის ინტერესების შერწყმით ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ოლიგარქია, რომელიც ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ნაცვლად ქვეყნის პოლიტიკური მართვის ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ხერხებით იბრძვის. რაც შეეხება პროფკავშირებს, მათ ფაქტობრივად დაკარგეს ფუნქციები.**

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნების მთავარი სუბიექტები – სახელმწიფო – პოლიტი-

კური პარტიები – მეცნიერება – არასამთავრობო ორგანიზაციები – ოლიგარქიული წარმონაქმნები – პროფკავშირები ცალ-ცალკე, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებენ, ხშირად ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს. გამოიყენება ცნობილი პრინციპიც – „ყველა ერთის წინააღმდეგ“. ჩვენი აზრით, ამ მიზეზებში უნდა ვეძებოთ ქვეყნის სისტემური კრიზისის გაღრმავების ხელშემწყობი ქართული მსოფლმხედველობითი საწყისი და პირობა-ფაქტორიც.

სოციალური თანხმობის პრინციპი სტრატეგიის ერთობლივად განსაზღვრასთან ერთად მისი მიღწევის ძირითადი საშუალებების, მექანიზმების ერთობლივად გამოყენებაზე, უფრო სწორად მიზანმიმართულ საქმიანობაზე შეთანხმებასაც გულისხმობს. აქ მთავარია შრომის, კაპიტალისა და პოლიტიკის სუბიექტების პარტნიორული ურთიერთობის მოქნილი ფორმების გამოყენება. გასათვალისწინებელია საკუთრებითი ფორმების თანაარსებობით განსაზღვრულ ურთიერთობათა ნიუანსებიც, სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ცვალებადობის ხასიათი და ამის საფუძველზე საერთო სტრატეგიაში შესაბამისი კორექტივების შეტანა.

სოციალური პარტნიორობის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება, რაც დამოკიდებულია ქვეყნის თავისებურებებზე, მის მიერ არჩეული სტრატეგიის ძირითად მიმართულებებზე, საზოგადოებრივ მენტალიტეტზე, განვითარების შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობაზე და სხვ. **ერთი რამ ცხადია: სოციალური პარტნიორობის ნებისმიერი ფორმა ემყარება საზოგადოების ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის კომპრომისს, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკის ეფექტიანობის, სოციალური სამართლიანობისა და სოციალური სახელმწიფოს სიმბიოზის შექმნას, – როგორც მაღალეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მიზანმიმართული სოციალური გარდაქმნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს.**

მეორე, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკურად ორიენტირებული სოციალურ-კულტურული პოლიტიკის ერთიანობა. ამ

პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია ადამიანის მრავალმხრივი და მუდმივად მზარდი ინტერესების უფრო სრული გათვალისწინება და მათი რეალურად დაკმაყოფილების, საერთოდ, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების ამოცანის კონკრეტულად დასმა, ე.ი. პრაქტიკული ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. ცნობილია, რომ ცხოვრების დონის ამაღლება – სტრატეგიული სოციალური ამოცანა დიდ დანახარჯებს მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკა ეფექტიანი იყოს. **ეს პირობა მიიღწევა მაშინ, როდესაც ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა პრინციპები სწორად მოერგება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს, ტრადიციებს, მეურნეობრიობის გამოცდილებას და განხორციელდება ეკონომიკური ეფექტიანობის მოთხოვნის პრიორიტეტზე დაფუძნებული პოლიტიკა და არა პირიქით, როდესაც სოციალური პოლიტიკა პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით საკუთარ მოთხოვნებს თავს ახვევს კრიზისში მყოფ ეკონომიკას. იგულისხმება, რომ იგი ზემოთ აღნიშნული პრინციპის, სოციალური თანხმობის ფონზე განისაზღვრება და ხორციელდება. ასეთ პოლიტიკაში უპირატესობა ენიჭება წარმოების სტიმულირებას, საინვესტიციო აქტიურობას. მიზანმიმართულად ხორციელდება ურთიერთგანმსაზღვრელი ღონისძიებები: სახელმწიფო მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით, საგადასახადო-საკრედიტო შეღავათები, ინვესტიციებისათვის გათვალისწინებული მოგების განთავისუფლება დაბეგვრისაგან, სოციალური დანახარჯების სტრუქტურის, პრინციპების, ეკონომიკის მდგომარეობასთან შეჯერებით განსაზღვრა და ა.შ.** გარდამავალ პერიოდში პოლიტიკის განხორციელებისას გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურება: მტკიცე სოციალური გარანტიების შექმნისათვის შემოსავლების გადანაწილების აუცილებლობა, რაც გარკვეულწილად ზღუდავს საბაზრო პრინციპებს. აქ თითქოს თვალსაჩინოა ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას შორის არსებული წინააღმდეგობის მწვავე ხასიათი, თუმცა, რეალურად ეს ასე არ არის. მტკიცე სოციალური გა-

რანტიების გარეშე შეუძლებელია საბოლოოდ სოციალური წონასწორობის შენარჩუნება, რაც ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი პირობა და, შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ერთ-ერთი ფაქტორიცაა. ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობისათვის აუცილებელია მწარმოებლის, მოსახლეობის და სახელმწიფოს უფლებების დაცვის ინსტიტუტების სისტემის განვითარება, რომელიც მათი თანაარსებობის ხელსაყრელ გარემოს შექმნის და ხელს შეუწყობს ურთიერთწონასწორობას (ამით ფაქტობრივად ხდება რთული საზოგადოებრივი პროცესების თვითრეგულირების რეჟიმში ჩართვა).

ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობა უნდა მივიჩნიოთ იმ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომლის სხვა ფაქტორებთან მიმართებაში სწორი გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ მაღალი ეფექტიანობის მიღწევა, არამედ, მომავალში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის ობიექტური პირობების მომზადება.

ამრიგად, ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური ორიენტაცია და სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური ორიენტაცია ანტიპოდები არ არის, ერთმანეთს არ უპირისპირდება, არამედ ერთმანეთს ავსებს და ურთიერთგანპირობებულობის შინაგანი ლოგიკით ქმნის ახალ თვისებრიობას – ეკონომიკური ეფექტიანობისა და მისი შედეგების სოციალური სამართლიანობის პრინციპებით გადანაწილების საფუძველს (პირობა-ფაქტორს).

მესამე. მიკრო-, მეზო-, მაკრო-, მეგადონეზე ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე განხორციელება. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების ფონზე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას უამრავი თვისებრივად ახალი მოვლენა დაფიქსირდა. გაფართოვდა სახელმწიფოს საგარეო – ეკონომიკური ფუნქციები.

სუვერენული სახელმწიფო იძულებულია მიიღოს გლობალიზაციის გამოწვევა. საქმე გვაქვს გლობალიზაციის, რო-

გორც მთელის და მისი ნაწილის – სახელმწიფოს, როგორც ლოკალური სოციალური ორგანიზმის, ახალი ნიშან-თვისებებით ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებასთან. გლობალიზაციით შემოთავაზებული პირველი ექსპერიმენტი „შოკური თერაპია“ საქართველოში მარცხით დამთავრდა. საქართველომ განვითარებაში დიდი პაუზა დაუშვა და იგი დიდი ხნით და მანძილით ჩამორჩა ისედაც ეკონომიკურ განვითარებაში ადრევე დაწინაურებულ ქვეყნებს.

რეალურად გამოჩნდა, რომ სუვერენული სახელმწიფო გლობალიზაციის უშუალო გავლენით თანდათანობით კარგავს სოციალურ და მობილიზაციურ ფუნქციებს. ზოგიერთი ექსპერტის დასკვნით, სუვერენულმა სახელმწიფომ შეიძლება მალე დატოვოს მისი ისედაც შეზღუდული **„ნიშა“**. თუმცა, არსებობს განსხვავებული პოზიციაც, რომლის მიხედვით გლობალიზაციის გაღრმავება სრულებით არ ნიშნავს სუვერენიტეტის დაკარგვას. ჩვენი აზრით, ასეთი ლოგიკა უფრო მისაღებია, რადგანაც იგი ეყრდნობა იმ თვალსაზრისს, რომ სუვერენული სახელმწიფო, მართალია დაკარგავს ტრადიციული ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს დეცენტრალიზაციისა და ზოგიერთი ფუნქციის ზესახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე გადაცემის პროცესის გაძლიერების გავლენით, მაგრამ, ამასთან ერთად, შეიძენს ახალ ექსკლუზიურ ფუნქციებსაც, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროშიც. კერძოდ, იგი მომავალში შეასრულებს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავების, საერთაშორისო სტრუქტურებში აქტიურად მონაწილეობის, საზოგადოებასთან ინტეგრაციული კავშირების გაძლიერების, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის სრულყოფის, ეკონომიკური ინტერესების დაბალანსების, სოციალური გარანტიების დაცვის ფუნქციებს.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა უნდა განისაზღვროს შიდა და გარე ფაქტორების მოქმედების პრინციპების შესწავლა-ანალიზისა და ადეკვატურობის საფუძველზე, როგორც ერთიანი ეკონომიკური პროცესის, ყველა დონის რეგულირების მექანიზმი. ცხადია, დღეს და მომავალშიც

პოლიტიკის მიმართულებებს არსებითად განსაზღვრავს გარე ფაქტორები, ე.წ. მეგადონეზე მიმდინარე პროცესები. ამიტომ, აუცილებელი ხდება მეგა-, მაკრო-, მეზო-, მიკრო დონეზე განვითარების შეთანაწყობა, განვითარების, როგორც პროცესის, მთლიანობის დაცვა.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ფაქტობრივად ეკლექტიკური აღმოჩნდა და პრინციპებისა და მიმართულებების ე.წ. ჯამს და არა ერთიან ორგანულ სისტემას წარმოადგენდა. წარმატება მაშინ იქნება გარანტირებული, თუ სახელმწიფო შეძლებს მეურნეობრიობის ყველა დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის ერთიანობას.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ნიშან-თვისება ისაა, რომ ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა დონეზე ერთდროულად ყალიბდება ეკონომიკის სოციალიზაციის პრინციპების, თავად სახელმწიფო პოლიტიკის, სოციალურ ფასეულობათა, ეკონომიკური მიზნების, ცხოვრების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები. ეკონომიკური განვითარების ყველა დონეს სპეციფიკური თავისებურებები გააჩნია, რომელთა გათვალისწინებაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატება. მაგალითად, მიკროდონე სწრაფად რეაგირებს ეკონომიკური და სოციალური პროცესების კოორდინაციის სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირებაზე. მიკროდონეზე რეალურად ჩანს, თუ როგორია ეკონომიკის გლობალური მიზნის – ადამიანის პიროვნული საწყისის განვითარების, მისი საერთო კულტურის, ზნეობის დონის ამაღლების, სარგებლობისკენ მისი ბუნებრივი სწრაფვის, პრაგმატიზმის, „ჯანსაღი ეგოიზმის“ სამართლებრივ-ეკონომიკური გარემო. მიკროდონეზე ადვილად წარმოჩინდება, თუ რამდენად გახდა ცოდნა და ინფორმაცია სტრატეგიული რესურსი, საერთოდ, როგორ გამოიყენება რესურსები. საბოლოოდ, მიკროდონეზე ხდება ქვეყანაში განსაზღვრული პოლიტიკის „გაფილტვრა“, მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გამოვლენა.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში დღის წესრიგში დადგა მსხვილი დარგთაშორისი, რეგიონული სამეურნეო სისტემების (კომპლექსების) შექმნა-ფუნქციო-

ნირების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის კომპლექსების ფორმირება არსებითად განსხვავდება საბჭოთა მოდელის – ქარხანა – გიგანტების ფუნქციონირების პირობებისგან. ახალი ტიპის დარგთაშორისი და რეგიონული სისტემები სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით იქმნება მცირე და საშუალო სიდიდის, საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული სუბიექტების ბაზაზე და წარმოადგენს ინტეგრალურ, სხვადასხვა ხარისხის სისტემას. მათი უპირატესობაა, რომ ისინი აღწევენ წარმოებისა და მეცნიერების ორგანულ ერთიანობას, შესაბამისად ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, წარმოების ორგანიზაციისა და სტიმულირების სრულყოფას, რაც აჩქარებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას – ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, საერთო შემოსავლების ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორს. აღნიშნული ტიპის სისტემებში რეალურად ხდება სამრეწველო, საბანკო, სავაჭრო კაპიტალის კონცენტრირებულად გამოყენება. ისინი ფლობენ სტრატეგიული მართვის პოტენციალს – კონკურენტულ გარემოში პოზიციები, ორგანიზაციულ-მმართველობითი პირობები, მარკეტინგული სამსახურები და სხვ.

მიკროდონეზე ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ოპტიმალური ეკონომიკური პირობების შექმნა მაკრო და მეზოდონეზე. ეს დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მისი შესაბამისი რეგიონული სტრუქტურების ორიენტაციაზე, კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, საზოგადოებრივ მენტალიტეტზე, ტერიტორიული თავისებურებების ხასიათზე.

გარდამავალმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკის განვითარების იერარქიულ დონეზე ცენტრალური ადგილი მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. განვითარების სტრატეგიაში იგი წამყვანი რგოლია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება არსებული სტრატეგიული რესურსების მიზანმიმართული გამოყენება, სხვადასხვა დონეზე მათი გადანაწილება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური ფაქტორების კოორდინირება. მაკროეკონომი-

კური პოლიტიკა სოციალურ ეკონომიკაში ასრულებს „მზიდი კონსტრუქციის“ როლს და რეალურად პასუხობს მეურნეობრიობის ყველა დონეზე დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის მარეგულირებელი ფაქტორის ფუნქციას. იგი ეყრდნობა ქვეყნის განვითარების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას, რომელიც განისაზღვრება ქვეყნის ბუნებრივსაწარმოო, შრომითი, სამეურნეო თავისებურებებით, პირობებით, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკით ჩამოყალიბებული ტენდენციებით, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობებით, გლობალიზაციის განვითარების ტენდენციებითა და სხვ.

ამრიგად, ეკონომიკის განვითარების ყველა დონეზე კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების ერთიანობა, რომელშიც წამყვან როლს სახელმწიფო და მისი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ასრულებს, სოციალური ეკონომიკის ფორმირებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

მეოთხე, ეროვნული მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების პრინციპი. მსოფლიოს გამოცდილება ადასტურებს, რომ დაგეგმვა ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე ინსტრუმენტია ყველა სისტემის პირობებში, კერძო თუ სახელმწიფო სექტორში. სწორი დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნის, მისი მიღწევის საშუალებების ოპტიმალური განსაზღვრა. პრაქტიკა ადასტურებს, რომ დაგეგმვას, როგორც სამეურნეო საქმიანობის მეთოდს, რთული ეკონომიკური კავშირების საკოორდინაციო მექანიზმს, საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის ახალი არჩევანის პირობების (ფაქტორების) განხილვის პროცესს, მომავალშიც ეკონომიკის რეგულირებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება. ისიც დადასტურდა, რომ ეკონომიკაში ბაზარი და გეგმა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვერ შეასრულებენ დომინირებული საკოორდინაციო მექანიზმის როლს. არც ერთ მათგანს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად უზრუნველყოს თანამედროვე ინტეგრაციულ ურთიერთობებში რთული პროცესების დაბა-

ლანსებული რეგულირება. მხოლოდ ბაზრისა და გეგმის შეხამებისას ყალიბდება მწარმოებლურ ძალთა, ეკონომიკური რესურსების რაციონალური განაწილების, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის წანამძღვრები. ამიტომ, თანამედროვე პირობებში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის ბაზრისა და გეგმის „თანაარსებობა“ არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელია.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი **ვ. ლეონტიევი** ეკონომიკას ადარებდა იახტას, რომელსაც ქარი (დაინტერესების სტიმული) და საჭე (რეგულირება) სჭირდება. ამერიკულ ეკონომიკას, ამბობდა იგი, **სუსტი საჭე აქვს, საბჭოთა კავშირისას, პირიქით. ქარი ვერ ავსებს აფრებს, ასეთ დროს საჭე არ შველის. უფრო სწორად იქცევიან იაპონელები. ისინი, რა თქმა უნდა, კერძო ინიციატივას იჩენენ, მაგრამ სახელმწიფო (საჭე) დიდ როლს ასრულებს, გავლენას ახდენს საუკეთესო მიმართულებით ეკონომიკის განვითარებაზე**. ვ. ლეონტიევი სამართლიანად მიუთითებს, რომ იახტა არა მხოლოდ უნდა მოძრაობდეს, არამედ სწორი მიმართულებით უნდა მოძრაობდეს. ამასთან დაკავშირებით იგი აკრიტიკებს **რეიგანის** ცნობილ გამოთქმას: „აუშვით აფრები, იგი ქარით შეივსოს, ეკიპაჟი კაბინაში შევიდეს და კოქტეილი მიირთვასო“ [142.15]. ვ. ლეონტიევის მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებითია არა მარტო ზურგის ქარი (დაინტერესება), არამედ, საჭის მართვაც (რეგულირება), ორივე ფაქტორის ინტეგრირებაა საჭირო და არა მათი ურთიერთდაპირისპირება. ნობელის პრემიის ლაურეატის მოსაზრება ადეკვატურად ასახავს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების თავისებურებებსა და ტენდენციებს.

გარდამავალმა პერიოდმა დაადასტურა, ეკონომიკური დაგეგმვის ყველა დონეზე გამოყენების, განვითარების პროპორციების, ტემპების, დარგთაშორისი კავშირების, პრიორიტეტების განსაზღვრის, სამეურნეო სუბიექტთა ეფექტიანი მოქმედების გარემოს ფორმირების, სახალხო მეურნეობრივი, დარგობრივი, რეგიონული და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების განვითარების ინტერესების შეხამების, ქვეყნის

ეკონომიკის მსოფლიო საბაზრო სტრუქტურებში ჩართვის, საერთოდ, ეკონომიკის აღწარმოებითი პროცესების გეგმაზომიერი რეგულირების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამ ამოცანების განხორციელებისთვის ყოველმხრივ გამართლებულია ინდიკატიური დაგეგმვის პრინციპების გამოყენება. **საჭიროა არა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული გეგმა-დირექტივა, როგორც ეს ახლო წარსულში გვქონდა, არამედ განვითარების კონკრეტული ეტაპების ადეკვატური გეგმა-ორიენტირი, ინდიკატორი. იგი იქნება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სწორად წარმართვის მაჩვენებელი, კოორდინაციის მექანიზმი, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების ორიენტირი, სახელმწიფოს, მესაკუთრის ინტერესების დაცვის გარანტი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტულ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი.**

მეხუთე, ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ერთიანობის პრინციპი. საქართველოში სოფლის მეურნეობა მწარმოებლური ძალების განვითარების დონით მკვეთრად ჩამორჩება მრეწველობას, რომელიც თავის მხრივ, განვითარებული ქვეყნების მრეწველობასთან შედარებით, უაღრესად ჩამორჩენილია. ეს გამოიხატება მრეწველობის მუშაკთან შედარებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა ტექნიკური შეიარაღების ბევრად უფრო დაბალი დონით. დღევანდელი სოფელი ქალაქისგან განსაკუთრებით ჩამორჩება საყოფაცხოვრებო პირობებით, კულტურული ფასეულობების გამოყენების შესაძლებლობებით. ამიტომ რეალურად დგას სოფლად სოციალური გარდაქმნების აუცილებლობა. დღევანდელი გლეხი თავისი პოტენციალით, ეკონომიკური რესურსებით, განათლებით მკაცრ კონკურენტულ გარემოში რთულ ამოცანებს ვერ გადაწყვეტს. გლეხმა მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე მეთოდები უნდა აითვისოს. სხვანაირად იგი თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებს. უნდა შეჩერდეს სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის მიგრაცია. რადიკალურად უნდა გარდაიქმნას სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა. სოციალური

დანიშნულების ობიექტების უდიდესი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა, საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები, სამედიცინო პუნქტები ფაქტობრივად არ არსებობენ. სოფლად სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია. სოციალური ობიექტები, რომლებიც ადრე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბალანსზე იყო, ადგილობრივ მმართველობას გადაეცა. ისინი კი უსახსრობის გამო მათ მუშაობას ვერ უზრუნველყოფენ. სოფლად მოიშალა საინჟინრო ინფრასტრუქტურაც. მიწის ნაყოფიერება კატასტროფულად ეცემა. ეროზიას განიცდის სავარგულების 33%. დამლაშებული და ბიცობიანია 218 ათასი ჰა. შეწყვეტილია კულტურულ-ტექნიკური და ჰიდროტექნიკური მელიორაციები. მკვეთრად შემცირდა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა.

სოფლად მდგომარეობის გაჯანსაღების კვალობაზე ქვეყანაში ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისა და სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური ორიენტაციის შეხამების ფონზე, რაც არსებითად უკავშირდება მყარი სოციალური გარანტიების შექმნას, კერძოდ, საპენსიო უზრუნველყოფას. მოსალოდნელია, დაჩქარდეს ურბანიზაციის საპირისპირო პროცესი – რურალიზაცია – ქალაქიდან სოფელში გადასვლა. ასეთი ტენდენცია დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის. მაგალითად, XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში ქალაქიდან სოფელში გადავიდა 10 მლნ ადამიანი. ანალოგიურად განვითარდა პროცესები ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. თანამედროვე სოფელს სჭირდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების ფართოდ გამოყენების ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები. ამ მხრივ საყურადღებოა მოსაზრება, რომ მომავალში გონებრივი შრომის ადამიანების კონცენტრაცია მხოლოდ ქალაქებში არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

სოფლად ბევრი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა დაგროვდა. მათი გადაწყვეტა უნდა მოხდეს სწორი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით, მიზნობრივი პროგრამების გამოყენების გზით. სოფლის (და არა სოფლის მეურნეობის, როგორც ეს ადრე ხდებოდა) განვითარების, როგორც

ერთიანი პროცესის, მიმართულებათა განსაზღვრა უნდა მოხდეს ყველა რესურსული პოტენციალის, სოციალური ინფრასტრუქტურის, დემოგრაფიული მდგომარეობის, დასაქმების გათვალისწინებით. სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკით უნდა განისაზღვროს სოფლის (როგორც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის, რომელიც შესაბამის სოციუმს მოიცავს) განვითარებასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრატეგია. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს ზრდის მაღალი ტემპები შეიძლება მიღწეულ იქნეს ტექნოლოგიებსა და ბიოლოგიაში მიღწეული სიახლეების ფართოდ გამოყენებით. ამის კარგ მაგალითს აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს. 1987 წელს აშშ-ის აგრარულ სექტორში ქვეყნის სამუშაო ძალის 2% იყო დასაქმებული. ეს მაშინ, როცა XIX საუკუნის დასაწყისში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 70%. თუ 1820 წელს ამერიკელი ფერმერის პროდუქცია საკუთარი მოხმარების მიმართ განისაზღვრებოდა შეფარდებით 4 : 1, 100 წლის შემდეგ (1920 წელს) იგი შეადგენდა 8 : 1; ხოლო 1987 წელს ერთი ფერმერი უზრუნველყოფდა სურსათით 80 კაცს.

აშშ და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგრარულ სექტორში წარმატების უზრუნველსაყოფად საჭიროა სოფლის ცხოვრების ამჟამინდელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოწყობის გარდაქმნა. ეს კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. გადასაწყვეტია ორი სტრატეგიული ამოცანა. **პირველი – გლეხური მეურნეობებისათვის სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერა, რათა ისინი წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად თანდათანობით გადავიდნენ თანამედროვე სასაქონლო წარმოების პრინციპებზე და მეორე – სოფლის კომპლექსური განვითარება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ფერმერთა, არამედ მთელი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, გადამამუშავებელი საწარმოების, სარეწების განვითარებას, განათლების ქსელის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების გაფართოებას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და სხვ.**

სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში ეს თავისებურებები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

თავი II. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება – სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი

2.1. ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების არსი, პრინციპები. შეხედულებათა ევოლუცია

ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების, მეცნიერებასა და სამეურნეო პრაქტიკაში მწვავე კამათის საგანი. მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა სოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში. სახელმწიფოს როლს, მის ფუნქციებს არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებში აქტიურად განიხილავენ მეცნიერები, კულტურის სფეროს მოღვაწეები, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კამათი გრძელდება არა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის შესახებ, არამედ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მისი მასშტაბები, ფორმები, მეთოდები.

პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე ინტერესმოკლებული არ იქნება პირველ რიგში, განვიხილოთ ეკონომიკასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მეცნიერებასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებები, პრინციპები და გამოცდილება. ჩვენ მხოლოდ ძირითად მომენტებს გამოვყოფთ.

მერკანტილისტები (XVI-XVIII საუკუნე) მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო მართვა ის საშუალებაა, რომელსაც საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დაცვა შეუძლია. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ადამ სმითმა განსაზღვრა ეკონომიკური ლიბერალიზ-

მის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით, საბაზრო ძალების („უხილავი ხელი“) თამაში ქმნის ჰარმონიულ წყობას. თავისი პირადი (ეგოისტური) მიზნების მისაღწევად ინდივიდების მისწრაფება ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების კეთილდღეობას. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება ეყრდნობა ორ პოსტულატს: პირად დაინტერესებას და კონკურენციას. ეს ორივე განსაზღვრავს ბაზარზე წონასწორობას, მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას. საზოგადოებამ უნდა შექმნას სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც დაიცავენ ადამიანს, მის საკუთრებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც, სამართლიანად გაარჩევენ დავებს და სხვ.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარეობს, ყველაფერს „უხილავი ხელი“ გააკეთებს. ასეთია ახალგაზრდა კაპიტალიზმის განვითარების ადამ სმითისეული კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა სქემას: კერძო საკუთრება, როგორც დაინტერესების ამოსავალი პირობა, – ადამიანის ეგოისტური მისწრაფება მიიღოს მეტი სარგებელი თავისი საქმიანობიდან, – თავისუფალი კონკურენცია, როგორც ადამიანის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელი პირობა – სახელმწიფო, რომელიც დაიცავს ზემოთ აღნიშნულ პირობებს.

XIX საუკუნეში უდიდესი გარდაქმნების განხორციელების შედეგად ყოველმხრივ განვითარდა თავისუფალი მეწარმეობა. ამასთან, გაძლიერდა კონკურენცია. სახელმწიფოს როლი კი ადამ სმითის ტრადიციული სისტემით განისაღვრა, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ არსებითად შეიცვალა სახელმწიფოს, როგორც ბაზრის „ღამის დარაჯის“, როლიც. სახელმწიფო თანდათანობით იძულებით ჩაერია ეკონომიკურ პროცესებში, გამწვავდა ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისათვის, რამაც სტიმულები მისცა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას. სახელმწიფო იძულებული გახდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ინფრასტრუქტურის, თავდაც-

ვითი მრეწველობის ჩამოყალიბებაში, ფულის მიმოქცევის რეგულირებაში და სხვ. სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა განსაკუთრებით კრიზისისა და დეპრესიების დროს გახდა აუცილებელი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპაში სოციალისტური იდეები, განსაკუთრებით მარქსიზმი, მიმზიდველ თეორიად ჩამოყალიბდა. საზოგადოების განვითარების მარქსისტულმა თეორიამ რადიკალურად დასვა საკითხები მთელი ეკონომიკის განსაზოგადოების, კერძო საკუთრების მოსპობის, ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის („ხილული ხელი“) აუცილებლობის შესახებ, რაც მოგვიანებით საბჭოთა კავშირში განხორციელდა.

მარქსიზმის მიხედვით, საზოგადოების ეკონომიკური განვითარება ხორციელდება სქემით: ეკონომიკის ნაციონალიზაცია – წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია – საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება – ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა, რომელსაც უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო. ეკონომიკის განვითარების პრინციპი „წავიდეს ისე, როგორც მიდის“ იცვლება სრულიად ახლით, მისი ალტერნატივით: „წავიდეს ისე, როგორც ამას განსაზღვრავს „ხილული ხელი“, სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში სხვა ალტერნატიული სისტემებიც არსებობდა. მაგალითად, ფაშისტური გერმანიის ეკონომიკური სისტემა ეყრდნობოდა კერძო საკუთრებას (ადამ სმითის კონცეფციის ერთი ელემენტი) და ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და მართვას (მარქსიზმის კონცეფციის ერთი სახეშეცვლილი ელემენტი), იუგოსლავიის ეკონომიკა – საზოგადოებრივ საკუთრებას (მარქსიზმის კონცეფციის ერთი ელემენტი) და ეკონომიკის რეგულირების (თვითრეგულირების) საბაზრო მექანიზმებს („უხილავ ხელს“).

XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც საყოველთაო კრიზისმა ეკონომიკის განვითარების ადამ სმითის თეორია ეჭვქვეშ დააყენა, ასპარეზზე გამოდის ჯ. კეინზის შეხედულებები. მათი მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმი მხოლოდ დაავადებულია, მან თვითრეგულირების

შესაძლებლობა ამოწურა. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს მიერ რთული საზოგადოებრივი პროცესების რეგულირება. ჯ. კეინზის დამსახურება ის არის, რომ მან საბაზრო ურთიერთობებში შეიყვანა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, როგორც აღწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი, აღიარა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეხამების აუცილებლობა. ცნობილია, რომ ეს მიდგომა საფუძვლად დაედო აშშ პრეზიდენტ რუზველტის „ახალ კურსს“.

ამრიგად, ჯ. კეინზის მიხედვით ეკონომიკური განვითარება ხორციელდება სქემით: კერძო საკუთრება – მოტივაცია (ინდივიდის მისწრაფება ჰქონდეს მეტი სარგებელი) – კონკურენცია – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების შეხამება – „ხილული ხელისა“ და „უხილავი ხელის“ თანაარსებობა.

ამჟამად, დასავლეთის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ ორი ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა ჩამოყალიბდა, პირველი, როდესაც სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, ახორციელებს სამეურნეო ინტერესების კოორდინაციას და ფაქტობრივად გამოდის, როგორც გარე ძალა ეკონომიკური პროცესების მიმართ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო და ეკონომიკა თითქოს ცალ-ცალკე არსებობს: პირველი - „თამაშის წესებს“ განსაზღვრავს, მეორე – თვითრეგულირებით ვითარდება. ასეთი მიდგომა მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას მოკლებულია და იშვიათად გვხვდება სამეურნეო პრაქტიკაში.

მეორე, როდესაც სახელმწიფო მესაკუთრეა, იგი უშუალოდ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და გამოდის ბაზრის სუბიექტის როლში, ამასთან, სხვა სუბიექტების მიმართ იცავს საბაზრო ურთიერთობათა ფუძემდებლურ პრინციპებს. ასეთ დროს ეკონომიკაში მისი ჩარევის ხარისხი სხვადასხვა ზომით განისაზღვრება. ეს მიდგომა უფრო რეალურია, მაგრამ ისიც ცალმხრივია, სრულად ვერ ასახავს ეკონომიკური პროცესების განვითარების თანამედროვე პრაქტიკას.

XX საუკუნეში გამოიკვეთა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მხოლოდ იმით არ იყო გამოწვეული, რომ ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებდა ცენტრალიზებულად მართული სოციალისტური ეკონომიკა, არამედ იმითაც, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში გართულდა პროცესები და მრავალფეროვანი გახდა კავშირები, გაიზარდა განვითარების მასშტაბები, წინა პლანზე წამოიწია სოციალური პრობლემები.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოსაგან განუყოფელია. მიუხედავად ამისა, მეცნიერებაში ამ პრობლემის მიმართ განსხვავებული პოზიციებიც არსებობს. აღნიშნული მოვლენა განსხვავებულად განიხილება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება აუცილებელია. მეორენი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს როლის გაძლიერება იწვევს ბიუროკრატიის ანგარებითი ინტერესების სტიმულირებას, რაც ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას. ამის გამო მოითხოვენ ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის შესუსტებას („მინიმიზაციის კურსი“). მიუხედავად ასეთი განსხვავებული მიდგომებისა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს.

ლიტერატურაში სახელმწიფოებრივი რეგულირების განმაპირობებელი ფაქტორები განხილულია სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტასთან მიმართებაში და დაჯგუფებულია სახელმწიფოს ამოცანების შინაარსის მიხედვით [127.34].

მაგალითად, ცხრილი 2.1 გვიჩვენებს იმ ფაქტორთა ჯგუფს, რომლებიც ეკონომიკის განვითარების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების გამოყენებას.

ცხრილი 2.1

ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას განაპირობებენ

№	ფაქტორების ჯგუფი	ფაქტორების შინაარსი
1	ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ საბაზრო მექანიზმების უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას	- სტიქიური საბაზრო პროცესების შეზღუდვა; - საბაზრო კონიუნქტურის ეფექტიანი ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება; - საზოგადოებრივი საქონლის წარმოების უზრუნველყოფა; - ბაზრის კონკურენტულობისა და გახსნის მხარდაჭერა; - კონკურენტულობის მხარდაჭერა მსოფლიო ბაზარზე.
2	ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ სტაბილურობას, გაფართოებულ აღწარმოებას	- ეკონომიკის განვითარების პირობების შექმნა; - ეკონომიკის ანტიციკლური განვითარების უზრუნველყოფა; - გრძელვადიანი ზრდის სტიმულირება; - ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება; - მაკროეკონომიკური წონასწორობის მხარდაჭერა; - სახელმწიფო სექტორის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა; - სახელმწიფო ინვესტიციებზე კერძო კაპიტალის მოთხოვნილება; - ფულის მიმოქცევის რეგულირება; - მეცნიერების განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მხარდაჭერა.
3	ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან	- შემოსავლების რაციონალური გადანაწილება; - სოციალური დაძაბულობის მოხსნა; - მოსახლეობის სრული დასაქმება; - სამუშაო ძალის გაფართოებული აღწარმოების, ჯანმრთელობის, განათლების, კადრების გადამზადების პირობების შექმნა.

წყარო: Государственное регулирование рыночной экономики, Учебник, под общей ред. проф., Кушлина В.И. и проф. Волгина Н.А., М., 2001, стр. 235.

თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში ძირითად მიზნად აღიარებულია საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს და თანმიმდევრულად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს:

პირველი, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. იგი მოიცავს: ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას; ეროვნული ვალუტის მდგრადობის მიღწევას; სრულ დასაქმებას; საგარეო ეკონომიკურ წონასწორობას;

მეორე, ეკონომიკის ფუნქციონირების ჩარჩო-პირობების ჩამოყალიბება. იგი მოიცავს: ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას; ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების უზრუნველყოფას; შიდა წესრიგის დამყარებას;

მესამე, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა. იგი მოიცავს: მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალურ უზრუნველყოფას; სოციალური მომსახურების მიწოდებას; საზოგადოებრივი სიკეთით მოსახლეობის უზრუნველყოფას;

მეოთხე, სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია. იგი მოიცავს: ინფორმაციის მიწოდებას ბაზრის კონიუნქტურის, და საერთოდ, ეკონომიკის განვითარების შესახებ; მოტივაციის, წახალისებისა და სანქციების მექანიზმის ჩამოყალიბებას;

მეხუთე, კონკურენტული გარემოს შენარჩუნება. იგი მოიცავს: ეკონომიკური, სამართლებრივი პირობების, კონკურენტული ურთიერთობების სისტემის შექმნას და კონკურენტული გარემოს დაცვას; მონოპოლიზმთან ბრძოლას; მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას;

მეექვსე, სახელმწიფო სექტორის ეკონომიკის მართვა. იგი მოიცავს: სახელმწიფო საწარმოების და სახელმწიფო ქონების მართვას [127.37].

სახელმწიფო თავისი მიზნების განხორციელებისათვის იყენებს სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ქმნიან ეკონომიკის რეგულირების სისტემას.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ განსაკუთრებით

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო იღებს თვისებრივად ახალ, მასშტაბურ, მანამდე მისთვის თითქოს უჩვეულო ფუნქციას სოციალური სფეროს ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, გარემოს დაცვა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო ხარჯების წილი. მაგალითად, 1880-1998 წლებში იგი გაიზარდა აშშ-ში 8-დან 33,1%-მდე, იაპონიაში – 11-დან 35,5, ინგლისში – 10-დან 39,7, გერმანიაში – 10-დან 47,4; საფრანგეთში – 15-დან – 53,2, შვედეთში – 6-დან 60,8%-ამდე. ესეც თავისებურებაა, უფრო სწორად ტენდენციაა, რომელიც კარგად ასახავს საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველმყოფი ფაქტორების მოქმედებაში მომხდარ თვისებრივ ცვლილებებს, მათ ტრანსფორმაციას, სრულიად ახალი ფაქტორების გამოვლენას, რაც საბოლოოდ ადიარებული პარადიგმების, თეორიების გარდაქმნისა და ახალ პირობებთან ადაპტირების მაჩვენებელია.

თანამედროვე შეხედულებათა მიხედვით, ცივილიზებული საზოგადოება მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების, კლასების ინტერესებს კი არ გამოხატავს, არამედ იგი მუდმივად ცდილობს პოლიტიკური სტაბილურობის, სიღარიბის დაძლევის, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევას. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა ინტერესთა დაპირისპირება ვერ შერბილდება. საზოგადოების ამ უნიკალურ ფუნქციას სახელმწიფო შესაბამის ზნეობრივ და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ პრინციპებზე დაყრდნობით ასრულებს. ამას ემსახურება გრძელვადიან პროგრამათა შემუშავება და განხორციელებაც. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა დაბალანსებული, ეფექტიანი, ერთიან სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ საფუძველზე ჩამოყალიბებული სისტემაა. თუკი ამ სისტემის რომელიმე ელემენტი უწესრიგოდ მუშაობს, მაშინ სახელმწიფო ერევა პროცესების რეგულირებაში, რათა სისტემის ნორმალური ფუნქციონირება აღადგინოს. ამიტომაც სახელმწიფო, ეკო-

ნომიკის განვითარებაზე ზემოქმედებისას, მიზნად ისახავს მყარ ეკონომიკურ ზრდას, ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, მოსახლეობის შემოსავლების მინიმალური დონით უზრუნველყოფას, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის შექმნას, საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში წონასწორობის აღდგენას და ა.შ.

მსოფლიო ბანკის აზრით, თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკისრება ხუთი ფუნდამენტური ფუნქცია: **კანონიერების საფუძვლების შექმნა, დაბალანსებული პოლიტიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა, საბაზრო სოციალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება; მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა, გარემოს დაცვა.**

ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებში მსოფლიო ბანკმა განსაზღვრა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისათვის სახელმწიფოს პოტენციალის გაძლიერების ამოცანა. ამ მიზნით მან შეიმუშავა თანამედროვე პირობებში **ქვეყნების განვითარების ორსაფეხურიანი სტრატეგია, რომლის პირველ ელემენტად აღიარებულია სახელმწიფოს ფუნქციების მის პოტენციალთან შესაბამისობა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი ეყრდნობა კონკრეტული სიტუაციის კომპლექსურ ანალიზსა და შეფასებას. სტრატეგიის მეორე ელემენტად აღიარებულია სახელმწიფოს პოტენციალის განმტკიცება საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტივიზაციით. იგულისხმება ისეთი ეფექტიანი ნორმებისა და შეზღუდვების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხელისუფლების თვითნებობის აღკვეთას და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას.**

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მსოფლიო ბანკის 1997 წლის მოხსენებიდან დებულებას „ისტორიამ მოგვცა ბევრი მაგალითი იმისა, რომ კარგი მთავრობა – ეს ფუფუნება არ არის, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ეფექტიანი სახელმწიფოს გარეშე ეკონომიკური და სოციალური მდგრადი განვითარება შეუძლებელია“. ცხადია, მსოფლიო

ბანკის ასეთ რეკომენდაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ახლებურად გააზრებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სანიმუშო მაგალითს იძლევა ამერიკის შეერთებული შტატები. ცნობილია, რომ აშშ-ში 1933 წლიდან სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში პირველად იქნა გამოყენებული სახელმწიფოსა და საბაზრო მექანიზმების შეხამების მეთოდი. შემდგომ პერიოდებში იგი უფრო დაიხვეწა, მოქნილი გახდა. საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკურ პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტით მოქმედებს. განვითარებული და სხვა ქვეყნებისათვის აქტიურად ეწევა, ე.წ. ლიბერალიზმის ექსპორტს, ხოლო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში ყოველმხრივ აძლიერებს სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმებს. ამის მაგალითად გამოდგება XX საუკუნის 80-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შემუშავებული განვითარების პრიორიტეტი „სრული დასაქმება და ეკონომიკის დაბალანსებული ზრდა“. ამ პრიორიტეტებისათვის კონგრესმა პასუხისმგებლობა დააკისრა სახელმწიფო ადმინისტრაციას – მთავრობას. პრიორიტეტი ყოველმხრივ განმტკიცებულია საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამებითა და ფინანსური მხარდაჭერით. სახელმწიფოებრივი რეგულირების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პროგრამული მიდგომა და სახელმწიფო ბიუჯეტის საინვესტიციო როლის მნიშვნელოვანი ზრდა. კონგრესი პრეზიდენტისაგან მოითხოვს სრული დასაქმებისა და დაბალანსებული ზრდის ამოცანათა შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებას და ავალდებულებს მას დასაქმების სფეროში უზრუნველყოს ფედერალურ მთავრობას, რეგიონებს, შტატებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე კერძო სექტორებს შორის ეკონომიკური ქმედების კოორდინაცია. აშშ კონგრესის ამგვარი პოზიცია ეკონომიკის განვითარებაში ახლებურ მიდგომას ნიშნავს და მთავრობის როლისა და მნიშვნელობის ზრდა-

საც ადასტურებს. საკამათო არ უნდა იყოს, რომ მომავალში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი უფრო გაიზრდება. გარდა „ტრადიციული პროცესებისა“, მას ხელს შეუწყობს ისეთი მოვლენები, როგორიცაა მსოფლიოში ენერგეტიკული, სავალუტო, ეკოლოგიური კრიზისები, სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა, მათი მზარდი ხასიათი, წარმოების ავტომატიზაციის ფართოდ განვითარება, რაც, ბუნებრივია, შრომის მწარმოებლურობას ზრდის, მაგრამ იწვევს უმუშევრობას, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი ტემპის გარდუვალობა (იგი კონკურენციას ზღუდავს), დიდი ქალაქების სოციალური პრობლემები, მზარდი წინააღმდეგობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სიღატაკის პრობლემა და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ ეს და სხვა მრავალი ფაქტორი განაპირობებს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა მრავალმხრივ ფორმებს, საერთოდ, ეკონომიკური რეგულირების საერთაშორისო სტრუქტურების ჩამოყალიბებას, მათ ფუნქციონირებას. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილია საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირი და სხვა მრავალი ინსტიტუტი და ბლოკი. ეს ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ეკონომიკის რეგულირება ხორციელდება არა მხოლოდ „უხილავი ხელის“ მეშვეობით, არამედ „ხილული ხელითაც“.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი (სახელმწიფოთაშორისი) რეგულირება თანამედროვე პირობებში და მომავალშიც საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უნივერსალურ მექანიზმად, აღწარმოებითი პროცესის ორგანულ ნაწილად მივიჩნიოთ. ასეთია XXI საუკუნეში სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება და კანონზომიერება. ამიტომ ბუნებრივია, რომ საზოგადოების განვითარების პროცესებზე ზემოქმედების ადეკვატური სისტემაც პოლიტიკაში სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს.

2.2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. ეს განპირობებულია პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებებით. **ჯერ-ერთი,** სახელმწიფო თავად ფორმირების პროცესშია, რომელიც წინააღმდეგობრივად ვითარდება. მიზეზი გარკვეულია: ძველი უნდა შეიცვალოს, მაგრამ როგორი უნდა იყოს ახალი, მხოლოდ იდეების (უფრო ილუზიების) დონეზეა წარმოდგენილი. ამასთან, იგი გარე ფაქტორების გავლენის გამო თავისუფალი არ არის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოდელის არჩევაში. **მეორე.** ფორმირებადი სახელმწიფო ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე (ფაქტობრივად ექსტრემალურ პირობებში) საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ერთადერთი სუბიექტია (კლასიკური გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს), რომელმაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად თანამედროვე ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემის გარედან შემოთავაზებული დოქტრინით ფორმირება, ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების რეგულირება უნდა უზრუნველყოს. **მესამე.** საზოგადოება სწრაფად ცვალებადი კონცეპტუალური მიდგომების სიმრავლეში ეიფორიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამიტომ განვითარების პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის განსაზღვრის პროცესს ჩამოცილდა.

უნიკალური სიტუაცია შეიქმნა. ერთი მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობა, ახალი სახელმწიფოს (შესაბამისად ეკონომიკის) ფორმირების კონკრეტული ამოცანა, მეორე მხრივ, გარდაქმნებისათვის პოლიტიკურად, ფსიქოლოგიურად, ორგანიზაციულად საზოგადოებრივ ასპარეზზე შემთხვევით გამოსული პოლიტიკური ძალების მზადყოფნის უკიდურესად დაბალი დონე. ბუნებრივია, ტრანსფორმაციული პროცესი სტიქიურად დაიწყო. (ამ პრობლემას ვრცლად III თავში განვიხილავთ).

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის გარდაქმნის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამისთვის კი საჭირო იყო ეკონომიკური თავისუფლების, ჯანსაღი კონკურენციისა და მათი დაცვის სახელმწიფოებრივი მექანიზმების ეფექტიანად მოქმედების გარემო.

აქედან გამომდინარეობდა გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს მიერ ექსკლუზიური ეკონომიკური ფუნქციების შესრულების აუცილებლობა. ამ კონტექსტში მოკლედ განვიხილოთ სახელმწიფოს ახალი როლის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური თავისებურება.

– უნიკალურ სიტუაციაში – სოციალისტური ეკონომიკის ბაზაზე თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირების პერიოდში – სახელმწიფოს, როგორც ასეთს, ლოგიკურად უნდა შეესრულებინა ახალი ეკონომიკური როლი. კერძოდ, ახალი, თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ფორმირების (სისტემაშემქმნელი), მისი ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველყოფის (სისტემადამამკვიდრებელი) და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების ჩამოყალიბების (სისტემააღწარმოებითი) ფუნქციები [181.153].

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პრივატიზაციის განხორციელება მიზნად ისახავდა სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას. **პირველი,** პრივატიზირებულ საწარმოთა ეფექტიანობის მიღწევა (პრივატიზაციის, როგორც საშუალების, მიზნობრივად გამოყენება). **მეორე,** წარმოების გაფართოებისათვის ინვესტიციების მოზიდვა (ტექნოლოგიების სრულყოფა, ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვა და ა.შ.) და **მესამე,** ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, პრივატიზებული სამეურნეო ერთეულების ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. პრივატიზაციის ამგვარი პრინციპით განხორციელების შე-

დეგები ეფექტიანი აღმოჩნდა. პოსტსაბჭოურ სივრცეში (რუსეთში, საქართველოში, უკრაინაში და ა.შ.) განსხვავებული მიდგომები იქნა გამოყენებული. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია განხორციელდა არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზანშეწონილობით, რომელიც, ძველი ეკონომიკური სისტემის ერთბაშად ნგრევას ისახავდა მიზნად. ეს მაშინ, როცა ახალი სისტემის ფორმირების არა თუ პროგრამა, კონცეფციაც არ არსებობდა. საქართველოში ნაჩქარევად განხორციელებულმა პრივატიზაციამ ვერ მოამზადა მესაკუთრეთა ე.წ. საშუალო ფენის შექმნის სათანადო საფუძველი, ბუნებრივია, ვერც კონკურენტული გარემო ჩამოყალიბდა. საბაზრო სისტემის დამკვიდრების სახელმწიფო ფუნქცია გულისხმობს ტრანსფორმაციული პროცესების შეუქცევადი ხასიათის უზრუნველმყოფი გარემოს შექმნას, რათა ახალი სისტემა ეფექტიანად ფუნქციონირებდეს საკუთარ მატერიალურ და ორგანიზაციულ ბაზაზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით (ფ. შამხალოვი და სხვ.), თუ სახელმწიფოს სისტემაშემქმნელი ფუნქცია მიზნად ისახავს ახალი სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობების შექმნას, სისტემადამამკვიდრებელი ფუნქციის მიზანია შესაბამისი პირობების მომზადება ადრინდელი ეკონომიკის (უკვე გარდაქმნილის) საბაზრო რეჟიმში ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

რაც შეეხება სახელმწიფოს სისტემააღმწარმოებელ ფუნქციას, მისი მიზანია შექმნილი ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების მომზადება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ცხოვრების დონის ამაღლება, ინტეგრაციულ პროცესებში ეროვნული ინტერესების დაცვა, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნა.

როგორც ჩანს, სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას ეკონომიკური პროცესების არა მარტო რეგულირების, არამედ სისტემაშემქმნელი, სისტემადამამკვიდრებელი და სისტემააღმწარმოებელი ფაქტორის როლიც აკისრია.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორად არ შეირჩა ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგია. ბუნებრივია, სახელმწიფომ ვერ შეძლო საკუთარი ფუნქციების შესრულება, რამაც ხელი შეუწყო ტრანსფორმაციული პროცესების სტიქიურ განვითარებას და ეკონომიკის კრიმინალიზაციას. შეიქმნა უნიკალური სიტუაცია: ქვეყნის განვითარების ურთულეს და უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე სახელმწიფო, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების მუხრუჭად იქცა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო 1991-1994 წლებში.

როგორი გზით უნდა განვითარდეს საქართველო – ეს 1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ განსაზღვრა. იგი სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას ისახავს მიზნად. ცხადია, ამ მიზანს უნდა მიესადაგოს ეკონომიკის ორგანიზაციის შესაბამისი სისტემაც.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ გარდამავალ პერიოდში ეროვნული თავისებურებების, ტრადიციების გათვალისწინებით, სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური როლი, კონკრეტულ სიტუაციას მორგებული საბაზრო მექანიზმების შექმნა და სოციალური რეგულატორების სისტემის ფუნქციონირება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობას განსაზღვრავს. გარდამავალ პერიოდში დადასტურდა, რომ სახელმწიფომ გარდაქმნებში „ცენტრალური ღერძის“ ფუნქცია უნდა შეასრულოს. ამისათვის საჭიროა: **იგი თავისუფალი იყოს კლასობრივის შინაარსისაგან, გამოხატავდეს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს, უზრუნველყოფდეს იდეოლოგიურ პლურალიზმს, ემსახურებოდეს საზოგადოებაში სოციალური თანხმობის ამოცანას, ქვეყნის განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისად არეგულირებდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს.**

ამ ამოცანების შესაბამისად განვიხილოთ გარდამავალ პერიოდში საქართველოში სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური როლისა და მისი ფუნქციების განმსაზღვრელი ფაქტორები.

პირველი, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის მთავარი ამოცანის – ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველმყოფი გარემოს შექმნა-განხორციელებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების „თერაპიას“. სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირების ფუნქცია. ტრადიციული გზა, რომელიც თანამედროვე განვითარებულმა ქვეყნებმა გაიარეს, დღევანდელ პირობებში არ გამოდგება.

მეორე, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს გარდა არ არსებობს სხვა სუბიექტი, რომელსაც შეუძლია ქვეყნის განვითარების წინა პერიოდებში დაგროვილი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური აღმშენებლობის გამოცდილება, მოსახლეობის ცოდნის, განათლების, მეცნიერების არსებული პოტენციალი და ახალგაზრდობის მძლავრი სოციალური ენერგია ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. აუცილებელია საზოგადოების განვითარების კონკრეტული სიტუაციის სწორი ანალიზი და შეფასება, ქვეყნის მომავალი სტრატეგიის ობიექტურად განსაზღვრა, ისტორიული გამოცდილების, აზროვნების დღევანდელი დონისა და ახალგაზრდული ენერგიის ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება, ერთიან პროცესში ჩართვა. ამ დიდ შესაძლებლობას სახელმწიფო ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებს, რის გამოც თაობებს შორის კავშირი, ფაქტობრივად გაწყდა, საზოგადოებრივი (სოციალური) ენერგია დანაწევრდა. ამიტომ იგი ერთიანი ეროვნული ნებით არ წარიმართება.

მესამე, დადასტურდა, რომ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური ცხოვრების სწორი ორგანიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამასთან, შეიცვალა მისი მოქმედების შინაარსი – იგი ასრულებს კანონმდებლის, მესაკუთრის, კოორდინატორის ფუნქციებს, თანაც არა ცალ-ცალკე სხვადასხვა დროსა და სივრცეში, არამედ ერთდროულად და სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი ინსტიტუციური რეფორმების განსაზღვრასა და განხორციელებაში, ახალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმირება-ფუნქციონირებაში და ა.შ.

მეოთხე, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო, როგორც მესაკუთრე, საგანგებო ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს. იგი უშუალოდ წარმართავს საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნის პროცესს. მან უნდა უზრუნველყოს საკუთრების ფორმების (მათი კომბინაციური ვარიანტებით) ადამიანის კეთილდღეობისთვის ეფექტიანი გამოყენება.

მეხუთე, განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობის, როგორც სტრატეგიული რესურსის, ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით. ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა („ტრასეკას“) და „ენერგეტიკული დერეფნის“ ამოქმედებითა და ეფექტიანი ფუნქციონირებით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობით საქართველო სრულიად ახალ, უნიკალურ ფუნქციას იძენს. იგი მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში იღებს განსაკუთრებულ სტატუსს: საკუთარი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა უშუალოდ დაუკავშიროს „ტრასეკასა“ და „ენერგეტიკული დერეფნის“ ფუნქციონირებას, რაც სახელმწიფოს მხრიდან ურთიერთდამზღვევი პროცესების უნარიან რეგულირებას მოითხოვს. არ შეიძლება გადაჭარბებულად შეფასდეს „ტრასეკას“ და „ენერგეტიკული დერეფნის“ როლი. მიუხედავად მათი მასშტაბურობისა, ისინი ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული დანიშნულების მხოლოდ ინფრასტრუქტურაა. ეროვნული მეურნეობა არ შეიძლება ცალმხრივად განვითარდეს და მისი პერსპექტივა მხოლოდ საერთაშორისო ინფრასტრუქტურის ერთი ელემენტის ჩარჩოში მოექცეს. აქედან გამომდინარე, ძალიან ფრთხილად, თანაც ინტეგრაციული პროცესების სოციალური შედეგების პროგნოზირებით უნდა განისაზღვროს ქვეყნის განვითარების სტრატეგია.

ორივე „დერეფანი“ „ის გზაა“, რომელიც ორმხრივი მოძრაობით შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ეკონომიკას, მსოფლიო ინტეგრაციაში პროცესშენაკადით შევიდეს. ამ შემთხვევაში საქართველო ზოგადსაკაცობრიო საგანძურში შეიტანს იმას, რაც მას საამისოდ გააჩნია, მისგან უნდა მიიღოს ის, რაც ეროვნული პოტენციალის გაძლიერებაგანმტკიცებისთვის აუცილებელია. **ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა და „დერეფნები“ ერთმანეთს ავსებენ, ურთიერთგანპირობებულობის დონითა და ხარისხით ქმნიან ერთიან სამეურნეო სისტემას. ასეთია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ეროვნული მეურნეობის განვითარების ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკა.**

მეექვსე, ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავების ფონზე რეგულირებას საჭიროებს საგარეო ვალების გამოყენების პროცესი. ეს მოვლენა თანამედროვე პირობებში აშკარად გამოკვეთილ პოლიტიკურ დატვირთვას იღებს. სესხის გამცემი ქვეყანა ან საერთაშორისო სტრუქტურა, ტრანსეროვნული კომპანიები სესხის ამღები ქვეყნის საშინაო პრობლემების გადაწყვეტისას იტოვებენ განსაკუთრებულ უფლებას, რაც ხშირად ეკონომიკური, არსებითად პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალურ საფრთხეს ქმნის. სახელმწიფო ვალდებულია სწორად განსაზღვროს საგარეო კრედიტების გამოყენების მიზანშეწონილობა.

განსაკუთრებით იზრდება სახელმწიფოს როლი ექსპორტიმპორტის ჩამოყალიბებული მიდგომებით რეგულირებაში. ამ პრობლემაზე ხშირად „ღია ეკონომიკის“ არსებობით და „უხილავი ხელის“ სინდრომების გავლენით მსჯელობენ. მოვლენები კი უფრო მეტად სახელმწიფოებრივი ინტერესების საპირისპიროდ ვითარდება. განსაკუთრებით საშიშია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების ზრდის ტენდენცია.

მეშვიდე, გარდამავალ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებას. მთავარია ქვეყნის რეგიონების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა

და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების სწორი შეხამება, რაც მიიღწევა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებით.

მერვე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან ჩანს, რომ ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ადამიანისეული ფაქტორის“ როლი. საქმე ის არის, რომ ეკონომიკის, როგორც სოციალური პროცესის განვითარება, უნდა განვიხილოთ არა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებისგან იზოლირებულად, არამედ მათთან მჭიდრო კავშირში.

ცნობილია, რომ ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტი მხოლოდ ინდივიდი კი არა, არამედ პიროვნებაა, რომელიც ეკონომიკური პროცესის გარეთ სხვა როლს ასრულებს. ამიტომ სწორად მიიჩნევენ, რომ ეკონომიკაში ადამიანის აქტიურობა მის სოციალურ როლთანაა დაკავშირებული, რომლის ფორმირება ხდება პოლიტიკაში, სამართალში, კულტურაში, ოჯახში და ა.შ..

„ადამიანისეული ფაქტორის“ ფორმირების, როგორც ყოვლისმომცველი პროცესის რეგულირება სახელმწიფოს ერთერთ მნიშვნელოვან ფუნქციად დარჩება მომავალშიც.

მეცხრე, როდესაც სახელმწიფო სუსტია, ეკონომიკის განვითარება უპირატესად ცალკეული ინდივიდების და ჯგუფების მოტივებსა და ინტერესებს შეესაბამება. სწორედ ასეთ შემთხვევაში ყალიბდება სიტუაცია, როცა ეკონომიკას მართავენ არა კანონები, არამედ ცალკეული ადამიანები და ჯგუფები, ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ პროცესებზე, რაც ქვეყნის განვითარების საერთო შედეგებზე აისახება. როდესაც პირიქით ხდება, სახელმწიფო იღებს ისეთ კანონებს, ადგენს თამაშის ისეთ წესს, რომელიც ინდივიდის მოტივაციასა და ინტერესს არ ასტიმულებს, მისი რეალიზაციის გარემოს არ ქმნის. საქმე გვაქვს ისტორიულად ცნობილ მოვლენასთან, როდესაც სახელმწიფო ამუხრუჭებს, ან არასწორ მიმართულებას აძლევს საზოგადოების განვითარებას.

ამრიგად, ქცევის მოტივაციისა და ინტერესების ორი ნაკადი საზოგადოებრივი გარდაქმნების რთულ პროცესში, რო-

გორც იტყვიან, გარდამავალი უპირატესობით არეგულირებს ეკონომიკურ განვითარებას. ცხადია, მათი ინტერესების გაერთიანებაა საჭირო, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის უმთავრესი მაინც განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისად სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური როლის სწორი განსაზღვრაა.

მეათე, თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის შექმნა და ეფექტიანად გამოყენება. მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ, მთავრობამ, პროფკავშირებმა, სხვა სახის გაერთიანებებმა (მომუშავეთა ინტერესების დაცვა) და საწარმომ (ინდივიდებმა) ხელი უნდა შეუწყოს სოციალური თანხმობის მიღწევის რთული პროცესების რეგულირების ისეთი მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც ცნობილ სამმხრივი ხელშეკრულების ტრადიციულ სქემას ეყრდნობა და სრულად ითვალისწინებს კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებს, ტენდენციებს.

მეთერთმეტე, ახალი აზროვნების დამკვიდრება (ინოვაციური გარემოს შექმნა), ახალი მიდგომების გამოყენება, ფინანსური ოლიგარქიის ინტერესების გავლენიდან ეკონომიკური პოლიტიკის განთავისუფლება, მეწარმეობის განვითარების სტიმულირება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება გარდამავალი პერიოდის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციათა რიგს განეკუთვნება.

თანამედროვე გარდაქმნებში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური და სხვა ფუნქციების შესრულებას კომპეტენტური, მაღალი მორალურ-მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კადრები სჭირდება. მათი შერჩევისას მხოლოდ ერთი კრიტერიუმით უნდა ვისარგებლოთ: რამდენად პასუხობენ ქვეყნის განვითარების ინტერესებს. როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები არ ასრულებენ თავიანთ უშუალო მოვალეობას – ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მმართველ ელიტას ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარების ჩამორჩენისათვის.

გარდამავალ პერიოდში ჩამოყალიბდა ნომენკლატურული ელიტის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურ ძალაუფლებასაც ფლობდა. იგი მოხერხებულად მოერგო საბაზრო პრინციპებს, სახელმწიფოს ამოფარებული აკონტროლებდა საკუთარი ბიზნესის განვითარების სტრატეგიას.

მმართველი ელიტა რეალურ სოციალურ ძალად ჩამოყალიბდა, რომელიც არსებითად წყვეტდა (წყვეტს) რეფორმის ბედს, საკუთარი შეხედულებებით (რომელიც უფრო მეტად სუბიექტურ მიდგომებს ეფუძნება) განსაზღვრავდა (განსაზღვრავს) უცხოეთის კაპიტალის, საგარეო ვალების, საკრედიტო რესურსების გამოყენების, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის, საგადასახადო პოლიტიკის პრინციპებს.

საზოგადოების განვითარების სასურველ ტრაექტორიაზე გასვლა მხოლოდდამხოლოდ ძლიერ სახელმწიფოსა და კორუფციისაგან დაზღვეულ ხელისუფლებას შეუძლია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებს სახელმწიფო ბაზრის სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის რეგულატორის როლს.

გამოსავალი ერთადერთია: შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, რომლებიც შეასრულებენ საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის (და არა მისი შემაფერხებლის) ფუნქციას. ეკონომიკური და მმართველობითი კრიზისიდან გამოსვლა მართვის ძლიერი სისტემით უნდა მოხდეს. ასეთია რეფორმების წარმატებით განხორციელების პირობა.

მეთორმეტე, „ზემოდან“ რეფორმების განხორციელებისას კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება – საზოგადოების საშუალო ფენის, როგორც საბაზრო ეკონომიკის მთავარი სოციალური ძალის, ფორმირების საკითხი. ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ელიტას („ზემოთ“ მყოფთ) და მშრომელებს („ქვემოთ“ მყოფთ) შორის არსებობს და ფუნქციონირებს შუალედური ფენა, რომელიც ორივესაგან განსხვავდება და ასრულებს ეკონომიკური სისტემის სტაბილიზატორის როლს. მისი ეკონომიკური ბაზა მცირე და საშუალო ბიზნესია, რომელიც საქართველოში სახელმწიფოსაგან

მხარდაჭერით არ სარგებლობს. განვითარების დღევანდელ ეტაპზე საშუალო ფენა უნდა ჩამოყალიბდეს რეალურ სოციალურ ძალად, რომელიც შეძლებს საკუთრებისა და დოვლათის გადანაწილების პროცესის სწორად წარმართვას, რეალური მესაკუთრის ჩამოყალიბებას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვას, ეკონომიკური პოლიტიკისათვის ხელის შეწყობას, უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვას და ა.შ. მომავალში საშუალო ფენამ (მცირე და საშუალო ბიზნესმა) რეფორმათა განხორციელების მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე უნდა აიღოს. ასეთ სოციალურ ძალად მისი ჩამოყალიბება სახელმწიფოს აქტიური სოციალური მიმართულების ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გარეშე შეუძლებელია (იგულისხმება, რომ იგი ეყრდნობა სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის ერთიანობას, განვითარების ტენდენციების ანალიზს, მსოფლიო სამეურნეო გამოცდილებას და ა.შ.).

მეცამეტე, „ზემოდან“ გარდაქმნები საჭირო შედეგს მაშინ იძლევა, როცა მაკროეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიკროდონეს მოწყვეტილი არ არის (როგორც ეს დღესაა). „ქვემოდან“ მხარდაჭერის გარეშე, ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე კარგად გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა რეალურად ვერ განხორციელდება. მიკროდონეზე ყალიბდება ეკონომიკის სოციალიზაციის პრინციპთა ობიექტურად შეფასების კრიტერიუმები, სახელმწიფო პოლიტიკის, სოციალურ ფასეულობათა, ეკონომიკური მიზნების, მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ავკარგიანობა. რეალურად სწორედ მიკროდონეზე დგება ცხოვრების ხარისხის პრობლემები, ყალიბდება მატერიალური წარმოებისა და მომსახურების დონე, ასევე მათი განაწილების, მითვისებისა და მოხმარების ხასიათი და სტრუქტურა. მიკროდონეზე წყდება თვით ეკონომიკური გარდაქმნების სოციალური ორიენტაციის იდეის გადარჩენის ბედი. სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფო ამ პრობლემებს მხოლოდ „ზემოდან“ – მაკროეკონომიკური პო-

ზიციებიდან უყურებს, თანაც ეკონომიკურ პროცესებში რაც შეიძლება ნაკლებად ჩარევის პრინციპის დაცვით. ამის გამო, ხშირად ინფლაციის დაბალი დონით, რაც განვითარების აუცილებელი ფაქტორია, ცდილობენ დაასაბუთონ მთლიანად ეკონომიკური ზრდის ხელსაყრელი გარემოს არსებობა. ეს ცალმხრივი მიდგომაა. როგორც ექიმს არ შეუძლია პაციენტის მკურნალობაში იხელმძღვანელოს საავადმყოფოში გაზომილი საშუალო ტემპერატურით, ისე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ზოგიერთი სიმპტომი არ არის საკმარისი, რათა რეალურად შეფასდეს საწარმოს საქმიანობა. თითოეულ საბაზრო სუბიექტს (მით უმეტეს, ფორმირებისას) ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ყველა სუბიექტის მუშაობაში ერევა. იგი ვალდებულია შექმნას ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული „სივრცე“, რომელშიც მეწარმეობის განვითარება ნორმალურად შესაძლებელი გახდება. ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდება კერძო სექტორს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის, მსხვილი სამეურნეო სტრუქტურათა კოორდინაციის სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული საფუძვლების მომზადებას. ასეთ პირობებში კონკურენტული გარემო შეიქმნება წარმოების სფეროშიც. ცნობილია, რომ მხოლოდ კონკურენტულ გარემოში მოქმედებს სახელმწიფო, როგორც ბაზრის სუბიექტი. საბაზრო სისტემამ კი შეიძლება ძალიან ადვილად დაკარგოს კონკურენტული ხასიათი, თუ მას გარედან სათანადო მხარდაჭერა და ისიც უპირველესად სახელმწიფოსაგან არ ექნება.

ამრიგად, მიკროდონეზე უნდა გადაწყდეს სახელმწიფოსა და ბაზრის სიმბიოზის ცენტრალური საკითხი – კონკურენტული გარემოს შექმნა და მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით რეგულირება.

დღევანდელ სიტუაციაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გააქტიურება რეალურად უნდა აისახოს სოციალურ და ეკონომიკურ პროცესთა რეგულირების მოქნილი მექანიზმების გამოყენებაზე. აქტუალურია ქვეყნის სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების დაგეგმვის სრულყოფა, პოლიტიკის რეალურ სინამდვილესთან, სტრატეგიულ ამოცანებთან უშუალოდ დაკავშირება, განვითარების პრიორიტეტების სწორად შერჩევა, ეკონომიკური გარდაქმნების მეცნიერული მეთოდოლოგიით წარმართვა (კომპლექსურობა, თანმიმდევრობა, მოვლენებს შორის ლოგიკური კავშირი და სხვა). ყველა სახის კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება, ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობების სრულყოფა, სამამულო წარმოების ინტერესების შესაბამისად საგარეო – ეკონომიკური განვითარება და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული თავისებურებების და ტენდენციების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა. მისი მიზანი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: **სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირებას. იგი ემყარება საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების ოპტიმალურ შეხამებას, ითვალისწინებს საზოგადოების მრავალფეროვან ინტერესებსა და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე (ეროვნული მენტალიტეტი, ტრადიციები) დაყრდნობით განსაზღვრავს კონკრეტულ სიტუაციას მორგებულ სამეურნეო მექანიზმს, მოქმედების ეტაპებს, რაციონალურად ანაწილებს კვალიფიციურ კადრებს, მიმდინარე პროცესების ანალიზის შედეგად შეაქვს აუცილებელი კორექტივები ადრე შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემაში.**

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლის, მისი ფუნქციების, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურების, ტენდენციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები გამომდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზიდან, ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ზოგიერთი მოსაზრება, მით უმეტეს, მიდგომა ეკონომიკური გარდაქმნების რთულ პროცესში, შეიძლება შეიცვალოს სრულიად ახლით.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის მთავარია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კურსის, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური ღონისძიებების ისეთი სისტემის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბებას, ეკონომიკის მდგრად ზრდას, საბოლოო მიზნის – ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლების – განხორციელებას.

2.3. სოციალური პოლიტიკა: არსი, პრინციპები, მიმართულებები

საზოგადოება-ეკონომიკა-სახელმწიფოს მრავალმხრივ ურთიერთობათა სისტემაში სოციალური პოლიტიკა ტრადიციულად მაკოორდინირებელ ფუნქციას ასრულებს და სოციალური ცხოვრების რეგულირებას უზრუნველყოფს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური პოლიტიკის როლი საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, თვისებრივად შეიცვალა როგორც ეკონომიკის, ისე სოციალური სფეროს განვითარების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ახალი პრინციპებით ყალიბდება მატერიალური დოვლათის ფორმირება-განაწილების, სოციალურ-კულტურული სფეროს დაფინანსების, სოციალური დაცვის და ა.შ. პროცესები.

ნიშანდობლივია, რომ, ერთი მხრივ, ეკონომიკაში იქმნება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საფუძვლები, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. ეს დამოკიდებულება რეალურად გამოვლინდა ეკონომიკის ტრანსფორმაციულ პროცესებში. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთიანი სისტემის ორ შემადგენელს შორის ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხი და ხასიათი, ბუნებრივია, ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზანმიმართულ რეგულირებას მოითხოვს.

ცნობილია, რომ საზოგადოება დაყოფილია ფენებად (ჯგუფებად), მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასებია. თითოეულ ფენას (ჯგუფს) თავისი ინტერესები აქვს, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს ან უპირისპირდებოდეს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრება და შესაბამისად, განვითარების პროცესი ერთ სივრცეში მიმდინარეობს. განსხვავებული ინტერესების ურთიერთობათა კონკრეტული ფორმებიც მრავალსახოვანია (კონფლიქტები, სამოქალაქო თანხმობა, პარტნიორობა და სხვა). ამგვარ ვითარებაში აუცილებელია სოციალურ ფენებს (ჯგუფებს) შორის ურთიერთობების რეგულირება.

ურთიერთქმედების ხასიათის (ინტერესების) მიხედვით განასხვავებენ სხვადასხვა სახის პოლიტიკას. მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკა, დემოგრაფიული პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და ა.შ.

ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება სოციალური პოლიტიკის შემდეგი განმარტება: საზოგადოებაში ჩამოყალიბებული კლასების, სოციალური ფენების (ჯგუფების) ურთიერთდამოკიდებულება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შენარჩუნებისა და შეცვლისათვის (არსებულის დაცვა, რადიკალური შეცვლა, სრულყოფა და ა.შ.).

როგორც ჩანს, სოციალური პოლიტიკის მთავარი ობიექტი საზოგადოების სხვადასხვა ფენების (ჯგუფების, კლასების) სოციალური მდგომარეობაა. იგი განისაზღვრება შემდეგი პირობებით: როგორია საზოგადოებრივი მოწყობა, როგორ პრინციპებს ეყრდნობა იგი: სოციალურ კომპრომისს, სოციალურ პარტნიორობას თუ საზოგადოების შინაგან დაპირისპირებას, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. ვის აქვს საზოგადოებაში ძალაუფლება, როგორც სოციალური მდგრადობის მხარდაჭერის საშუალება, ვის ინტერესებს გამოხატავს იგი, როგორია ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძვლები. ამ შემთხვევაში იგულისხმება, თუ ვის ეკუთვნის საკუთრება, ვინ იღებს ეკონომი-

კაში გადაწყვეტილებებს, როგორია ეკონომიკური გარემო, ანუ არსებობისა და განვითარების საშუალებებით უზრუნველყოფა, როგორია შემოსავლების განაწილების პრინციპი, ჯანმრთელობის, საცხოვრებლით უზრუნველყოფის და სხვა პირობები, რამდენად უზრუნველყოფილია ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მექანიზმები, როგორი პრინციპებითა და მექანიზმებით ხდება სოციალური დაცვა და სხვ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მთლიანობაში წარმოადგენს საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული სოციალური ჯგუფების, ასევე მთელი საზოგადოების მდგომარეობას [127.576].

სოციალური პოლიტიკა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: დემოგრაფიული, ცხოვრების დონის, მოსახლეობის დასაქმების, შრომის ბაზრის, ჯანმრთელობის, განათლების (მეცნიერების), კულტურის განვითარების, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კრიმინალიზმთან ბრძოლის, ეკოლოგიის გაჯანსაღების, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა მაჩვენებლებს [115.98].

სოციალური პოლიტიკის სუბიექტებია: მოქალაქეები და სოციალური ჯგუფები, აგრეთვე მათი წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, ორგანიზაციები, ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც აქტიურად ურთიერთმოქმედებენ სოციალურ სფეროში, ე.ი. ის, ვინც იცავს მოქალაქეებისა და სოციალური ჯგუფების ინტერესებს [127.579].

თანამედროვე მსოფლიოში გაძლიერდა ინტერესი სოციალური პრობლემების მიმართ. ზოგიერთ ქვეყანაში სოციალური პასუხისმგებლობა კონსტიტუციურად განმტკიცდა და განსაკუთრებული ტიპის – სოციალური სახელმწიფოს სტატუსით განისაზღვრა.

მეცნიერებაში პირველად ცნება „სოციალური სახელმწიფო“ გამოიყენა გერმანელმა ეკონომისტმა ლ. შტეინმა. ნიშანდობლივია, რომ მისი თეორია გერმანიაში წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის ანალიზის შედეგად. მეცნიერის

აზრით, სახელმწიფოს იდეა მდგომარეობს თავისუფლებისა და თანასწორობის აღდგენაში, ქვედა, გაღატაკებული ფენების ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ყველა მოქალაქე თანაბრად უნდა ეზიაროს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ პროგრესს, რამდენადაც თითოეულის განვითარება სხვა დანარჩენის განვითარების წინაპირობასა და შედეგს წარმოადგენს. ლ. შტეინი ასეთ სახელმწიფოს საზოგადოებრივს ანუ სოციალურს უწოდებდა. ბურჟუაზიული სახელმწიფოს, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ გარდაქმნის კონცეფცია 1879 წელს გერმანელმა ეკონომისტმა ა. ვაგნერმა წამოაყენა. შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის რიგ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა სოციალური ტიპის სახელმწიფოების კონსტიტუციური აღიარება. პირველად გფრ 1949 წელს გამოცხადდა „დემოკრატიულ და სოციალურ ფედერაციულ სახელმწიფოდ“. 1958 წელს საფრანგეთმა გამოაცხადა, რომ იგი სოციალური, დემოკრატიული რესპუბლიკაა. სოციალურ სახელმწიფოდ დღეს აღიარებულია იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, შვედეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი.

საქართველომ გააკეთა თავისი არჩევანი და 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაიწერა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“ [65]. ამით გაცხადდა, რომ ქართული სახელმწიფო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იღებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

სოციალური სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ქვეყნის სოციალური მეურნეობის მდგრადი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მოსახლეობის რეალური მონაწილეობა წარმოების, მომსახურების სფეროს, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მართვაში, დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინტერესების სასარგებლოდ სატარიფო პოლიტიკის გატარება; სო-

ციალური სფეროს დარგების: განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის და ა.შ. დაცვა; იმ პირების დაცვა, რომელთაც არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა; თითოეული მოქალაქისათვის თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და ა.შ.; შემოსავლების სამართლიანი განაწილებისა და მოქალაქეთა სოციალური სოლიდარობის პოლიტიკის გატარება; აქტიური სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პარტნიორობის განხორციელება და სხვ.

საყოველთაო აღიარებით, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არის სახელმწიფოს მოქმედება სოციალურ სფეროში, რომელიც მოცემულ დროში კონკრეტულ მიზანს ისახავს, განვითარების ეტაპების მიხედვით განსაზღვრავს ამოცანებს, უზრუნველყოფს ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას. საგულისხმოა შემდეგი თავისებურებაც. ცენტრალიზაციის პრინციპებზე ფუნქციონირებად საზოგადოებაში სოციალური პოლიტიკა ტოტალიტარულ რეჟიმში ხორციელდება, დემოკრატიულში – დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტების ერთობლივი ძალისხმევით [127.579]. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური პოლიტიკა არ არის მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა, თუმცა სახელმწიფო ნებისმიერ ვითარებაში უნდა ასრულებდეს სოციალური პრობლემების კომპლექსური და თანმიმდევრული გადაწყვეტის მარეგულირებელი ცენტრის ფუნქციას.

სოციალური პოლიტიკის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის, რომ საზოგადოების ცხოვრების ძირითადი მახასიათებლები თვისებრივად იცვლება თვით საზოგადოების ინტენსიური განვითარების კვალობაზე. ამ პროცესის წარმართვა დამოკიდებულია იმაზე, თუ საზოგადოება რამდენად მზადაა კომპლექსურად განახორციელოს ინოვაციები (მაგალითად, ეკონომიკაში, მეცნიერებაში, მართვაში, სოციალურ სფეროში, კანონმდებლობაში და ა.შ.). ანგარიშგასაწევია განვითარების სოციალური განზომილების მზარდი მნიშვნელობა, ტენდენცია, რომელიც XX საუკუნეში რეალუ-

რად ჩამოყალიბდა და ადასტურებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანობას, მათი ურთიერთგანპირობებულობის მაღალ ხარისხს. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სოციალური სტაბილურობა და მასთან დაკავშირებული რთული პრობლემების გადაწყვეტა მიზანშეწონილია ევოლუციური განვითარების გზით და არა რევოლუციური მეთოდებითა და ხერხებით. ეს იმიტომ, რომ ევოლუციური მიდგომა ეყრდნობა კომპრომისებისა და სოციალური პარტნიორობის პრინციპებს, ე.წ. სახელშეკრულებო ურთიერთობებს. შემთხვევითი არ არის, რომ სოციალური პარტნიორული ურთიერთობების ფორმები ეფექტიანად გამოიყენება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. დღეს სოციალური პარტნიორობა საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში სიცოცხლისუნარიანია და მზარდ ინსტიტუტადაა აღიარებული. ამიტომ მიზანშეწონილია ზოგადად გავეცნოთ მისი ფორმირების და ფუნქციონირების პრინციპებს.

პირველ თავში აღინიშნა, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის გერმანულ მოდელში სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტს წამყვანი როლი აკისრია. დადასტურებულია, რომ სოციალური პარტნიორობა ურთიერთობათა განსაკუთრებული სისტემაა, რომელიც არეგულირებს დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის ურთიერთობებს სახელმწიფოს და პროფკავშირების მონაწილეობით. სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში სამი სუბიექტის მონაწილეობა განპირობებულია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით, მოცემულ სიტუაციაში სტაბილურობის შენარჩუნება-განმტკიცების ამოცანებით, ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების ერთიანობით.

სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების აუცილებლობა უშუალოდ უკავშირდება კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების განვითარებას. საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად წარმოების საშუალებათა მესაკუთრენი ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, დაქირავებულები, რომლებსაც წარმოების საშუალებები არ გააჩნდათ და იძუ-

ლებული იყვნენ თავიანთი სამუშაო ძალა გაეყიდათ, მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც კონფლიქტების პროვოცირებას უწყობდა ხელს. საჭირო გახდა მათი ინტერესების მარეგულირებელი მექანიზმის ჩამოყალიბება[1].

გარკვეული გამოცდილების დაგროვების შედეგად გაფართოვდა პროფკავშირული მოძრაობა, რამაც გამოიწვია დამქირავებელთა და დაქირავებულთა სოციალურ-შრომით ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩართვა. ამ სუბიექტების მონაწილეობით ჩამოყალიბდა სოციალური პარტნიორობა. XX საუკუნის 60-70-იან წლებში კოლექტიური სახელშეკრულებო ფორმით სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების მექანიზმი ეფექტიანი აღმოჩნდა.

სოციალური პარტნიორობისას დაქირავებულთა და დამქირავებელთა ინტერესების გათვალისწინება სოციალურ-შრომით ურთიერთობებში ხდება მოლაპარაკებების გზით და კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მიღებით. არსებული პრაქტიკით კოლექტიურ ხელშეკრულებაში ფიქსირდება შეთანხმება შემდეგ საკითხებზე: **ხელფასის და სხვა ფულადი ანაზღაურების სიდიდე, ფასების ზრდის დროს ხელფასის რეგულირების მექანიზმი (ინდექსაცია), ღამის საათებში ან სადღესასწაულო პერიოდში ფულადი კომპენსაციის სისტემა; დასაქმება და გადამზადება, სამუშაო დღის ან სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, შრომის დაცვა და შრომის პირობები, ადმინისტრაციისა და მუშაკთა ძირითადი მოვალეობანი, კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ა.შ.** [127.672]

---

1 **XIX საუკუნის ბოლოდან დაქირავებულთა ინტერესებს აქტიურად იცავდნენ მათი გაერთიანებები – პროფკავშირები. 1868 წელს შეიქმნა ბრიტანეთის ტრედ-იუნიონთა კონგრესი, 1898 წელს – ბელგიის პროფესიული კომისიები, 1906 წელს დაიწყო რუსეთში პროფკავშირული მოძრაობა, ხოლო აშშ-ში 30-იან წლებში პროფკავშირები ლეგალიზებულ საქმიანობას იწყებენ. XIX საუკუნის ბოლოს ინდუსტრიულ ქვეყნებში თანდათანობით იქმნება შრომითი კანონმდებლობა. მაგალითად, 1907 წელს მიღებულ იქნა დანიის სამოქალაქო კოდექსი, 1911 წელს – შვეიცარიის 1918 წელს – გერმანიის, 1919 წელს საფრანგეთის კოდექსი. 1919 წლიდან ფუნქციონირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია [127.667].**

სოციალური პარტნიორობა გარკვეულ პრინციპებს ემყარება. თანამედროვე პირობებში ყველაზე უფრო გავრცელებული პრინციპები განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და წარმოდგენილია შემდეგნაირად: **სოციალური თანასწორობა, როგორც საყოველთაო სტაბილურობის საფუძველი; შრომის მისაღები პირობების შექმნა; სიტყვის თავისუფლება და გაერთიანებათა თავისუფლება. სიღარიბე საფრთხეს უქმნის საყოველთაო კეთილდღეობას, ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება მატერიალურ კეთილდღეობასა და სულიერ განვითარებაზე თავისუფლებისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობებში; სრული დასაქმება და ცხოვრების დონის ამაღლება**. ამ საერთო უნივერსალური პრინციპების გარდა ცალკეულ ქვეყანაში განისაზღვრება სპეციფიკური პრინციპებიც, რომლებშიც აისახება ადგილობრივი თავისებურებანი (ტრადიციები, გამოცდილება და ა.შ.). პარტნიორობის სისტემაში ასევე განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი და ფუნქციები. **იგი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ინსტიტუტის როლს ასრულებს, ქმნის სოციალური პარტნიორობის სამართლებრივ საფუძვლებს, მხარეთა ინტერესების რეგულირების მექანიზმებს, განსაზღვრავს მინიმალურ სოციალურ-შრომით სტანდარტებს (მინიმალური ხელფასი, სოციალური გარანტიები და ა.შ.), მონაწილეობს კოლექტიური კონფლიქტების გადაწყვეტაში** [127.669].

სოციალური პარტნიორული ურთიერთობები საქართველოში დაბალ დონეზეა. არაეფექტურად მოქმედებენ როგორც დაქირავებულთა, ასევე დამქირავებელთა გაერთიანებები, პროფკავშირები, შემარიგებელი ან შემათანხმებელი ორგანოები, კომისიები და ა.შ. სუსტია სოციალური პარტნიორობის სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზაც.

თანამედროვე პირობებში სოციალური პოლიტიკის განსაზღვრისას აუცილებელია დავიცვათ რამდენიმე პრინციპული მოთხოვნა. **პირველი.** მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, ჩამოყალიბებული ტენდენციებისა და თავისებურებათა ანალიზი და ადგილობრივი პირობების შესაბამისად მათი

გათვალისწინება. საქართველოსათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის ფორმირება-განხორციელების მდიდარი გამოცდილების შესწავლას.

როგორც აღინიშნა, სოციალური პარტნიორობა ევროპული სოციალური პოლიტიკის წამყვანი ინსტრუმენტი და სოციალური დიალოგის ეფექტიანი ფორმაა. ევროპულ მოდელში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სახელმწიფოსა და ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას და ადგილობრივი პირობების შესაბამისად მათ გამოყენებას. ევროპული სოციალური პოლიტიკის ახალი ასპექტები უკავშირდება მდგრადი განვითარების კონცეფციას, რომელიც ეფუძნება ინდუსტრიულიდან სოციალურად ორიენტირებულ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე ევოლუციური გადასვლის პრინციპებს და მისი მიზანი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების ინტეგრირება და ერთიანი, მთლიანობითი პროცესით წარმართვაა. სოციალური პოლიტიკა დღეს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. შემუშავებულია ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ორიენტირებს, რაც ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განსაზღვრის მყარი საფუძველია. ცხოვრებაში დამკვიდრებული ცნებები: სოციალური სივრცე, სოციალური ბაზა, ადამიანისეული რესურსები, სოციალური ტექნოლოგიები, სოციალური ეკოლოგია და სხვ. გამოხატავენ სოციალური განვითარების სახელმწიფოებრივი და ზენაციონალური რეგულირების მზარდ მნიშვნელობას.

ევროკავშირის საერთო სოციალური პოლიტიკის კონცეფციის შექმნას სამი განმაზოგადებელი დოკუმენტი დაედო საფუძვლად. **თეთრი წიგნი** (ეკონომიკური ზრდის, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების შესახებ); გამოწვევები და XX საუკუნეში შესვლის გზები (1993 წ.). **მწვანე წიგნი** – ევროპული სოციალური პოლიტიკა: ფიქრები კავშირისათვის (1993 წ.); და **თეთრი წიგნი** – „ევროპული სოციალური პოლიტიკა: გზა კავშირისათვის (1995 წ.) [132.232].

მეორე, თანამედროვე პირობებში სოციალური პოლიტიკა, როგორც ასეთი, მოწოდებულია არა მარტო ტრადიციული ხერხებით მიუდგეს მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, განმუხტოს არახელსაყრელი პოლიტიკური და სოციალური სიტუაციები, არამედ შეიმუშავოს (პროგნოზირება) და განახორციელოს პრევენციული ზომები (სტრატეგიული დაგეგმვა, მიზნობრივი პროგრამები სოციალური კონფლიქტების ასაცილებლად და სხვ.), რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების კონსოლიდაციას, ქვეყნის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას. ამიტომ მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში არსებითია მოქალაქეთა შესაძლებლობების (ადამიანისეული კაპიტალი) მაქსიმალურად გამოყენება, ადამიანის, კოლექტივის, სახელმწიფოს, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობის ერთიანობა და რესურსული პოტენციალის მიზანმიმართული ამოქმედება.

მესამე, სოციალურ პოლიტიკაში ამოსავალი საწყისი სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაა. სოციალური სამართლიანობა არ ნიშნავს შემოსავლების განაწილების გათანაბრებითი სისტემის გამოყენებას. პირიქით, იგი გულისხმობს ყველა მოქალაქისთვის თანაბარი სასტარტო შესაძლებლობების შექმნას, რაც ნიშნავს ეკონომიკის სოციალიზაციის ისეთი პრინციპების დამკვიდრებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების ფორმირებას და არა იმას, რომ ბეჯითისა და ზარმაცის შრომის შედეგი თანაბრად განაწილდეს, რაც ახლო წარსულში საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად იყო აღიარებული, ქონებრივი დიფერენციაციის გავლენის შერბილებას და არა უარყოფას, სოციალური გარანტიების საიმედო სისტემის ჩამოყალიბებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას.

სოციალური განვითარების პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის ეკონომიკური აქტიურობის ამაღლების ყოველმხრივ სტიმულირებას, რათა მან შეძლოს საკუთარი უნარის (შესაძლებლობების) მაქსიმალუ-

რად გამოვლენა და საკუთარი შრომით ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა. ეს რთული პროცესია. მით უმეტეს, გარდამავალ პერიოდში, როცა იმსხვრევა არსებული სტერეოტიპები, თვისებრივად იცვლება საზოგადოებრივი ცნობიერება. ალტერნატიული მიდგომების მრავალფეროვნებაში ადამიანებს უჭირთ საქმიანობის სწორად განსაზღვრა.

გარდამავალ პერიოდში, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში, აღინიშნა სხვის ხარჯზე ცხოვრების ფსიქოლოგიის უპირატესად დამკვიდრების პროცესი, მაშინ, როცა ექსტრემალურ პირობებში აუცილებელია ქვეყნის მატერიალური, მორალური, ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედება, ადამიანების ბეჯითი და ეფექტიანი შრომა, პროფესიული ცოდნა, მაღალი ზნეობრიობა, პასუხისმგებლობა და სხვ.

მეოთხე, გარდამავალმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას ფასეულობის ინტეგრალური სისტემა, რათა თავიდან ავიცილოთ ცალკეული დოგმების (სტერეოტიპების) გავლენით რომელიმე ფასეულობაზე (თუნდაც მხოლოდ დასავლეთის) ცალმხრივი ორიენტაცია. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე პირობებში მთავარია შეიქმნას ეროვნულ ფენომენზე დაფუძნებული ეკონომიკური კულტურის (ბიზნეს-კულტურის) ფორმირების მყარი საფუძვლები. ამოსავალი საწყისი უნდა იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური, საზოგადოებრივი ინტერესების შეხამების ფორმების სწორად შერჩევა, განსაზღვრული მიზნის განხორციელების საშუალებებისა და საზოგადოების სოციალური ენერგიის ერთიანი სტრატეგიით გამოყენება. **სოციალური პოლიტიკა მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის ურთიერთგანპირობებულობის პრინციპების განუხრელად დაცვა, რაც უზრუნველყოფს მყარი მატერიალური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური პირობების შექმნას, მთლიანად საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი გამორჩეული ნაწილის) კეთილდღეობას.**

მეხუთე, ნორმალურად განვითარებად ეკონომიკაში სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის ორმხრივი ურთიერთობა ყალიბდება. ჯერ ერთი, მოსახლეობა ურთიერთობების აქტიური სუბიექტია – იგი ფლობს საკუთრებას, შრომობს, ქმნის მშპ-ს და საკუთარ შემოსავლებს, იხდის გადასახადებს, ყიდულობს საქონელს და ა.შ. მეორე მხრივ, მოსახლეობა სახელმწიფოს ფუნქციების ობიექტიცაა, რომელსაც თანამედროვე პირობებში აღნიშნავენ ცნებით – „სოციალური დაცვა“. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს პოლიტიკა ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებრივი ცხოვრება რთულია, იგი მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა გავლენით მიმდინარეობს. ადამიანი მუდმივად განიცდის გარემოს გავლენას, ხვდება ნეგატიურ სიტუაციებში, დიდია რისკის ალბათობა. ამასთან, ცნობილია ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც გარდაუვალობით ხასიათდება (მაგალითად, სიბერე, ავადმყოფობა და ა.შ.). საზოგადოებაში ყოველთვის შეიძლება წარმოიშვას სამუშაო ადგილის დაკარგვის რისკი, დანაშაულის ხელშემწყობი გარემო და ა.შ. ასეთ პირობებში (რომელიც თანმდევი პროცესია საზოგადოებრივი ცხოვრებისა) სახელმწიფოს ამოცანაა ხელი შეუწყოს არსებული ნეგატიური სიტუაციების შერბილებას. აქედან **გამომდინარეობს, რომ „სოციალური დაცვა“ არის სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფას ცხოვრების დონის სფეროში: შრომის უფლება, სოციალური უზრუნველყოფა, დასაქმებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, განათლების მიღებაში მხარდაჭერა და ა.შ.** [127.646].

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი რგოლია ხელფასი, დასაქმება, ტრანსფერი, ე.ი. საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის შემოსავლები. იმისათვის, რომ წარმოება გაფართოვდეს, საჭიროა გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. ფულადი შემოსავლები ძირითადად განისაზღვრება ხელფასით რეალურ სექტორსა და საბიუჯეტო სფეროში, ასევე პენსიებით და სხვა წყაროებით.

ამრიგად, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელ ზრდაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას მატერიალური საფუძველი სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში სოციალური დაცვის ძირითადი მიმართულებებია: **მოსახლეობის შემოსავლების ინდექსაცია** (იგულისხმება ფასების ზრდასთან დაკავშირებით რეალური შემოსავლების შენარჩუნება); **შემოსავლების მიხედვით მინიმალური სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა**. აქ მთავარია საარსებო მინიმუმის სწორი განსაზღვრა და დაცვა, ხელფასი და პენსია უნდა გაიზარდოს თუნდაც საარსებო მინიმუმის დონეზე; **სოციალური სფეროს რეგულირება სახელმწიფოს მინიმალური სტანდარტებისა და ნორმატივების დახმარებით**. ესაა ბიუჯეტის ხარჯები შრომისუნარო მოსახლეობის განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელზე, სოციალურ მომსახურებაზე; **შეღავათების გავრცელება**. აქ იგულისხმება ინვალიდებისათვის მედიკამენტების ზოგიერთი ჯგუფის უფასოდ ან ფასდაკლებით მიყიდვა და სხვ.; **სოციალური დაზღვევა**. ამ პროცესში მონაწილეობს სამი სუბიექტი: **დამსაქმებელი, დასაქმებული და სახელმწიფო**. სოციალური დაზღვევის ამოცანაა ცხოვრების დონის შენარჩუნება იმ შემთხვევაში, თუ მან შრომისუნარიანობა და ხელფასი დაკარგა (დაავადება, სიბერე, ტრამვა, უმუშევრობა). სოციალური დაზღვევის როლი განსაკუთრებით დიდია განვითარებულ ქვეყნებში (ევროპა, ძირითადად სკანდინავიის ქვეყნები); **სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება**. სოციალური უზრუნველყოფა მიმართულია მოხუცების, ინვალიდების, მარჩენალდაკარგულების, ბავშვების მხარდასაჭერად. რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, მას არა აქვს სისტემური ხასიათი. იგი კონკრეტულია და გაეწევა ადამიანებს კრიზისულ სიტუაციებში (მარტოხელობა, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები და სხვ.) [127. 649- 651].

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ეფექტიანობა განსაზღვრავს სოციალური პოლიტიკის შინაარსს, პრინციპებს, მიმართულებებს. რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ეფექტიანობა, მით უფრო მყარი საფუძველი იქმნება ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რაც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

აქვე განვიხილოთ პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულად გამოვლინდა ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესებში, მაგრამ ასახვა ვერ ჰპოვა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში. ცხოვრებამ პირდაპირ დააყენა საკითხი: რამდენად რაციონალურად ვიყენებთ ეკონომიკურ დოვლათს, როგორ ვახდენთ მის სოციალურ სიკეთედ გარდაქმნას? ეს პრობლემა ფართოდაა განხილული პროფესორ გ. მალაშხიას ნაშრომებში. მეცნიერის მიერ წამოყენებულია და ვრცლადაა დასაბუთებული, რომ ადამიანთა არსებობისა და სიცოცხლის აღწარმოებისათვის, საყოველთაო კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური დოვლათის სიუხვესთან ერთად, მნიშვნელოვანია მისი სოციალურ სიკეთეში ტრანსფორმირების პროცესის რეგულირება. ცხადია, დოვლათის დანიშნულება სოციალური სიკეთის შექმნაა. მაგრამ ეს მარტივად არ ხდება. უნდა არსებობდეს პირობები ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთედ რაც შეიძლება სრულად ტრანსფორმაციისათვის. გ. მალაშხიას აზრით, ტრანსფორმაცია დამოკიდებულია რამდენიმე პირობაზე. **ჯერ ერთი**, თუ რამდენად შეიცავს სოციალურ სიკეთეს (კეთილდღეობის პოტენციალს), სარგებლობას შექმნილი დოვლათი. მაგალითად, თამბაქოს ნაწარმისათვის, იარაღის ზედმეტი წარმოებისათვის, მომსახურების ცალკეული სახეობისათვის – აზარტული თამაშები და სხვ., სარგებლიანობა უარყოფითი სიდიდეა, თუმცა ყოველივე ეს ეკონომიკურ დოვლათად განიხილება;

მეორე, არასამართლიანი განაწილებითი ურთიერთობების პირობებში ცალკეულ ადამიანთა ხელში დაგროვილი დიდი ოდენობის დოვლათი, რომელიც არ ხმარდება გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ან სულაც არაა მოხმარების ობიექტი, არ ტრანსფორმირდება რეალურ სო-

ციალურ სიკეთეში. იგი პოტენციურად არის სოციალური სიკეთის მატარებელი. შეიძლებოდა, ვისაც სჭირდება იმას მოეხმარა და მისთვის სიკეთე (სარგებლობა) მოეტანა. მაგრამ ვერ მოაქვს განაწილების მახინჯი, უსამართლო წესის გამო;

მესამე, შექმნილი დოვლათის ნაწილი ვერ ხდება სიკეთის, კეთილდღეობის წყარო იმის გამო, რომ ადამიანები მას არარაციონალურად იყენებენ ან სულაც არ მოიხმარენ უყაირათობის შედეგად. ადამიანები განა ცოტა ნივთებს ვაგდებთ, ვაჩანაგებთ, ვანადგურებთ სრულიად გამოუყენებლად ან ბოლომდე გამოუყენებლად ჩვენი უყაირათობით?

ყოველივე ეს დიდი დანაკარგია. ამას ჩვენ ვუწოდებთ ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთეში არატრანსფორმირებულ ნაწილს. ვთვლით, რომ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისათვის მის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ტრანსფორმაციის კოეფიციენტი ამჟამად ერთობ დაბალია. მისი ამაღლება კი, სიუხვის ზრდასთან ერთად, განაპირობებს კეთილდღეობის ზრდას [40.322-359].

სწორად ვთვლით მეცნიერის პოზიციას. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში შექმნილი ან ფორმირებადი დოვლათის სოციალურ სიკეთედ გარდაქმნა კეთილდღეობის ამაღლების სტრატეგიული რესურსია. სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში ამ მიდგომამ სათანადო ასახვა უნდა ჰპოვოს.

დღეს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულია ტერმინი **„ძლიერი სოციალური პოლიტიკა“**. იგი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტებთან ერთად შეიმუშავებს სოციალურ პოლიტიკას, და მისი პრაქტიკული განხორციელებით აღწევს დასახულ მიზანს. ძლიერი სოციალური პოლიტიკის ანტიპოდია – პასიური პოლიტიკა, როცა სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს თავისი კონსტიტუციური ფუნქციების შესრულებას და ურიგდება ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემის ტენდენციებს. ეს მოვლენა, რომელიც თავისი შინაარსით სოციალურ-პოლი-

ტიკური და ეკონომიკურიცაა, პოსტსაბჭოთა პერიოდში ყველა ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი.

სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორი (მაჩვენებელი). მაგალითად, საერთაშორისო ინდიკატორად მიჩნეულია ჰუმანური განვითარების ინდექსი (იგი სამი ძირითადი მაჩვენებლით იანგარიშება: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე). ძირითად მაჩვენებლებად აღიარებულია:

– ცხოვრების დონის მაჩვენებელი (შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი, ჯინის ინდექსი (შემოსავლების კოეფიციენტის ინდექსი), სიღარიბისა და სიმდიდრის ზღვარი, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი, შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურა.

– მინიმალური სახელმწიფო სტანდარტები (საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი და სხვ.);

– სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, დაავადებების დინამიკა, შობადობის, მოკვდაობის მაჩვენებლები);

– მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლები (დასაქმებულთა თანაფარდობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, თვითდასაქმება, მოსახლეობის მიგრაცია);

– სოციალური დაძაბულობის მაჩვენებლები (მონაწილეობა პოლიტიკურ ღონისძიებებში, გაფიცვებში, დანაშაულის დინამიკა და სხვ.);

– სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები (რეგიონის საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონე, არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები, ფასიანი, შეღავათიანი და უფასო მომსახურების თანაფარდობა);

– მშპ-ში გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების წილი [139.477].

ჰუმანური განვითარების ინდექსის ერთ-ერთი არსებითი უპირატესობაა, რომ იგი იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნების განვითარების მაჩვენებელიც

და შესაბამისად განისაზღვროს ქვეყნის განვითარების პერსპექტივა. გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისად, 174 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე კანადა იყო. შემდეგ თანმიმდევრულად – ნორვეგია, აშშ, ავსტრალია, ისლანდია, შვედეთი, ბელგია, ჰოლანდია, იაპონია და სხვები. მიჩნეულია, რომ ქვეყანა, სადაც ინდექსი 0,500-ზე ნაკლებია, განვითარების დაბალ დონეზე იმყოფება; 0,500-0,799-მდე ინდექსი ქვეყნის განვითარების საშუალო დონის, ხოლო 0,800-ზე მეტი – განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჰუმანური განვითარების ინდექსმა 0,762 შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო განვითარების საშუალო დონის ქვეყნების ჯგუფშია შეყვანილი. 2007 წელს ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 96-ე ადგილზეა, მაშინ როცა 1997 წელს 82-ე ადგილზე იყო. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს საქართველო ამ მაჩვენებლით წინ უსწრებდა რუსეთს, თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს, 2007 წელს საქართველო ჩამორჩება სომხეთს, რუსეთს, უკრაინას.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეტაპების მიხედვით განისაზღვრება პრიორიტეტები. სოციალური განვითარების პრიორიტეტები – ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტა მიჩნეულია სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანებად. გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის მიზნებად (სოციალურ პრიორიტეტებად) აღიარებულია: მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; შრომაში, სოციალურ დაცვაში, განათლებაში, ჯანმრთელობაში, საცხოვრებელი პირობების შექმნაში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების გარანტიები; სოციალური პოლიტიკის ორიენტაცია ოჯახზე, ქალების, ბავშვების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეო-

ბის ნორმალიზაცია, მოკვდაობის მაჩვენებლების შემცირება და ა.შ. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვ. [139.482].

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად (პრიორიტეტად) აღიარებულია მშპ-ს დაჩქარებული ზრდა და სიღარიბის შემცირება. ამ ორი, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი დონით (ხარისხით) გამორჩეული, ამოცანის გადაწყვეტის რთული პროცესი მრავალი ფაქტორის გავლენას განიცდის, ამიტომ განვითარების ეტაპების მიხედვით მოითხოვს ზრდის ორიენტაციის (თუ რამდენად ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას) დაკონკრეტებას და რეგულირების შესაბამისი მექანიზმების ამოქმედებას. სწორედ ამ სიბრტყეზე უნდა განვიხილოთ რეალური მდგომარეობისა და სტრატეგიული მიზნის შესაბამისად ეკონომიკური განვითარების სოციალური მიმართულების კონკრეტული ფორმის (მასშტაბის) შერჩევის საკითხი. ეს ურთულესი ამოცანა საჭიროებს ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შეთანხმებულ მოქმედებას.

სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრის კონტექსტში მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში საქართველოში (ისევე როგორც სხვა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში) სოციალური ამოცანები განვითარების, უფრო სწორად კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარების პრიორიტეტებს წარმოადგენენ. ბუნებრივია, სახელმწიფოს არ გააჩნია მატერიალური და ორგანიზაციული პოტენციალი ერთბაშად და ერთდროულად გადაწყვიტოს ყველა დეკლარირებული სოციალური ამოცანა. ამიტომ მიმართავენ ტრადიციულ ხერხს: განისაზღვრება განვითარების პრიორიტეტები, შემუშავდება პროგრამები, მაგრამ დასახული ამოცანები სათანადო ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარეშე, ბუნებრივია, განუხორციელებელი რჩება. საზოგადოება კი მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მწარე გამოცდილება აქვს. როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე ქვეყნის განვითარების

გარდამავალ ეტაპზე მიღებული სოციალური და ეკონომიკური პროგრამები, როგორც წესი, არ შესრულებულა, მაგალითად, 1 მლნ სამუშაო ადგილის შექმნის, სიღარიბის დაძლევის და სხვა მწვავე სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად სხვადასხვა დროს მიღებული პროგრამების ან დეკლარირებული ვალდებულებების შესრულება სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, თუმცა მას კონსტიტუციით სოციალური სახელმწიფოს ფუნქციების შესრულება აქვს დაკისრებული.

2.4. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეგიონული თავისებურებები

პოლიტიკას ადამიანის საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებათა ერთობლიობას უწოდებენ. ამიტომ მას დროსა და სივრცეში ადამიანისა და საზოგადოების მრავალმხრივი ინტერესების ურთიერთმოქმედების (ურთიერთგანპირობებულობის) დონის (ხარისხის) გამოვლინების კონკრეტულ ფორმად მიიჩნევენ.

გარდამავალ პერიოდში რეგიონული პოლიტიკა წარმოგვიდგება, როგორც ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფოს სტაბილურობას, ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობას.

სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის თავისებურებების და უნიკალურობის გამო ახლებურად გააზრებას მოითხოვს მისი ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები.

რა არის რეგიონული პოლიტიკა, როგორია მისი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები და როგორ მივაღწიოთ რეგიონებში მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას? ეს და სხვა კითხვებიც ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე აქტუალურ მნიშვნელობას იძენს.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ობიექტი ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტული ნაწილია, რომელსაც სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ან სხვა ნიშნით (ეკონომიკური რეგიონი, ზონა განსაზღვრული სტატუსი გააჩნია. პრაქტიკაში განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ერთეულის განსაზღვრისათვის. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორი ტერმინი: **„რაიონი“** და **„რეგიონი“**. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა, პრაქტიკაში ორივე ფაქტობრივად სინონიმად მოიაზრებოდა და ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის სისტემით განისაზღვრებოდა. მაგალითად, საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკა (სახელმწიფო წარმონაქმნი), ქალაქი, რაიონი. დღეს საქართველოს ტერიტორია დაყოფილია მხარეებად, თუმცა ეს კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ახალი სისტემის შექმნამდე არსებული სისტემა სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციული, სრულყოფას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი ორგანიზაცულ-ადმინისტრაციული სისტემის ფუნქციონირება. სოფლებში, დაბებში, ქალაქებში, რაიონებში წარმომადგენლობითი ორგანოების სახით ფაქტობრივად შეიქმნა სახელმწიფო მმართველობითი სისტემის პოლიტიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძველი. ეს ახალი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. ცნობილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საზოგადოებრივი ცხოვრების ის დონეა, რომლის საზღვრებში რეალურად ხდება სახელმწიფოს პოლიტიკის ავკარგიანობის შეფასება. ამ დონეზე კარგად ჩანს სამეურნეო საქმიანობის შედეგები,

სოციალური პარამეტრები (დასაქმება, ანაზღაურების დონე, სოციალური გარანტიები, სოციალური დიფერენციაციის შედეგები),ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემო, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი სრულყოფა ობიექტური პროცესია. მთავარია თვითმმართველობა თანდათანობით მართვის რეალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდეს. თუ როგორ განვითარდება ეს პროცესები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისთვის აუცილებელია რეგიონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სისტემური ანალიზი და შეფასება, ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელის (ქვეყნის) და მოცემული ნაწილის (რეგიონის) მდგრად განვითარებას, მათ ორგანულ ერთიანობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რეგიონების განვითარების ეკონომიკური დონე – მეურნეობის სპეციალიზაცია, დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მდებარეობა და სოციალური – მოსახლეობის სამეწარმეო აქტიურობა, სამეურნეო გამოცდილება, შრომითი რესურსები, დემოგრაფიული სიტუაცია, ცხოვრების დონე და სხვ. ფაქტორები. აუცილებელია ქვეყნისა და რეგიონების ინტერესების დაბალანსების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში ამოსავალ საწყისად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ რეგიონი ასრულებს ერთგვარი ხიდის ფუნქციას, რომლითაც სახელმწიფოს (ცენტრის) პოლიტიკით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პროცესები გადადის მეზო და მიკრო (შინამეურნეობა, ფირმა და ა.შ.) დონეზე. ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი ვითარდება ორმხრივი მოძრაობის პრინციპით – მაკროდან მეზოზე, მიკროზე და პირიქით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეგიონი ფაქტობრივად კომპლექსია, ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში განვითარების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობების ერთიანობაა, რომელიც ადგილობრივი გარემო-პირობების ზეგავლენით ყალიბდება. ეს თავისებურება განსაკუთრებულ აქტუალურობას ანიჭებს ეროვნულ-

სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას. ამიტომ ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მნიშვნელოვანია „სახელმწიფო-რეგიონის“ ურთიერთობების სრულყოფის პრინციპებისა და მექანიზმების განსაზღვრა.

ჩვენი აზრით, „სახელმწიფო – რეგიონის“ ურთიერთობების სრულყოფის საერთო აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ მათი კომპლექსურობა, რომელიც ეფუძნება ორმხრივი ინტერესების დაბალანსებას. დღევანდელ სიტუაციაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ერთიანი ეკონომიკური სივრცისა და სახელმწიფოებრიობის მყარი საფუძვლების შექმნას. შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას და ეროვნული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული წანამძღვრების მომზადებას. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა აღნიშნული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს.

ამასთან, პრინციპულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის და იმ პოლიტიკის, რომელსაც თვითონ რეგიონი შეიმუშავებს და განახორციელებს, პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ერთიანობა. ჩვენი აზრით, პირველი (ცენტრი) ქმნის სათანადო პოლიტიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ საფუძვლებს რეგიონული ინტერესების დასაცავად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული ეკონომიკა რეგიონების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კონცენტრირებული ფორმაა, მათი ნიშან-თვისებების, თავისებურებების, სამეურნეო გამოცდილების ერთობლიობაა. ამიტომ სახელმწიფოებრივი და რეგიონული მრავალმხრივი ინტერესების შეხამებით ფაქტობრივად იქმნება ქვეყნის განვითარების სტრატეგიული რესურსი.

ცენტრმა უნდა შეასრულოს ქვეყანაში ტრანსფორმაციული პროცესების, საერთოდ სტრატეგიული განვითარების

წარმმართველის ფუნქცია, უზრუნველყოს ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარება.

ამრიგად, ორივე – ცენტრი და რეგიონი, მოქმედებს ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, პოლიტიკური და ეკონომიკური პრინციპებით: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარიმართოს ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში.

თითოეულ რეგიონს საკუთარი სოციალური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, გეოეკონომიკური ასპექტები გააჩნია. მათი საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანებთან ოპტიმალური შეხამებით შეიქმნება ორმხრივი ინტერესების ერთიანი პროცესით საერთო-ეროვნული მიზნების განხორციელების პირობები.

სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს თვით რეგიონის კომპლექსური განვითარება. მსოფლიო პრაქტიკაში იგი ცნობილია რეგიონული თვითგანვითარების სახით, როცა ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად, პასუხისმგებლობა განვითარებისთვის ეკისრება ადგილობრივ ორგანოებს. რეგიონი, წარმოადგენს რა მთელის (ქვეყნის) ორგანულ ნაწილს, იმავდროულად გამოდის, როგორც მთელი მისი შემადგენელი ნაწილების მიმართ. მაგალითად, ავტონომიური რესპუბლიკა რაიონის, ქალაქის მიმართ, რაიონი, ქალაქი-სოფლის, დაბის მიმართ და ა.შ. ასეთი მიდგომით შესაძლებელია რეალურად შეფასდეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის არსებული სისტემა, საკუთრებით ურთიერთობათა დონე, განვითარების სოციალური პარამეტრები, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურება, ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა, რეგიონის გეოეკონომიკური როლი და სხვ.

რეგიონულ პოლიტიკაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რესურსების, საერთოდ ადგილობრივი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე, მიღწეულ იქნეს მდგრადი, და-

ბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც, პირველ რიგში, ეკონომიკაში პროპორციების დაცვის, საერთო განვითარების სოციალური ორიენტაციის საკითხებს წინა პლანზე წამოწევს. ამჟამად, რეგიონულ პოლიტიკაში ერთ-ერთ დომინირებადს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობის პრიორიტეტი წარმოადგენს. რეგიონის განვითარება სოციალურად ორიენტირებული უნდა იყოს, რაც ცხოვრების დონეზე ეკონომიკის საერთო შედეგების გავლენის ხარისხს განაპირობებს. ამიტომ რეგიონშიც განვითარების სოციალური ორიენტაცია რეალურად მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ისეთი ფაქტორების ამოქმედებას, როგორიცაა: განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

თანამედროვე პირობებში რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად, პირველ რიგში, სოციალური პრობლემების გადაწყვეტისადმი მიზნობრივ-პროგრამული მიდგომა მიგვაჩნია. მისი უპირატესობა ისაა, რომ იგი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების პრინციპების შეხამებით აყალიბებს ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო და სახელმწიფო სექტორების სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის მიზანმიმართულად კოორდინაციის საფუძველს. თითოეულ რეგიონს უნდა ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი პროგრამა, რომელშიც კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორად უნდა განისაზღვროს ამოსავალი საწყისები. უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია ბუნებრივ-რესურსული, ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პარამეტრების დიაგნოსტიკა. ეს საშუალებას იძლევა რეალურად მოხდეს ტერიტორიის განვითარების რთული პროცესის პროგნოზირება, რაც საფუძვლად დაედება სტრატეგიული ამოცანების განხორციელებისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას. მიზნობრივ-პროგრამული მეთო-

დის გამოყენება მიზანშეწონილია პრინციპით: პრობლემა – მიზანი – რესურსები – ორგანიზაცია – შედეგი (რეალიზაცია). მიზნობრივ-პროგრამული მიდგომის აუცილებლობა რიგი ფაქტორებით განისაზღვრება.

პირველი, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებით ვერ განხორციელდება, თუ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე, ტენდენციები, მათი რესურსული პოტენციალი არ იქნა ობიექტურად შესწავლილ-შეფასებული, თუ ქვეყნის ეკონომიკის ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის სახელმწიფო კონცეფცია, მიმართულებანი, ეტაპები – დიფერენცირებული და გააზრებული ტერიტორიულ ჭრილში ადგილობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

მეორე, რეგიონებს ერთმანეთისგან განსხვავებული შესაძლებლობანი, კონკრეტული ბუნებრივ-საწარმოო და სოციალური პირობები, სამეურნეო სპეციალიზაცია, რესურსული პოტენციალი, ეკოლოგიური და დემოგრაფიული თავისებურებები აქვთ. ამასთან, მათი მეურნეობის სპეციფიკური სტრუქტურა, გამოცდილება, მოცემული ტერიტორიის მიმართ ადაპტირებული, ორგანიზაციული ფაქტორების ამოქმედების თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად ავტონომიური ფუნქციონირების უნარის მქონე მართვის სისტემა აქვთ.

მესამე, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის პირველადი რგოლების ნორმალურ ფუნქციონირებაზე არსებითად დამოკიდებულია ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა, ეკონომიკური სტაბილიზაციის მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესის სწორად განვითარება, რამდენადაც აქ იქმნება პროდუქცია, მომსახურება, ყალიბდება პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური გარემო.

მეოთხე, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საჭიროებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა დაეყრდნოს ქვეყნის განვითარების კონცეფციას, რათა რაციონა-

ლურად განისაზღვროს სპეციალიზაციის, დარგთაშორისი კავშირების განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის – ენერგეტიკის, სატრანსპორტო კომუნიკაციების, კავშირგაბმულობის და სხვ. ჩამოყალიბების პირობები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტიანი საბაზრო სტრუქტურების ფორმირებისა და შესაბამისად, სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის.

მეხუთე, საქართველოში გამოიკვეთა ეკონომიკურად სუსტად განვითარებული რეგიონები. ეს ძირითადად ბუნებრივ-საწარმოო პირობებით, აგრეთვე მეურნეობის სპეციალიზაციის, მწარმოებლური ძალების გაადგილებაში არსებული თავისებურებებითა და საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდის სირთულეებით აიხსნება. ერთი ნაწილი ჩამორჩება იმის გამო, რომ ეკონომიკური განვითარების არახელსაყრელი პირობები აქვს, მეორე ნაწილი იმიტომ, რომ არსებული ბუნებრივ-საწარმოო შესაძლებლობანი სუსტადაა გამოყენებული. ასეთი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოებისათვის აუცილებელი ხდება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა, ეკონომიკური პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება.

მეექვსე, რეგიონი წარმოადგენს ქვეყნის ისეთ ტერიტორიულ-სივრცობრივ „ზონას“, რომელსაც ლოკალურად შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკოლოგიური პირობების დაცვაზე. ამასთან, ტერიტორიული მდებარეობით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით აქტიური როლი შეასრულოს ქვეყნის გეოეკონომიკურ უპირატესობათა რეალიზაციაში. ეს ახალი და მნიშვნელოვანი ფაქტორი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. მან ხელი უნდა შეუწყოს მოსაზღვრე სახელმწიფოების სხვადასხვა რეგიონებთან, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ტრადიციული სამეურნეო კავშირების აღდგენას, სასაზღვრო ვაჭრობის განვითარებას და სხვ.

ვფიქრობთ, მოყვანილი არგუმენტები საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა გარდაქმნების პროცესი

წინააღმდეგობრივად ვითარდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს აქტიური, სისტემურად გააზრებული რეგიონული პოლიტიკა. იგი უნდა აისახოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში.

რეგიონის განვითარების დონის განსაზღვრა-შეფასებისთვის საჭიროა ინდიკატორთა სისტემა შესაბამისი კრიტერიუმებით. მაგალითად, **ქვეყნის მშპ-ის ნაწილის რეგიონული პროდუქტის მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე მისი მოცულობა, ცხოვრების დონე (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემოსავლები, განათლების მიღების შესაძლებლობა), სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობა, შრომითი რესურსები, დასაქმება, საკუთრების ფორმების სტრუქტურა, ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური პოტენციალი, დემოგრაფიული სიტუაცია, რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები და სხვ. ეს მაჩვენებლები გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური და ეკონომიკური განვითარების პირობების (დონის) დაახლოების სტრატეგიული ამოცანის განსაზღვრისათვის.**

რეგიონების განვითარებაში მიზნობრივ-პროგრამული მეთოდის გამოყენების უპირატესობას თავად მიზნების მრავალგვარობა განაპირობებს. ეს თავისებურება ნათლად გამოჩნდა გარდამავალ პერიოდში, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა საერთო – სახელმწიფოებრივი, რეგიონული, უწყებრივი, ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერესები. ამასთან, სახელმწიფო ინტერესების იგნორირებით გზა გაეხსნა ჯგუფურ (კლანურ) ინტერესებს, რაც კონცენტრირებულად გამოვლინდა ეროვნული სიმდიდრის ძარცვაში და ქვეყანაში კორუფციის აღზევების მასტიმულირებელ ფაქტორად იქცა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამა ფაქტობრივად უნდა წარმოადგენდეს ტერიტორიის განვითარების მართვის სტრატეგიას, ორიენტირს (ინდიკატორს), რომელიც ეფუძნება ქვეყანაში განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზანს (სტრატეგიას), მოქმედ სამართლებრივ ბაზას, ოფიციალურად აღიარებულ მეცნიერულ მეთოდებს:

სტრატეგიული და დაქვემდებარებული მიზნების განსაზღვრას, კომპლექსურობას, თანმიმდევრობას, კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ერთიანობას, შრომით, ბუნებრივ – საწარმოო, ფინანსურ და სხვ. რესურსულ პოტენციალს, კოორდინაციის მექანიზმს – ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, კადრების კვალიფიკაციას და სხვა, და სრულად გამოხატავს ეკონომიკის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

ასევე კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად შეიძლება შედგეს დასაქმების, სოციალური დაცვის, მეწარმეობის მხარდაჭერის, რეკრეაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და სხვა სახის დიფერენცირებული რეგიონული მიზნობრივი პროგრამებიც.

რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები (პირველ რიგში, სოციალური და ეკონომიკური) მიზნობრივი პროგრამებით გადაწყდეს? გამოვყოფთ რამდენიმე პირობას.

პირველი, პროგრამა რეალურად უნდა პასუხობდეს კონკრეტული სიტუაციით შემოთავაზებულ პრობლემას, სწორად გათვლილ რესურსულ პოტენციალს, რეალიზაციის საიმედო მექანიზმს, ე.ი. პროგრამა უნდა წარმოადგენდეს მეთოდოლოგიურად, სამართლებრივად და ორგანიზაციულად სწორად შედგენილ სცენარს, რომლის მიხედვით განსაზღვრული განვითარება დასახული მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს.

მეორე, საზოგადოება ადეკვატურად უნდა პასუხობდეს პროგრამის მოთხოვნებს, სწორად მიიჩნევდეს მისი რეალიზაციისთვის შემოთავაზებულ რეკომენდაციებს, ყოველმხრივ ხელს უნდა უწყობდეს მისთვის მხარდამჭერი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას და ახორციელებდეს შესრულების ორგანიზაციის სათანადო კონტროლს.

მესამე, სწორად უნდა იყოს განსაზღვრული პროგრამის ფინანსური წყაროები. პროგრამის შედგენა, მისი რეალიზაცია მენეჯმენტის სფეროს განეკუთვნება და ამჟამად არსებული სახელმწიფო, შესაბამისად, ადგილობრივი მმართვე-

ლობა საერთო ძალისხმევით, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტები, სხვადასხვა სახის დახმარებები, კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსება და სხვ.), ერთიანი სტრატეგიით უნდა წარიმართოს.

მეოთხე, სწორად უნდა განისაზღვროს პროგრამის მოქმედების არეალი, მისი „ნიშა“, ტერიტორიული სტრუქტურის შემადგენელი ნაწილები. პროგრამირების ობიექტი უნდა იყოს საზოგადოების პირველადი უჯრედი – ოჯახი (ქართული მენტალიტეტით კომლი, რომელიც ილიას თქმით, საქართველოში არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ ეკონომიკური სხეულიც იყო), სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი, ადმინისტრაციული რაიონი, მხარე, როგორც ინტეგრალური ცნება, კონსოლიდირებული შედეგით, ავტონომიური რესპუბლიკა. რეგიონების განვითარების პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მრავალმხრივი პროცესი, რომელშიც ყველაზე მეტად შესაძლებელია იერარქიული ინტერესების შეთანაწყობა და ამის საფუძველზე მოცემული ტერიტორიის განვითარების მართვა. ეს პირობა შეიძლება დავიცვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში სახელმწიფო მართვის ეფექტიანი სისტემა შეიქმნება, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიის მდგრად, დაბალანსებულ, სოციალურად ორიენტირებულ განვითარებას.

ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით პროგრამებში მთავარი უნდა იყოს რეგიონში ეკონომიკური ზრდის არსებული რეზერვების გამოვლენა და ამოქმედების ფაქტორთა ობიექტურად განსაზღვრა. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ ეკონომიკური ზრდის რომელ მოდელს აირჩევს ცენტრი, არამედ ადგილობრივი რესურსების (პოტენციალის) ეფექტიანად გამოყენება მიჩნეულ იქნეს ეკონომიკური ზრდის ამოსავალ საწყისად და სტრატეგიულ ამოცანად. ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი უნდა დაიყოს მაკრო და რეგიონულ (მეზო) პრიორიტეტებად. ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა დონის პრიორიტეტი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობრივი პროცესის გამთლიანების

აუცილებელი ელემენტია. ასევე იგი შეასრულებს რეგიონების განვითარების პირობების გამოთანაბრებაზე რეალურად მოქმედი ინსტრუმენტის როლსაც.

რეგიონულ პოლიტიკაში პრინციპულია სახელმწიფო და რეგიონული ბიუჯეტების ფორმირების ერთიანი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ბაზის გამოყენების საკითხი. კერძოდ, მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს და გარდამავალი პერიოდის თავისებურებები გვკარნახობს, რომ მიზანშეწონილია სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის ორ ნაწილად დაყოფა. **პირველია** მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტი. იგი უნდა იყოს უდეფიციტო, დაბალანსებული, რაც ქვეყანაში, მის თითოეულ რეგიონში სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა (ხელფასების, პენსიების გაცემა და სხვ.). **მეორეა** განვითარების ბიუჯეტი, რომელშიც კონკრეტულადაა განსაზღვრული მაკრო და მეზოდონეებზე შემოსავლების და დანახარჯების საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები. ბიუჯეტის შედგენის ასეთი წესი ხელს შეუწყობს ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირების პროცესის მიზანმიმართულ რეგულირებას, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების შეჯერებას, სოციალური დაძაბულობის შერბილებას, საგარეო ვალის ეფექტიანად გამოყენებისათვის რეგიონების პასუხისმგებლობის ამაღლებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის კონტროლის გაძლიერებას.

დიფერენცირებულ განხილვას საჭიროებს ეკონომიკური პროტექციონიზმის ადგილობრივი პირობების შესაბამისად გამოყენებაც. ბევრი საერთოდ პროტექციონიზმის წინააღმდეგია, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. ვთქვათ, საგადასახადო შეღავათები, რომლებიც, ცხადია, საბიუჯეტო შემოსავლებს ამცირებს, მაგრამ, თუ იგი ხელს უწყობს რეგიონში წარმოების განვითარებას და შემოსავლების ზრდას, რაც საბოლოოდ ინვესტიციების წყარო ხდება, უნდა მივიჩნიოთ განვითარების ძლიერ ფინანსურ მექანიზმად. ამასთან პროტექციონიზმი მუდმივმოქმედი მექანიზმი კი არა, არამედ

მოცემულ კონკრეტულ სიტუაციასთან ადაპტირების სტიმულატორი უნდა იყოს.

პროტექციონისტული პოლიტიკა უნდა განხორციელდეს საქართველოს რეგიონული განვითარების ერთ-ერთი რთული პრობლემის – მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარებული განვითარების გადასაწყვეტად.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე აღინიშნება სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, რაც განაპირობებს მთიანი რაიონების ათვისების სპეციფიკას. მაგალითად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში სახნავი შეადგენს 21,9%-ს, სათიბები, საძოვრები – 65%-ზე მეტს. საქართველოს ტერიტორია ვერტიკალური ზონალობის მიხედვით შეადგენს 500-მდე 26,7%-ს, 500-დან 1000-მდე – 21,7%-ს, 3000 მ. ზევით – 1,5%-ს. მთიანი რაიონებისთვის დამახასიათებელია მიწის ფართობების დანაწევრიანება. მაგალითად, ხარაგაულის რაიონში 3727 ჰა სახნავი შედგება 5257 კონტურისაგან, ონის რაიონში – 3078 და 4005, ლენტეხის რაიონში 4690 ჰა და 2537 კონტურისაგან და სხვ. ასევე მაღალია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დახრილობა. მაგალითად, საქართველოში სახნავის მთელი ფართობის 3^0-მდე დახრილობა აქვს 62,9%-ს, დუშეთის რაიონში 15^0 ზევით დახრილობის მქონე საძოვრების საერთო ფართობი შეადგენს ტერიტორიის 84%, ჯავის რაიონში – 90,9%. ეს თავისებურება განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის როლს ეროვნულ ეკონომიკაში და ქმნის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ბუნებრივ-საწარმოო პირობებს. საქართველოში მთიანს განეკუთვნება დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის (დღეს მცხეთა-მთიანეთის მხარე), ჯავის (შიდა ქართლის მხარე), წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს (ქვემო ქართლის მხარე), ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ცაგერის, ამბროლაურის, ლენტეხის, ონის (რაჭა-ლეჩხუმის მხარე), მესტიის (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ქედის, შუახევის, ხულოს (აჭარა) რაიონები.

საქართველოში მთის პრობლემის გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. აუცილებელია მთის სოფლების განსახლების ტრადიციული მიდგომის გამოყენებაც, მთის რაიონებში განათლების, კულტურის განვითარების მიმართულებათა სწორი შერჩევა, ნიადაგის ნაყოფიერების, წყლისა და მცენარეული რესურსების ეფექტიანად გამოყენების რეზერვების ამოქმედება.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს თვით მთის რაიონების ათვისების მეთოდების განსაზღვრას. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ათვისება, ინდუსტრიული ან რეკრეაციული ათვისება, თუ მათი კომბინირებით ათვისების სრულიად ახალი მეთოდი (ტიპი), რომელიც კომპლექსურია და კონკრეტულად მიესადაგება მოცემული რეგიონის განვითარების ინტერესებს. ახლო წარსულში საქართველოში უპირატესად გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო ათვისება. ამას განაპირობებდა მესაქონლეობის, განსაკუთრებით მომთაბარე მეცხვარეობის, სამონადირეო მეურნეობის განვითარება და სხვ. ჩვენი აზრით, საქართველოს მთის რაიონების ათვისებისას უნდა იქნეს გამოყენებული კომბინირებული მეთოდი (ტიპი), რომელიც რესურსების კომპლექსურად ათვისების რეალურ პირობებს მოამზადებს. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ბორჯომის რაიონი. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 800 მეტრიდან 2700 მეტრამდე. რაიონში სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის განვითარების შეზღუდული შესაძლებლობანი მათ ეფექტიან განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. ამიტომ ბორჯომის საკურორტო-რეკრეაციული რესურსების, მათ შორის მინერალური წყლის ათვისებით ჩამოყალიბდა ტერიტორიულ-რეკრეაციული მრავალფუნქციანი სისტემა. წამყვანად ამ სისტემაში საკურორტო მეურნეობის განვითარება განისაზღვრა, შესაბამისად, შეიქმნა პირობები სოფლის მეურნეობის, საკურორტო დანიშნულების სამრეწველო პროდუქციის წარმოების, მომსახურების სფეროს და ა.შ. განვითარებისთვის.

ჩვენი აზრით, მთის რაიონების ათვისების მთავარი მიმართულებებია:

– ბუნების დაცვა (ეკოლოგია). იგი ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. საქართველოში 10 ათასი მოქმედი მეწყერია დაფიქსირებული. მთის, მთისწინა რაიონები ინტენსიური ეროზიის ქვეშ იმყოფება;

– სამთო მიწათმოქმედების განვითარების ინტენსიფიკაციას ზღუდავს მექანიზაციის დაბალი დონე, ძირითადად ცოცხალი გამწევი ძალა გამოიყენება. მთის საძოვრების ინტენსიფიკაცია ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

– მთის რეგიონის მოსახლეობის ხვედრითი წონა საერთო მოსახლეობის დაახლოებით 10% შეადგენს. მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლების წარმოებაში მთის რაიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო მაჩვენებლებს.

– მთიანი ზონის ინდუსტრიულ ათვისებას დიდი პერსპექტივა აქვს. იგი განისაზღვრება ორი ორიენტაციით: სანედლეულო ბაზა და ჭარბი მუშახელის დასაქმება;

– მთის რაიონის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხური სარეწების გამოყენება. მათი ახალი პირობების შესაბამისად განვითარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას;

– დიდი შესაძლებლობებია საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის, განსაკუთრებით ე.წ. საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის.

– დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. მიზანშეწონილია ბარისა და მთის ზონის სამეურნეო სუბიექტების კოოპერირება საძოვრების, სათიბების ერთობლივად გამოყენებისა და ათვისებისთვის, ფართო პროფილიანი კვების საწარმოების აშენება, თევზის მეურნეობის, მეფუტკრეობის განვითარება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზების აშენება და სხვ.

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს რეგიონში ერთობლივი საწარმოების შექმნას არა მხოლოდ უცხოეთის საბაზ-

რო სუბიექტებთან, არამედ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, რაც ხელს შეუწყობს რეგიონთაშორისი ვაჭრობის გაფართოებას, ლიზინგის გამოყენებას, ფრანჩაიზინგის სისტემის მრავალმხრივი ფორმის დანერგვას, არენდის ეფექტიანად ამოქმედებას. მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პროგრამით უნდა განისაზღვროს თითოეული რეგიონის ადგილი, ასევე ფინანსური რესურსების გადანაწილების მექანიზმი. სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის რეგიონული ასპექტების სწორად განსაზღვრა და გათვალისწინება უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების სოციალური თანხმობის მიღწევის ერთ-ერთ პირობად.

სპეციალიზაციის დონით განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში რეგიონის ადგილი. ოპტიმალურ სპეციალიზაციაზეა არსებითად დამოკიდებული შრომის მწარმოებლურობის, ცხოვრების დონის, ეკოლოგიური წონასწორობის და სხვა პრობლემების გადაწყვეტა. ამ თვალსაზრისით, სწორია ის მოსაზრება, რომ წარმოების სპეციალიზაცია სახელმწიფო, რეგიონული და დარგობრივი ინტერესების შეხამებას უწყობს ხელს და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების გამოთანაბრების მატერიალურ და ორგანიზაციულ საფუძველს ქმნის.

სპეციალიზაციის დონეზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობების ეფექტიანად გამოყენება და შესაბამისად რეგიონებს შორის ურთიერთკავშირების – სავაჭრო, საწარმოო და სხვა ურთიერთობების – განვითარება. სპეციალიზაციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, მათი ინტენსივობა. მაგალითად, ქვეყნის სასოფლო რეგიონებში სურსათის წარმოება მომავალშიც უალტერნატივო პრიორიტეტად დარჩება. სურსათზე მოთხოვნის დაბალანსება განაპირობებს სამრეწველო პოტენციალის – მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებასთან დაკავშირებული საწარმოების ზრდის ობიექტურ პროცესს და უშუალო გავლენას

ახდენს რეგიონული და საერთო ბაზრის სეგმენტების ფორმირებაზე, ხელს უწყობს იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების სტიმულირებას.

ფაქტობრივად დიდი რეზერვებია რეგიონსა და რეგიონთაშორისი კოოპერაციის განვითარებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ სფეროებს. ნიშანდობლივია, რომ გარდამავალ პერიოდში კოოპერაცია ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მექანიზმის ერთ-ერთი სიცოცხლისუნარიანი ელემენტი, მაკრო-, მეზო-, და მიკროეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის რეალური საშუალებაა. იგი აჩქარებს სტრუქტურულ გარდაქმნებს, ასტიმულებს მეწარმეობით საქმიანობას საშინაო და საგარეო ბაზარზე. გარდამავალ პერიოდში კოოპერაციამ შეიძინა უნიკალური ფუნქცია ქვეყნის შიგნით, რეგიონებს შორის ხელი შეუწყოს სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიმტკიცის ჯანსაღი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების მომზადებას. ამიტომ სწორად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მიკროდონეზე რეგიონებს შორის საწარმოო კავშირების განვითარება, რასაც საფუძვლად უდევს წარმოების განცალკევება და შემდგომ მათი საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე გაერთიანება, ხელს უწყობს მოგების (შემოსავლების) ზრდას, ინოვაციურ აქტიურობას, რისკების გადანაწილებას, მართვის სრულყოფას. ამიტომ, რეგიონთაშორისი კოოპერაცია მისი მრავალფეროვნებით იმავდროულად ამზადებს სათანადო საფუძველს ტრანსეროვნულ კომპანიებთან ინტეგრირებისათვის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს გზა საგარეო ბაზარზე გასვლის მეტად რთული, მაგრამ მოკლე და უფრო რეალური გზაა.

რეგიონულ პოლიტიკაში უნდა განისაზღვროს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ისეთი ელემენტების გამოყენების პერსპექტივა, როგორიცაა თავისუფალი სავაჭრო ზონა, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური კავშირი და სხვა სტრუქტურები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს შესვლით რეალურ სექტორში დარგობრივი სტრუქტურა თვისებრივად შეიცვლება, რაც ეროვნულ მეურნეობა-

ში რეგიონული ეკონომიკის როლისა და მნიშვნელობის ახლებურად განსაზღვრას მოითხოვს. ამასთან, მსოფლიო რეგიონულ გაერთიანებებში, ვთქვათ, ევროკავშირში, საქართველოს გაწევრიანებით ეროვნული ეკონომიკის მომავლის განსაზღვრაში უფრო მეტად გაიზრდება ტრანსეროვნული მონოპოლისტური კაპიტალის, როგორც ეროვნულ მეურნეობათა ინტეგრატორის როლი და მნიშვნელობა. ამიტომ ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში აუცილებელია გარე და შიდა ფაქტორების შეჯერება და ამის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება.

ამრიგად, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის მეცნიერული უზრუნველყოფა და მისი რეალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბება-ეფექტიანი ფუნქციონირება, განვითარების სახელმწიფო, რეგიონული, საბაზრო და კორპორაციული რეგულირება არის გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა.

თავი III. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები

3.1. სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის არსი, აუცილებლობა

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სისტემური კრიზისის მიზეზებსა და შედეგებზე აზრთა სიმრავლით ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსხვავებული მიდგომებისა და პოზიციების დაპირისპირებათა მწვავე ფონი შეიქმნა. მრავალრიცხოვანი, მათ შორის ურთიერთგამომრიცხავი კონცეფციების თუ მეთოდოლოგიების გავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებას მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების, კრიზისის გამომწვევი მიზეზების, განსაკუთრებით მისი მწვავე სოციალური შედეგების რეალურად შეფასება უჭირს. შეინიშნება ნოსტალგიური რომანტიზმიც. ზოგიერთი გაზვიადებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარდაქმნების ცალკეული ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის ეპიზოდურ პოზიტიურ მოვლენებს, რომლებიც რეფორმებს გარკვეულწილად თან ახლავს. დაფიქსირდა ანგარიშგასაწევი სიტუაციაც. საზოგადოებაში ადრე არსებული და ახალი რეალიების წიაღში აღმოცენებული და მზარდი ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. მაფიოზურ- კლანური იდეოლოგიური მექანიზმების გამოყენებით ინტერესების ლობირებამ საზოგადოებრივი პროგრესისათვის საშიში ხასიათი მიიღო. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ეკონომიკურ გარდაქმნათა პროცესის ობიექტურად შესწავლა-შეფასება, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზების გამოვლენა, რათა კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორად განისაზღვროს რეალური

სინამდვილის გაჯანსაღების მიზანი და ამოცანები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ავხსნათ, რა არის გარდამავალი პერიოდი, რა მიზნებს ისახავს, რატომ გახდა იგი აუცილებელი, როდის დამთავრდება და რას უნდა მოველოდოთ მისგან? საზოგადოებას ეს და სხვა კითხვებიც აღელვებს და მოითხოვს გარკვეულ პასუხსაც.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ გარდამავალი პერიოდის საერთო თავისებურებებსა და ტენდენციებს. მეცნიერებაში პირველად „გარდამავალი პერიოდის“ შესახებ აღნიშნა კ. მარქსმა თავის ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკისათვის“. მას მხედველობაში ჰქონდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდი. მისი აზრით, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არის პერიოდი, რომელსაც გარდამავალის ყველა ნიშან-თვისება ახასიათებს და რომ სწორედ ამ პერიოდს შეესაბამება პროლეტარიატის დიქტატურა. კ. მარქსის აზრით, კაპიტალიზმი უნდა შეიცვალოს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე და ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემით, რომლის მართვას განახორციელებს პროლეტარიატის სახელმწიფო.

რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ (1917 წ.) ფაქტობრივად დაიწყო ასეთ სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი. იგი რიგი ეტაპობრივი თავისებურებებით ხასიათდებოდა, კერძოდ, გამოიყენეს სამხედრო კომუნიზმის დოქტრინა, „ნეპი“ (დაშვებული იყო საკუთრების სხვადასხვა ფორმის თანაარსებობა), ხოლო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა ეკონომიკა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპებზე გადავიდა. ეკონომიკის განვითარების აღნიშნული მეთოდები რეალურად ექსპერიმენტის სახით გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი განვითარების ასეთი მოვლენები კაცობრიობისათვის მანამდე ცნობილი არ იყო. ქვეყნის განვითარების თითოეულ ეტაპზე ხორციელდებოდა შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც, ბუნებრივია, მოცემულ პერიოდში დასმული ამოცანების გა-

დაწყვეტის მიზნით შექმნილი მეთოდოლოგიური ბაზა გააჩნდა. ამრიგად, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი თვისებრივად ახალი, მანამდე უცნობი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენა იყო. საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ეკონომიკური სისტემა, რომელიც წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციის ბაზაზე ახალი ტიპის საკუთრების – საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრების პრინციპებს ეყრდნობოდა. კერძო საკუთრება მიჩნეულ იქნა ადამიანის (კაპიტალისტის, დამქირავებლის) მიერ ადამიანის (პროლეტარის ანუ დაქირავებულის) ექსპლოატაციის წყაროდ.

ბუნებრივია, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების გაბატონებამ მოითხოვა ეკონომიკური განვითარების პროცესთა რეგულირების (კოორდინაციის) შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობა. ასეთ მექანიზმად მიჩნეულ იქნა ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა. ამრიგად, სოციალისტური ეკონომიკური სისტემა წარმოიშვა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში, საბოლოოდ კი შეიძინა სხვა სისტემებისაგან განსხვავებული ორი თვისებრიობა – საზოგადოებრივი საკუთრების დომინირებადი მდგომარეობა და ეკონომიკური პროცესების კოორდინაციის მექანიზმი – ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა.

აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ მსოფლიოს სამეურნეო პრაქტიკასა და ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ეკონომიკური სისტემის ოთხი ტიპი – **ტრადიციული, კაპიტალისტური, სოციალისტური** და **შერეული**. ეკონომიკური სისტემების დახასიათებისას გამოიყენება ორი კრიტერიუმი: **1)** საკუთრების ამა თუ იმ ფორმის დომინირებადი მდგომარეობა, **2)** როგორია ეკონომიკური პროცესების კოორდინაციის (რეგულირების) მექანიზმი. ცნობილია, რომ კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაში დომინირებდა კერძო საკუთრება, ხოლო კოორდინაციის მექანიზმად მიჩნეული იყო საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმი („უხილავი ხელი“). რაც შეეხება შერეულ ეკონომიკურ სისტემას, იგი უნიკა-

ლურია და განსხვავდება კერძო კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემებისაგან. მაგალითად, საკუთრების ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმთა მრავალფეროვნებით (პლურალიზმით), ეკონომიკის სოციალური ორიენტაციით და სხვ. ასეთ ეკონომიკურ სისტემაში კერძო, კოლექტიური, სახელმწიფო საკუთრება ერთმანეთს არ უპირისპირდება, ისინი შეადგენენ ერთიან ინტეგრაციულ სისტემას, ასევე კოორდინაციის – საბაზრო თვითრეგულირების, კორპორაციული და სახელმწიფო მექანიზმები ერთობლივად გამოიყენება. ფაქტობრივად, სახეზეა ბაზრისა და გეგმის, კერძო და საკუთრების სხვა ფორმების სიმბიოზი, ერთიან სისტემაში ფუნქციონირება.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის მახასიათებლები არის თუ არა ნიშანდობლივი თანამედროვე პირობებში გარდამავალი პერიოდისათვის, ანუ იგივე შინაარსისაა თუ არა თანამედროვე გარდამავალი პერიოდი, როგორც იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში? რა თქმა უნდა, მისი ანალოგი არ არის. კერძოდ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლით კერძო კაპიტალისტური საკუთრება შეიცვალა საზოგადოებრივი საკუთრებით, ხოლო კოორდინაციის მექანიზმი – საბაზრო თვითრეგულირება-ცენტრალიზებული დაგეგმვითა და მართვით, ე.ი. არსებული ეკონომიკური სისტემა შეიცვალა მისი ანტიპოდი სისტემით.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო რიგი პოზიტიური, ასევე ნეგატიური ნიშნები და ტენდენციები. მისი მამობილიზებელი როლი განსაკუთრებით გამოვლინდა „გუთნის ქვეყნის ატომურ ქვეყნად“ გარდაქმნის ურთულეს პროცესში. მისთვის დამახასიათებელი იყო ინდუსტრიალიზაციის არნახული ტემპები, თვისებრივად ახალი, მოცემული ისტორიული სივრცის თავისებურებებს მისადაგებული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, კულტურული რევოლუციის ტემპები და შედეგები, მსოფლიო ეკონომიკაში სოციალიზაციის პროცესების გაძლიერება-გაღრმავება, განათლების, მეცნიერების მობილური სისტემე-

ბის შექმნა-ფუნქციონირება. ყოველივე ამის შედეგად ეკონომიკურ განვითარებაში ჩამორჩენილი ქვეყნების გაერთიანება – საბჭოთა კავშირი სამხედრო პოტენციალით მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნად ჩამოყალიბდა (ატომური ენერგეტიკა, კოსმოსის ათვისება) და იგი პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ასპარეზზე მსოფლიოს კარნახობდა საბჭოთა ცხოვრების მოდელის დამკვიდრების დაჩქარების სტრატეგიას.

ასეთი იდეოლოგიით მკვებავი საბჭოთა ეკონომიკური სისტემა თავისი აგებულებით, მოტივაციის პრინციპებით, გეოეკონომიკური ამოცანებით, ისტორიული მისიის ამბიციებით მზად არ აღმოჩნდა გლობალიზაციის პროცესების პრესინგით ჩამოყალიბებულ მოთხოვნებთან ადაპტირებისათვის.

საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის სწრაფად ცვალებად გლობალურ სიტუაციაში აღმოჩნდა, სოციალისტურად აღიარებული საბჭოთა სისტემის ფუძემდებლური პრინციპებისა და წარმოების ძირითადი ფაქტორების ცვალებადობის აუცილებლობის გაგება ვერ შეძლო. იგი კვლავაც დარჩა კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე ჩამოყალიბებული პრინციპების ერთგული (საკუთრების ერთ ფორმაზე – ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება, თვითრეგულირებისა და პირადი მოტივაციის მექანიზმების უგულვებელყოფა და სხვ.).

ეს მაშინ, როცა კლასიკურმა კაპიტალიზმმა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან რთული ტრანსფორმაციული გზა განვლო და, ფაქტობრივად, შერეულ ეკონომიკურ სისტემად გარდაიქმნა, რამაც მისი სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ასეთი ტიპის სისტემას დროსთან ადაპტირების უნარიც აღმოაჩნდა. საბჭოთა იდეოლოგიამ საკუთარი უმდიდრესი გამოცდილებიდან („ნეპი“), რომელიც XX საუკუნის უნიკალური მოვლენაა და კლასიკური კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის (ეკონომიკური დემოკრატიისა და ჰუმანიზაციის თვალსაზრისით) ამოსავალი იდეოლოგიურ-მეთოდოლოგიური საწყისი იყო, თეორიულ-პრაგმატული დასკვნებიც ვერ გააკეთა. ამიტომ „პერესტროიკაც“, რომელსაც სხვადასხვა დროს წინ უსწრებდა ე.წ. ექსპერიმენტე-

ბი, მოუმზადებლად, პოლიტიკური რომანტიზმის ტალღებზე დაიწყო. საბჭოთა ლიდერების ღარიბი თეორიული შეხედულებები და გლობალური აზროვნების უკმარისობა, მათი ილუზიები ეკონომიკის საბაზრო თვითრეგულირების („თავისუფალი ბაზრის“, რომელიც ბუნებაში არ არსებობს) ყოვლისშემძლეობის შესახებ, რაშიც შენიღბული იყო აწმყოს – წარსულში დაბრუნების მცდელობა, მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა, რომელმაც დააჩქარა საბჭოთა იმპერიის სპონტანურად დაშლის პროცესი.

საბჭოთა ეკონომიკური სისტემა დროის მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას საჭიროებდა. მაგრამ ამ რთული პროცესის წარმართვის სწორი სტრატეგია ქვეყანამ ვერ განსაზღვრა. წინააღმდეგობრივი ტრანსფორმაციული პროცესები სტიქიურად წარიმართა. ლოგიკური შედეგიც დადგა – პოსტსაბჭოთა სივრცეში მომზადდა „ველური კაპიტალიზმის“ მოდიფიცირებული სქემის გამოყენების პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური წანამძღვრები.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სოციალისტურმა ეკონომიკურმა სისტემამ ფუნქციონირება შეწყვიტა. დადგა ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების პერიოდი. იგი დღეს მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღიარებულია როგორც სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდი. ვიდრე ამ პროცესს ვრცლად განვიხილავდეთ, საჭიროა გავიხსენოთ – რას ნიშნავს ბაზარი, ანუ როდის არის ეკონომიკა საბაზრო? ჰქონდა თუ არა ბაზარი საბჭოთა ეკონომიკას?

აღიარებულია, რომ ბაზარი არის ადგილი, სადაც მწარმოებელი და მომხმარებელი, გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთს ხვდებიან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, სადაც მათი ინტერესები იკვეთება. ამერიკელი მეცნიერები მაკონელი და ბრიუ თავიანთ წიგნში „ეკონომიქსი“ თანამედროვე საბაზრო სისტემის ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევენ 6 პირობას: **კერძო საკუთრება-მოტივაცია-არჩევანის თავისუფლება-თავისუფალი კონკურენცია-თავისუფალი ფასები-სუს-**

ტი სახელმწიფო. ეს დებულება ძირითადად სწორად ასახავს საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსს, თუმცა საკუთრების, კონკურენციის, თავისუფალი ფასებისა და სუსტი სახელმწიფოს როლის კატეგორიული შეფასება სწორი არ არის. ხშირად აყენებენ კითხვას, საბჭოთა ეკონომიკას ჰქონდა თუ არა ბაზარი? ბუნებრივია, ჰქონდა. ეკონომიკა საბაზრო მექანიზმების გარეშე არ არსებობს. მთავარია როგორი არის საბაზრო ურთიერთობათა სისტემა, მწარმოებლური ძალების განვითარების დონე, როგორი ხასიათის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს წყვეტს იგი. აღიარებულია, რომ საბჭოთა ეკონომიკა ეყრდნობოდა უნიკალურ, ე.წ. შეთანხმებითი ბაზრის პრინციპებსა და მექანიზმებს, როდესაც პროდუქციის წარმოება-გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესების რეგულირება წინასწარ იყო განსაზღვრული, თანაც პოლიტიკური მიზნების შესაბამისად და არა მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმებით. შემდგომ კი, როდესაც ამას ეკონომიკის დიდი მასშტაბებისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარების ფონზე მოტივაციის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ-მმართველობითი ფუნქციების დასმული პრობლემების გადაწყვეტის ერთიანი პროცესიდან ამოვარდნა მოჰყვა, რეალურად ჩამოყალიბდა ეკონომიკის უძრაობის პერიოდი. ლოგიკურად დადგა არსებული ეკონომიკური სისტემის ძირფესვიანად შეცვლის ამოცანა, შესაბამისად ახალ ეკონომიკურ პრინციპებზე გარდამავალი პერიოდის აუცილებლობაც.

აღიარებულია, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესი გამოხატული დროში, რომელიც საჭიროა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის გარდაქმნისათვის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ სისტემად, რაც გულისხმობს არა კლასიკურ კაპიტალიზმზე, არამედ მისი ტრანსფორმაციის შედეგად წარმოშობილ შერეულ სისტემაზე გადასვლას. გარდამავალ პერიოდში იცვლება არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფერო. ამ პერიოდში ყალიბდება

ახალი ტიპის ეკონომიკის ფუნქციონირების მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლები, რესურსების მოპოვების, განაწილების წესი, საკუთრებითი ურთიერთობანი, მოტივაციის პრინციპები, გარე ეკონომიკური ფაქტორები. ამიტომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ლოკალური არ არის. იგი საყოველთაო და ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს და, ბუნებრივია, ძველი და ახალი კავშირურთიერთობების ცალკეული ნიშნების (თვისებების) თანაარსებობას გამოხატავს. ცნობილია, რომ ყოველ პროცესს, მათ შორის ეკონომიკურსაც, ორმაგი თვისება აქვს: შეიცავს ახალ, მომწიფებულ, ასევე მოძველებულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც არა მარტო თანაარსებობენ, არამედ, ერთმანეთსაც უპირისპირდებიან. ამ დროს ხდება არა რომელიმე მათგანის განადგურება, როგორც ჰეგელი იტყოდა, „აბსტრაქტულ არარაობაში გადასვლა, არამედ ისინი ურთიერთქმედებით (ურთიერთშეღწევით) ქმნიან ახალ, უფრო მაღალ, უფრო მდიდარ თვისებრიობას“.

საზოგადოების განვითარების ახალ მოდელზე გადასვლა, ეკონომიკური სისტემის სრულიად ახალ სამართლებრივ და ორგანიზაციულ ბაზაზე ჩამოყალიბება, საკუთრების როლის, ეკონომიკის რეგულირების პრინციპების, მეთოდების მკაფიოდ განსაზღვრა – გარდამავალი პერიოდის ცენტრალური სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანაა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება ორი ტერმინი: „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“ და „გარდამავალი ეკონომიკა“. რომელია უფრო სწორი? ორივე სწორია, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ კონტექსტში განვიხილავთ მათ.

გარდამავალ პერიოდში, როგორც ითქვა, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში იცვლება არა მხოლოდ ეკონომიკური სისტემა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. იგი იძენს ახალ ნიშან-თვისებებს, ყალიბდება შიდა და გარე ფაქტორების (გლობალიზაციის) უშუალო გავლენით. უფრო სწორი იქნება, თუ პოსტსოციალისტურ სივრცეში

ფორმირებად ეკონომიკას პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გარდამავალი პერიოდის ეკონომიკად წარმოვიდგენთ. იგი გარკვეულწილად განსხვავდება იმ ეკონომიკისაგან, რომელიც ლიტერატურაში აღიარებულია „გარდამავალ ეკონომიკად“, როცა ერთი პოლიტიკური სისტემის საფუძველზე ხდება ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაცია, მისი ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლა. ამის მაგალითია, „დიდი დეპრესიის“ შემდგომ პერიოდში აშშ ეროვნული ეკონომიკა, საბაზრო პრინციპების ჩამოყალიბება ჩინეთში, ვიეტნამში.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას აიგივებენ ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპებზე ფუნქციონირებად საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ როლთან, მისი საქმიანობის პრინციპებთან, მეთოდებთან, ფორმებთან. მათი შედარება არც ერთი განზომილებით ლოგიკური არ არის. ამაში დავრწმუნდებით ქვემოთ მოტანილი ანალიზით. თუ განვიხილავთ ორივე ეკონომიკური სისტემის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: სისტემის ამოცანა, ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების ფორმები, მეთოდები და მათ შევაჯერებთ, საშუალება გვექნება რეალურად განვსაზღვროთ განმასხვავებელი ნიშნებიც.

ცნობილია, რომ **საბჭოთა ეკონომიკის მატერიალური საფუძველი** იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სახელმწიფოს ჩარევით (კოორდინაციის მექანიზმებით). **ეკონომიკური** – სახელმწიფო საკუთრების გაბატონებული ფორმა. **მეცნიერული** – მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიკური თეორია, რომლის ამოსავალ საწყისს სახელმწიფო საკუთრებაზე მოძღვრება შეადგენდა. **ამოცანა** – წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესად განვითარება, რაც მიჩნეული იყო კეთილდღეობის ფაქტორად, **მართვის ფორმა** – სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი სახელმწიფო გეგმა. **მეთოდი** – ადმინისტრაციული, ნაწილობრივ ეკონომიკური ზემოქმედება – ცალკეული სტიმულების გამოყენება.

შერეული ეკონომიკის მატერიალური საფუძველია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე შრომის საბაზრო, ნაწილობრივ რეგულირებადი დანაწილება. **ეკონომიკური საფუძველი** – საკუთრების სხვადასხვა ფორმები (პლურალიზმი). **მეცნიერული საფუძველი** – საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორია. **ამოცანა** – ეკონომიკური სტაბილიზაცია, საბაზრო წონასწორობა. **რეგულირების ფორმა** – ეროვნული მეურნეობის განვითარების ინდიკატიური გეგმა, ბიუჯეტი. სახელმწიფოებრივი პროგრამები, ბიზნეს-გეგმები, საერთაშორისო პროექტები. **მეთოდი** – საბაზრო, კორპორაციული, ეკონომიკურ-ადმინისტრაციული. ასეთი შედარება, რომელიც ფუნდამენტურ მიდგომებს ეყრდნობა, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (ეკონომიკური პოლიტიკა) ცენტრალიზებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემისაგან თვისებრივად განსხვავდება არა მხოლოდ როლით, პრინციპებით, არამედ სამართლებრივი, ეკონომიკური, ინსტიტუციური ფორმების მრავალგვარობით, ადმინისტრაციული მეთოდების მოდიფიკაციით, საბაზრო მექანიზმებთან კოორდინაციის მრავალმხრივობით და სხვ.

3.2. ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ორიენტირები და განვითარების ლოგიკა

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა იმპერიის რესპუბლიკებში (მათ შორის, ერთ-ერთი პირველი იყო საქართველო) ერთმანეთს დაემთხვა ორი ისტორიული პროცესი. ერთი მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება-განმტკიცება და მეორე მხრივ, იმავდროულად, ეროვნული ეკონომიკის გადაყვანა საბაზრო პრინციპებზე. დროსა და სივრცეში ამ ორი ისტორიული, თავისი ბუნებით, განვითარების თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული პროცესის ერ-

თდროულად დაწყება მოითხოვდა ქვეყნის მატერიალური და სულიერი პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებას, რათა ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლა ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო. თუ როგორ დაიწყო და წარიმართა გარდაქმნები, რა თავისებურებებით გამოირჩევა იგი, როგორია გარდაქმნების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ქვემოთ მოცემული ანალიზით შეიძლება შეფასდეს.

უპირველეს ყოვლისა, იყო თუ არა მზად ქვეყანა ეკონომიკის თვისებრივად შეცვლისათვის, რამდენად სწორი იყო გარდაქმნების არჩეული სტრატეგია?

1990 წელს საქართველოში დაფიქსირდა ეკონომიკის ტრანსფორმაციის 3 ძირითადი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა. ვიდრე მათ განვიხილავდეთ, საინტერესოა გავეცნოთ XX საუკუნეში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკურ ასპექტებს. ამ პერიოდში საქართველომ მიზნებით, პრინციპებით, მექანიზმების ბუნებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხუთი ეკონომიკური დოქტრინა (თეორია) გამოსცადა. სახელდობრ, **„წმინდა კაპიტალიზმის“ თეორიით ნასაზრდოები, რუსეთის იმპერიის ტრადიციებს მორგებული დოქტრინა, რომელმაც ვერ უზრუნველყო კაპიტალიზმის სრულად განვითარება. ამიტომ საქართველო მწარმოებლური ძალების განვითარების დაბალი დონით გამორჩეულ პერიფერიად დარჩა. 1918 წლიდან მსოფლიოში პირველად საქართველოში იწყებს დამკვიდრებას სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებზე ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომელიც განსხვავებული რაკურსით განიხილავდა „კაპიტალიზმის ბოლო წერტილამდე განვითარების იდეას“ (იგულისხმებოდა შემდგომში სოციალიზმის მშენებლობა კ. მარქსის შეხედულებისამებრ). 1921 წლიდან ქვეყანას მოევლინა „ნეპი“ (მრავალწყობიანობა, საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპების შეხამება). XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიკა, როგორც საბჭოთა ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის შემადგენელი ნაწილი, გადადის თვისებრივად ახალ პრინციპებზე**

– ცენტრალიზებული დაგეგმვის და მართვის მექანიზმებზე. პოსტსაბჭოთა პერიოდში კი, საქართველოს გარედან თავს მოახვიეს „შოკური თერაპია“, როგორც დოქტრინა. აღსანიშნავია, რომ ყოველი მომდევნო დოქტრინა წინას ალტერნატივა იყო, როგორც კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური, ასევე პოლიტიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით. ამან, ბუნებრივია, განაპირობა ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის წინააღმდეგობრივი ხასიათი. როგორც ჩანს, ეროვნული ეკონომიკა XX საუკუნეში ფაქტობრივად ფუნქციონირებდა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული დოქტრინებით. ასეთ პირობებში, რეალურად უგულებელყოფილ იქნა განვითარებაში მემკვიდრეობითობის პრინციპები, გარკვეულ ეტაპზე ძველისა და ახლის თანაარსებობის რეალური შესაძლებლობები. ეს ის შემთხვევაა, როცა სუბიექტური ფაქტორის, გარკვეული მსოფლმხედველობითი პოზიციების (დოგმების) გავლენით ყალიბდება ეკონომიკის განვითარების მიმართულება.

ასეთ ისტორიულ ფონზე 1990 წელს, როგორც ზემოთ ითქვა, ეროვნული ეკონომიკის განვითარების ორიენტაციის შესახებ სამი მიდგომა ჩამოყალიბდა. **პირველი, ოფიციალური, იმპერიული ხედვით, რომელიც „პერესტროიკის“ ფილოსოფიას ეყრდნობოდა და გულისხმობდა საბჭოთა იმპერიის (დემოკრატიული გარდაქმნების შემდეგ) საზღვრებში სოციალისტური ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე (ე.ი. „წმინდა კაპიტალიზმზე“, ანუ XX საუკუნის დასაწყისის კლასიკური კაპიტალიზმის მოდელზე გადაყვანას, რაც კერძო საკუთრებას და თვითრეგულირების ტრადიციულ მექანიზმებს ეყრდნობოდა). ეს პროცესი ნაჩვენებია სქემაზე 3.1.**

მეორე მიდგომა – არაოფიციალური (არაფორმალური), რომელიც ეფუძნებოდა თვისებრივად განსხვავებულ პოლიტიკურ ფილოსოფიას და გულისხმობდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, საბჭოთა იმპერიის საზღვრებიდან გამოსვლას და ეროვნული ეკონომიკის იმავე პრინციპებით გარდაქმნას, რასაც გვთავაზობდა „პერესტროიკის“ იდეოლოგია (სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზა-



სქემა 3.1.

ცია, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ეკონომიკური სუბიექტების დაუყოვნებლივი დაშლა, სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების ლიკვიდაცია და ა.შ.). როგორც ჩანს, ეკონომიკის განვითარების ორიენტაციის თვალსაზრისით, პირველი და მეორე მიდგომა, ფაქტობრივად, იდენტური აღმოჩნდა და გულისხმობდა ეროვნული ეკონომიკის კლასიკური კაპიტალიზმის ტრადიციულ მოდელზე გადასვლას.

მესამე მიდგომა ოფიციალური, რეგიონული ხედვით, რომელიც საჯაროდ გაცხადდა, როგორც საქართველოს მაშინდელი მთავრობის ოფიციალური ეკონომიკური პლატფორმა. იგი ეყრდნობოდა ეროვნული ეკონომიკის თანდათანობით (ეტაპობრივად, თანმიმდევრულად) გარდაქმნას შერეულ, მრავალწყობიან (და არა მხოლოდ საკუთრების ერთ ფორმაზე – კერძო საკუთრებაზე) ეკონომიკურ სისტემად, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების წარმმართველ როლს, ახალი სისტემის სამართლებრივი, მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას[1]. ამ პლატფორმის

1 მკითხველს შეუძლია გაეცნოს შემდეგ ნაშრომებს: ნ. ჭითანავა, „პოლიტიკურად, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსათვის“. გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ., 28 ივლისი; ნ. ჭითანავა, „ამოცანა ურთულესი, პასუხისმგებლობა – საგანგებო“, გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წ., 5 ოქტომბერი.

განხორციელების მიზნით 1990 წელს საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო რამდენიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება საბაზრო პრინციპების დამკვიდრების დაჩქარების შესახებ. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის შესახებ (შედგა პირველი მოსმენა). მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები კოოპერატივების განვითარების, გლეხობისათვის მიწის ფართობების გამოყოფის, საიჯარო ურთიერთობების განვითარების, მთის ზონაში კოლმეურნეობის ბაზაზე გლეხური მეურნეობების შექმნის შესახებ და სხვ. (ეს მიდგომა წარმოდგენილია სქემაზე 3.2).



სქემა 3.2.

ისტორიული განვითარების ექსტრემალურ პირობებში საზოგადოებამ (ქვეყანა) აირჩია მეორე მიდგომით ჩამოყალიბებული პოზიცია და მხარი დაუჭირა 1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა სივრცეში თავისი ფორმითა და შინაარსით დემოკრატიულად (მისი თანამედროვე სტანდარტებით) ჩატარებულ არჩევნებზე გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალებს. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებით გამოწვეული აღტკინება, რომ გაჩნდა ისტერიული ლოზუნგებიც, რომლებიც ეკონომიკის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უგულებელყოფდა ან აუბრალოებდა ეკონომი-

კის ორგანიზაციას. მაგალითად, მზად ვართ „ბალახით ვიკვებოთ“, „ბორჯომის წყალიც გადაგვარჩენს“, „სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში“, „ბაზარი ყოვლისშემძლეა, იგი თვითონ უზრუნველყოფს კეთილდღეობას“, „საკმარისია ქართველ გლეხს მიწა მიეცეს, რომ ქვეყანა გამდიდრდეს“. ეს მოწოდებები მაშინდელი პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი, თანაც აქტიური ნაწილი იყო და არსებითად განსაზღვრავდა განვითარების ვექტორს, გამოხატავდა საზოგადოების აქტიური ნაწილის ეიფორიით გამოწვეულ სულისკვეთებას. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ახალმა ხელისუფლებამ თავისი ადრინდელი მიდგომა თვისებრივად ახალი (დროის ადეკვატური) და უფრო გამოკვეთილი პოზიციით შეცვალა. კერძოდ, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წელს წამოაყენა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კონვერგენციის (როგორც კონცეფცია-მეთოდოლოგიის) გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. ეს ნიშნავდა თანამედროვე შერეულ ეკონომიკურ სისტემაზე ორიენტაციას. შესაბამისად, კორექტივები განიცადა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. ასეთ ფონზე 1992 წელს განხორციელდა სამხედრო გადატრიალება. კონვერგენციის თეორია უარყვეს, მისი ავტორი (მთავრობა) კი დაამხეს...

სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოსული „დროებითი მთავრობა“ „თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე“ (კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკაზე) ეროვნული მეურნეობის გადასვლის პროცესის დაჩქარებას შეეცადა. რაც ნიშანდობლივია, ამ ამოცანის გადაწყვეტა დაიწყო სახელმწიფოს ტრადიციული სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების შეზღუდვით. სამინისტროები ექსტრემალურ პირობებში ე.წ. ფუნქციურ სტრუქტურებად გარდაიქმნა. ტრანსფორმაციის რთული პროცესი თვითდინებით წარიმართა. სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების ჩანაცვლება მოხდა პირადული და ჯგუფური ინტერესებით და შეიქმნა ეროვნული სიმდიდრის ძარცვის (კრიმინალიზაციის), კულტურულ ფასეულობათა დაკნინების, პიროვნულ ღირსებათა შელახვის (სიცოცხლის ხელყოფის, სიღატაკის) გარემო. მომზადდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის პირობები. აღნიშნულ პერი-

ოდ'ში საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი წარმოდგენილია სქემაზე 3.3.

მორიგ ეტაპზე, განსაკუთრებით მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის მიღების (1994 წ.), ინდიკატიური დაგეგმვის აღიარების (1994 წ.), ლარის დამკვიდრების (1995 წ.) შემდეგ მოხერხდა ინფლაციური პროცესების დარეგულირება, გაცხადდა ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შესახებ, გარკვეულწილად გააქტიურდა სამეურნეო პროცესებისადმი სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღება, განხორციელდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია (თუმცა ქაოსურად, დიდი დარღვევებით), მომზადდა საერთაშორისო პროექტების განხორციელების წანამძღვრები. „ტრასეკა", „ენერგეტიკული დერეფნის მშენებლობა" და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ფორმირება, მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა (2000 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა 115 ქვეყანასთან) და სხვა, ადასტურებდა, რომ ხელისუფლება თანდათანობით (თუმცა, დაგვიანებით), აცნობიერებდა სახელმწიფოს ახალ ეკონომიკურ ფუნქციებს.



სქემა 3.3.

(ტრანსფორმაციის პროცესი უფრო სრულად წარმოდგენილია სქემაზე 3.4.).



სქემა 3.4.

ამრიგად, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის **წინააღმდეგობრივი ხასიათი – ცალკეულ ეტაპებზე ეკონომიკის გამოცოცხლებისა და დეპრესიის ტენდენციები, გარდაქმნების პროცესის თვითდინებაზე მიშვებისა და ცალკეულ მომენტებში კოორდინაციის ფუნქციების განხორციელების ნება, საბაზრო თვითრეგულირების პრინციპების სპონტანურად დამკვიდრება, ღია ეკონომიკის წესებით ფუნქციონირება და სამამულო წარმოების დაცვის ეპიზოდური მცდელობები, ჩრდილოვან ეკონომიკასთან დეკლარირებული ბრძოლა და ეროვნული სიმდიდრის ძარცვის მოტივაციის აღზევება.** ყოველივე ამან განაპირობა ისეთი უნიკალური სიტუაცია, როცა ქვეყნის ეკონომიკა დამბლადაცემული ფუნქციონირებდა, შესაბამისად, სოციალური დაძაბულობა გაღრმავდა, მიღწეულ იქნა ზრდის თითქოს მაღალი ტემპები (მაგრამ

მისი ათვლის საწყისი იყო დაბალი), გამოიკვეთა ინტელექტუალური პოტენციალის დეგრადირება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი თეორიული და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ხასიათის **შემდეგი დასკვნების** გაკეთების საშუალებას იძლევა:

1. საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის უხეში თეორიულ-პოლიტიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა ის იყო, რომ დაავადებული საბაზრო ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის შექმნილი დასავლეთის იდეოლოგიზებული ეკონომიკური დოქტრინა „შოკური თერაპია“, როგორც გარდაქმნების სტრატეგია, გამოყენებულ იქნა სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში – ტოტალიტარულ ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის.

2. თეორიულ-ეკონომიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა იყო ის, რომ სწორად (ობიექტურად) ვერ განისაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და პოტენციალი. ყურადღება არ მიექცა განვითარების უნიკალურ ხასიათს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა იწყებოდა თვისებრივად სხვა სასტარტო პირობებიდან, ვიდრე ეს ისტორიულად განხორციელდა თავად კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში. გეგმიანი ეკონომიკა იყო გარდაქმნების სასტარტო ბაზა. მას გააჩნდა საწარმოო ძალების განვითარების არც თუ დაბალი დონე (პრიორიტეტიც კოსმოსის ათვისებაში), საკუთარი საწარმოო-სამეცნიერო, სოციალური, საკადრო პოტენციალი, მენეჯმენტის სათანადო ფორმები, ინტეგრაციული პროცესების მართვის გამოცდილება. ამ ისტორიულ მემკვიდრეობას ანგარიში არ გაეწია და დაიწყო გადასვლა „კლასიკურ კაპიტალიზმზე“. ამიტომ განვითარების ობიექტური პროცესი (საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა) ნეგატიურ, დამანგრეველ ფაქტორად იქცა. აწმყოს წარსულში გადაყვანის უბადრუკი ცდა კრახით დამთავრდა. პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ეს მოვლენა ძირითადად ქართული ხელწერისაა.

3. თეორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის შეცდომა იყო არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტიქიურად, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე დაშლა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანშეწონილობის უგულებელყოფა. სახელმწიფომ უარი თქვა იმ ფუნქციების შესრულებაზე, რასაც მისგან დრო მოითხოვდა საბაზრო პრინციპების დამკვიდრებისათვის. სახელმწიფომ თავისი „ნიშა“ დაუთმო კრიმინალური ცნობიერების საფუძველზე სპონტანურად აღმოცენებულ სტრუქტურებს (ჯგუფებს), რომლებიც ოლიგარქიის ტრადიციული პრინციპებით შეერწყა სახელისუფლებო ინსტიტუტს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი გარდაქმნების „ლიდერად“. ეკონომიკური პროცესი აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში, რომელმაც ეროვნული სიმდიდრის დატაცების ხელსაყრელი გარემოს შექმნა დააჩქარა. სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის კონტროლის ფუნქცია ახალი ტიპის ოლიგარქიამ მიითვისა. ამასთან, სახელმწიფოს პოლიტიკაში „ქუჩის ელემენტი“ გაძლიერდა, ქალაქის უბნების (რეგიონების) „პოლიტიკურმა“ ფენომენმა მონაცვლეობით დომინირებადი ადგილი დაიმკვიდრა და ფართო გზა მისცა ქვეყნის დოვლათის მიტაცების ახალი ტიპის ოლიგარქიული ინტერესების ჩამოყალიბებას, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა ამ ინსტიტუტის გაძლიერება სახელმწიფოს „პოლიტიკაში“. „ახალი აზროვნებით“ მოსულთა უმრავლესობამ ისტორიული ამოცანა შეასრულა და სოციალისტურად აღიარებული ეროვნული ეკონომიკა „ნულოვან საძირკვლამდე“ (ცალკეული ეროვნული მოღვაწეების მოწოდება-დევიზი) დაანგრია, დროებით ასპარეზიდან გავიდა. დღეს იგი ქართული ეკონომიკის დაუძლურებული ორგანიზმის გადარჩენილ, ჯანსაღ ნაწილსაც ითვისებს, თანაც მამულიშვილობის ამბიციებით, მიტაცებული ქონებიდან დარიცხული დივიდენდების სახით და ყოველმხრივ ცდილობს დაიცვას კონკრეტული სიტუაციით შემოთავაზებული „თამაშის წესები“. ეს ორი მიზეზით უნდა ავხსნათ. **პირველი,** სახელმწი-

ფო მზად არ აღმოჩნდა დროის შესაბამისად განესაზღვრა განვითარების სტრატეგია, საბედისწერო როლი შეასრულა კადრების შერჩევის პრინციპების დარღვევით სახელმწიფოს მართვაში პირდაპირ ქუჩიდან მოსულთა არაკომპეტენტურობამ. **მეორე**, სახელმწიფო იძულებული გახდა გარედან თავს მოხვეული დოგმების გავლენით საშიშ კომპრომისებზე წასულიყო. ასეთ პირობებში სახელმწიფოს პოლიტიკას აღმშენებლობისათვის საჭირო სოციალური ენერგია, საზოგადოების მხარდაჭერა და მართვის ბერკეტებიც არ აღმოაჩნდა.

4. ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებისას დაშვებულ იქნა **სტრატეგიული ხასიათის თეორიულ-მეთოდოლოგიური შეცდომებიც. კერძოდ, „რეფორმები“ ეკონომიკის დარგების მიხედვით ერთმანეთისაგან იზოლირებულად წარიმართა. მას კომპლექსური, თანმიმდევრული ხასიათი, ერთიანი მეთოდოლოგია არ ჰქონდა (ამჟამადაც არ აქვს). რეფორმების ლიბერალურ-მონეტარისტული მოდელი, რომელიც „შოკური თერაპიით“ განისაზღვრა, ოთხ ძირითად „კონსტრუქციას“ ემყარებოდა. კერძოდ, რადიკალურ ლიბერალიზაციას, მასობრივ პრივატიზაციას, ფინანსურ სტაბილიზაციას (რომელიც მიღწეული უნდა ყოფილიყო ფულად-საკრედიტო და საფინანსო მექანიზმებით), სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციას**. აღნიშნული მოდელი თავისთავად, კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა და თითქოს ლოგიკურიც. მაგრამ მისი გამოყენება, როგორც „შოკური თერაპიის“ ნარჩენი პრინციპებისა, ახალ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში მიუღებელია. მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი მოდელის, მისი ყველა ელემენტის ერთდროულად კონკრეტულ სოციალურ გარემოში გამოყენების გამოცდილებაც არ არსებობს (საქართველომ ამჯერადაც მორიგი „პიონერული“ ფუნქცია შეასრულა). ამ მოდელით უგულებელყოფილია რეალური მდგომარეობა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თავისებურებები. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს ექსკლუზიური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია (საბაზრო სისტემის შემქმნელი

ფაქტორი) სწორად ყოფილიყო გაცნობიერებული, განხორციელდა ეკონომიკურ პროცესებში მისი მინიმიზაციის, ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის რთული პროცესიდან ფაქტობრივად ჩამოცილების კურსი. ლიბერალიზაცია, როგორც ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმა, მექანიზმი, არა სრულყოფილად იქნა გამოყენებული. ფაქტობრივად, იგი გახდა ეკონომიკური რეფორმების სტიქიური განვითარების სინონიმი. დადასტურდა, რომ, როდესაც ეკონომიკის განვითარებაში ლიბერალიზმი ძირითად ფუნქციას დაკარგავს (პირველ რიგში, თვითგანვითარების ხელშეწყობა და ამით „მთვლემარე“ ძალების, პროგრესული პროცესების ამოქმედება, რათა განვითარება ბუნებრივი კალაპოტით წარიმართოს) სტიქიურ ძალად გადაიქცევა და ეკონომიკურ გარდაქმნებს შეაფერხებს. ლიბერალიზმი (მეთოდი, მექანიზმი) აუცილებელია, იგი განვითარების მუდმივად თანამდევი ნაკადია, მაგრამ არ შეიძლებოდა, რომ მას ექსტრემალურ პირობებში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის როლი დაკისრებოდა. მხოლოდ ლიბერალიზაცია, როგორც ასეთი, ვერ უზრუნველყოფს გაფართოებული აღწარმოების „მზიდი კონსტრუქციის“ როლის შესრულებას. მას რეგულირების სხვა მექანიზმებიც სჭირდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებლობაში.

ეკონომიკური რეფორმების ცენტრალურ ამოცანად მიჩნეულ იქნა შეზღუდულ და ექსტრემალურ (სამოქალაქო დაპირისპირება) პირობებში სახელმწიფო საკუთრების მასობრივი პრივატიზაცია, მაშინ, როცა მისი დიფერენცირებულად, თანმიმდევრულად და ეტაპობრივად განხორციელება იყო საჭირო. როგორც მოსალოდნელი იყო, კერძო სექტორის დეკლარირებით (მისი გაფეტიშებით) ეკონომიკური ეფექტიანობა არ ამაღლებულა, თუმცა გარკვეულ-წილად მისი ობიექტური პირობები შეიქმნა. პრივატიზაციას საფუძვლად დაედო არა ეკონომიკური მიზანშეწონილობა, არამედ პოლიტიკური. საქართველოში პრივატიზაციის პროცესი იდეოლოგიზებული აღმოჩნდა.

ფინანსური სტაბილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგია ეროვნული ვალუტის სტაბილური ფუნქციონირება და ინფლაციური პროცესების რეგულირება. სამწუხაროდ, მიღწეული შედეგი საკმარისი არ აღმოჩნდა გაფართოებული აღწარმოებისა და ეკონომიკური ზრდის თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადაყვანისათვის. ფაქტობრივად, ორივე პოზიტიური შედეგი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ფინანსურ სტაბილიზაციას, არამედ სტაბილიზაციის პირობა – ფაქტორებია, რომლებიც მიზანმიმართულად და ეტაპობრივად უნდა იქნეს გამოყენებული სისტემური კრიზისიდან გამოსვლისათვის. ეს კი სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ამრიგად, რეფორმების ლიბერალურ-მონეტარისტული მოდელის ძირითადი ელემენტები ტრანსფორმაციის რთულ პროცესებში ცალ-ცალკე და თავის „საზღვრებში“ მოქმედებენ, ერთმანეთთან დაპირისპირების პროცესს – ნაკადებს წარმოშობენ შესაბამისი მექანიზმებით, რომლებსაც საფუძვლად უდევთ თამაშის საკუთარი წესები და ხელს უშლიან ეკონომიკური რეფორმების ექსტრემალური პირობების შესაბამისად (გარდამავალი პერიოდის თავისებურება) კომპლექსურად, ეტაპობრივად და თანმიმდევრულად განხორციელებას. ეს იმიტომ ხდება, რომ თავად მოდელი მეთოდოლოგიურად არასწორ მიდგომებზე აიგო. კერძოდ, რადიკალური ლიბერალიზაციის, მასობრივი პრივატიზაციის, ფინანსური სტაბილიზაციის (ფულის მასის რეგულირების მექანიზმის) ეფექტიანობა არსებითად დამოკიდებული იყო სახელმწიფოს არა პასიურ (მან საკუთარი „ნიშა“, როგორც აღინიშნა, მაფიოზურ-კრიმინალურ სტრუქტურებს დაუთმო), არამედ მის აქტიურ, რეფორმების რთული პროცესების წარმმართველ პოლიტიკაზე. სამწუხაროდ, გარდაქმნების ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე სახელმწიფომ საკუთარი როლი ვერ გააცნობიერა და ამით საზოგადოებრივი პროგრესი შეაფერხა. ყოველივე ამან დააჩქარა საბაზრო ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურების ჩამოყალიბება, მათი „ფუნქციონირება“. ამ ფონზე ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების პოტენციალი, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო. თუმცა, გარკვეულ ეტაპზე ხელი-

სუფლების სხვადასხვა სტრუქტურების „გამეცნიერების“ ტენდენციამ იმძლავრა და სახელმწიფოს მართვის ორგანოებში ეკონომიკური რეფორმების ფავორიტებად ვიწრო პარტიულ ინტერესებს მისადაგებული სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მქონე კადრები მიიწვიეს. მათ კი ის შეძლეს, რომ წინააღმდეგობის გარეშე ქვეყანა უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიას მძევლად ჩააბარეს („ველური კაპიტალიზმის“ მოდიფიცირებული სქემა). „მეცნიერულად“ დასაბუთდა ქვეყანაში „შოკური თერაპიის“ განხორციელების აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით განხორციელებული „რეფორმების“ შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა კვაზი- საბაზრო ეკონომიკა – კონგლომერატი, თვისებრივად ახალი ისტორიულ-ეკონომიკური ტიპი, რომელშიც გამოიკვეთა ნებისმიერი საშუალებით ფულის შოვნის დაუოკებელი მისწრაფება (ყალბად გაგებული საბაზრო მოტივაცია), ადამიანებისა და რესურსების მკაცრი ექსპლოატაცია (პოლიტიკურ-ეკონომიკური ძცევა) და საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების მოშლა.

აღნიშნულ სისტემას ისტორიული ანალოგი არ მოეპოვება. სისტემის ყველა შემადგენელი დეფორმირებულია. კაპიტალის დიდი ნაწილი აღწარმოების პროცესში არ მონაწილეობს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ იგი პირადი და სახელმწიფო ქონების ძალადობით, საყოველთაო ძარცვით გადანაწილების შედეგად შეიქმნა და მათი მფლობელნი გარკვეულწილად ფსიქოლოგიურ პრესინგსაც განიცდიან.

რაც შეეხება წარმოების განვითარების მთავარ ფაქტორებს: შრომას, განსაკუთრებით რთულ შრომას და ცოდნას, მისი როლი ფაქტობრივად იგნორირებულია, მაშინ, როდესაც სოციალური, განსაკუთრებით ცხოვრების დონის ინდიკატორების ერთობლიობა, ფეთქებად – საშიშ სიტუაციას განაპირობებს. სუსტია საბაზრო მექანიზმები, მათ ვერ შეიძინეს თვითრეგულირების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი, ხოლო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აღდგენის მცდელობა მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა. თუმცა იგი უპირატესად სახელმწიფო საკუთრების

პრივატიზაციის დაჩქარებაში გამოიხატა, ხშირად ეროვნული სტრატეგიული ინტერესების საპირისპიროდ.

ამრიგად, ეკონომიკური რეფორმების კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ასპექტების ზემოთ მოცემული ანალიზი დაგვეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ საუკუნის მანძილზე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობითი (ყველა მათგანი იმპორტირებული იყო) პოზიციების შეურიგებელი დაპირისპირების პირობებში, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკა ვერ აიცდენდა ეკონომიკურ კატაკლიზმებს, დიდ სოციალურ დანაკარგებს, ფსიქოლოგიურ სტრესს, განვითარებაში საშიშ პაუზას. ამიტომ უფრო ობიექტური იქნება, თუ საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელ მდგომარეობას შევაფასებთ როგორც სხვადასხვა მსოფლმხედველობითი (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური) პოზიციების შეუთავსებლობით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარების ადეკვატურ შედეგს. უნდა ვაღიაროთ, რომ გარედან „ბიძგების“ იდეოლოგია, გარე ეკონომიკური ფაქტორების როლის გაძლიერება საკმარისი პირობა არ აღმოჩნდა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის.

ამრიგად, ნებისმიერი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, უპირველესად თეორიულ-მეთოდოლოგიურ, შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს და მეცნიერულ არგუმენტაციას საჭიროებს. თეორიამ (კონცეფციამ, პროგრამამ) გზა უნდა უჩვენოს პრაქტიკას, რომლის იგნორირება ნებისმიერ თეორიას დოგმებად აქცევს, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ პროგრესს შეაფერხებს.

3.3. გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი ნიშნები და ტენდენციები

გარდამავალ პერიოდში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლინებისა და ობიექტურად შეფასებისათვის აუცილებელია გავაანალი-

ზოთ გარდაქმნების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

1990 წლიდან განვლილ პერიოდში ეროვნულმა ეკონომიკამ ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული ტრანსფორმაციული ეტაპები განვლო. პირობითად გამოვყოფთ 3 ძირითად ეტაპს: **I ეტაპი 1991-1995 წლები. II ეტაპი – 1996-2003 წლები. III ეტაპი – 2004 წლის შემდგომი პერიოდი.** პირველ ეტაპზე მკვეთრად დაეცა მშპ-ის მოცულობა. 1994 წელს იგი შეადგენდა 1989 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,8%-ს. მეორე ეტაპზე (1995-2003 წ.წ.) ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 2003 წელს შეადგინა 1989 წლის დონის 46,8%, ხოლო მესამე ეტაპზე (2004 წლიდან) მშპ-ს ზრდა ხასიათდებოდა შედარებით სტაბილური ტემპებით, მაგრამ ამოსავალი დაბალი საწყისის გამო 2006 წელს მიაღწია 1989 წლის მხოლოდ 59,4%-ს. ამრიგად, ქვეყანაში ეკონომიკური გარდაქმნების 15 წლის მანძილზე მთავარი ეკონომიკური მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ შემცირდა. მშპ-ს დაცემას თან ახლდა მოსახლეობის ერთ სულზე მისი მოცულობის მკვეთრად შემცირება, მაგალითად, 1994 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 614 აშშ დოლარი, 2003 წელს – 866 აშშ დოლარი, 2006 წელს – 1779,2 აშშ დოლარი, მაშინ, როცა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 7000 დოლარზე მეტია. განვითარებული ქვეყნების მონაცემები ბევრად მეტია (მაგალითად, აშშ-ში – 35 ათასი დოლარი, ევროკავშირის ქვეყნებში – 25-27 ათასი დოლარი და ა.შ.). განვლილ პერიოდში შესაბამისი ცვლილებები განიცადა მშპ-ის დარგობრივმა სტრუქტურამ. მაგალითად, თუ 1990 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 23%-ს, 1994 წელს – 9,5%-ს, 2000 წელს – 12,2%, 2003 წელს – 13,3%, 2006 წელს 13,7%. 2006 წელს ქვეყნის სხვადასხვა დარგები წარმოდგენილია შემდეგი პარამეტრებით: სოფლის მეურნეობა – 16%, ვაჭრობა – 13,3%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 13,9%, მშენებლობა – 6,3% და ა.შ.

განვლილ პერიოდში მკვეთრად დაეცა სამრეწველო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა წარმოება. მაგალითად, 2006 წელს ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 1988 წლის დონის – 52%, შესაბამისად, ქვანახშირის – 0,7%, ცემენტის

– 58,4%, მანგანუმის – 18,4%, მინერალური წყლების – 48,3, ღვინის – 13,4%, კონიაკის – 6,9%, ცქრიალა ღვინის – 7%, ნატურალური ჩაის – 2,8%. არსებითად შეიცვალა მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურაც. განახევრდა მანქანათმშენებლობის, საშენი მასალების წარმოების ხვედრითი წონა, მსუბუქი მრეწველობისა შემცირდა 1,7-ჯერ, ხე-ტყის დამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობისა – 4-ჯერ.

1990-2005 წლებში მკვეთრად დაეცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. განსაკუთრებით დაეცა იმ პროდუქციის წარმოება, რომლებიც სავალუტო შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს. კერძოდ, ყურძნის წარმოება შემცირდა – 2,7-ჯერ, ხილის – 2,2-ჯერ, ციტრუსებისა – 2,3-ჯერ, ჩაის ფოთლისა – 22-ჯერ.

ამრიგად, ეკონომიკური რეფორმების განვლილ პერიოდში მკვეთრად დაეცა ეკონომიკური განვითარების დონე, განსაკუთრებით აღინიშნა მატერიალური წარმოების დარგების კრიზისული მდგომარეობა, რაც ლოგიკურად აისახა სოციალური სფეროს საბოლოო მაჩვენებლებზეც.

განვლილ პერიოდში მკვეთრი ცვლილებები განიცადა მოსახლეობის რიცხოვნობამ. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის მთლიანმა მოსახლეობამ შეადგინა 4,6 მლნ (1989 წელს იყო 5,4 მლნ), შეიცვალა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებიც. მაგალითად, თუ 1990 წელს მოსახლეობის 1000 სულზე მატებამ შეადგინა 7,8 კაცი, 2002 წელს მატება, ფაქტობრივად, არ აღნიშნულა. რიგ რეგიონებში დაფიქსირდა დეპოპულაციის პროცესი. ფაქტობრივად სახეზეა დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავება.

გარდამავალ პერიოდში სიღარიბის პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა (ვრცლად მეოთხე თავში განვიხილავთ). თავის დროზე ადამ სმითი წერდა, რომ არც ერთი საზოგადოება არ შეიძლება იყოს სრულად აყვავებული და ბედნიერი, თუ მისი დიდი ნაწილი ღარიბი და უბედური რჩება. ეს სიტყვები მთელი სისრულით ვრცელდება დღევანდელ საქართველოზეც. მაგალითად, 2004 წელს საქართველოს მოსახლეობის 54% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ

იმყოფებოდა. ეროვნული ეკონომიკის გაჩანაგების საერთო ფონზე ქონებრივი დიფერენციაციის გაძლიერებით საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული ფენა (ჯგუფი): „ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“.

გარდამავალ პერიოდში გამოვლინდა მისი მთავარი ნიშან-თვისება: **ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა.** ეს მოსალოდნელიც იყო. ამასთან, გამოვლინდა ის კანონზომიერება, რომ ეკონომიკის ობიექტური განვითარების პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ მას გარკვეულ ეტაპზე მიმართულება შეიძლება შეუცვალოს სუბიექტურმა მიზეზებმა, საბოლოოდ მაინც თავისი ბუნებრივ-ეკონომიკურ საზღვრებს (მიზანშეწონილობას) უბრუნდება. ამის კარგ მაგალითად გამოდგება საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, მისი მიზნების, ამოცანათა რეალიზების მექანიზმების ერთობლიობა. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია საქართველოში მოუმზადებლად, შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის გარეშე დაიწყო. ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ფილოსოფია ეყრდნობოდა არასწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას – საკუთრების ერთი ფორმის (სახელმწიფოს) გარდაქმნას უპირატესად კერძო საკუთრებად. როგორც ადრე აღინიშნა, ამოცანა უფრო პოლიტიკური იყო, და მიზნად ისახავდა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ცენტრალური ბურჯის – სახელმწიფო საკუთრების სწრაფ ლიკვიდაციას. ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ბოლო პერიოდში გატარებული პოლიტიკის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ლოგიკითაც, რომელმაც გვიჩვენა, რომ მესაკუთრეთა პირველი თაობა, ფაქტობრივად, ძალადობით და კორუფციით შექმნილ ქონებას ფლობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში პრივატიზაცია ეიფორიის პირობებში განხორციელდა. ჩამოყალიბდა საყოველთაო აზრი, რომ პრივატიზაცია სწრაფად და ავტომატურად გადაწყვეტდა ყველა ეკონომიკურ საკითხს, რომ

შეიქმნებოდა ახალი ტიპის მესაკუთრე, ეროვნული ეკონომიკა განვითარების დონით უმოკლეს ვადაში მიაღწევდა თანამედროვე ეფექტიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დონეს. აქვე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა ცალკეული პოლიტიკოსების მიერ წამოყენებულ ისტერიულ ლოზუნგს „ყველაფერი შინ წაიღეთ“. სამწუხაროდ, ქვეყნის ქონების ძარცვა თითქმის ყველამ ლამის პრესტიჟულ საქმიანობად გაიხადა. სახელმწიფოს ოფიციალურმა პოლიტიკამ ეს პროცესი ვერ შეაჩერა. როგორია ასეთ ფონზე ჩატარებული პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები?

გარდამავალ პერიოდში პრივატიზაცია ინსტიტუციური გარდაქმნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდია, რომელიც იწვევს საზოგადოებრივ ურთიერთობათა თვისებრივ ცვლილებებს, განსაზღვრავს ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების ობიექტურ საფუძველს. ამიტომ, პრივატიზაციის განხორციელება ობიექტური აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. შეცდომა ის იყო, რომ არ იქნა გათვალისწინებული მისი მასშტაბი, სწორად არ შეირჩა განხორციელების მეთოდი, რაც დამოკიდებული იყო ეკონომიკის სტრუქტურაზე, მწარმოებლური ძალების განვითარების დონეზე, სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის მიზანზე.

როგორც აღინიშნა, საქართველოში პრივატიზაციის პროცესში დომინირებდა პოლიტიკური და არა ეკონომიკური საწყისი, ამიტომ, პრივატიზაციამ (თავად ობიექტურმა მოვლენამ) ვერ შექმნა ეკონომიკური ეფექტიანობის ხელშემწყობი პირობები, თუმცა გარკვეული წანამძღვრები ამისათვის მოამზადა.

პრივატიზაციის ფაქტობრივმა შედეგებმა დაადასტურეს, რომ სოციალისტური ეკონომიკის კერძო კაპიტალისტურ ეკონომიკად გარდაქმნის იდეოლოგიზირებულ დოქტრინას (რომლის ზეგავლენითაც იგი განხორციელდა) ობიექტური საფუძველი არა ჰქონდა. პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ გარდა-

მავალ პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ბუნებრივი პროცესია შერეული (მრავალწყობიანი) ეკონომიკის შექმნა. ასეც მოხდა საქართველოში, მაგრამ დიდი სოციალური დანაკარგებით. თუმცა, ამ მხრივ, საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ანალოგიურ ტენდენციას ადასტურებს ნობელის პრემიის ლაურეატის **ჯ. სტიგლიცის** შემდეგი მოსაზრებაც: „პრივატიზაციის პროცესში აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ კერძო საკუთრების შექმნასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე, რომელსაც ურევდნენ კონკურენტული ბაზრის შექმნაში. პრივატიზაციას თან ახლდა მძიმე შეცდომები. დღეს, ცხადია, რომ პრივატიზაციის მომხრეებმა... ჯეროვნად ვერ შეაფასეს თვით ამ პროცესის დანაკარგები, განსაკუთრებით პოლიტიკური, აგრეთვე, ის დაბრკოლებები, რომლებსაც დაჩქარებული პრივატიზაცია უქმნის შემდგომ რეფორმებს... პრივატიზაციის ასეთი პოლიტიკის არჩევა ყოველმხრივ უფრო გაუმართლებელი იყო“ [122.15-25]. ცნობილი ეკონომისტის ეს შეფასება ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს კვაზისაბაზრო ეკონომიკა. იგი თავისი აგებულებით მრავალწყობიანია (მრავალსუბიექტიანია). პირობითად შეიძლება გამოვყოთ მისი 3 ძირითადი წყობა.

1. **კერძო კაპიტალისტური წყობა**. იგი მოიცავს ეკონომიკის მთავარი დარგების (მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის და სხვა) მსხვილ და საშუალო საწარმოებს, ასევე შერეული ტიპის ეკონომიკურ სუბიექტებს. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ 2005 წელს საქართველოში გამოკვლეულ საწარმოთა 95,7% მიეკუთვნებოდა არასახელმწიფო სექტორს, რომელზეც მოდიოდა მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის 77,9 %, არსებული ძირითადი კაპიტალის 49,8%, დამატებული ღირებულების – 67,8%, შუალედური მოხმარების 87,1%, დასაქმების 62,7%. ამასთან, იურიდიულ პირ საწარმოთა ზარალის 83,1% ასევე არასა-

ხელმწიფო საწარმოებზე მოდის. როგორც ჩანს, ეს წყობა ეროვნული ეკონომიკის „მზიდი“ ელემენტია [44.2006].

2. სახელმწიფო სექტორი მიუხედავად იმისა, რომ საწარმოთა საერთო რაოდენობაში მისი ხვედრითი წონა დიდი არ არის (4,3%), გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში მას 22,1% უჭირავს. მნიშვნელოვანია მისი როლი დამატებული ღირებულების (32,2%), დასაქმებულთა 37,3% სახელმწიფო სექტორშია. ამრიგად, სახელმწიფო სექტორს დღეს მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ეკონომიკის განვითარებაზე, თუმცა იგი ადრეც და ამჟამადაც საზოგადოებრივი პროგრესს ხელს არ უწყობს. პირიქით, დაბალია მისი ეფექტიანობა. მაგალითად, 2005 წელს სახელმწიფო სექტორში მოქმედმა საწარმოებმა იზარალეს 156833,7 მლნ. ლარით (მთლიანი ზარალის 42,4%). პერსპექტივაში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა შემცირდება [44.2006].

3. წვრილსასაქონლო წყობა. მას მიეკუთვნება მცირე საწარმოები (სამწუხაროდ, მათი რაოდენობა დაზუსტებული არ არის. ყველა მათგანი სტატისტიკურ აღრიცხვაში არ ხვდება). სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2005 წელს მცირე საწარმოების 94,5% ფუნქციონირებდა არასახელმწიფო სექტორში.

მცირე საწარმოებზე მოდის გამოკვლეულ საწარმოთა რაოდენობის 75,7%, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის – 9,4%, ძირითადი კაპიტალის – 9,8%, დასაქმების – 25,8%. მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობიდან 85% მოდის იმ საწარმოებზე, რომლებშიც დასაქმებული იყო 1-5 კაცი. პროდუქციის გამოშვებაში მათი ხვედრითი წონა შეადგენდა 40%-ს. პროდუქციის 26,8%-ს იძლეოდა ის საწარმოები, სადაც დასაქმებული იყო 6-10 კაცი. ხოლო 16-20 კაციან საწარმოებში შემოსავლების მხოლოდ 13,8% იქმნებოდა. 1 ათას ლარამდე პროდუქციას ქმნიდა მცირე საწარმოთა 11,2%, ხოლო 1,1-5 ათას ლარამდე – 60,1%. ინდივიდუალური მცირე საწარმოები შეადგენდნენ გადამამუშავებელ მრეწველობაში – 7,7%-ს, ვაჭრობაში – 86,3%-ს, სასტუმროებსა და რესტორნებში – 3,8%-ს. დანარჩენ სფეროებზე მოდიოდა – 2,2%.

მცირე საწარმოების დიდი ნაწილი არაეფექტიანად ფუნქციონირებს. იმ იურიდიული პირ საწარმოთა საერთო რაოდენობაში, რომლებმაც 2005 წელი ზარალით დაამთავრეს – 76,2% - მცირე საწარმოებია. ზარალის საერთო თანხამ 32,2 მლნ ლარი შეადგინა [44]. ნიშანდობლივია, რომ მცირე საწარმოების საერთო რაოდენობიდან ინდივიდუალურ ფორმას განეკუთვნება 59%.

ახალ წყობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმონაქმნია გლეხური (ფერმერული) მეურნეობები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების 95%-ს კერძო სექტორი იძლევა)[1]. ასევე შინა მეურნეობები, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც პროდუქციას არა მხოლოდ თავისთვის აწარმოებს, არამედ აწვდის ბაზარსაც, ე.წ. ჯიხურების მფლობელნი, რომლებიც მცირე საწარმოებად რეგისტრირებულნი არ არიან. მათთან ერთად უნდა ვიგულისხმოთ შინ მუშაობის სხვადასხვა ფორმაში ჩაბმული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები: მეცნიერები, პედაგოგები, პროგრამისტები, ინჟინრები, რედაქტორები, მთარგმნელები და სხვ.).

ეს წყობა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მაღალეფექტიანი არ არის, პერსპექტივის თვალსაზრისით, სიცოცხლისუნარიანია. იგი მომავალი საშუალო ფენის „ხერხემალია“.

ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა (ეკონომიკური წყობების თანაფარდობა) საშუალებას იძლევა რეალურად შეფასდეს საბაზრო ურთიერთობათა პრინციპების დამკვიდრების მიმდინარე პროცესი, ობიექტურად განისაზღვროს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორები, სწორად გადანაწილდეს სახელმწიფოსა და ბიზნესის ფუნქციები, მასთან ერთად მათი პასუხისმგებლობაც.

---

1 2005 წელს სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, დაახლოებით 656 ათასამდე კომერციული და მცირე გლეხური მეურნეობა ამუშავებდა დაახლოებით 953 ათას ჰა-ს ანუ ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 1,5 ჰა-ს. 2-დან 3 ჰა-მდე ეკუთვნოდა 24 ათას მეურნეობას; 5-დან 10 ჰა-მდე – 6,5 ათას მეურნეობას; 100-დან 200-მდე – 325, 200-დან – 500-მდე – 250, 500 ჰა-ს ზევით – მხოლოდ 92 მეურნეობას. (საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015, გვ. 55).

გარდამავალ პერიოდში გაიზარდა უმუშევრობა. 2005 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 2023,9 ათას კაცს. მათ შორის დასაქმებულად ჩაითვალა 1744,6 ათასი (6,2%). დასაქმებულთა 54% სოფლის მეურნეობაში საქმიანობს, მრეწველობაშია – 6% (1990 წელს იყო 23%), მშენებლობაში – 2,5% (შესაბამისად იყო 10%), ვაჭრობაში – 10,8% (1990 წელს – 8,1%), ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში – 4% (იყო 10%), სასტუმროებსა და რესტორნებში – 1%.

1988-2005 წლებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შემცირდა მრეწველობაში – 4,3-ჯერ, მშენებლობაში – 7,6-ჯერ, ტრანსპორტზე – 2,5-ჯერ, გაიზარდა სოფლის მეურნეობაში 1,8-ჯერ, ვაჭრობაში – 1,2-ჯერ. დასაქმების ოფიციალურად აღიარებული მაღალი პროცენტი სინამდვილეს ობიექტურად არ ასახავს. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა ხელოვნურად არის გაზრდილი. ეს ეხება თვითდასაქმებულთა მაჩვენებლებსაც.

ეკონომიკური რეფორმების ჩამოყალიბებული ტენდენციებით უნდა ავხსნათ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მომხდარ ცვლილებათა შედეგებიც. 2005 წელს იმპორტი თითქმის 3-ჯერ სჭარბობდა ექსპორტს. სავაჭრო დეფიციტმა 1624,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

როგორც ეკონომიკური განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ პრივატიზაციამ დიდი სოციალური დანაკარგები გამოიწვია, საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორის როლიც შეასრულა, კერძო სექტორის, თუმცა, ძალიან სუსტის ჩამოყალიბების საფუძველი მოამზადა. ისიც დადასტურდა, რომ რეალური მესაკუთრის ჩამოყალიბება გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ისტორიული ფუნქციაა. რეფორმათა შედეგების ანალიზი გვარწმუნებს იმაშიც, რომ საკუთრების არც ერთ ფორმას მეორის მიმართ აბსოლუტური უპირატესობა არა აქვს, თითოეულ მათგანს აქვს თავისი ადგილი („ნიშა“), რომლის იქით მისი განვითარება მიზანშეწონილი არ არის. განვლილმა პერიოდმა დაამტკიცა, რომ საკუთრება

რეალურ ზეგავლენას ახდენს განაწილებაზე, გაცვლასა და მოხმარებაზე, ოღონდ მხოლოდ სწორი ორგანიზაციის მრავალმხრივ პროცესში. აქ კი ცენტრალურ როლს ასრულებს წარმოების მართვა, მართვის სტრუქტურა, მათი საერთო საზოგადოებრივი მიზანი. რეფორმებმა გვიჩვენა, რომ პრივატიზაციის ეფექტიანობა უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის რესტრუქტურიზაციასთან, გვიჩვენებს, თუ რამდენად რეალურია მესაკუთრე, როგორია შრომის მოტივაციის გარემო, რამდენად უწყობს ხელს იგი სოციალური საკითხების გადაწყვეტას, სწორი საფინანსო-პოლიტიკის განხორციელებას და ა.შ. პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესაბამისი სტრუქტურა. 2005 წელს რეგისტრირებული 131990 საწარმოდან ინდივიდუალური საწარმოა 67,4%, შპს – 28,8%, სააქციო საზოგადოება – 1,2%, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 1,7%, კოოპერატივი – 0,8%, კომანდიტური საზოგადოება – 0,1%. საკუთრების ფორმების მიხედვით რეგისტრირებულ საწარმოთა 98,6% არასახელმწიფო საკუთრებაა, 1,4% სახელმწიფო საკუთრებაა [44.2006].

როგორც ჩანს, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სტრუქტურაში არასახელმწიფო სექტორს დომინირებული მდგომარეობა აქვს და იგი მრავალწყობიანი (მრავალსუბიექტიანი) ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის პოტენციურ სიცოცხლისუნარიანობას გამოხატავს. კოოპერატივებისა და სააქციო საზოგადოებების დაბალი ხვედრითი წილი ადასტურებს, რომ ინტეგრაციული პროცესები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საბაზრო პრინციპების დამკვიდრების ამოცანებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის შედეგები და ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია უნდა განვიხილოთ ეკონომიკური გარდაქმნების ერთ სიბრტყეზე, როგორც ერთიანი პროცესი. რაც შეეხება პოსტპრივატიზაციულ პროცესს, იგი სტიქიურად ვითარდება. სახელმწიფო დაკმაყოფილდა კერძო საკუთრების ფორმირებით და მისი ეფექტიანობის ამაღლების მასზე დამოკიდებულ ზომებსაც არ იღებს (საკუთრების

დაცვა, საფინანსო პოლიტიკის მასტიმულირებელი როლი, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, ექსპორტის წახალისება, ბაზრებზე გასვლაში მხარდაჭერა და ა.შ.).

რეფორმების შედეგებმა ისიც გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრებზე ჯერ კიდევ სუსტი საბაზრო სუბიექტების შეღწევაში სახელმწიფოს მხარდაჭერას. განვლილ პერიოდში სახელმწიფო დაეყრდნო თავისუფალი კონკურენციის ადრინდელ ეტაპებზე ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომ მესაკუთრე (მწარმოებელი) თითქოს თვითონ პოულობს ბაზარზე დამკვიდრების გზას. თანამედროვე პირობებში ეს ქრესტომათიული დოგმა მიუღებელია. სახელმწიფო, მით უმეტეს, გარდამავალ პერიოდში, როცა ფაქტობრივად საბაზრო სუბიექტის ჩამოყალიბება ხდება, მოვალეა ყოველმხრივ დაეხმაროს მწარმოებელს ბაზრების ათვისებაშიც. წარმოიდგინეთ ახალბედა მესაკუთრე, რომელიც ბიზნესს ეწევა, ქმნის გარკვეულ პროდუქციას, თანაც კონკურენტულს, მაგრამ რეალურ ბაზარზე (ვთქვათ, რუსეთის ან სხვა ბაზარზე) ვერ შედის იმის გამო, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობების ჩამოყალიბებული ამჟამინდელი მდგომარეობა ამისათვის ხელსაყრელ გარემოს ვერ ქმნის. არის სხვა ხარვეზებიც: მოუგვარებელია პრივატიზებულ საწარმოთა საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაცია, განსაზღვრული არ არის მათი საქმიანობის შედეგების შეფასების მაჩვენებელთა სისტემა, არ გამიჯნულა სახელმწიფო ქონება, მარკეტინგული კვლევის დაბალი ორგანიზაცია ხელს უშლის ახალბედა საბაზრო სუბიექტების შესვლას ბაზრებზე. აღნიშნული და სხვა მრავალი საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტას მოითხოვს. ეს უნდა მოხდეს სოციალური პარტნიორობის – სახელმწიფოს, მეწარმის, მომხმარებლის ინტერესების დაცვის ეროვნული ინსტიტუტის ჩამოყალიბება-ფუნქციონირებით.

ამრიგად, საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად დიდი სოციალური დანაკარგებით ჩამოყალიბდა და არაეფექტიანად ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა. იგი მრავალწყობიანია (მრავალსუბიექტიანი). ეკონომიკური კრი-

ზისის სისტემური ხასიათი ხელს უწყობს სოციალური დაძაბულობის შემდგომ გამწვავებას. სახელმწიფო არაეფექტიანად იყენებს საკუთრებით ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებებით მიღებულ პოზიტიურ შედეგს, როგორც ამოსავალ პირობას, პოლიტიკის კორექტირების საფუძველს (საფეხურს) ეკონომიკური ზრდის თვისებრივად ახალ პრინციპებზე გადასასვლელად.

ჩამოყალიბების პროცესშია საზოგადოებრივი მენტალიტეტი, რომელიც პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების, პიროვნების უფლებათა საყოველთაო პრინციპებს და სოციალური პარტნიორობის კონცეფციას ეფუძნება. თუმცა, იგი რეალურად ვერ აფასებს სპონტანურად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სინამდვილეს.

გარდაქმნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგია ის, რომ საზოგადოებაში მიღწეულია კონსენსუსი სამერთიანი სტრატეგიული ამოცანის გაგებასა და მათი განხორციელების მიზანშეწონილობის აღიარებაში: სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება; საბაზრო ეკონომიკის ფორმირება.

მყარია ეროვნული ვალუტა, ინფლაციური პროცესები რეგულირებადია, თუმცა, ეს პოზიტიური შედეგი (ფაქტორთა ერთობლიობა) ეფექტიანად და მიზანმიმართულად არ გამოიყენება ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების პირობების მოსამზადებლად.

სისტემური კრიზისი, თუ მისი დაძლევის საგანგებო ღონისძიებები არ განხორციელდა, გამოიწვევს მოსახლეობის ფართო ფენების ბაზისურ მოთხოვნილებათა დათრგუნვას, რაც საზოგადოების დეგრადირების პროცესს უფრო გააღრმავებს.

მიზანშეწონილია აქვე შევეხოთ გარდამავალი პერიოდის ერთ კონცეპტუალურ თავისებურებას. თუ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში მრავალწყობიანობა განიხილებოდა როგორც გარდამავალი ეკონომიკის თვისება, აუცილებელი წინაპირობა შემდგომში ერთწყობიან (სოცია-

ლისტურ) ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისათვის. სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალ პერიოდში ფორმირებული მრავალწყობიანობა (მრავალსუბიექტიანობა) უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის მატერიალური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძველი. მომავალში საკუთრების ერთ რომელიმე ფორმაზე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ლოგიკით არარეალურია. ამიტომ პრაქტიკულად დგას ამჟამად ჩამოყალიბებული კვაზისაბაზრო მრავალწყობიანი (მრავალსუბიექტიანი) ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიული ამოცანა, რაც განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ტრანსფორმაციული პროცესების სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

გარდამავალ პერიოდში ყველა პოსტსოციალისტურმა ქვეყანამ განიცადა ახალი მოვლენის გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ობიექტური წინააღმდეგობრივი პროცესების უშუალო გავლენა, გაძლიერდა კაპიტალისა და შრომის საერთაშორისო მიგრაციის ტემპები, ყალიბდება ახალი ინტეგრაციული კავშირები. გლობალიზაციის პროცესის ყველაზე რეალურ სუბიექტებად ჩამოყალიბდა ტრანსეროვნული კორპორაციები და საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები. რაც შეეხება სუვერენულ სახელმწიფოს, იგი გლობალური პროცესების პრესინგს განიცდის. მისი ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით გადადის, ერთი მხრივ, საერთაშორისო სტრუქტურებზე, მეორე მხრივ, დერეგულირების პრინციპით-პერიფერიებზე (რეგიონებზე).

გარდამავალ პერიოდში პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა ფაქტორებმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ადრე, როდესაც იგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, გეოპოლიტიკურ

გავლენას უშუალოდ არ განიცდიდა. იგი ორპოლუსიანი გეოპოლიტიკური სისტემის ერთი მხარის (აღმოსავლეთის ბლოკის) შემადგენლობაში ფუნქციონირებდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების სფეროში საკუთარი ადგილი, შესაბამისად ფუნქციაც მოიპოვა. საერთაშორისო პროექტების რეალიზაცია („სატრანსპორტო“ და „ენერგეტიკული დერეფანი“) უშუალო გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის მონაწილეობის ხარისხი, არამედ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ინტერესების მრავალფეროვნებაც: როგორი იქნება საბაზრო პრინციპები, ბაზრის მდგომარეობა, ეკონომიკური ინტეგრაციის ტრადიციები და სხვ.

გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელია შედარებითი ხანგრძლივობა, რაც გამოწვეულია რთული პროცესების რეგულირების სიძნელეებით. ასეთ სიტუაციაში საჭიროა საზოგადოების სხვადასხვა ფენის (ჯგუფის) ინტერესების შეხამების, სტაბილურობის მექანიზმის შექმნა. ამჟამად არსებული მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობის ფონზე („ახალ მდიდრებსა“ და „ახალ ღარიბებს“ შორის დაპირისპირება) ეს ურთულესი ამოცანაა.

სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ტრანსფორმაციული პროცესების რეგულირება წარმოადგენდა სახელმწიფოს ექსკლუზიურ ფუნქციას. სახელმწიფომ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის სასტარტო ეტაპზე კი სწორად ვერ განსაზღვრა სტრატეგიული განვითარების კურსი, უარი თქვა საკუთარი ექსკლუზიური ფუნქციების შესრულებაზე. ამიტომ სოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების რეგულირება ცალმხრივად რადიკალურ ლიბერალიზაციას მიენდო.

სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში (არა მხოლოდ საქართველოში) მაღალი ტემპებით განვითარდა ეკონომიკა, შეიქმნა სრულიად ახალი დარგები, არნახულ დონეს მიაღ-

წია განათლების, კულტურის, მეცნიერების განვითარებამ. მაგალითად, 1897 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოფლად ცხოვრობდა 85%, მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარი 78% იყო. 1989 წლის მოახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 99,85% წერა-კითხვის მცოდნე იყო, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის შედეგების ანალიზი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, დემოკრატიისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციისათვის ადეკვატური პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმებით, ორგანიზაციული მეთოდებითა და ფორმებით კომპლექსურად და თანმიმდევრულად ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზაზე უნდა ახორციელებდეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციას, საზოგადოების ყველა ფენის (ჯგუფის) ინტერესების დაბალანსებას, ეკონომიკის ეფექტიანობას, მისი შედეგების სოციალური სამართლიანობის პრინციპებით განაწილებას. ეს მოთხოვნები სრულად შეესაბამება სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების ფუძემდებლურ პრინციპებს.

3.4. საქართველოში სოციალური ეკონომიკის ფორმირების კონცეპტუალური ასპექტები

ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ზემოთ მოცემული ანალიზი და დასკვნები ლოგიკურად ადასტურებს იმას, რომ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა საგანგებო და ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. იგი მხოლოდ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისა არ არის, უპირველესად, ეროვნული და ზნეობრივი პრინციპების განუხრელად დაცვის აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

ჩვენს წინაშე დადგა განსჯისა და მომავალი სოცია-

ლურ-ეკონომიკური სისტემის შეუმცდარად განსაზღვრის ჟამი. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა ჩაერთოს ეროვნული მეცნიერება და მთელი საზოგადოება. დღევანდელ ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას სრულად მიესადაგება დიდი **ილიას** სიტყვები: **„გვეყო ბატონებო, ჩვენი აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვების, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ“ [99.IV.323].**

საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს მომავალი ეკონომიკური სისტემის მზა მოდელი ბუნებაში არ არსებობს. იგი თავად ქვეყანამ უნდა ჩამოაყალიბოს. ეს რთული პროცესია და უამრავი პირობა-ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. ერთი რამ ცხადია. წინასწარ შერჩეული დოგმები, სტერეოტიპები, სხვადასხვა ქვეყნის მოდელები ამ საქმეში ცუდი მრჩეველია.

ახლა მაინც, როდესაც უხვად ვიმკით ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ზნეობრივ შედეგებს, ისტორიული გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნების გაკეთება გვმართებს.

მომავალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისას რამდენიმე პრინციპული მოთხოვნა უნდა დავიცვათ. უპირველეს ყოვლისა, მეურნეობრიობის მსოფლიო გამოცდილება (თავისებურებები, ტენდენციები, კანონზომიერებები), ქვეყანაში განვითარებული პროცესები, განსაკუთრებით მისი თანმდევი სოციალური მოვლენები და წინააღმდეგობრივად ფორმირებადი საზოგადოებრივი მენტალიტეტი ეროვნული რაკურსით უნდა განვიხილოთ და ქვეყნის თვითმყოფადობის მომავალთან მიმართებაში გავიცნობიეროთ. საკუთარი ქვეყნის გამოცდილების, გარდამავალი პერიოდის თავისებურებებისა და ტენდენციების, სოციალური შედეგების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე და არა რომელიმე ქვეყნის (ან ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების) მიერ შემოთავაზებული დოქტრინებით (დოგმებით), განვსაზღვროთ მომავალი სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები. გარკვეული

სიფრთხილით უნდა მივუდგეთ თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზმის, როგორც ასეთის, ფაქტორის შეფასებას. ცნობილია, რომ მას არსებითი ცვლილებები შეაქვს ეროვნული ეკონომიკური სისტემების ფორმირებაში. როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, ქვეყანა მომავალში უფრო მეტად იქნება დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. ცხადია, რომ მომავალშიც გლობალიზაცია, მისი დინამიური და აგრესიული სეგმენტებით – **საერთაშორისო საფინანსო სისტემა, ლიბერალიზაცია და კაპიტალის მოძრაობის დერეგულირება – განმსაზღვრელ საგარეო ფაქტორად დარჩება.** გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვერც ერთი ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების მიღმა (ეკონომიკური გლობალიზმის გარეთ) ეფექტიანად ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. ამასთან, გვერდს ვერ ავუვლით ეროვნული ეკონომიკური სისტემების ფორმირება-ფუნქციონირების მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას.

ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური სისტემების ფორმირებისადმი სამი ძირითადი მიდგომა არსებობს. **პირველი, ამერიკული, რომლის მიხედვით საზოგადოების განვითარების თვითმიზანს პიროვნება წარმოადგენს. ბიზნესის მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა. ეკონომიკური სისტემის ფუძემდებლური პრინციპი – კონკურენციის პრიორიტეტია, იგი აღიარებულია როგორც ეკონომიკის განვითარების აგრესიული გზა.**

მეორე, ევროპული სისტემა, რომლის საფუძველია კორპორატიულობის პრინციპებზე დამყარებული პროტესტანტული ეთიკა. კორპორატიული მართვის სისტემა კი საზოგადოების მსხვილი ჯგუფების ინტერესების კონსენსუსს ეფუძნება. ეს გულისხმობს იმას, რომ ბიზნესის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის აუცილებლობა წინასწარ არის გათვითცნობიერებული, ამასთან იქმნება შესაბამისი მექანიზმები სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამ სისტემაში კონკურენცია განიხილება როგორც თანაბარი შესაძლებლობების გარანტი.

მესამე, აღმოსავლურ-აზიური მიდგომა, რომელიც ცნობილია „კონფუციანურ კაპიტალიზმად“. ამ მიდგომის მთავარი იდეა – ადამიანი წარმოადგენს კოლექტივის ნაწილს. აღსანიშნავია, რომ „კონფუციანური კაპიტალიზმის“ თეორიის ფუძემდებელმა სიბუსავა ეიტიმ (1840-1931) შექმნა „იაპონური მეწარმეობის ბიბლია“. იგი წერდა: „მოგების მიღების ძლიერი სურვილის გარეშე შეუძლებელია ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. თუ არ განვავითარეთ მეწარმეობა, ვერასოდეს მივაღწევთ ეროვნულ აყვავებას. მეორე მხრივ, ეროვნული აყვავება არ გაგრძელდება დიდხანს, თუ იგი არ ეყრდნობა სიკეთისა და სამართლიანობის ზნეობრივ პრინციპებს“ [175.231]. მან შემოიტანა ცნება „ჭეშმარიტი სარგებლიანობა“, რომელიც გულისხმობს პირადი და საზოგადოებრივი სარგებლიანობის ისეთ შერწყმას, როცა პრიორიტეტი ყოველთვის საზოგადოებრივს ენიჭება. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მიდგომის მიხედვით - „კეთილდღეობის წყარო – არა ძალაუფლება, არა ფული, არამედ ადამიანია“. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია კონკურენციის მიმართ დამოკიდებულებაც. იგი წარმოდგენილია ცნებით მეტოქეობა, რომელიც განიხილება, როგორც თანაარსებობა. ზრუნვა საკუთარ სარგებლიანობაზე ნიშნავს ზრუნვას პარტნიორის სარგებლობაზეც“. ამ მიდგომის მიხედვით მეწარმეობაში გამოყოფენ ერთმანეთთან დაკავშირებული სარგებლიანობის ორ მხარეს: დიდსა და მცირეს. დიდი სარგებლიანობა ნიშნავს ერისა და სახელმწიფოს სარგებლიანობას, მცირე სარგებლიანობა – საწარმოს და მისი მფლობელის სარგებლიანობაა [175.232].

როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან განსხვავდება თვით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სისტემები, მათი ფუძემდებლური პრინციპები, პროცესებზე ზემოქმედების, ეკონომიკური დოვლათის განაწილების მექანიზმები და ა.შ. მათ ფუნქციონირებაზე უშუალო გავლენას ახდენს არა მხოლოდ სწორად გააზრებული (განსაზღვრული) ეკონომიკური მეთოდები და მექანიზმები, არამედ გარე არაეკონომიკური

ფაქტორებიც: მორალი, რელიგია, ტრადიციები და სხვ[1].

რომელი მოდელი ავირჩიოთ? პასუხი შეიძლება მრავალფეროვანი იყოს „ლიბერალიზაციის“ სუსტ მეცნიერულ ბაზაზე ჩამოყალიბებული მოსაზრებების, პოზიციების სიმრავლეში, რაც ფსიქოლოგიურად თრგუნავს ჩვენს ჯერ კიდევ გაუწაფავ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აზროვნებას, აბნევს საზოგადოებას და ხელს უშლის ქვეყნის განვითარების პროცესების რეალურ შეფასებაში.

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება ცალმხრივია. პოლიტიკურად, ორგანიზაციულად, მეთოდოლოგიურად, განსაკუთრებით ფსიქოლოგიურად, მართებული არ არის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები, მით უმეტეს, სხვადასხვა პერიოდსა და ქვეყანაში, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავდება. ის, რაც ერთ სიტუაციაში პოზიტიურ შედეგებს იძლეოდა, სხვა ვითარებაში ნეგატიური პროცესების ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება იქცეს. ამიტომ მსოფლიო პრაქტიკის მდიდარ არსენალში წმინდა სახით არ უნდა ვეძებდეთ (ამის მწარე გამოცდილება გაგვაჩნია) მზა რეცეპტს, უნივერსალურ მეთოდს, მექანიზმს, მით უფრო მოდელს, რომლის გამოყენებით საქართველოში მიმდინარე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს შეიძლება განვითარების სწორი მიმართულება მიეცეს და კრიზისიდან გამოსვლა დაჩქარდეს.

გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაც. დღეს საზოგადოებას უფრო რეალური წარმოდგენა აქვს ბაზარზე, ვიდრე 15-20 წლის წინათ. აღმოჩნდა, რომ ბაზარი, საერთოდ საბაზრო ეკონომიკა, თურმე არ არის ისეთი უნივერსალური (ჯადოსნური) მექანიზმი, რომელიც ყველა სიტუაციასა და ეკონომიკური სისტემის განვითარების ყვე-

---

1 ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, შეკითხვაზე, თუ რა არის კომპანიის ერთადერთი მიზანი – მოგება თუ მოგებასთან ერთად კომპანიის მუშაკების, მყიდველების კეთილდღეობის ამაღლება, პასუხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იყო. მაგალითად, პასუხი: ერთადერთი მიზანი – მოგებაა, გასცა გამოკითხულთა 40%-მა – აშშ-ში, 27%-მა – შვედეთში, 24%-მა – გერმანიაში, 16%-მა – საფრანგეთში, 8%-მა – იაპონიაში [175.233].

ლა სტადიაზე ფუნქციონირებს თვითრეგულირების მექანიზმებით („უხილავი ხელი“). **აღმოჩნდა, რომ, როცა ეკონომიკა ვითარდება საბაზრო თვითრეგულირების უპირატესობის ცალმხრივი გამოყენებით და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლი იგნორირებულია – ბაზრის „ღამის დარაჯის“ ფილოსოფიით განისაზღვრება, გარდაუვალია სისტემური კრიზისი. ეს კარგად გამოჩნდა 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შედეგებში. მაშინ კაპიტალიზმმა, როგორც სისტემამ, კრიზისს თავი დააღწია საკუთარი ფუძემდებლური პრინციპების დათმობით და საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების რაციონალური შეხამებით 3-4 წელიწადში შესაძლებელი გახდა ეკონომიკის განვითარების კრიზისამდელი დონის აღდგენა. უახლესმა ისტორიამ მოგვცა გამოვლენის ფორმით საპირისპირო, მაგრამ შინაარსით იდენტური მაგალითი. მხედველობაში გვაქვს სოციალისტური სისტემის სპონტანური დაშლის შედეგად განვითარებული პროცესები, რომლებშიც ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას. მოწმენი გავხდით იმისა, რომ ეკონომიკის სოციალისტურმა სისტემამ, რომელიც უგულებელყოფდა საბაზრო თვითრეგულირების („უხილავი ხელის“) როლს საზოგადოების განვითარებაში და ცალმხრივად იყენებდა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის მექანიზმს („ხილული ხელი“), სრული კრახი განიცადა.**

აქედან ძნელი არ არის გაკეთდეს დასკვნა: საბაზრო სისტემაც საზოგადოებრივი ინსტიტუტია, რომელიც ვითარდება შეგნებული ადამიანური ზემოქმედებით, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება აღწარმოების ორგანული ნაწილია და საბაზრო მექანიზმებთან „თანაარსებობით“ მაღალი ეფექტიანობის ფაქტორიც.

ისიც უნდა გავიცნობიეროთ, რომ კლასიკურმა კაპიტალიზმმა, აგრეთვე საბჭოთა სოციალიზმმა, როგორც კაცობრიობის განვითარების კონკრეტული ეტაპების ისტორიულმა ეკონომიკურმა ტიპებმა, მეტნაკლებად პოზიტიური როლი შეასრულა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა

სფეროში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ორივემ ფაქტობრივად ამოწურა თავისი ისტორიული ფუნქცია და ინტეგრაციულ ურთიერთობებში ურთიერთგანპირობებულობის, ურთიერთშეღწევის დაჩქარებულ პროცესში ხელი შეუწყო თვისებრივად ახალი წანამძღვრების მომზადებას, ახალი ტიპის – შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. მსოფლიო „მესამე გზით“ განვითარდა. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკა აშკარად გამოკვეთილ სოციალურ მიმართულებას იღებს.

ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ **ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანები მხოლოდ უცხოური თეორიებით, სამართლებრივი და პოლიტიკური ნორმებით, ეკონომიკური სისტემების პრინციპებით და მენტალიტეტით ვერ გადაწყდება. მიზანშეწონილია ქვეყნის ეკონომიკური სისტემა ჩამოყალიბდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე და დაეყრდნოს ეროვნული და თანამედროვე მსოფლიო მეურნეობრიობის პრაქტიკის დიალექტიკურ სინთეზს. არც ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვაა სწორი და არც მეურნეობრიობის ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა. ქართული ეკონომიკური სისტემა სხვა ქვეყნის თარგზე გამოჭრილი არ უნდა იყოს, იგი ეროვნული ფენომენიდან უნდა ამოიზარდოს. ესაა საქართველოში ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირების მთავარი ამოსავალი პირობა. იგი უნდა დაეფუძნოს ქვეყნის თვითმყოფადობის პრინციპს, ეფექტიანობისა და სამართლიანობის ფენომენს, სიღარიბესთან (კაცობრიობის გლობალურ და არა მხოლოდ ქართულ პრობლემასთან) ორგანიზებული ბრძოლის ყოვლისმომცველ სტრატეგიას, ქვეყნის მდგრადი განვითარების, ეკონომიკური ზრდის სტრუქტურისა და ხარისხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად განსაზღვრის, შიდა ბაზრის ფორმირების სტიმულირება-დაცვის პრინციპებს, არსებული რესურსების ისეთნაირად ათვისებას, რომ იგი მომავალმა თაობებმაც გამოიყენონ.**

კლასიკური კაპიტალიზმის, საბჭოთა სოციალიზმის გენეზისის თავისებურებათა, საბაზრო ურთიერთობებზე გარ-

დამავალი პერიოდის ტენდენციების ზემოთ მოცემული ანალიზი ადასტურებს იმას, რომ საქართველოს გლობალურ ინტერესებს შეესაბამება შერეული, მრავალსუბიექტიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა[1] (სოციალური ეკონომიკა), რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული პრინციპებით, სტრუქტურებით, სახელმწიფოს ერთიანი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკით მიზნად ისახავს სოციალური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტას.

შერეულ სისტემაში დევს ადამიანის ცხოვრების ხარისხის ამაღლების, ადამიანის ნორმალური აღწარმოების სათანადო დონის მიღწევის, მისი ინტერესების რეალიზაციის სამართლებრივი, მატერიალური, სულიერი გარემოს შექმნის, უშუალოდ წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ახალი სოციალური ორგანიზაციის შექმნის რეალური პოტენციალი.

შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ შერეული? იმიტომ ხომ არა, რომ დღეს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს ასეთი ტიპის ეკონომიკა აქვთ? რა თქმა უნდა, ამიტომაც. ამასთან, ბუნებრივია, ისმება შემხვედრი კითხვაც: რამ განაპირობა კლასიკური კაპიტალისტური მეურნეობის ევოლუციური გზით განვითარების შედეგად შერეული ტიპის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება? ეს ბუნებრივ-ისტორიული გზა იყო. ახალი ტიპის შერეულმა ეკონომიკამ სრულიად ახალი ფუნქციებიც შეიძინა – საზოგადოების სოციალური თანხმო-

1 ამ პრობლემას სხვადასხვა დროს მიეძღვნა ერთ-ერთი ავტორის (ნ. ჭითანავას) რამდენიმე პუბლიკაცია. კერძოდ, „ამოცანა-ურთულესი, პასუხისმგებლობა საგანგებო“ (1990 წ.); „საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები“ (1993 წ.); „გვჭირდება სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ეკონომიკა“ (1995 წ.); „გვჭირდება საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელი“ (1995 წ.); „შერეული, მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა“ (1996 წ.); „დედით-სოციალისტური, მამით-კაპიტალისტური, გვარიშვილობით ქართული საბაზრო ეკონომიკა“ (1996 წ.); „საქართველოს ეკონომიკა ახალი ასწლეულის კარიბჭესთან (1997 წ.); „ეკონომიკა-სახელმწიფო-გლობალიზაცია“ (2004 წ.); „ვარდების რევოლუცია“ და სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების აუცილებლობა“ (2005 წ.).

ბისაკენ თანდათანობითი წინსვლის ობიექტურ შესაძლებლობათა ეკონომიკური საფუძვლები მოამზადა. საქმე გვაქვს საზოგადოების განვითარების მეტად საინტერესო ტენდენციებთან: კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა ევოლუციური გზით და არა რევოლუციების შედეგად განვითარების გარკვეულ ეტაპზე გარდაიქმნა შერეულ სისტემად, რომელშიც საკუთრების სხვადასხვა ფორმა და რეგულირების საბაზრო და სახელმწიფო მექანიზმები ერთად ფუნქციონირებენ და ერთ ამოცანას – ცხოვრების დონის ამაღლებას ემსახურებიან. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს შერეული ეკონომიკის პოლიტიკის, ინგლისს – პრივატიზაციის კლასიკური მეთოდების, გერმანიას – სოციალური პარტნიორობის, იაპონიას – ინდიკატიური დაგეგმვის ქვეყნებს უწოდებენ. ასეთია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თავისებურება.

ნიშანდობლივია, რომ კლასიკურმა კაპიტალიზმმა ევოლუციური გზით მანევრირების დიდი უნარიც გამოავლინა, ცალმხრივ ეგოისტურ მიზნებზე – მაქსიმალური მოგების მიღება უფრო მაღლა დადგა (იძულებით), რათა უზრუნველყო სისტემის სიცოცხლისუნარიანობა და მომავალში განვითარების მყარი საფუძველი შეექმნა. პირველად ეს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიშანდობლივია, რომ დეპრესიის პერიოდში პრეზიდენტმა რუზველტმა ქვეყანას „ახალი კურსი“ შესთავაზა. **კონგრესმა უმოკლეს ვადაში 70-მეტი კანონი მიიღო, მათ შორის მრეწველობის აღდგენის შესახებ წარმოებასა და ვაჭრობაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებით. 1942 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ძირითადი ფონდების ექსპლოატაციის ვადას განსაზღვრავდა და რომლის მიხედვითაც იგი ყოველ 10 წელიწადში უნდა განახლებულიყო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის და საბოლოოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

შერეული ეკონომიკის ფორმირების მცდელობა იყო „ნეპიც“. იგი როგორც იძულებითი მოვლენა, ფაქტობრივად კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ალტერნატივად

ჩამოყალიბდა და დიდი როლი შეასრულა სისტემის ტრანსფორმაციის დაჩქარებაში. სამწუხაროდ, პოსტსოციალისტურ პერიოდში რუსეთში, აგრეთვე სხვაგანაც, „ნეპის“ გამოცდილება **„გამორჩათ“ და დაიწყო არსებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის, რომელიც უფრო ახლოს იდგა თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე ფუნქციონირებად სისტემებთან, საუკუნით ადრინდელ კაპიტალიზმის მოდელზე „გადასვლა“.**

რატომ მრავალწყობიანი (მრავალსუბიექტიანი) ეკონომიკა?

მრავალწყობიანობა (მრავალსუბიექტიანობა) სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა პლურალიზმის ობიექტური გამოვლინებაა. ამასთან, საკუთრების თითოეულ ფორმას ფუნქციონირების საკუთარი მოტივაცია, პრინციპები, მართვის მექანიზმები გააჩნია, რაც ხელს უწყობს ერთიანი სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული გარემოს შექმნას თითოეული ფორმის ეფექტიანად განვითარებისთვის. საკუთრების ერთ ფორმას მეორის მიმართ ხელოვნურად შექმნილი უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს, ისინი თანაბარ სამართლებრივ პირობებში იმყოფება და მათი ფუნქციების შეცვლას განაპირობებს კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

განვიხილოთ შერეული, მრავალსუბიექტიანი ეკონომიკის ზოგიერთი ქართული თავისებურება.

ტრადიციულად საქართველოში მიწაზე საკუთრება ყოველთვის მრავალფორმიანობით გამოირჩეოდა. **დროსა და სივრცეში მიწაზე საკომლო, სათემო-სასოფლო, სახაზინო-სახელმწიფო, საეკლესიო-სამონასტრო, სახიზნო (დროებით) საკუთრება მშვიდობიანად „თანაარსებობდა“ და ერთიან სამეურნეო სისტემას ქმნიდა. ეს ანგარიშგასაწევი ფენომენია. არც ის იყო შემთხვევითი, რაც ვახტანგ VI-ის სამართალში დაიწერა: ქვეყანაზე ეს სამი არ დაეჭვირვის კაცსა და ხელმწიფისა არის წყალი, შეშა და ბალახი. საინტერესოა სოციალისტური ეკონომიკის თავისებურებაც. 1989 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების თითქმის ნახევარი (49%) კერძო (ინდივიდუალურ) სექტორში**

იყო წარმოებული, დანარჩენი კი – კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კერძო სექტორზე მოდიოდა ძროხების საერთო სულადობის 75, მრავალწლიანი ნარგავების – 27, ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების – 79, ხილის – 80, ყურძნის – 60, კარტოფილის – 46, ბოსტნეულის – 57, რძის – 59, მატყლის 66 პროცენტი. ამასთან, გამოიყენებოდა საზოგადოებრივი და კერძო მეურნეობის ინტეგრაციის შესაბამისი ორგანიზაციული ფორმებიც. ფუნქციონირებდა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურაც.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ საქართველოში შერეული, მრავალსუბიექტიანი ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე ფორმირების მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული საფუძველი ფაქტობრივად შექმნილი იყო. სამწუხაროდ, უმოკლეს დროში იგი მოიშალა. „რევოლუციური“ ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად 1994 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა 1945 წლის დონემდე დაეცა.

შერეული ეკონომიკური სისტემის სოციალური მიმართულება, ბუნებრივია, გამომდინარეობს თვით ეკონომიკის უზენაესი მიზნიდან – ემსახუროს ადამიანს, მის კეთილდღეობას. ამასთან, იგი არსებითად დამოკიდებულია პოლიტიკურ მიდგომებსა და გარე არაეკონომიკურ ფაქტორებზე. ამიტომაა, რომ ეკონომიკის სოციალურ მიმართულებას სხვადასხვა ინტერპრეტაციით განსაზღვრავენ ოფიციალურ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. მართალია, ეკონომიკა თავისი ბუნებით, შინაარსით სოციალურ მიზნებს (ადამიანს) ემსახურება, მაგრამ საბაზრო ეკონომიკურ სისტემათა მოდელების მრავალფეროვნებაში სოციალური პრობლემებისადმი მიდგომებს განსხვავებული დატვირთვა გააჩნია. **ჯერ-ერთი,** ეკონომიკის სოციალური მიმართულება კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად ობიექტურად ჩამოყალიბებული ფენომენია, და არა საბჭოთა სოციალიზმიდან (როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია) ინერციით წარმოშობილი მოვლენა. ამიტომ მას თვით ეკონომიკის წიაღში აქვს ფესვები გადგმული. **მეორე,** ეკონომიკის სოციალური მიმართულება

ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების, ურთიერთგანპირობებულობის დიალექტიკის სწორი გაცნობიერების თეორიული პროდუქტია, რომელმაც პრაქტიკაში საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

მესამე, ეკონომიკის სოციალურ მიმართულებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია მსოფლიოს განვითარების სოციალურ-ისტორიულმა ტენდენციამ, როდესაც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საზოგადოების წინაშე რეალურად დადგა ამოცანა: როგორ დაკმაყოფილდეს ადამიანის მზარდი სოციალური მოთხოვნილებანი, როგორ მოხერხდეს შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი გადანაწილება, როგორ მივაღწიოთ, რომ ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა აისახოს მთელი საზოგადოების (და არა მისი ერთი ნაწილის) კეთილდღეობაზე.

ეკონომიკის სოციალურმა მიმართულებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა პოსტსოციალისტურ პერიოდში შეიძინა. ეს კანონზომიერიცაა. სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან (სადაც დაცული იყო მინიმალური, მაგრამ მყარი სოციალური გარანტიები), საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ადამიანი რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მას სოციალური ენერგია გამოეცალა. ამასთან, საზოგადოებაში თვისებრივად ახალი სოციალური მოვლენებიც განვითარდა. კერძოდ, გაღრმავდა ეკონომიკის სოციალიზაციის პროცესი, შეიცვალა ადამიანის ეკონომიკური სტატუსი – იგი მესაკუთრე გახდა, შეიქმნა მისი უფლებების დაცვის ხელშემწყობი გარემო, ადამიანი ეზიარა პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპებს. ასეთ ვითარებაში ეროვნული ეკონომიკის სოციალურობის (საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია) ხაზგასმა პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ დომინანტად გვევლინება, რამაც ახალ გარემოსთან ფორმირებადი ეკონომიკური სისტემის ადაპტირებას უნდა შეუწყოს ხელი.

ამრიგად, შერეული (მრავალსუბიექტიანი), სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა (მომავალში სოციალური ეკონომიკა), ჩვენი აზრით, საქართველოში საბაზრო

ურთიერთობათა პრინციპების დამკვიდრების ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციული საფუძველია. ხატოვნად თუ ვიტყვით, საბაზრო ურთიერთობათა მომავალი ეროვნული ეკონომიკური სისტემა **დედით** სოციალისტურია (სოციალური სამართლიანობა, მტკიცე სოციალური გარანტიები, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (პროგნოზირება, ეკონომიკური დაგეგმვა და ა.შ.)), **მამით** – კაპიტალისტური (კერძო ინიციატივა, მოტივაცია, არჩევანის თავისუფლება, კონკურენცია, მოგებაზე ორიენტაცია, თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმები და ა.შ.), **გვარიშვილობით ქართული** – ისტორიული და სოციალური ტრადიციები, მემკვიდრეობითობა, სოლიდარიზმი, ეკონომიკური ჰუმანიზმი, ტოლერანტობა, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამების გენეტიკური უნარი, ცოდნისაკენ, სიახლისაკენ სწრაფვა, „რასაცა გასცემ შენია-ს“ ქართული ფილოსოფია, მეცენატობისადმი მიდრეკილება (დღევანდელი ტერმინოლოგიით სოციალური პასუხისმგებლობა) და სხვ.

ზემოთ მოტანილი ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ: – საქართველოში შერეული, სოციალური მიმართულების ეკონომიკა (მომავალში სოციალური ეკონომიკა) მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე როგორც ერთიანი, მთლიანობითი სისტემა. იგი ეფუძნება ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპებს, საკუთრების ფორმების პლურალიზმს. რიგ სფეროში (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ირიგაცია, სატყეო მეურნეობა, სოციალური სფეროს ზოგიერთი სტრუქტურა) ეკონომიკური სუბიექტები ფუნქციონირებენ სახელმწიფო საკუთრების საფუძველზე (მათთვის საბაზრო სტატუსის მინიჭებით). მრავალსუბიექტიანობა ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ტრადიციულ ფორმად დარჩება მომავალშიც. საკუთრების ფორმებს შორის თანაფარდობა და ეფექტიანობა ყალიბდება კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად, და რაც არსებითია, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

– ბაზრისა და სახელმწიფოს ორგანული ერთიანობა. ბა-

ზარი და სახელმწიფო ანტიპოდები არ არიან, ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, პირიქით, ერთმანეთს ავსებენ, მათთვის დამახასიათებელ ფუნქციებს ასრულებენ და ურთიერთმოქმედებით, ურთიერთგანპირობებულობით ერთ მთლიანს შეადგენენ. „უხილავი ხელის“ და „ხილული ხელის“ ურთიერთქმედებით ყალიბდება ეფექტიანობის ამაღლებისა და სოციალური სტაბილურობის მდგრადი გარემო.

– სოციალური მიმართულება ქვეყნის მომავალი ეკონომიკური სისტემის ფუძემდებლური პრინციპია. ეკონომიკა ადამიანის კეთილდღეობის თანაბარ შესაძლებლობებსა და სოციალური დაცვის მტკიცე გარანტიებს ქმნის. სოციალურ-ეკონომიკური სისტემა – ეკონომიკური (მრავალსუბიექტიანობა), სამართლებრივი (საკუთრების ფორმების პლურალიზმი), **ორგანიზაციული** (ბაზრისა და სახელმწიფოს სიმბიოზის აუცილებლობა), **მმართველობითი** (სტრატეგიული დაგეგმვა), **ზნეობრივი** (ადამიანების კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა) **პრინციპების ერთობლიობას ეფუძნება და ემსახურება მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ მიზანს – ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის მიღწევასა და სტაბილიზაციას.**

ცნობილია, რომ სოციალისტური ეკონომიკა „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიის პირმშო იყო. დღევანდელმა საბაზრო ეკონომიკამ (იგი „ველური კაპიტალიზმის“ პრინციპებზე აღმოცენდა) საქართველოს მოსახლეობის უმრავლეობის გაღატაკება გამოიწვია და **ამით კლასობრივის რეციდივების ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური საფუძველი მოამზადა. ამიტომ სოციალური თანხმობა, სოციალური წონასწორობა, სოციალური პარტნიორობა ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ.** ტრადიციულადაც ეროვნული მეურნეობის სოციალური მიმართულება განსაზღვრავდა თვით სამეურნეო ორგანიზაციის წესს. ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთო თანხმობის ფენომენს. ამას ადასტურებს ქართული სიბრძნე. **„ყოვლითა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და**

გლახაკნი არ ითხოვდნენ, ავთამქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდნენ, შიგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად ძოვდნენ“ (შ. რუსთაველი), „წოდებათა შერიგების“ (ილია ჭავჭავაძე), „საერთო მოქმედების ნიადაგის“ (არჩილ ჯორჯაძე), „წილნაყრობის“ (გიორგი ათონელი) და უამრავი ქართული „ისტორიული ცხოვრების თვითრჯულობიდან ამოშობილი“ პრინციპები და დაუწერელი კანონები, რაც იმის აღიარებაა, რომ კლასობრივი ბრძოლა ქართული სულის, აზროვნების გამოძახილი არასდროს იყო, ამიტომ მომავალშიც მყარი საყრდენი მას არ ექნება. მისი თავს მოხვევის ნებისმიერ მცდელობას, განსაკუთრებით ეროვნული ცნობიერებისათვის უცხო, ეკონომიკური მოდელების დანერგვას, მეცნიერული ცოდნით, ჭკუით და ხერხით უნდა ვუპასუხოთ.

ეროვნული ეკონომიკა ქვეყნის რეგიონების ეკონომიკათა ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, ტრადიციების, კანონზომიერებათა, სამეურნეო-ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების, ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრული გათვალისწინება რეგიონული ეკონომიკების აღორძინების მიზნობრივი პროგრამების გამოყენებით. **შიდა რეგიონული მრავალფეროვნება ქვეყნის განვითარების სტრატეგიული რესურსია.** „საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდებითაც არის შემოფარგლული... და გეოგრაფიულად და ეკონომიკურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“ [108.315].

– სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან თანამედროვე საბაზრო უთრიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის – ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება. ეს კი სახელმწიფოს საგანგებო ეკონომიკური და სოციალური ფუნქციაა, მით უფრო, მომავალში. საქმე ისაა, რომ ქვეყანას ადამიანისეული კაპიტალის

დიდი პოტენციალი გააჩნდა, სამწუხაროდ, იგი დანაწევრდა და ძალას ჰკარგავს. ეს მაშინ, როცა ცოდნა, როგორც ასეთი, მომავალში საზოგადოების განვითარების, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის როლს შეასრულებს. „ცოდნას ფულზეც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“ [99.V.359].

ამრიგად, საქართველოში შერეული, სოციალური მიმართულების ეკონომიკური სისტემის (მომავალში სოციალური ეკონომიკის) ძირითად განმსაზღვრელ კრიტერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ: ადამიანის ცხოვრების ხარისხი (მიზანი), ეკონომიკური თავისუფლება (სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი), პიროვნების მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაციის გარემო (სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი), მყარი სოციალური გარანტიები (პოლიტიკური ფაქტორი), ძლიერი სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო (ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორი), რომელსაც შეუძლია შექმნას სათანადო ეკონომიკური და სოციალური წესრიგი (სოციალური ეკონომიკა) და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარემო, დაიცვას საზოგადოების განვითარების ელემენტებს შორის წონასწორობა (პროგნოზირება, პროგრამირება, სტრატეგიული დაგეგმვა) და საერთოდ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები (ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება).

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული მიდგომებით უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებისა და სოციალური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია. ეს მოგვცემს საშუალებას ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი და მთლიანობითი პროცესი (როდესაც მთელი უფრო მეტია, ვიდრე ნაწილების ჯამი) წარიმართოს ერთიანი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით.

თავი IV. მოსახლეობის ცხოვრების დონე – სოციალური ეკონომიკის განმსაზღვრელი ინდიკატორი

4.1. ცხოვრების დონის არსი

მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრების დონის კატეგორიას სოციალური ეკონომიკის ორგანულ ნაწილად აღიარებს. ასეთი ხაზგასმა ნაკარნახევია იმით, რომ სოციალური ეკონომიკა, როგორც ზემოთ მრავალჯერ, სხვადასხვა კონტექსტში იყო აღნიშნული, პირდაპირ უკავშირდება ადამიანების მოთხოვნილებებს, შემოსავლებსა და მოხმარებას, ქონებრივ მდგომარეობას, ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას და სხვა სოციალურ მაჩვენებლებს, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავენ ცხოვრების დონეს (ხარისხს). ცხოვრების დონის ამაღლების მთავარი პირობა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობაა, რომელიც საბაზრო მექანიზმებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთობლივი გამოყენების გარეშე ვერ მიიღწევა. ეს ლოგიკური კავშირი გამოიხატება სქემით: **ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – ეფექტიანობა – ცხოვრების დონე (ხარისხი) – ეფექტიანობა.**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარებით, ადამიანს ცხოვრების ისეთი დონის უფლება აქვს, მათ შორის კვებაზე, ტანსაცმელზე, ბინაზე, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე, რომელიც აუცილებელია მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. ამასთან, ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უმუშევრობის, ინვალიდობის ან სხვა შემთხვევებისას. ასეთია ცხოვრების დონის შეფასების საყოველთაოდ მიღებული გაგება.

ცხოვრების დონის პრობლემების შესწავლას მეცნიერებასა და პრაქტიკაში ყოველთვის გამორჩეული ყურადღება ეთმობოდა. საქართველოში ამ პრობლემის მიმართ ინტერე-

სი განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გაძლიერდა, როცა ფაქტობრივად დაიწყო სოციალისტური ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი. სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის, რომელიც მინიმალურად მაინც უზრუნველყოფდა მთელი საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებებს სპონტანურად ნგრევისა და საბაზრო პრინციპების სტიქიურად დამკვიდრების პირობებში მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე. საერთოდ, სოციალური პრობლემა უფრო მასშტაბური, ამასთან წინააღმდეგობრივი და მწვავე გახდა.

ცნებას **„ცხოვრების დონე“** მეცნიერებაში განსაზღვრავენ და აფასებენ სხვადასხვა კრიტერიუმებით. მაგალითად, **წარმოების, მოხმარების, შემოსავლის, სამომხმარებლო ნორმატივების და სხვ.,** წარმოების მიხედვით ცხოვრების დონეს განსაზღვრავენ მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონით, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურით და ეფექტიანობით. ასეთი მიდგომა (მეთოდოლოგია) გამოიყენებოდა სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემაში და ეყრდნობოდა მოსახლეობის ერთ სულზე მეპ-ის წარმოების მოცულობის მაჩვენებელს. რაც შეეხება მოხმარების მიხედვით ცხოვრების დონის განსაზღვრას, ეს მაჩვენებელი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სტატისტიკურ გაანგარიშებებში, იგი ასევე გამოიყენებოდა სოციალისტურ სისტემაშიც. აღიარებულია, რომ მოხმარების დონე და სტრუქტურა ცხოვრების დონის პირდაპირი და უშუალო მაჩვენებელია. მოსახლეობის შემოსავლების დონის მიხედვით ცხოვრების დონის განსაზღვრის პრაქტიკა ამჟამად დამკვიდრებულია საერთაშორისო სტატისტიკაში და ეყრდნობა შემდეგ ძირითად მაჩვენებლებს: ხელფასს, პენსიას, სოციალურ დახმარებას და ტრანსფერებს.

თანამედროვე მეცნიერებაში უფრო დაკონკრეტდა ცნება **„ცხოვრების დონე“**. რომელიც განიხილება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია. იგი გამოხატავს (ახასიათებს) ადამიანის აუცილებელი ფიზიკური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს,

ცვალებადია და დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნილებების განვითარებაზე. მიჩნეულია, რომ ცხოვრების დონის განმსაზღვრელი სოციალური მოთხოვნილებაა. იგი მრავალმხრივია, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ აუცილებელი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე საერთოდ საზოგადოებრივი პროგრესი შეუძლებელია, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი პროგრესი ცხოვრების დონის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ **ნორმატიულ და რეალურ მოთხოვნილებებს**. **ნორმატიულია** ის მოთხოვნილება, რომელიც მოხმარების ნორმებითაა დადგენილი. **რეალურს** უწოდებენ ისეთ მოთხოვნილებას, რომელსაც ადამიანები ან მათი ჯგუფები ფაქტობრივად იღებენ მატერიალური და სულიერი სიკეთისა და მომსახურების სახით.

ცხოვრების დონის დახასიათებისას იყენებენ ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც სოციალური დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური გარანტიების ეკონომიკური ცნებების ბუნებას გამოხატავენ. თითოეული მათგანი ადამიანების დაცვის უზრუნველმყოფი მექანიზმების კონკრეტულ შინაარსს ასახავს. სოციალურ უზრუნველყოფაში იგულისხმება: **საყოველთაო სოციალური უზრუნველყოფა, დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფა, სოციალური დახმარება**. საყოველთაო უზრუნველყოფა მოიცავს ქვეყნის მთლიან მოსახლეობას სიბერის, სიკვდილისა და ინვალიდობის დროს. დასაქმებული მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა გულისხმობს ავადმყოფობის, უმუშევრობის, ინვალიდობის დროს გარანტიებს დახმარებაზე. სოციალური დახმარება გაეწევა მათ, ვისაც საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი გააჩნია.

სოციალური დაცვა ადამიანისა და საზოგადოების სხვადასხვა რისკებისაგან დაცვის პირობებისა და საშუალებების ერთობლიობაა, რომელიც სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობითაა განსაზღვრული. მოსახლეობის დაცვის სისტემა კომპლექსურია და მოიცავს როგორც მოსახლეობის საქმიანი აქტიურობის (შრომის მოტივაციის) სტიმულირებას,

ასევე სოციალური გარანტიების გაძლიერებას სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. მოსახლეობის კონტიგენტს, რომელსაც, პირველ რიგში, ესაჭიროება სოციალური დახმარება, მიაკუთვნებენ ხანდაზმულ მოქალაქეებს, მარტოხელა პენსიონერებს, ინვალიდებს, ობოლ ბავშვებს, მარტოხელა და მრავალშვილიან მშობლებს, ასევე ლტოლვილებს, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებს და სხვ.

ლიტერატურაში ბოლო პერიოდში, ფართოდ გავრცელდა ტერმინი „ცხოვრების ხარისხი“. თუ ცხოვრების დონე მიუთითებს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების რაოდენობრივად უზრუნველყოფაზე, ცხოვრების ხარისხი გულისხმობს მიწოდებული მატერიალური და სულიერი ფასეულობების მაღალ ხარისხს და ოპტიმალურ სტრუქტურას. მაშასადამე, ცხოვრების დონე რაოდენობრივ მხარეს გვიჩვენებს, ცხოვრების ხარისხი – თვისებრივ მხარეს, თუ რამდენად უზრუნველყოფილად ცხოვრობენ ადამიანები. ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა დამუშავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და პრაქტიკაში გამოიყენება 1992 წლიდან.

მოსახლეობის ცხოვრების დონე მჭიდროდ დაკავშირებულია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებასთან, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, მოიცავს ცოდნასა და ჩვევებს, რომლებიც გააჩნია ადამიანებს და მათ მიერ შეძენილია განათლების მიღებით, პროფესიული მომზადებით, პრაქტიკული გამოცდილებით. ცხოვრების მაღალი დონის პირობებში ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირება უფრო მაღალია, ამასთან, ინვესტიციურ ხარჯებს აქვს სტრატეგიული ხასიათი, არსებითად მათზეა დამოკიდებული საზოგადოების განვითარების მასშტაბები და ტემპები, საბოლოოდ საზოგადოების მდგრადი განვითარება.

როგორც აღინიშნა, ცხოვრების დონის ამაღლების ძირითადი პირობა-ფაქტორი სოციალური და ეკონომიკური პროგრესია. თავის მხრივ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე უამრავი ფაქტორი და პირობა მოქმედებს. ფაქტორებიდან, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ცხოვრების

დონის ფორმირებაზე, გამოყოფენ ადამიანების მოთხოვნილებასა და ინტერესებს, რესურსებით უზრუნველყოფას, თუ რამდენად ორიენტირებულია თავად სისტემა ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მაკროეკონომიკურ წონასწორობას, მოსახლეობის მეწარმეობრივ აქტიურობას, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს (ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და სხვ.) [43.49].

ზემოთ დასახელებული ფაქტორებიდან განმსაზღვრელად აღიარებულია ადამიანთა მოთხოვნილებები და ინტერესები. განასხვავებენ სამი სახის მოთხოვნილებას: პირველადი, განზოგადებული, კონკრეტული. პირველადში შედის მოთხოვნილება მატერიალურ ფასეულობებზე, ენერგიაზე, სულიერ მოთხოვნილებებზე (ადამიანური ურთიერთობები, საზოგადოებრივი აღიარება და ა.შ.).

მატერიალურ განზოგადებულ მოთხოვნილებებს მიაკუთვნებენ მოთხოვნილებებს: კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე და ა.შ. განზოგადებულ სულიერ მოთხოვნილებებად მიიჩნევენ მოთხოვნილებებს შემეცნებაზე, ურთიერთობაზე, ესთეტიკურ სიამოვნებაზე და ა.შ. კონკრეტული მოთხოვნილებები გამოხატავენ ინდივიდის თავისებურებებს.

ცხოვრების დონეზე მოქმედ ფაქტორებს შორის გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თვისებრივად ახალი ნიშან-თვისებებით განსაზღვრულმა სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის ურთიერთდამოკიდებულებამ. ერთი მხრივ, ცხოვრების დონე დამოკიდებულია წარმოების საერთო შედეგებზე და არა მხოლოდ მოხმარების საგნების წარმოებაზე. ეს კი – შრომის მწარმოებლურობაზე, ხოლო მისი ზრდისათვის აუცილებელია სოციალური გარემოს, ჯანმრთელობის, კვების და სხვა პირობების გაუმჯობესება. ეს მიიღწევა სოციალური სამართლიანობის პრინციპების გამოყენებით, რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამრიგად, სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის ურთიერთგანპირობებულობის ხარისხზეა არსებითად დამოკიდებული ცხოვრების დონის ამაღლება. ამ ფაქტორს,

როგორც ზემოთ არა ერთხელ იყო აღნიშნული, სათანადო ყურადღება არ მიექცა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობაში საბაზრო მექანიზმების ყოვლისშემძლეობის სტერეოტიპი გაბატონდა და საფუძვლად დაედო საყოველთაოდ ცნობილი პრინციპის – **სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის პოლიტიკას.**

მაკროეკონომიკური წონასწორობა, რომელიც ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა, როგორც ცნობილია, ემყარება მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებულობას. მოთხოვნის სიდიდეზე გავლენას ახდენს ცხოვრების დონე, უფრო სწორად, მოსახლეობის შემოსავლების მოცულობა, რაც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობების ხასიათზე. შემოსავლების ზრდის კვალობაზე იზრდება მოთხოვნაც. ბუნებრივია, საქონელზე მოთხოვნას თან ახლავს მიწოდება. ამიტომ საბაზრო წონასწორობისას იქმნება ცხოვრების დონის ამაღლების ხელშემწყობი პირობები. მაკროეკონომიკური წონასწორობის პოზიციიდან ცხოვრების დონეზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ინფლაციური პროცესები. ნიშანდობლივია, რომ ინფლაცია საერთოდ, ცხოვრების დონეს დაბლა წევს, მაგრამ განსაკუთრებით ზემოქმედებს იგი მოსახლეობის ღარიბ ნაწილზე. ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელება სახელმწიფოს ტრადიციული ფუნქციაა.

ცხოვრების დონეზე მოქმედი ფაქტორები (პირობები) განისაზღვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებით, მეურნეობრიობის თავისებურებებით, საზოგადოების განვითარების ტენდენციებით, ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის ხარისხით, გეოპოლიტიკური მახასიათებლებით. ფაქტორთა ასეთი მრავალფეროვნებისას სახელმწიფომ ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე უნდა განახორციელოს ადეკვატური სოციალური პოლიტიკა.

4.2. ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა

ცხოვრების დონის კომპონენტებს უწოდებენ ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებებს. მათ გააჩნიათ როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მახასიათებლები, რომელთა გამოსახატავად იყენებენ ისეთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), რომლებიც უფრო სრულად ასახავენ ადამიანის მოთხოვნილებებსა და მისი დაკმაყოფილების დონეს. ცალკეული ინდიკატორების შედარებისათვის გამოიყენება ინდექსები. ინდიკატორებითა და ინდექსებით კი ყალიბდება ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემა.

გაეროს რეკომენდაციით შესაბამისად გამოყოფენ ცხოვრების დონის მაჩვენებელთა რამდენიმე ჯგუფს.

პირველ ჯგუფში წარმოდგენილია კერძო კონკრეტული მაჩვენებლები, უფრო ხშირად ნატურალური ფორმით. მაგალითად, **კვების**. მისი ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება მოსახლეობის ერთ სულზე კილოკალორიებისა და ცილების გრამების (მათ შორის ცხოველური წარმოშობის) საღღეღამისო რაოდენობა. **ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის დაცვის** (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოკვდაობის პროცენტი). **საბინაო პირობების (მოსახლეობის ერთ სულზე** საერთო ფართობი). **საოჯახო ქონება** (მოსახლეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივ პერიოდში მოხმარების საგნებით, მაგალითად, მაცივრებით, ტელევიზორებით, ავეჯით, საყოფაცხოვრებო ტექნიკით და სხვ.). **მოსახლეობის კულტურის დონის** განმაზოგადებელი მაჩვენებელია მოსახლეობის სწავლების წლების საშუალო რიცხვი 25 წლის ზემოთ ასაკში. **ფასიანი მომსახურებისა – მისი მოცულობა** მოსახლეობის ერთ სულზე და სხვ. [115.109].

აღსანიშნავია, რომ სოციალური მაჩვენებლების შესწავლას აწარმოებენ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებს, ხოლო გაეროს სპეციალიზებულ

სტრუქტურასთან – ფაოსთან ერთად, რომელიც აგრარული პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება, – კვების მაჩვენებლებს; გაეროს სპეციალიზებული სტრუქტურა იუნესკო – განათლების სფეროს მაჩვენებლებს; შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლებს. გაეროსთან შექმნილია სოციალური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც სხვა პრობლემებთან ერთად დაამუშავა მეთოდიკა, რის საფუძველზე განისაზღვრება ურთიერთდამოკიდებულება განვითარების საერთო მაჩვენებლებსა და სოციალური განვითარების მაჩვენებლებს შორის.

როგორც ჩანს, ზემოთ დასახელებული ჯგუფის მაჩვენებლებით განისაზღვრება ცხოვრების დონის რაოდენობრივი მახასიათებელი.

მეორე ჯგუფში შეტანილია ის განმაზოგადებელი მაჩვენებლები, რომლებიც ცხოვრების დონეს გამოხატავენ ღირებულებითი ფორმით. მაგალითად, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, მშპ სტრუქტურაში საქონლისა და მომსახურების წილი, მოსახლეობის ერთ სულზე ფულადი შემოსავლები, ერთი მუშაკის დარიცხული საშუალო-თვიური ნომინალური და რეალური ხელფასი, პენსიების საშუალოთვიური ოდენობა, რეალური ფულადი შემოსავლები, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი.

მესამე ჯგუფის მაჩვენებლები ინტეგრალური ხასიათისაა. ყველაზე გავრცელებული ინტეგრალური მაჩვენებელი – ჰუმანური განვითარების ინდექსი, რომელიც გაეროს მიერ რეკომენდებული მეთოდიკით განისაზღვრება. იგი პრაქტიკაში გამოყენებულია 1991 წლიდან 177 ქვეყანაში.

პრაქტიკაში მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება ხდება სამი განზომილებით. შედარება წინა პერიოდთან, შედარება ნორმატივთან (საარსებო მინიმუმი და სხვ.), შედარება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების დონის შეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა განზომილებიანი მაჩვენებლები. მაგალითად, ერთკომპონენტიანი – მოსახლეობის ერთ სულ-

ზე მშპ მოცულობა, ორკომპონენტიანი – შემოსავლებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა. ერთ-ერთ საიმედო მაჩვენებლად თვლიან ინტეგრალურ მაჩვენებელს – თანაფარდობას სულადობრივ სამომხმარებლო შემოსავალსა და რაციონალურ სამომხმარებლო ბიუჯეტს შორის. ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს მაჩვენებლის გამოყენებას, რომელიც განისაზღვრება როგორც რეალური სულადობრივი შემოსავლის პირობითად თავისუფალი ნაწილი. ასეთ სიდიდედ მიაჩნიათ რეალურ შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც რჩება აუცილებელი გადასახდელებისა და ნაკლებელასტიკური ხარჯების გამოკლების შემდეგ [43.49]. იგულისხმება, რომ დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს საარსებო მინიმუმის სიდიდეს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითად სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც აღიარებულია ცხოვრების დონისა და ხარისხის განსაზღვრისათვის, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი [129.36-38]:

1. განმაზოგადებელი მაჩვენებლები. მშპ, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ინდექსი მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ფულადი შემოსავლების ინდექსისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის შეფარდება, სიღარიბის დონე, უმუშევრობის დონე, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ბავშვების სიკვდილიანობა, განათლების დონე.

2. მოსახლეობის შემოსავალი. მოსახლეობის შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი; მოსალოდნელი რეალური ფულადი შემოსავლები, შრომის ანაზღაურება, პენსიები, სტიპენდიები და სხვა დახმარებები, ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების მსყიდველობითი უნარი.

3. ხარჯები და მოხმარება. მატერიალური სიკეთეებისა და მომსახურების მოხმარების საერთო მოცულობა, ფულადი ხარჯები, სამომხმარებლო ხარჯები კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლის, მომსახურების მიხედვით, კვების რაციონის ქიმიური შემადგენლობა და კალორიულობა, გადასახადები, დანაზოგები.

4. ქონება და საცხოვრებელი. დაგროვილი ქონება ღირებულებით და ნატურალურ გამოსახულებაში, საცხოვრებელი პირობები.

5. საზოგადოების ფენებად დაყოფა. მოსახლეობის განაწილება საშუალო სულადობრივი შემოსავლების მიხედვით, ჯინის ინდექსი, ფულადი შემოსავლების მოცულობის განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით, საცხოვრებელი მინიმუმი, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი, რაციონალური სამომხმარებლო ბიუჯეტი, მოსახლეობის იმ ნაწილის რიცხოვნობა და წილი, რომელთაც აქვთ მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე **(საცხოვრებელ მინიმუმზე)** დაბალი საშუალო სულადობრივი შემოსავლები, ხელფასის მინიმალური სიდიდე, პენსიის მინიმალური სიდიდე, სიღარიბის პროფილი (მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებსაც აქვთ **სასიცოცხლო მინიმუმზე** დაბალი შემოსავალი), სიღარიბის დონის (სიღრმის) ინდექსი, სიღარიბის სიმწვავის ინდექსი.

6. მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის პირობები. მოსახლეობის უზრუნველყოფა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებით: სკოლებით, სამედიცინო და საბავშო სკოლამდელი დაწესებულებებით, თეატრებით, ბიბლიოთეკებით, ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებით; ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები, დროის ბიუჯეტი, მოსახლეობის ავადობა, გარემოს დაცვის მდგომარეობა, რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა.

გარდა ამისა, შემუშავებულია ცხოვრების დონის კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტები. ერთ-ერთ საყურადღებო ვარიანტად მიიჩნევენ დსთ-ს ქვეყნებისათვის შემუშავებულ ინდიკატორთა სისტემას [134.93-94]. იგი მოიცავს 5 ძირითად ბლოკს. **პირველ ბლოკში** წარმოდგენილია „ცხოვრების დონის ინტეგრალური მაჩვენებლები“ მაკროეკონომიკური, დემოგრაფიული, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის და საპენსიო უზრუნველყოფის მაჩვენებლები; **მეორე ბლოკში:** მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებლები – საოჯახო მეურნეობის შემოსავლები, მოსახლეობის

ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გადანაწილება და უთანაბრობა, სიღარიბის მაჩვენებლები. **დანარჩენ ბლოკებში** შესაბამისად წარმოდგენილია მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია შეფასდეს პირადი მოხმარება, საბინაო პირობები, სოციალური დაძაბულობის დონე.

ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შორის თანამედროვე პირობებში ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია მოსახლეობის შემოსავლებისა და გასავლების თანაფარდობა. შემოსავალს უწოდებენ ადამიანის მიერ მიღებულ ფინანსურ საშუალებებს, რომლებსაც იგი იყენებს ცხოვრების გარკვეული დონის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის. შემოსავლებს განსაზღვრავენ წყაროების მიხედვით. მაგალითად, ხელფასი, საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი და სხვ. გამოყოფენ ძირითად და დამატებით შემოსავლებს, რომლებიც მიიღება ძირითადი შემოსავლების ზევით. მაგალითად, ფასიანი ქაღალდებიდან, ანდერძით მიღებული შემოსავალი და ა.შ. შემოსავლებს განიხილავენ ფორმის მიხედვითაც. მაგალითად, **ფულადი და მატერიალური, ფულად შემოსავლებს** მიეკუთვნება: ხელფასი, პენსია, დახმარებები, სტიპენდია, შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, შემოსავლები დივიდენდებიდან, სესხები და სხვ. **მატერიალურ შემოსავლებს** შეადგენენ მატერიალური ფასეულობანი (ავტომობილი, ბინა, ავეჯი და ა.შ.). გარდა ამისა, განასხვავებენ ნომინალურ და რეალურ შემოსავლებს. ნომინალურია ის შემოსავლები, რომლებსაც იღებს ადამიანი, სანამ იგი გადაიხდის გადასახადებს და სხვა სოციალურ ანარიცხებს. რეალურია ადამიანისათვის საჭირო ფასეულობებით გამოხატული შემოსავალი. ცნობილია, რომ რეალური შემოსავლის სიდიდე უშუალოდ დამოკიდებულია ფასებზე. ინფლაციისას იგი მცირდება.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და გასავლების ბალანსი იძლევა ფულადი შემოსავლების მოცულობის და წყაროების, ასევე გასავლებისა და დანაზოგების მოცულობისა და სტრუქტურის შეფასების საფუძველს. ბალანსის მიხედვით გაიანგარიშება, თუ როგორია მოსახლეობა განა-

წილებული შემოსავლის მიხედვით, ასევე როგორია წილი იმ მოსახლეობისა, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. შემოსავლების განაწილების ანალიზისათვის მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ე.წ. გრაფიკული მაჩვენებელი, რომელსაც ლორენცის მრუდი ეწოდება.

პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე დეცილური კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება, როგორც მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის 10%-ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის იმ 10%-თან, რომელთაც შემოსავლების ყველაზე დაბალი დონე აქვთ. ცხოვრების დონის შეფასებისათვის გამოიყენება **სამომხმარებლო კალათა,** რომელიც ფაქტობრივად შეადგენს სამომხმარებლო პროდუქტებისა და მომსახურების ნაკრებს. განასხვავებენ სამომხმარებლო კალათის რაციონალურ და მინიმალურ დონეებს. პირველი ყალიბდება მოხმარების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების შესაბამისად, ხოლო მეორე განსაზღვრავს ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კვებაზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე იმ დონით, რომლის დაბლა მისი არსებობა შეუძლებელია. **სამომხმარებლო კალათა** ფაქტობრივად აღიარებულია სასიცოცხლო მინიმუმად, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს, იძლევა ობიექტურ ორიენტაციას სოციალური პოლიტიკის განსაზღვრისას. სასიცოცხლო მინიმუმი ის სიდიდეა, რომლითაც განისაზღვრება კვების პროდუქტებისა და კალორიების რაოდენობა, აგრეთვე არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე, სავალდებულო გადასახადებზე გაწეული ხარჯები. პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდოლოგიით სამომხმარებლო კალათაში შედის:

ა) პური და პურპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორცპროდუქტები, თევზი და თევზპროდუქტები, კვერცხი, ბოსტნეული, ხილი, ზეთი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, კარტოფილი და სხვ.

ბ) ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, თეთრეული, მედიკამენტები, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები, საცხოვრებელი ბინა, კომუნალური მომსახურება, კულტურულ-საგანმანათლებ-

ლო მომსახურება, საბავშვო ბაგებისა და ბაღების მომსახურება, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურება და ა.შ.

სამომხმარებლო კალათაში კვების პროდუქტების ნაკრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კვების პროდუქტებზე და ენერგიაზე ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა ნორმები, ასევე მონაცემები ცილების რაოდენობის შესახებ, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, ოჯახის სიდიდე და სტრუქტურა, განსახლების ხასიათი, ტრადიციები და სხვა თავისებურებანი.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამოდის, რომ საარსებო მინიმუმის სიდიდე არის სურსათის ნაკრების ჯამური ღირებულების შეფასება (მინიმალური სასურსათო კალათა) და მასთან წილობრივად შესაბამისი ხარჯები არასასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე, პლუს გადასახადების სიდიდე [43.47].

4.3. შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურა საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში

ცნობილია, რომ სოციალურ სფეროში საბჭოთა ტიპის სოციალისტური სისტემა სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობოდა: **ცენტრალიზებულ დაგეგმვას, დასაქმების გარანტიებს** (უმუშევრობა, როგორც ასეთი დაფიქსირებული არ იყო) და **პიროვნების კოლექტივისადმი დამორჩილებას** (კოლექტივის პრიორიტეტის აღიარებას). ამის საფუძველზე ყალიბდებოდა სტიმულირების სტრუქტურები. ხელფასი განისაზღვრებოდა ცენტრალიზებულად. ბუნებრივია ასეთ პირობებში დაინტერესება, შესაბამისად ხელფასიც და შრომის მწარმოებლურობაც დაბალი იყო, ამასთან ეკონომიკური ზრდის დასახული მაღალი ტემპების მიღწევისათვის საჭირო იყო დიდი ინვესტიციები. მათი უზრუნველყოფა ხელფასის დაბალ დონესთან იყო დაკავშირებული. საწარმოებს საკუთარი შეხე-

დულებისამებრ არ შეეძლოთ საქმიანობის დივერსიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ პროფკავშირები, რომლებსაც უნდა დაეცვათ მუშაკთა ინტერესები, ფაქტობრივად იცავდნენ ზემოთ დასახელებულ მიდგომებს.

ყურადღებას იპყრობს სხვა თავისებურებაც. XX საუკუნის 30-იან წლებში ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირში განხორციელდა სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში შრომითი რესურსების მასობრივად გადაქაჩვა. სწრაფად განხორციელებულმა ინდუსტრიალიზაციამ უზრუნველყო განვითარების მაღალი ტემპები, თუმცა ეკონომიკური ზრდა მიზნად ისახავდა არა მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილებას, არამედ წარმოების მუდმივად გაფართოებას წარმოების საშუალებათა წარმოების პრიორიტეტით, განსაკუთრებით სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას. რაც აიხსნებოდა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობით[1].

ზემოთ აღნიშნული თავისებურებების მიუხედავად, სოციალურ სფეროში არაორდინალური პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთა, კერძოდ, შრომის უფლების უზრუნველყოფა, მოსახლეობისათვის სოლიდური ფულადი დახმარების გაწევა, განათლებასა და ჯანმრთელობის სფეროში მომსახურების შედარებით მაღალი დონე და სხვ. შრომის უფლება გარანტირებული იყო კონსტიტუციით. მიუხედავად მოხმარების დაბალი მაჩვენებლებისა, დოტაციები პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე, უზრუნველყოფდა აშშ-ის მაჩვენებლებისაგან ჩამორჩენის სხვაობის შემცირებას. თუ საბჭოთა კავშირის მაჩვენებლები სურსათის მოხმარებისა და განათლების მომსახურების დონის მიხედვით, ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ-ის მაჩვენებლების 54

1 **თუ 1913 წელს რუსეთის იმპერიაში წარმოების ძირითადი ნაწილი – 65% სამომხმარებლო საქონელზე მოდიოდა, საბჭოთა კავშირში 1985 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 25%-ს შეადგენდა. დანარჩენი ნაწილი გათვალისწინებული იყო საწარმოო დანიშნულებით მოხმარებისათვის. სახელმწიფო პოლიტიკაში ასეთი მიდგომები განაპირობებდა სოციალური სფეროს განვითარების დაბალ ტემპებს.**

და 75%-ს შეადგენდა, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შეძენის მიხედვით – მხოლოდ 13%-ს [168.108].

სოციალისტურ სისტემაში არსებობდა ფულადი ანაზღაურების კომპლექსური სისტემა. მაგალითად, საავადმყოფო ფურცლის განაღდება, პენსიების დონე, რომელიც მიბმული იყო ხელფასთან და გარანტირებული სახელმწიფოს მიერ. პენსიები ინიშნებოდა საპენსიო ასაკიდან (რომელიც უფრო დაბალი იყო, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, მამაკაცებისათვის – 60 წელი, ქალებისათვის – 55 წელი). ასევე მიზნობრივი იყო დახმარება ბავშვებზე, ხანგრძლივი პერიოდით დეკრეტული შვებულების ანაზღაურება. კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლებით დედები დახმარების მიღებასთან ერთად ინარჩუნებდნენ სამუშაო ადგილსაც. განათლების სისტემა უფრო მიზანმიმართული, ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო. საშუალო განათლების მიღება სავალდებულო იყო. ფუნქციონირებდა უმაღლესი და სპეციალიზებული სასწავლებლების განვითარებული ქსელი. ყველა ეს პოზიტიური მოვლენა მოსახლეობის განათლების დონეზე აისახა. ქვეყნის მოსახლეობის 99%-ზე მეტი წერა-კითხვის მცოდნე იყო. ამ მაჩვენებლით სოციალისტური სისტემა განვითარებული ქვეყნების დონეზე აღმოჩნდა. სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იყო. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. 1975-1980 წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ საბჭოთა კავშირში 69,6 წელი, განვითარებულ ქვეყნებში – 71,9, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 55,2 წელი შეადგინა.

სოციალურ სფეროში საბჭოთა პერიოდში საქართველოში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ძირითადი მონაცემები:

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდში უზრუნველყოფილი იყო რესპუბლიკის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის შრომითი დასაქმება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დემოგრაფიული სიტუაცია. 1921 წელს საქართველოში ცხოვრობდა 2401 ათასი კაცი (მათ შორის, ქალაქში 19,8%). მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მიხედვით ცხოვრობდა

5443 ათასი კაცი (მათ შორის ქალაქად 55,8%). ამავე პერიოდში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 72,6 წელი შეადგინა.

1989 წელს რესპუბლიკის 153 სამეცნიერო დაწესებულებაში 29305 კაცი მუშაობდა, მათ შორის, 1387 მეცნიერებათა დოქტორი, 10706 – მეცნიერებათა კანდიდატი. 3700 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 880 ათასი მოსწავლე. 1989 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 19 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა რაოდენობა 93 ათას კაცს შეადგენდა. 1941 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

1989 წელს ყოველ 1000 კაცზე უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 877 იყო, მათ შორის უმაღლესი განათლებით – 151. აღსანიშნავია, რომ 1989/1990 სასწავლო წელს სწავლების ყველა სახეობის მიხედვით სწავლობდა 1445,2 ათასი კაცი. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა მწერლობამ, ეროვნულმა კულტურამ და ხელოვნებამ, ქართული წიგნი მილიონობით ეგზემპლარობით გამოდიოდა. განათლებისა და კულტურის განვითარების მაღალ ტემპებთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცხოვრების დონის (ხარისხის) ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ხანგრძლივი პერიოდის მოხმარების საგნების გამოყენება. მაგალითად, 1989 წელს საქართველოში ყოველ 100 ოჯახზე მოდიოდა: საათი – 510, რადიომიმღები – 100, ტელევიზორი – 102, მაგნიტოფონი – 44, ფოტოაპარატი – 27, მაცივარი – 96, სარეცხი მანქანა 76, ელექტროსასრუტი – 35, მსუბუქი ავტომობილი – 33, ველოსიპედი და მოპედი – 37, საკერავი მანქანა 68 და ა.შ.

აღნიშნული მონაცემები ადასტურებენ, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველო საშუალო განვითარების დონის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ხოლო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით თანამედროვე განვითარებული ქვეყნების დონეზე იმყოფებოდა.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის გამოკვლევის ბაზად იღებენ საოჯახო მეურნე-

ობის მაჩვენებლებს. მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ შინამეურნეობა აერთიანებს ყველა მომხმარებელს, ასევე წარმოების ფაქტორების მესაკუთრეს. ამიტომ ითვლება, რომ იგი ორმაგ ფუნქციას – მომხმარებლისა და წარმოების ფაქტორების მიმწოდებლის ფუნქციას ასრულებს. ეს თავისებურება განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური თვალსაზრისით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ შინამეურნეობები მომხმარებლის, რესურსების მიმწოდებლის ფუნქციის შესრულებასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტში იხდიან გადასახადებსაც. საბოლოოდ, ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი (იმის მიხედვით, თუ როგორ არის იგი სოციალურად ორიენტირებული) ტრანსფერების სახით მათ უბრუნდებათ. ამიტომ ითვლება, რომ შინამეურნეობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ასრულებს უნივერსალურ ფუნქციებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად რეგულირდება ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებით. ეს უპირატესად უნდა აისახოს სოციალურ პოლიტიკაში. სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში ამ მოვლენას მეცნიერებასა და პრაქტიკაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეს მაშინ, როცა გარდამავალ პერიოდში შინამეურნეობების აქტივიზაციამ, გენეტიკური რესურსების ამოქმედებამ **პოზიტიური როლი შეასრულა საბაზრო პრინციპებთან ადაპტირებაში,** მიუხედავად იმისა, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტით განისაზღვრა და თვითუზრუნველყოფის სფეროთი შემოიფარგლა. ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობით გამოწვეულ სიტუაციაში შინამეურნეობამ (განსაკუთრებით სოფლად) მკაცრ გამოცდებს გაუძლო და სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა.

ცნების **„შინამეურნეობა“** ირგვლივ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ჩვენი აზრით, მართებულია სწორად მივიჩნიოთ ოფიციალურად აღიარებული და პრაქტიკაში გამოყენებული მიდგომა, რომლის მიხედვით, შინამეურნეობა არის საზოგადოების ძირითადი მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო უჯრედი – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარე-

ბა ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების, კვების საერთო წესებს და დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით) და ნათესაური ან არანათესაური (მოყვრული) ურთიერთობებით ან ორივეთი ერთად (ინსტრუქცია საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის შესახებ).

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით, შინამეურნეობა წარმოადგენს ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გაერთიანებულია მათი შემოსავლებითა და ქონებით, ასევე საქონლისა და მომსახურების ერთობლივად მოხმარებით, რომელსაც ძირითადად მიეკუთვნება საცხოვრისი და კვების პროდუქტები. შინამეურნეობების დაყოფა და დახასიათება შეიძლება სხვადასხვა მიდგომით განხორციელდეს. ჩვენს ინტერესს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იწვევს შინამეურნეობის დაყოფა შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით. ეს მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ არა მხოლოდ მათი მატერიალური მდგომარეობა, არამედ ამასთან ერთად შეფასდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, თავისებურებები, ტენდენციები, საერთოდ, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა.

შინამეურნეობების გამოკვლევები საქართველოში დაიწყო 1995 წელს და ძირითადი მაჩვენებლები ჩამოყალიბდა 1998 წელს. ამიტომ სტატისტიკის ორგანოები შესაბამის ინფორმაციას ამ პერიოდიდან ამუშავებენ. 1998 წელს საქართველოში აღირიცხა 1156200 შინამეურნეობა, აქედან ქალაქში იყო 53,8%. შინამეურნეობების საშუალო სიდიდე 3,48 კაცს შეადგენდა. 2006 წლისათვის შინამეურნეობების საერთო რაოდენობა 1018,7 ათასი იყო (მათ შორის ქალაქად – 49,9%) საშუალო სიდიდე – 3,8 კაცი. საქართველოში ერთსულიანი შინამეურნეობა შეადგენს 13,2%, ორსულიანი – 16,3%, სამსულიანი – 19,7%, ოთხსულიანი – 21,1%, ხუთსულიანი – 15,4%, ექვს და მეტსულიანი – 18,3%-ს [83].

ქვეყანაში შემოსავლების მიხედვით დიფერენციაცია გვიჩვენებს სახიფათო ტენდენციას, რომ მოსახლეობის უმ-

ნიშვნელო ნაწილში ხდება არა მხოლოდ შემოსავლების, არამედ ქონების კონცენტრაციაც. მაგალითად, 1996 წლის დასაწყისისათვის მოსახლეობის 1% ფლობდა ეროვნული სიმდიდრის 1/3-ს, დაგროვილი საშინაო ქონების 25-30%-ს. მოსახლეობის უმდიდრესი 10% წილად მოდიოდა ფარული პრივატიზების 9/10, ღია პრივატიზების 35-40%, მიმდინარე შემოსავლების 35%, კერძო და აქციონერულ საკუთრებაში გადასული ძირითადი ფონდების 70-75% [4.58, 64]. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10% შემოსავალი ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავლებს 50-ჯერ აღემატებოდა, 2005 წელს – 49,1-ჯერ [4.58; 66.99]. (მსოფლიო პრაქტიკაში კრიტიკულ ზღვარად მიჩნეულია შეფარდება 10:1. საქართველოში ეს თანაფარდობა 1989-1990 წლებში დაახლოებით 5 : 1 იყო). ექსპერტთა აზრით, გასული საუკუნის 90-იან წლებში შემოსავლებისა და დაგროვილი ქონების მიხედვით დიფერენციაციის ასიმეტრიულმა ხასიათმა გამოიწვია იმის აუცილებლობა, რომ საყოველთაოდ მიღებული პრინციპის – საზოგადოების სამ ფენად დაყოფის (მდიდრები, საშუალო კლასი, ღარიბები) შესახებ, საჭირო გახდა დიფერენციაციის 5 ფენად განსაზღვრა. კლასიკურ სამფენოვან დაყოფას დაემატა **შეძლებულების** (სოციალური ფენა მდიდრებსა და საშუალო კლასს შორის) და **ღატაკთა** (უკიდურესად ღარიბი) კატეგორიებიც. სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მდიდრებად ჩაითვალა ის ოჯახები, რომელთა შემოსავალიც საარსებო მინიმუმს (სიღარიბის ზღვარს) აღემატებოდა სულ ცოტა 4-ჯერ (საარსებო მინიმუმი (ოთხსულიანი ოჯახისათვის) იმ დროისათვის შეადგენდა 196,6 ლარს. (ანალოგიური სიდიდის ოჯახის საარსებო მინიმუმი აშშში იყო 1000 დოლარი, გერმანიაში – 850 დოლარი). ასეთ ოჯახთა რაოდენობამ იმ დროისათვის შეადგინა 6-7%. შეძლებულ ოჯახებს (იმავე მეთოდიკით) მიეკუთვნა ოჯახები, რომელთა მიმდინარე შემოსავლები 3-4-ჯერ აღემატებოდა საარსებო მინიმუმს. ასეთი ოჯახის რაოდენობამ შეადგინა 6-7%. საშუალო ფენას მიეკუთვნა ოჯახები, რომლებსაც

საარსებო მინიმუმზე არაუმეტეს 3-ჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა. მათმა საერთო რაოდენობამ შეადგინა 21-23%. ასევე შეფასდა ღარიბებისა და ღატაკების შემოსავლებიც. ჩაითვალა, რომ ყველა ოჯახი, რომელსაც საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ღარიბია, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ამ ფენის დიფერენციაცია მოხდა ღარიბებად და მეტისმეტად ღარიბებად. ღატაკებად ჩაითვალა ის ოჯახები, რომელთა შემოსავლები საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლები იყო. ყველა სხვა ოჯახი, რომელთა შემოსავლები მერყეობდა საარსებო მინიმუმსა და მის ნახევარს შორის, „უბრალოდ“ ღარიბად მიიჩნიეს. ასეთი კლასიფიკაციით იმ დროისათვის საქართველოს მოსახლეობის 21% „უბრალოდ“ ღარიბი იყო, ხოლო 41% - ღატაკი [4.61].

სოციალურ დიფერენციაზე საერთო წარმოდგენას ჰქმნის მოსახლეობის დაჯგუფება დაგროვილი ქონების მიხედვითაც. სტატისტიკური დაკვირვებებით გამოვლინდა თავისებურება (ტენდენცია), რომელსაც ანგარიში არ გაეწია ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ქვეყანაში მიმდინარე შემოსავლებით ღარიბად მიჩნეული ბევრი ოჯახი, დაგროვილი ქონებით (საცხოვრებელი, ხანგრძლივი მოხმარების საგნები და სხვ.) ნამდვილად არ მიეკუთვნება ღარიბებს. სტატისტიკის დეპარტამენტის შეფასებით, მოსახლეობის 70%-ს, რომელთა მიმდინარე შემოსავლები სიღარიბის ზღვარზე დაბალია, აქვს ბინა, ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა და სხვ.

ეს სოციალური და ეკონომიკური მოვლენა საყურადღებოა თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. გარდამავალ პერიოდში აღმოჩნდა, რომ ქვეყნის მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე ისეთი მასშტაბებით, ტემპებით არ ეცემა, როგორითაც მცირდება წარმოება, შესაბამისად, შემოსავლები. ეს იმითაა განპირობებული, რომ დაგროვილი, ანუ ადრე შექმნილი პოტენციალი ძლიერი გენეტიკური რესურსია, რომელიც ბევრად (სწორი გამოყენებისას) განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების ხასიათს, ტემპებს, თვისებ-

რიობას. ამ თავისებურებას პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. გიორგი მალაშხიამ. მისი აზრით, ეკონომიკური დაქვეითების დროს, როდესაც მშპ და ოჯახების შემოსავლები მკვეთრად ეცემა, ცხოვრების დონე შესაბამისად არ ქვეითდება. ამ მოვლენას იგი ხსნის განვითარების მიღწეული დონის შენახვის კანონის არსებობით [40.82-88]. აღსანიშნავია, რომ მეცნიერის ეს მოსაზრება საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ჩვენი ანალიზითაც დადასტურდა. გარდამავალ საწყის ეტაპზე საქართველოში (ასევე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც) პარადოქსული სიტუაცია ჩამოყალიბდა. ოჯახებს, რომლებიც შემოსავლებით სიღარიბის ზღვარზე დაბლა იმყოფებიან, ე.ი. არასაკმარისად იკვებებიან, გააჩნიათ მაცივარი (რომლის დანიშნულებაა სურსათით უზრუნველყოფის უწყვეტობა), რომელმაც დღეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ფაქტობრივად ფუნქცია დაკარგა (შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს სათანადო მარაგის შექმნას და კვების პროდუქტების ხარისხის დაცვას). ასეა სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავენ (ტელევიზორი, სარეცხი მანქანა და სხვ.).

ამ კონტექსტში პრობლემის განხილვისას ყურადღებას იქცევს თავისებურება, რომელმაც ადრე არსებული სტერეოტიპები თვისებრივად შეცვალა. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, მოსახლეობის განათლების მაღალი დონე, მეორე მხრივ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ განათლებული მოსახლეობის დიდი ნაწილი. რამდენად თავსებადია ეს ორი ერთმანეთისგან მკეთრად განსხვავებული მახასიათებელი? საყოველთაო აღიარებით, განათლება სიღარიბის დაძლევის უმთავრეს ფაქტორადაა მიჩნეული. ცოდნა დღეს წარმოების განმსაზღვრელი ფაქტორია, თუ ეს ასეა (ამაში ეჭვის შეტანაც უსაფუძვლოა), მაშინ როგორ ავხსნათ საქართველოში (ასევე თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაშიც) ზემოთ დასახელებული მოვლენა. იგი გამონაკლისია, თუ ტენდენციაა? უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ საზოგადოების უმეტესი ნაწილი განათლებული იყო, მას

არ უნდა დაეშვა ეკონომიკის ორგანიზაციის ისეთი დონე, რომელიც მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. **რა მოხდა? წინამდებარე წიგნში განხილული პრობლემების საერთო ანალიზისას გამოიკვეთა ის, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის რთული პროცესი პოლიტიკური იდეოლოგიის, როგორც დაპირისპირებული ძალების პრინციპებზე განისაზღვრა, რევანშიზმის (ფართო გაგებით, კაპიტალიზმისა სოციალიზმზე) სულისკვეთებით წარიმართა. ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალი გარდაქმნების პროცესში ფაქტობრივად არ იქნა გამოყენებული. ყოველივე ამან თავად პოზიტიური მოვლენა – საბაზრო პრინციპებზე გადასვლა – ეროვნული ეკონომიკის დამანგრეველ ფაქტორად აქცია.** ეს მოვლენა-შედეგი საყოველთაო ტენდენციის სახით ჩამოყალიბდა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მეცნიერულ ახსნას საჭიროებს.

ერთი რამ ცხადია: ნებისმიერ პირობებში ეკონომიკის განვითარების სტრატეგიისადმი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა უნდა ემყარებოდეს მიზანშეწონილობას, რეალური მდგომარეობის სისტემურ ანალიზს, ადგილობრივი თავისებურებების სწორად განსაზღვრას, მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტენდენციების ობიექტურ შეფასებას.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის სტრატეგიის განსაზღვრისას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნა უგულებელყოფილ იქნა.

ცხრილი 4.1. გვიჩვენებს, რომ საანალიზო პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზარდა ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები. დაქირავებული შრომიდან შემოსავალი გაიზარდა 31,8 ლარიდან 57,8 ლარამდე. ასევე გაიზარდა პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების მოცულობა, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე მიზერული პენსიაც დროულად არ გაიცემოდა (იხ. ცხრილი 4.2).

ცხრილი 4.1

შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე
(ლარი საშუალოდ თვეში, მრიცხველი – აბს. მაჩვენებელი,
მნიშვნელი – %)

1997 წლის ფასებში	1997	1998	2000	2003	2005	2006
ფულადი შემოსავლები	85,6	99,6	84,2	113,1	131,9	138,5
ტრანსფერები	48,3	55,0	51,1	59,7	64,7	66,7
დაქირავებული შრომიდან	31,8	39,5	34,2	40,1	51,4	57,8
	17,9	21,8	20,8	21,2	25,2	27,8
თვითდასაქმებიდან	25,4	21,0	16,8	21,6	23,2	21,9
	14,3	11,6	10,2	11,4	11,4	10,5
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	16,9	19,8	16,3	19,0	18,9	17,3
	9,5	10,9	9,9	10,1	9,3	8,8
ქონებიდან (გაქირავებიდან, ანაბრიდან პროცენტი)	0,2	0,6	1,0	1,1	1,9	0,8
	0,1	0,3	0,6	0,6	0,9	0.4
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	7,8	9,0	6,6	5,8	15,0	17,5
	4,4	5,0	4,0	3,1	7,4	8,4
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	1,5	4,0	2,9	13,4	8,1	8,0
	0,8	2,2	1,8	7,1	4,0	3,9
ახლობლებისაგან მიღებული ფული	2,2	5,7	6,4	12,1	13,3	15,2
	1,2	3,2	3,9	6,4	6,5	7,3
არაფულადი შემოსავლები	79,7	58,3	59,5	48,7	46,5	44,0
	45,0	32,2	36,1	25,7	22,8	21,2
შემოსავლები სულ	165,3	157,9	143,7	161,8	178,5	182,5
	93,3	87,2	87,3	85,4	87,6	87,9
სხვა ფულადი სახსრები	11,9	23,1	20,9	27,6	25,4	25,1
	6,7	12,8	12,7	14,6	12,5	12,1
ქონების გაყიდვა	5,0	9,7	5,4	5,7	3,1	3,7
	2,8	5,4	3,3	3,0	1,5	1,8
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	6,9	13,4	15,5	21,8	22,3	21,4
	3,9	7,4	9,4	11,5	10,9	10,3
ფულადი სახსრები, სულ	97,5	122,7	105,2	140,7	157,3	163,6
	55,0	67,8	63,9	14,3	77,2	78,8
ფულადი და არა ფულადი სახსრები	177,2	181,0	164,7	189,4	203,8	207,6
	100	100	100	100	100	100

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 2002-2003, თბ., 2003., გვ. 87-88, www.statistics.ge.

როგორც ცხრილიდან (4.2) ჩანს, 2005 წელს რეალურმა ხელფასმა 87,9 ლარი შეადგინა. 2000 წელთან შედარებით

ცხრილი 4.2

საქართველოში ხელფასის მაჩვენებლები 2000-2005 წლებში (ლარებში)

წლები	საშუალო თვიური ხელფასი			საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის წილი საარსებო მინიმუმში		თვიური ნომინალური ხელფასი		სახელფასო დავალიანება (ათასი ლარი) მოქმედების მიმართ
	ნომინალური	რეალური						
		აბსოლუტურ გამოსახულებაში	1997 – 100 (%)	ქვრი სულზე მოქმედ (%)	ოთხსულიანი ოჯახისათვის (%)	სახელმწიფო სექტორი და საბიუჯეტო ორგანიზაციები	კერძო სექტორი	
2000	72,5	56,5	119,3	62,9	35,9	54,0	106,1	
2001	82,6	61,4	129,7	70,0	39,9	63,0	120,6	50524,7
2002	99,6	69,8	146,8	79,0	45,0	77,6	139,4	38074,9
2003	101,5	68,3	143,4	7767	44,3	79,3	145,8	43298,1
2004	116,4	60,8	156,0	84,9	48,4	93,7	160,0	23032,7
2005	149,3	87,9	184,9	98,1	56,1	130,9	184,1	-

წყარო: საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, თბ., 2006, ივნისი, გვ. 37.

2005 წელს სახელმწიფო სექტორში (მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციებში) თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა 54 ლარიდან 130,9 ლარამდე. მინიმალური ხელფასის სარგო დაწესდა 115 ლარი, მაგრამ მინიმალური ხელფასის ნორმატივი ისევ 20 ლარია, საარსებო მინიმუმის 21,6%. აღსანიშნავია, რომ დიდია ხელფასის ოდენობის მიხედვით დიფერენციაცია. მაგალითად, სამინისტროს შიგნით ხელფასის მინიმალურ და მაქსიმალურ დონეებს შორის თანაფარდობა ტოლია 1 : 26 (ზღვრულ თანაფარდობად მიჩნეულია 1 : 10) [1.27].

თუ 1992 წლამდე ქვეყანაში საშუალო ხელფასი დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას ოჯახის ერთ სულზე გაანგა-

რიშებით, 1992 წელს საშუალო ხელფასი შეადგენდა სამომხმარებლო კალათის ღირებულების ნახევარზე ნაკლებს. მომდევნო პერიოდში მდგომარეობა უფრო გართულდა. 1993 წელს თებერვალში საშუალო ხელფასი სამომხმარებლო კალათის 15%-ს, მაისში 10%-ს, ხოლო აგვისტოში 3%-ს შეადგენდა. 1995 წლის დასაწყისში სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშუალო ხელფასი ფარავდა ნორმატიული მინიმალური ხელფასის 18%, 1996 წლის იანვარში ფაქტობრივი მინიმალური ხელფასი ნორმატიულის 9% იყო. 1996 წლის დეკემბერში საარსებო მინიმუმი 104,4 ლარი იყო. ეკონომიკის დარგებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1996 წელს შეადგენდა 35 ლარს, საბიუჯეტო ორგანიზაციებში – 27 ლარს. ამავე წელს პენსიამ 8 ლარი და 50 თეთრი შეადგინა [საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 1996, გვ. 22].

ცხრილი 4.3 გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში სამომხმარებლო ფულად ხარჯებში მთავარ მიმართულებად რჩება სურსათზე ხარჯები. კვლავაც დაბალია განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე ხარჯების წილი.

სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურის დახასიათებისთვის სათანადო ინფორმაციას გვაწვდის სტატისტიკის დეპარტამენტი 2001 წელს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა 90%-ს ესაჭირებოდათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, აქედან 31%-მა ვერ მოახერხა მისი შეძენა. განათლების ხარჯების გაწევა ვერ მოახერხა გამოკითხულია 23%, გათბობა-დასვენებისათვის ხარჯები ვერ გაიღო 51,5%, ხოლო სამედიცინო ხარჯები გასწია მსურველთა მხოლოდ 33%-მა.

აქვე მართებული იქნება აღვნიშნოთ ერთი ნიუანსიც. საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში საქართველოში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლებისა და შეღავათების ჩათვლით საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 293,1 მანეთს [57.39]. რა თქმა უნდა, ეს არ იყო დიდი თანხა, თუმცა იგი გამოირჩეოდა მაღალი მყიდველობითუნარიანო-

ცხრილი 4.3

ხარჯების სტრუქტურა ერთ შინამეურნეობაზე საშუალოდ თვეში (ლარი) (მრიცხველი – აბს. მაჩვენებელი, მნიშვნელი – %)

1997 წლის ფასებით	1997	1998	2000	2003	2005	2006
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	171,3 64,9	156,6 66,9	153,4 65,8	140,6 63,6	156,1 69,4	156,0 70,0
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	97,8 37,0	90,7 38,8	78,6 33,7	74,9 33,9	78,7 34,0	79,0 35,5
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	10,3 3,9	10,5 4,5	9,9 4,2	8,2 3,7	8,7 3,9	8,1 3,6
საოჯახო მოხმარების საქონელზე	17,4 6,6	17,6 7,5	21,1 9,4	4,9 2,2	5,7 2,5	5,6 2,5
ჯანმრთელობის დაცვაზე	6,0 2,3	4,5 1,9	8,0 3,4	9,3 4,2	11,4 5,7	12,6 5,6
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	12,2 4,6	11,5 4,9	12,3 5,3	12,5 5,6	15,3 6,8	16,1 7,8
ტრანსპორტზე	13,4 5,1	11,0 4,7	10,6 4,5	14,6 6,6	15,9 7,1	14,4 6,7
განათლება, კულტურასა და დასვენებაზე	5,3 2,0	5,0 2,1	5,4 2,3	3,9 1,8	4,6 2,0	5,1 2,3
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	9,0 3,4	5,8 2,6	7,5 3,2	12,3 5,5	15,6 6,9	15,2 6,8
არა ფულადი ხარჯები	79,7 30,2	58,1 2,5	59,5 25,5	48,7 22,0	46,5 20,7	44,0 19,7
სამომხმარებლო ხარჯები, სულ	251,0 95,0	214,7 91,8	213,0 91,3	189,3 85,6	202,6 90,1	200 89,8
არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	13,2 50,0	18,2 17,8	20,2 8,7	31,7 11,3	22,3 9,9	22,7 10,2
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	4,3 1,6	3,3 1,4	4,3 1,8	4,9 2,2	4,3 1,9	3,6 1,6
ტრანსფერებზე	0,8 0,3	0,6 0,2	0,3 0,1	6,2 2,8	5,5 2,4	5,5 2,7
დაზოგვაზე გასესხებაზე	8,1 3,0	14,3 6,1	15,5 6,6	16,4 7,4	8,0 3,5	10,3 4,6
ქონების შეძენაზე	-	-	-	4,2 1,9	4,5 2,0	3,2 1,4
ფულადი ხარჯები, სულ	184,5 69,8	174,8 74,7	173,7 74,5	172,3 77,9	178,4 79,3	178,7 80,2
ხარჯები, სულ	264,2 100	233,9 100	233,2 100	221,0 100	224,9 100	222,7 100

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები, 2002-2003 თბ., 2004, გვ. 105-106, www.statistics.ge.

ბით. მაგალითად, ერთი მანეთით ადამიანს შეეძლო ეყიდა 500 გრამი პური, 50 გრამი კარაქი, 150 გრამი საქონლის ხორცი, ერთი ლიტრი რძე, ერთი ცალი კვერცხი. ერთ თვეში 30 მანეთი, ანუ თვიური ხელფასის 10,2% უზრუნველყოფდა ზე-

მოთ აღნიშნული პროდუქტების ყოველდღიურ მოხმარებას განვითარების საშუალო დონის ქვეყნების დონეზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის შემოსავლების დინამიკისა და სტრუქტურის ცვლილების ფონზე ინფლაციური პროცესების შედეგად ფულის კურსი და მისი მყიდველობითუნარიანობა კატასტროფულად დაეცა, რის გამოც წლების მანძილზე მოსახლეობის დანაზოგებმა თავისი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა ფაქტიურად დაკარგეს. (1990 წელს ქვეყნის მოსახლეობის ანაბრების საერთო მოცულობამ შეადგინა 8 მლრდ მანეთი) [57.39].

2006 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიზით აღმოჩნდა: თუ 1989-1990 წლებში მინიმალური პენსიით (70 მანეთი) შეიძლებოდა 233 კგ პურის შეძენა, 2006 წლის თებერვალში მინიმალური პენსიით (28 ლარი) შესაძლებელი იყო 28 კგ (ანუ 8-ჯერ ნაკლები) შეძენა (ცხრილი 4.4).

ცხრილი 4.4

სამომხმარებლო საქონლის ფასებისა და მინიმალური პენსიის თანაფარდობის მაჩვენებლები

პროდუქტების დასახელება (კგ)	1989-1990 (კაპ.)	2006 წ. თებერვალი (ლარი)	მაშინდელი მინიმალური პენსია 70 მანეთი (კგ)	ახლანდელი მინიმალური პენსია 28 ლარი (კგ)	გაძვირება %
პური	0,30	1	233	28	830
კარაქი	3,6	7	19,44	4	480
შაქარი	0,96	1,2	72	23,3	300
ხორცი	2 მანეთი	6	35	4,6	760
ქველი	2 მანეთი	6	35	4,6	760

ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია მოსახლეობის ერთ სულზე კვების პროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი. როგორც ცხრილიდან 4.5 ჩანს, 1990-2005 წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა მკვეთრი ცვლილებები განიცადა. განსაკუთრებით ეს შეეხება ხორცის, ხორცპროდუქტებისა და რძისა და რძის პროდუქტების მოხმარებას, პირველი ორჯერ, მეორე – 4-ჯერ შემცირდა.

ცხრილი 4.5

კვების პროდუქტების მოხმარება შინამეურნეობებში (მოსახლეობის ერთ სულზე, კგ)

კვების პროდუქტები	1990*	1995*	2000*	2004**	2005****
პური და პურპროდუქტები	184,6	153,5	155,6	155,4	152,0
ხორცი და ხორც პროდუქტები	36,5	12,5	19,5	18,5	16,4
რძე და რძის პროდუქტები	311,3	97,8	93,7	82,3	82,6
კვერცხი (ცალი)	140	66,1	129	108	102,4
თევზი და თევზპროდუქტები	8,09	0,56[1]	4,8	3,8	3,5
კარტოფილი ბოსტნეული, ბაღჩეული	118,5	87,5	146,5	134,7	137,5
შაქარი	44,8***	6,03	20,7	23,9	24,1
ხილი, კენკრა, ყურძენი	-		51,0	39,6	40,6

წყარო:

* საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, I ტომი, თბ., 1996. გვ. 198-199.

** საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2005., გვ. 86.

*** შაქრით დამზადებულ პროდუქტებთან ერთად მოხმარების გათვალისწინებით.

**** საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, გვ. 68.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2005 წელს საქართველოში ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარებამ წელიწადში 16,4 კგ. შეადგინა. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ამავე პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა: აშშ – 116 კგ, იტალიაში – 84, ავსტრიაში – 87, გერმანიაში – 86, უნგრეთში – 68 კგ, საფრანგეთში – 94. ამავე პერიოდში რძე და რძის პროდუქტების მოხმარებამ აშშ – 267 კგ, ავსტრიაში – 366, გერმანიაში – 430, საფრანგეთში – 434 კგ, საქართველოში 82,6 კგ შეადგინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ საქართველოში 1995 წელს კვების პროდუქტებზე იხარჯებოდა შემოსავლების 60%-ზე მეტი, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა:

შვედეთში –23%-ს, საფრანგეთში – 18,6%-ს, გერმანიაში – 15%-ს, ჰოლანდიაში – 15%, აშშ – 12,3%-ს [191.65]. ეს მაჩვენებელი წარმოდგენას გვაძლევს ხარჯების იმ ნაწილზეც, რომელიც ცხოვრების დონის სხვა მონაცემებს შეეხება. მაგალითად, ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენაზე გაწეული ხარჯები. ცნობილია, რომ მყიდველთა შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურას შორის არსებობს უშუალო კავშირი. ამ მოვლენას თავის დროზე ყურადღება მიაქცია გერმანელმა სტატისტიკოსმა ენგელმა. მან დაადგინა, რომ ოჯახის შემოსავლის ზრდასთან ერთად, მასში მცირდება პირველადი აუცილებლობის საგნებზე (ძირითადად კვების პროდუქტებზე) ხარჯების ხვედრითი წონა, შესაბამისად შედარებით სტაბილური ხდება საცხოვრებელ ბინაზე, ტანსაცმელზე, გათბობა-განათებაზე ხარჯების ხვედრითი წონა და მატულობს ფუფუნების საგნების დანახარჯების ხვედრითი წონა. განვითარებული ქვეყნების ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები ენგელის მიერ შემოთავაზებულ მიდგომას (რომელიც ცნობილია ენგელის კანონით) ადასტურებენ.

კვების პროდუქტების მოხმარების შემცირება რეალური შემოსავლების მკვეთრ შემცირებასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დაცემამ განაპირობა. 1991-1995 წლებში ხორცის წარმოება ქვეყანაში 1,8-ჯერ, რძისა – 1,4-ჯერ, კვერცხისა – 2,9-ჯერ, კარტოფილისა – 1,1-ჯერ შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ დღე-ღამეში ცილების მოხმარება 1,7-ჯერ შემცირდა, ცხიმებისა – 2,4-ჯერ, ნახშირწყლებისა – 1,4-ჯერ [53.I.201].

მოხმარებულ კალორიებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პურის ხვედრითი წონა, 1990 წელს 35,5%-დან 1995 წელს 47,7%-მდე გაიზარდა. ამასთან, ამ პერიოდში 10000 კილოკალორიის ღირებულება თითქმის 300-ჯერ გაიზარდა. 1995-2005 წლებში კვების პროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები რამდენადმე უკეთესობისაკენ შეიცვალა, მაგრამ არა თვისებრივად.

აღსანიშნავია, რომ 2005 წელს მოსახლეობის კვების

რაციონში მაკარონის ნაწარმს, პურსა და ბურღულეულს 31,5%, ბოსტნეულს – 28,7%, რძესა და რძის პროდუქტებს – 17,3% ეკავა. ხორცის მოხმარებამ მხოლოდ 3,4% შეადგინა. 2005 წელს მოსახლეობის 25%-ზე მეტი დღიურად 1600 კ/კალორიაზე ნაკლებს მოიხმარდა [საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგია 2006-2015, გვ.108].

ამრიგად, კვების პროდუქტებზე დანახარჯების ხვედრითი წონის ზრდა და მასთან ერთად სასურსათო პროდუქტების მოხმარების სტრუქტურის რღვევის ტენდენციები (რომლებიც საბოლოოდ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე აისახება) პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ადეკვატური არ არის.

ცხრილი 4.6

ხანგრძლივი მოხმარების საგნები შინა მეურნეობაში (ერთეული 100 შინამეურნეობაზე)

დასახელება	1990*	1996**	2000**	2005***
მაცივარი	97	83,3	85,9	68
სარეცხი მანქანა	77	61,0	57,4	41
ტელევიზორი	108	86	91,5	90
მტვერსასრუტი	38	24,5	206	18
მაგნიტოფონი	49	31,3	34,1	18
მოტოციკლი	45	114	1,4	1
მსუბუქი ავტომანქანა	31	17,6	20,0	17
ფოტოაპარატი	89	8,8	15,0	17
საკერავი მანქანა	65	–	–	43

წყარო:

* საქართველო ციფრებში, თბ., 1990, გვ. 46

** ციმინტია კ., შინამეურნეობების როლი საბაზრო ურთიერთობათა განვითარებაში, თბ., 2003, გვ. 27

*** საქართველოს შინამეურნეობები 2004-2005, გვ. 25.

როგორც 4.6 ცხრილიდან ჩანს, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა ხანგრძლივი მოხმარების საგნების დინამიკა და სტრუქტურა. მაგალითად, რეფორმამდელ პერიოდში შინამეურნეობების 97%-ს თუ ჰქონდა მაცივარი, 2005 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის ერთი მესამედით შემცირდა.

მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის შედარებით დამაკმაყოფილებელი დონე შენარჩუნებულია. ეს ძირითადად ამ ჯგუფის საქონლის სამომხმარებლო თვისებებითაა განპირობებული. იმით, რომ ისინი ათეული წლების განმავლობაში გამოიყენება, მათი უდიდესი ნაწილი რეფორმამდელ პერიოდშია შეძენილი. მაგრამ, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ფიზიკური ცვეთის გამო, მოსალოდნელია მათი მწყობრიდან ინტენსიური გამოსვლა, რომლის ნაწილობრივ კომპენსაციასაც ქვეყანაში შემოსავლების ამჟამინდელი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს.

ცხოვრების დონის რეგულირების ძირითადი მიმართულებები და მექანიზმები. ცხოვრების დონის რეგულირება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთი ცენტრალური ამოცანაა. მისი განხორციელებისთვის სახელმწიფო ზემოქმედების სხვადასხვა მექანიზმებს იყენებს, რომლებიც განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით, განვითარების ყველა ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. ცხოვრების დონის რეგულირება ხდება სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მინიმალური სოციალური სტანდარტებით, შრომის ანაზღაურების სისტემით, სოციალური განვითარების პროცესების მართვით და ა.შ.

სოციალური მინიმალური სტანდარტების სისტემის ფორმირება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვის მნიშვნელოვანი მხარეა. მინიმალური სტანდარტები ფაქტობრივად სახელმწიფოს სოციალური გარანტიების კანონმდებლობით განსაზღვრულ აუცილებელ დონეს წარმოადგენს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრაქტიკაში აღნიშნული სტანდარტების შემუშავება და გამოყენება მიზნად ისახავს: ძირითად მატერიალურ კეთილდღეობაზე და სოციალურ მომსახურებაზე ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ერთიანი სოციალური სივრცის შექმნას და რეგიონების სოციალური განვითარების დონის შეფარდებით გამოთანაბრებას, სოციალური საჭიროებისათვის ფინანსური რესურსების ფორმირება-გამოყენების ნორმატიულ უზრუნველყოფას, სოციალურ განვითარებაში საბიუჯეტოთაშორისო ურთიერთობების სრულყოფას, განვითარების მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით რესურსების კონცენტრაციას [115.130]. მინიმალური სოციალური სტანდარტების მიხედვით განისაზღვრება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მინიმალური შემოსავალი და მინიმალური საარსებო მინიმუმი, სოციალური დახმარების მინიმალური სიდიდე. უფასო და ნაწილობრივ ფასიანი მომსახურების ჩამონათვალი, რომელიც მიეწოდება მოსახლეობას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, მოსახლეობის სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფის ნორმები. ამ მაჩვენებლების მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს მინიმალური და საშუალო ხელფასი, მინიმალურ ხელფასსა და საარსებო მინიმუმს შორის თანაფარდობა, რომლის მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ორიენტირები.

მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სოციალური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების საფუძველია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. პირველ რიგში, ქვეყნის კონსტიტუცია არეგულირებს შრომის, საკუთრების, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სხვა სოციალურ საკითხებს. ცხოვრების დონის და სოციალური სფეროს რეგულირების ინსტრუმენტია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური, დარგობრივი, რეგიონული და სხვა სახის მიზნობრივი პროგრამები, განვითარების ინდიკატიური გეგმები [115.130-133].

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სახელმწიფო ზემოქმე-

დებას ახდენს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასის დონის საშუალებით, დასაქმების ხელშეწყობისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებით. ცხოვრების დონის რეგულირების ძლიერი ინსტრუმენტია: საგადასახადო სისტემა, ანტიინფლაციური ღონისძიებები, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და სხვ.

4.4. სიღარიბე – გლობალური სოციალური მოვლენა და პრობლემა

ისტორიულად სიღარიბე, როგორც მოვლენა, ყველა ეკონომიკური სისტემისთვისაა დამახასიათებელი. იგი ყველა დროში არსებობდა. ცნობილია, რომ მასობრივი სიღარიბე საზოგადოებაში მაშინ ვლინდება, როგორც კი წარმოიშობა უთანაბრობა სიმდიდრის განაწილებაში. მასობრივი სიღარიბის (პაუპერიზმი) წარმოშობის მიზეზები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა იყო. მეცნიერთა გამოკვლევებით დასტურდება, რომ ძველ დროში, ასევე შუა საუკუნეებში სიღარიბის გამომწვევი ძირითადი მიზეზები სტიქიურ მოვლენებს (წყალდიდობები, გვალვები, ეპიდემიები, ხანძრები, ომები) უკავშირდებოდა.

ისტორიაში პაუპერიზმის ფართო მასშტაბების მაგალითად ასახელებენ XIV საუკუნის შუა პერიოდს, როცა ევროპის ქვეყნებში ჭირი („შავი სიკვდილი“) გავრცელდა. ახალ ისტორიაში პაუპერიზმი განსაკუთრებული ფორმით საფრანგეთში გამოვლინდა, ლუდოვიკო XI-ის მეფობის დროს. ისტორიკოსთა გაანგარიშებით ამ პერიოდში საფრანგეთის მოსახლეობის 1/10 გაღატაკებული იყო, ხოლო 1/2 სიღარიბის ზღვართან იდგა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს (1789 წ.) პარიზში 510 ათასი მცხოვრებიდან 116 ათასი რეგისტრირებული იყო როგორც ღარიბი. ინგლისში მასობრივი სიღატაკე XVII საუკუნეში დაფიქსირდა [167.130].

XIX საუკუნიდან პაუპერიზმი ახალ ფორმებს იღებს

და ეს პროცესი უშუალოდ კაპიტალიზმის განვითარებას უკავშირდება. **ჯერ ერთი,** ფაბრიკული წარმოება სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაოდენობის მუშახელს მოითხოვდა, რომელთა დასაქმების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო საბაზრო მოთხოვნებზე. ამის გამო წარმოება სტაბილური არ იყო, რაც სამუშაოდან დათხოვნას იწვევდა. **მეორე,** ტექნიკის უწყვეტად განვითარება მუშახელის შემცირებას, საბოლოოდ კი უმუშევრობის ზრდას განაპირობებდა. მასობრივმა სიღარიბემ, როგორც მოვლენამ, მკვეთრად იჩინა თავი სამრეწველო კრიზისების პერიოდში. სპეციალისტთა გათვლით, თუ 1885 წელს გერმანიაში მოსახლეობის აღწერის მიხედვით ღარიბები 3,4%-ს შეადგენდნენ, მსხვილ (სამრეწველო) ქალაქებში გაცილებით მეტს. მაგალითად, ჰამბურგში – 9,6%-ს, ბერლინში – 6,6%-ს. ანალოგიურად, 1983 წელს საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 4,7%-ს შეადგენდა, ხოლო პარიზში – 7,5%-ს. ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ მსხვილი მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია ღარიბთა კონცენტრაცია დიდ სამრეწველო და სავაჭრო ქალაქებში. მაგალითად, 1885 წელს ჰამბურგში უმუშევრობის მიზეზით ღარიბთა რაოდენობა 26,3%-მდე გაიზარდა [167.9].

თანამედროვე პირობებში სიღარიბის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო. დღეისათვის მსოფლიოში შიმშილობს 1 მილიარდი, ხოლო ყოველწლიურად ამ მიზეზით იღუპება დაახლოებით 70 მლნ. ადამიანი. მსოფლიოს ქვეყნები გაერთიანებულნი არიან ერთიანი ფინანსური სისტემით, მათ უამრავი ანალოგიური პრობლემა გააჩნიათ (შიდსი, ნარკომანია, გარემოს გაჭუჭყიანება და ბუნებრივი რესურსების ნაკლებობა, ტერორიზმი, ომები, შიმშილი და ა.შ.) სიღარიბის პრობლემამ გაამწვავა სოციალური დაძაბულობა მთელ მსოფლიოში, რაც აიძულებს ქვეყნების შიდა მმართველ ძალებს ეძებონ მისი გამომწვევი მიზეზები. 2000 წელს მსოფლიოში 26 საერთაშორისო ომი, 23 მლნ. ლტოლვილი დაფიქსირდა [167.10]. განვითარებად სამყაროში კონფლიქტების რიცხვის ზრდა განპირობებუ-

ლია ეთნიკური, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა მიზეზებით. მაგალითად, მსოფლიო პრობლემათა კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, 90-იანი წლების მეორე ნახევარში მსოფლიოში 150-ზე მეტი კონფლიქტი განვითარდა. ამგვარი ტენდენცია მოვლენების კატასტროფული განვითარების შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობას ამცირებს.

აღსანიშნავია, რომ სიღარიბეს ადგილი აქვს როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში 32 მლნ ადამიანი, ანუ 14,1% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. 2000 წლის მონაცემებით, მსოფლიოში 3 მლრდ ადამიანი შემოსავლის სახით დღეში მხოლოდ 2 დოლარამდე იღებდა, მ.შ. 1,3 მლრდ ადამიანს დღე-ღამეში ერთი დოლარი შემოსავალი გააჩნდა.

XXI საუკუნის დასაწყისში, ამერიკელი მეცნიერის ი. სერაგელდინის გამოკვლევებით, მსოფლიოში მოსახლეობის 20% მოიხმარდა მსოფლიო შემოსავლების 85%-ს; 80% იღებდა შემოსავლების მხოლოდ 15%; ხოლო 20% ყველა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის – 1,3% [156.7].

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა განვითარებულ ქვეყნებში 73 წელს შეადგენდა, ხოლო, განვითარებადში – 60 წელს. შესაბამისად, ბავშვთა მოკვდაობა პირველ შემთხვევაში ყოველ 1000 მოსახლეზე 9 ბავშვია, ხოლო განვითარებადში – 100-ზე მეტი ბავშვი. მაღალი მოკვდაობა გამოწვეულია არა მარტო დაავადებებით. მსოფლიო მოსახლეობის 22% განიცდიდა წყლის ნაკლებობას ან სარგებლობდა დაბინძურებული სასმელი წყლით, 34%-ს ცხოვრების ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ გააჩნდა, 30%-ს არ ჰქონდა ელექტროენერგია. პროგნოზით, 2025 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის 25% არ იქნება სასმელი წყლით უზრუნველყოფილი [167.11].

განვითარებად ქვეყნებს სიღარიბის ფართო მასშტაბები ახასიათებთ. ბრაზილიის მოსახლეობის 1/4, ნიგერიის – 1/3, ინდოეთის მაცხოვრებელთა 1/2 დღეში 1 დოლარზე ნაკ-

ლები ღირებულების საქონელსა და მომსახურებას მოიხმარს. განვითარებად ქვეყნებში 1 მლრდ მოშიმშილე ადამიანთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. 15 წელზე ზემოთ ასაკის გაუნათლებელი მოსახლეობა ბრაზილიის მცხოვრებთა 16%-ს, ნიგერიის – 43%-ს, ინდოელთა – 48%-ს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის 1/3 არაა უზრუნველყოფილი წყალმომარაგებით, 60% კი კანალიზაციით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიო ყოველწლიურად (მსოფლიო ხალხთმოსახლეობის გერმანული ფონდის 2000 წლის მონაცემებით) 80 მლნ ადამიანით იზრდება, ადვილი მისახვედრია, თუ როგორ გაიზრდება ღარიბთა რაოდენობაც. მსოფლიო ბანკის გათვლებით, XXI საუკუნის დასაწყისში 1,5 მლრდ ადამიანი იძულებული იქნება იარსებოს ერთი დოლარით დღე-ღამის განმავლობაში. პროგნოზით, 2015 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 2 მლრდ ადამიანი იცხოვრებს [167.10].

მსოფლიოს აბსოლუტურად ღარიბი მოსახლეობის 70% სოფლად ცხოვრობს. სასოფლო-სამეურნეო რესურსები კი იფიტება, მსოფლიოში სახნავი ფართობის 40% დეგრადირების სტადიაშია. ეს პრობლემა უკავშირდება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

XX საუკუნის 90-იან წლებში სიღარიბის დონის შესაბამისად, ქვეყნების დაჯგუფების მიზნით მიღებულ იქნა მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: **მეპ მოსახლეობის ერთ სულზე; მოშიმშილე ბავშვთა რაოდენობა; დაწყებითი განათლების მქონე ბავშვთა რაოდენობა; 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებელი; მოკვდაობის კოეფიციენტი; შობადობის კოეფიციენტი; სასმელი წყლის არმქონე მოსახლეობის რაოდენობა** [167.12].

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების მიხედვით, გამოიყო 34 ღარიბი ქვეყანა (უპირატესად აფრიკის ქვეყნები) და მათი მონაცემები შედარებულ იქნა 33 უმდიდრესი ქვეყნის მაჩვენებლებთან. შედეგები მოცემულია 4.7 ცხრილში.

ცხრილი 4.7

მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების მაჩვენებლები

	მაჩვენებლები	34 ღარიბი ქვეყანა	33 მდიდარი ქვეყანა
1	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა (%)	37	6
2	15-24 წლამდე ასაკის მოსახლეობის განათლების დონე (%)	50	99
3	5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის დონე (1000 ბავშვზე)	175	17
4	შობადობის კოეფიციენტი	6,1	1,5
5	სასმელი წყლის მქონე მოსახლეობის რაოდენობა (%)	37	94

წყარო: Румянцева Е., Стратегия преодоления бедности, Минск, 2001, стр. 13.

ცხრილში 4.8 მოყვანილია სიღარიბის ზოგიერთი ზოგადი მაჩვენებელი განვითარებად ქვეყნებში. აფრიკა და აზიის განვითარებადი ქვეყნები უარეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ლათინური ამერიკა. მოკვდაობისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ სხვა მაჩვენებლები და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის როდენობა გაცილებით მეტია.

მსოფლიო ბანკის მოხსენებაში (2000 წ.) აღინიშნა, რომ სიღარიბის პრობლემამ ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების საქმიანობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო კარგად აცნობიერებს სოციალური პრობლემების სიმწვავეს, რომელმაც რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, საშიში ხასიათი მიიღო და ეძებს გამოსავალს მრავალმხრივი კრიზისის დასაძლევად. ეს მონაცემები ადასტურებს იმას, რომ სიღარიბე, როგორც მოვლენა, გლობალური ხასიათისაა. ამიტომ მიჩნეულია, რომ მასთან ბრძოლა და მისი თანდათანობით აღმოფხვრა ფაქტობ-

ცხრილი 4.8

სიღარიბის მაჩვენებლები განვითარებად ქვეყნებში 1985 წ

რეგიონი	ღატაკები			ღარიბები (მ.შ. ღატაკები)			სოციალური მაჩვენებლები		
	მოსახლეობის რაოდენობა (მლნ კაცი)	ღარიბთა რაოდენობის მაჩვენებელი (%)	სიღარიბის დონე	მოსახლეობის რაოდენობა (მლნ კაცი)	ღარიბების რაოდენობის მაჩვენებელი (%)	სიღარიბის დონე	5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა (ათას კაცზე გაანგარიშებით)	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წლებში)	დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა კონტიენტის წილზე მაჩვენებელი (%)
აფრიკული ქვეყნები საჰარის სამხრეთით	120	30	4	180	47	11	196	50	56
აღმოსავლეთი აზია	120	9	0,4	280	20	1	96	67	96
ჩინეთი	80	8	1	210	20	3	58	69	93
სამხრეთი აზია	300	29	3	520	51	10	172	56	74
ინდოეთი	250	33	4	420	55	12	199	57	81
აღმოსავლეთი ევროპა	3	4	0,2	6	8	0,5	23	71	90
ახალი აღმოსავლეთი და ჩრდ. აფრიკა	40	21	1	60	31	2	148	61	75
ლათ. ამერიკა და კარიბის ბასეინი	50	12	1	70	19	1	75	66	92
ყველა განვითარებადი ქვეყანა	633	18	1	1116	33	3	121	62	83

წყარო: Д. Дэниелс, Ли Радеба, Международный бизнес М., ДЕЛО, 1994, с. 67.

რივად ნიშნავს ბრძოლას მშვიდობისათვის, ადამიანების განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის. ეს გასაგებიცაა. თუ გავითვალისწინებთ მის გავლენას პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაზე, იგი არამარტო ცხოვრების დონეზე აისახება, არამედ, წარმოადგენს დამნაშავეობის, კონფლიქტების ძირითად წყაროსაც. შემთხვევითი არ არის, რომ სიღარიბეს, მეტსახელად „სოციალურ მკვლელსაც“ უწოდებენ.

სიღარიბის ანალიზის კონცეფციები. კაცობრიობა თანდათანობით აღრმავებს საკუთარ შეხედულებებს სიღარიბის პრობლემების მიმართ. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ბანკმა 1992 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში სიღარიბის ტრადიციულ განსაზღვრას (შემოსავლების მიხედვით) დაუმატა ჯანმრთელობის, განათლების, კვების მაჩვენებლებიც. პირველად ამ დოკუმენტში რეკომენდებულია სიღარიბის შემცირების ისეთი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციების მასშტაბურ ზრდას საბაზო განათლებასა და ჯანმრთელობაში, აგრეთვე იმათ უსაფრთხოებაში, ვისაც არ შეუძლია საზოგადოებრივ განვითარებაში მონაწილეობის მიღება. მსოფლიო ბანკის 2000 წლის ანგარიშში მოცემულია სიღარიბის კონცეფციის უფრო ფართო გაგება (სიღარიბის ადრინდელ შეფასებებს დაემატა ადამიანის უძლურება, უუფლებობა, საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა).

საყოველთაო აღიარებით, სიღარიბე არის ადამიანის ან ოჯახის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არა აქვს ძირითადი მოთხოვნილებების (საკვები, საცხოვრებელი, საბაზო განათლება, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უფლებები) დაკმაყოფილების შესაძლებლობა დაბალი შემოსავლების გამო.

მოცემულ კონკრეტულ საზოგადოებაში სიღარიბეზე მსჯელობენ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თუნდაც ერთი ადამიანი ვერ აღწევს კეთილდღეობის ისეთ სტანდარტს, რაც საზოგადოებაში მიღებულია როგორც გონივრული მინიმუმი. ამიტომ მიჩნეულია, რომ საჭიროა განისაზღვროს

სიღარიბის დონეც. სპეციალისტთა აზრით, სიღარიბის დონის განსაზღვრისას რამდენიმე კითხვა იბადება. კერძოდ: **როგორ შეფასდეს ცალკეული ადამიანის კეთილდღეობა, რა შემთხვევაში უნდა ეწოდოს ამა თუ იმ ადამიანს მდიდარი ან ღარიბი, როგორ დაჯგუფდეს ინფორმაცია სიღარიბის განსაზღვრისათვის (როგორ მოხდეს მისი აგრეგირება).**

მეცნიერებასა და პრაქტიკაში სიღარიბის განსაზღვრისას გამოიყენება სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა: **შემოსავლების მიხედვით, ადამიანის მიერ საკუთარი უნარის რეალიზაციის შესაძლებლობის მიხედვით, ცხოვრების დონის არსებითი განსხვავების მიხედვით კონკრეტულ გარემოში** [167.55].

პირველი მიდგომით გამოყოფენ **აბსოლუტურ** და **შეფარდებით** სიღარიბეს. შემოსავლებს უდარებენ სამომხმარებლო კალათას (საარსებო მინიმუმს). შემოსავლების მინიმალური დონე მიიჩნევა, როგორც სიღარიბის ზღვარი. ამ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანს ღარიბთა კატეგორიას მიაკუთვნებენ.

მეორე მიდგომით სიღარიბე განისაზღვრება ადამიანის უნარის რეალიზაციის შეუძლებლობით. ამ კატეგორიას ძირითადად მიეკუთვნებიან ინვალიდები, მარტოხელა დედები, ობოლი ბავშვები, მოხუცები და ა.შ.

მესამე მიდგომით, ღარიბებს მიაკუთვნებენ იმ ადამიანებს, რომლებიც შემოსავლების დონით, პოტენციალის განვითარების შესაძლებლობით განსხვავდებიან მათ გარემოცვაში მყოფთაგან. ამ კონცეფციის მიხედვით, სიღარიბე ნიშნავს მოცემულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტებზე დაბლა დგომას. ადამიანი ღარიბად ითვლება არა იმიტომ, რომ მას არ ჰყოფნის შემოსავალი, ან არ შეუძლია საკუთარი შესაძლებლობები განავითაროს, არამედ იმიტომ, რომ იგი ამაში გარკვეულწილად შეზღუდულია სხვა ადამიანებთან შედარებით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში სიღარიბის ზღვარის განმარტების რამდენიმე მიდგომაა განხილული. აღსანიშნავია,

რომ ცნება **„სიღარიბის ზღვარი“** პირველად 1970 წელს იქნა გამოყენებული. პოსტსაბჭოთა სივრცეში ცნება **„აბსოლუტური სიღარიბე“** გულისხმობს ცხოვრების მინიმალური დონის განსაზღვრას ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა ფონზე: საკვებზე, წყალზე, ტანსაცმელზე და საცხოვრებელზე. აბსოლუტური სიღარიბე მაშინ წარმოიშობა, როცა ადამიანები აღნიშნულ დონეზე დაბლა იმყოფებიან, ე.ი. არა აქვთ საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი. სიღარიბის აბსოლუტური ზღვარის განსაზღვრისათვის გამოიყენება სამომხმარებლო კალათა.

რაც შეეხება შეფარდებით სიღარიბეს, იგი განისაზღვრება კონკრეტულ საზოგადოებაში ცხოვრების საერთოდ აღიარებული დონით და არა მხოლოდ შეფარდებითი მინიმალური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებით.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იგულისხმება მოცემული პირისათვის მინიმალურად აუცილებელი კეთილდღეობის დონის უზრუნველყოფის ფულადი ღირებულება. ადამიანები, რომლებმაც ვერ მიაღწიეს კეთილდღეობის ამ დონეს, ღარიბებად ითვლებიან, ხოლო ისინი, ვინც მათ მიაღწია, ასეთებად არ ითვლებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის პრობლემა არსებობს ყველა ქვეყანაში, მისი შინაარსი ყველგან ერთგვაროვანი როდია. ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ ეს პრობლემა აშშ-ის მაგალითზე.

ამერიკელ მეცნიერებს პ. სამუელსონს და ვ. ნორდჰაუსს თავიანთ წიგნში „ეკონომიკა“ განხილული აქვთ ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები. რეალური მდგომარეობის შეფასებისათვის მათ გამოიყენეს შინამეურნეობების ხუთ ჯგუფად დაყოფის პრინციპი. ასეთი მიდგომით განსაზღვრეს შემოსავლების დიფერენციაციის შედეგები. როგორც 4.9 ცხრილიდან ჩანს, I ჯგუფზე მოდის საერთო შემოსავლების ყველაზე ნაკლები მოცულობა, ხოლო ყველაზე მეტი – მთელი შემოსავლების თითქმის ნახევარი – V ჯგუფზე.

ცხრილი 4.9

შინამეურნეობათა შემოსავლის განაწილება აშშ-ში (1992 წ.)

შინამეურნეობების ჯგუფი	შემოსავლები (დოლარები)	შინამეურნეობა (%)	მთლიანი შემოსავლის %
I ჯგუფი	12664 და ნაკლები	20	3,8
II ჯგუფი	12665-24229	20	9,4
III ჯგუფი	24300-3799	20	15,8
IV ჯგუფი	3800-58199	20	24,2
V ჯგუფი	58200 და მეტი	20	46,8
5% - ზევით	99372 და მეტი	5	18,6

წყარო: Самуэльсон П., Нордхаус В., Экономика, М., 2001, стр. 400.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აშშ-ში დააწესეს ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით განისაზღვრება სიღარიბის დონე, მაგალითად, ღარიბთა კატეგორიაში იგულისხმება ოჯახი (4 სული), რომელსაც წელიწადში არა უმეტეს 16,6 ათასი დოლარის შემოსავალი აქვს (ერთ სულზე საშუალოდ თვეში 345 დოლარი). [167.47] შესაბამისი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ეროვნული შემოსავლის განაწილებაში არსებული ტენდენციის გავლენით ადგილი აქვს სიღარიბის დონის დისკრიმინაციულ ხასიათს. მაგალითად, 1992 წელს აშშ-ს მოსახლეობის 14,5% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა. რასობრივი ნიშნით ეს მაჩვენებელი შეადგენს: თეთრკანიანებში 11,6%-ს, ხოლო შავკანიანებში 33,6%-ს. (იხ. ცხრილი 4.10)

ცხრილი 4.10 გვიჩვენებს, რომ შავკანიანი ოჯახის სიმდიდრე თითქმის 11-ჯერ ნაკლებია თეთრკანიანის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო სიღარიბის საერთო მაჩვენებლებში შავკანიანთა რაოდენობა 3-ჯერ სჭარბობს თეთრკანიანთა რაოდენობას. გარდა ამისა, საყურადღებოა სხვა თავისებურებაც. 1990 წლამდე მარტოხელა დედებს შეეძლოთ არ ემუშავათ, რადგანაც ფედერალურ დახმარებას იღებდნენ, ახლა მათ აღნიშნული დახმარების მისაღე-

ცხრილი 4.10

დისკრიმინაციისა და არათანაბარი შესაძლებლობების მაჩვენებლები აშშ-ში (1992 წ.)

	თეთრკანიანი	შავკანიანი
საშუალო შემოსავალი ერთ ოჯახზე (დოლარი)	38909	21161
ღარიბი მოსახლეობის (%)	11,6	33,3
25 ათას დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე ოჯახები (%)	71	43,1
უმუშევრობის დონე:		
მოზრდილი მამაკაცები	6,3	13,4
ქალები	5,4	11,7
მოზარდები	17,1	39,8
ერთი ოჯახის სიმდიდრის საშუალო სიდიდე (დოლარებში) (1988 წ.)	43279	4169
500 ათას დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე ოჯახები (%) (1988 წ.)	3,16	0,13

წყარო: Самуэльсон П. А., Нордхаус В. Д., Экономика, 15-е изд. М., 1999 г, стр. 404.

ბად მუშაობა უწევთ, თუმცა დახმარების ვადა მხოლოდ 5 წლითაა განსაზღვრული. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აშშ ღარიბ ოჯახთა 60%-ში მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს [167.48].

სიღარიბის დონის შეფასების კრიტერიუმები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებმა შეიმუშავეს 2015 წლისათვის მსოფლიოში სიღარიბის შემცირების მიზნები, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ეკონომიკური კეთილდღეობა. მიზანი – სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის 2-ჯერ შემცირება (ამოსავალ საწყისად აღებულია 2000 წელი, რო-

დესაც მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 44%-ს შეადგენდა).

სოციალური განვითარება. განათლება. მიზანი – საერთო დაწყებითი განათლების მიღება, განათლების მიღებისას ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა;

ჯანდაცვა. მიზანი – ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირება; ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება. სამედიცინო მომსახურების საყოველთაო მისაწვდომობა, რაც მოსახლეობის აღწარმოებასთანაა დაკავშირებული.

გარემოს დაცვა. მიზანი – ყველა ქვეყანაში 2015 წლამდე მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავება, 2015 წლამდე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების პროცესების შეწყვეტა.

ქვეყანაში სიღარიბის დონეს ასახავენ აგრეთვე შემდეგი მაჩვენებლები: მეპ მოსახლეობის ერთ სულზე; განათლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი; შობადობა; სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა; მეპ-ში საგარეო დახმარების წილი; მშპ-ში ინვესტიციების წილი; მშპ-ში საგარეო ვაჭრობის წილი; მოსახლეობის რიცხოვნობა და მთლიანი ეკონომიკური პროდუქტი [167.75].

მაჩვენებელთა ასეთი დაჯგუფება შეესაბამება მსოფლიო ბანკის მიერ მიღებულ მეთოდოლოგიას.

სიღარიბის დაძლევის სახელმწიფოებრივი ფორმები და მეთოდები (მსოფლიო გამოცდილება). მსოფლიოში დიდი გამოცდილება დაგროვდა სიღარიბესთან, როგორც საშიშ სოციალურ პრობლემასთან ბრძოლის საქმეში. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სივრცეში, განსხვავებულ ბუნებრივ საწარმოო თუ სხვა თავისებურებათა პირობებში სიღარიბესთან ბრძოლის შესაბამისი ფორმები, მეთოდები, მექანიზმები შეიქმნა და გამოიყენება. ამჟამად მსოფლიო ბანკი 70-ზე მეტ უღარიბეს ქვეყანაში ახორციელებს სხვადასხვა სახის მიზნობრივ პროგრამებს. სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულია 21 სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც გამოიყენება სიღარიბის დონის შემცირებისათვის. ეს პროგრამები შედგენილია შესაბამისი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ბაზის საფუძველზე და გამოიყენება

კონკრეტული ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით. სიღარიბის დონის შემცირების მიზნით პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი სახის პროგრამები [167.101]:

პროგრამა 1. საზოგადოებრივი სამუშაოები; **პროგრამა 2**. სოციალური ფონდები; **პროგრამა 3**. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო რესურსების პროგრამები; **პროგრამა 4**. ენერგიის მოხმარების სუბსიდირება; **პროგრამა 5**. კვების პროდუქტებზე ფასების სუბსიდირება; **პროგრამა 6**. საბინაო სუბსიდიები; **პროგრამა 7**. სურსათის განაწილების პროგრამები, სასურსათო ტალონების პროგრამები; **პროგრამა 8**. მოსწავლეთა კვების პროგრამები; **პროგრამა 9**. სტიპენდიები ან სწავლის ქირისგან განთავისუფლება; **პროგრამა 10**. დახმარება უმუშევრობისას; **პროგრამა 11**. ერთდროული დახმარება; **პროგრამა 12**. დასაქმების სტიმულირების სუბსიდია; **პროგრამა 13**. სამუშაოს ძიებაში დახმარება; **პროგრამა 14**. მომზადებისა და გადამზადების პროგრამები; **პროგრამა 15**. მცირე საწარმოების განვითარებისათვის დახმარება; **პროგრამა 16**. ჯანმრთელობის მომსახურებისათვის გადასახადისაგან განთავისუფლება; **პროგრამა 17**. კონკრეტული საჭიროებისათვის ფულადი ტრანსფერები; **პროგრამა 18**. მოხუცებულობის, შრომისუუნარობის სავალდებულო დაზღვევა (შენატანების წინასწარი გადახდით); **პროგრამა 19**. მოხუცებულობის, შრომისუუნარობის დაზღვევის პროგრამები (წინასწარი გადახდის გარეშე); **პროგრამა 20**. შრომისუუნაროთა დახმარების პროგრამები; **პროგრამა 21**. საოჯახო დახმარება.

აღნიშნული პროგრამები პირობითად სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: დახმარება დაქირავებულ სამუშაო ძალას, დახმარება საწარმოებს და მოსახლეობას (შინამეურნეობებს). განვიხილოთ პირველი, მეთორმეტე და მეთოთხმეტე პროგრამების გამოყენების პრინციპები და სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების ზოგიერთი თავისებურება.

საზოგადოებრივი სუბსიდიების პროგრამებს ფართოდ იყენებენ აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის განვითარებად ქვეყნებში. განსაკუთრებით მასშტაბურად გამოიყენება იგი ინდოეთში. ასეთი პროგრამები გამოიყენება ექსტრემალურ

პირობებში, რომლებიც ეკონომიკური კრიზისის შედეგად ყალიბდება და მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი რჩება. პროგრამა ითვალისწინებს არაკვალიფიცირებული შრომის, განსაკუთრებით მძიმე ფიზიკური შრომისათვის ხელფასის გაცემას ან ნატურით ანაზღაურებას, უფრო ხშირად სასურსათო პროდუქტებით.

XX საუკუნის 80-იან წლებში საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამებმა შრომითი რესურსების 13% მოიცვა. ფართოდ ვრცელდება ისეთი პროგრამები, რომლებიც 3-დან 6 თვემდე უზრუნველყოფენ დასაქმებას. საქართველოში ასეთი სახის პროგრამები ხორციელდება სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს არა მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს სიღარიბის დაძლევაში, არამედ უმძიმეს პირობებში ღარიბი შინამეურნეობების მოხმარების გამოთანაბრების მოქნილ საშუალებას.

დასაქმების სტიმულირებისათვის სუბსიდიების გაცემის (ხელფასის სუბსიდირება) პრაქტიკა გამოიყენება ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში. ამგვარი პროგრამა გამოყენებულ იქნა სამხრეთ კორეაში 1998 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ. ასეთი სუბსიდიები ეძლევა ფირმებს, რათა ისინი დაინტერესდნენ უმუშევართა დაქირავებით. ეს პრაქტიკა გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმით. მაგალითად, ინგლისში სამუშაო ადგილების სუბსიდირება ექვსი თვის განმავლობაში ხელფასის 100% შეადგენს (მას ემატება სწავლების დანაზოგებიც). ასეთი პროგრამები გამიზნულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრად მყოფი პირებისათვის, არახელსაყრელ პირობებში მცხოვრებთათვის, ასევე ახალგაზრდობის დასაქმებისათვის. ბევრგან კრიზისის დროს სუბსიდიებს იყენებენ სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად. სხვა ასეთი პროგრამების დაფინანსება უფრო მეტად სახელმწიფოს მიერ ხდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები დასაქმების პროგრამებით

მშპ-ს 0,2-დან 2,5%-მდე ხარჯავენ. ამ მიზნით გამოყოფილი თანხების 1-დან 15%-მდე (სხვადასხვა ქვეყნის პირობების შესაბამისად) გამოიყენება ხელფასის სუბსიდირების პროგრამების სახით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დახმარების ეს ფორმა, ცხადია, დიდ გავლენას ვერ მოახდენს საერთოდ დასაქმებაზე, მაგრამ მას აქვს სხვა უპირატესობაც, კერძოდ, ქმნის ახალგაზრდობის, უფროსი ასაკის ადამიანების, მარტოხელა დედების დასაქმების შესაძლებლობას.

მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს ფართოდ იყენებენ განვითარებული ქვეყნები. პროგრამა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრად მყოფი პირებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო სახსრებით სწავლებას (1-6 თვე). სახელმწიფოები მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ ამ მიზნით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აღნიშნული პროგრამა, უფრო მისაღებია მათთვის, ვინც სამუშაოს ეძებს და ცხოვრობს არახელსაყრელ პირობებში (მაგალითად, ქალები, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშები).

ზემოთ განხილული სამივე ტიპის, ასევე სხვა დანარჩენი პროგრამების გამოყენების პირობები, მიზნები და ამოცანები კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად განისაზღვრება და საბოლოოდ ადასტურებს იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ეფექტიანია მაშინ, როდესაც წინასწარ ორიენტირებულია სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე.

საქართველოში სიღარიბის დონის ანალიზი და მისი შემცირების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებანი. ვიდრე გავეცნობოდეთ ქვეყანაში სიღარიბის, როგორც მწვავე სოციალური მოვლენის ძირითად მაჩვენებლებს, მიზანშეწონილია განვიხილოთ გაეროს 189 წევრი ქვეყნის მიერ ათასწლეულის განვითარების მიზნების შესახებ (პირველ მიზანს მსოფლიოში სიღარიბის შემცირება წარმოადგენს) 2000 წელს მიღებული დეკლარაციით განსაზღვრულ მაჩვენებელთა სისტემა (ცხრილი 4.11).

ცხრილი გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის ბოლო წლებში მსოფლიოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების შედეგად საქართველოშიც აღინიშნა სიღარიბის დონის კა-

ცხრილი 4.11

სიღარიბის გავრცელების მაჩვენებლები 1990-2015 წწ.

რეგიონები	შემოსავალი: 2 აშშ დოლარზე ნაკლები დღეში					
	მლნ ადამიანი			მოსახლეობის %		
	1990	2002	2015	1990	2002	2015
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანეთი	1.116	748	260	69,9	40,7	12,7
ჩინეთი	825	533	181	72,6	41,6	13,1
ევროპა და ცენტრალური აზია	23	76	39	4,9	16,1	8,2
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	125	119	106	28,4	22,6	17,2
შუა აღმ. და ჩრდილოეთი აფრიკა	51	61	40	21,4	19,8	10,4
სამხრეთ აზია	958	1091	955	85,5	78,9	56,7
სუბ-საჰარული აფრიკა	282	516	592	75,0	74,9	67,1
საქართველო	-	2,2	1,1	-	52,1	25,9
სულ	2654	2611	1933	60,8	49,9	32,8

წყარო: საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა 2005, ეროვნული მოხსენება, გვ. 85.

ტასტროფული ზრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ამოცანა გლობალური სტრატეგიის შემადგენელია. ამიტომ მისი წარმოშობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კომპლექსური ანალიზი და მის საფუძველზე სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის განსაზღვრა სცილდება ეროვნულ საზღვრებს და იღებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამა გაეროს რეკომენდაციით თითქმის ყველა ქვეყანაში შემუშავდა, მათ შორის საქართველოშიც. პროგრამების მიზანია 2015 წლისათვის 1990 წლის მაჩვენებელის მიმართ

მსოფლიოში სიღარიბის დონის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება. მაგალითად, ჩინეთში ნავარაუდევია სიღარიბის დონის 3-ჯერ შემცირება. საქართველოში ამ მაჩვენებლის განახევრებაა გათვალისწინებული. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი 2015 წლისათვის საქართველო ერთ-ერთ ღარიბ ქვეყნად რჩება.

ქვეყანა არჩევანის წინაშე დადგა. შეურიგდეს შექმნილ მდგომარეობას და მომავალშიც სიღარიბეში იცხოვროს ან შიდა და გარე ფაქტორების კომპლექსური გამოყენებით დაძაბოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ასეთი საგანგებო ამოცანის განხორციელებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სიღარიბის თანამედროვე მდგომარეობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი, მისი ტენდენციებისა და თავისებურებების გამოვლენა და ობიექტური შეფასება, რისკის ჯგუფების დადგენა და მათ საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში „გარღვევის სტრატეგიის“ განსაზღვრა (ეს საკითხი ვრცლად განხილულია VI თავში).

საქართველოს სტატისტიკის ოფიციალური სტრუქტურები სიღარიბის დონეს ანგარიშობენ შინამეურნეობის სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით. ქვეყანაში ტარდება შერჩევითი დაკვირვება 3350 შინამეურნეობაზე, როგორც, თბილისში, ასევე სხვა რეგიონებში. შერჩეული შინამეურნეობებიდან ინფორმაციას სტატისტიკის ორგანოები იღებენ კვარტალში ოთხჯერ და მათი განზოგადების საფუძველზე დგება ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

სიღარიბის მაჩვენებლების შეფასება ხდება საარსებო მინიმუმის, მედიანური მოხმარების 60% და მედიანური მოხმარების 40% მიმართ. საარსებო მინიმუმი, როგორც აღინიშნა, სიღარიბის აბსოლუტური ზღვარია. მინიმუმად ითვლება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი. რაც შეეხება მედიანური მოხმარების 60 და 40%-ს, ისინი სიღარიბის ფარდობითი ზღვრებია. მათი ათვლა ხდება ქვეყანაში მთლიანი მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან (მედიანა მოხმარების ისეთი სიდიდეა,

რომ მოსახლეობის ნახევარი მასზე ნაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე მეტს მოიხმარს). ამგვარად, საქართველოში სიღარიბის 3 მაჩვენებელი არსებობს: **სიღარიბის დონე** (ღარიბი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში), **სიღარიბის სიღრმე** (ღარიბი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრამდე დაშორების წილი მთელი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრის დონეზე ჯამური მოხმარებიდან), **სიღარიბის სიმწვავე** (ღარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობა, რომელიც მოიცავს როგორც სიღარიბის სიღრმეს, ისე ღარიბთა შორის უთანაბრობას). ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ჯინის ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას – ერთის.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2004 წელს საარსებო მინიმუმის მიმართ სიღარიბის დონემ ქვეყანაში 52% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 1994 წელს 80%, 1995 წელს – 60%, 2003 წელს – 54,5%-ს შეადგენდა.

საქართველოში 2004 წლიდან საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკა შეიცვალა. თუ ადრე საარსებო მინიმუმი იანგარიშებოდა ნორმატიული სტატისტიკური მეთოდით და ემყარებოდა 2500 კილოკალორიის სასურსათო კალათის ღირებულებასა და მინიმალურ არასასურსათო ხარჯებს, 2005 წლიდან მინიმალური საარსებო მინიმუმი იანგარიშება სტატისტიკური მეთოდით, რომელიც ემყარება მოსახლეობის ყველაზე უქონელი 10%-ის ფაქტობრივ მინიმალურ მოხმარებას. ასეთმა მიდგომამ ადრინდელი მაჩვენებლების კორექტირება გამოიწვია. თუ 2002 წ. საარსებო მინიმუმი 127,9 ლ. შეადგენდა, 2004 წელს იგი 84,3 ლარი გახდა. შესაბამისად სიღარიბის დონის 2004 წლის მაჩვენებელი 52%-ის ნაცვლად ოფიციალურად დაფიქსირდა 35,7%, ხოლო 2005 წლისა – 39,4% [1.13].

სიღარიბის გამოთვლის 2004 წლამდე არსებული მეთოდით, 2005 წელს იგი 57,7% შეადგენს. 2006 წელს გაანგარიშების ახალი მეთოდით სიღარიბის მაჩვენებელმა 40,3% შე-

ადგინა. 2006 წელს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, დაქირავებულ მუშაკთა 32%-ს, ანუ 1/3-ს აქვს საარსებო მინიმუმზე ნაკლები, ხოლო 20 ათასამდე დაქირავებული ადამიანი 20 ლარზე ნაკლებ ხელფასს იღებს, მაშინ, როცა საარსებო მინიმუმი შესაბამის პერიოდში 197 ლარი იყო. არსებული პენსიის ოდენობაც (48 ლარი) საარსებო მინიმუმის 1/3-ზე ბევრად ნაკლებია. ამავე პერიოდში ოფიციალური მონაცემებით, 350 ათასი უმუშევარი იყო აღრიცხული, ხოლო პროფკავშირების მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 700 ათას კაცს აღემატებოდა [35.80]. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სიღარიბის დონე განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მიხედვით. მაგალითად, 2004 წელს ქალაქად მან 45,6% შეადგინა, სოფლად – 54,4%, საშუალოდ ქვეყანაში კი – 52%.

რაც შეეხება სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელს, საქართველოში მისი გაანგარიშება 1996 წლიდან ხდება. იგი 2005 წელს საარსებო მინიმუმის მიმართ საშუალოდ ქვეყანაში 13,5%-ს შეადგენდა, ქალაქად – 12,1%-ს, სოფლად – 14,8%-ს.

სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი ქვეყანაში 6,6%-ს შეადგენდა, ქალაქად – 5,7%-ს, სოფლად – 7,5%-ს.

მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ 2005 წელს სიღარიბის დონემ 34,7% შეადგინა, ქალაქად – 32,5%, სოფლად – 36,9%. მედიანური მოხმარების 40% მიმართ შესაბამისად 16,1%, 14,1 % და 17,9% [73.2004-2005.83-85].

ჯინის კოეფიციენტმა 2005 წელს ფულადი შემოსავლების მიხედვით 0,53 შეადგინა, მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0,44, ფულადი ხარჯების მიხედვით – 0,46, მთლიანი ხარჯების მიხედვით – 0,41, მთლიანი მოხმარების მიხედვით კი – 0,39. სიღარიბის მაჩვენებლების სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარება შემდეგ სურათს გვაძლევს:

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოლდოვას, ტაჯიკეთის, ზამბიის, ჰაიტისა და ლიბერიის მოსახლეობის 80% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. სიღარიბის მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების ჩამონათვალში სიღარიბის დონის მაჩვენებლები განაწილებულია შემდეგნაირად: სომხეთი და ყირ-

გიზეთი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 55%). საქართველო – 54%, აზერბაიჯანი – 49%, რუსეთი – 40%, თურქმენეთი – 34%, უკრაინა – 29%, ყაზახეთი – 26%, ბელარუსი – 22%. საშუალოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 41,9%, აშშ-ში ეს მონაცემები 13%-ის, დიდ ბრიტანეთში 17%-ის, ჩინეთში 22%-ის ტოლია. მოცემული რეიტინგი შედგენილია მსოფლიო ბანკის 1999-2001 წლების მონაცემთა ბაზაზე [85.17].

საქართველოში, როგორც აღინიშნა, სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქად და სოფლად განსხვავებულია. სიღარიბე ქალაქად არასრული კვებით ხასიათდება, ხოლო სოფლად მცხოვრებთა უმთავრეს პრობლემას ფულადი რესურსების დეფიციტი და სოციალური ინფრასტრუქტურის დაბალი დონე განაპირობებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქალაქად შედარებით უკეთესი პირობებია განათლების და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის მხრივ. სიღარიბის დაძლევის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს, რესურსს (განსაკუთრებით სოფლად) მიწა, მისი მაღალი ეფექტიანობა წარმოადგენს. სამწუხაროდ, მის ნაყოფიერებას, საერთოდ მოსავლიანობის ზრდას დღეს საქართველოს სოფელში სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართველოში სიღარიბეს მწვავე ხასიათი აქვს და ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ფეთქებადი ხასიათის გათვალისწინებით ყოველმხრივ მხარდაჭერას მოითხოვს პოლიტიკური ამოცანის „საქართველო სიღარიბის გარეშე“ რეალიზაციის პროცესის დაჩქარება. იმისათვის, რომ პოლიტიკურად სწორად დასმული ამოცანა რეალურად განხორციელდეს, აუცილებელია რიგი კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

ერთ-ერთი პრინციპული საკითხია სიღარიბის ზღვარის (საარსებო მინიმუმის) განსაზღვრის ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიის სრულყოფა.

როგორც აღინიშნა, 2004 წლიდან შეიცვალა საარსებო

მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკა. სადღეღამისო მოხმარების კ/კალორიების ხელოვნურმა შემცირებამ, რომლის ობიექტური საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად გამოიწვია საარსებო მინიმუმის სიდიდის, რომლის მიხედვით განსაზღვრება სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის რიცხოვნობა, შემცირება.

ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილია სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის განსაზღვრისას უარი ვთქვათ ქვეყანაში თავის დროზე ოფიციალურად აღიარებულ საარსებო მინიმუმზე (რომელიც გამომდინარეობს დღეღამეში 2500 კ/კალ მოხმარების აუცილებლობდან) და ამოსავალ საწყისად მივიჩნიოთ ყველაზე დაბალი დეცილური ჯგუფის (ჯგუფების) ფაქტობრივი მოხმარების დონე.

საყოველთაო აღიარებით, სიღარიბის ზღვარი (საარსებო მინიმუმი) უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორია, რომელიც ღირებულებითი ფორმით ახასიათებს საზოგადოების წევრთა სხვადასხვა ტიპის შინამეურნეობების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მინიმალურ საშუალებათა (სურსათი, არასასურსათო საქონელი, მომსახურება) ერთობლიობას ეკონომიკის განვითარების მოცემული მომენტისათვის. ამდენად, მის განსაზღვრაში პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით სუბიექტური ჩარევები უნდა გამოირიცხოს.

სიღარიბის პრობლემის დაძლევა ხანგრძლივ დროს და დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. ამიტომ საჭიროა მისი დაძლევის კომპლექსური პროგრამის შედგენა. ამჟამად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით 5 წლიანი პროგრამა უფრო მიესადაგება ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ ინტერესებს (ეს დრო ემთხვევა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირების პერიოდს).

აღნიშნული პროგრამის საგანგებო და ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მისი შედგენის ორგანიზაციისათვის შეიქმნას სპეციალური

სამთავრობო კომისია, რომელსაც უხელმძღვანელებს ქვეყნის პრეზიდენტი. პროგრამა უნდა დაამტკიცოს ქვეყნის პარლამენტმა და იგი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შეფასების ინტეგრალური მაჩვენებელი.

4.5. დასაქმება, როგორც მიზანი და მისი რეგულირება

მოსახლეობის დასაქმება მოიცავს საზოგადოების მდგომარეობის ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლების ერთობლიობას.

ვიდრე განვიხილავდეთ შრომითი რესურსების სტრუქტურას და გამოყენების (დასაქმების) პრობლემებს, მიზანშეწონილია გავეცნოთ 1990-2006 წლებში საქართველოს მოსახლეობის დინამიკას. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1990 წელს საქართველოს მოსახლეობა 5424,4 ათას კაცს შეადგენდა, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა – 55,3%, სოფლისა – 44,7%. 2006 წელს ქვეყნის მოსახლეობამ 4401,3 ათასი კაცი (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გარეშე) შეადგინა მათ შორის ქალაქად – 52,5%, სოფლად – 47,5%. 1990-2006 წლებში ქვეყნის მოსახლეობა 1023,1 ათასი კაცით შემცირდა. მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 1990 წელს მამაკაცთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 47,4%-ს შეადგენდა. თითქმის ამდენივე იყო 2006 წელსაც, თუმცა მათი რაოდენობა 1990 წლის 2572 ათასი კაციდან 2090,8 ათასამდე (481,2 ათასი კაცით შემცირდა) [69.19]. ქალთა რაოდენობა შესაბამისად 2852,4 ათასიდან 2310,5 ათასამდე (541,9 ათასი ქალით) შემცირდა.

როგორც ცნობილია, შრომითი რესურსები მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც მონაწილეობს მატერიალური დოვლათისა და მომსახურების წარმოებაში. ასაკობრივი ნიშნით შრომით რესურსებს შრომისუნარიან ასაკში მყოფ შრომისუნარიან მოსახლეობასთან ერთად განეკუთვნება

უმცროსი ან უფროსი ასაკის დასაქმებული ადამიანები. საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის ქვედა ზღვარია 16 წელი, ზედა: მამაკაცებისათვის – 64 წელი, ქალებისათვის – 59 წელი. აქედან გამომდინარე, შრომითი რესურსები უტოლდება შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას გამოკლებული არამომუშავე I და II ჯგუფის ინვალიდები და არამომუშავე შედავათიანი პენსიონერები, სამუშაო ასაკში მყოფი, დამატებული მომუშავე მოზარდები და პენსიონერები აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში შრომითი რესურსების გამომხატველად გამოიყენება ცნება „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა“. მას მიეკუთვნება დასაქმებული მოსახლეობა და სამუშაოს მაძიებელი უმუშევრები. ხოლო ცნებაში „ეკონომიკურად აქტიური სამოქალაქო მოსახლეობა“ არ შეჰყავთ სამხედრო მოსამსახურეები [48.13].

ცნობილია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება გავლენას ახდენს შრომით რესურსებზე. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შემდეგ თავისებურებასთან. მაგალითად, შობადობის ცვლილება მყისეულად აისახება მოსახლეობის რიცხოვნობაზე, მაგრამ შრომით რესურსებზე იგი ზემოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდიდან, როდესაც ადამიანები მიაღწევენ 16 წლის ასაკს. აგრეთვე მიჩნეულია, რომ 16 წლამდე ასაკის მოზარდთა მოკვდაობა უშუალოდ არ ზემოქმედებს შრომითი რესურსების რაოდენობაზე.

საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის როლისა და მნიშვნელობის რეალურად შეფასებისათვის საჭიროა გავეცნოთ 1989-2006 წლებში მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს (ცხრილი 4.12). როგორც ცხრილიდან ჩანს, შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილი შემცირდა 6,9 პროცენტული პუნქტით, ხოლო შრომისუნარიან ასაკში მყოფთა რიცხოვნობა გაიზარდა 8,5 პროცენტული პუნქტით. შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის პირთა რაოდენობა 1,7 პროცენტული პუნქტით შემცირებასთან ერთად მოსახლეობის საშუალო ასაკი 3,7 წლით გაიზარდა.

ცხრილი 4.12

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა

	1989*		2006**	
	რიცხოვნობა ათასი	%	რიცხოვნობა ათასი	%
მოსახლეობა სულ	5401	100	4401,3	100
10 წლამდე	907	16,8	484,9	11,0
10-დან 20 წლამდე	851	15,8	642,5	14,6
20-დან 30 წლამდე	881	16,3	725	16,5
30-დან 40 წლამდე	779	14,4	612,4	13,9
40 წლიდან 50 წლამდე	558	10,3	661,6	15,0
50 წლიდან 60 წლამდე	650	12,0	502,8	11,4
60 წლიდან 70 წლამდე	458	8,5	367,8	8,3
70 წლიდან და უფროს ასაკში	317	5,9	404,3	9,2
მოსახლეობის საერთო რიცხოვნობიდან შრომის-უნარიანზე უმცროსი ასაკის	1423	26,3	854,9	19,5
შრომისუნარიან ასაკში	3039	56,3	2854,7	64,8
შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის	939	17,4	691,7	15,7
მამაკაცები	2581	47,4	2090.8	47,5
საშუალო ასაკი	33,9		37,6	

წყარო:

* საქართველო ციფრებში. 1990. გვ. 26.

** საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, გვ. 20.

გარდამავალ პერიოდში შექმნილ პრობლემებს შორის დასაქმების პრობლემა ყველაზე მწვავეა და თავისი მასშტაბურობით საზოგადოებაში ფეთქებად საშიშ ხასიათს იძენს. წარმოების დონის მკვეთრად დაცემამ, ბუნებრივია, დასაქმების პრობლემისადმი ადრე, სოციალისტური ეკონომიკის ფონზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპების (მიდგომების) შეც-

ვლა გამოიწვია. საბაზრო პრინციპების დამკვიდრების პროცესში საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის სრულიად ახალი ფორმები გამოიკვეთა, სხვადასხვა ინტერესთა დაპირისპირებამ სოციალური დაძაბულობა გააღრმავა. სახელმწიფომ ვერ შეძლო დაპირისპირებოდა ეკონომიკური კრიზისის გამოწვევებს და დასაქმების რეგულირების პროცესი (სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია) თვითდინებაზე მიუშვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დასაქმებულად ითვლება: ფიზიკური პირი, რომელიც პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ეწევა საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის და იღებს ანაზღაურებას ფულადი ან მატერიალური ფორმით. რაც შეეხება უმუშევარს, იგი განსაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი პირია, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესრულებისათვის. თუ როგორ შეიცვალა დასაქმების, როგორც პროცესის, უმუშევრობის, როგორც მოვლენის, ეკონომიკური შინაარსი, ორგანიზაციული ფორმა, გვიჩვენებს განვლილ პერიოდში დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა 1995 წლიდან იცვლება ახლით, რომელიც მისადაგებულია საერთაშორისო სტანდარტებთან და ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განისაზღვრება. საქართველოში 1997 წლამდე გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი მოცემულია ცხრილში 4.13. ცხრილი გვიჩვენებს დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკას, დასაქმებაში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს. მომუშავეთა მკვეთრი შემცირება მოხდა მატერიალური წარმოების დარგებში, განსაკუთრებით მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, სადაც დაახლოებით ერთ მილიონამდე ადამიანი იყო დასაქმებული. 1988-1996 წლებში ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა სამუშაო ადგილები. მაგალითად, 1996 წელს მან 1988 წლის

მიმართ 47,2% შეადგინა, მათ შორის მრეწველობაში – 23%. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში სამუშაო ადგილი 1,5 მლნ ადამიანმა დაკარგა [70.5]. დამკვიდრდა თვისებრივად ახალი ცნებები „დაუსაქმებელი“, „თვითდასაქმებული“, „ფარული უმუშევრობა“. მასობრივი ხასიათი მიიღო შრომითმა მიგრაციამ. ამ პროცესებმა, ბუნებრივია, რადიკალურად შეცვალა დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა. გაიზარდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა

ცხრილი 4.13

დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა % (1991-1997 წ.წ.)

წლები	1991	1994	1995	1996	1997
სულ დასაქმებულები	100	100	100	100	100
მრეწველობა	19,8	15,8	14,5	8,9	6,2
სოფლის მეურნეობა	26,4	30,8	30,6	50,2	58,6
ხე-ტყის მრეწველობა	0,5	0,3	0,2	0,2	0,3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7,2	6,3	7,5	6,7	4,8
მშენებლობა	8,9	3,7	3,9	1,4	1,6
ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება	6,0	11,3	12,3	9,4	10,5
მატერიალური წარმოების სხვა დარგები	2,9	1,6	1,6	1,1	0,9
საბინაო-კომუნალური მომსახურება	4,3	3,4	2,9	2,3	1,0
ჯანდაცვა	7,5	8,8	9,0	5,5	4,2
განათლება	11,5	13,2	13,7	10,8	8,8
მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება	2,6	2,1	1,3	1,1	0,9
დაკრედიტება და სახელმწიფო დაზღვევა	0,5	0,6	0,5	0,5	0,3
მმართველობა	1,9	2,0	1,9	1,7	1,9

წყარო: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №82, 2003, გვ. 4.

რაოდენობა, რაც უფრო მეტად დაკავშირებული იყო მოსახლეობის თვითგადარჩენის ინსტინქტთან. მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა მთლიანი მოცულობის 1/4-ს შეადგენდა, ეს მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება იმავე პერიოდში 2-ჯერ შემცირდა. ვაჭრობაში, და საერთოდ, საზოგადოებრივ კვებაში დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდა განპირობებულია ამ სფეროში ობიექტების სწრაფი პრივატიზაციით და შიდა ბაზარზე ფართო მოხმარების საქონლის იმპორტის მოცულობის ზრდით.

1997 წლიდან ქვეყანაში დასაქმების დარგობრივი აღრიცხვის ახალი მეთოდი გამოიყენება, სახელდობრ, დასაქმებულთა აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით (ცხრილი 4.14). ცხრილში ნაჩვენებია დასაქმების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები. როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობაში და მასთან ერთად ნადირობასა და მეტყევეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი თითქოს ერთ დონეზეა და მთლიანად დასაქმებულთა ნახევარზე მეტს შეადგენს. ცხრილი 4.15 გვიჩვენებს, რომ 9 წლის მანძილზე დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში 147,5 ათასი კაცით შემცირდა, მათ შორის დაქირავებულთა რიცხოვნობა 92,8 ათასით. თუ 1997 წელს თვითდასაქმებულების რაოდენობა 447 ათასი კაცით მეტი იყო დაქირავებულებზე, 2006 წელს ამ მაჩვენებელმა 533,1 ათას კაცს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ თვითდასაქმებულთა 71% (2005 წ.) სოფლის მეურნეობაზე, 14% - ვაჭრობაზე მოდიოდა.

დასაქმების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. იგი ყველაზე მაღალია თბილისში და თითქმის 4-ჯერ აღემატება სამეგრელო-ზემო სვანეთის, 3,5-ჯერ – ქვემო ქართლის, 2,2-ჯერ – აჭარის მაჩვენებლებს [81.35].

საყოველთაო აღიარებით, უმუშევრობა არის იძულებითი დაუსაქმებლობა, რომელიც წარმოიქმნება შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის მუდმივად დარღვევის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უმუშევრობა“ პირველად დაფიქსირდა ბრიტანეთის ენციკლოპედიაში

ცხრილი 4.14

დასაქმებულთა განაწილება დარგების მიხედვით 1998-2005 წწ. (%-ობით)

		1998	2000	2003	2005
1	სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა	54,7	54,7	54,9	54,3
2	სამთომომპოვებელი მრეწველობა	0,5	0,3	0,2	0,3
3	გადამამუშავებელი მრეწველობა	4,1	5,5	4,9	5,1
4	ელექტრო-, გაზ-, წყალმომარაგება	1,5	1,5	1,1	1,3
5	მშენებლობა	2	1,7	2,2	2,5
6	ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	10,0	9,9	11,0	10,8
7	სასტუმროები და რესტორნები	0,6	0,8	0,9	0,9
8	ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა, კავშირგაბმულობა	4,7	3,7	4,2	4,0
9	საფინანსო შუამავლობა	0,5	0,7	0,5	0,8
10	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა, კვლევითი სამუშაოები	0,3	1,4	1,8	1,5
11	სახელმწიფო მართვა, თავდაცვა, სავალდებულო დაზღვევა	4,5	5,4	5,0	4,7
12	განათლება	7,7	7,1	7,5	7,5
13	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	4,2	4,4	2,7	3,3
14	სხვა მომსახურება, კულტურა, გართობა, დასვენება	4,2	2,4	2,4	2,2
15	კერძო საოჯახო მეურნეობაში დაქირავებული მომსახურება	0,5	0,5	0,4	0,5
16	საერთაშორისო ორგანიზაციები	0,1	-	0,2	0,2
	ს უ ლ	100	100	100	100

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები, 2004-2005 წწ., თბ., 2005, გვ. 37.

ცხრილი 4.15

მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები
(ათასი კაცი) 1998-2006 წწ.

წლები	სულ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა	ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა		დასაქმებული					
		სულ	საბუმბო ბალის მონაწილეობის კოეფიციენტი %	სულ	დაქირავებული	თვითდასაქმებული	შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი %	შრომის უნარიანი ასაკის ზემოთ მოსახლეობის წილი %	სულ დასაქმების დონე %
1997	3002,1	2060,2	-	1848	675,9	1123,1			
2000*	3148,1	2051,6	65,2	1839,3	684,3	1043,9	79,2	20,8	58,4
2003	3098.8	2050,4	66,1	1814,5	618,5	1195,2	79,8	18,9	58,5
2006**	3159,5	1968,8	62,3	1700,5	583,1	1116,2	83,2	17,6	53,8

წყარო:

* საქართველოს შინამეურნეობები 2004-2005 წწ. გვ. 28

** საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, 3 ივლისი, 2007, გვ. 36.

1911 წელს, ხოლო 1915 წლიდან იგი გამოიყენება აშშ-ში. დღევანდელ პირობებში უმუშევრობა, როგორც ეკონომიკური და სოციალური მოვლენა, დამახასიათებელია ყველა ქვეყნისა და ყველა ეკონომიკური სისტემისათვის. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში უმუშევრობისადმი, როგორც პრობლემისადმი, განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა. მაგალითად, მარქსიზმის მიხედვით, უმუშევრობა დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, რაც იწვევს ციკლურ პროცესებს კაპიტალის დაგროვებასა და

აღწარმოებაში და საბოლოოდ დაქირავებულთა აბსოლუტურ და შეფარდებით გაღატაკებას.

საპირისპირო შეხედულება აქვს ნეოკლასიკურ სკოლას (მიმართულებას). მისი მიდგომით უმუშევრობა ბუნებრივ მოვლენად არის მიჩნეული, რომელიც დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის წრებრუნვის ფუნქციას ასრულებს [177.286]. XX საუკუნის 30-იან წლებში უმუშევრობისადმი დამოკიდებულებაში თვისებრივად ახალი მიდგომა დაფიქსირდა, რომელიც **ჯ. კეინზის** სახელთანაა დაკავშირებული. მისი არსი გამოიხატება შემდეგში:

1. ინვესტიციებისა და ხელფასის მოცემულ დონეზე ეკონომიკური სისტემა ნებისმიერ მოკლევადიან პერიოდში იმყოფება მდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში არასრული დასაქმების დროსაც, რაც ნიშნავს იძულებითი უმუშევრობის შესაძლებლობის არსებობას;

2. დასაქმების ძირითადი პარამეტრები (დასაქმებისა და უმუშევრობის ფაქტობრივი დონე, შრომაზე მოთხოვნა და რეალური ხელფასის დონე) დგინდება არა შრომის ბაზარზე, არამედ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდით. შრომის ბაზარზე ხდება ფულადი ხელფასის დონისა და მასზე დამოკიდებული შრომის მიწოდების სიდიდის ფორმირება. შრომის მიწოდება გვიჩვენებს ხელფასის მოცემული სიდიდის დროს დასაქმების მაქსიმალურად შესაძლებელ დონეს;

3. დასაქმების ფორმირების მექანიზმის საფუძველია ფსიქოლოგიური მოვლენა: მოხმარებისაკენ, დაზოგვისაკენ, ინვესტიციებისაკენ მიდრეკილება. დასაქმების დონე დამოკიდებულია ინვესტორების აქტიურობაზე (ხანგრძლივ პერიოდში ინვესტიციების დაბანდებებზე), ასევე მომხმარებლების ქცევებზე;

4. დასაქმების ფორმირების მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორია ოპტიმალური სიდიდის ინვესტიციები. ამ თვალსაზრისით დადებით შედეგებს იძლევა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება;

5. ხელფასის მოქნილი პოლიტიკა – უმუშევრობის ზრდის

კვალობაზე ხელფასის შემცირება არარეალურია იმ ეკონომიკურ სისტემაში, სადაც მოქმედებს ხელფასის შესახებ ცალკეული ხელშეკრულებები, თუმცა ხელფასის შემცირებამ შეიძლება ირიბად გამოიწვიოს დასაქმების ზრდა მოხმარებისაკენ მიდრეკილების, პროცენტის ნორმის და სხვა ფაქტორების გავლენით, უფრო მართებულია მოქნილი ფულადი პოლიტიკა, ე.ი. ეფექტიანი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა.

ჯ. კეინზის ასეთი მიდგომა ფართოდ იქნა გამოყენებული მთელ რიგ ქვეყნებში XX საუკუნის 40-იან და 50-იან წლებში.

მონეტარისტული სკოლის წარმომადგენლებმა შეისწავლეს რეალური ხელფასისა და ინფლაციის დინამიკასთან უმუშევრობის კავშირი. XX საუკუნის 50-იან წლებში უმუშევრობასა და ინფლაციას შორის ურთიერთკავშირი გამოისახა ა. ფილიპსის მრუდით. ამ მიდგომით დაფიქსირდა უკუკავშირი ინფლაციის ტემპებსა და უმუშევრობის წილს შორის. სახელმწიფოს ჩარევით შესაძლებელია უმუშევრობის დონის შემცირება ერთობლივი მოთხოვნის გაფართოებით, ამ დროს ბაზარზე წარმოქმნილი დაძაბულობა ხელს უწყობს ხელფასის, ფასისა და შესაბამისად ინფლაციის ზრდას. იმისათვის, რომ შემცირდეს ინფლაცია, საჭიროა მოთხოვნის შემცირება, რაც უმუშევართა ზრდას გამოიწვევს.

თანამედროვე პირობებში გამოყენებული ფილიპსის მრუდი განსხვავდება წინა მოდელისაგან. ჯერ ერთი, ნომინალური ხელფასის ნაზრდის ტემპებში შედის ინფლაციის მოსალოდნელი ტემპები, ასევე მიწოდების შოკური ცვლილებების მაჩვენებელი. გათვალისწინებულია ეკონომიკური განვითარების ახალი ნიშან-თვისებაც, რომელიც ადასტურებს, რომ ეკონომიკას შეუძლია სრული დასაქმების დონეზე (უმუშევრობის ბუნებრივი დონე) ფუნქციონირება ინფლაციის ნებისმიერი ტემპის პირობებში [177.292].

ინსტიტუციურ-სოციოლოგიური სკოლის პოზიცია ძირითადად ემყარება სოციალური ინსტიტუტების შექმნის პრინციპს.

რაც შეეხება დასაქმების კონტრაქტულ თეორიას, იგი ეფუძნება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს, დასაქმების, უმუშევრო-

ბის, შემოსავლების რეგულირების, სოციალური პარტნიორობის პრინციპებს და ა.შ.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების განიხილვისას გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა ერთხელ კიდევ მიანიშნებს იმაზე, რომ სოციალური და ეკონომიკური მოვლენების შეფასება და პრობლემების გადაწყვეტა ხდება განსხვავებული მეთოდებით და მექანიზმებით.

უმუშევრობის დონის გამოთვლის ორი მეთოდი არსებობს: რეგისტრირებულ უმუშევართა მთლიანი რაოდენობა და შიდა მეურნეობების შერჩევითი გამოკვლევები. საქართველოში უმუშევრობის საერთო მდგომარეობა ნაჩვენებია 4.16, ხოლო უმუშევრობის დონის რეგიონული მაჩვენებლები – ცხრილში 4.17.

საქართველოში უმუშევრობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის შეფასებისას, გამოვლინდა თავისებურება, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკაში სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა. მხედველობაში გვაქვს უმუშევრობის შეფასების მსოფლიოში მიღებული მეთოდოლოგია, რომელიც ჩვენთან 1996 წლიდან გამოიყენება და რომელიც უმუშევრობის რეალურ სურათს ვერ იძლევა. მაგალითად, 2003 წელს უმუშევრობის დონე 12,6%-ით განისაზღვრა. ექსპერტთა გათვლით ამავე პერიოდში იგი 34-36%-ს შეადგენდა [36.2].

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის ბუნებრივ დონედ 6-7% ითვლება. ამასთან, განასხვავებენ უმუშევრობის სამ სახეს: **ფრიქციულს, სტრუქტურულს და ციკლურს**.

ფრიქციული უმუშევრობა წარმოიშვება ადამიანების ნებაყოფლობითი გადაადგილებისას ერთი სამუშაოდან მეორეზე, როდესაც მათ არ სურთ მუშაობა შეთავაზებულ პირობებში. უმუშევართა ამ კატეგორიას ნებაყოფლობით უმუშევრებს უწოდებენ. **სტრუქტურული უმუშევრობა** წარმოიშვება მაშინ, როდესაც შრომაზე მოთხოვნის სტრუქტურა არ ემთხვევა მისი მიწოდების სტრუქტურას. **ციკლურ უმუ-**

ცხრილი 4.16

უმუშევრობის დონის მაჩვენებლები 2000-2006 წ.წ. (ათასი კაცი)

წლები	სულ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა	უმუშევრობა		უმუშევრობის დონე (%)		არა აქტიური მოსახლეობა 15-70 წლის ასაკში*	
		სულ	უმუშევრობის დონე (%)	შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში	შრომისუნარიანი ასაკის ზემოთ მოსახლეობაში	სულ	დასაქმებული შინამეურნეობაში
2000	3148,1	212,2	10,3	12,2	2,6	898,8	265,0
2003	3104,9	235,9	11,5	13,4	2,3	847,1	287,3
2006	3159,5	268,5	13,6	15,8	0,9	957,6	259,4

წყარო: საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ივლისი 2007 წ. გვ. შსო-ს „მკაცრი“ კრიტერიუმი.

* შსო-ს „მკაცრი“ კრიტერიუმი.

ცხრილი 4.17

უმუშევრობის დონე საქართველოს რეგიონებში (%) (1998-2006 წწ.)

საქართველოს რეგიონები	1998	2000	2003	2005
ს უ ლ	14,5	10,3	11,5	13,8
თბილისი	31	19,3	26,1	29,0
იმერეთი[1]	15,1	9,8	7,8	10,3
აჭარის ა.რ.	8,3	14,9	12,1	20,4
შიდა ქართლი	9,7	5,7[2]	9,3	12,0
ქვემო ქართლი	9,1	7,6	6,9	9,2
სამცხე-ჯავახეთი	5,3	5,5	4,2	5,8
გურია	6,8	9,2	38	4,9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6,6	4,4	6,2	7,2
მცხეთა-მთიანეთი	-	-	14,8	13,3
კახეთი	-	6,7	5,8	4,5

1. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით
2. მცხეთა-მთიანეთის ჩათვლით

შევრობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც შრომაზე საერთო მოთხოვნა დაბალია.

პ. სამუელსონის განმარტებით, ციკლური და სხვა სახის უმუშევრობის ანალიზი საშუალებას იძლევა შრომის ბაზრის საერთო მდგომარეობის რეალური შეფასებისათვის. მაგალითად, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის მაღალ დონეს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შრომის ბაზრის წონასწორობისას (როდესაც მაღალია დენადობა ან რეგიონული დისპროპორციები). რაც შეეხება ციკლურ უმუშევრობას, იგი წარმოიქმნება ეკონომიკის ვარდნის პერიოდში, როცა დასაქმება მცირდება იმის გამო, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს არ ემთხვევა.

საქართველოში გარდამავალ პერიოდში უმუშევრობის სამივე სახე კონცენტრირებულადაა წარმოდგენილი და ფაქტობრივად განსაზღვრავს ტრანსფორმაციული პროცესების სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს. სწორედ ამიტომ დასაქმების სახელმწიფოებრივი რეგულირება მოითხოვს როგორც კომპლექსურ, ასევე დიფერენცირებულ, ე.წ. წერტილოვან მიდგომებსაც.

ცნება „სრული დასაქმება“ ხშირად კამათის საგანი ხდება. პრაქტიკა ადასტურებს, რომ სრულ დასაქმებაში არ იგულისხმება 100%-იანი დასაქმება. მიჩნეულია, რომ დასაქმება სრულია მაშინ, როდესაც უმუშევართა რაოდენობა უდრის ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევართა ჯამს, როდესაც დაბალანსებულია სამუშაოს მაძიებელთა და სამუშაო ადგილების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში უმუშევრობა, როგორც პრობლემა, გლობალური ხასიათისაა, იგი უშუალოდ ზემოქმედებს სოციალურ სტაბილურობაზე. უმუშევრობის შედეგად იკარგება პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის წარმოების შესაძლებლობა (პოტენციალი), რაც ხელს უწყობს (არსებითად განსაზღვრავს) სიღარიბის ზრდას. ეს კი ასტიმულებს სოციალური პოლარიზაციის გაღრმავებას. პრაქტიკაში გამოიყენება უმუშევრობის მეპ-ზე ზემოქმედების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ცნობილია არტურ ოუკენის

კანონის სახელწოდებით. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების შემცირება მით უფრო მეტია, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. თუ უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივს 1%-ით აღემატება, მაშინ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი პოტენციურს 3%-ით ჩამორჩება. ამჟამად ახალი ემპირიული მონაცემების საფუძველზე, ეს თანაფარდობა შეადგენს 2:1. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული პროდუქციისა და მომსახურების დანაკარგების გამოთვლა. მაგალითად, ქართველ ექსპერტთა გათვლით, 2003 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (უმუშევრობის დონე 11,5%-ს შეადგენდა) უმუშევრობის ბუნებრივი დონის კონცეფციის საფუძველზე განისაზღვრა უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგები. მან 1085 მლნ ლარი, ანუ მშპ-ის 12,6% შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უმუშევრობის დონე ფაქტობრივად უფრო მაღალია, ვიდრე ამას სტატისტიკა გვიჩვენებს, სულ სხვა შედეგს მივიღებთ. იმავე ექსპერტთა გათვლით, აღნიშნულ პერიოდში უმუშევართა დონე 35%-ს შეადგენდა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, იგივე მეთოდოლოგიით გაანგარიშებამ სულ სხვა შედეგი აჩვენა. კერძოდ, დანაკარგებმა დაახლოებით 20 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2003 წლის ფაქტობრივ მშპ-ს 2,3-ჯერ აღემატებოდა [36.3].

უმუშევრობა, როგორც გლობალური მოვლენა, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ნეგატიურ პროცესებთან, როგორიცაა: საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია, საშიში დაავადებების, თვითმკვლელობებისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ზრდა, გენოფონდის გაუარესება – ქორწინებისა და შობადობის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება და სხვ. ეს დასტურდება საქართველოში გარდამავალ პერიოდში შექმნილი სოციალური მდგომარეობის ანალიზითაც. ქართველ ექსპერტთა აზრით, 1995-2003 წლებში უმუშევრობა ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი იყო. მაგალითად, თუ 1995 წელს რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რაოდენობის 30%-ს მძიმე დანაშაული შეადგენდა, 2003 წელს მან უკვე 59% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დამ-

ნაშავეთა უმრავლესობა უმუშევარი ან არაკანონიერი საქმიანობით დაკავებული პირი იყო.

ექსპერტები უმუშევრობას პირდაპირ უკავშირებენ გენოფონდს. 1989 წელს ქვეყანაში ყოველ 1000 სულზე 7 ქორწინება მოდიოდა, 2004წელს – მხოლოდ 4. ბუნებრივია, შემცირდა შობადობაც. 1979 წელს ბავშვების საშუალო რაოდენობა ერთ ოჯახზე 1,6 ბავშვს, 1989 წელს – 1,2, 2002 წელს – 1,1 ბავშვს შეადგენდა [36.4]. უმუშევრობა უშუალოდ ზემოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობის, როგორც მოვლენის, სოციალურ-ეკონომიკური შედეგები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: **აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს, ხელს უშლის ადამიანის პოტენციალის გამოყენებას, შესაბამისად საქონლისა და მომსახურების მოცულობის შემცირებას, რაც საბოლოოდ აუარესებს ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობს საზოგადოებაში ადაპტირებული სოციალური ნორმების დარღვევას, ადამიანის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების უგულებელყოფას.** სწორედ ამიტომ უმუშევრობის დონის სისტემატური შემცირება სტრატეგიული ამოცანაა, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად, განსაკუთრებით კი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

შრომის ბაზრის რეგულირების თავისებურებები. შრომის ბაზარი, როგორც საერთო ეკონომიკური ბაზრის შემადგენელი, სხვა სახის ბაზრისაგან რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. ცნობილია, რომ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალა სპეციფიკური საქონლის ფორმითაა წარმოდგენილი, რომელზეც რიგი ფაქტორები ზემოქმედებს, სახელდობრ, თუ როგორია დაქირავებისა და შრომის პირობები, პროფესიული მომზადების დონე, დასაქმების გარანტიები და ა.შ. ამ და სხვა ფაქტორთა გავლენით განისაზღვრება სამუშაო ძალის ღირებულება.

სამუშაო ძალა (შრომითი რესურსები) სხვა რესურსებისაგან განსხვავებით, არა მარტო ეკონომიკური ზრდის ფაქტორია, არამედ მომხმარებელიც. იგი ასრულებს წარმოების

როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის ფუნქციებს. შრომა არა მხოლოდ სიმდიდრის შექმნის წყაროა (უ. პეტის განმარტებით – სიმდიდრის მამა), არამედ მის გარეშე არ ხდება პიროვნების უნარის გამოვლინება და საზოგადოებრივ განვითარებაში ნაყოფიერი მონაწილეობა. სამუშაო ძალის (შრომითი რესურსების) ამგვარი ხასიათი განაპირობებს შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას, ეკონომიკური ამოცანებისა და სოციალური მიზნების შეხამებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში შრომის ბაზრის საერთო ფუნქციებად მიჩნეულია: სამუშაო ძალის აღწარმოებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება; შრომითი რესურსების განაწილება და გადანაწილება; მუშაკთა უნივერსალიზაციის (მრავალპროფილიანი პროფესიული მომზადება, შრომის ცვალებადობის შესაბამისად სტრუქტურულ ცვლილებებთან ადაპტირება, კვალიფიკაციის ამაღლებით დაინტერესება) აუცილებლობა ხელს უწყობს მობილური სამუშაო ძალის აქტიურობას, ამაღლებს შრომის ანაზღაურებაში საბაზრო ბერკეტების როლს, აძლიერებს შრომის ეკონომიკურ მოტივაციას და ა.შ. [127.589]. შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია ნეგატიური მხარეებიც. მაგალითად, შრომის ბაზარი განაწილების პროცესზე ზემოქმედების შედეგად ხელს უწყობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ანაზღაურებისა და შემოსავლების მეტისმეტ დიფერენციაციას, ქონებრივი უთანასწორობის გაძლიერებას, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღარიბებას. ყოველივე ეს იწვევს სოციალური დაძაბულობის გამწვავებას.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო აღიარებით შრომის ბაზრის როლი უპირატესად პოზიტიურია, რასაც ადასტურებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგები. იმისათვის, რათა შრომის ბაზარმა, როგორც საბაზრო ურთიერთობათა სისტემის ელემენტმა, ხელი შეუწყოს ეკონომიკის ეფექტიანობას, აუცილებელია მის რეგულირებაში გარედან ჩარევა. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოებრივი რეგულირება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საკითხზე

ეკონომიკურ მეცნიერებაში განსხვავებული პოზიციები დაფიქსირდა. ერთნი გამორიცხავენ შრომის ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევას (ნეოკლასიკოსები). სხვა პოზიციის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზარზეც. სწორად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ შრომის ბაზარი რეგულირებადია და რეგულირების მრავალგვარი ფორმა და ინსტრუმენტი არსებობს. შრომის ბაზარზე ერთ-ერთი სუბიექტი სახელმწიფოა, რომელიც აქტიურად ერევა პროცესებში სხვადასხვა ბერკეტებით: შრომის კანონმდებლობა, ხელფასის მინიმუმის დაწესება, დასაქმების სხვადასხვა პროგრამა და სხვ., ერთი მხრივ, მეორე მხრივ, სახელმწიფო გამოდის, როგორც დამსაქმებელი სახელმწიფო საწარმოებში, განათლების, ჯანდაცვის, მართვის, კულტურის დაწესებულებებში და ა.შ. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომის ბაზარი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბაზარი, რეგულირებადია როგორც შიგნიდან – დამსაქმებლის და პროფკავშირების, ასევე გარედან – სახელმწიფოს მხრივ[1].

პრაქტიკა იმასაც ადასტურებს, რომ საბაზრო სისტემაში, მათ შორის შრომის ბაზარზე, სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი თუ ოპტიმალური არ არის, ეკონომიკური განვითარება იძენს ნეგატიურ ნიშან-თვისებებს.

ნებისმიერი ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ადეკვატურ დასაქმების პოლიტიკას შეიმუშავებს და განახორციელებს. თუმცა სახელმწიფო გარკვეულწილად შეზღუდულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებული ფუძემდებლური პრინციპებით, რომელთა დაცვა აუცილებელია. ეს პრინციპებია: ყველა მოქალაქისათვის შრომის უფლების განხორციელების თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფა; მოქალაქისათვის დასაქმებაში ხელშეწყობა და უმუშევრობის შემცირებისათვის ზრუნვა; უმუშევრის სოციალური დაცვის უზრუნველ-

1 **1996 წელს აშშ-ში სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკთა რაოდენობამ მრეწველობასა და მშენებლობაზე დასაქმებულთა 80% შეადგინა [127.593].**

ყოფა; დასაქმების სფეროში და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებით (სოციალური უზრუნველყოფა, შემოსავლების ზრდა და განაწილება, ინფლაციის თავიდან აცილება და ა.შ.) გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია; დასაქმების რეგულირების მიზნით სახელმწიფოს, პროფკავშირებისა და მეწარმეთა ასოციაციების აქტიური თანამშრომლობა; დასაქმების პრობლემათა გადაჭრაში საერთაშორისო თანამშრომლობა.

შრომის ბაზარზე დასაქმების პოლიტიკა ერთმანეთთან ახამებს აქტიურ და პასიურ პოლიტიკას [139.524]. აქტიური დასაქმების პოლიტიკა მიზნად ისახავს უმუშევართა ჩაბმას შრომით საქმიანობაში. ამისათვის სახელმწიფო ახორციელებს რიგ მიზანმიმართულ ღონისძიებებს, კერძოდ, დასაქმების სამსახურის შექმნასა და მისი მეშვეობით უმუშევართა ჩაბმას შრომაში, ორგანიზაციას უკეთებს სამუშაოს მაძიებელთა მომზადებას, გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, დროებითი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. აქტიური პოლიტიკა ხორციელდება საინვესტიციო, საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო ბერკეტების გამოყენებით.

რაც შეეხება დასაქმების პასიურ პოლიტიკას, იგი ითვალისწინებს ვაკანტური სამუშაო ადგილების დაკავებაში ხელშეწყობას, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უმუშევრებისათვის შემწეობის გაცემას.

შრომის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლები. შრომის ბაზარი სხვა ბაზრებისგან განსხვავებით უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანისეულ ფაქტორთან. შრომის ბაზრის სოციალური მხარე განსაკუთრებული ფორმითა და სიმწვავით გამოჩნდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და პოლიტიკური ხასიათიც მიიღო. ამას ადასტურებს „ახალ მდიდრებსა“ და „ახალ ღარიბებს“ შორის პოლიტიკური დაპირისპირების დღევანდელი მასშტაბი. კვლავინდებურად მძლავრობს (განსაკუთრებით ოფიციალურ წრეებში) „თავისუფალი ბაზრის“, კერძოდ, თავისუფალი შრომის ბაზ-

რის, შექმნის ილუზია, რაც ყალბად გაგებულ ლიბერალიზაციასთანაა დაკავშირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის ჰუმანიზაციისა და სოციალიზაციის პრინციპებზე ყალიბდება ახალი ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკური სისტემები, რეალურად ბაზარი, მათ შორის შრომის ბაზარი, თანდათანობით რეგულირებადი გახდა [54.2; 70; 36]. სწორედ ეს პრინციპი (მიდგომა) უნდა დაედოს მეთოდოლოგიურ საფუძვლად დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას. ამაში ვხედავთ საქართველოს მომავალი სოციალური ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ექსპერტები ქვეყანაში შრომის ბაზრის განვითარებისა და დასაქმების ანალიზის საფუძველზე გამოყოფენ რიგ ტენდენციებს, კერძოდ ესაა: დასაქმების ზრდა კერძო სექტორში, რაც ადეკვატურია საკუთრებით ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებისა და თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდა სოფლის მეურნეობაში, რაც არარეალურია, აიხსნება ფაქტობრივად აღრიცხვის ორგანიზაციის დაბალი დონით; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება არასრული სამუშაო დროით, რომლის აღრიცხვის ორგანიზაცია დაბალ დონეზეა. ფარული უმუშევრობის ფართო მასშტაბები და ჯერ კიდევ შენარჩუნებული „ჭარბი“ სამუშაო ძალა საბიუჯეტო სფეროში (გამოწვეულია ორგანიზაციულ-მმართველობითი არასრულყოფილი ურთიერთობებით). მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტიურობის პირობებში დასაქმების საკმაოდ დაბალი დონე. პროფესიული კადრების გადინება სხვა სფეროში, მათი დასაქმება არაპროფესიული შრომით; მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის გაუარესება, გადამზადების ორგანიზაციის დაბალი დონე; მეორადი დასაქმების ფართო მასშტაბები (ოფიციალურად ეს გამოწვეულია შემოსავლების დაბალი დონით ძირითად სამუშაო ადგილებზე); მოსახლეობის უმრავლესობის პროფესიით დაუსაქმებლობა; უმუშევრობის ხანგრძლივი ხასიათი [89.165]. აღსანიშნავია, რომ 2002

წელს უმუშევართა 77% ერთ წელზე მეტი ხნის უმუშევარი იყო. აქედან 50% სამ წელზე მეტი ხნის დაუსაქმებელი იყო, 10-12% – 2-დან 3 წლამდე პერიოდის უმუშევარი იყო. ამავე პერიოდში ქვეყანაში უმუშევართა საერთო რაოდენობიდან 4,3%-ს არ უმუშავია 10 წლის, 1,7%-ს – 5 წლის, 2,1%-ს – 4 წლის განმავლობაში. ქ. თბილისში 10 წლის მანძილზე დაუსაქმებლები უმუშევართა საერთო რაოდენობის 4,5%-ს შეადგენდა, ხოლო ხუთი და ოთხი წლის მანძილზე უმუშევრები – შესაბამისად 2,7 და 3%-ს [36.19].

აღნიშნული ტენდენციები ასახავენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის წინააღმდეგობრივ, უფრო სწორად, კრიზისულ ხასიათს. ამასთან, გვიჩვენებენ, რომ დღევანდელ ეტაპზე საქართველოში შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელია არაეფექტიანი დასაქმება, სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება, უმუშევრობის მაღალი დონე, მოსახლეობის დაბალი შემოსავლები, შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ მწირი ინფორმაცია, დასაქმების სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტების განვითარების (ფუნქციონირების) დაბალი დონე, დასაქმების და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და სხვ. [37.49-54].

ბუნებრივია, რომ ამგვარი ვითარების გაჯანსაღებაზე არსებითად დამოკიდებულია საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანაში შეიქმნა კვაზისაბაზრო ეკონომიკური სისტემა. ამიტომ მოცემულ დროში აქტუალური ამოცანაა არსებული ეკონომიკური სისტემის სრულყოფა და მისი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას.

ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომელიც ნეოკლასიკური მიდგომის გავლენით დაფიქსირდა, რომ ფორმირებად, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტ საბაზრო მექანიზმებს უნდა დაეკისროს წარმოებისა და დასაქმების რაციონალური სტრუქტურის დამოუკიდებლად განსაზღვრა. ეს ქრესტომატიული მიდგომაა და იგი ეყრდნობა თანამედროვე პირობებში გან-

ვითარებული ეკონომიკის მიერ ათეული წლების მანძილზე განვლილი ტრანსფორმაციული (ევოლუციური) გზის ზოგად ანალიზს და საერთო შედეგებს. თუ ადრე სახელმწიფოს როლი ბაზრის „ღამის დარაჯის“ ფუნქციებით შემოიფარგლებოდა, ამჟამად სხვა ვითარებაა.

თანამედროვე პირობებში საქართველოში სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა – ადამიანის კეთილდღეობის ამაღლება, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპებით და სრული დასაქმებით. რაც შეეხება უშუალოდ დასაქმების პრობლემას, მისი გადაწყვეტა მიზნობრივი პროგრამებით უნდა განხორციელდეს. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში დასაქმების (უმუშევრობის) პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ყოველმხრივი ანალიზი და ობიექტური შეფასება. კომპლექსურად უნდა გაანალიზდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე. ამ მიზნით ქვეყანაში უნდა ჩატარდეს არსებული სამუშაო ადგილების სრული ინვენტარიზაცია, როგორც დასაქმების სახეების, აგრეთვე დარგებისა და რეგიონების მიხედვით, ცხადია, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. მდგომარეობის ობიექტური შეფასება საშუალებას მოგვცემს სამუშაოს ოპტიმიზაციასთან ერთად განვსაზღვროთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივა. დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურისა და პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურის შესაბამისობის ანალიზი დაგვეხმარება მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) მიზნობრივი ხასიათის განსაზღვრაში, განვითარების პერსპექტივების პროგნოზირებაში.

სწორად მიგვაჩნია ქართველ ექსპერტთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საჭიროა დასაქმებულის სტატუსის რეალურად განსაზღვრა. ამჟამად მოქმედი მეთოდიკით დასაქმებულად ითვლება პირი, თუ იგი წინა კვირის განმავლობაში მუშაობდა, თუნდაც ერთი საათით მაინც, შემოსავლების მიღების მიზნით. უფრო მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ დასაქმებულად ჩაითვალოს ის პირი, ვინც კვირაში 18-20 საათი მაინც იმუშავებს [76.75]. აქვე აღვნიშნავთ,

რომ დასაქმებულის სტატუსის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომით – დასაქმებულად ჩაითვალა ოჯახის ყველა წევრი, თუ მათ საკუთრებაში 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ჰქონდათ, აღრიცხვის ორგანიზაციამ მნიშვნელობა დაკარგა. გაზვიადებულია დასაქმების შესახებ ინფორმაცია რეგიონების მიხედვითაც. უმუშევრობის დაბალი დონეები დაფიქსირდა ისეთ რეგიონებში, სადაც უმუშევრობა ფაქტობრივად მაღალია. მაგალითად, ოფიციალური ინფორმაციით, 2006 წელს უმუშევრობამ გურიაში შეადგინა 3%, სამცხე-ჯავახეთში 5%, სამეგრელო-ზემო სვანეთში 6,9% და ა.შ. ექსპერტთა დასკვნებით, არარეალურია ქვეყანაში უმუშევრობის 2006 წლის მონაცემებიც (14%). ფაქტობრივად, ეს მაჩვენებელი 40-50%-ის ფარგლებში მერყეობს. **არასწორად მიგვაჩნია „დასაქმების შესახებ“ კანონის გაუქმება.**

ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ ყურადღებას და სიტუაციის ადეკვატური ზომების მიღებას მოითხოვს. ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია დასაქმების სპეციალური სამსახურის, მაგალითად, დასაქმების დეპარტამენტის შექმნა, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება პრემიერ-მინისტრს. მისი პირდაპირი ფუნქცია უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი, სხვადასხვა უწყებათა (კერძო, არასამთავრობო, სამთავრობო, საერთაშორისო, რეგიონული სტრუქტურების) საქმიანობის კოორდინაცია.

დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში დიდი რეზერვები გააჩნია ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებს – მრეწველობას, მშენებლობას, ტრანსპორტს, ტურიზმს და ა.შ. სახელმწიფოს დღესაც არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამრეწველო პოლიტიკა. ეს მაშინ, როდესაც, ფართო გაგებით, ეკონომიკური სტაბილიზაციის ცენტრალური ღერძი ზემოთ აღნიშნულ დარგებზე გადის. სამწუხაროდ, სამრეწველო პოლიტიკის ფორმირების საკითხი დღესაც საკამათოა. ერთნი მრეწველობის გამორჩეულ როლსა და მის პრიორიტეტს უპირობოდ აღიარებენ, თუმცა კვლავინდებურად ძლიე-

რია საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მრეწველობის დომინირებადი დარგის სტატუსს ეყრდნობოდა. 1988 წელს საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მაქსიმალური დონე – 12 მლრდ 250 მლნ მანეთს უდრიდა, რაც მშპ-ს 23%-ს შეადგენდა. 2006 წელს მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობამ 2053,6 მლნ ლარი შეადგინა – მშპ-ს 13,5%). ექსპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რამდენადაც მსოფლიო პოსტინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატური ეკონომიკის პრინციპებს ამკვიდრებს, ე.ი. ორიენტირებულია მომსახურების სფეროზე, საქართველოში არ არის აუცილებელი მრეწველობის განვითარება (ამჟამად, მშპ-ში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წილი 25%-ს შეადგენს). მათი აზრით, უმჯობესია სამრეწველო პროდუქცია უცხოეთიდან შემოვიტანოთ, ქვეყანაში კი უპირატესად მომსახურების სფერო, განსაკუთრებით ტურიზმი და საკურორტო ინდუსტრია, განვავითაროთ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ამით დასაქმების პრობლემებიც გადაწყდება და ინტელექტუალური პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის მტკიცე საფუძველიც მომზადდება. ერთი შეხედვით, თითქოს არგუმენტირებული პოზიციაა. ამდენად ამ მიდგომას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სტრუქტურების რეკომენდაციები სწორედ ზემოაღნიშნული იდეით არის გაჟღენთილი და, სამწუხაროდ, მათ რეკომენდაციებს სახელმძღვანელო ხასიათი ჰქონდა და აქვს დღესაც.

საქართველოს ეკონომიკის „ანატომია“, ჯერ კიდევ არსებული სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალი, ქვეყნის ორიენტაცია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატური, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ფორმირებაზე ადასტურებს, რომ ზემოთ განხილული მიდგომა მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას არ ეფუძნება. ქვეყნის გზა მაღალი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე სისტემებისა და სოციალური მიმართულების ეკონომიკის ჩამოყალი-

ბებაზე გადის. ეს კი შესაძლებელია ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების, ღია ეკონომიკის ფუნქციონირებისა და რეგიონულ გეოეკონომიკურ ხელშემწყობ გარემოში (კავკასიის ეკონომიკური სივრცის მზარდი როლი ევროპა-აზიის ინტეგრაციულ პროცესებში). **ეროვნული ეკონომიკა (ეკოლოგიურ მოთხოვნათა დაცვით), მომავალშიც უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე სამრეწველო პოტენციალს. სხვანაირად, მომსახურების სფერო თანამედროვე სტანდარტების დონეზე ვერ განვითარდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამჟამად ეროვნული მრეწველობა ღრმა კრიზისშია, მისი პოტენციალის ამოქმედების შესაძლებლობა შეზღუდულია და საჭიროა მთელი ეკონომიკის, პირველ რიგში, მრეწველობის პერსპექტიული დარგების, ზრდის სტრატეგიაზე გადასვლის პროცესის ყოველმხრივი დაჩქარება (ეს პრობლემები ვრცლად განხილულია VI თავში).** ეკონომიკურ ზრდაზე მიზანმიმართული გადასვლა, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს წარმოების გამოცოცხლებას, სამრეწველო პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის ზრდას, რომელიც დამოკიდებულია წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფაზე, საბოლოოდ ეროვნული მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელებაზე (პრიორიტეტები, წარმოების სტრუქტურა, რესურსების დარგთაშორისი გადაადგილება, შრომის ორგანიზაცია, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკის ეკოლოგიზაცია, საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირება, სამამულო წარმოების დაცვა, პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლის მატერიალური საფუძვლის მომზადება და ა.შ.).

ეკონომიკაში, პირველ რიგში, მრეწველობაში, აუცილებელია სტრუქტურული გარდაქმნები. კომპლექსურად უნდა ამოქმედდეს ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ჯერ კიდევ არსებული მატერიალური და ორგანიზაციული რესურსები: ცალკეულ დარგებში ტექნოლოგიების, მუშაკთა საერთო განათლების, კვალიფიკაციის დონე. უპირატესობა უნდა მიეცეს იმ საწარმოებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

ცხადია, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. როგორ მოვიზიდოთ იგი? კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული ინვესტიციების მოზიდვის ისეთი საშუალებანი, როგორიცაა: „ღია ეკონომიკის“ რეალურად არსებობა, ქართული წარმოშობის კაპიტალის მოზიდვა, ქვეყანაში არსებული რესურსების კონცენტრაცია მსხვილი სტრუქტურების შექმნით, კომერციული ბანკების შესაძლებლობათა, ლიზინგის რაციონალური გამოყენება[1] და სხვ.

მრეწველობა ტექნოლოგიურად მრავალწყობიანია. ზოგიერთ წყობას ჯერ კიდევ არ ამოუწურავს (ფიზიკურად) თავისი შესაძლებლობები. ადრინდელი მიდგომა – „მრეწველობის ყველა დარგი საჭიროა“ – დღევანდელ პირობებში ვერ იმუშავებს. შეზღუდული რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს იმ საწარმოების სტიმულირებისათვის, რომელთაც დღევანდელ პირობებში და მომავალშიც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, საშინაო და საგარეო ბაზრებზე პოზიციების განმტკიცება შეუძლიათ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრეწველობის, საერთოდ ეკონომიკის, განვითარების სტრატეგია უნდა მიესადაგოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, თავად ფორმირებადი ახალი პოსტინდუსტრიული ეპოქის ეკონომიკის ფუნქციონირების ტენდენციებს. ეს ახლებური მიდგომა გულისხმობს ბუნების დამზოგველ, უნარჩენო და ბუნებისაღმდგენ ტექნოლოგიებს, ასევე მატერიალურ დოვლათზე მოთხოვნილებათა შეზღუდვას, როდესაც შენარჩუნებულია გონივრული საკმარისობის დონე. ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებისათვის სათანადო პირობების შექმნას დიდძალი სახსრები და დრო დასჭირდება.

საქართველოს, როგორც „ღია ეკონომიკის“ ქვეყანას, შეუძლია უცხოური ფინანსური რესურსების მოზიდვა, რისთ-

---

1 განვითარებულ ქვეყნებში ლიზინგი ფართოდ გამოიყენება. ლიზინგით ხდება კაპიტალდაბანდებების დიდი ნაწილის დაფინანსება. მაგალითად, აშშ-ში – 20-30%, ინგლისში – 20%, საფრანგეთში – 16-17%, გერმანიაში – 15-16%, იტალიაში 14-15%, კანადაში – 8-10% (გაზეთი „იზვესტია“ 16 სექტემბერი, № 69, 1997).

ვისაც საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა: პოლიტიკური სტაბილიზაცია, თანამედროვე კანონების მოქმედება, საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირება, განვითარებული ქვეყნებიდან საფინანსო ლიზინგის ფართო მოზიდვა. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში ე.წ. ტრადიციული წინააღმდეგობა არ არის ეკონომიკის სექტორების განვითარების მიზნებს შორის (საბჭოთა პერიოდში მრეწველობა ვითარდებოდა ცალმხრივად და ძირითადად სოფლის მეურნეობის ხარჯზე, ამჟამად არ არსებობს მათი დაპირისპირების ეკონომიკური საფუძველი). უმუშევრობის მაღალი დონის გამო დარგებს შორის ადგილი არა აქვს კონკურენციას თვით მუშახელისათვის. ექსპერტთა მოსაზრებით, საქართველოში აგრეთვე არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს მრეწველობისა და მომსახურების სექტორების ინტერესებს შორის.

ამრიგად, ქვეყნის გრძელვადიან პერსპექტივაში სამრეწველო პოტენციალის სრულად გამოყენების გარეშე ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკაში მრეწველობის კომპონენტი არსებითად განსაზღვრავს მომსახურების ეკონომიკის მაღალ ეფექტიანობას. ამჟამად ქვეყანაში საწარმოო სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად გამოუყენებელია, რაც დასაქმების გაფართოების რეალური რეზერვი შეიძლება იყოს. 2006 წლის ბოლოს საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ინვესტირებისა და ზრდის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკვლეულ საწარმოთა (34 საწარმო) ზრდის საშუალო მაჩვენებელი აღემატებოდა საქართველოს მრეწველობის ზრდის ოფიციალურ საშუალო მაჩვენებელს. ამასთან აღმოჩნდა, რომ ისინი არსებულ სიმძლავრეთა მხოლოდ 60%-ს იყენებდნენ [60.7;I.2006]. ნიშანდობლივია, რომ 14 კომპანიიდან, რომლებიც სიმძლავრეების 70%-ს იყენებენ, 10-ში უცხოელი პარტნიორია, ხოლო გამოკითხული 34 კომპანიიდან მხოლოდ 17 მუშაობს უცხოელ პარტნიორებთან ერთად. საქართველოს მრეწველობაში წამყვანი როლი ტრადიციულად კვების მრეწველობას აკისრია. 1990 წელს ქვეყნის მრეწვე-

ლობაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის თითქმის 40% სურსათის წარმოებაზე მოდიოდა. 2005 წელს საქართველოში ფუნქციონირებადი სამრეწველო საწარმოების საერთო რაოდენობიდან (4632 ერთეული), სადაც დასაქმებული იყო მომუშავეთა 25%, ქვეყნის მთლიანი პროდუქციის 36,3% იწარმოებოდა. აღსანიშნავია, რომ 1990-2005 წლებში წინა პერიოდთან შედარებით მკვეთრად შემცირებულია სამრეწველო პროდუქციის წარმოება. მაგალითად, 2005 წელს წარმოებულ იქნა 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 28,5%, ხოლო გადამამუშავებელ მრეწველობაში – 27,7%. ეს მონაცემები მიუთითებენ, რომ მრეწველობაში არსებული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, განსაკუთრებით საბანკო სექტორის როლის ამაღლება, უცხოელ პარტნიორებთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და ა.შ., ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სამრეწველო პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭიროა პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, მათი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რაც ძირითადად საბანკო სექტორის მხარდაჭერით და უცხოეთიდან ლიზინგის წესით ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვით შეიძლება განხორციელდეს. სამრეწველო საწარმოების ფუნქციონირება-განვითარება მიზნობრივი პროგრამებით უნდა წარიმართოს. ეს საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შეფასდეს ბიზნეს-გარემო, სწორად განისაზღვროს საწარმოთა განვითარების პერსპექტივა, არსებულ და ფორმირებად ფაქტორთა კომპლექსურად ამოქმედების მექანიზმები, ბიზნესის ადმინისტრირების დონე, გლობალურ ბაზრებთან მიერთება და ა.შ.

საქართველოში ეკონომიკის, განსაკუთრებით მრეწველობის, განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია სპეციალური სამრეწველო ზონების შექმნა-ფუნქციონირება. საქართველოში ამგვარი ზონების შექმნის ყველა ხელსაყრელი პირობა არსებობს. პირველ რიგში სამუშაო ძალა

(უმუშევრობის მაღალი დონის გამო), გეოგრაფიული მდებარეობა („ენერგეტიკის“ და „სატრანსპორტო დერეფნები“), სოფლის მეურნეობის რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა, რასაც დარგის ეფექტიანობის ამაღლება განაპირობებს. გარდა ამისა, საქართველოში ყველა წინაპირობა არსებობს მრეწველობის მაღალტექნოლოგიური დარგების (ან ოპერაციების) განვითარებისათვის და მაღალტექნოლოგიური სამრეწველო პარკების შექმნა-ფუნქციონირებისათვის.

მრეწველობის საწარმოებს (დარგებს) შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმათ, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მაღალ ეფექტიანობას, ხელს შეუწყობენ მომიჯნავე დარგების განვითარებას, შემოსავლების ზრდასთან ერთად სამომხმარებლო საქონლის წარმოების გაფართოებას. განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებს, პირველ რიგში, ე.წ. ზრდის წერტილების (საკვანძო დარგების) რეაბილიტაცია, რომლებსაც შეუძლიათ ზრდისა და დასაქმების ტემპების დაჩქარება, როგორიცაა ენერგეტიკა, სამთო-ქიმიური მრეწველობა, მანგანუმის წარმოება, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, კვების, მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი და ა.შ.

საქართველოს მრეწველობაში ფაქტობრივად გამოუყენებელია წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობანი. ცნობილია, რომ სოციალისტურ სისტემაში ფუნქციონირებადი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც მიზანმიმართულად იქმნებოდა, ვერ პასუხობდა თვით დივერსიფიკაციის ბუნებას, მის არსს. ამან მძაფრად იჩინა თავი პრივატიზაციის შემდგომ პერიოდში. ნიშანდობლივია, რომ განვითარებულ ქვეყნებში დივერსიფიცირებული კონცერნები (ფირმები) მაღალ ეფექტიანობას აღწევენ. მაგალითად, „ფორდმოტორზი“ საქმიანობს 8 დარგში. აშშ-ში 500 მსხვილი კომპანიიდან თითოეულს თავის შემადგენლობაში აქვს საშუალოდ 11 დარგის საწარმო. ინგლისში 100 წამყვანი სამრეწველო ფირმიდან მრავალდარგიანია – 96, გერმანიაში – 78, საფრანგეთში – 84, იტალიაში – 90. საბაზრო ურთიერთობების სისტემაში წარმოების დივერსიფიკაცია რესურსებით მანევრირების დიდ შესაძლებლობებს ქმნის.

საწარმოების რეაბილიტაციის პოლიტიკაში რეალურად უნდა განისაზღვროს სტრუქტურული გარდაქმნების ინსტიტუციური შესაძლებლობანი, გამოიკვეთოს უძრავი ქონების გამოყენების, განსაკუთრებით მიწით სარგებლობის, პირობები, სახელმწიფო, კერძო, კორპორაციული კაპიტალის კონცენტრაციის შესაძლებლობანი, შრომის ბაზრის ფუნქციონირება, ფასწარმოქმნის მექანიზმები, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესაძლებლობანი და სხვ.

პერსპექტიულია მრეწველობაში სახელმწიფო და კერძო სექტორის მოქმედების კოორდინაცია, მათი ეფექტიანობის ამაღლების გარემოს შექმნა. ეს ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მაღალკვალიფიციური, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგების განვითარებას უწყობს ხელს.

დასაქმების (ახალი სამუშაო ადგილების შექმნის) რეალური პერსპექტივა არსებობს აგრარულ სექტორშიც, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის სიჭარბეა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება თავად იწვევს მომიჯნავე დარგების – მრეწველობის, ტრანსპორტის, მომსახურების, სფეროს და ა.შ. შესაბამის განვითარებას. მათ ურთიერთმოქმედებისა და ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული სასურსათო პროდუქციის წარმოების მასშტაბები, საზოგადოების სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სხვ. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ახლებურად განისაზღვროს თვით სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება კონიუნქტურული სიტუაციისა და ტრადიციულად ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებისა და ტენდენციების ანალიზს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის სასურსათო პროდუქციის წარმოების გაფართოებას სოფლის მეურნეობაში, წარმოებული ნედლეულისა და მისი სრულად გადამუშავების სიმძლავრეთა შეუსაბამობაა. ერთი მხრივ, ნედლეული შეიძლება ვაწარმოოთ (თუმცა მინიმალურად არის გამოყენებული არსებული პოტენციალი),

მეორე მხრივ, მისი სრულად და ბაზარზე მისაწოდებლად შესაბამისი სასაქონლო სახის მიცემით მომზადებისათვის საწარმოო სიმძლავრეები საკმარისი არ არის.

სურსათის წარმოება ითხოვს კოოპერაციისა და ინტეგრაციის მაღალ დონეს. ადრე სურსათის წარმოების სხვადასხვა რგოლების ურთიერთკავშირების გაფართოების პროცესი უფრო მეტად ორგანიზაციული ფაქტორების გავლენით ვითარდებოდა, ვიდრე ეკონომიკური მოტივაციით განსაზღვრული მიზანმიმართული მოქმედებებით. ამიტომ სოფლის მეურნეობაში ნედლეულის წარმოების-გადამუშავების – შენახვის – რეალიზაციის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური პროცესი განპირობებული იყო არა ეკონომიკური ინტერესებით, არამედ უწყებრივი მიდგომებით.

საბაზრო პირობებში შეიქმნა აგროსამრეწველო ინტეგრაციის გაღრმავების ხელსაყრელი გარემო. სამეურნეო სუბიექტების მოქმედებას განსაზღვრავს ეკონომიკური მოტივაცია, ისინი თვითონ წყვეტენ, რა და როგორ აწარმოონ. ფასწარმოქმნა დამოკიდებული ხდება ბაზარზე. ასეთ ვითარებაში უპირატესობა ენიჭება სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი სიმძლავრეების შექმნას ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისად (სპეციალიზაცია, შრომითი რესურსები, საბაზრო კონიუნქტურა და ა.შ.). იმისათვის, რომ ნედლეულის წარმოება და მისი გადამუშავება დაბალანსებული იყოს, საჭიროა რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით შედგეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელშიც განისაზღვრება წარმოების სტრუქტურა და მოცულობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა და ა.შ. პროგრამაში უნდა განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული დარგების სიმძლავრეთა ოპტიმალური თანაფარდობა. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს სოფლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ქიმიზაციის, მელიორაციის საშუალებანი და ა.შ.) ფაქტობრივად მოშლილია, ქვეყნის ძირითად

რეგიონებში მიზანშეწონილია შეიქმნას მანქანა-ტექნოლოგიური საწარმოები (საწარმოო კოოპერატივები), რომლებიც შეასრულებენ სოფლად ტექნიკური პროგრესის ცენტრის ფუნქციას.

პირველ ხანებში უფრო გამართლებული იქნება მათი ჩამოყალიბება სახელმწიფოს სახსრების მონაწილეობით. ასეთი ტიპის სტრუქტურა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს შეასრულებს სახელშეკრულებო საფუძველზე. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მცირე სიმძლავრის საწარმოების ლიზინგის წესით შექმნის პრაქტიკა. ამასთან, იქ, სადაც ძველი სიმძლავრეები შენარჩუნებულია, მათი მოდერნიზაციითა და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვით უნდა შეიქმნას საწარმოების დივერსიფიკაციის ფართოდ გამოყენების მატერიალური საფუძველი, რაც სეზონურობის გავლენას შეამცირებს და სამუშაო ძალის სტაბილურად შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოება იმავდროულად ხელს უწყობს მომიჯნავე დარგების საწარმოთა განვითარების, მომსახურების თანამედროვე ფორმების გამოყენებასთან ერთად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული ჭარბი სამუშაო ძალის მიზნობრივ გადანაწილებას, შრომის მწარმოებლურობის ზრდას, სასურსათო პროდუქციით საზოგადოების მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებას, საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირებას, სავალუტო რესურსების გაზრდას, საბოლოო ანგარიშით ეკონომიკის დაბალანსებულ განვითარებას.

დასაქმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ტურიზმის დაჩქარებული განვითარება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თანამედროვე ტურიზმი მიჩნეულია სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად, მისი მიზანმიმართული და კომპლექსური განვითარება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს. ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, პირველად აღიარე-

ბულ იქნა 2002 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (იოჰანესბურგი) გამართული სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმზე.

რატომ მიენიჭა ტურიზმის განვითარებას ესოდენ დიდი მნიშვნელობა? მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გამოკვლევებით მიჩნეულია, რომ ტურიზმის განვითარების თანმხლები ეფექტებია: დასაქმება, სიღარიბის შემცირება, სახელმწიფო შემოსავლები, ინფრასტრუქტურის განვითარება, მულტიპლიკაციური ეფექტი, ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ადგილობრივი კულტურისა და ხელოსნობის მხარდაჭერა, გარემოს დაცვის ხელშეწყობა, პატრიოტული აღზრდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა [85.65].

მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობების სააგენტოს მონაცემებით, ტურიზმზე მოდის მსოფლიო ეროვნული პროდუქტის 10%, კერძო მოხმარების – 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების 11-8%. ტურიზმში დასაქმებულია მსოფლიოში დასაქმებული მოსახლეობის 10% [85.24].

ტურიზმის პოზიტიურ მნიშვნელობას ადასტურებს ესპანეთის მაგალითი, სადაც ტურიზმზე მოდის მშპ-ის და სამუშაო ადგილების 12%. ქვეყანაში ყოველწლიურად ჩამოდის 50 მლნ კაცი, რის შედეგად მიღებული შემოსავალი 2001 წ. 33 მლრდ დოლარს შეადგენდა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ერთი ტურისტი კვირის განმავლობაში საშუალოდ 1000 დოლარს ხარჯავს (ქვეყანაში შესვლისათვის გაწეული სატრანსპორტო ხარჯების გარეშე). ეს ნიშნავს იმას, რომ ტურიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სავალუტო რესურსების შექმნა, რომ ტურიზმის სფეროში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის სულ მცირე ორ ახალ სამუშაო ადგილს მომიჯნავე დარგებში (ტრანსპორტი, ვაჭრობა და სხვ.). ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოებას, რაც ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საქართველოში. ტურიზმის სფერო გამოირჩევა სხვა დარგებთან, როგორიცაა მაგალი-

თად, ვაჭრობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, სოფლის მეურნეობა, კულტურა, ეკოლოგია, განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა და საფინანსო შუამავლობა, ინტეგრაციის ინტენსივობითაც.

ტურიზმის დიდი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში პრაქტიკულად დადასტურდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა საქართველოში წელიწადში საშუალოდ 4 მლნ ტურისტი ჩამოდიოდა.

საქართველოს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მისი კომპლექსური ამოქმედებით მკვეთრად გაიზრდება შემოსავლები, განსაკუთრებით სავალუტო რესურსები, განვითარდება ინფრასტრუქტურა, დაჩქარდება სხვა (მომიჯნავე) სფეროების განვითარება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საბოლოოდ კი სიღარიბის დაძლევას. არც ისაა შემთხვევითი, რომ ბოლო პერიოდში მკვიდრდება ტერმინი „პროღარიბული ტურიზმი“, რაც გულისხმობს ტურიზმის განვითარებაში ღარიბების მონაწილეობის შესაძლებლობას. ექსპერტთა გათვლით, ქვეყანას უახლოეს 5 წელიწადში 1-1,5 მლნ ტურისტის მიღების რეალური შესაძლებლობა აქვს. ამ შემთხვევაში ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავალი 3-ჯერ გაიზრდება, ბიუჯეტში შემოსავალი 4,8-ჯერ. ტურიზმში დასაქმდება 5,8-ჯერ მეტი, ხოლო მომიჯნავე დარგებში – 7,1-ჯერ მეტი კაცი [85.197].

თავი V. სოციალური ინფრასტრუქტურა: როლი და ფუნქციები

5.1. სოციალური ინფრასტრუქტურის არსი და ძირითადი შემადგენელები

მატერიალური წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სათანადო გარეგანი პირობები. იგი მრავალმხრივობით გამოირჩევა და დროსა და სივრცეში სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით გამოვლინდება. ტრადიციულად ერთ-ერთ ასეთ პირობა-ფაქტორს წარმოადგენს საქმიანობის სპეციფიკური სფერო – ინფრასტრუქტურა („ინფრასტრუქტურა" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ქვეშედგენილობას: „Infra" – ქვეშ, „struktura" – შედგენილობა).

ინფრასტრუქტურა ეკონომიკის დამოუკიდებელ სფეროდ მატერიალურ-ნივთობრივი წარმოებიდან გამოიყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების საფუძველზე. ინფრასტრუქტურის დარგები აწარმოებენ არა მატერიალურ პროდუქტს, არამედ მომსახურებას. ამიტომ მას მომსახურების სფეროს მიაკუთვნებენ. საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, მომსახურების სფერო ეკონომიკის მესამეულ სექტორადაა აღიარებული. პირველად სექტორად მიჩნეულია სოფლის მეურნეობა (მასთან ერთად: ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა), ხოლო მეორეულ სექტორად – ინდუსტრია (სამთომოპოვებითი და გადამუშავებითი მრეწველობა, მშენებლობა).

მომსახურების სფერო, როგორც სხვადასხვა და იმავდროულად ურთიერთდაკავშირებულ დარგთა ერთობლიობა, შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო. ამასთან, მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგი შორეულ წარსულში წარმოიშვა, ზოგი თანამედროვე პირობებში. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე იგი არ იყო გამიჯნული მატერიალური წარმოების-

გან და ამ სფეროს მომსახურებაზე ყველა მოთხოვნილება უშუალოდ კმაყოფილდებოდა მატერიალურ წარმოება‍ში დასაქმებულთა მიერ. მხოლოდ მწარმოებლურ ძალთა შედარებით მაღალ საფეხურზე დაიწყო მომსახურების სფეროს გამოყოფა. მისი განვითარება – ფუნქციონირების განმსაზღვრელი ეკონომიკური საფუძველი მწარმოებლური ძალების განვითარება და ამის საფუძველზე შრომის მწარმოებლურობის ზრდაა. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე მასშტაბები განაპირობებენ მომსახურების სფეროს რიგი ახალი დარგების სწრაფ განვითარებას.

პროფ. **ლეო ჩიქავას** აზრით: „მომსახურების სფერო წარმოადგენს იმ დარგებისა და საქმიანობათა ერთობლიობას, რომელთა პროდუქცია მომსახურების სახით აკმაყოფილებს ადამიანთა სპეციფიკურ მოთხოვნილებებს. თანაც, ზოგიერთი მათგანის (ცოდნა, განათლება, კულტურა და ა.შ.) მოხმარება რაიმე ნორმატივებით არაა შეზღუდული. რაც უფრო კულტურული, განათლებული და განსწავლულია ადამიანი, მით უფრო კარგია როგორც პირადად მისთვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის“ [87.228].

ინფრასტრუქტურა ფორმითა და შინაარსით არაერთგვაროვანია. განვითარებულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგ დარგობრივ ჯგუფებად: [127.133-134].

– **წარმოებითი ინფრასტრუქტურა** – დარგთა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესების გარეგანი პირობების შექმნას. მასში შედის: სატვირთო ტრანსპორტი, ვაჭრობა, ელექტრო –, გაზ –, წყალმომარაგება, სასაწყობო მეურნეობა, კავშირგაბმულობა, საინფორმაციო მომსახურება, საქმიანი მომსახურების სფერო: ლიზინგი, ინჟინირინგი, მარკეტინგი და სხვ.

– **სოციალური ინფრასტრუქტურა** – დარგთა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის აღწარმოებასთან. მასში შედის: ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სამგზავრო ტრანსპორტი, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, დასვენების ორგანიზაციის სფერო, საზოგადოებრივი კვება, საოჯახო მეურნეობის მომსახურება და სხვ.

– **ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა** – დარგთა კომპლექსი, რომელიც ახორციელებს მეურნეობის მაკროეკონომიკურ რეგულირებას, იცავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ოპტიმალურ პროპორციებს. მასში შედის: ეკონომიკური რეგულირების სახელმწიფო აპარატი, საკრედიტო-საფინანსო სფერო, დაზღვევა და სხვ.

– **ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა** – საქმიანობის განსაკუთრებული სფერო და საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსია, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ეკოლოგიურ პირობებს და ბუნების ნეგატიური ზემოქმედებისგან ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის დაცვას. მას მიეკუთვნება: გარემოს მაკონტროლებელი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები; საზღვაო და სამდინარეო ნაპირების, ტყეებისა და მთების დაცვის სახელმწიფო საინჟინრო ნაგებობები და სხვ. [127.133-134].

ამრიგად, ინფრასტრუქტურა, ფართო გაგებით, დოვლათისა და ადამიანის ცხოვრების პროცესის გარეგანი პირობების შექმნას უზრუნველყოფს. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი როლი სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში, განსაკუთრებით საზოგადოების ტრანსფორმაციულ პროცესებში, კერძოდ, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში.

ამ თვალსაზრისით ჩვენს ინტერესს წარმოადგენს სოციალური ინფრასტრუქტურა, როგორც სპეციფიკურ – ეკონომიკურ ურთიერთობათა სფერო, მისი განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. ამ მიზნით მოკლედ გავეცნოთ საქართველოში სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი დარგების ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობას. მთლიანად სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების კომპლექსურ ანალიზს, სოციალური ეკონომიკის ფორმირებაში მისი განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენს შეხედულებებს წარვუდგენთ მკითხველს წინამდებარე წიგნის მეორე ნაწილში.

ის, რომ სოციალური ინფრასტრუქტურა განმსაზღვრელ როლს ასრულებს ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოები-

სა და სახელმწიფოს ფუნქციონირების ზოგადი პირობების უზრუნველყოფაში, დღეს კამათს არ იწვევს. განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერების, კულტურის და ა.შ. სფეროების მიზანმიმართული საქმიანობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანისეული პოტენციალის განვითარებას და შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს (ხარისხს).

სოციალური ინფრასტრუქტურა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი წარმოების სხვა დარგებთან, მათ შორის საწარმოო სფეროსთან, რომელიც მას მიაწვდის სხვადასხვა დანიშნულების პროდუქციას. მეორე მხრივ, სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები მოსახლეობას სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურებას, ზემოქმედებას ახდენენ სამუშაო ძალის პოტენციალზე, მის შრომისუნარიანობაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო დონეზე.

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები განსაკუთრებული ტიპის მომსახურებას ეწევიან, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია „საზოგადოებრივი საქონლის“ სახელწოდებით.

ბაზრის მექანიზმი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, დაიკმაყოფილოს მხოლოდ ის მოთხოვნილებები, რომლებიც გამოხატულებას მოთხოვნაში პოვებენ, მაგრამ არსებობს რიგი მოთხოვნილებები, რომლითაც საბაზრო სუბიექტების დაინტერესება შეუძლებელია. ბაზარი მათზე არ რეაგირებს. ასეთი სახის მოთხოვნილებები უკავშირდება განსაკუთრებული ტიპის საქონელსა და მომსახურებას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „საზოგადოებრივი საქონლის“ სახელწოდებით. საზოგადოებრივ დოვლათს მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება და სამეურნეო პრაქტიკა აკუთვნებს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა წარმოებას საბაზრო სისტემა საერთოდ არ აპირებს, ვინაიდან მათი თავისებურებები მკვეთრად განსხვავდება ინდივიდუალური მოხმარების საქონლის თავისებურებებისაგან. ერთი სუბიექტის მიერ საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარება არ ზღუდავს სხვა სუბიექტების მიერ მის მოხმარებას [7.34].

მაგალითად, ისეთი საზოგადოებრივი დოვლათის გარეშე, როგორიცაა ფუნდამენტური მეცნიერება, შეუძლებელია თა-

ნამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკის ახალი თვისებრივი ზრდის მიღწევა, მაგრამ გაუთვალისწინებელი შედეგების, მოთხოვნისა და კაპიტალის დანახარჯების ანაზღაურების ვადების სრული გაურკვევლობის გამო, ბიზნესი დაინტერესებული არაა მისი წარმოებით.

საზოგადოებრივი დოვლათი, საერთო აღიარებით, ისეთი ნიშნებით გამოირჩევა, როგორიცაა: **განუყოფადობა, მოხმარების კოლექტიური ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება და საკუთრების სახელმწიფო ფორმის უპირატესი ხვედრითი წილი.** გარდა ამისა, ყველა მომხმარებლისთვის იგი თითქმის თანაბრად ხელმისაწვდომია, რაც მისი მითვისებისას გამორიცხავს მეტოქეობას, ანუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი ინდივიდუუმის მიერ საზოგადოებრივი დოვლათის მოხმარება არ ზღუდავს სხვა ინდივიდუუმის მიერ მის მოხმარებას.

ჯანდაცვის სფეროში ზოგიერთი სახის საქმიანობა, მაგალითად, მოსახლეობის უზრუნველყოფა სუფთა წყლითა და სანიტარული მომსახურებით, ბრძოლა დაავადებების მატარებლებთან და პროფილაქტიკური ღონისძიებები ინფექციური და პარაზიტული დაავადებების წინააღმდეგ, ითვლება საზოგადოებრივ დოვლათად. ამ დოვლათით სარგებლობისას ძნელია ან შეუძლებელია იმათი გამორიცხვა, ვინც არ იხდის. ამიტომაც მას, ვინც კერძო საწყისებზე აწარმოებს ამ დოვლათს, არავითარი სტიმული არ გააჩნია და ხშირად უარს ამბობს მასზე.

საზოგადოებრივ დოვლათს განეკუთვნება თავდაცვის, უშიშროების ორგანოების, ბუნებრივ-კლიმატური და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შედეგების პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციის სტრუქტურების ზოგიერთი მომსახურება. მათ ემატება ავტომაგისტრალების, ჯანდაცვის დაწესებულებების და ორგანიზაციების, განათლების, კულტურის მომსახურებები, რომელთა მიწოდება შესაძლებელია საბაზრო მექანიზმების მეშვეობით, მაგრამ მათ არ ძალუძთ სრულად უზრუნველყონ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახელმწიფოს პრეროგატივაა.

აქვე დავამატებთ, რომ საზოგადოებრივ დოვლათთან მიმართებით სახელმწიფოებრივი ჩარევა დამხმარე ხასიათისაა საზოგადოების აუცილებელი საქონლისა და მომსახურების მიწოდების გარანტირების მიზნით, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ბაზარზე არ მიეწოდება ან მიეწოდება არასაკმარისი რაოდენობით. ამასთან, სახელმწიფო ყოველთვის არ არის ვალდებული უშუალოდ იტვირთოს მათი წარმოება. მას გააჩნია სამეწარმეო სფეროზე პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების საკმარისი ბერკეტები სახელმწიფო შეკვეთების, გადასახადების, სუბსიდიებისა და ფასების მექანიზმის მეშვეობით საჭირო მიმართულებით რესურსების განაწილების პროცესის რეგულირებისათვის.

მთლიანობაში საზოგადოებრივი დოვლათი დამოკიდებულია ქვეყნისა და საზოგადოებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრების გარანტირებულობის ხარისხზე, როგორიცაა: საგარეო და საშინაო უსაფრთხოება, სოციალური ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების არსებობა და ნორმალური ფუნქციონირება, საზოგადოებაში კონფლიქტისა და კონსენსუსის თანაფარდობა.

ცხადია, რომ სოციალური სამართლიანობა გულისხმობს არა მარტო შემოსავლების სამართლიან განაწილებას, არამედ მომსახურების მეტნაკლებად თანაბარ განაწილებას. სწორედ ბაზრის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, კონკურენციის დაცვას და გარკვეულ ფარგლებში ოპტიმალურ შეზღუდვას შეუძლია უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვა და ჩაუყაროს საფუძველი ადამიანების სოციალური დაცვის მეტ-ნაკლებად მყარ სისტემას.

5.2. ჯანმრთელობის დაცვის როლი სოციალურ ეკონომიკაში

სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ჯანდაცვა. დიდია მისი როლი სოციალურ და ეკონომიკურ ზრდაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. ცნობილია, რომ ადამიანმა სოციალური აქტიურობა

სრულად რომ გამოავლინოს, მას უნდა გააჩნდეს შემეცნების, შრომის მწარმოებლურობის უნარი, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. ამის გამო, ადამიანის ჯანმრთელობას აღიარებენ სოციალურ სიმდიდრედ, სოციალურ ფასეულობად, საზოგადოებრივ კატეგორიად. ეს ცნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) წესდებაში განმარტებულია, როგორც ადამიანის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადებათა ან ფიზიკური დეფექტების არარსებობა.

როგორც ჩანს, ადამიანის ჯანმრთელობის ცნების მოცემულ განმარტებაში ე.წ. წმინდა სამედიცინო-ჰუმანისტური ასპექტების გვერდით თანაბარ დონეზე წარმოდგენილია ადამიანთა ჯანმრთელობის სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლები. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჯმო-ს მიერ 1979 წლის მაისში ალმა-ათის კონფერენციაზე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ძირითად მიზნად განისაზღვრა: **მიღწეულ იქნეს მსოფლიოს ყველა მცხოვრების ჯანმრთელობის ისეთი დონე, რომელიც უპასუხებს სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს, რათა საბოლოო ანგარიშით შეიქმნას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი ბაზა.** თავის მხრივ, თვით ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე უშუალოდ დამოკიდებულია ჯანმრთელობის დონე.

ადამიანის ჯანმრთელობის მაღალი დონის მისაღწევად ჯანდაცვის სფეროსთან ერთად აუცილებელია სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევა. ჯანდაცვა, როგორც საქმიანობის სფერო, მეურნეობის ათეულობით დარგის პროდუქციას მოიხმარს, ხოლო ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობს პრაქტიკულად საქმიანობის ყველა სფერო.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჯანმრთელობა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ამდენად, იგი უშუალოდაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობასთან და არა მხოლოდ ეკონომი-

კურ ეფექტიანობასთან, როგორც ეს მიღებულია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების შეფასებისას.

ჯანდაცვის სფერო პირდაპირ ზემოქმედებს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე, რაც გამოიხატება იმ მატერიალური ზარალის თავიდან აცილებაში, რომელსაც მიიღებდა ქვეყნის ეკონომიკა, რომ არ ჩატარებულიყო ავადობის, ინვალიდობის საწინააღმდეგო და უდროო სიკვდილიანობასთან ბრძოლის ღონისძიებები.

გარდა ამისა, ჯანდაცვის სფერო არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობაზე, რაც გამოიხატება გარემოს გაჯანსაღებაში, სამუშაო ძალის აღწარმოებაში და წარმოების სფეროში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში.

თანამედროვე პირობებში ადამიანის ფიზიკურ და ნერვიულ-ფსიქიკურ მახასიათებლებს სულ უფრო მზარდი და მაღალი მოთხოვნილებები წაეყენება. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ წარმოება უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე სულ უფრო ინტენსიური ხდება, ხოლო მასში დასაქმებულ პირთათვის სულ უფრო მეტადაა საჭირო მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი.

ადამიანის ჯანმრთელობას არ გააჩნია საკუთარი თვისებრივი ეკონომიკური პარამეტრები, მაგრამ მისი მაჩვენებლები – ავადობა, ინვალიდობა, მოკვდაობა და ა.შ. ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას იძენს. მაგალითად, ავადობის და მისგან გამოწვეული ინვალიდობის, სიკვდილიანობის, კერძოდ, ნაადრევი სიკვდილიანობის შემცირება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში ავადმყოფობის გამო სამუშაო დროის დანაკარგებმა მრეწველობაში საშუალოდ ერთ მომუშავეზე 6,5 კაცდღე შეადგინა, ანუ მთლიანად მრეწველობაში 3 მლნ კაცდღე, მთლიანად გამომუშავებული კაცდღეების 4,4%. ამ მიზეზით ქვეყანამ ვერ მიიღო 53 მლნ მანეთის წმინდა პროდუქცია, ხოლო ვერ-წარმოებუ-

ლი წმინდა პროდუქციის რაოდენობა მუშა-მოსამსახურეთა დროებითი შრომისუნარიანობის დაკარგვის შედეგად 3%-ს შეადგენდა.

საყოველთაო აღიარებით, ჯანმრთელობის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე: დაავადებათა კლებით მცირდება მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფობის მიზეზით სამუშაო დროის დანაკარგები და დროებით შრომისუნარიანობაზე გაწეული ხარჯები, იზრდება წარმოების მოცულობა. ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უზრუნველყოფს მშრომელთა მყარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მათი ინტელექტუალურ-ფიზიკური პოტენციალის რაციონალურ ჩართვას საწარმოო შემოქმედებით პროცესში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მექანიზებული, ავტომატიზირებული და გონებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. ეს კი უზრუნველყოფს მუშაკთა საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობების და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებას (ანაზღაურების ზრდით), რაც თავის მხრივ ასტიმულებს შრომის მწარმოებლურობას და ინტელექტუალური აქტიურობის ზრდას. მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კეთილდღეობის ამაღლება ხელს უწყობს შობადობის გაზრდას, ბავშვთა ავადობისა და მოკვდაობის შემცირებას. ყოველივე ეს განაპირობებს შრომითი რესურსების გაფართოებულ აღწარმოებას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის – სოციალური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის ზრდას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული წარმოების მოცულობის, შრომის მწარმოებლურობის, საზოგადოების სამეცნიერო-ტექნოლოგიური და კულტურული პოტენციალის ზრდა.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეორგანიზაცია ობიექტური აუცილებლობით იყო გამოწვეული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავეცნოთ გარდამავალ პერიოდში რეორგანიზაციის თვისებრივ ცვლილებებს, რათა სა-

ერთო წარმოდგენა გვქონდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

საქართველოში ჯანდაცვის ორგანიზაციული სტრუქტურები ჩამოყალიბდა გასულ საუკუნეში, როდესაც დაარსდა მთელი რიგი სამედიცინო დაწესებულება, ძირითადად დაკომპლექტებული რუსეთსა და უცხოეთში მომზადებული კადრებით. 1921 წლამდე ჯანდაცვის ერთიანი სისტემა, როგორც ასეთი, არ არსებობდა, თუმცა მაზრებსა და გუბერნიებში მოქმედებდა სპეციალური სამედიცინო ქვედანაყოფები. ამ პერიოდისათვის საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილში, ფუნქციონირებდა სახელმწიფო დაწესებულებები, **„საავადმყოფოს სალაროები“** (სადაზღვევო მედიცინა) და კერძო სამედიცინო სტრუქტურები. 1921 წლის დასაწყისში თბილისში იყო სხვადასხვა უწყების 7 საავადმყოფო, სულ 1211 საწოლის რაოდენობით და 8 კერძო სამედიცინო დაწესებულება.

საქართველოში ეკონომიკა 70 წლის მანძილზე წარმოადგენდა რა ერთიანი საკავშირო სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსის ორგანულ ნაწილს, ვითარდებოდა შრომის საერთო-საკავშირო დანაწილების პრინციპების საფუძველზე. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაც ამ ერთიანი საკავშირო ჯანდაცვის სისტემის ორგანული ნაწილი იყო. სოციალიზმის უპირატესობის არგუმენტად გამოიყენებოდა სახელმწიფოს ხარჯზე მკურნალობა. ამ პერიოდში წარმოიშვა სოციალისტური ჯანდაცვის ცნება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯანდაცვის სოციალისტური სისტემის მხოლოდ ნეგატიურად წარმოდგენა მართებული არ იქნება. ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციამ თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა. დაქსაქსული სამედიცინო და სანიტარული საქმის გაერთიანებას უპირატესობა ჰქონდა. სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვის განვითარების ფინანსურმა უზრუნველყოფამ ეფექტიანი გახადა ეპიდემიებთან ბრძოლა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ინტენსიურად განვითარდა სოციალური ჰიგიენა, რომელმაც პროფილაქტიკის სფეროში უამრავი იდეა მიაწოდა საზოგა-

დოებას. მთლიანობაში მიღწეულ იქნა გარკვეული შედეგები არა მარტო ეპიდემიებთან ბრძოლაში და რიგი პარაზიტული დაავადებების ლიკვიდაციაში, არამედ მკვეთრად გამოხატული სოციალური ხასიათის მქონე დაავადებათა აცილების სისტემის ჩამოყალიბებაშიც.

ყოფილ სსრკ-ში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სწრაფად ღრმავდებოდა ეკონომიკური კრიზისი. სამედიცინო დახმარების საერთო მისაწვდომობა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მის ხარისხთან, იკლო სამედიცინო კადრების პროფესიულმა დონემ. ამ პერიოდში გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია, რომელიც აისახა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე: სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების შენელება ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისადმი და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება.

ყოფილ სსრკ-ში ეროვნული პროგრამის ეკვივალენტს წარმოადგენდა დებულება საყოველთაო და ყოველწლიური დისპანსერიზაციის შესახებ, რაც საბჭოური მედიცინის სტრატეგიულ მიმართულებად ითვლებოდა.

ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების 85-90% მთლიანად ხმარებოდა ავადმყოფთა მკურნალობას და მხოლოდ 10-15% იყო მიმართული პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკაში „უძრაობის პერიოდი" მეტად ძვირად დაუჯდა ქვეყანას, მათ შორის ჯანდაცვასაც. მაგალითად, 1970 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვის დაფინანსებაზე თუ გამოიყო 11%, 1987 წელს იგი 3,9%-მდე შემცირდა.

ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა მყარი საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე დაკისრებული აქვს სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მოსამსახურეს (ექიმს, ექთანს და ა.შ.).

1987 წელს მიღებული დადგენილებით „სსრკ-ს მოსახლეობის ჯანდაცვის განვითარებისა და ჯანდაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით" განისაზღვრა დარგის განვი-

თარების ინტენსიური გზა. მასზე გადასვლა გულისხმობდა ძირეულ ცვლილებებს ჯანდაცვის დაგეგმვის, დაფინანსებისა და მართვის სისტემაში, დასაბამი მიეცა ჯანდაცვაში სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობების განვითარებას (ხელშეკრულებები, ფასიანი სამედიცინო მომსახურება), დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო ჯანდაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების დამოუკიდებლობის გაზრდა, ჯანდაცვის ყველა რგოლის საქმიანობის შეფასებაში რაოდენობრივიდან თვისებრივ მაჩვენებელზე გადასვლა.

1989 წელს ჯანდაცვაში ახალი სამეურნეო მექანიზმი ჩამოყალიბდა, რომელიც ითვალისწინებდა საბიუჯეტო დაფინანსების შერწყმას მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარებასთან, ხელშეკრულებით საქმიანობას სამეურნეოანგარიშიან საფუძველზე. სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდა თბილისში და სხვა მსხვილ ქალაქებში დიაგნოსტიკური ცენტრები. ინერგება მუშაობის ახალი ფორმები, შეიქმნა პროფილაქტიკის, რეაბილიტაციის, გადაუდებელი თერაპიის, დისპანსერიზაციის განყოფილებები და ა.შ.

1991 წლიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ცვლილებების ფონზე კაპდაბანდებები კატასტროფულად შემცირდა, ჯანდაცვის სისტემაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ამას დაერთო დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი გაუარესება, ჯანდაცვის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არა მარტო მორალური და ფიზიკური დაძველება, არამედ, მთელ რიგ შემთხვევაში, სრული განადგურება, სამეცნიერო ბაზების გაღარიბება, სამედიცინო კადრების მომზადების ხარისხის დაცემა. წარმოიქმნა დისბალანსი სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროში ნაკისრ ვალდებულებათა და მის რეალურ ფინანსურ უზრუნველყოფას შორის.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულება (საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა, დემოკრატიული საზოგადოების აშენება და სხვ.) წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ჯანდაცვის მოქმედ სის-

ტემასთან. აუცილებელი გახდა ჯანდაცვის ორგანიზაციის ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებდა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ივლისის №269 ბრძანებულების „საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საფუძველზე 1995 წლის 20 აგვისტოდან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დაიწყო დარგის რეორგანიზაციის რთული, ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცესი. რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა ქვეყანაში ჯანდაცვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების რეალურ პირობებს.

ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის პროცესი ოთხ ეტაპად დაიგეგმა:

პირველ ეტაპზე (1995 წლის 10 აგვისტოდან 1996 წლის 15 თებერვლამდე) სამკურნალო დახმარების არსებული სისტემა უნდა შეცვლილიყო სადაზღვევო სისტემით.

მეორე ეტაპზე (1996 წლის 15 თებერვალი – 1997 წლის 1 მაისი) უნდა განხორციელებულიყო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მართვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება და დანერგვა.

მესამე ეტაპზე (1997 წლის 1 მაისი – 1999 წლის 1 იანვარი) გათვალისწინებული იყო ახალი მოდელის საბოლოო დანერგვა.

მეოთხე ეტაპი მიჩნეული იყო მოდელის ადაპტირებისა და სრულყოფის ეტაპად (1999 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 1 იანვრამდე).

მეორე ეტაპზე დასრულდა ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი მართვის უწყებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება. მიღებულ იქნა შესაბამისი კანონები და სამართლებრივი აქტები, გატარდა ღონისძიებები სამედიცინო დაწესებულებათა და პერსონალის ოპტიმიზაციისათვის, შემოღებულ იქნა ლიცენზირების წესი, განხორციელდა ფართომასშტაბიანი პრი-

ვატიზაცია. ამ პერიოდისათვის შესაძლებელი გახდა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების პროცესის სტაბილიზაცია და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საბაზრო პრინციპებით რეგულირების დაწყება. სამედიცინო დაწესებულებები გადავიდა სამეურნეო-ანგარიშიან და სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, არსებითად შეიცვალა სისტემის დაფინანსების წესები და მეთოდები –საბჭოური დაფინანსების სისტემა შეიცვალა პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსებით.

არჩევანი შეჩერდა სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის სადაზღვევო მოდელზე, რათა პასუხისმგებლობა ადამიანის ჯანმრთელობაზე და წვლილი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში თანაბრად და სამართლიანად განაწილებულიყო სახელმწიფოზე, მეწარმესა და თვით პიროვნებაზე. სახელმწიფომ მოსახლეობის წინაშე ჯანმრთელობის სფეროში შემოფარგლა თავისი ვალდებულებანი და შეუწონასწორა ფინანსურ შესაძლებლობებს – შეიქმნა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამები და სამედიცინო სტანდარტები. შეიქმნა სპეციფიკური ფინანსური მექანიზმი ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი სახსრების მობილიზაციისა და აკუმულაციისათვის – ჯანმრთელობის დაცვის ფედერალური და მუნიციპალური ფონდები. მიღებულ იქნა კანონი „სამედიცინო გადასახადის შესახებ“.

შეიქმნა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის განმახორციელებელი ორგანო – სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია. (2002 წელს იგი გაუქმდა და შეუერთდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს).

ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების დაწყებიდან საკმაო დრო გავიდა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველს გვაძლევს. პირველ რიგში განვიხილოთ ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობა, მისი თავისებურებები, ტენდენციები, მაჩვენებელთა სისტემა.

ცხრილი 5.1

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი მაჩვენებლები 1990-2005 წწ.

წელი	ცოცხლად დაბადებულები		გარდაცვლილები		ბუნებრივი მატება		ქორწინება		განქორწინება	
	რაოდენობა	კოეფიციენტი 1000 სულ მოსახლეზე	რაოდენობა	კოეფიციენტი 1000 სულ მოსახლეზე	რაოდენობა	კოეფიციენტი	რაოდენობა	კოეფიციენტი 1000 სულ მოსახლეზე	რაოდენობა	კოეფიციენტი 1000 სულ მოსახლეზე
1990	928515	17,1	50721	9,3	42094	7,8	36812	6,7	7796	1,4
1995	56341	11,9	49073	10,4	7268	1,5	21481	4,4	2685	0,6
2000	47800	11,0	47410	10,7	1390	0,3	12870	2,8	1854	0,4
2001	47589	10,8	46218	10,5	1371	0,3	13336	3,0	1987	0,4
2002	46605	10,7	46446	10,7	159	0,0	12535	2,9	1836	0,4
2003	46194	10,7	46057	10,6	137	0,1	12696	2,9	1825	0,4
2004	49572	11,5	48793	11,3	779	0,2	14866	3,4	1793	0,4
2005	46512	10,7	42984*	9,9	3528	0,8	18012	4,1	1928	0,4

წყარო: ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო 2005, სტატისტიკური ცნობარი, თბ., გვ. 8.

* შეფასებითი მონაცემები

ცხრილი 5.1 გვიჩვენებს საქართველოში 1990-2005 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს. როგორც ჩანს, განვლილ პერიოდში საქართველოში ისედაც მძიმე სამედიცინო-დემოგრაფიული ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების (7,8 - 1990 წელს, 0,8 - 2005 წელს), შობადობის (17,1 - 1990 წელს და 10,7 - 2005 წელს) ქორწინების (6,7 - 1990 წელს და 4,1 – 2005 წელს) დონეები.

აღსანიშნავია, რომ 2002 წელს საქართველოში დეპოპულაცია დაფიქსირდა – ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ნულს გაუტოლდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი 2005 წელს 0,8 იყო, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ გვაქვს.

ცხრილში მოცემულია ბუნებრივი მატების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ ბუნებრივი მატება არ იყო გურიის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

ცხრილი 5.2

ბუნებრივი მატების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით 2005 წელს

	ცოცხლად დაბადებულები	გარდაცვლილები	ბუნებრივი მატება (კლება)
თბილისი	12794	11164	1630
აჭარა	4711	3020	691
გურია	1432	1746	-314
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	346	700	-324
სამეგრელო	4408	4193	215
იმერეთი	6717	6490	227
კახეთი	3366	4005	-639
მცხეთა-მთიანეთი	1298	1332	-34
სამცხე-ჯავახეთი	2303	1706	597
ქვემო ქართლი	5148	3086	1062
შიდა ქართლი	3959	3279	680
საქართველო სულ	46512	40721	5791

წყარო: ჯანმრთელობის დაცვა საქართველო 2005, სტატისტიკური ცნობარი, გვ. 9-10.

1989 და 2002 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით შეცვლილია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა: 24,9%-დან 20,9%-მდე შემცირდა 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა, ხოლო 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა მოიმატა 8,9%-დან 12,8%-მდე. ე.ი. საქართველო მოსახლეობის დაბერების

მაღალი დონით ხასიათდება. 2005 წელს ეს უკანასკნელი უკვე 13,3%-ს შეადგენდა.

სპეციალისტთა პროგნოზით საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივებიც საკმაოდ პესიმისტურია. მათი ვარაუდით, 2050 წლისათვის მოსახლეობის საშუალო ასაკი ქვეყანაში 36-37 წლიდან 42-47 წლამდე გაიზრდება. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება ქვეყანას მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე აყენებს. ესაა: საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რასაც მოსდევს შრომისუნარიანთა ხვედრითი წილის შემცირება და დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვის მატება. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ეროვნული შემოსავლის მატებასა და შესაბამისად ცხოვრების დონეზე. წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით კი იგი მოსახლეობაში ქრონიკულად მიმდინარე არაეპიდემიური მოკვდაობის მატების მიზეზი ხდება.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში დაფიქსირდა დეპოპულაციის პროცესი. უკანასკნელი წლების განმავლობაში შობადობის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ შემცირდა. შობადობის შემცირება გამოხატულია ქალთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით კი 20-29 წლის ქალებში, რამაც ხელი შეუწყო დემოგრაფიული დაბერების პროცესის დაჩქარებას.

საქართველოში სულ უფრო იკლებს იმ დედათა რიცხვი, რომლებსაც 3 და მეტი შვილი ჰყავთ. თუ 1960 წელს მე-3 ბავშვის დაბადების წილი დაბადებულთა 36,5%-ს შეადგენდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი 8,5%-მდეა შემცირებული [66.2].

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვით ქვეყანა ნორმალური რეპროდუქციულობის დონეზე ბევრად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. – 1,35 ბავშვი ერთ ქალზე 2005 წელს (ცხრილი 5.3). ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის აღწარმოებისათვის ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა 2,14-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ცხრილი 5.3

შობადობის ასაკობრივი და ჯამობრივი კოეფიციენტები საქართველოში 1989-2005 წწ.

წელი	ს უ ლ (15-49)	დედის ასაკი							შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
		- 20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+	
1989	67,2	58,0	167,6	110,4	57,7	22,7	5,8	0,4	2,113
1990	67,8	58,1	167,3	110,5	64,1	24,7	6,2	0,3	2,155
1995	46,0	64,2	113,3	66,4	41,9	16,6	4,2	0,7	1,537
2000	41,7	39,9	110,2	74,4	43,3	19,2	4,9	0,9	1,464
2001	40,9	32,5	112,2	71,1	45,2	21,0	5,4	1,4	1,444
2002	40,3	32,7	107,8	63,2	50,4	21,2	6,6	1,4	1,417
2003	39,6	33,7	93,8	75,3	47,4	18,9	5,4	0,3	1,374
2004	42,2	36,3	101,1	75,0	47,5	21,6	5,6	0,5	1,440
2005	39,3	41,1	35,5	65,7	43,1	19,2	4,3	0,3	1,350

წყარო: ჯანმრთელობის დაცვა საქართველო 2005, სტატისტიკური ცნობარი, გვ. 9.

მოკვდაობის კოეფიციენტმა 2005 წელს 9,9 შეადგინა (1990 წელს იგი 9,3 იყო) ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი 2004 წ. – 11,3 იყო (შედარებისათვის: 2004 წელს აშშ-ში მან შეადგინა – 8,3, ბელგიაში – 9,8, თურქეთში – 6,2, იაპონიაში – 8,8, კანადაში – 7,3, ფინეთში – 9,1, ჩინეთში – 6,9) [69.318-319].

2005 წლის მონაცემებით, დედათა მოკვდაობა ყოველ 1000 ცოცხალშობილზე 23,4 შეადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო იყო 1995-99 წწ., მაგრამ მიუხედავად კლებისა, ეს მაჩვენებელი 5-10-ჯერ აჭარბებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. მშობიარე ქალთა მოკვდაობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ბინაზე მშობიარეთა რიცხვის ზრდა (განსაკუთრებით 1992-1994 წწ). რაც შეეხება მკვდრადშობადობას, 1995 წლიდან იგი მკვეთრად მატულობს და მაღალი რჩება (1989 წლის 7,7-დან 2005 წლის 15,6); მიუხედავად კლების ტენდენციისა, კვლავ მაღალი რჩე-

ბა 1 წლამდე ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი. 2005 წელს 1000 ცოცხალშობილზე მან 19,7 შეადგინა. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით (ყირგიზეთის გარდა), რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც იგი 3-6-ის ფარგლებშია (ცხრილი 5.4).

ცხრილი 5.4

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტები ცალკეულ ქვეყნებში (1 წლის ასაკამდე გარდაცვლილები 1000 ცოცხლად დაბადებულზე) 1995-2004 წწ.

დსთ-ს ქვეყნები	1995	2001	2002	2003	2004
აზერბაიჯანი	23,3	12,5	12,8	12,8	9,8
ბელარუსი	13,3	9,1	7,8	7,7	6,9
მოლდოვა	21,2	16,3	14,7	14,4	12,1
რუსეთი	18,1	14,6	13,3	12,4	11,6
საქართველო	28,2	22,9	23,8	24,8	23,8
სომხეთი	14,2	15,4	14,0	11,8	11,5
უკრაინა	14,7	11,3	10,3	9,6	9,4
ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ავსტრია	5,4	4,8	4,1	4,5	4,5
აშშ	7,6	6,8	7,0	6,9	6,6
ბელგია	6,1	4,5	4,4	4,3	4,3
გერმანია	5,3	4,3	4,2	4,2	4,1
დანია	5,1	4,9	4,4	4,4	4,4
იაპონია	4,3	3,1	3,0	3,0	2,8
ფინეთი	3,9	3,2	3,0	3,1	3,3
შვედეთი	4,1	3,7	3,3	3,1	3,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2006, თბ., გვ. 320.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა მოკვდაობის შემცირების ტენდენცია განპირობებულია შობადობის ზოგადი შემცირებით და არ ასახავს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროში შექმნილ მძიმე ვითარებას.

მოკვდაობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა 40-45 წლის მამაკაცთა მოკვდაობა და თითქმის 3,2-ჯერ გადააჭარბა ქალების მოკვდაობას. სხვა დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებშიც მამაკაცთა მოკვდაობა 2-3-ჯერ აჭარბებს ქალების მოკვდაობას.

მოკვდაობის გამომწვევ მიზეზებში პირველ ადგილზეა სისხლის მიმოქცევის დაავადებები, რომლებიც 2005 წელს სიკვდილის ყველა შემთხვევის 67,5% შეადგენს, მეორეზე კი – ონკოლოგიური დაავადებებია (10,9%).

ამრიგად, ქვეყანაში დემოგრაფიულ სიტუაციას სისტემური კრიზისის ხასიათი აქვს, რომლის შემადგენელი ნაწილებია: შობადობის კრიზისულ ზღვარამდე შემცირება, მოსახლეობის პროგრესირებადი შეკვეცილი აღწარმოება, დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, ჯანმრთელობის გაუარესება, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები, დემოგრაფიული პროცესების მართვის დაბალი დონე.

განსაკუთრებით საგანგაშოა სოციალურად საშიშ დაავადებათა (ტუბერკულოზი, ფსიქიკური დაავადებები, ვენსნეულებანი და ა.შ.) მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად დაავადებულთა ასეთი მატებისა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მოსახლეობის მიმართვის შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, 1990 წლის 8,0-დან 2005 წელს მან 1,85-მდე შემცირდა.

2000 წელთან შედარებით უმნიშვნელო ზრდის მიუხედავად, 2005 წელს მთლიანად პირველადი ჯანდაცვის ქსელის დატვირთვის მაჩვენებელმა 38% შეადგინა. ყოველწლიურად მცირდება აგრეთვე ქვეყანაში საწოლების გამოყენების მაჩვენებელიც.

2005 წელს საწოლების დატვირთვა 1990 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა, საწოლზე დაყოვნება კი 14,9-დან 7,7 დღემდე შემცირდა [109. 1995-2005]. აღსანიშნავია, რომ 1980-1985 წწ. საწოლთა დატვირთვა ყოველწლიურად საშუალოდ 280 დღეს შეადგენდა, საწოლზე დაყოვნება კი საშუალოდ 15 დღეს. ყველაფერი ეს (ჯანდაცვის პირველადი ქსელის დაუტვირთაობა, არსებული საწოლფონდის გამოყენების მაჩვენებლების შემცირება) ადასტურებს იმას, რომ მოსახლეობა სამედიცინო დაწესებულებას მიმართავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფის მდგომარეობა მეტად გართულებულია.

საქართველოში ჩატარდა მრავალი გამოკვლევა, რომელმაც მოსახლეობაში სამედიცინო მომსახურებაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება გამოავლინა. 1996 წელს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ მათგან, ვისაც მიაჩნდა, რომ ესაჭიროებოდა პროფილაქტიკური გასინჯვა, 10-დან 7 შემთხვევაში ამას ვერ ახერხებდა უსახსრობის გამო, ხოლო ასეთ გასინჯვას, ვისაც ეს ესაჭიროებოდა, იტარებდა მხოლოდ მეოთხედი. ღარიბების 29,7% საჭიროების შემთხვევაში ვერ მიმართავდნენ ექიმს უსახსრობის გამო, მაშინ, როცა დანარჩენ მოსახლეობაში მათი წილი 9,4%-ს შეადგენდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოკვლევის (სახელწოდებით „მოსახლეობის ჯანდაცვის დანახარჯები და არარეგისტრირებული სამედიცინო მომსახურება“) შედეგებმა 2002 წელს აჩვენა, რომ ქვეყანაში მკურნალობის შემთხვევათა დაახლოებით 65% ჩატარებულია თვითმკურნალობის ან უფასო მკურნალობის გზით ნაცნობი ექიმების მიერ (ნათესავი, მეზობელი და ა.შ.) დარჩენილთაგან 3%-ს შეადგენს გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობა; 14,9% - პოლიკლინიკაში მკურნალობის შემთხვევათა მაჩვენებელია. კერძო სექტორში სამედიცინო მომსახურების მაძიებელთა

წილი – 10,4%-ს შეადგენს. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მომსახურების წილი საკმაოდ შეზღუდულია და შეადგენს მხოლოდ 24,6%-ს [27. 96].

შექმნილი ვითარება იმითაა გამოწვეული, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის მთელი ძალისხმევა ფიზიკური გადარჩენისკენაა მიმართული და სხვა საჭიროებისთვის ხარჯების გაწევის საშუალება მას არა აქვს.

ამ ფონზე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არასოდეს არ ჰქონდა ადგილი სამედიცინო კადრების ნაკლებობას. პირიქით, სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმი ახლო წარსულში იყო მათი მზარდი რაოდენობა. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ, მიუხედავად უკანასკნელ წლებში სამედიცინო პერსონალის რაოდენობის კლებისა, საქართველო ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში ექიმთა რაოდენობით (ცხრილი 5.5). 2005 წელს ექიმთა რაოდენობამ 10.000 მოსახლეზე გაანგარიშებით 46,5 შეადგინა (შედარებისათვის: აშშ-ში 25,7, ბელგიაში – 17, იაპონიაში – 13, ინგლისში – 12,

ცხრილი 5.5

მოსახლეობის სამედიცინო კადრების უზრუნველყოფა (1990-2005 წწ.)

წლები	ექიმები		საშუალო სამედიცინო პერსონალი	
	რაოდენობა	10.000 მოსახლეზე	რაოდენობა	10.000 მოსახლეზე
1990	26850	49,6	53143	98,1
1995	21252	41,2	38541	74,7
2000	21063	45,2	26179	58,1
2003	20962	48,6	21906	50,8
2004	21396	49,3	21622	49,7
2005	20311	46,1	21053	47,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, თბ., გვ. 104, სტატისტიკური ცნობარი – ჯანდაცვა 1995, 2001-2005.

გერმანიაში – 22,6, ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი საშუალოზე ორჯერ მაღალია თბილისში (93,0–10000 მოსახლეზე გაანგარიშებით), რეგიონებში ყველაზე დაბალია სამცხე-ჯავახეთში (18,4) და ქვემო ქართლში (20,2) [109.17]. ე.ი. საქართველოში დასაქმებულ ექიმთა 50% თბილისშია თავმოყრილი, მაშინ, როდესაც რეგიონებში სამედიცინო კადრების უკმარისობას განიცდიან.

ამასთან, საქართველოში დარღვეულია თანაფარდობა ექიმებსა და საშუალო სამედიცინო პერსონალს შორის: ერთ ექიმზე მოდის 1 საშუალო სამედიცინო პერსონალი (ნაცვლად **ჯმო**-ს მიერ რეკომენდებული 1 : 4 თანაფარდობისა).

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, (თ. II, მ. 37), სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქენი სამედიცინო მომსახურების გარანტირებული მინიმუმით, ე.ი. სახელმწიფო უნდა იყოს სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის გარანტი.

რეალურად მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილმა თანხებმა 2005 წლის მონაცემებით 48 ლარი შეადგინა. იგი 9-10-ჯერ ჩამორჩება ლიტვისა და ესტონეთის, თითქმის 5-ჯერ რუსეთის შესაბამის მაჩვენებლებს და ბევრად ნაკლებია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. რაც შეეხება სახელმწიფო დაფინანსების წილს ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში, საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ბოლოდან მეოთხე ადგილზეა სომხეთის, ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ. 2005 წელს სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე ქვეყნის მშპ-ის 1,8%-ს შეადგენდა (ცხრილი 5.6) (ჯმო-ს მიერ მიჩნეულია, რომ ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების მინიმალურად დასაშვები დონე მშპ-ში 7%-ია). ამასთან, 2005 წელს ჯანდაცვის ღონისძიებებზე დახარჯული 132 მლნ ლარიდან მოსახლეობის პრევენციისა და მკურნალობის პროგრამებზე მხოლოდ 88 მლნ ლარი მოდიოდა (66,6%), დანარჩენი კი – საინვესტიციო პროგრამებსა და ადმინისტრაციის ხარჯებზე.

ცხრილი 5.6

საქართველოსა და მსოფლიოს რიგი ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე (2004 წ.)

	ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-დან	ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში
საქართველო (2005)	**1,8**	**31,6**
ნორვეგია	8,3	83,8
გერმანია	8,5	78,1
შვეიცარია	6,8	58,4
გაერთიანებული სამეფო	7,0	85,9
ჩეხეთი	6,5	90,7
უნგრეთი	6,0	71,8
სლოვაკეთი	5,1	88,0
ბულგარეთი	4,3	55,8
პოლონეთი	4,5	70,0
ლიტვა	4,9	75,4
ესტონეთი	4,2	76,0
ბელარუსი	4,7	75,1
ლატვია	3,3	51,6
რუსეთი	3,2	59,8
ყაზახეთი	2,4	62,4
უკრაინა	3,9	66,5
თურქმენეთი	2,5	64,8
მოლდოვა	4,2	56,5
სომხეთი	1,3	23,1
ყირგიზეთი	2,2	41,0
უზბეკეთი	2,3	42,1
აზერბაიჯანი	0,9	24,6
ტაჯიკეთი	1,0	22,9

წყარო: WHO, Health for All Data Base.

ამრიგად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოიკვეთა წინააღმდეგობა, რომელსაც საბაზრო პრინციპების დამკვიდრების ფონზე სათანადო ყურადღება არ მიექცა და ამის გამო მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე მკვეთრად დაეცა. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის სფეროს კომერციალიზაცია (როგორც პოლიტიკის მიზანი), მედიცინის შინაგანი ბუნების არაკომერციული ხასიათი და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წარმოების საბაზრო ორგანიზაციის დამკვიდრება, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით ფუნქციონირებს და მოგებაზე ორიენტაციიდან გამომდინარე შესაბამის მოთხოვნებს უყენებს მთლიანად სოციალურ სფეროს, მათ შორის სამედიცინო მომსახურებას. საქმე გვაქვს სამედიცინო თვალსაზრისით ადამიანების მომსახურების ტრადიციულ (ჰუმანურ) ფუნქციასა და ეკონომიკური (საბაზრო) ინტერესების ბალანსის დარღვევასთან. ინტერესების დისბალანსი სამედიცინო მომსახურების დონის დაცემის მთავარი მიზეზი გახდა.

ჯანმრთელობის სფეროს განვითარების ამოცანის შესრულებას ბევრად განსაზღვრავს ხელმძღვანელი კადრები. არცთუ შორეულ წარსულში სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ფინანსური საკითხები ნაკლებად აღელვებდათ, ვინაიდან ყველა მიმდინარე ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა. დღეს კი სამედიცინო დაწესებულებათა ფინანსური პრობლემები იმდენად გართულდა, რომ ამით ხელმძღვანელთა კომერციულ პროფესიონალიზმს ახალ-ახალი მოთხოვნები წაეყენება. ამასთან, გადამწყვეტი როლი ენიჭება სამედიცინო დაწესებულებებში ხელმძღვანელების საქმიანობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, ერთი მხრივ, მომხმარებლების (პაციენტების) მოთხოვნილებების სრულად და ხარისხიანად დაკმაყოფილება (მათი ჰუმანური ფუნქცია), ხოლო, მეორე მხრივ, სამედიცინო დაწესებულებებში სათანადო ეკონომიკური შედეგების მიღწევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხელმძღვანელს ეკისრება ახალი ფუნქცია – უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპების შეხამება. ეს

კი თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.

აქვე მიზანშეწონილია განვიხილოთ საკითხი, რომელიც ჯანდაცვის დარგის ფუნქციონირების სპეციფიკასთანაა დაკავშირებული. სამედიცინო მომსახურების ბაზარზე ექიმი ასრულებს გადამწყვეტ როლს ავადმყოფის მოთხოვნის ფორმირებაში. საქმე ისაა, რომ პაციენტთა უმრავლესობას არა აქვს საჭირო ცოდნა და სრული ინფორმაცია ამ მომსახურების შესახებ. მომხმარებელი ცუდად ერკვევა მისთვის საჭირო მომსახურების „ავკარგიანობაში“, რაც უძნელებს არჩევანის გაკეთებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქმედებს მწარმოებლისა და მომხმარებლის ინფორმაციის ასიმეტრიის პრინციპი ჩვეულებრივი ბაზრისაგან განსხვავებით, სადაც მომხმარებლები საკმაოდ კარგად ინფორმირებულნი არიან.

ექიმი არა მარტო სთავაზობს პაციენტს ინდივიდუალურ-დიაგნოსტიკურ პროცედურებს და თერაპიულ ღონისძიებებს, არამედ განსაზღვრავს მკურნალობის ოპტიმალურ ვარიანტს. ექიმსა და პაციენტს შორის ჩვეულებრივ ყალიბდება ორი სახის ურთიერთობა: ექიმი ან მიზანშეწონილად თვლის ავადმყოფის მიერ არჩეული მკურნალობის ამა თუ იმ ვარიანტს, ან თვითონ განსაზღვრავს მის აუცილებლობას სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ხარისხის გარანტიით. სწორედ ექიმი აყალიბებს საკუთრივ მოთხოვნილებას სამედიცინო დახმარებაში, როდესაც ავადმყოფმა ზოგჯერ არც იცის მისი აუცილებლობის შესახებ. ამას ადასტურებს სამედიცინო დაწესებულებებში შექმნილი ვითარება, სადაც, როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, მასობრივი გახდა დარღვევები შემოსავლის ხელოვნურად გადიდების მიზნით. მაგალითად, პედიატრიულ კლინიკებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გათვალისწინებული სტანდარტები მიესადაგება 3-4 წლის და უფრო მეტი ასაკის ბავშვებს. ყველა პროფილისათვის (განსაკუთრებით ფსიქიატრულისათვის) დამახასიათებელია ის, რომ თანხები ამოღებულია სტანდარტის სრული მოცულობით გათვალის-

წინებული მკურნალობისათვის მაშინ, როდესაც ავადმყოფმა სტაციონარში დაჰყო სტანდარტით გათვალისწინებულზე ნაკლები დრო.

2003 წელს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის მიერ შესწავლილ იქნა ყველა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის შესრულების ხარისხი და კომპანიისგან მოთხოვნილი თანხების საფუძვლიანობა. აღმოჩნდა, რომ, სხვადასხვა პროფილის 158 სამედიცინო დაწესებულებიდან 304 კონტრაქტის მიხედვით 1999-2002 წლებში 68 სამედიცინო დაწესებულებაში გამოვლინდა კომპანიისაგან არასწორად მოთხოვნილი თანხა 780 409,21 ლარის ოდენობით. [54.19]

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ჯანდაცვის სფეროში არასახელმწიფოებრივ სექტორს და საბაზრო სამედიცინო მომსახურებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ჯანდაცვის სისტემა უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის პირობებში. ამასთან, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა სახელმწიფო და არასახელმწიფო, კომერციულ და არაკომერციულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს შორის. ეს თანაფარდობა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, საზოგადოებაში დამყარებულ ტრადიციებს და უზრუნველყოფდეს მოსახლეობის საიმედო სოციალურ დაცვას.

საბაზრო პრინციპებზე სამედიცინო მომსახურების სექტორის წარმოქმნა და განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში ობიექტურად აუცილებელია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენების სამომხმარებლო მოთხოვნის ღრმა დიფერენციაციის პირობებში. ჯანმრთელობის პოტენციალი წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის ნაწილს და უნდა განიხილებოდეს, როგორც ეკონომიკური კატეგორია. მისი დაცვისათვის, შენარჩუნება-აღდგენისათვის აუცილებელი რესურსები შეზღუდულია, ამდენად მათი რაციონალური გამოყენებაა საჭირო. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს,

რომ მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ფენა უპირატესობას ანიჭებს არასახელმწიფოებრივი სექტორის სამედიცინო მომსახურებას, თანაც პაციენტს ექიმის, სამედიცინო დაწესებულების და მომსახურების ფორმის არჩევანის ფართო საშუალება ეძლევა. ამავე დროს მედიცინის საბაზრო პრინციპებით ფუნქციონირება ითვალისწინებს არა სახელმწიფოს მიერ შექმნილი ჯანდაცვის მომსახურების შეცვლას, არამედ მომხმარებლის ალტერნატიული, ან დამატებითი მომსახურებით უზრუნველყოფას.

ამ თვალსაზრისით, ასეთი სახის სამედიცინო მომსახურება, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს დარგში კონკურენციის გაძლიერებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას. სხვა საქმეა, რომ ჯანდაცვა როგორც დარგი, ხასიათდება სპეციფიკური ნიშან-თვისებებით, რის გამოც ამ სფეროში გარკვეულწილად შეზღუდულია საბაზრო კანონების მოქმედება. სწორედ ამას გულისხმობს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპები.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჯანდაცვის სისტემის საქმიანობა არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დონეს. **ჯმო**-ს მასალებში მოცემულია საორიენტაციო მონაცემები, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ჯანმრთელობა ძირითადად (50-55%) განისაზღვრება ადამიანთა ცხოვრების წესით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავეცნოთ მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე – მოკვდაობაზე მოქმედ ისეთ სოციალურ ფაქტორს, როგორიცაა ადამიანთა თვითშენახვითი ქცევა.

ადამიანთა თვითშენახვით ქცევას განსაზღვრავენ როგორც „ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის განმაპირობებელი ქმედებისა და ურთიერთობების სისტემას“ [182.139].

სხვადასხვა გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ინდივიდის დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობისადმი მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად ფასეულია იგი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ

თბილისის ერთი შინამეურნეობის სამომხმარებლო ხარჯების შესახებ გამოკვლევის შედეგებით აღმოჩნდა, რომ ერთი შინამეურნეობის დანახარჯები საკუთარ ჯანმრთელობაზე მთლიან დანახარჯებში 2,2%-დან 4,3%-მდე მერყეობს (1996-2001 წწ.). ეს იმ დროს, როცა ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოს მოხმარებაზე დანახარჯებმა 5,1%-2,6% შეადგინა.

ჯანდაცვის სფეროში შექმნილი ვითარების ზოგადი ანალიზი გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ჯანდაცვის სფეროში შექმნილი ვითარება კრიზისულია. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია გააზრებული პოლიტიკის გატარება. პირველ რიგში უნდა გაიზარდოს ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება **ჯმო**-ს მიერ რეკომენდებული მშპ-ის 7%-მდე. მიზანშეწონილია სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნეს კანონი სამედიცინო დაწესებულებების სპეციფიკურ სამართალ-სუბიექტად აღიარების შესახებ, რის საფუძველზე: სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც მონაწილეობენ სავალდებულო სამედიცინო პროგრამების და შეკვეთების შესრულებაში, დაუწესდეს საგადასახადო შეღავათები. კერძო მეწარმეები და იურიდიული პირები განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან მოგების იმ ნაწილზე, რომელიც გამოყენებული იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ჯანდაცვის სისტემის ნებისმიერი სახის არაკომერციულ დაწესებულებებს დაუწესდეს შეღავათიანი დაბეგვრა. ჩამოყალიბდეს მედპერსონალის დასაქმებისა და ინფორმაციის მიღების ერთიანი სისტემა. შეიქმნას ჯანდაცვის ორგანოების მიერ სპეციალისტთა მომზადების მიზნობრივი შეკვეთების სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრების შერჩევას. ახალი ტიპის ხელმძღვანელის – ხელმძღვანელ-მენეჯერის მომზადების მიზნით აუცილებელია შეიქმნას მათი მომზადებისა და გადამზადების სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა.

აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის ორიენტირება ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის. მოსახლეობამ უნდა ირწმუნოს, რომ ავადმყოფობა, ავად ყოფნა ეთი-

კურ-მორალურ ასპექტშიც ანტისოციალურია. ადამიანს უნდა გამოუმუშავდეს თავისებური „ჯანმრთელობის კულტი“ – ცხოვრების ჯანსაღი წესის კულტი.

5.3. განათლების სისტემა სოციალურ ეკონომიკაში

ოცდამეერთე საუკუნეში უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური განვითარების პარადიგმების შეცვლა, რაც გამოიხატება ე.წ. ახალი ანუ ინფორმაციული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. ეს არის ცოდნაზე და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, აგრეთვე სამეურნეო პროცესების გლობალიზაციაზე დამყარებული ეკონომიკა. გლობალიზაციამ წაშალა კონკურენციის ეროვნული საზღვრები, ხოლო ეკონომიკური ზრდის რესურსის წყაროს სახით და ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების საფუძვლად ობიექტურად წარმოაჩინა მოცემული ქვეყნის საგანმანათლებლო-ინტელექტუალური პოტენციალი. ამასთან დაკავშირებით, კადრების მომზადების სისტემა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს – მაღალკვალიფიციური კადრი მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტი ხდება. იუნესკომ „ინტელექტუალურად“ მიჩნეული XXI საუკუნე „განათლების ერად“ გამოაცხადა.

მსოფლიოში ფორმირებადი მაღალტექნოლოგიური ინფორმაციულ-ქსელური ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი ხდება არა მატერიალური რესურსები, როგორც ეს წინათ იყო, არამედ ცოდნა, ინტელექტი, ინფორმაცია, რომლებიც დღეს უკვე იქცევა რეალურ ფაქტორებად და საქმიანობის დამოუკიდებელ პროდუქტებად.

განათლების სისტემა მოწოდებულია უზრუნველყოს ეკონომიკის ობიექტური მოთხოვნილებები, რომლებიც ეკონომიკის ტექნოლოგიური ბაზის შემდგომი განვითარების კვალობაზე საჭიროებს მოცემულ პირობებში განათლების, ზოგადი კულტურის, შრომის დისციპლინის სათანადო დონეს.

განსაკუთრებით დიდია სახელმწიფოს როლი ადამიანი-

სეული კაპიტალის ფორმირებასა და ტექნოლოგიების შემუშავებაში, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ. ექსპერტთა შეფასებით, აშშ-ში განათლების გახანგრძლივება ერთი წლით მშპ-ის 5-15%-ით გაზრდას იწვევს. ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია განვითარებად ქვეყნებში: ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში ინვესტიციები დაწყებით განათლებაში უზრუნველყოფენ მშპ-ის ზრდას 24%-ით, ხოლო მთლიანად დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში – საშუალოდ 23%. ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ყურადღება გადაიტანეს საყოველთაო განათლებაზე, როგორც ეკონომიკური ზრდის პირველხარისხოვან ფაქტორზე. რაც შეეხება დაფინანსებას, გასული საუკუნის განმავლობაში უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მუდმივად იზრდებოდა.

ამჟამად ბაზარი (როგორც ინსტიტუტი) ბევრად განსაზღვრავს განათლების საბოლოო მიზნებს, ამოცანებს და ორგანიზაციას. საბაზრო ძალები განათლების მიწოდების ტრადიციული სისტემის ტრანსფორმაციის კატალიზატორი ხდება. უმაღლესი განათლების სფეროში საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების შერწყმის თვალსაჩინო მაგალითს აშშ წარმოადგენს.

ამასთან, საგულისხმოა ის, რომ ბაზარი თავისთავად უუნაროა დააკმაყოფილოს ადამიანისეული კაპიტალის მოთხოვნილებები ინვესტიციებში, ვინაიდან, ჯერ-ერთი, ძალზე რთულია აუცილებელი სახსრების მოზიდვა მომავალში გათვალისწინებულ შემოსავლებზე გათვლით, მეორეც, შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის ჩადება კრედიტების დაბრუნების გარანტად. ბუნებრივია, რომ სწორედ სახელმწიფოს აწევს განათლების სისტემის დაფინანსების ძირითადი ტვირთი და იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში არასაკმარისი აღმოჩნდება, ბაზარს არ ძალუძს მათი უკმარისობის შევსება ცხრილი 5.7.

ცხრილი 5.7

სახელმწიფო და კერძო დანახარჯები უმაღლეს განათლებაზე აშშ-ში 1960-2000 წწ. (დოლარებში)

წლები	უმაღლეს განათლებაზე გაწეული მთლიანი დანახარჯები, მლრდ დოლარი	სახელმწიფო დანახარჯები		კერძო დანახარჯები	
		მლრდ დოლ.	%	მლრდ დოლ.	%
1960	41,1	22,4	54,6	18,7	45,4
1970	113,3	72,7	64,2	40,5	35,8
1980	136,2	90,3	66,3	45,9	33,7
1990	200,7	128,5	64,0	72,2	36,0
1995	226,8	143,6	63,3	83,2	36,7
1997	237,8	148,7	62,5	89,1	37,5
2000	257,8	159,7	61,9	98,1	38,1

წყარო: США, Канада (Экономика, политика, культура), №7, 2003, стр. 90.

აშშ-ში უმაღლესი განათლებისა და საერთოდ განათლების, დაფინანსების ყველაზე დიდი მოცულობა მოდიოდა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულზე. 1978 წელს მისი ხვედრითი წილი მშპ-ში 2,9% იყო. მთლიანად განათლებაზე 8% მოდიოდა. [173.392], 2000 წელს შესაბამისმა მაჩვენებლებმა 2,6% და 6,5% შეადგინა [176.38].

განვითარებულ ქვეყნებში უმაღლესი განათლების სისტემამ თვისებრივი ცვლილებები განიცადა, გაიზარდა უმაღლესი სკოლის მასშტაბები და როლი.

განსაკუთრებით მკვეთრი ცვლილებები აღინიშნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რომელიც ხასიათდებოდა უმაღლესი განათლების სისტემის როლისა და მნიშვნელობის სულ უფრო მზარდი აღიარებით და მისი ფინანსური ბაზის განმტკიცებით. ამჟამად უმაღლესი განათლების სისტემა განვითარებულ ქვეყნებში გადაიქცა საქმიანობის

ადამიანური და ფინანსური რესურსების დაბანდების მასშტაბურ სფეროდ, ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებად.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში განათლების განსაკუთრებული მდგომარეობა განპირობებულია მისი ადგილითა და მნიშვნელობით. საზოგადოების ევოლუციის თითოეული ეტაპი დაკავშირებულია და განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებებს.

საქართველომ საბჭოური სისტემიდან მემკვიდრეობით მიიღო განვითარებული საგანმანათლებლო სისტემა მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალით. განათლების საბჭოურ სისტემას რიგი დადებითი და ძლიერი მხარე ჰქონდა, სახელდობრ: საკმაოდ განვითარებული იყო საბაზო განათლება, საშუალო განათლების სისტემა, სახელმწიფო უნივერსიტეტები არ ჩამოუვარდებოდნენ ევროპულ თუ ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო ცენტრებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ინტელექტუალური რესურსებით. წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებს და უნივერსიტეტებს ჰქონდათ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საკუთარი კვლევითი ლაბორატორიები. სახელმწიფო აფინანსებდა სწავლების ყველა დონეს, ზრუნავდა სასწავლო პროცესის სრულყოფაზე. მეტიც, სახელმწიფო უზრუნველყოფდა ყველა ადამიანის თანასწორობას საბაზო და საშუალო განათლების მიღებაში. მაგრამ ყველა ამ სიკეთესთან ერთად, საბჭოურ პერიოდში განათლება მთლიანად დაქვემდებარებული იყო სახელმწიფო (მარქსისტულ-ლენინურ) იდეოლოგიას, იზღუდებოდა სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით დასავლეთისა და აშშ-ს, ცოდნის ინტერვენციის შესაძლებლობები. ცენტრალიზებული დაგეგმვა და პოლიტიკური კონტროლი პროფესორ – მასწავლებლებზე იწვევდა მათი აკადემიური თავისუფლების, ინდივიდუალური არჩევითობის შესაძლებლობების შეზღუდვას და სხვ.

განათლების საბჭოთა სისტემამ მთლიანობაში პოზიტიური როლი შეასრულა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის პროცესებში. მაგრამ გლობალიზაციის

გაღრმავების შედეგად თვისებრივად ახალი ამოცანების შესრულებისათვის მზად არ აღმოჩნდა. იგი დროს ჩამორჩა. სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ქრონიკულმა კრიზისმა გააღრმავა განათლების სისტემაში ნეგატიური პროცესები და საზოგადოება მისი გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დადგა.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიმდინარე რადიკალურმა ცვლილებებმა, სამოქალაქო დაპირისპირებამ და ეთნოკონფლიქტებმა დამანგრეველად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც ბუნებრივია, უარყოფითად აისახა განათლების სისტემაზეც.

პოლიტიკური მდგომარეობის რადიკალური გამწვავებისა და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში განათლებაზე გამოყოფილი დანახარჯები რამდენიმე ათეულჯერ შემცირდა და კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდა სოციალური ინფრასტრუქტურის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო.

იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა გვქონდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯების დინამიკაზე, მიზანშეწონილია გავეცნოთ ცხრილი 5.8-ის მონაცემებს.

ცხრილი 5.8

განათლებაზე გაწეული დანახარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (1990-2005 წწ.) (მლნ ლარი)

მაჩვენებელი	1990 (მან)	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005
ბიუჯეტი – სულ	4786,3	375,0	1126,5	1237,9	1409,5	1609,9	2418,5	3280,8
დანახარჯები განათლებაზე	974,6	8,9	131,8	142,7	150,6	164,1	286,3	288,7
%-მთლიან ხარჯებთან	20,4	2,4	11,7	11,5	11,7	10,2	11,8	8,8

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

როგორც ცხრილიდან 5.8 ჩანს, გარდამავალი პერიოდის სასტარტო ეტაპზე (1990-1995 წ.წ.) სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე თითქმის კატასტროფულად შემცირდა.

ამ პერიოდში განათლების სისტემა ქაოსურ მდგომარეობაში ფუნქციონირებდა. სწავლების ხარისხის მკვეთრად დაეცა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაჩანაგდა. ეს პერიოდი ხასიათდება აგრეთვე კომერციულ საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლების და სტუდენტთა კონტიგენტის სტიქიური ზრდით. ფასიანი სწავლების შემოღების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, რამაც განაპირობა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. თუ 1991 წელს საქართველოში მხოლოდ 19 სახელმწიფო სასწავლებელი იყო, 2005 წლისათვის მათი რაოდენობა 171-მდე გაიზარდა და აქედან მხოლოდ 25-ია სახელმწიფო. სტუდენტთა რაოდენობამ 144,3 ათასს მიაღწია, რაც 1991 წელთან შედარებით 1,5-ჯერ მეტია. არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებლების დიდი რაოდენობის მიუხედავად, სტუდენტთა უმეტესი ნაწილი (78,9%) სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობს. (ცხრილი 5.9).

ცხრილი 5.9

უმაღლეს სასწავლებელთა სისტემის ძირითადი მახასიათებლები (1991-2006 წწ.)

	1991/1992	1996/1997	2001/2002	2002/2003	2003/2004	2004/2005	2005/2006
სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა	19	21	26	26	26	26	25
მათში სტუდენტთა რაოდენობა (ათასი)	102,8	86,5	111,5	122,2	123,9	137,0	113,8
არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა	-	122	153	154	150	172	146
მათში სტუდენტთა რაოდენობა	-	42,9	31,9	31,5	29,4	35,4	30,5

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი

უმაღლესი სასწავლებლების ქსელის ზრდის შედეგად უმაღლესმა განათლებამ მასობრივი ხასიათი და მახინჯი ფორმა მიიღო. დღეს უმაღლესი განათლების მიღება პრესტიჟის საქმედ ითვლება, მაშინ, როცა სწავლების ხარისხი უკიდურესად დაბალია.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ უმაღლესი განათლება სულაც არ არის შრომითი მოწყობის გარანტი. 2005 წელს უმუშევართა საერთო რაოდენობაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (38,8%) ეკავათ უმაღლესი განათლების მქონეთ, ყველაზე დაბალი კი (0,3%) დაწყებითი განათლების მქონეთ [83.54-55].

ამასთან, კომერციულ საწყისებზე უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის ზრდას სწავლების ხარისხის ადეკვატური გაუმჯობესება არ გამოუწვევია. პირიქით. უმაღლეს სკოლაში მეტად საშიში ხასიათი მიიღო კორუფციამ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, იმ პერიოდში სახელმწიფო უმაღლესი განათლების უზნეო სისტემა ჩამოყალიბდა. საზოგადოებაში ცოდნამ, როგორც ასეთმა, ფასი დაკარგა. ამის შედეგად, საკუთრივ ცოდნა კი არ იყო საგანმანათლებლო მომსახურებით შექმნილი საქონელი, არამედ ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური შემადგენლობის შრომის უაღრესად დაბალი ანაზღაურების ფონზე ფასი დაედო ყველაფერს – მისაღებ გამოცდას, ჩათვლას, საკურსოს, სადიპლომო ნაშრომს, დისერტაციას და ა.შ. [21.29].

საყურადღებოა შემდეგი თავისებურება. 2000 წლიდან საქართველოში განათლების სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება, მთლიან შიდა პროდუქტში განათლებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი თითქოს ცოტაც არ იყო, მაგრამ გამოყოფილი თანხები საკმარისი არ აღმოჩნდა განათლების სისტემის განვითარების სათანადო დაფინანსებისათვის (ცხრილი 5.10).

ცხრილი 5.10

განათლებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში (1996-2005 წწ.)

მაჩვენებელი (მლნ.ლარი)	1996	2000	2001	2002	2003	2004	2005
მშპ	3846,5	6015,5	6654,8	6960,7	8041,9	8989,6	10292,5
განათლება	98,6	212,5	248,5	274,3	278,0	344,1	382,0
განათლების წილი მშპ-ში	2,6	3,5	3,7	3,9	3,5	3,8	3,7

წყარო: განათლება, მეცნიერება, კულტურა. სტატისტიკური კრებული, თბ., 2003, გვ. 16 და იგივე თბ., 2006, გვ. 12.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ განათლების სისტემა კომპლექსურ, თანმიმდევრულ, კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებულ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველოში შენარჩუნებულია მოსახლეობის განათლებულობის საკმაოდ მაღალი დონე, რასაც ადასტურებს 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები. ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის (15 წლისა და უფროსი ასაკის) 22,4%-ს უმაღლესი განათლება აქვს. ასევე, 2,4%-დან 3,3%-მდე გაიზარდა დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონეთა წილიც, საშუალო პროფესიული (სპეციალური) განათლება აქვს მოზრდილი მოსახლეობის 15,7%-ს, დამთავრებული საშუალო ზოგადი განათლება – 35,8%-ს, არასრული საბაზო ზოგადი განათლება – 11,6%-ს, დაწყებითი ზოგადი კი – 6,7%-ს.

უკანასკნელი წლების მანძილზე სკოლამდელი დაწესებულებების საერთო რაოდენობა 1990 წლის 2460 ერთეულიდან 2005 წელს 1214 ერთეულამდე (ანუ 2-ჯერ), ბავშვთა რაოდენობა 212,5 ათასიდან – 74,4 ათასამდე (2,8-ჯერ) შემცირდა [14. 2006].

განვლილ პერიოდში შემცირდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების რაოდენობა: 1990 წლის 3,7 ათასიდან 2005/2006 სასწავლო წლისათვის 2744-მდე. ამავე დროს,

მკვეთრად მატულობს არასახელმწიფო საერო (ფასიანი) საშუალო სკოლების რიცხვი: 2005/2006 სასწავლო წელს მათი რაოდენობა 2000/2001 სასწავლო წელთან შედარებით 137-ით გაიზარდა [14. 2006].

განათლების სისტემის შემდეგი საფეხური – დაწყებითი პროფესიული სახელობო განათლებაა, სადაც აითვისება კვალიფიციური შრომის უნარ-ჩვევები ზოგადი საშუალო განათლების მიღებასთან ერთად ან მის გარეშე. დაწყებითი პროფესიული სახელობო სასწავლებელთა რიცხვი 2005/2006 სასწავლო წლისათვის 66 იყო ანუ 2000/2001 სასწავლო წელთან შედარებით 19 ერთეულით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მკვეთრად მცირდება საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირთა რაოდენობა 1000 სულზე გაანგარიშებით. მათი რაოდენობა 2002/2003 სასწავლო წელს 1989/1990 სასწავლო წელთან შედარებით 164-დან 107-მდე შემცირდა.

განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადების ამოცანის განხორციელებას ემსახურება ქვეყანაში მიღებული კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (2005 წ. 14 იანვარი), რომლითაც საქართველოს განათლების სისტემა ჩაერთო განათლების ევროპულ სივრცეში. ბოლონიის პროცესის წევრად საქართველო 2005 წლის 19-20 მაისს აღიარეს.

ბოლონიის პროცესის მიზანია 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა. პროცესის მონაწილეა ევროპის 46 ქვეყანა, ევროკომისია, ევროსაბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია, სტუდენტების ეროვნული კავშირები ევროპაში, პროფესიული უმაღლესი სასწავლებლების ასოციაცია, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია და იუნესკო-სეპესი და სხვ.

ბოლონიის პროცესის ლონდონში გამართულ კონფერენციაზე 2007 წლის 17-18 მაისს მიღებულ „ლონდონის კომუნიკეში“ განისაზღვრა 2007-2009 წლების სამოქმედო პრიორიტეტები. ესენია: სამსაფეხურიანი სწავლების სისტემის (ბაკა-

ლავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილე ქვეყნებს შორის გაცვლა, გრანტებისა და სესხების სისტემის განვითარება, ვიზებისა და სხვა ქვეყანაში მუშაობის უფლების მიღების გამარტივება; სტუდენტებისათვის სათანადო პირობების შექმნა, რათა მათ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო სწავლის დასრულების პრობლემები არ შეექმნათ; შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, რაც გულისხმობს პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას სასწავლო პროგრამების შედგენაში, ამა თუ იმ პროფესიაზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრაში.

საქართველოში განათლების რეფორმის შედეგად გამოვლინდა ანგარიშგასაწევი ტენდენციები: **განათლება სულ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირა ყოველწლიურად იზრდება. მისაღები კონტიგენტის რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება – ერთიანი ეროვნული გამოცდებით 2005 წელს სტუდენტი დაახლოებით 28000 აბიტურიენტი გახდა; 2006 წელს – 17000, 2007 წელს კი მისაღები კონტიგენტი 15444-დე შემცირდა.**

იმ დროს, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობა ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება, მეწარმეები კვალიფიციური კადრების ნაკლებობას უჩივიან. ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, განათლებული კადრების სიჭარბე, მეორე მხრივ, კონკრეტულ სამეურნეო სფეროში ვიწრო სპეციალობის კადრების დეფიციტი გამოიწვია იმან, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში სახელმწიფომ ყურადღება არ მიაქცია პროფესიულ განათლებას – მოსამზადებელი პროფესიების სტრუქტურის, სწავლების შინაარსისა და მატერიალურ-ორგანიზაციული ბაზის განუახლებლობამ უარყოფითად იმოქმედა სწავლების პროცესსა და ხარისხზე, რასაც პროფესიულ სასწავლებელთა პრესტიჟის დაცემა და ფაქტობრივად, ამ ქსელის მოშლა მოყვა.

წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩავთვალოთ 2007 წელს მიღებული კანონი პროფესიული განათლების შესახებ. „ამ კანონის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა

და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად მზარდი შრომის ბაზრის მოთხოვნებს“ (თ. 1, მუხლი 1).

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმა უფრო რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვიდრე იგი წარმოდგენილი ჰქონდათ რეფორმატორებს. აღსანიშნავია, რომ განათლების სფეროს გარდაქმნების პროცესში დაშვებულ იქნა უხეში შეცდომები. საზოგადოების სამართლიანი გაღიზიანება გამოიწვია განათლებისა და მეცნიერების კვალიფიციური კადრების მიმართ პოლიტიკის რანგში გამოცხადებულმა უნდობლობამ. ბევრი დამსახურებული, კეთილსინდისიერი, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული პროფესორი და მასწავლებელი „რევოლუციური გარდაქმნების“ ტალღაზე უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდში სასწავლო პროცესს ჩამოაცილეს. ბუნებრივია, ამ მოვლენამ, რომელიც რევანშიზმის ფონზე წარმოიშვა, ნეგატიური გავლენა მოახდინა მთლიანად სწავლების ორგანიზაციაზე და საზოგადოებაში რეფორმების მიმართ ეჭვების საფუძველი შექმნა. ამასთან, მიმდინარე გარდაქმნებისას ორგანიზაციული თვალსაზრისით პოზიტიური მოვლენაც დაფიქსირდა. მაგალითად, მისაღები გამოცდების ცენტრალიზაცია, უცხოეთის სასწავლებლებთან ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენების შესაძლებლობა და სხვ.

განათლების ახალი სისტემა მკაცრ გამოცდას გადის. თუ რა შედეგებს მოიტანს განათლების სფეროს რეფორმები და რამდენად ემსახურება იგი ქვეყნის მოსახლეობის რეალურ ინტერესებს, განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

5.4. კულტურა სოციალური ეკონომიკის სისტემაში

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში სოციალურ-კულტურული სფეროს როლსა და ფუნქციებს სტრატეგიული მიზანი – ადამიანის სულიერი ცხოვრების გამდიდრე-

ბისა და სოციალურ-კულტურული საქმიანობის პირობების შექმნა განსაზღვრავს. სოციალურ-კულტურული სფერო, როგორც მართვის ობიექტი, საინტერესოა მისი ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული ორი მახასიათებლით: **ეკონომიკურითა** და **კულტურულ-ესთეტიკურით**. პირველში იგულისხმება ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ქვეყანაში სოციალურ-კულტურული პოლიტიკის განხორციელებისთვის, მაგალითად, მატერიალურ-ნივთობრივი შემადგენელი – დაწესებულებათა ქსელი, მოწყობილობები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ა.შ., კადრებით უზრუნველყოფა, საფინანსო მეურნეობა, მართვის ორგანოები, სამომხმარებლო ბაზარი (კონკურენტული გარემო), ადამიანების მოთხოვნილებანი, თავისუფალი დროის არსებობა და ა.შ. ფაქტობრივად, ეკონომიკური საფუძველი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკის არსს, ფორმას, შინაარსს. რაც შეეხება საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკურ მახასიათებელს, იგი კულტურულ ფასეულობათა არსებულ სიმდიდრეს მოიცავს, რომლითაც განისაზღვრება მოსახლეობის სულიერი განვითარების დონე. მაგალითად, ფერწერული ქმნილებები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, წიგნები, კულტურული ტრადიციები, სახალხო შემოქმედებითი პოტენციალი და ა.შ. ბუნებრივია, რომ კულტურულ-ესთეტიკური პოტენციალის შექმნას, გამოყენებას, საერთოდ, მის განვითარებას შესაბამისი ეკონომიკური საფუძველი სჭირდება. ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზისა და შეფასებისათვის აუცილებელია სოციალურ-კულტურული სფეროს, როგორც მართვის სპეციფიკური ობიექტის, ძირითადი ნიშან-თვისებების განხილვა.

სოციალურ-კულტურული სფერო წარმოადგენს საწარმოების, დაწესებულებათა, ორგანიზაციების, მართვის სტრუქტურების ერთობლიობას, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ-კულტურული და ინფორმაციული დანიშნულების საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, შენახვასა და მოხმარებას, მოსახლეობის კულტურულ და ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად [150.9].

სოციალურ-კულტურული სფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან, რიგი თავისებურებებით გამორჩეულ რგოლს, კულტურა წარმოადგენს. ლიტერატურაში ყველაზე მეტად გავრცელებულია კულტურის (როგორც ასეთის) შემდეგი განმარტება: „კულტურა – განსაკუთრებული დარგია, რომლის პროდუქტი აკმაყოფილებს ადამიანურ მოთხოვნილებათა სპეციალურ ჯგუფს (კულტურულ მოთხოვნილებებს). იგი სხვა სფეროებისგან (რომლებსაც პირდაპირ თუ ირიბად შეუძლიათ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ხელის შეწყობა) განსხვავდება იმით, რომ სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხდება განსაკუთრებული წესით. ზემოქმედების როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის თვალსაზრისით, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ეს განსაკუთრებული წესი ძირითადი კრიტერიუმია კულტურის სფეროში სპეციფიკური შრომითი პროცესის გამოყოფისათვის“ [150.17].

ცნობილია, რომ განათლების სფეროსათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივად სანქცირებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ადამიანის პროფესიული მომზადებისათვის. რაც შეეხება კულტურის სფეროში საქმიანობას, იგი მიმართულია ადამიანის ყოველმხრივი – ინტელექტუალური, ესთეტიკური, ზნეობრივი და ა.შ. აღზრდისა და მისი სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. ასეთ საქმიანობას არა აქვს სისტემატიური ხასიათი. მაგალითად, ადამიანს შეუძლია სულ არ იაროს თეატრში, მით უმეტეს, იგი ვალდებული არ არის რეგულარულად ესწრებოდეს სპექტაკლებს ან უყუროს კინოფილმებს. კულტურის სფეროში ადამიანის საქმიანობა შეიძლება ხორციელდებოდეს ადამიანის მიერ საკუთარი თავისათვის ან სხვა ადამიანებისათვის.

კულტურის სფეროს რიგი სპეციფიკური ნიშნებიც აქვს. მაგალითად, პროდუქტს, რომელიც იქმნება სხვა ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, შეიძლება ჰქონდეს უშუალო დამოკიდებულება თვით საქმიანობის სუბიექტის კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებასა და

დაკმაყოფილებასთან. ამ მოსაზრებით კულტურის პროდუქტების შექმნის პროცესს განიხილავენ, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანახარჯების სპეციფიკურ პროცესს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურის დარგში საქმიანობა ხორციელდება პროფესიულ, ნახევრადპროფესიულ და არაპროფესიულ (მოყვარულთა) საფუძველზე. უკანასკნელ შემთხვევაში ეს საქმიანობა ხორციელდება თავისუფალ დროს და მის შედეგად მიღებული პროდუქტი შეიძლება განკუთვნილი იყოს აგრეთვე სხვა ადამიანებისათვის.

იუნესკოს რეკომენდაციების მიხედვით, კულტურის სფეროს მიეკუთვნება: **კულტურული მემკვიდრეობა:** ისტორიული ძეგლები, არქივები, მუზეუმები და სხვ.; **პუბლიკაციები და ლიტერატურა:** ლიტერატურული ნაწარმოებები, წიგნის გამომცემლობა, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოთეკები და სხვ.; **მუსიკა:** მუსიკალური ნაწარმოებები, მუსიკალურ-დრამატული წარმოდგენები (ოპერა), მუსიკალური ნაწარმოებების გავრცელება, მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება და რეალიზაცია, ჩასაწერი მოწყობილობების წარმოება და სხვ.; **საშემსრულებლო ხელოვნება:** ცირკი, დრამატული და ქორეოგრაფიული წარმოდგენები და სხვ.; **სახვითი ხელოვნება:** შესაბამისი ნაწარმოებების შექმნა, გავრცელება და სხვ.; **კინემატოგრაფია და ფოტოგრაფია:** კინოფილმების წარმოება და გავრცელება, ფოტოგრაფიის წარმოება და გავრცელება და სხვ.; **რადიო-და ტელემაუწყებლობა:** რადიო და ტელეპროდუქციის შექმნა, წარმოება, გავრცელება და სხვ.; **სოციალურ-კულტურულ სფეროში საქმიანობა:** მასობრივი მუშაობა, თვით-შემოქმედებითი პროცესის განვითარება და სხვ.; **სპორტი:** სპორტული ღონისძიებანი, სპორტული მოწყობილობების წარმოება, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა და სხვ.; **ბუნება და გარემო:** კულტურული დასვენების ნაგებობების მშენებლობა, ნაკრძალების, ეროვნული პარკების შექმნა, ქალაქის პარკების, საბავშვო მოედნების აშენება და ექსპლოატაცია; **საერთო მართვა:** საერთო სახელმწიფოებრივი მართვა, ცენტრალური მართვის ორგანოები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და სხვ. [150.50].

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ კულტურის სფეროში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები სპეციფიკური სახით ვლინდება:

– მაკროდონეზე – კულტურის სფეროს ურთიერთობების ფარგლებში ეროვნული მეურნეობის მთელი სისტემისა და სოციალური ინფრასტრუქტურის მომიჯნავე ქვესისტემების მიმართ (განათლება, მეცნიერება და ა.შ.);

– კულტურის, როგორც მართვის სისტემის, შიდა საერთო დარგობრივი ურთიერთობის დონეზე კულტურის დარგში ფუნქციონალურ ქვესისტემებს შორის სტრუქტურული ხასიათის ურთიერთობები დარგის, უწყებრივი დაქვემდებარების და ა.შ. საქმიანობის ხასიათის მიხედვით;

– კულტურის სფეროს შიგნით ცალკეული ქვესისტემების ეკონომიკებს შორის ურთიერთობათა დონეზე, რომლებიც უფრო ვიწროდ კლასიფიცირდებიან საქმიანობის ხასიათის მიხედვით (წიგნის გამომცემლობა, თეატრი, კინო, კულტურის ძეგლები) ტერიტორიული ნიშნის მიხედვით – რეგიონი, მხარე, ქალაქი და ა.შ., ორგანიზაციის საზოგადოებრივ-ინსტიტუციური ხასიათის მიხედვით – სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოოპერატიული და ა.შ., სამეურნეო პრინციპის მიხედვით – საბიუჯეტო, თვითანაზღაურებაზე მყოფი ორგანიზაციები;

– მიკროდონეზე კულტურის სფეროს ძირითადი ელემენტების ეკონომიკის – საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, აგრეთვე ცალკეული ქვეგანყოფილებების შიდასაუწყებო ეკონომიკის – ფარგლებში [150.65].

აღიარებულია, რომ საზოგადოების კულტურული სიმდიდრე ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს კულტურის პროდუქტების მასას, ამასთან, ცალკეული პროდუქტი წარმოადგენს ამ სიმდიდრის ელემენტარულ ფორმას. მათ აქვთ სპეციფიკური, აღქმადი თვისებები, რომელთა მეშვეობით შეუძლიათ განსაკუთრებული ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კულტურის პროდუქტის სახმარი ღირებულება დამოკიდებულია მის კულტურულ ფასეულობაზე, ე.ი. მატერიალური

და არამატერიალური პროდუქტის თვისებაზე დააკმაყოფილოს კულტურული მოთხოვნილებები. როგორც ჩანს, კულტურის პროდუქტს პირველ რიგში უნდა ჰქონდეს სახმარი ღირებულება, ე.ი. უნდა წარმოადგენდეს კულტურულ დოვლათს. ამასთან, განიხილავენ მხოლოდ იმ კულტურულ დოვლათს, რომელსაც საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება აქვს და აკმაყოფილებს არა უბრალოდ ადამიანის ამა თუ იმ კულტურულ მოთხოვნილებას, არამედ, საზოგადოების მიერ აღიარებულ კულტურულ მოთხოვნილებებს.

აღსანიშნავია, რომ კულტურული დოვლათი არაერთგვაროვანია. ისინი განსხვავდებიან კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წესითა და შესრულებული ფუნქციების მიხედვით. ამიტომ, მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი დაყოფა: კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების მატერიალურ ობიექტებად, კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების არამატერიალურ ობიექტებად (მათ, როგორც წესი, მიაკუთვნებენ კულტურულ მომსახურებას) (ცხრილი 5.11).

კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების მატერიალურ ობიექტებს შორის გამოიყოფა კულტურის საშუალებები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა:

„საწარმოო“: ვიოლინო, ფორტეპიანო, ფუნჯები, თეატრალური კოსტიუმები და ა.შ., რომელთა მეშვეობით მიმდინარეობს კულტურული დოვლათის წარმოება (აღწარმოება); ინფორმაციული: რადიომიმღები, ტელევიზორები და ა.შ., კულტურის საგნები, მაგალითად, სურათები და ა.შ.

კულტურის საგნების ჯგუფი შეიძლება დაიყოს: კულტურის საგნებად, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან, მაგალითად, მხატვრული ფილმები და ა.შ.; კულტურის საგნებად, რომლებიც ასაშუალოებენ კულტურის ობიექტების წარმოებისა და მოხმარების ფაზებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაზებს შორის ადგილი აქვს მატერიალურ აღწარმოებას, რომელიც ამ საგნების წარმოების გარდაუვალი ეტაპია, რაც თავისთავად არ წარმოადგენს

ცხრილი 5.11

კულტურული დოვლათის კლასიფიკაცია კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების მიხედვით

1. კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების მატერიალური ობიექტები	1.1. კულტურის საშუალებები	ა. საწარმოო (ვიოლინო, ფორტეპიანო) ბ. ინფორმაციული
	1.2. კულტურის საგნები	ა. კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ბ. კულტურის ობიექტების წარმოებისა და მოხმარების ფაზების შესასრულებელი
2. კულტურული მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების არამატერიალური ობიექტები	მომსახურება	კულტურაში გადამცემი მექანიზმის ფუნქციების შესრულება
	მომსახურება	უშუალოდ კულტურული ფუნქციების შესრულება

წყარო: Михеева Н.А., Галенская Л.Н., Менеджмент в социально-культурной сфере, Санкт-Петербург, 2003. с.36.

კულტურულ საქმიანობას. მაგალითად, თუ საქმე ეხება ავტორის მიერ ბიბლიოგრაფიულ გამოცემას, მისი წარმოება (მომზადება) ავტორისა და სარედაქციო-საგამომცემლო პროცესის შემდეგ არა კულტურულ, არამედ სამრეწველო საქმიანობას წარმოადგენს. კულტურულ მოთხოვნილებათა ფორმირებისა და დაკმაყოფილების არამატერიალური ობიექტები იყოფა: **მომსახურებად, რომელიც გადამცემი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს კულტურაში:** წიგნების გაცემა ბიბლიოთეკებში, ფილმების ჩვენება კინოთეატრებში, თეატრალური კოსტიუმების გაქირავება და ა.შ. სწორედ ამ სფეროს (და არა ვაჭრობის სფეროს) აკუთვნებენ მხატვრული შემოქმედების საგნების, წიგნების გაყიდვას და ა.შ.;

მომსახურებად, რომელიც ასრულებს უშუალო კულტურულ ფუნქციას მიეკუთვნება. მაგალითად, თეატრალური მსახიობის მუშაობა, შემსრულებელ-ვირტუოზის კონცერტი, პროფესიული გუნდის ხელმძღვანელის საქმიანობა, მეცნიერის ლექცია და ა.შ. [150.70]

კულტურულ მოთხოვნილებათა ობიექტები ერთმანეთს განაპირობებენ. ზოგიერთი ობიექტის სამომხმარებლო ეფექტმა შეიძლება გამოიწვიოს სხვა ობიექტების წარმოების აუცილებლობა ან, პირიქით, ერთი ობიექტი შეიძლება მეორესთან კონკურენციაში იყოს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ცალკეული ობიექტების ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კულტურისა და კულტურულ მომსახურებათა საგნების ჯგუფში, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მოხმარების ჩვეულებრივ საგნებში. ეს აიხსნება კულტურის საგნების სპეციფიკური სახმარი ღირებულებით. ასე, მაგალითად, თუ გვსურს წიგნის მაღაზიაში კონკრეტული ავტორის კონკრეტული წიგნის შეძენა, ცხადია, არ დავთანხმდებით სხვა ავტორის, ან თუნდაც იგივე ავტორის სხვა წიგნის შეძენაზე.

კულტურულ მოთხოვნილებათა და მათი დაკმაყოფილების ობიექტების თავისებურებათა (ურთიერთჩანაცვლება, სტიმულირება და ა.შ.) შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურული პოლიტიკის შემუშავებისას. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფილია კულტურული საქმიანობის პროდუქტებისა და საშუალებების ძირითადი საწარმოო და სამომხმარებლო შემდეგი მახასიათებლები (ცხრილი 5.12).

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს არა მარტო თავისი ხალხის, არამედ, სხვა ქვეყნისა და ხალხის კულტურის მიღწევებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფალი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო პროგრესში. ამას 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალუ-

ცხრილი 5.12

კულტურული საქმიანობის საშუალებებისა და პროდუქტების შედარებითი საწარმოო და სამომხმარებლო მახასიათებლები

კულტურის საშუალებები ა) ერთჯერადი წარმოება,ერთჯერადი მიწოდება,მცირე მოთხოვნა (მაგ.: კოსტიუმები მსახიობებისათვის); ბ) დიდი წარმოება,დიდი მიწოდება,დიდი მოთხოვნა (მაგალითად,საგნები მუსიკაში სამეცადინოდ); გ) მასობრივი წარმოება, მასობრივი მოთხოვნა და მიწოდება (მაგალითად, ტელევიზორები და ა.შ.).
კულტურის საგნები ა) ერთჯერადი წარმოება,ერთჯერადი მიწოდება,მცირე მოთხოვნა (ორიგინალური ფერწერის ტილოები); ბ) ერთჯერადი წარმოება, დიდი მიწოდება, დიდი მოთხოვნა (რეპროდუქციები, ესტამპები და ა.შ.); გ) ერთჯერადი წარმოება,მასობრივი მოთხოვნა და მიწოდება (წიგნები და ა.შ.); დ) დიდი წარმოება, დიდი მიწოდება, დიდი მოთხოვნა (ხალხური მხატვრული შემოქმედების საგნები).
კულტურული მომსახურებები (საშუამავლო ფუნქციით) ა) მცირე მიწოდება, მასობრივი მოთხოვნა (პოპულარული მუსიკის მოყვარულთა კლუბები); ბ) დიდი მიწოდება,მასობრივი მოთხოვნა (კინოფილმების ჩვენება); გ) მასობრივი მიწოდება, მასობრივი მოთხოვნა (ბიბლიოთეკებში წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გაცემა).
კულტურული მომსახურებები (საკუთრივ კულტურულ ფუნქციასთან) ა) ერთჯერადი მიწოდება (განმეორება შეუძლებელია), დიდი მოთხოვნა (კანის კინოფესტივალი); ბ) ერთჯერადი მიწოდება (განმეორება შესაძლებელია),დიდი მოთხოვნა („ესტრადის ვარსკვლავთა“ კონცერტი); გ) ერთჯერადი მიწოდება (განმეორება შესაძლებელია), მასობრივი მოთხოვნა (პოპულარული ანსამბლების კონცერტები და ა.შ.).

წყარო: Михеева Н.А., Галенская Л.Н., Менеджмент в социально-культурной сфере, Санкт-Петербург, 2003. с.40.

რი და კულტურული უფლებების შესახებ ადასტურებს და აცხადებს მამაკაცებისა და ქალების თანაბარ უფლებას განათლებაზე, შემოქმედებაზე, კულტურული დოვლათით სარგებლობაზე, ხოლო 1995 წლის 24 აგვისტოში მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ

ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გამდიდრებას“ (თ. II, მ. 34).

ქართული სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციურად ნაკისრი ეს პასუხისმგებლობა სრულად შეესაბამება საქართველოში სოციალური ეკონომიკისა და სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ფუძემდებლურ პრინციპებს.

სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული კულტურული თანამშრომლობის წინაპირობას წარმოადგენს ცნების „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა“ მნიშვნელობის გაცნობიერება.

კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის კონცეფცია დაფუძნებულია კულტურის ქმნილებათა მნიშვნელობაზე ცივილიზაციის განვითარებაში, მსოფლიო კულტურის ფასეულობათა ერთობლივი დაცვის აუცილებლობის აღიარებაზე როგორც ომის, ისე მშვიდობის პირობებში. ეს იდეა საკმაოდ მკაფიოდ იქნა გამოხატული 1939 წელს მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს მიერ, რომელმაც გამოიკვლია ძეგლთა და ფერწერის ნაწარმოებების დაცვის პრობლემა ომის დროს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – ყველა სახელმწიფოს საქმეა.

1945 წელს დუმბარტონ – ოქსში (ბრაზილია) კონფერენციაზე გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ კულტურა უნდა განიხილებოდეს როგორც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობა და დაისვა გაეროს ფარგლებში ისეთი ორგანოს შექმნის საკითხი, რომელიც საერთაშორისო დონეზე განიხილავდა ინტელექტუალური თანამშრომლობის საკითხებს. ამიტომაც მოგვიანებით იუნესკოს წესდებაში (მ.1) შეტანილ იქნა ნორმა, რომლის მიხედვითაც, ეს ორგანიზაცია ხელს უწყობს ცოდნის შენარჩუნებას, პროგრესს და გავრცელებას, ზრუნავს რა კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის – წიგნების, ხელოვნების ნაწარმის და ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობის სხვა ძეგლთა შენარჩუნებასა და დაცვაზე.

ტერმინი „საერთო მემკვიდრეობა“ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც, მაგალითად, 1972 წელს 16 ნოემბრის იუნესკოს კონვენციაში საყოველთაო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 1994 წლიდან მცხეთის ისტორიული ძეგლები (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ჯვრის და სამთავისის მონასტრები და არმაზციხე-ბაგინეთი), ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. ამ უმნიშვნელოვანესი აქტით საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა ზემოაღნიშნული ისტორიული ძეგლების გამორჩეული, ზოგადსაკაცობრიო კულტურული მნიშვნელობა. ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში 1996 წლიდან ჩაწერილია სოფელი ჩაჟაში (ზემო სვანეთი); იგი გამოირჩევა თავისი არქიტექტურითა და შეუდარებელი პეიზაჟით, რომლებმაც შეინარჩუნეს მათი შუასაუკუნებრივი სახე.

იუნესკოს 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვაზე მთლიანად აგებულია კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის აღიარებაზე. მასში ნათქვამია, რომ ზიანი, რომელიც მიეყენება ყოველი ხალხის კულტურულ ფასეულობებს, წარმოადგენს ზიანს მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობისათვის, რადგანაც ყოველ ხალხს შეაქვს თავისი წვლილი მსოფლიო კულტურაში.

პრაქტიკაში საერთაშორისო კავშირები კულტურის სფეროში ხორციელდება გარკვეული მიმართულებებით და შესაბამის ფორმებში, როგორიცაა: **კულტურული გაცვლები** კინოფილმებით, ფერწერისა და ქანდაკებების საგნებით და სხვ.; კულტურულ ფასეულობათა დაცვა, კულტურული ფასეულობების შექმნაზე ერთობლივი საქმიანობა, ფესტივალების, კონკურსების ჩატარება, საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობა.

კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებისას სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ზოგადი (ძი-

რითადი) და კულტურული თანამშრომლობის აღიარებული სპეციალური პრინციპებით.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციაში, რომელიც მოწონებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1970 წელს, ჩამოყალიბებული პრინციპები მთლიანად ვრცელდება საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის სფეროზე. ესენია: ძალისმიერი მეთოდების აკრძალვა და ძალის გამოუყენებლობა, სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება, შიდა საქმეებში ჩაურევლობა, თანასწოროობა და თვითგამორკვევის უფლება, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა, ვალდებულებების აუცილებელი შესრულება.

კულტურის სფეროში თანამშრომლობის ზოგადმა პრინციპებმა ასახვა პოვეს ისეთ მრავალმხრივ დოკუმენტებში, როგორიცაა: ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს და 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე.

სპეციალური პრინციპები ჩამოყალიბდა საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაციაში, რომელიც მოწონებულ იქნა 1996 წლის 4 ნოემბრის იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე.

დეკლარაცია აღიარებს შემდეგ პრინციპებს: კულტურათა თანასწორობის პრინციპს, კულტურის მიერ მშვიდობის საქმის ხელშეწყობას, კულტურული საქმიანობის ურთიერთსარგებლობას, მშვიდობისა და ომის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის ვალდებულებას.

დღევანდელ პირობებში საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა აქტიურად ვითარდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით და სფეროებში, როგორიცაა: მასობრივი ინფორმაციის მიწოდება, კინემატოგრაფია, მუზეუმების საქმიანობა, საავტორო უფლებები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურულ ფასეულობათა დაცვას მშვიდობის პერიოდში საზოგადოებრივი და კერძო სამუშაოების ჩატარებისას – კულტურის ობიექტე-

ბისა და არქეოლოგიური გათხრების დაცვას, კულტურულ ფასეულობათა დატაცებასთან ბრძოლას და ა.შ.

განვითარებულ ქვეყნებში კულტურის სფეროს, როგორც ეკონომიკური და სოციალური პროგრესის სტრატეგიულ ფაქტორს, თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში მისი განვითარება ეკონომიკური რეფორმებისა და დემოკრატიული გარდაქმნების გაღრმავებასთან დაკავშირებით სულ უფრო აქტუალური ხდება.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნათა რთულ პროცესში ნეგატიური მოვლენები ქართული კულტურასაც შეეხო, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად სახელმწიფოებრივ ხელშეწყობაზეა დამოკიდებული. საზოგადოებრივ ურთიერთობათა დემოკრატიზაციამ და იდეოლოგიურ შეზღუდვათა მოხსნამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინებას კულტურის მრავალ სფეროში. კერძოდ, გაფართოვდა ბეჭდვითი პროდუქცია, მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო არხებისა და რადიოსადგურების რაოდენობა, შეიქმნა უამრავი საინფორმაციო-ანალიტიკური და შემეცნებით-გასართობი გადაცემა, განვითარდა კულტურის მასობრივი სახეობები – პოპ-არტ, აუდიო და ვიდეოინდუსტრია. ქვეყანაში აღდგენილ იქნა ან აშენდა უამრავი ტაძარი, ჩამოყალიბდა თეატრალური სტუდიები, გაფართოვდა სამუზეუმო დაწესებულებათა, სამხატვრო გალერეათა ქსელი. ქართული ბაზრის გახსნილობამ და ლიბერალიზაციამ იგი მსოფლიო კულტურული სივრცის ორგანული ნაწილად აქცია, გააქტიურდა საერთაშორისო კავშირები და საქონლისა და მომსახურების გაცვლა.

მეორე მხრივ, კულტურის სფეროში მთელი სიმძაფრით გამოვლინდა კრიზისი, რომელიც გამოიხატა: კულტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის გაუარესებით, კულტურის, ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის დაწესებულებებისა და საწარმოთა ჩამორჩენით ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში, კულტურისა და ისტორიის ძეგლთა, მუზეუმების ექს-

პონატთა და საარქივო ფონდების დაცვის მდგომარეობის გაუარესებით, კულტურისა და ისტორიის ძეგლთა სახელმწიფოებრივი აღრიცხვის სათანადო სისტემის უქონლობით, ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების დენადობით და სხვ.

კულტურის სფეროში კრიზისული მოვლენები გაღრმავდა როგორც არასაკმარისი სახელმწიფოებრივი დაფინანსების შედეგად, ისე მწირი საფინანსო სახსრების ხარჯვის არსებული მექანიზმების არაეფექტიანობით.

სახელმწიფო ასიგნებები ამჟამად მიმართულია უპირატესად არსებული საბიუჯეტო ქსელის დაფინანსებაზე, რომელიც ხორციელდება „ნარჩენი სახსრების“ პრინციპით. ასეთი პრაქტიკა იწვევს: სახსრების გაბნევას და კულტურის დაწესებულებათა არასაკმარის დაფინანსებას, კულტურის მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაბალ დონეს, საბიუჯეტო სახსრების კონცენტრაციის შეუძლებლობას კულტურული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეროვნული კულტურის დაკნინებას, კერძოდ, იქმნება კულტურულ მემკვიდრეობაში დანაკარგები, უარესდება კულტურულ ცხოვრებაში მოდერნიზაციისა და ნოვატორობის პირობები.

კულტურის სფეროში მართვა ხორციელდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ, რომლის დაქვემდებარებაშია: ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი და კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი. უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომელიც დაარეგულირებდა კულტურის სფეროს საქმიანობას საბაზრო პირობებში. რიგი კანონების მიღებამ („საკუთრების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ და ა.შ.) ბიძგი მისცა ამ სფეროში კერძო მეწარმეობის ფორმირებას, საპრივატიზაციო პროცესების განვითარებას და ხელი შეუწყო ახალი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების ჩამოყალიბებას.

მართალია, სხვა დარგებისგან განსხვავებით, კერძო სექ-

ტორი კულტურის სფეროში იქმნებოდა უპირატესად ახალი სტრუქტურების სახით – გართობის ინდუსტრია: სათამაშო და შოუ-ბიზნესი, აუდიო – და ვიდეოპროდუქციის წარმოება და გავრცელება, დიზაინი, სამოდელო ბიზნესი, იგი აქტიურად მკვიდრდებოდა კულტურულ ფასეულობათა ბაზრის ინფრასტრუქტურის დარგებშიც – კონსალტინგური, მენეჯერული და საპროდიუსერო საქმიანობაში, საკონცერტო ღონისძიებების ორგანიზაციაში.

2004 წელს დაარსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელშიც ერთიანი საგამოფენო და საგანმანათლებლო კონცეფციით, სარესტავრაციო ცენტრითა და განვითარების ერთიანი სტრატეგიით გაერთიანდა საქართველოს 11 უმნიშვნელოვანესი მუზეუმი.

2005 წელს მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“ და „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“. შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გ. ჩუბინიშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი. ამით ინსტიტუციურად გაერთიანდა სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტული მიმართულებები: ქართული ხელოვნების კვლევა, ძეგლთა დაცვის მეთოდოლოგია და ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კულტურული პოლიტიკის ძირითადმა მიმართულებებმა ასახვა ჰპოვეს მიზნობრივ სახელმწიფოებრივ პროგრამებში, როგორიცაა: ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამა, ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამა, პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამა, ლიტერატურისა და საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა, ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარების პროგრამა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს (ცხრილი 5.13).

ცხრილი 5.13

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიული პროგრამის ძირითადი მიმართულებები (2004-2006)

2004-2005	2006
1. მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ძეგლების გადარჩენა, სამუზეუმო კოლექციათა რეაბილიტაცია და დაცვის პირობების გაუმჯობესება	1. საქართველოს ისტორიული ქალაქების დაცვის პროგრამა
2. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა-გამოყენებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობა	2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა (უძრავი და მოძრავი ძეგლები, მუზეუმები, დაცვითი ზონები და ა.შ.) ინვენტარიზაცია	3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ინვენტარიზაცია
4. ისტორიული ქალაქების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა	4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციის პროგრამა
5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია	5. სამუზეუმო რეფორმა (საქართველოს მუზეუმების რეაბილიტაცია და მართვის სისტემების გაუმჯობესება)
6. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მის ბაზაზე კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის ჩამოყალიბება	6. დასავლეთთან ინტეგრაცია და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში
7. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე	7. კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
8. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ფარგლებში არსებული დარგობრივი ქვეკომისიების და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობა	8. კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა
9. საერთაშორისო პროექტები-კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში ქართული ახალგაზრდობის დაოსტატებისა და თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა	9. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ

წყარო:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამა 2004-2005, 2006.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ისტორიული ქალაქები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უდიდეს ნაწილს შეადგენს. მათი კომპლექსური დაცვის ეფექტიანი მოდელის ამოქმედება უშუალოდაა დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტთან. ამ მიმართულებით განხორციელდა თბილისის

ისტორიული ნაწილის დაფარვითი ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც შეგროვდა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით სისტემატიზირებულ იქნა ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში არსებულ ურბანულ ქსოვილზე, უძრავ ძეგლებზე და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებზე. მომზადდა კანონმდებლობით დადგენილი სააღრიცხვო ბარათები, დაზუსტდა ქალაქების: ქუთაისის, სიღნაღის, თელავის და მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, თბილისისა და მცხეთის ტერიტორიაზე და ალაზნის ველის ყორღანებისა და ნამოსახლარების არქეოლოგიური დამცავი ზონები, ვარძია – ხერთვისი-ოლოდასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული უძრავი ძეგლებისთვის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები.

ძეგლთა ინვენტარიზაცია კულტურული მემკვიდრეობის მოვლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის განხორციელების შედეგადაც სახელმწიფო ფლობს მის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე ინფორმაციას მათი ადგილმდებარეობის, დაცულობის ხარისხის და სხვა სავალდებულო მონაცემების მითითებით.

ძეგლთა დაცვის ერთ-ერთ უპირველეს საშუალებას წარმოადგენს, ძეგლთა აღრიცხვა მათი სახელმწიფო რეესტრში გატარების მიზნით, რაც ამ შენობა-ნაგებობებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონით დადგენილ ფარგლებში აქცევს.

რეგიონული მუზეუმების რეაბილიტაციის მიმართულებით მნიშვნელოვანია მუზეუმებისა და მართვის ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მათი განვითარების შესაძლებლობას. საქართველოში სხვადასხვა პროფილის 265 მუზეუმია. ყველა მუზეუმზე შედგენილია მრავალპარამეტრიანი პასპორტი, რომელიც შეიცავს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა მუზეუმის პროფილი, ინფორმაცია კოლექციებსა და განყოფილებებზე, ექსპონატთა რაოდენობასა და დაცულობაზე, მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობაზე და სხვ. სამუზეუმო ცხოვრების გააქტიუ-

რების მიმართულებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები. ასევე დაფინანსდა მეთოდოლოგიური ხასიათის გამოცემები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მუზეუმებში რეფორმის გატარებასა და ქვეყნის მუზეუმების გადასვლას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე. მათ შორისაა, სოფ. მირზაანში 1960 წელს დაარსებული ნ. ფიროსმანიშვილის სახელმწიფო მუზეუმი. მეთოდოლოგიური ხასიათის გამოცემებიდან აღსანიშნავია კრებული „მუზეუმების შესახებ“, სადაც წარმოდგენილია: საქართველოს კანონები „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, ინფორმაცია სამუზეუმო რეფორმის მიმართულებებზე, ICOM-ის „მუზეუმების ეთიკური კოდექსი“, პარიზის XI გენერალური სესიის რეკომენდაციები მუზეუმების შესახებ, „ექსპონატების დროებით სარგებლობის წესი“ და ხელშეკრულების ფორმები (საქართველოს ეროვნული მუზეუმისა), საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციების კოორდინატები და სხვ.

საქართველოს მუზეუმების ვებ-გვერდი მოიცავს ტექსტუალურ და ვიზუალურ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული 222 მუზეუმის შესახებ ქართულ-ინგლისურ ენებზე, კანონმდებლობას, ICOM-ის მუზეუმების ეთიკურ კოდექსს, ინფორმაციას სამუზეუმო სფეროში მიმდინარე სიახლეებზე (სემინარები, თრენინგები, მეთოდოლოგიური გამოცემები, კატალოგები და სხვ.), ინფორმაციას მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებზე, საქართველოს მუზეუმებისა და საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციების ვებ-გვერდების მისამართებს.

ინტენსიურ ხასიათს იძენს თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან სამხრეთ კავკასიის რეგიონული პროგრამის –„ისტორიული ქალაქების მართვა და ინსტიტუციური გაუმჯობესება“ – ფარგლებში, რაც უშუალოდაა დაკავშირებული თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციასთან.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით ერთ-ერთი

პრიორიტეტია მსოფლიოში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება. აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია **მაქს პლანკის** ინსტიტუტი (ფლორენცია). კულტურის სამინისტროსა და ინსტიტუტს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა შორის თანამშრომლობას რესტავრაციისა და კონსერვაციის დარგში.

უკანასკნელ წლებში შეიქმნა გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი, მუდმივად განახლებადი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, გის-თან (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები) ინტეგრირებული, ყველა ტიპის მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზა.

ზემოთ მოტანილი ინფორმაციებიდან ჩანს, რომ კულტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გაცხადდა. სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებად აღიარებულია: ქვეყნის კულტურული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის, ქართული კულტურის განვითარების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნების, კულტურული ინოვაციების ხელშეწყობასთან ერთად, ერთიანი კულტურული სივრცის, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების წარმომადგენლებისთვის კულტურულ ფასეულობათა ათვისების (მოხმარების) თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობის განვითარება, პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების ორიენტაციის ფორმირება ფასეულობებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული საზოგადოების წარმატებულ მოდერნიზაციას.

ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ კულტურის სფეროში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის მიზანშეწონილია დაცულ იქნას მრავალფეროვანი და თვითმყობადობით გამორჩეული

ეროვნული კულტურის დარგების პრიორიტეტული განვითარების პრინციპი. ბუნებრივია, სახელმწიფოს არა აქვს სათანადო რესურსები ერთდროულად განახორციელოს ამა თუ იმ დარგის ყოვლისმომცველი მხარდაჭერა, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ კულტურის რიგი სფეროები საერთოდ უყურადღებოდ დარჩეს და ქვეყნის განვითარებაში ჩამორჩეს. დღეს განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას საჭიროებს ქართული ლიტერატურა, ხელოვნება, კინემატოგრაფია, თეატრი, ფოლკლორი, ისტორიული ძეგლების მოვლა, მუზეუმების გაფართოება და სხვ. მათი განვითარება უნდა წარიმართოს მიზნობრივი პროგრამებით.

როგორც ჩანს, ერთი მხრივ, სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროების, მათ შორის კულტურის, განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობაზე, მის ფართო აღწარმოების უნარზე, სოციალურ მდგრადობაზე, მეორე მხრივ, სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე ეკონომიკის ეფექტიანობა ვერ მიიღწევა, ქვეყნის განვითარება შეფერხდება.

ამრიგად, საზოგადოებრივი პროგრესის ორი მთავარი ფაქტორის – ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სფეროს განვითარების მაღალი დონის – კოორდინირებულად ამოქმედებაა საჭირო. მის ხელშემწყობ პირობებს, როგორც მსოფლიოში მიმდინარე მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესების ანალიზი ადასტურებს, რეალურად ქმნის სოციალური ეკონომიკა.

თავი VI. ეკონომიკური განვითარება – სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების პირობა

6.1. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ზრდა: კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა

საზოგადოების ეკონომიკური განვითარება, როგორც ასეთი, წინააღმდეგობრივი და მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული პროცესია. ამიტომ იგი სწორხაზოვნად არ მიმდინარეობს. ეკონომიკური განვითარება უთანაბრობით ხასიათდება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით XX საუკუნეში გამოვლინდა, რაც გამოწვეული იყო განვითარების ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ფაქტორებითა და თავისებურებებით (ცხრილი 6.1).

ცხრილი 6.1-დან ჩანს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ცხოვრების დონის მაჩვენებლებით. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ის მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი 15-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ინდოეთში. ასევე განსხვავებულია ზრდის საშუალოწლიური ტემპებიც. მაგალითად, იაპონიაში 97 წლის მანძილზე მან საშუალოდ 2,82%-ს მიაღწია, მაშინ, როცა ბანგლადეშში მხოლოდ 0,78% შეადგინა. ეკონომიკური განვითარებისათვის დამახასიათებელია უთანაბრობა. მაგალითად, იაპონია ზრდის მაღალ ტემპებს ინარჩუნებს, ხოლო ინგლისმა და არგენტინამ დაკარგეს ადრინდელი პოზიციებიც. მაგალითად, ინგლისის 1870 წლის მაჩვენებელი 2-ჯერ აღემატებოდა კანადის მაჩვენებელს. XX საუკუნის ბოლოსათვის კი ინგლისი ორივე ქვეყანას ჩამორჩებოდა.

ცხოვრების დონეებს შორის არსებული განსხვავების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური ზრდის ტემპებია. ზოგიერთ ქვეყანაში იგი მაღალია, ზოგიერთში კი – დაბალი. მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა:

ცხრილი 6.1

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყნებში (XIX – XX სს.)

№	ქვეყანა	პერიოდი	რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საწყის პერიოდში (დოლარებში)	რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე პერიოდის ბოლოს (დოლარებში)	საშუალო-წლიური ზრდის ტემპები %
1	იაპონია	1890-1997	1196	23400	2,82
2	ბრაზილია	1900-1997	619	6240	2,41
3	მექსიკა	1900-1997	922	8120	2,27
4	გერმანია	1870-1997	1738	21300	1,99
5	კანადა	1870-1997	1890	21860	1,95
6	ჩინეთი	1900-1997	570	3570	1,91
7	არგენტინა	1900-1997	1824	9950	1,76
8	აშშ	1870-1997	3188	28740	1,75
9	ინდონეზია	1900-1997	708	3450	1,65
10	ინდოეთი	1900-1997	537	1950	1,34
11	ინგლისი	1870-1997	3826	20520	1,33
12	პაკისტანი	1900-1997	587	1590	1,03
13	ბანგლადეში	1900-1997	495	1050	0,78

წყარო: Мэнкью Н.Г., Принципы макроэкономики, М., 2004, стр. 271

ჰონგკონგი, სინგაპური, ტაივანი, სამხრეთ კორეა საშუალო შემოსავალი XX საუკუნის 80-იან წლებში ყოველწლიურად 7%-ით იზრდებოდა და აღნიშნულმა ქვეყნებმა ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიეს. ამასთან, არიან ქვეყნები, რომლებშიც საშუალო შემოსავალი დიდი ხნის მანძილზე არ შეცვლილა. მაგალითად, ეთიოპია, ნიგერია და სხვ. მეტიც, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკურ მეცნიერებასა და

პრაქტიკაში ეკონომიკური ზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

მსოფლიო ბანკის 1991 წლის მოხსენებაში აღინიშნა, რომ განვითარება კაცობრიობისთვის სერიოზული გამოწვევაა. განვითარების მიზანია: ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც შემოსავლების ზრდასთან ერთად გულისხმობს უკეთეს განათლებას, კვებას და ჯანმრთელობას, სიღატაკის მასშტაბების შემცირებას, გარემოს გაჯანსაღებას, შესაძლებლობათა გათანაბრებას, პიროვნული თავისუფლების გაფართოებას და კულტურული ცხოვრების სრულყოფას.

ეკონომიკური განვითარების შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულება, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა არსებობს. **მ. ტოდაროს** აზრით, განვითარება მრავალმხრივი პროცესია, რომელიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს სოციალურ სტრუქტურებში, საზოგადოებრივი ინსტიტუტების ქცევებში, ასევე ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში, უთანასწორობის შემცირებასა და უმუშევრობის აღმოფხვრაში. თავისი არსით, განვითარება წარმოადგენს ცვლილებების კომპლექსს, რომლის მეშვეობით სოციალური სისტემა ვითარდება და ამზადებს ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლების უფრო ხელსაყრელ მატერიალური და სულიერი პირობების შესაქმნელად [178.30]. მეცნიერთა ნაწილის აზრით, **ცნება „განვითარება“** მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: არსებობის ელემენტარული პირობების უზრუნველყოფას, თვითპატივისცემას და თავისუფლებას. ამ მიზნების განხორციელებისკენ მიისწრაფვიან როგორც ცალკეული ადამიანები, ასევე საზოგადოება. აღიარებულია, რომ ყველა დროსა და ყველა საზოგადოებაში ეს კომპონენტები განიხილებოდა ადამიანის ფუნდამენტურ მოთხოვნილებად [178.30].

მსოფლიოს განვითარების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის აზრით, განვითარება უნდა გავიგოთ, როგორც შეტევა თანამედროვე მსოფლიოს მთავარ უბედურებებზე: შიმშილზე, ავადმყოფობაზე, უწიგნურობაზე, უმუშევრობასა და უთანასწორობაზე [178.78]. ზემოთ აღნიშნული შეხედუ-

ლებანი ადასტურებენ, რომ განვითარება არ არის წმინდა ეკონომიკური მოვლენა. იგი მოიცავს როგორც ეკონომიკურ (შემოსავლები, ფასები, დაგროვების დონე), ასევე არაეკონომიკურ, ინსტიტუციურ ფაქტორებს (საკრედიტო ინსტიტუტები, განათლების, ჯანმრთელობის სისტემები, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები, პიროვნების განვითარება და ა.შ.). პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების ურთიერთქმედებით შესაძლებელია განვითარების როგორც ხელშეწყობა, ასევე მისი შეფერხება. ამიტომ განვითარება, როგორც ასეთი, კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს.

მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში **განვითარების მიზანს** წარმოადგენს: 1. მიწოდების ზრდა და სურსათზე, საცხოვრებელზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხელმისაწვდომობა; 2. ცხოვრების დონის ამაღლება; 3. ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში არჩევანის ფართო შესაძლებლობანი [178.32].

ეკონომიკური განვითარების შესახებ არაერთი თეორია არსებობს. განვითარების ერთმანეთისგან განსხვავებულ პერიოდებში (ეტაპებზე) ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მიდგომები გამოიყენებოდა, თანდათანობით იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა კონკრეტული ქვეყნის პრაქტიკიდან შემოთავაზებული გამოცდილება. ამიტომ მიზანშეწონილია ზოგადად გავეცნოთ ეკონომიკური განვითარების თეორიებს.

ეკონომიკური განვითარების შესახებ საინტერესო მიდგომები ჩამოყალიბდა მერკანტილიზმის ეპოქაში. მერკანტილისტები სიმდიდრის წყაროდ აღიარებდნენ მიმოქცევის სფეროს, ხოლო სიმდიდრედ მიიჩნევდნენ ძვირფასი ლითონების რაოდენობას. თუმცა, მოგვიანებით პრიორიტეტად აღიარეს დადებითი სავაჭრო ბალანსი, რომლის მიღწევის საშუალებად სახელმწიფოს პროტექციონისტული პოლიტიკა ჩაითვალა, რაც გულისხმობდა ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მხარდაჭერას. ცნობილია, რომ ფიზიოკრატები სიმდიდრის

წყაროს წარმოების სფეროში, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ხედავდნენ, მათ მიაჩნდათ, რომ სწორედ აქ იქმნებოდა „წმინდა პროდუქტი“. სიმდიდრის ზრდის პრობლემებისადმი დამოკიდებულებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **უ. პეტის** მიერ წამოყენებულ პრინციპს, რომლის მიხედვით სიმდიდრის მამა – შრომაა, დედა კი – მიწა. ეკონომიკის განვითარების კვალობაზე თანდათანობით ყალიბდებოდა მეცნიერულ-ანალიტიკური მიდგომა სიმდიდრის (ეკონომიკის) ზრდის მიმართ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **ა. სმითის** გამოკვლევებს. ა. სმითმა ზრდა უშუალოდ დაუკავშირა წარმოების ფაქტორების – მიწის, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანად გამოყენებას, რაც გამოიხატება შრომის მწარმოებლურობისა და კაპიტალის სიდიდის ზრდით. ამასთან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მოსახლეობის ზრდას, მატერიალურ წარმოებაში დასაქმების გადიდებას, ინვესტიციებს და გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ექსტენსიურ ზრდას. **ა. სმითს** მიაჩნდა, რომ მოსახლეობის ზრდა ენდოგენურია და დამოკიდებულია არსებობის საშუალებებზე. ასევე ინვესტიციები მიჩნეულ იქნა ენდოგენურად. მიწის ნაყოფიერება დაკავშირებული იყო არსებული მიწების ტექნოლოგიურ გაუმჯობესებასთან [140. 90].

ა. სმითის მიხედვით, შრომის მწარმოებლურობის ზრდის მთავარი პირობაა: შრომის დანაწილება და ტექნიკის სრულყოფა. ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ეკონომიკურ ზრდაზე **თომას მალთუსის** განსხვავებული თვალსაზრისი. მას მიაჩნდა, რომ მოსახლეობა თუ გაიზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებები არითმეტიკულით, დედამიწაზე იქნება ომები შეზღუდული რესურსებისათვის, ეპიდემიები, შიმშილი, მასობრივი დაავადებები და სხვ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას მალთუსი ხედავდა მოსახლეობის ზრდის შეჩერებაში.

დავიდ რიკარდომ წამოაყენა ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების თეორია, რომლის მიხედვით იზღუდება ეკონომიკური ზრდა. იგი ამ მოვლენას ორი მიზეზით ხსნიდა, ჯერ-ერთი, მიწა უფრო და უფრო გაძვირდებოდა და გამოიწვევდა მო-

გების შემცირებას და მეორე, გაიზრდებოდა ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც გამოიწვევდა მუშებისთვის უფრო მაღალი ნომინალური ხელფასის დაწესებას.

ცნობილია **კ. მარქსის** დამოკიდებულება ზრდის კლასიკური თეორიის მიმართ. მას მიაჩნდა, რომ ხელფასი განისაზღვრებოდა გარიგებით, რომელიც დაქირავებულის სასარგებლოდ არასდროს იქნებოდა შრომის სარეზერვო არმიის არსებობის გამო. კ. მარქსის მიხედვით მოგება და „სანედლეულო ინსტინქტი“ დანაზოგისა და დაგროვების განმსაზღვრელი ფაქტორებია. თუმცა მოგების კოეფიციენტის შემცირება მისი აზრით, არ იწვევს სტაბილურობას, პირიქით, დამქირავებლებს ასტიმულებს შეამცირონ ხელფასი და გაზარდონ უმუშევრობა.

ჯ. მილის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის მიხედვით, რომელშიც მან შეაჯამა კლასიკოსების შეხედულებანი, ეკონომიკის განვითარების საფუძველია კაპიტალის უწყვეტი დაგროვება [140.91].

კლასიკოსთა აზრით, კაპიტალის ზრდა იწვევს შრომაზე მოთხოვნის ზრდას, რაც მოსახლეობის სტაბილური რიცხოვნობის პირობებში განაპირობებს რეალური ხელფასის ზრდას, რომელიც გრძელვადიან პერიოდში მოსახლეობის ზრდას ასტიმულებს.

ეკონომიკური ზრდის თეორიაში დიდი წვლილი შეიტანა **ი. შუმპეტერმა** [183.65]. მისი აზრით, „განვითარების ფორმა და შინაარსი მდგომარეობს საწარმოო რესურსების ახალ კომბინაციაში“. ცნება „ახალი კომბინაცია“ მოიცავს 5 შემთხვევას: ახალი, მომხმარებლისათვის ჯერ კიდევ უცნობი დოვლათის ან ამა თუ იმ დოვლათის ახალი ხარისხის შექმნა; წარმოების ახალი მეთოდის (წესის) დანერგვა; გასაღების ახალი ბაზრის შექმნა; ნედლეულის ახალი წყაროების ათვისება; შესაბამისი რეორგანიზაციის განხორციელება (მათ შორის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის უზრუნველყოფა ან სხვა მონოპოლიის დათრგუნვა).

ეკონომიკური ცვლილებების აღნიშნულ კონკრეტულ ფორმებს ი. შუმპეტერი განიხილავდა, როგორც განვითა-

რებას. მან ეკონომიკურ მეცნიერებაში შემოიტანა **ცნება „ინოვაცია“** და ახლებურად შეაფასა მეწარმის როლი ეკონომიკურ ზრდაში. განვითარების მამოძრავებელ ძალად იგი მიიჩნევდა ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით იყო გამოწვეული, მაგალითად, მიწოდების ახალი წყაროების აღმოჩენა. ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეწარმეობრივ ნოვაციას. შუმპეტერის თეორიაში განვითარების მამოძრავებელი ძალა მეწარმე-ნოვატორია, რომლისთვისაც დამახასიათებელია გერგილიანობა, განჭვრეტის ნიჭი, რისკისადმი მიდრეკილება. სამეწარმეო საქმიანობის სტიმულად მიჩნეულია მონოპოლიური მოგება, რომელიც მიიღება ინოვაციური საქმიანობით. მონოპოლიას იგი თვლიდა დადებითად, თუმცა, მიაჩნდა, რომ ბაზარზე, სადაც „მეწარმეთა ბრბოა“, მონოპოლია მუდმივი არ იქნება. ი. შუმპეტერს მიაჩნდა, რომ ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა კრედიტის ხელმისაწვდომობა: რადგანაც კრედიტის გამოყენებისას საჭირო არ არის საწყისი კაპიტალის დაგროვება.

ეკონომიკური ზრდის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **კეინზის** მოდელს, რომლის განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია ეფექტიანი მოთხოვნა. ამით კეინზი დაუპირისპირდა კლასიკურ მიდგომას, რომელიც მიწოდების ფაქტორებს უპირატესობას ანიჭებდა. კეინზის მიხედვით, მთელი ერთობლივი მოთხოვნა შედგება მოხმარებისა და დანაზოგისაგან. ამასთან, ანგარიშგასაწევია ე.წ. ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომლის მიხედვით, შემოსავლის ზრდის კვალობაზე იზრდება დანაზოგისადმი მიდრეკილება. კეინზი თვლიდა, რომ აღნიშნული კანონის მიხედვით ადამიანები უპირატესობას აძლევენ დაზოგვას (ნაკლებ მოხმარებას), რაც მოთხოვნის შემცირებას იწვევს, რომელსაც, როგორც წესი, თან ახლავს წარმოების შემცირება. ეს კი ეკონომიკის ზრდის შეფერხებას განაპირობებს. კეინზმა თავისი მოსაზრების დასადასტურებლად გამოიყენა მეორე არგუმენტიც. კერძოდ, ჩათვალა რომ დანაზოგის მნიშვნელოვანი ნაწილი არ გამოიყენება აქტივების სახით, რომელსაც

შემოსავალი მოაქვს, არამედ შიდამეურნეობების ხელში გადადის და საინვესტიციო პროცესიდან ამოვარდნილია. კეინზის მიხედვით, მოკლევადიან პერიოდში დანაზოგი შეიძლება გაუტოლდეს ინვესტიციას, რაც მდგრადი განვითარების პირობაა. შემოსავლების ზრდით დანაზოგი შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ შესაბამისად ინვესტიციები – არა. ამ მოვლენას კეინზი ხსნიდა იმით, რომ დანაზოგებისა და ინვესტიციების შესახებ სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტები იღებენ გადაწყვეტილებას. კეინზის ეკონომიკური ზრდის თეორიაში მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეულია მულტიპლიკაციის პრინციპი. ეკონომიკური ზრდის მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, როგორ გავლენას ახდენს ინვესტიციების ზრდა წარმოებისა და შემოსავლების ზრდაზე.

მულტიპლიკაციური ეფექტი მიიღწევა იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს გამოუყენებელი სიმძლავრეები და გვყავს თავისუფალი მუშა ხელი. ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას. ეფექტისთვის მნიშვნელოვანია როგორი იქნება ინვესტიციების სტრუქტურა, რომელ დარგებში იქნება იგი გამოყენებული და როგორია მეწარმეობის ხელსაყრელი გარემო. თუ გადასახადები იზრდება, რეალური მულტიპლიკატორის სიდიდე მცირდება, თუ იმპორტი მნიშვნელოვნად სჭარბობს ექსპორტს, მაშინ ეკონომიკური სივრციდან ინვესტიციების გამოყენებით მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილის გაწოვა ხდება. ამრიგად, მულტიპლიკატორს შეუძლია, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, მეორე მხრივ, შეაფერხოს იგი. კეინზის მიდგომების მიხედვით, რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით მეტია ეროვნული შემოსავლის დაგროვება. თუ ქვეყანა ღარიბია, ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი მოიხმარება, რაც იწვევს ძლიერ მულტიპლიკაციურ ეფექტს. ასეთი მიდგომის საფუძველზე კეინზმა წამოაყენა მოსაზრება:

– ქვეყანაში შემოსავლების გადანაწილება მოხდეს იმათზე, ვისაც აქვს დანაზოგისადმი ნაკლები მიდრეკილება (ეს ხდება პროგრესული გადასახადებისა და ტრანსფერების გამოყენებით).

– საბაზრო პროცენტულ განაკვეთზე მონეტარული პოლიტიკით ისეთი ზემოქმედების განხორციელება, რომ მიღწეულ იქნეს ინვესტიციების მიმზიდველობა.

– აუცილებელია მნიშვნელოვანი სახელმწიფო ხარჯების გაწევა ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის მიზნით [140.102].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კეინზის მოდელი მიესადაგება მოკლევადიან პერიოდებს და დეპრესიულ ეკონომიკას. ამიტომ კეინზის მიმდევრებმა (რომლებიც ცნობილი არიან ნეოკეინსიალებად) მისი მოდელი განავრცეს გრძელვადიან პერიოდზეც. ამ მხრივ აღსანიშნავია **ჰაროდი-დომარის** მოდელი და **ე. ხანსენის** კონცეფცია [140.107]. აღნიშნულ მოდელში მთელი ყურადღება გადატანილია ინვესტიციებზე.

ეკონომიკური ზრდის თეორიაში დიდი წვლილი შეიტანა ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელმა **რ. სოლოუმ**.

რ. სოლოუს მოდელში ეკონომიკური ზრდა სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: წარმოების მოცულობა – შრომის ფაქტორი – კაპიტალის ფაქტორი – ტექნიკური პროგრესის ფაქტორი [140.120].

შრომის ფაქტორი განისაზღვრება მოსახლეობის ზრდის ტემპით, კაპიტალის ფაქტორი – დანაზოგის ნორმით, ტექნიკური პროგრესი-სიდიდით, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია სოლოუ-რეზიდიუმის სახით (ზოგიერთ წყაროში აღინიშნა „სოლოუს ნაშთით“). იგი მოიცავს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის იმ ნაწილს, რომელიც შეუძლებელია აიხსნას შრომისა და კაპიტალის ზრდით. მოდელის მიხედვით, აღნიშნული საწარმოო ფაქტორები ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამასთან, ბუნებრივი რესურსები როგორც ფაქტორი აღნიშნულ მოდელში ცალკე არ განიხილება, იგი შრომისა და კაპიტალის ფაქტორთა შემადგენლობაშია შეტანილი. ასევე მოდელში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს როლის მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში [140.123].

ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით პოპულარულია დაგროვების „ოქროს წესი“, რომელიც ამერიკელი მეცნიერის ე. ფელპსის სახელთანაა დაკავშირებული. მისი არსი

მდგომარეობს შემდეგში: თუ კაპიტალი საკმარისად დიდია, წარმოების მაღალი დონე გარანტირებულია, თუმცა, მისი დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება არა მოხმარებაში, არამედ დაგროვებაში. თუ კაპიტალი მეტად მცირეა, მაშინ მოიხმარება თითქმის ყველაფერი, რაც წარმოებული იყო. ამ ორ უკიდურესობას შორის უნდა მოინახოს საზოგადოებისათვის ოპტიმალური წერტილი, რომელშიც მიიღწევა მოხმარების მაქსიმალური მოცულობა. რ. სოლოუს მოდელიდან და დაგროვების „ოქროს წესიდან“ გამოაქვთ შემდეგი დასკვნა:

1. თუ ეკონომიკაში უფრო მეტი კაპიტალია დაბანდებული, ვიდრე მას შეიძლებოდა ჰქონოდა დაგროვების „ოქროს წესით“, აუცილებელია ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც შეამცირებს დანაზოგის ნორმას. ეს გამოიწვევს მოხმარების ზრდას და შესაბამისად ინვესტიციების შემცირებას. თუ ეკონომიკა ვითარდება მცირე კაპიტალური დაბანდებებით, ვიდრე „ოქროს წესით“ შეიძლებოდა განვითარებულიყო, საჭიროა დანაზოგის ნორმის ზრდის სტიმულირება, რაც გამოიწვევს მოხმარების დონის შემცირებას, ინვესტიციების ზრდას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მოხმარების ზრდას

2. შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდა შესაძლებელია, როგორც დაბადებულთა რიცხოვნობის ზრდით, ასევე ქვეყანაში მიგრანტთა რაოდენობის ზრდით.

3. მოსახლეობის ზრდა გავლენას მოახდენს ეკონომიკის განვითარების ტემპებზე, მაგრამ მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მოცულობა შემცირდება. რაც შეეხება დანაზოგის ნორმის გადიდებას, იგი ხელს შეუწყობს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდას, მაგრამ გავლენას ვერ მოახდენს მდგრად მდგომარეობაში ზრდის ტემპებზე. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ტექნიკური პროგრესი ერთადერთი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას მდგრად მდგომარეობაში (ე.ი. მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის ზრდა). თუმცა როგორ უნდა იქნეს ეს მიღწეული, მოდელში არ არის მინიშნებული [140.125].

ეკონომიკური ზრდის თეორიებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ინსტიტუციურ ასპექტებს. ამ პრობლემის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეს არ იყო შემთხვევითი. ამ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მხოლოდ ტრანსფორმაციული – წარმოების ფაქტორების წარმოების პროცესებში ჩართვასთან დაკავშირებული ხარჯები, არამედ ტრანსაქციური ხარჯებიც – ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირების ხარჯები, მაგალითად, ინფორმაციის მოპოვების, მოლაპარაკებების, კონტრაქტების გაფორმების, საკუთრების უფლების დაცვის და სხვ. საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამერიკელი მეცნიერი თ. **შელცის** აზრით, ინსტიტუტი არის ქცევის წესები, რომლებიც მოიცავენ ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, ორგანიზაციულ სტრუქტურებს, კონტრაქტებს, კოოპერაციას, საკუთრების უფლებას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას, მატერიალურ-ტექნიკურ ინფრასტრუქტურას [157.81]. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ზრდას აფერხებს ის, რომ მოქმედი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ნაწილი არაეფექტიანია, რაც განაპირობებს ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთმოქმედების დაბალ ხარისხს. ამიტომ თვლიან, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ინსტიტუციური სისტემა სუსტადაა განვითარებული, შესაძლებელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

ევოლუციური ეკონომიკური თეორია ეკონომიკურ ზრდას განიხილავს, როგორც ეკონომიკური სივრციდან ნაკლებად კონკურენტუნარიანი აგენტების (ფირმების) გამოდევნის შედეგს, ხოლო ტექნიკურ პროგრესს – ამ მიზნის მიღწევის საშუალებას. აღნიშნული თეორიის მიხედვით ანალიზისას ერთდროულად გამოიყენება მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მიდგომები. ნიშანდობლივია, რომ ევოლუციური მიდგომის მიხედვით ფართოდ გამოიყენება იმიტაციური კომპიუტერული მოდელები, რომლებიც უფრო რეალურ წარმოდგენებს იძლევიან განვითარების პროცესზე, ვიდრე ტრადიციული მეთოდები [140.166].

ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების თეორიების ევოლუციის ზოგიერთი თავისებურება, წარმოშობა, მიზანი, ევოლუციის მიზეზები, მათი როლი და ადგილი ეკონომიკურ განვითარებაში.

XX საუკუნის 50-იან წლებში ეკონომიკური განვითარების პროცესი განიხილებოდა, როგორც ეკონომიკური ზრდის თანმიმდევრული სტადიების სერია. განვითარება მიჩნეული იყო ეკონომიკური ზრდის მაღალი საერთო ტემპების სინონიმად. ამ მიდგომისას უყურადღებოდ რჩებოდა ღრმა სოციალური ინსტიტუციური ცვლილებები. მთელი ყურადღება გადატანილი იყო ინვესტიციებისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპების თანაფარდობაზე. ამერიკელი მეცნიერის **უ. როსტოუს** სახელთანაა დაკავშირებული ეკონომიკური ზრდის სტადიური თეორია, რომლის მიხედვით, ყველა ქვეყანამ უნდა გაიაროს გარკვეული სტადიები, რათა მომზადდეს შესაბამისი პირობები განვითარების მაღალ ტემპებზე გადასვლისათვის. ეს მოდელი წარმატებით იქნა გამოყენებული სამხრეთ კორეის ეკონომიკაში. XX საუკუნის 80-იან წლებში ამ ქვეყანაში ინვესტიციების წილი ეროვნულ შემოსავალში ყველაზე მაღალი იყო, რამაც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა [158.79].

XX საუკუნის 70-იან წლებში პოპულარული გახდა სტრუქტურული ანალიზის თეორია, რაც გულისხმობდა რაციონალისტური, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას მანამ, სანამ ქვეყანა გადავიდოდა შესაბამის ზრდაზე. ეს თეორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრარული ეკონომიკის გარდაქმნას განვითარებული დარგობრივი სტრუქტურის ეკონომიკად. თეორიის ძირითადი პრინციპები აისახა **ა. ლიუსის** ორსექტორიან მოდელსა და **ხ. ჩენერის** განვითარების ფორმების ემპირიულ ანალიზში. ა. ლიუსის შეხედულებით, სუსტად განვითარებული ქვეყანა ხასიათდება ეკონომიკის ორი სექტორით – ტრადიციული, ნატურალური სოფლის მეურნეობით, ჭარბი მუშახელით და ნულოვანი შრომის ნაყოფიერებით და ტრადიციულთან ერთად ეკონომიკაში ფუნ-

ქციონირებადი მაღალმწარმოებლური სექტორით – მრეწველობით. სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სამუშაო ძალის გადასვლა მოხდება მანამ, სანამ სოფლის ჭარბი მუშახელი მთლიანად არ დასაქმდება მრეწველობის ახალ დარგებში [178.82].

სტრუქტურული ცვლილებების **ხ. ჩენერის** მიერ დამუშავებული მოდელის მიხედვით, განვითარება არის ზრდისა და თანმდევი ცვლილებების ერთდროული პროცესი. ხ. ჩენერიმ სხვადასხვა ქვეყნების განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნები გამოავლინა. კერძოდ, სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში ეკონომიკური აქტივების გადატანა, კაპიტალის მუდმივი დაგროვება, სამომხმარებლო მოთხოვნის შეცვლა პირველადი მოხმარების საგნებიდან სხვადასხვა სამრეწველო ნაკეთობებსა და მომსახურებაზე მოთხოვნით. ასევე შესამჩნევია ქალაქებისა და მრეწველობის სწრაფი ზრდა, განათლების დონის ამაღლება და ა.შ. სტრუქტურული თეორიის ზოგიერთი დებულების სისწორეს ნაწილობრივ ადასტურებს იგივე სამხრეთ კორეის ეკონომიკის გარდაქმნების მაგალითი. აღნიშნული თეორიის შესაბამისად ქვეყანაში ჩატარდა მიწის რადიკალური რეფორმა. მრეწველობაში მიღწეულ იქნა ზრდის მაღალი ტემპები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო სოფლის ჭარბი მოსახლეობის მრეწველობაში დასაქმებით. სწრაფად გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაშიც.

გარე დამოკიდებულების თეორიის მიხედვით, განვითარებადი ქვეყნები განიხილება ისეთ საზოგადოებებად, რომლებიც შეზღუდულები არიან ინსტიტუციურად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად და მდიდარ ქვეყნებზე არიან დამოკიდებული. ამ თეორიის მიხედვით, ქვეყნის განვითარების ჩამორჩენილობა განიხილება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონეზე ძალთა თანაფარდობით, ეკონომიკაში სტრუქტურული და ინსტიტუციური დისპროპორციებით. ეს თეორია მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: დამოკიდებულების ნეოკოლონიალური მოდელი, განვითარების მცდარი პარადიგმა და დუალისტური განვითარების კონცეფცია.

პირველის მიხედვით, მდიდარი ქვეყნები ეწევიან პერიფერიის ექსპლოატაციას და უგულებელყოფენ მათ ინტერესებს, რაც ხელს უშლის სუსტი ქვეყნების განვითარებას. მეორე მიმართულების მიხედვით, ჩამორჩენილობა აიხსნება განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო სტრუქტურებში დასაქმებული კონსულტანტების არაკვალიფიციური რჩევებით, რომლებიც ამუშავებენ სხვადასხვა კონცეფციებს კონკრეტული პირობების გათვალისწინების გარეშე და ჩამორჩენილი ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკას არასწორად განსაზღვრავენ. რაც შეეხება მესამე მიმართულებას, იგი გამოხატავს დუალიზმს, რაც ნიშნავს მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების გაღრმავებას. ამ თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო საკუთრება ხელს უწყობს სიღარიბესთან ბრძოლას, დასაქმებას, ცხოვრების დონის ამაღლებას [178.90-91].

XX საუკუნის 80-იან წლებში ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოიკვეთა მიდგომა, რომლის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭებოდა ერთობლივ მიწოდებასა და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას. ქვეყნების განვითარებაში წარუმატებლობის მიზეზად მიჩნეულ იქნა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა. ამ თეორიის მხარდამჭერები გაძლიერდნენ საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებში (სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ.), მათი აზრით, ეკონომიკური ზრდა შეიძლება დაჩქარდეს მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პირობებში, როდესაც „უხილავი ხელით“ შეიძლება რესურსების რაციონალური განაწილება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თეორიის ძირითადი დებულებები საფუძვლად დაედო ე.წ. „შოკურ თერაპიას“ და განვითარების ლიბერალურ-მონეტარისტულ მოდელს, რომელიც საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურმა სტრუქტურებმა თავს მოახვიეს პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, ქვეყნების ეკონომიკის სუსტი განვითარება გამოწვეულია შიდა პრობლემებით, რასაც განაპირობებს სახელმწიფოს არაეფექტიანი პოლი-

ტიკა. მათი აზრით, განვითარებაში წარმატება მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პირობებშია შესაძლებელი. აღნიშნული თეორია მეცნიერებაში ცნობილია ნეოკლასიკურ კონტრრევოლუციად, რომელიც ემყარება შიდა ბაზრისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, უცხოური ინვესტიციების გამოყენებას.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რიგმა ეკონომისტმა-ნეოკლასიკოსმა და ინსტიტუციონალისტმა დაიწყო ზრდის ე.წ. ახალი თეორიის საფუძვლების შექმნა. ისინი შეეცადნენ ეკონომიკური ზრდის ტრადიციული თეორიის მოდიფიცირებას და გაფართოებას იმგვარად, რომ აეხსნათ, თუ რატომ ვითარდება ზოგიერთი ქვეყანა წარმატებულად, ზოგიერთი კი სტაგნაციაშია.

აღნიშნული თეორია ცნობილია ენდოგენური ზრდის კონცეფციის სახით, რაც გულისხმობს წარმოების შიდა ფაქტორების – მასშტაბის ეფექტი, ტექნოლოგიების სრულყოფა და ა.შ., ზემოქმედებით ეკონომიკურ ზრდას. კონცეფციის მიხედვით, **მეპ** ზრდა მიჩნეულია ხანგრძლივ პერიოდში წონასწორობის ბუნებრივ შედეგად. ახალი თეორიის მიმდევრების აზრით, ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში კაპიტალის გადაქაჩვა არაბუნებრივია, რაც იწვევს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავებების გაღრმავებას. ისინი ამტკიცებენ, რომ განვითარების პროცესში აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. აღნიშნული თეორიის ნაკლად თვლიან იმას, რომ მასში ყურადღება არ ექცევა განვითარებად ქვეყნებში ისეთი ფაქტორების არსებობას, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკურ ზრდას – არაეფექტიან ინსტიტუციურ სტრუქტურას, სუსტად განვითარებულ ინფრასტრუქტურას, საქონლისა და რესურსების არასრულყოფილ ბაზრებს და სხვ. [178.91].

ზემოაღნიშნული თეორიების (მიდგომების) პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების მოკლედ განხილვა და ფუძემდებლური პრინციპების შეჯერება გვაძლევს საშუალებას საერთო წარმოდგენა გვქონდეს ქვეყნების განვითარების თავისებურებებსა და ტენდენციებზე.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ტერმინებს **„ეკონომიკური განვითარება“** და **„ეკონომიკური ზრდა“**. ითვლება, რომ ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური კეთილდღეობის, წარმოების მოცულობის რაოდენობრივი ზრდაა. ეკონომიკური განვითარება უფრო ფართო ცნებაა, რამდენადაც მოიცავს წარმოების მასშტაბების არა მხოლოდ გაფართოებას, არამედ შეკვეცასაც, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებებს. იგი მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომელიც ასახავს ღრმა ცვლილებებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

საყოველთაო აღიარებით, **ეკონომიკური ზრდა** არის ეკონომიკის შესაძლებლობათა ზრდა აწარმოოს პროდუქტი, რომელიც ადამიანების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. დღესაც, როგორც ადრე, საზოგადოება ეკონომიკურ ზრდას განიხილავს, როგორც საკვანძო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზანს.

ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი **საიმონ კუზნეცი** მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური ზრდა არის „მეურნეობის შესაძლებლობის ზრდა უზრუნველყოს მოსახლეობის მრავალფეროვანი მოთხოვნილებები სულ უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მათი შესაბამისი ინსტიტუციური და იდეოლოგიური ცვლილებების მეშვეობით“ [178.108].

ს. კუზნეცის მიხედვით, თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნისთვის დამახასიათებელია ექვსი ნიშან-თვისება: სულადობრივი შემოსავლისა და მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპები; ფაქტორების და განსაკუთრებით შრომის მწარმოებლურობის ზრდის მაღალი ტემპები; ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის მაღალი ტემპები; საზოგადოების სოციალური და იდეოლოგიური ტრანსფორმაციის მაღალი ტემპები; განვითარებული ქვეყნების შესაძლებლობათა გაფართოება, რათა მოძიებულ იქნეს საზღვარგარეთ გასაღების ბაზარი და ნედლეულის წყაროები; ამგვარი ეკონომიკური ზრდის შედეგებით მოცულო უნდა იყოს მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი მაინც.

როგორც ჩანს, 1 და მე-2 მახასიათებელი მნიშვნელოვანი

რაოდენობრივი მაჩვენებლებია, მე-3 და მე-4 გამოხატავენ სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესს, მე-5 და მე-6 გვიჩვენებენ ეკონომიკური ზრდის საერთაშორისო მასშტაბებს.

ცნობილია ეკონომიკური ზრდის ორი სახე: **პოტენციური და ფაქტიური ზრდა.** პოტენციურს უწოდებენ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მოცულობის ისეთ ზრდას, რომელიც მიიღწევა ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენებით. ლიტერატურაში განხილულია ეკონომიკური ზრდის რამდენიმე ტიპი. **პირველი** – ეკონომიკური ზრდის ტიპი, რომელიც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილებებითა და შესაძლებლობებით ანუ ძირითადად მოსახლეობის ზრდის ტემპებით. ასეთი მიდგომისას იგულისხმება, რომ მოსახლეობის ზრდა იწვევს ბუნებრივ ეკონომიკურ ზრდას. გამოყოფენ ეკონომიკური ზრდის ბუნებრივ, გარანტირებულ და ფაქტობრივ ტიპებს.

მეორე, ფაქტორული მიდგომა. გამოყოფენ **ექსტენსიური და ინტენსიური** ზრდის ტიპებს.

მესამე, მწარმოებლური ძალების, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის თვალსაზრისით: ინდუსტრიულ პერიოდამდე, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული პერიოდის ზრდის ტიპები.

მეოთხე, მსოფლიო მეურნეობის გავლენით იმპორტშემცვლელ და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის ტიპები [140.19].

პრაქტიკაში ეკონომიკური ზრდის გაზომვას ორი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლით ახდენენ: **ა) რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპით და ბ) მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.** უპირატესობას მეორე მაჩვენებელს ანიჭებენ.

განსხვავებული შეხედულება აქვს პროფ. გიორგი მალაშხიას. იგი არ ეთანხმება მეპ-ის (მშპ-ის) დინამიკის მიხედვით ეკონომიკური ზრდის შეფასების ამჟამად დამკვიდრებულ

მიდგომას. მისი აზრით, მეპ-ის (მშპ-ის) დინამიკა მოკლევადიან ფაქტორებზეა დამოკიდებული და დიდად მერყევია. ამიტომ გვთავაზობს ქვეყანაში შექმნილი და დაგროვილი ეროვნული სიმდიდრის მიხედვით შევაფასოთ ეკონომიკური ზრდა. არგუმენტებად მოყავს ის, რომ მშპ შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე შემცირდეს მისი ადრე შექმნილი ნაწილის უფრო მეტი ოდენობით მწყობრიდან გასვლის გამო, ვიდრე მოემატა ახლად წარმოებული კაპიტალური სიმდიდრის სახით. მაშინ მსჯელობა ეკონომიკურ ზრდაზე არამართლზომიერია, მიუხედავად იმისა, რომ მშპ გაიზარდა. პირიქით, შესაძლოა გარკვეულ პერიოდში მშპ არ გაიზარდოს, მაგრამ ეროვნული სიმდიდრე გაიზარდოს ახლად შექმნილის მწყობრიდან გასულზე გადაჭარბების გამო. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას. თუმცა ეს იშვიათობაა, მაგრამ თეორიაში უნდა აისახოს. ამასთან, ჩვენ ვგულისხმობთ ეროვნული სიმდიდრის მოცულობას ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით. მაშასადამე, ეკონომიკის მიმდინარე შედეგის – მშპ და დაგროვილი ეროვნული სიმდიდრის დინამიკა ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს საყურადღებო მომენტია და არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, თუ მეცნიერული მსჯელობის სიზუსტე გვაინტერესებს (რაც აუცილებლად უნდა გვაინტერესებდეს). სტატისტიკური მონაცემების ბაზა ამჟამად ასეთ გაანგარიშებათა ჩატარებას ვერ უზრუნველყოფს [40.280-289].

თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, შემოთავაზებული მიდგომა რეალური მდგომარეობის შეფასების უფრო საიმედო კრიტერიუმია, რომლის გამოყენების პირობების განსაზღვრას მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რათა იგი სათანადოდ აისახოს სტატისტიკური ორგანოების საქმიანობაში.

ეკონომიკური ზრდის საფუძველზე შეიძლება მიღწეულ იქნეს ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. მაგალითად, სოციალური პროგრესი გამოხატავს ადამიანის, როგორც პიროვნე-

ბის, განვითარებას, მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონეს. მზარდ და ეფექტიან ეკონომიკას მეტი შესაძლებლობა გააჩნია დააკმაყოფილოს საზოგადოების ახალ-ახალი მოთხოვნილებები და გადაწყვიტოს თვისებრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ეკონომიკური ზრდა სოციალური პროგრესის საფუძველია. იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე მწარმოებლურ ძალთა ზრდის მეშვეობით. ნებისმიერ საზოგადოებაში ეკონომიკური ზრდა საზოგადოების სოციალური განვითარების პირობებს ქმნის. მთავარია ზრდის შედეგები სამართლიანად იქნეს განაწილებული.

უწინარეს ყოვლისა, პროგრესი მოხმარების სფეროში უნდა შეფასდეს მოსახლეობის ცხოვრების დონით (ხარისხით). ცნობილია, რომ ადამიანის მოთხოვნილებები ყალიბდება ცხოვრების სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი პირობების უშუალო ზეგავლენით. ისინი ორ გამსხვილებულ ჯგუფებად იყოფა: **განუყოფელ (აბსოლუტურ)** და **სოციალურად განპირობებულ (შეფარდებით)** ჯგუფებად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ადამიანის მოთხოვნილებები საკვებზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე. ისინი არსებობენ საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემისგან დამოუკიდებლად და ეკონომიკურ პროგრესს მათი უმეტესი ნაწილის დაკმაყოფილების ტენდენცია აქვს. მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდის კვალობაზე (როცა სამართლიანობის პრინციპს ეფუძნება) მოთხოვნილება საარსებო დოვლათიდან გადაინაცვლებს უფრო რთული და მრავალფეროვანი სახეობებისკენ, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიოლოგიურ და სულიერ სრულყოფასთან. ცნობილია, რომ შეფარდებითი მოთხოვნილებების უდიდესი ნაწილის ფორმირება ხდება წარმოების მეშვეობით. ახალი საქონლის და მომსახურების წარმოებასთან ერთად ეკონომიკური ზრდა წარმოშობს ახალ მოთხოვნილებებს და განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების ნაირსახეობებს.

6.2. ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და თავისებურებები

ეკონომიკური ზრდის ფაქტორების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გლობალური პროცესების გაღრმავების ფონზე მნიშვნელოვნად შეიცვალა ადრინდელი შეხედულებანი ეკონომიკური ზრდის ფაქტორების როლისა და ადგილის შესახებ. წარმოების კლასიკურ ფაქტორებთან (მიწა, შრომა, კაპიტალი) ერთად ფართოდ განიხილება სხვა მახასიათებლებიც. ეკონომიკური ზრდის ფაქტორებმა ახალი რეალობის შესაბამისი უფრო ღრმა და მასშტაბური ხასიათი მიიღო.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერების **პ. სამუელსონისა და ვ. ნორდჰაუსის** აზრით, ეკონომიკური ზრდა მშპ-ის პოტენციალის გაზრდას გულისხმობს [55.28]. მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპების ცნება. ამ მაჩვენებლით განისაზღვრება ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლება. მათი აზრით, ეკონომიკურ პროგრესს ოთხი ფაქტორი განსაზღვრავს. ესენია: ადამიანური რესურსები – შრომის მიწოდება, განათლება, დისციპლინა, მოტივაცია, ბუნებრივი რესურსები – მიწა, მინერალები, სათბობი, გარემოს ხარისხი; კაპიტალი – მანქანები, ფაბრიკები, გზები; ტექნოლოგია – მეცნიერება, საინჟინრო აზრი, მართვა, მეწარმეობა. როგორც ჩანს, სამ ტრადიციულ ფაქტორთან ერთად ტექნოლოგია განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღნიშნულ ფაქტორებს მიწოდების ფაქტორებს უწოდებენ.

ამერიკელი მეცნიერები **კ. მაკონელი და ს. ბრიუ** ზემოთ აღნიშნულ ოთხ ფაქტორთან ერთად გამოყოფენ ეკონომიკური ზრდის ორ ფაქტორს [39.473]: მოთხოვნის ფაქტორსა და ეფექტიანობის ფაქტორს, ამას ისინი ხსნიან იმით, რომ ზრდა, ჯერ-ერთი, დამოკიდებულია მოთხოვნაზე და მეორეც, საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენებისთვის საკმარისი

არ არის მხოლოდ რესურსების სრული ჩართვა ეკონომიკურ ბრუნვაში, არამედ საჭიროა მათი ყველაზე უფრო ეფექტიანი გამოყენება. ამერიკელი მეცნიერი **რ. სოლოუ** ეკონომიკურ ფაქტორებს შორის ცოდნას ცალკე გამოყოფს. **ე. დენისონმა** ჩამოაყალიბა ეკონომიკური ზრდის 23 ფაქტორი (რომელთაგან 4 მიეკუთვნება შრომას, 4 – კაპიტალს, ერთი – მიწას, ხოლო დანარჩენი 14 – მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს).

ეკონომიკურ ლიტერატურაში მეწარმეობითი უნარი და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ცალკე ფაქტორად განიხილება [86;127;181].

ეკონომიკური ზრდის ფაქტორები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. მაგალითად, შრომა უფრო მწარმოებლურია, თუკი ემყარება თანამედროვე მოწყობილობას და მასალებს გერგილიანი მეწარმის ხელმძღვანელობით კარგად აწყობილი სამეურნეო მექანიზმის პირობებში. ამიტომ ეკონომიკური ზრდის ამა თუ იმ ფაქტორის როლისა და ხვედრითი წონის ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ რთულია. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეს მსხვილი ფაქტორი კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა შემადგენელს, რაც ფაქტორების კომბინირების და მათი უფრო ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

გარე და შიდა ეკონომიკური ელემენტების მიხედვით შეიძლება გამოიყოს შიდა და გარე ფაქტორები, მაგალითად, ინვესტიციები იყოფა ქვეყანაში გარედან შემოსულად და ქვეყნის შიგნით მობილიზებულად, ხოლო ეს უკანასკნელი შეიძლება დაიყოს ქვეყნის შიგნით გამოყენებულად და ქვეყნის გარეთ გატანილად და ა.შ.

ეკონომიკური ზრდის შიდა და გარე ფაქტორების როლთან დაკავშირებით ლიტერატურაში ორი შეხედულება არსებობს. პირველი შეხედულება გამომდინარეობს **რ. სოლოუს** (აშშ) მიერ შემუშავებული ეგზოგენური ზრდის თეორიიდან, რომლის მიხედვით ზრდის ტემპი მხოლოდ დროებითაა დამოკიდებული ადამიანების ბუნებრივ მიდრეკილებაზე არსებობისაკენ და გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ამასთან ითვლება, რომ გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის ტემპები, რომელიც თავისი ბუნებით ეგზოგენური, ე.ი. გარეგანი წარმოშობის ფაქტორია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. მეორე შეხედულება ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ღია ეკონომიკური სისტემების პირობებში სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს დადებითი გავლენა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივად დამყარებულ ტემპებზე. ეს საფუძველს იძლევა განვიხილოთ მოცემული თეორია როგორც ენდოგენური ზრდის თეორია. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ორიენტირებულია კეთილდღეობის ამაღლების შიდა ფაქტორების გამოყენებაზე. ამასთან, იქმნება პროდუქციის გამოშვებასა და ინოვაციის ხარისხს შორის მდგრადი წონასწორობის დამყარების შესაძლებლობა კაპიტალის ბაზრით დაბალანსებული შეზღუდული რესურსების პირობებში. ამისათვის აუცილებელია მიზანმიმართული სელექციური სამრეწველო და ტექნოლოგიური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დარგთა სპეციალიზაციის განვითარების ოპტიმალურ დინამიკას და მათ შორის მაღალტექნოლოგიური დარგების სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში (მ. ტოდარო და სხვ.) მიჩნეულია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში მოქმედებს **ეკონომიკური ზრდის სამი ძირითადი ფაქტორი** (უფრო სწორი იქნება მათ პირობა-ფაქტორები ვუწოდოთ):

1. კაპიტალის დაგროვება, რომელიც მოიცავს წმინდა ინვესტიციებს მოწყობილობაში, მიწაზე და ადამიანურ რესურსებში;

2. მოსახლეობის ზრდა და მასთან ერთად გარკვეული ლაგით სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდა;

3. ტექნიკური პროგრესი [178.104].

კაპიტალის დაგროვება ნიშნავს მიმდინარე შემოსავლის დაზოგილი ნაწილის გამოყენებას მომავალი შემოსავლის გაზრდის მიზნით. გარდა პირდაპირი ინვესტიციებისა, დაბანდებები გამოიყენება სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში (გზები, ენერგეტიკა, კომუნალური მეურნეობა,

ტრანსპორტი). ასეთი ინვესტიციები უზრუნველყოფენ სათანადო პირობებს სამეურნეო საქმიანობისათვის.

პრაქტიკაში ფართოდ ხორციელდება ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში. ტ. შელცის აზრით, ადამიანისეული კაპიტალი ნიშნავს არა მხოლოდ პირდაპირ ხარჯებს განათლებაში, არამედ თვითგანათლებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ჯანმრთელობაში, მეცნიერებაში. სწორედ ამიტომ ადამიანისეულ კაპიტალში დაბანდებებით, შრომის მწარმოებლურობის ზრდას იგი განიხილავდა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ტ. შელცის მიდგომის მიხედვით „განვითარება“ განიხილება როგორც არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდის ტემპები, არამედ როგორც ინვესტიცია ადამიანისეულ კაპიტალში და სიღარიბის ლიკვიდაციაში [156.82]. ინვესტიციები ზრდის სამუშაო ძალის ხარისხს და უფრო მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.

მოსახლეობის და შრომითი რესურსების ზრდა ტრადიციულად განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების მასტიმულებელი ფაქტორი: რაც მეტია მუშა ხელი, მით მეტი საწარმოო შესაძლებლობები აქვს ქვეყანას და მით უფრო ფართოა მისი შიდა ბაზარი, თუმცა ჭარბი სამუშაო ძალის მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ყოველთვის არ არის პოზიტიური მოვლენა. მოსახლეობის ზრდის შედეგად ეფექტი დამოკიდებულია ეკონომიკური სისტემის უნარზე შექმნას სამუშაო ადგილები ახალი მუშაკებისათვის. ეს უნარი ხშირად დაკავშირებულია კაპიტალის დაგროვების ტემპებთან და წარმოების ისეთი ფაქტორების განვითარებასთან, როგორიცაა სამეწარმეო ინიციატივა და მენეჯერთა კვალიფიკაცია.

ტექნიკური პროგრესი არის საქონლის წარმოების ახალი, უფრო ეფექტიანი ხერხების გამოყენება. ლიტერატურაში გამოყოფენ ტექნიკური პროგრესის სამ ძირითად ნაირსახეობას: ნეიტრალურს, შრომადამზოგველს და კაპიტალდამზოგველს [178.106].

ნეიტრალურ ტექნიკურ პროგრესთან საქმე მაშინ გვაქვს,

როცა წარმოების ზრდა მიიღწევა ფაქტორთა დანახარჯების იგივე მოცულობისა და სტრუქტურის პირობებში. მისგან განსხვავებით, კაპიტალდამზოგველი და შრომადამზოგველი ტექნიკური პროგრესი წარმოების გაზრდის საშუალებას იძლევა რომელიმე ერთი ფაქტორის – კაპიტალის ან შრომის უცვლელი დანახარჯების პირობებში. მაგალითად, კომპიუტერები, ავტომატური საამქრო დაზგები და სხვ.

შრომამ, რომელიც სულ უფრო რთულდება და იყენებს სამეცნიერო მიღწევებს და ინფორმაციას, წარმოების წამყვან ფაქტორად აქცია სამეცნიერო- ტექნოლოგიური პროგრესი, რაზეც 1950-იან წლებში ერთ-ერთმა პირველმა ამერიკელმა მეცნიერმა რ. სოლოუმ გაამახვილა ყურადღება. მან აჩვენა, რომ 1909-1949 წლებში პროდუქციის გამოშვების ზრდის 80%-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე მოდიოდა. სოლოუს მიმდევარი ე. დენისონი, იყენებს რა 1929-1982 წწ. მონაცემებს, მიუთითებს ცოდნის დაგროვების პროცესზე, რომელიც ეკონომიკური ზრდის 2/3-ს უზრუნველყოფდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე. დანარჩენი 1/3 დაკავშირებული იყო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებასთან, პროდუქციის ერთეულზე წარმოების ფაქტორთა ეკონომიასთან წარმოების მასშტაბების ზრდის საფუძველზე, რომლის შესაძლებლობას იძლეოდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი [180.11].

თანამედროვე ეკონომიკური ზრდის ლიდერ ქვეყნებში ქალაქის ცხოვრება დომინირებული ხდება. მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის წილი: XX საუკუნის ბოლოსთვის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში მან 2-4% შეადგინა. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური ზრდის პირველ ეტაპზე იზრდებოდა მრეწველობაში დასაქმებულთა წილი. XIX საუკუნეში დაწყებულ ცვლილებათა პროცესს XX საუკუნის 1960-იან წლებამდე ინდუსტრიალიზაციას უწოდებენ. 1950-იანი წლებიდან აშშ-ში, შემდეგ კი სხვა განვითარებულ ქვეყნებში, მრეწველობაში დასაქმებულთა წილი შემცირებას იწყებს, იმეორებს რა სოფლის მეურნეობაში დასაქმების ცვლილებების ტენდენციებს. ამასთან,

მნიშვნელოვნად იზრდება მომსახურების სფეროში დასაქმებულთა წილი.

ყველა ქვეყანას არ აღმოაჩნდა მსოფლიო განვითარების რადიკალურად შეცვლილ რეალიებთან ადაპტირების, ეროვნული ინსტიტუტების შექმნის უნარი. ზოგიერთ მათგანში ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები უწინდებურად მიახლოებულია „უძრავი“ აგრარული საზოგადოებების მაჩვენებლებთან. ამიტომაც უკანასკნელ ორ საუკუნეში გაიზარდა განსხვავება, თანამედროვე ეკონომიკური ზრდის ლიდერ ქვეყნებსა და უღარიბეს ქვეყნებს შორის. XIX საუკუნის დასაწყისისათვის იმ დროისათვის უმდიდრესი ქვეყნის – ინგლისის სულადობრივი მშპ-ის თანაფარდობა უღარიბესი ქვეყნების სულადობრივ მშპ-სთან დაახლოებით 4 : 1 იყო. გასული საუკუნის დასასრულს ამგვარი თანაფარდობა აშშ-სა და აუტსაიდერ ქვეყნებს შორის შეადგენდა დაახლოებით 30 : 1. დროთა განმავლობაში ქვეყანათა სულ უფრო ფართო წრე იწყებს სულადობრივი წარმოების და მოხმარების დონეების გაზრდას, ერთვება გაღრმავებული სტრუქტურული ცვლილებების პროცესში. თუ დასავლეთ ევროპის უმსხვილეს ქვეყნებში თანამედროვე ეკონომიკური ზრდა იწყება XIX საუკუნის 20-40-იან წლებში, რუსეთსა და იაპონიაში – იმავე საუკუნის 80-იან წლებში, ინდოეთსა და ჩინეთში – XX საუკუნის 50-იან წლებში [124].

6.3. ეკონომიკური ზრდის ტენდენციები გარდამავალ პერიოდში

ეკონომიკური განვითარების პრობლემამ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მწვავე ხასიათი მიიღო. ეკონომიკური ზრდის ტრადიციული ფაქტორების მიხედვით ტრანსფორმაციული პროცესების განვითარება, რომელიც ერთიანი სამეურნეო კომპლექსის – საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის სპონტანურად დაშლისთანავე დაიწყო,

სტიქიურად წარიმართა. როგორც აღინიშნა, ეს მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო თეორიულად და მეთოდოლოგიურად სახელმწიფოს მოუმზადებლობა ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის. გზა გაეხსნა ილუზიებს ეკონომიკის მაქსიმალური ლიბერალიზაციის სწრაფად განხორციელების შესახებ. ანგარიში არ გაეწია იმას, რომ საბაზრო ეკონომიკა არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ბაზრის, არამედ ასევე შრომისა და კაპიტალის ბაზრების არსებობას გულისხმობს, რომ იგი ეფექტიანია განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის პირობებში.

საქართველომ გააკეთა პოლიტიკური არჩევანი – ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნა რადიკალური ლიბერალიზმის იდეოლოგიაზე დაყრდნობით. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ეკონომიკის მიზანშეწონილობის შესაბამისად ტრანსფორმირების გზა გამოირიცხა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1991 წლიდან სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი უფრო გაღრმავდა, ათეული წლობით ჩამოყალიბებული საგარეო და საშინაო ეკონომიკური კავშირების რღვევა გაძლიერდა, წარმოების მოცულობები კატასტროფულად შემცირდა, საფინანსო-საბიუჯეტო და ფულის მიმოქცევის სისტემები მოიშალა, ზღვარგადასულ მასშტაბებს მიაღწია ინფლაციამ. ფაქტობრივად ეროვნული ეკონომიკის ნგრევა დაიწყო. მთლიანმა შიდა პროდუქტმა 1994 წელს 1988 წლის მიმართ 27,8% შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ – 19,4%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ – 42,2%, კაპიტალური დაბანდების მოცულობამ 2,8%, ტვირთბრუნვამ – 33%. აღსანიშნავია ისიც, რომ 1994 წელს საქართველოში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დონე პირველად მიღწეული იყო 1954 წელს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა 1945 წელს, კაპიტალური დაბანდებების მოცულობა 1959 წელს, ტვირთბრუნვა – 1940 წელს. რადიკალურად შეიცვალა მშპ დარგობრივი სტრუქტურა, მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება.

განსაკუთრებით ეს აღინიშნა ენერგეტიკის, ქვანახშირის, მანგანუმის, კვების პროდუქტების წარმოების სფეროში (ცხრილები 6.2, 6.3).

ცხრილი 6.2

მშპ დონის შემცირების მაჩვენებლები (%)
(1990-2005 წლები)*

	1990	1994	2000	2003	2006
მშპ	100	27,8	38,1	46,8	59,4
მშპ დარგობრივი სტრუქტურა (%)					
მშპ სულ	100	100	100	100	100
მრეწველობა	24,7	17,1	13,5	12,8	14,9
სოფლის მეურნეობა	34,7	40,0	25,3	24,3	11,3
მშენებლობა	4,6	2,1	3,5	6,6	6,9
ტრანსპორტი	4,7	5,0	9,7	8,2	9,0
ვაჭრობა	2,5	5,0	12,2	12,6	14,1
რეალური მშპ შემცირების მაჩვენებლები დარგების მიხედვით					
მრეწველობა	100	19,4	20,9	32,7	34,4
სოფლის მეურნეობა	100	31,4	27,8	24,2	29,8
მშენებლობა	100	12,6	17,0	18,4	112,4
ტრანსპორტი	100	30,3	50,4	82,8	115,7
კავშირგაბმულობა	100	30,0	82,5	96,0	125,3
სულ მშპ	100	27,8	38,1	46,8	125,3

* გაანგარიშებულია www.statistics.ge და საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2004 (გვ.44-45) მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 6.3

საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება (1988-2006 წლებში)

მაჩვენებლები	1988	1995	2000	2004	2006	2006 1988 წლის მიმართ
1. ელექტროენერგია მლნ კვ/საათი	14599,7	7082	7451,3	6923,5	7599,2	50,7
2. ქვანახშირი ათასი ტონა	1426	42,6	7,3	8,1	10,6	0,7
3. ნავთობი (გაზის კონდენსატი)	185,6	42,7	109,5	97,6	63,5	34,2
4. მანგანუმი ათასი ტონა	1839	41,9	63,1	218,5	296,5	16,1
5. ცემენტი	1351	59	347,7	441,5	789,5	58,4
6. ქსოვილები, ათასი მ²	136952	2172,3	1218*	0,8	-	-
7. მინერალური წყლები ათ.ნახ.ლიტრი	333915	9403,9	72344,7	8168,4	156474	48,3
8. არაყი, ათასი დალი	429,0	102,6	439,4	425,3	776,5	181
9. ღვინო, ათასი დალი	15830	3669,6	1665,4	26662	2117,8	13,4
10. კონიაკი (ბრენდი), ათასი დალი	2209	157,9	71,3	193,0	151,6	6,9
11. ცქრიალა ღვინო, ათასი დალი	1954,5	49,2	87,7	163,8	136,9	7,1
12. ჩაი ნატურალური, ტონა	122584	4230	3014,7	4052,2	3481,6	2,8

წყარო:

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით

* 1996 წლის მონაცემი.

წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემის ფონზე კატასტროფულად გაიზარდა სამომხმარებლო საქონელზე ფასები, კერძოდ, 1992 წელს – 25-ჯერ, 1993 წელს – 92-ჯერ, 1994 წელს – 120-ჯერ, 1995 წელს – 57%. მოსახლეობის ფულადი

შემოსავლები გაიზარდა შესაბამისად: 1992 წელს – 3,4-ჯერ, 1993 წელს – 16-ჯერ, 1994 წელს – 38,6-ჯერ, 1995 წელს 4,5-ჯერ [71.15].

ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა უნიკალური სიტუაცია: არც გეგმა, არც ბაზარი, შეიქმნა ეროვნული სიმდიდრის განიავების (მიტაცების) ხელსაყრელი გარემო. ფაქტობრივად, ეკონომიკური ცხოვრება პარალიზებული და გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

1994 წლიდან ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელებით, 1995 წლიდან ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებით ეკონომიკის გამოცოცხლება დაიწყო. მოხერხდა ინფლაციური პროცესების რეგულირება – 1996 წელს მან 13,3% შეადგინა; გაიზარდა მშპ. მაგალითად, 1996 წელს მშპ-ს ზრდის ტემპმა წინა წელთან შედარებით 111,2% შეადგინა, 1997 წელს – 110,8%. 1998 წლიდან ნეგატიურმა მოვლენებმა განაპირობეს ზრდის მიღწეული ტემპების დაცემა. 1998 წელს ზრდის ტემპმა შეადგინა 102,9%, 1999 წელს – 103%, 2000 წელს – 101,8%, 2001 წელს – 104,8% 2002 წელს – 105,5%, 2003 წელს – 111,3%, 2004 წელს – 105,9%, 2005 წელს – 109,6% 2006 წელს – 109,4% შეადგინა. 2000 წელს მშპ 1990 წლის დონესთან მიმართებაში 38,1% შეადგინა, ხოლო 2006 წელს შესაბამისად – 59,4%.

ყველაზე მეტად დაზარალდა მატერიალური წარმოების სფერო. განახევრდა ელექტროენერგიის წარმოება, მკვეთრად შემცირდა ქვანახშირის, მანგანუმის, ასევე კვების პროდუქტების წარმოება და სხვ.

ამასთან, 2000 წლიდან მშპ ზრდის ტემპები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა (ცხრილი 6.4).

ეკონომიკური ზრდის ანალიზისას გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურება. ზრდის ამჟამად მიღწეული მაღალი ტემპებიც, ფაქტობრივად, ფართო გაგებით განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ამჟამინდელი ეკონომიკური ზრდა არის აღდგენითი, შეიძლება ითქვას. საკომპენსაციო ზრდა. ნიშანდობლივია, რომ

ცხრილი 6.4

რეალური მშპ დინამიკა 2000-2006 წლებში (1996 წ. ფასებით)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
მშპ (მლნ ლარი)	4618	4839,9	5104,8	5669,3	6001,4	6577,5	7194,7
მშპ ზრდა წინა წელთან (%)	1,8	4,8	5,5	11,1	5,9	9,6	9,4
მშპ ერთ სულზე (ლარი)	1041,2	1099,6	1167,8	1305,5	1390,8	1522,0	1634,7
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	131,2	109,8	167,3	340,1	499,1	449,8	1190,4
მშპ-ს ზრდა სექტორებში: მრეწველობა	3,2	-2,5	8,4	7,7	4,1	11,5	15,9
სოფლის მეურნეობა	-12,0	8,2	-1,4	10,3	-7,9	12,0	-9,6
მშენებლობა	4,0	10,3	43,1	46,6	35,9	14,1	9,8

წყარო: www.statistics.ge და საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი, 2007, გვ.13.

აღდგენითი ზრდის, როგორც ეკონომიკური მოვლენის, თავისებურებანი კომპლექსურად შესწავლილი არ არის. ყველა ქვეყანას, სადაც ამ მოვლენას აქვს ადგილი, განვითარების ადგილობრივი თავისებურებანი გააჩნია, რომლებსაც ეკონომიკურ პოლიტიკაში ხშირად არ ითვალისწინებენ. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ეკონომიკური განვითარების დონის ფაქტორი, რომელზეც გავლენას ახდენს საწარმოო ურთიერთობათა კონკრეტული ტიპი. საქართველოს პირობებში ზოგადად აღდგენითი პროცესის რამდენიმე მაგალითი შეიძლება დავასახელოთ. 1913 წელთან მიმართებაში, როცა რუსეთის იმპერიაში მიღწეული იყო ეკონომიკური განვითარების ყველაზე მაღალი დონე, 1921 წლის შემდგომი, ეკონომიკური განვითარების პერიოდი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკის განვითარება. ცნობილია, რომ 1948 წლისათვის საბჭოთა ეკონომიკამ ომამდელ დონეს მიაღწია. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში მაქსიმალურად (დიდი დანახარჯებით) იქნა გამოყენებული ეკონომიკური ზრდის

ტრადიციული ფაქტორები, განსაკუთრებით სამუშაო ძალა. ამასთან, გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმმა, რომელიც ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპებს ეფუძნებოდა. ამ გარე, არაეკონომიკურ ფაქტორს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს დღესაც. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აღდგენითი ზრდა ამოუწურავი არ არის, ის შედარებით მაღალი ჩანს წინა პერიოდში წარმოების მკვეთრად დაცემის ფონზე, და თუ შესაბამისი ფაქტორები, მათი ახალი კომბინაციები, დროულად არ ამოქმედდა, ინერციით გამოწვეული ტემპები დაეცემა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეფორმამდელი დონე (1990 წ.) დიდად ჩამორჩებოდა მაშინ განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. მაგალითად, 1985 წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში შეადგენდა აშშ-ის მაჩვენებლის 28,1%-ს, 1995 წელს იგი შემცირდა 5,5%-მდე.

მომავალში ეკონომიკური განვითარების კონტექსტში უნდა განვიხილოთ კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის განვითარების ორიენტაციას. ეროვნული ეკონომიკა გენეტიკურად საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ორგანული ნაწილი იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში ყველა ეროვნულ ეკონომიკას (რუსეთის ჩათვლით) განვითარების ხელისშემშლელი თითქმის ერთიდაიგივე, მემკვიდრეობით მიღებული ფაქტორები, აქვს. საბჭოთა ეკონომიკის ბაზაზე ფუნქციონირებად ეკონომიკებს მემკვიდრეობით უწევთ არა ე.წ. დამწევი ინდუსტრიული განვითარების ამოცანების გადაწყვეტა, რაც შეადგენდა საბჭოთა ეკონომიკის ისტორიული განვითარების თავისებურებას, როცა შეიძლებოდა ორიენტირად მიჩნეულ იყო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა, ფუნქციონირების პრინციპები, გამოცდილება, არამედ დამწევი პოსტსოციალისტური პოსტინდუსტრიული განვითარების ამოცანის შესრულება. როგორც ცნობილია, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიოში დაიწყო ახალი ტიპის – პოსტინდუსტრიული ეკონომიკის

ფორმირება, რომლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებს ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა, თუმცა მეცნიერთა აზრით, მისი დამკვიდრება მოსალოდნელია XXI საუკუნის 20-იან წლებში [127.9].

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არსებობს 3 ფაქტორი, რომლებიც განასხვავებენ დაწევის ზრდის ქვეყნების განვითარებას ლიდერი ქვეყნების მოძრაობის ტრაექტორიიდან [124]. **პირველი** – ლიდერებიდან დაშორება – (ეკონომიკური განვითარების დონე), **მეორე** – გლობალური განვითარების პირობები, რომლებსაც თავად ლიდერი ქვეყნები განსაზღვრავენ – აშშ-ის, იაპონიის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების როლი. **მესამე** – ეროვნული ტრადიციები, რომლებიც მემკვიდრეობითაა მიღებული არსებული აგრარული ცივილიზაციიდან. თუ როგორია ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის დისტანცია, კარგად ჩანს ცხრილიდან 6.5.

ცხრილი 6.5

მშპ-ის მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნებისა და რუსეთის მაგალითზე (მოსახლეობის ერთ სულზე)

ქვეყნები	წლები, რომლებშიც მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მოცულობა რუსეთის 2001 წლის მაჩვენებლების ტოლი იყო
აშშ	1935
ავსტრალია	1936
კანადა	1941
ახალი ზელანდია	1948
ინგლისი	1934
შვეცია	1944
გერმანია	1953
საფრანგეთი	1951
იტალია	1959

წყარო: Гайдар Е., Экономический рост и человеческий фактор, «Независимая газета», №81, 2004, стр.4.

ცხრილი 6.5-ში მოცემულ ტენდენციას ადასტურებს შემდეგი მოსაზრებაც. რუსეთი, რომელმაც XX საუკუნეში გადაიტანა ორი რევოლუცია, ორი იმპერიის კრახი, ორი მსოფლიო ომი, სამოქალაქო ომი, მსოფლიო ისტორიაში უჩვეულო ექსპერიმენტი (სოციალიზმი) XIX და XX საუკუნეებში განვითარების დონის მიხედვით კონტინენტალური ევროპის ქვეყნებს ჩამორჩა ორი თაობით (50 წელი). თუ დავუშვებთ, ამჟამინდელი დისტანციის შემდგომშიც შენარჩუნებას, 50 წლის შემდეგ ცხოვრების დონე, დასაქმების სტრუქტურა, ინფრასტრუქტურა დაახლოებით საფრანგეთის ან გერმანიის დღევანდელი მაჩვენებლების დონეზე იქნება [124]. ამ მოსაზრებას, რომელიც მეცნიერულ გამოკვლევებს ეყრდნობა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკაში ტრანსფორმაციული პროცესების ობიექტურად შეფასებისათვის. ეს იმიტომ, რომ ის, რაც რუსეთში უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ეკონომიკის განვითარების ზოგადი ტენდენციების სახით ჩამოყალიბდა, საფუძველს გვაძლევს საქართველოს ეკონომიკის განვითარების შეფასებისათვის. საქართველოს ეკონომიკა განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მაშინდელ განვითარებულ ქვეყნებს. პოსტსაბჭოთა პერიოდში, ერთიანი სამეურნეო კომპლექსის დაშლის ფონზე, ყოფილი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაც სისტემურ კრიზისში შევიდა და განვითარების დონით რამდენჯერმე ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს.

ზემოთ აღნიშნულიდან მართებულია გავაკეთოთ დასკვნა, რომ **აუცილებელია ქვეყნის განვითარების ე.წ. გარღვევის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, სხვანაირად, საქართველო მსოფლიოს განვითარების უპერსპექტივო პერიფერიად დარჩება.**

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებანი.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარებაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ გარე ფაქტორები. მაგალითად, მდგრადი დემოკრატია, განათლება, ჯანმრთელობა, ინფრასტ-

რუქტურული დარგები და ა.შ. ადამიანი ცენტრალური ფიგურაა არა მხოლოდ ეკონომიკურ პროცესებში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემაშიც. ამიტომ, ბუნებრივია, მისი პოტენციალის თანმიმდევრულად, დროის მოთხოვნების შესაბამისად, განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების ფაქტორთა სწორად შერჩევას და გამოყენებას. ეს კი განვითარების რთული პროცესის მიმართ ახალ მიდგომებს, მასშტაბურ ხედვას და მოცემულ დროში ლოკალური ამოცანების გადაწყვეტისათვის მზადყოფნის უნარს გულისხმობს. მომავალში მაინც სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, რომელიც ფაქტობრივად განისაზღვრება, ერთი მხრივ, ქვეყნის ბუნებრივი, საწარმოო, შრომითი რესურსებით, მეურნეობრივი თავისებურებებით, დემოგრაფიული სტრუქტურით, გეოეკონომიკური მდგომარეობით, ეკონომიკური პოტენციალით და სხვ. ფაქტორებით, და მეორე მხრივ, მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკით ჩამოყალიბებული ტენდენციებით, სახელმწიფოთაშორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივით. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თვისებრივად შეიცვალა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პირობები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებით (1999 წ.).

განვითარების საგარეო ეკონომიკური ფაქტორები. ეკონომიკური განვითარების (ზრდის) ხელშემწყობ პირობას საგარეო-ეკონომიკური ფაქტორი წარმოადგენს. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა და ამიტომ კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს. დავიწყოთ იმით, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ეკონომიკაზე მოდიოდა საბჭოთა კავშირში შექმნილი ეროვნული შემოსავლის 1,9%, სამრეწველო პროდუქციის მოცულობის – 1,7%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის – 1,6%, თუმცა, შრომის საკავშირო დანაწილების შესაბამისად, იგი აწარმოებდა მანგანუმის ფეროშენადნობების 85%-ს, ელმავლების – 60%-ს, ჩაის – 98%-ს, ციტრუსების – 99,9%-ს, ღვინის – 11%-ს. შიდა და გარე კავშირების ინტენსივობაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მაჩვენებლებიც. 1990 წელს მატერიალური წარმოების სფეროსათვის საქართვე-

ლოში შემოტანილ იქნა 6469 მლნ მანეთის პროდუქცია. ამავე წელს გატანილ იქნა 6084,2 მლნ პროდუქცია, სალდო შეადგენდა 384,8 მლნ მანეთს. მეტალურგიული კომპლექსის ნედლეულის – 70%, ქიმიური კომპლექსის – 95%, მოხმარებული ხე-ტყის – 97%, ცემენტის – 43%, ქაღალდის მრეწველობის ნედლეულის – 100%, ბამბის ბოჭკოს – 100%, სამკერვალო დარგისათვის ქსოვილები – 65,8%, ასევე სასურსათო პროდუქციის დიდი ნაწილი (ხორბლის – 70%, ხორცის – 45%, კარაქისა და შაქრის – 90%-ზე მეტი) საბჭოთა სივრცეში ცენტრალიზებული დაგეგმვის ჩამოყალიბებული მექანიზმებით, სამეურნეო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის, ტერიტორიული, დარგობრივი და შიდა დარგობრივი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური კავშირების ფართოდ გაშლილი სისტემით შემოდიოდა და მათი გადამუშავების შემდეგ პროდუქცია მიეწოდებოდა წინასწარ განსაზღვრულ პარტნიორებს [104.I.28]. ასეთი ეკონომიკური კავშირების უეცარი მოშლით ყოფილი რესპუბლიკების ეკონომიკათა ურთიერთგანპირობებულობის მაღალი დონე მკეთრად დაეცა, ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ფაქტობრივად, სამეურნეო სუბიექტების ურთიერთმოქმედების გარეშე დარჩა. ამიტომ, ყველგან და თითქმის ერთდროულად დაიწყო და გაღრმავდა ეკონომიკური ქაოსი. 1994 წელს რეფორმამდელ პერიოდთან (1990 წ.) შედარებით მკვეთრად დაეცა მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების დონე. იგი შემცირდა: საქართველოში – 28%-მდე, სომხეთში – 56%, აზერბაიჯანში – 48%, რუსეთში – 68%, უკრაინაში – 60%-მდე.

ფაქტობრივად იზოლაციაში მოქცეულ საქართველოს ეკონომიკაში, ახალ საფუძველზე, ასევე სტიქიურად დაიწყო ტრანსფორმაციის – ახალ რეალიებთან იძულებითი ადაპტაციის – მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესი[1].

1 საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკა თავისი პროდუქციით გარკვეულწილად წარმოდგენილი იყო მსოფლიო ბაზარზეც. მაგალითად, 1989 წელს საზღვარგარეთიდან საქართველოში იმპორტით შემოტანილ იქნა 1 420,5 მლნ მანეთის პროდუქცია, რომელიც ძირითადად გამოყენებულ იქნა სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში (ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა). ამავე წელს მსოფლიო ბაზრებს ექსპორტით მიეწოდა 361,7 მლნ მანეთის პროდუქცია.

ქვეყანა დადგა ურთულესი ამოცანების წინაშე: **ჯერ ერთი უნდა,** უზრუნველყო საკუთარი ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე განვითარება და **მეორე,** გაეძლიერებინა საგარეო ბაზარზე (რომელიც, ფაქტობრივად, რეგულირებადია) ეკონომიკური აქტიურობა. ორივე ამოცანა მოითხოვდა ქვეყნის გარდაქმნის ერთიანი პროცესის მიზანმიმართულ რეგულირებას, თანაც ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში შესვლის ყველა თავისებურების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო საქართველო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფუნქციის შესასრულებლად მზად არ აღმოჩნდა. ეს შეიძლება ავხსნათ რიგი გარემოებებით.

პირველი, ეკონომიკური განვითარების ახალ პრინციპებზე გადასვლა მოითხოვდა მსოფლიოში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში მიმდინარე გლობალური პროცესებისა და ნაკადების ობიექტურ ანალიზს და შესაბამისად, მათთან ეროვნული ეკონომიკის ადაპტირების სწორი სტრატეგიის შემუშავებას. გარდაქმნების სასტარტო ეტაპზე მოქმედების დაწყებამდე ყოველმხრივ გააზრებული უნდა ყოფილიყო, თუ როგორ გეოეკონომიკურ სივრცეში მოუწევდა ფუნქციონირება მომავალ ეროვნულ ეკონომიკას. სწორედ ასეთი მიდგომა უნდა დადებოდა საფუძვლად ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ სტრატეგიას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საკუთარი ეკონომიკის განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების ყოველმხრივ გაცნობიერება და მომავალი ეკონომიკური მოდელის ფუძემდებლური პრინციპების სწორად არჩევა. ორიენტაცია არა რეფორმების საბაბით ქვეყანაში შექმნილი დოვლათის განიავებაზე, არამედ მისი ნაბიჯ-ნაბიჯ და მისხალ-მისხალ განმტკიცება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანამ ვერ შეძლო აღნიშნული ამოცანის შესრულება. ლოგიკური შედეგიც დადგა – ეკონომიკის სისტემური კრიზისი.

მეორე, საქართველომ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებშიც მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, რომელმაც განსაზღვრა საგარეო-ეკონომიკური ფაქტორის ნეგატიური გავლენა ქვე-

ყანაში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით განვითარების ტემპებზე.

ცნობილია, რომ საბჭოთა ეკონომიკა და მისი ნაწილი, საქართველოს ეკონომიკა, ხელოვნურად იყო ჩამოცილებული მსოფლიო მეურნეობას. XX საუკუნის 80-იან წლებში საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირში წარმოებული ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 5-6%. ქვეყანა, რომელზეც მოდიოდა მსოფლიო ტერიტორიის 1/6, მოსახლეობის 1/15 ნაწილი, საგარეო ვაჭრობაში წარმოდგენილი იყო 2-3% [148.378]. ამასთან, საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი იყო **ორი პარამეტრი – სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ექსპორტი და საწარმოო და სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტი**. თუ 1986 წელს საბჭოთა კავშირის სავაჭრო უარყოფითი ბალანსი შეადგენდა 11 მლრდ აშშ დოლარს, 1990 წელს მან მიაღწია 30 მლრდ აშშ დოლარს, 1991 წელს – 65 მლრდ დოლარს. მისი მომსახურების ხარჯები გაიზარდა 20 მლრდ დოლარამდე [148.381]. დაშლილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრის ფუნქცია რუსეთის ფედერაციამ იკისრა. მის სტრატეგიულად სწორ მოქმედებაზე ბევრად იყო დამოკიდებული საბჭოთა იმპერიის ნამსხვრევებზე ახლად ფორმირებადი სახელმწიფოების სწორი პოლიტიკური ორიენტაცია და ეკონომიკური გარდაქმნების პრინციპების განსაზღვრა-არჩევა. დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების – საბჭოთა კავშირის დაშლის დაჩქარების წარმატებული იდეოლოგების – ზეწოლით, (თუ მათთან გარიგებით) რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიის საფუძვლად აღიარა „შოკური თერაპია“, მის შესაბამისად განახორციელა, როგორც შინ, ასევე გარეთ, კერძოდ, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ლიბერალიზაციის და საერთოდ, ეკონომიკური საზღვრების გახსნის პოლიტიკა.

რუსეთმა მიიღო რა საბჭოთა ეკონომიკის მემკვიდრის სტატუსი, დაიწყო ახალი სტრატეგიის განხორციელება: ლოზუნგით „რუსეთმა უნდა შეიძინოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა“. ფაქტობრივად, რუსეთი შეუდგა ერთდროუ-

ლად ორი ამოცანის განხორციელებას: „კაპიტალისტური საზოგადოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრება“-ს („შოკური თერაპია“) და რუსეთის მიერ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას დამოუკიდებლად სხვა მოკავშირე რესპუბლიკების პოზიციებთან კავშირის გარეშე.

ასეთმა ეკონომიკურმა სტრატეგიამ რუსეთში თუ რა შედეგები მოიტანა, შეიძლება სხვადასხვა ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ. „რუსეთში „შოკურმა თერაპიამ“ შოკირებული ჩავარდნა განიცადა“ (დ. მაკლი. ამერიკელი პროფესორი), „რჩევები და დახმარება, რომლებიც დასავლეთიდან მოდიოდა, რუსეთს უბიძგებდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის დაბნეულობის გამო არასწორი მიმართულებით განვითარებულ იყო“ (სოროსი). „რუსეთის რეფორმა, ფაქტობრივად, უდიდესი და წინასწარ გაუთვლელი უბედურება იყო“ – ამბობს ჯ. საკსი, რომელიც დასავლეთმა ელცინ – გაიდარის მთავრობის პირველ მრჩევლად მოავლინა. „რუსეთში რეფორმების პერიოდი იყო ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების დამანგრეველი ფაზა“ – გულწრფელად აღიარებს ეკონომიკური რეფორმების ერთერთი იდეოლოგი, რუსეთის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ე. იასინი [148.112-115].

რუსეთში მიმდინარე პროცესების წინააღმდეგობრივი ხასიათი, ბუნებრივია, აისახა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტრანსფორმაციულ გარდაქმნებზე.

საქართველო გამონაკლისი არ იქნებოდა. მით უმეტეს მასაც, როგორც სხვებს, ახალ პირობებში განვითარების (გარდაქმნების) სწორად გააზრებული კონცეფციაც არ გააჩნდა. გარდა ამისა, თითოეული მათგანი, ახალ მემკვიდრესთან ერთად, მანეთის (რუბლის) ერთიან სივრცეში იმყოფებოდა. მანეთის როლს სამართალმემკვიდრე ერთპიროვნულად განსაზღვრავდა.

ურთიერთობათა ასეთ სიტუაციაში, რეფორმატორების ამბიციებით მოსულმა პოლიტიკოსებმა, როგორც გარკვეულწილად ინერციით, ასევე „შოკური თერაპიის“ იდეოლოგთა უშუალო ზემოქმედებით, რუსეთის „გამოცდილებაზე“ აიღეს

ორიენტაცია და უმოკლეს ვადაში „შოკური თერაპია“ საქართველოშიც ამოქმედდა.

იმისათვის, რათა მკითხველი დარწმუნდეს იმაში, რომ წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი ავტორი საკუთარ პოზიციას „ურმის გადაბრუნების“ შემდეგ არ აყალიბებს (სამწუხაროდ, ცალკეული პოლიტიკოსებისა და მეცნიერთა ასეთი მცდელობები საქართველოს საზოგადოებისათვის უცხო არ არის), საჭიროდ ვთვლით, 1993 წელს გამოქვეყნებული ჩვენი მონოგრაფიიდან ერთი ამონარიდი წარმოვადგინოთ: **„შოკური თერაპია“ ეკონომიკური დოქტრინაა – იდეოლოგიზებულია, რევოლუციურია. მას კატეგორიულად უჭერს მხარს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ბანკი. მათი დაჟინებით ეს დოქტრინა რუსეთს თავს მოახვიეს, შემდეგ კი საქართველოს რეფორმატორთა მეშვეობით მან ჩვენთან დაიდო ბინა... საძრახისი არ არის, რომ ცივილიზაციის გამოცდილებას ეზიარები და მას ეფექტიანად გამოიყენებ, მაგრამ, როცა კარგად არ იცნობ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებს, შესაძლებლობებს და მის სხეულზე ცდილობ უცხო სხეულიდან ამოგლეჯილი ქსოვილის გადანერგვას, დაფიქრება გვმართებს“** [101.24].

მკითხველმა თავად განსაჯოს, რომელი პოზიციაა უფრო სწორი. ისე კი უფრო უპრიანია არბიტრად მოვიწვიოთ **ჯ. საქსი,** რომელიც რეფორმატორებისათვის აღიარებული ავტორიტეტია. იგი 1995 წელს გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ (№28) გულწრფელად აღიარებს: „როცა რუსეთში შევუდექით რეფორმებს, თავს ვგრძნობდით ექიმებად, რომლებიც მოიწვიეს ავადმყოფის საწოლთან. მაგრამ, როცა ავადმყოფი დავაწვინეთ საოპერაციო მაგიდაზე, უცბად აღმოვაჩინეთ, რომ მას სულ სხვა ანატომიური აგებულება და შინაგანი ორგანოები ჰქონდა, რომლებიც ჩვენს სამედიცინო ინსტიტუტში არც გვისწავლია“. მკითხველი თავად მიხვდება, თუ როგორი პროფესიონალი „დასტაქრები“ ცდილობდნენ დემოკრატიის გზაზე დამდგარი ქვეყნების ეკონომიკის „გაჯანსაღებას“. სამწუხარო ისაა, რომ სხვებთან ერთად, მაგრამ გამოკვეთილი გენეტიკური ხელწერით („უცხო ბაძი“) საქარ-

თველო ენდო შემოთავაზებულ „რეცეპტებს“ და მან საკუთარი ეკონომიკის სწრაფი თვითგანკურნების ილუზიებით ქვეყნის განვითარებაში დიდი ჩამორჩენა დაუშვა. აქვე შევეხებით ერთ „ნიუანსს“, რომელიც ისტორიული განვითარების გზაჯვარედინზე მკრთალად იჩენს თავს, მაგრამ ისტორიულ მეხსიერებაში მაინც რჩება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XX საუკუნეში საქართველომ რამდენიმე ეკონომიკური დოქტრინა გამოსცადა, მაგრამ ყველაზე დიდხანს მაინც მარქსიზმ-ლენინიზმი „ცხოვრობდა“. თუმცა მას, როგორც გარდაქმნებმა გვიჩვენა, სერიოზული პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და, რაც არსებითია, ეკონომიკური ბაზა – ნიადაგი არ ჰქონია საქართველოში. იგი ორგანიზაციული პრინციპების კომბინაციებით აგებულ პოლიტიკურ მექანიზმს უფრო ეყრდნობოდა და ამით იხანგრძლივებდა დომინირებად მდგომარეობას. მოსახლეობა კი საკუთარი „ფილოსოფიით“ ცხოვრობდა. საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებისაგან ცხოვრების შედარებით მაღალი დონით აშკარად გამოირჩეოდა. ამის მიზეზად საქართველოს მოსახლეობის ანტისოციალისტური წესებით ცხოვრების (ძირითადად კერძო მესაკუთრული ტენდენციების გაძლიერებას) „მოდელს“ თვლიდნენ.

ასეთმა „არასოციალისტურმა“ საქართველომ თავის სტრატეგიად უყოყმანოდ აღიარა და დაუჭირა მხარი მისთვის უცნობ პროამერიკულ დოქტრინას „შოკურ თერაპიას“. გერმანულ-რუსული აზროვნების წიაღში აღმოცენებული დოქტრინა (მარქსიზმ-ლენინიზმი) ახალი, მაგრამ არა კონტინენტალური, არამედ პლანეტარული იდეოლოგიით შეიცვალა და მთელმა საქართველომ სახელმწიფო ფორმას ამოფარებული ეროვნული სიმდიდრის უმოწყალოდ და მისხალ-მისხალ ძარცვა დააჩქარა. ამ პროცესის პოლიტიკური და სოციალური შედეგები მრავლის მთქმელია. თავად „ნიუანსი“ (პრობლემა) ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს, რათა მომავალში ჩვენს ისტორიულ გაკვეთილებზე სხვებმაც ისწავლონ.

საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების პრაქტიკამ თითქმის ყველა დაარწმუნა იმაში მაინც, რომ ქვეყნის ეკო-

ნომიკური დამოუკიდებლობა სრულებით არ ნიშნავს სხვა ეროვნული ეკონომიკებიდან გამოცალკავებას. პირიქით, ინტეგრაციული კავშირების გაღრმავება-გაძლიერება თავად ობიექტური პროცესია. ამას ადასტურებს, როგორც გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესების ამჟამინდელი ტენდენციები, ისე რესურსებისა და მართვის სისტემების გაერთიანებით ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების სამეურნეო გამოცდილებაც.

გარდაქმნების განვლილი პერიოდი ხასიათდება საგარეოეკონომიკურ ურთიერთობებში ჩამოყალიბებული წინააღმდეგობრივი ტენდენციებით. ეს მოსალოდნელიც იყო. ამჟამად საქართველო ჩართულია მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში.

2006 წელს ექსპორტმა შეადგინა 992 მლნ აშშ დოლარი და 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 3-ჯერ. ამავე პერიოდში იმპორტი გაიზარდა 5,1-ჯერ და 3677,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის სტრუქტურაში კვლავაც დომინირებს შავი ლითონის ჯართი, მასზე მოდის 7,3% (72,4 მლნ აშშ დოლარი). [49.ივლისი, 2007. 43-44]. აღსანიშნავია, რომ 2000-2006 წლებში ქვეყნიდან გატანილ იქნა 500 მლ აშშ დოლარის ღირებულების შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი. ამ მონაცემებში ფაქტობრივად აისახა პრივატიზაციასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები. იაფად შეძენილი ან მიტაცებული ძირითადი საწარმოო კაპიტალის დიდი ნაწილი ჯართის სახით გადის ქვეყნიდან.

შავი ლითონის, ჯართის, ხე-ტყის ექსპორტი ხელს უწყობს ჯერ კიდევ არსებული დანადგარ-მოწყობილობების, მათ შორის მისი ვარგისი ნაწილის და ნედლეულის ქვეყნის გარეთ გაზიდვას. ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფო ასტიმულებს ეროვნული სიმდიდრის განიავებას და არ იღებს საჭირო ზომებს საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოებისათვის.

რაც შეეხება იმპორტს, მის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ობიექტურად უჭირავს ნავთობსა და ნავთობპროდუქ-

ტებს (12%), სამკურნალო საშუალებებს (3,1%). ჯერ კიდევ დიდია სასურსათო პროდუქციის წილიც (მარცვალი, შაქარი). იმპორტის სტრუქტურა სრულყოფას საჭიროებს. უპირატესობა უნდა მიეცეს იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების გადიდებას. პირველ რიგში, იგი ეხება იმ პროდუქციას, რომლის უფრო იაფად წარმოების ბუნებრივ-საწარმოო პირობები საქართველოს გააჩნია – ბოსტნეულის, ხილის, ყვავილების, მარცვლის, რძისა და ხორცის წარმოებას.

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში განვითარებულ და განვითარებად (გარდამავალი ეკონომიკის) ქვეყნებს შორის ურთიერთგანპირობებულობის ტენდენციების მაჩვენებელია საგარეო ვალის დინამიკა, მისი გამოყენების ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რა მიზანს ემსახურება, რამდენად დამოკიდებული ხდება ქვეყანა უცხოეთის კაპიტალზე. საქართველოში საგარეო ვალი ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 1995 წელს შეადგენდა 1149,7 მლნ აშშ დოლარს, 2000 წელს – 1556,1 მლნ დოლარს, 2003 წელს – 1753,8 მლნ დოლარს, 2006 წელს 1700 მლნ აშშ დოლარს. საგარეო ვალმა (წმინდა მიმდინარე ღირებულება) პროცენტულად ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგინა: 2000 წელს – 38,9%, 2003 წელს – 39,6%, 2005 წელს – 22,9%, 2006 წელს – 19,8%. შესაბამისად, იცვლებოდა საგარეო ვალის მომსახურების მაჩვენებელი. მაგალითად, 2000 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა მთლიანი ექსპორტიდან 9,1%, 2003 წელს – 4%, 2004 წელს – 6,5%, 2006 წელს – 6,0% [60.ივლისი, 2007.16].

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მონაწილეობის დონეს განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების მოცულობა, მათი გამოყენების მიზნობრივი ხასიათი. 2006 წელს პირდაპირმა უცხოურმა წმინდა ინვესტიციებმა შეადგინა – 1094,0 მლნ აშშ დოლარი [60. ივლისი, 2007.15].

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის კონტექსტში, როგორც პოზიტიური მოვლენა, აღსანიშნავია განვლილ პერიოდში ქვეყანაში განხორციელებული საერთაშორისო პროექტების მნიშვნელობა.

საერთაშორისო პროექტების „სატრანსპორტო დერეფანი“ და „ენერგეტიკული დერეფანი“ - განხორციელებით საქართველო (სამხრეთ კავკასიის რეგიონი) უკავშირდება ევროპის ქვეყნებს. მათ შორის ჩამოყალიბდა ეკონომიკური თანამშრომლობის ინტეგრაციის ახალი ფორმები. საქართველოს მთავარი ინტერესი ქვეყნის ენერგეტიკული და სატრანსპორტო უსაფრთხოებაა, რომელიც ამავდროულად კავკასიის საბაზრო სივრცის წარმატებით ფორმირების გარანტიცაა. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“„ გაზსადენის მშენებლობაზე საქართველოს ტერიტორიაზე (249 კმ) გათვალისწინებული იყო 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციების დაბანდება. გარდა ამისა, საქართველო, ფაქტობრივად, ხდება გაზის მომხმარებელი ქვეყანა. იგი მიიღებს გატარებული გაზის (საპროექტო სიმძლავრე 30 მლრდ მ³) მოცულობის 5%-ს (1,5 მლრდ მ³) უფასოდ, ხოლო 20 წლის განმავლობაში შემცირებულ ფასებში ყოველწლიურად შეიძენს დაახლოებით 500 მლნ მ³ გაზს. აღნიშნული პროექტების განხორციელებით საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ფინანსური წყარო იქმნება. კერძოდ, ნავთობსადენის ექსპლუატაციიდან ქვეყნის ბიუჯეტი ყოველწლიურად მიიღებს 66 მლნ დოლარს, ხოლო გაზსადენიდან 175 მლნ დოლარს. ნიშანდობლივია, რომ ამ პროექტების განხორციელებაში საქართველოს ინვესტიციები არ მონაწილეობს.

აღნიშნულ პროექტებს დიდი გეოეკონომიკური მნიშვნელობაც აქვთ. ფაქტობრივად, ახალ სივრცეში საქართველო იძენს საერთაშორისო ფუნქციას, იგი შეასრულებს არა „დერეფნების“ დარაჯი ქვეყნის როლს (როგორც ამას მავანი ამტკიცებს), არამედ საერთაშორისო შემოსავლების განაწილებაში აქტიური სუბიექტის ფუნქციას. ნებისმიერი ქვეყნისათვის ასეთი სტატუსის მოპოვება უმთავრესი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანია. საბედნიეროდ, საქართველოს ამ მიზნის განხორციელების რეალური შანსი გაუჩნდა. მთავარია, ეს სტრატეგიული შესაძლებლობა (რეზერვი) მაქსიმალური ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული.

აღნიშნული პროექტების წარმატებული რეალიზაცია ქვეყანას უქმნის მყარ საფუძველს უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის მიწოდების წყაროების დივერსიფიცირება, გააძლიეროს საკუთარი ენერგეტიკული და სამრეწველო პოტენციალი და მათზე დაყრდნობით დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, რათა მიზანმიმართულად უზრუნველყოს ევროკავშირში შესვლისათვის დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრულ პარამეტრებთან მიახლოება. ამჟამად ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონე დიდად ჩამორჩება ევროკავშირში სრული ინტეგრაციისთვის რეკომენდებულ მაჩვენებლებს. მაგალითად, ევროკავშირში შემსვლელი კონკურენტი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მაჩვენებლის – მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში მრეწველობას უნდა ეკავოს 23-25% (ამჟამად საქართველოში 13,3 % უჭირავს), სოფლის მეურნეობას 7-8% (ამჟამად 16%). მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე უნდა იყოს არანაკლებ 4900 ევრო, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი საქართველოში 2006 წელს შეადგენდა 1634,2 ლარს. რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ პროექტებზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ მათი განმსაზღვრელი როლი დიდია ეფექტიანი ეროვნული ეკონომიკური სისტემის შექმნაში. სტრატეგიული ამოცანის შესრულებაში საქართველომ რაციონალურად და მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრის უფლება-მოვალეობები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სათანადო სრულყოფას. ეს რთული ამოცანაა. იგი მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით ვერ განხორციელდება. განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, რაშიც იგულისხმება ვმო-ს კანონმდებლობასთან ქვეყნის კანონების ჰარმონიზაცია, ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების, მეურნეობრიობის პრინციპების, ტრადიციების გათვალისწინება და ა.შ.

აქვე აღვნიშნავთ იმ მეთოდოლოგიური თავისებურების შესახებ, რომელიც პოსტსოციალისტურ სივრცეში ეკონო-

მიკის ტრანსფორმაციულ პროცესებს თან ახლავს, მაგრამ მას ყველგან და ყოველთვის ივიწყებენ. საკითხი ეხება მომავალი საბაზრო ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას, კერძოდ, როგორი უნდა იყოს იგი. ბაზარმა თავად იცისო, თუ როგორი იქნება დარგობრივი სტრუქტურა, იტყვიან საბაზრო მექანიზმების ყოვლისშემძლეობის მეხოტბენი. სოციალისტური ეკონომიკის ფორმირება-ფუნქციონირების გამოცდილების ინერციით ჩამოყალიბებული პოზიცია ზემოთ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას სახელმწიფოს აკისრებს. ორივე პოზიციას, რა თქმა უნდა, არსებობის უფლება აქვს, მაგრამ, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პირობებში არც ერთი გამოდგება და არც მეორე. უფრო ლოგიკურია მათი სინთეზის საფუძველზე „უწყებრივდარგობრივი“ მიდგომიდან, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკური სისტემისათვის თითოეული პროდუქციის (ტრადიციულის თუ ახლის) კონკურენტუნარიანობისა და გასაღების რეალური ბაზრის შესაბამისად, მხარდაჭერის ე.წ. წერტილოვანი მიდგომაზე გადასვლა, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციათა მომავალი „ნომენკლატურის“ ჩამოყალიბებას. ეს კი მომავალ საბაზრო პრინციპებს მორგებული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების საფუძველი გახდება. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ „უხილავი ხელის“ ან მხოლოდ „ხილული ხელის“ ცალმხრივი მოქმედებით საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი სტრუქტურა ვერ ჩამოყალიბდება.

ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ისეთი ფაქტორი, როგორიცაა რეგიონულ ეკონომიკურ ალიანსებში ინტეგრირება, ჯერჯერობით არაეფექტიანად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს საქართველოს საგარეოსავაჭრო ბრუნვის 38,2% დსთ-ის ქვეყნებზე მოდის, თვით დსთ, როგორც „საერთო ბაზარი“, შემავალი ქვეყნების სუსტი ეკონომიკების სპონტანურად ჩამოყალიბებული კავშირების იმიტაციას ქმნის და სტრატეგიული განვითარების კონცეპტუალურ მიდგომას არ ეყრდნობა. ეს მაშინ, როცა დსთ-ის ბაზარი ლოგიკურად ერთნაირად მისაღებია ერთი-

ან საწარმოო-კოოპერაციულ, ისე ტექნოლოგიების პრინციპებზე ფუნქციონირებადი ეკონომიკის ბაზაზე ჩამოყალიბებული სხვადასხვა ქვეყნის საბაზრო სუბიექტებისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება სანედლეულო, საქონლისა და მომსახურების ბაზრებს. საქართველოს გეოეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც პრაგმატულ დატვირთვას ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო პროექტების რეალიზაციით უფრო იძენს, მისი ბუნებრივ-საწარმოო პირობები, ეკონომიკის ტექნოლოგიური წყობები, შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის ხარისხი, რაც ვერ გაუძლებს საერთაშორისო კონკურენციას და მისი რაოდენობაც, რაზეც დსთ-ის ქვეყნებში მოთხოვნაა, ლოგიკურად აყენებს საკითხს დსთ – როგორც ერთიანი ბაზრის, ეფექტიანად გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. მსოფლიოში არც ერთ გაერთიანებას ნებისმიერ სახელმწიფოთა კავშირს, მათ შორის, ევროკავშირსაც არა აქვს საერთო მენტალიტეტით, სოციალური სფეროს ისეთი დარგების განვითარების დონით, როგორიცაა: ეროვნული კულტურა, ჯანმრთელობის, განათლების, მეცნიერების სისტემები, ურთიერთობების ერთიანი აპრობირებული ენა და სხვა ისეთი ერთობლიობა, რომელიც ობიექტურად აყალიბებს ხელსაყრელ გარემოს ეროვნული ეკონომიკების ინტენსიური ინტეგრაციისთვის. თუ დსთ-ს განვიხილავთ ახალი რაკურსით, როგორც გლობალიზაციის პროცესის „გაფილტვრის“ რეგიონულ მექანიზმს, ასეთი ალიანსი მისი წევრი ქვეყნებისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნისათვის უშუალოდ გლობალიზაციით (ერთიანი სტანდარტებით) შემოთავაზებული თუ თავს მოხვეული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების და საერთოდ, ცხოვრების წესის დამკვიდრების მოდელები.

ჩვენი აზრით, დსთ-ს უნდა ჰქონდეს საკუთარი განვითარების მეცნიერულად არგუმენტირებული კონცეფცია, მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი. შემავალი ქვეყნების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების თვისებრივად მისაღები ერთიანობა. ის, რომ დსთ-ის ფარგლებში წევრი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინ-

ციპიც დღეს დაცული არ არის (აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბახი, ყოფილი სამხრეთ-ოსეთი), ადასტურებს იმას, რომ ინტეგრაციული კავშირების გაძლიერების ობიექტურად ჩამოყალიბებული ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამძღვრები სუბიექტური ფაქტორის გავლენით მინიმალურადაც არ გამოიყენება.

რუსეთმა, ამჯერადაც, ინტეგრატორის როლი იკისრა, მაგრამ თავისი ისტორიული ფუნქცია ვერ შეასრულა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოში დსთ-ის, როგორც ეკონომიკური სივრცის მნიშვნელობა, დღემდე რეალურად არ არის გათვითცნობიერებული. ამბიციების ტალღებზე ძირითადად ორი პოზიცია (მიდგომა) ჩამოყალიბდა. პირველი მიდგომით, საქართველო დსთ-ის ეკონომიკური სივრციდან დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს. მეორე მიდგომით, დსთ მოიაზრება როგორც ეკონომიკური კავშირების გაძლიერების პერსპექტიული სივრცე. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ დსთ, თუ სწორად განისაზღვრება მისი განვითარების პრინციპები, მასში შემავალი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსია. გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე პირობებში ამ რესურსის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გამოყენება კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არამც თუ მიზანშეწონილია, არამედ აუცილებელიც.

ჯერ ერთი, საქართველოში რეფორმატორების დაპირებების მიუხედავად, უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიკის ექსტენსიური განვითარება გარდაუვალია (დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა ამ პროცესთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული). ექსტენსიურ პირობებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ჯერ კიდევ დსთ-ეკონომიკურ სივრცეშია შესაძლებელია. **მეორე,** ეროვნულ ეკონომიკას ევროკავშირში სრულ ინტეგრაციამდე, დიდი მანძილი აშორებს. ეკონომიკას, საქონლის რეალიზაციის რეალური ბაზრიდან ჩამოცილება თუნდაც დროებით, სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს, ჩანასახშივე ჩაკლავს ახლანდელ მდგომარეობაში მყოფ თუნდაც ქართულ კვაზისაბაზრო ეკონომიკას. სწორი სტრატეგია ის

იქნება, რომ ქვეყანას მუდმივად ჰქონდეს ორიენტაცია ევროკავშირზე, ამის მიხედვით გაღრმავდება ტრანსფორმაციული პროცესები. ამასთან თანამედროვე პირობებში სპონტანურად ჩამოყალიბებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება უნდა ვისწავლოთ იმ სივრცეშიც, სადაც ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, თუნდაც უმნიშვნელო პირობა არსებობს. **მესამე,** მსოფლიო ეკონომიკურ ბაზრებზე, ბუნებრივია, გაღრმავდება პარტნიორებს შორის ნდობის დეფიციტი. ამას ადასტურებს როგორც რუსეთის საბაზრო სივრციდან ქართული პროდუქციის გამოდევნის პრაქტიკა, ასევე თვით განვითარებულ ქვეყნებში პარტნიორული ურთიერთობების „წყალქვეშა დინებების“ მოურიდებლად გამოყენების მექანიზმების მრავალფეროვნება (ევროკავშირისა და კერძოდ, აშშ („ნაფტას“) შორის ბანანთან დაკავშირებული გახმაურებული სავაჭრო გარიგებები და სხვა მრავალი მაგალითი)[1].

ამდენად, სუვერენული ქვეყნის ეკონომიკის განვითარება არ შეიძლება წარიმართოს ერთხელ და სამუდამოდ არჩეული საგარეო კონცეფციებითა და მიმართულებებით. ეკონომიკას უნდა ჰქონდეს სწრაფად ცვალებად სიტუაციასთან ადაპტირების უნარი. იგი ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ მისი სიცოცხლის უნარიანობის გაძლიერების ყველა საშუალება თავის დროზე და საჭირო დოზით, სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად, უნდა იქნეს გამოყენებული.

ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის ზემოთ განხილული თავისებურებებისა და

---

1 იგულისხმება ინციდენტი ბანანის რეალიზაციასთან დაკავშირებით. XX საუკუნის უკანასკნელ წლებში აშშ ბანანის მსოფლიო ბაზრის 70%-ს აკონტროლებდა. ამ პერიოდში ევროკავშირმა ბანანზე შეღავათიანი ფასები დააწესა, რაც ამერიკის ფირმებს ყოველწლიურად 191,4 მლნ დოლარის ზარალს აყენებდა, ხოლო დაკარგული შესაძლებლობა 520 მლნ დოლარს შეადგენდა. ამის საპასუხოდ აშშ 1999 წელს ევროპიდან შემოტანილი საქონლის დიდი ნაწილი 100%-ით დაბეგრა. მაგალითად, შოკლანდიური ქსოვილი, იტალიური ყველი და ა.შ. ევროკავშირის მიმართ გამოყენებულმა სანქციებმა თითქმის 500 მლნ დოლარი შეადგინა. ამის გარდა, სერიოზული უთანხმოება ჩამოყალიბდა ლითონის, მილების და ინვესტიციების მხრივაც. ეს და სხვა მაგალითები ადასტურებენ იმას, რომ მსოფლიო ბაზარზე მომავალში კონკურენტული ბრძოლა გამძაფრდება. [МЭиМО, 7, 2000, стр. 42**]**

ტენდენციების, თუნდაც პირველი მიახლოებით, ჩამოყალიბებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით შეიძლება რამდენიმე პრინციპული ხასიათის დასკვნა გაკეთდეს. **პირველი,** საქართველო მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში სისტემურ კრიზისში მყოფი ეკონომიკით, რომელიც „ღია ეკონომიკის“ პრინციპებს ეყრდნობა, მონაწილეობს. აშკარად განიცდის ინტეგრაციული პროცესების გავლენას. იმის გამო, რომ სახელმწიფო ატარებდა პასიურ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას, იგი გარედან შემოთავაზებულ „თამაშის წესებს“ უყოყმანოდ აღიარებდა, თუმცა, მათ საკუთარი ინტერესებისათვის ეფექტიანად ვერ იყენებდა. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, შეიქმნა პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა – ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროექტების განხორციელების გამოცდილება, მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა, კერძო საკუთრების დამკვიდრება, ახალი საზოგადოებრივი მენტალიტეტი, ინტელექტუალური პოტენციალი, რომელთა სრული ამოქმედებით შეიძლება დაჩქარდეს კრიზისიდან გამოსვლა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ახალ ტრაექტორიაზე გადაყვანა.

მეორე, ისევ დადგა არჩევანის საკითხი განვითარების ორ შესაძლებელ სცენარს შორის: ისევ ინერციით, პასიური პოლიტიკით, ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება, ან სისტემური კრიზისიდან თავის დაღწევა „გარღვევის სტრატეგიით“. სახელმწიფომ მეორეს უნდა დაუჭიროს მხარი. აუცილებელია, ვისწავლოთ გლობალიზაციის მთავარი სუბიექტების – ტრანსეროვნული კორპორაციებისა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების ფინანსური, ეკონომიკური და ორგანიზაციული პოტენციალის რაციონალური და კოორდინირებული გამოყენება. ამ მხრივ, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ეფექტიანად შეიძლება ამოქმედდეს ფინანსური სტაბილიზაციის (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია), ეკონომიკური ზრდის (მსოფლიო ბანკის და სხვა ბანკების პოზიცია), ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურისა და ვაჭრობის სრულყოფის (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პოზიცია), დასაქმების რეგულირების

(შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიცია) ფინანსური და ორგანიზაციული მექანიზმები. „სატრანსპორტო დერეფანი“ (ტრასეკა), „ენერგეტიკული დერეფანი“, მშენებარე ყარსი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა – ფაქტობრივად, განსაზღვრავენ საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის ინტენსივობას, საინვესტიციო გარემოს, უშუალო გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. ასეთ მრავალმხრივი ურთიერთობებით, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი დონით ჩამოყალიბებულ პირობებში აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკაში აისახოს აღნიშნული ფაქტორების არა ცალ-ცალკე შესაბამისი პროექტების მიხედვით, ერთმანეთისაგან იზოლირებულად გამოყენება, არამედ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებით უზრუნველყოფილ იქნეს მათი ერთდროულად, კომპლექსურად, თანმიმდევრულად ამოქმედება, რაც ლოგიკურად მოითხოვს სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურების კოორდინაციის მაღალ დონეს. ეს სახელმწიფოს ერთ-ერთი, თვისებრივად ახალი, ეკონომიკური ფუნქციაა.

მესამე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრირება, ბუნებრივია, მოითხოვს ახალ ეკონომიკურ სივრცეში ადაპტირების ხელშემწყობი გარემოს შექმნას. პირველ რიგში, სახელმწიფომ (სამინისტროებმა, უწყებებმა), არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რეგიონულმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ საკუთარი როლი ვმო-ს ახალ მოთხოვნებთან ეკონომიკის ადაპტირების ხელშემწყობი პირობების მომზადებაში. უპირველეს ყოვლისა, აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის ამოცანა. უნდა განისაზღვროს პერსპექტივა იმისდა მიხედვით, თუ როგორ ყალიბდება ახლო და შორეულ პერსპექტივაში მსოფლიო და საშინაო ბაზარზე კონიუნქტურა. ამასთან, ყოველმხრივ ანგარიშგასაწევია შიდა რეგიონული თავისებურებები, მეურნეობრიობის ადგილობრივი ტრადიციები, გეოეკონომიკური გარემო, ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების პერსპექტივა, დასაქმების პრობლემა და სხვ.

მეოთხე, საქართველოში ევროპული ინტეგრაცია მართებულადაა აღიარებული, საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად, ხოლო ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია – ერთერთ მთავარ პრიორიტეტად. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისად, ჯერ კიდევ, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფოს სტრატეგია – ამოცანები, ეტაპები, მიზნის მიღწევის საშუალებები და სხვ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ეკონომიკური კრიტერიუმებით არ ხდება კონკურენტი ქვეყნის მიღება ევროკავშირის წევრად. რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, როგორც სტრატეგიული მიზნის მიღწევის გზა, უნდა განვიხილოთ კომპლექსურად, ეკონომიკური გლობალიზაციის მასშტაბების გაფართოების და საქართველოს გეოეკონომიკური მიდგომების, ასევე სხვა რეგიონული წარმონაქმნების ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით.

სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრატეგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა განისაზღვროს ევროკავშირში საქართველოს შესვლის დაჩქარება შესაბამისი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-განხორციელებით.

მეხუთე, პერსპექტიულია კავკასიის ეკონომიკური სივრცის ფორმირება. მას არა მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობა აქვს. კავკასიის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ენერგეტიკული რესურსებისა და კომუნიკაციების კომპლექსურად გამოყენება, სურსათის წარმოების, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის, ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის, ეკოლოგიის პრობლემების ერთობლივად, თითოეული სუვერენული ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყვეტის ხელშემწყობი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შექმნა – ის ფაქტორებია, **რომელთა ამოქმედებით მომზადდება ობიექტური წანამძღვრები პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კავკასიის რეგიონული მოდელის შესაქმნელად. იგულისხმება, რომ ამ პროცესების წარმმართველი ლიდერის ფუნქცია ისტორიულად საქართველომ უნდა შეასრულოს. ეს კი პასუხისმგებლობაა, თანაც საგანგებო და ისტორიული.**

6.4. სახელმწიფოს პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დადასტურდა, რომ ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს ეფექტიან პოლიტიკაზე. პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან დაკავშირებით ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება დაფიქსირდა [124;140;127]. გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს რეალურ სექტორში სახსრების მოზიდვას, რაც განხორციელდება ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების მეშვეობით კრედიტების გაცემის გზით. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს შიდა სამომხმარებლო და საინვესტიციო მოთხოვნის სტიმულირებას. იგულისხმება ეკონომიკური სუბიექტებისა და სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მოგების დაბეგვრის შემცირება. საგადასახადო შეღავათების გავრცელება, ცალკეული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა, დაზღვევის, წილობრივი მონაწილეობის და სხვა ფორმების გამოყენება. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ სფეროზე, რომელიც კერძო სექტორს არ განეკუთვნება. მაგალითად, გრძელვადიანი პროექტების დაკრედიტებაზე, ასევე სოციალურად დაუცველი ფენების შეღავათიანი დაკრედიტება და ა.შ. ამასთან, დაფიქსირდა საპირისპირო შეხედულებებიც. მაგალითად, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ სესხის აღებისას, კერძო სექტორს რესურსები აკლდება, რაც შემდგომში მისი განვითარების შეფერხებას, აგრეთვე მომიჯნავე დარგებში საპროცენტო განაკვეთის ზრდას იწვევს. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა მშპ-ის წარმოებაში შემცირდეს სახელმწიფოს ხარჯების წილი. მიუხედავად ასეთი პოზიციებისა, პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკურ ზრდას არ აფერხებს. მაგალითად, ხარჯები განათლებაში, მეცნიერებასა და ჯანმრთელობის სფეროში ხელს უწყობს ადამიანისეული ფაქტორის როლის ზრდას, რომე-

ლიც ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. ასევე სახელმწიფო ხარჯები ტრანსპორტის, კომუნიკაციების სფეროში, გზების განვითარებაში აღიქმება როგორც ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებით დასტურდება, რომ სახელმწიფო ინვესტიციები დადებითად მოქმედებს ეკონომიკის წამყვან სექტორებშიც [191.26-27].

ზოგიერთი მკვლევარი სახელმწიფო ხარჯების ზრდას ხსნის თავდაცვის საჭიროებისათვის სახელმწიფო ხარჯების ზრდით, რაც მართებული არ არის. მაგალითად, 1945 წელს აშშ-ის თავდაცვის ხარჯები შეადგენდა ბიუჯეტის 85%-ს, 1995 წელს – 17,9%-ს. 17 ინდუსტრიულ ქვეყანაში ასეთი ხარჯების წილი შემცირდა 10.8%-დან (1985 წ.) 5%-მდე (1996 წელს). პოსტსოციალისტურ ქვეყნებში 90-იან წლებში ამ მაჩვენებელმა 5,8% შეადგინა, რუსეთში – 12,2%. ამასთან, აშშ-ის ასიგნებანი სოცდაცვაზე და სოცდაზღვევაში სახელმწიფო ხარჯების წილში 1/5-დან 2/3 გაიზარდა [191.27]. ფაქტობრივად ხარჯების ზრდა განაპირობა „ადამიანისეულ კაპიტალზე“ მოთხოვნის ზრდამ, რასაც სხვა მონაცემებიც ადასტურებს. მაგალითად, მსოფლიოს 192 ქვეყანაში ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 90-იან წლებში საწარმოო კაპიტალზე მოდიოდა ეროვნული სიმდიდრის – 16%, ბუნებრივ რესურსებზე – 20%, „ადამიანისეულ კაპიტალზე“ – 64% [191.27].

ეს მონაცემები ადასტურებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ჰუმანიზაციის პროცესის გაღრმავებას და იმ ტენდენციის რეალობას, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე, მით უფრო მეტად ზრუნავს ადამიანზე სახელმწიფო.

იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა გვქონდეს ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ზოგადი მიმოხილვა. როგორც აღინიშნა, XX საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ში გამოყენებულ იქნა ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების პრინციპი, რომელიც უშუალოდ

გამომდინარეობდა **ჯ. კეინზის** „ეფექტიანი მოთხოვნის“ თეორიიდან.

კეინზის კონცეფცია რადიკალურად ცვლიდა ადრე არსებულ მიდგომებს. ყურადღება გადატანილ იქნა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე – ინვესტიციებზე, შემოსავლების ნაკადებზე, დაზოგვისა და მოხმარების ნორმებზე, მოხმარებასა და წარმოებაზე მთლიანად საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ ათეული წლების მანძილზე „ეფექტიანი მოთხოვნის“ კონცეფციაზე იყო დაფუძნებული დასავლეთის ამჟამად განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა.

ამ პერიოდში მეცნიერებასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ე.წ. მაგიურ ოთკუთხედს: ზრდის მყარი და მაღალი ტემპები – სრული დასაქმება – ფასების სტაბილიზაცია – საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა. ოთხივე მიმართულება მიჩნეული იყო ეკონომიკის სტაბილიზაციის საუკეთესო საშუალებად, თუმცა პრიორიტეტი ენიჭებოდა ეკონომიკის ზრდას. გარკვეული დროის შემდეგ, კერძოდ, 70-იან წლებში ზემოთ დასახელებული 4 მიმართულების მიხედვით გამოვლინდა ღრმა წინააღმდეგობები, კერძოდ, 1974-1975 და 80-იან წლების ციკლური კრიზისების დროს, რასაც დაემთხვა სტრუქტურული კრიზისები – ენერგეტიკული, სანედლეულო, სასურსათო და ა.შ.. ასეთ პირობებში მკვეთრად დაეცა ზრდის ტემპები, გაიზარდა უმუშევრობა, გაღრმავდა ინფლაცია, გაიზარდა სახელმწიფოს ვალი და სხვ.

ბუნებრივია, ამ სიტუაციამ ეჭვქვეშ დააყენა კეინზიანური შეხედულებანი, რასაც მოჰყვა წინა პლანზე **ეკონომიკის დერეგულირების თეორიის** წამოწევა. ამ მიდგომის წარმომადგენლები **ფ. ჰაიეკი, მ. ფრიდმენი (აშშ), მ. ალე (საფრანგეთი)** ნობელის პრემიის ლაურეატებიც გახდნენ, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ თეორიაში მათი შეხედულებების გაბატონებას. ინფლაციის, არასტაბილურობის, ზრდის სტიმულების შესუსტება, ძირითადი კაპიტალის დაგროვების შენელება აღნიშნულ თეორიაში ახსნილი იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევით. აღნიშნული მიმართულება ცნობი-

ლია ნეოკონსერვატიზმის სახელწოდებით. ამ მიმდინარეობის ფუძემდებლური პრინციპია თავისუფალ კერძო მეწარმეობაზე და საბაზრო მექანიზმზე, შესაბამისად, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე ორიენტაცია.

იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა მაინც გვქონდეს ზემოთ აღნიშნული მიმართულების კონცეპტუალურ მიდგომებზე, განსაკუთრებით ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში, საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც კეინზიანელების, ასევე ნეოკონსერვატორების აზრით, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ბერკეტები. თუმცა, განსხვავებულია მათი შეხედულება გამოყენების მიზნების და მეთოდების თაობაზე. მაგალითად, კეინზიანელები უპირატესობას ანიჭებენ ზემოთ აღნიშნული ბერკეტების გამოყენებას მოთხოვნაზე ზემოქმედებისათვის. ნეოკონსერვატორების აზრით, აღნიშნული ბერკეტების მხოლოდ დროებით სტაბილიზატორებად გამოყენება მიუღებელია, ისინი ხანგრძლივ პერიოდში მდგრად განვითარებას უნდა ემსახურებოდნენ. ნეოკონსერვატორების მიდგომების განმტკიცებით რადიკალურად შეიცვალა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. კერძოდ, სოციალური პრობლემების ნაცვლად, მათ წინა პლანზე წამოსწიეს სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანები, სრული დასაქმების ნაცვლად მთავარ ამოცანად ინფლაციასთან ბრძოლა, ეფექტიანობის ზრდა და კერძო კაპიტალის მოგების უზრუნველყოფა აღიარეს. ნიშანდობლივია, რომ ისინი უარყოფენ მაკროეკონომიკურ მიდგომებს და უპირატესობას ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებს ანიჭებენ. ასევე განსხვავებულია მათი მიდგომები აღწარმოებაში დანაზოგის როლის შესახებ.

კეინზიანელები ამტკიცებდნენ, რომ კერძო და სახელმწიფო ხარჯებით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირება, ხოლო დანაზოგი თავისთავად წარმოიშობა, ნეოკონსერვატორები მთავარ პირობად, უპირველეს ყოვლისა, დანაზოგს მიიჩნევენ. მათი აზრით, სახელმწიფო სტიმულებს ანელებს, რითაც ხელს უშლის წარმოებასა და დაგროვებას. ეს მიდგომა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნეოკონსერვატორები

გამორიცხავდნენ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლს. ისინი ამგვარად საკითხს არ აყენებენ, მაგრამ სახელმწიფოს როლს იმის მიხედვით განსაზღვრავენ, თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული მასში მსხვილი კერძო კაპიტალის ინტერესები.

ნეოკონსერვატიზმი სამ ძირითად კონცეფციას ეყრდნობა: მიწოდების ეკონომიკის, მონეტარიზმის და რაციონალური მოლოდინის კონცეფციებს. მოკლედ განვიხილოთ მათი ძირითადი პრინციპები უშუალოდ ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით.

ტერმინი „მიწოდების ეკონომიკა“ შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა **ჰ. სტეინმა**. მისი აზრით, ეკონომიკური ზრდის საფუძველია მოხმარება (კერძო, ინვესტიციური, სახელმწიფოებრივი). ასეთი მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ წარმოების განვითარებას ხელს უწყობს რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, ასახელებენ მოგებას, შემდეგ სოციალურ დანახარჯებს. მათი აზრით, გადასახადების შემცირება იწვევს წარმოების სტიმულირებას, ხოლო გადიდება ხელს უწყობს ინფლაციური პროცესების გაძლიერებას.

„მიწოდების ეკონომიკის“ მომხრეთა აზრით, ეკონომიკური ზრდის შენელებას იწვევს არასაკმარისი ინვესტიციები, რომლებიც განპირობებულია დანაზოგების უკმარისობით. მათი აზრით, ინვესტიციების შემცირებას ხელს უწყობს ინფლაცია, რომელიც იწვევს საპროცენტო სარგებლის ზრდას, არასრულყოფილი საგადასახადო სისტემა, საბიუჯეტო დეფიციტი, სახელმწიფოს სოციალური ხარჯები და ა.შ. ყოველივე ამას ისინი უკავშირებენ სახელმწიფოს არასწორ მოქმედებას და აქედან გამომდინარე, მოითხოვენ მისი როლის შეზღუდვას.

რაც შეეხება **მონეტარიზმს (თვალსაჩინო წარმომადგენელია მ. ფრიდმენი),** იგი ადგენს უშუალო კავშირს ფულის მასასა და წარმოების მოცულობას შორის. ამიტომ მის მიერ აღიარებულია, რომ ეკონომიკურ ზრდას ხელი უნდა შევუწყოთ ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტებით. ამ მიდგომის თანახმად, კონკურენციამ უნდა უზრუნველყოს ოპტიმალუ-

რი განვითარება (სუსტები განიდევნებიან), სახელმწიფომ კი არეგულიროს ინფლაციური პროცესები. როგორც ჩანს, მონეტარისტები სახელმწიფოს საქმიანობის მთავარ მიმართულებად მიიჩნევენ ფულად და საფინანსო პოლიტიკას. ამასთან, მათი შეხედულებით, ეკონომიკა ორი სექტორისგან შედგება – **რეალური ეკონომიკა** – წარმოება და პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია; იგულისხმება ამ სფეროში, რომ მხოლოდ საბაზრო ძალები მოქმედებენ და **ფულადი სექტორი,** რომელიც სახელმწიფოს საქმიანობის სფეროდაა აღიარებული. სახელმწიფოს ფუნქციას იმაში ხედავენ, რომ მიმოქცევაში მხოლოდ საჭირო რაოდენობის ფული იქნეს გაშვებული.

მონეტარიზმის მიდგომისაგან განსხვავებით, **რაციონალური მოლოდინის თეორიის** (წარმომადგენლები რ. ლუკასი და სხვ.) მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში უაზრობაა. ეკონომიკაში მთავარია სუბიექტური ფაქტორები და პროგნოზები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნეოკონსერვატიული მიდგომები საფუძვლად დაედო აშშ-სა და ინგლისში XX საუკუნის 70-იანი წლების სახელმწიფო პოლიტიკას (რეიგანომიკას, ტეტჩერიზმს).

ეკონომიკურ პროცესებში ბაზრის ორგანიზაციისა და ბაზრებზე ეკონომიკის სუბიექტების ქცევის პრობლემების მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება **ინსტიტუციონალიზმის თეორიაში**. ინსტიტუტების ქვეშ იგულისხმება ინდივიდების, სოციალური ჯგუფებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ქცევების საზღვრებისა და ჩარჩოს შექმნა. ამ თეორიის მიხედვით, ძირითადი იდეა მდგომარეობს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობაში. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენლის **ფ. პერუს** (საფრანგეთი) სახელთანაა დაკავშირებული ეკონომიკის დომინირების კონცეფციის შექმნა, რომლის მიხედვით, თანამედროვე სამყარო შედგება ეკონომიკური ერთეულებისაგან, რომლებსაც წარმოების, კაპიტალის, კრედიტების განსხვავებული მოცულობები, ინფორმაციული საშუალებების მიღების სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ. ეს

იწვევს ცალკეული ფირმების გაბატონებულ მდგომარეობას. ამიტომ სახელმწიფომ თავისი სამეურნეო-ორგანიზაციული საქმიანობით უნდა შეძლოს საბაზრო ეკონომიკის რაციონალური რეგულირება. ასეთი მიდგომა საფუძვლად დაედო საფრანგეთში ინდიკატიურ დაგეგმვას.

პერუს აზრით, დაგეგმვა იძლევა საშუალებას სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების კომპრომისისათვის. ამ მიზნით შემოთავაზებულ იქნა **„ჰარმონიზირებული ზრდის“ კონცეფცია**. იგი ეფუძნება შემდეგ მოთხოვნებს: პროდუქციის მოცულობის მაქსიმიზაციას და ეკონომიკის დარგებს შორის სტრუქტურული დისპროპორციის შემცირებას. ამგვარი მიდგომა მიზნად ისახავდა სოციალური წინააღმდეგობების შერბილებას. ნიშანდობლივია, რომ ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **ჯ. კლარკმა** კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის ნიშან-თვისებად აღიარა ის, რომ სახელმწიფო საყოველთაო კეთილდღეობის მიზნით ასრულებს ეკონომიკის ორგანიზატორის როლს. ეს მიდგომა გაზიარებულ იქნა აშშ-ში კენედის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამავე პერიოდში ინსტიტუციონალიზმის თეორიაში გაძლიერდა **ე.წ. ტექნოლოგიური დეტერმინიზმის მიმართულება** (ჯ. გელბრეითი და სხვ.). **ჯ. გელბრეითის** აზრით კაპიტალიზმი შედგება ორი სექტორისაგან. „საბაზრო სისტემა“ და „დაგეგმვითი სისტემა“. საბაზროს ქვეშ იგულისხმება წვრილი ფირმები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ფასწარმოქმნაზე, მით უმეტეს, სამთავრობო პოლიტიკაზე. კონკურენტულ გარემოში რომ არ დამარცხდნენ, ისინი ეწევიან თვითექსპლოატაციას. ამასთან, საბაზრო სისტემას ახასიათებს ტრადიციული ნაკლოვანებები, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია უმუშევრობა, რასაც თან ახლავს სიღარიბის ზრდა. რაც შეეხება „დაგეგმვით სისტემას“, იგი ეფუძნება მსხვილ კორპორაციებს. მხედველობაში იღებენ იმას, რომ აშშ-ში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სტრუქტურაში, XX საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებით, კორპორაცია თუ წარმოდგენილი იყო 22%-ით შემოსავლების

სტრუქტურაში მასზე მოდიოდა მთელი შემოსავლების 90%. **ჯ. გელბრეითის** აზრით, ასეთი კორპორაციები არა მხოლოდ განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ბაზარზე, არამედ გავლენას ახდენენ სახელმწიფოზეც. ამასთან, მის მხარდაჭერასაც საჭიროებენ. ასეთ სიტუაციაში ხდება კერძო და სახელმწიფო ინტერესების ინტეგრირება. **ჯ. გელბრეითის** მიხედვით, აღნიშნული ორივე სისტემა ცალ-ცალკე „დადებით მიზნებს“ ემსახურება და ამდენად, საზოგადოებრივ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიან. აქედან გამომდინარე, საჭიროა ორივე სისტემის ინტეგრირება. **მისი მტკიცებით, ეს მოხდება მაშინ, როცა სახელმწიფო მთელი საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი რომელიმე ნაწილის) მრავალმხრივი ინტერესების გამომხატველი იქნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინსტიტუციონალიზმის თეორიაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აღიარებულია ეკოლოგიური განვითარების პრიორიტეტი, რომელიც ეკონომიკური ზრდის კონტექსტში განიხილება.**

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, თვისებრივი ცვლილებები მოხდა სოციალ-დემოკრატიულ მიდგომებშიც. თუ ადრე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ეკონომიკურ ზრდის პრობლემებს, ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებაში, ახალ ტექნოლოგიებში და განსაკუთრებით ეკოლოგიაში ინვესტიციების ზრდას.

ეკონომიკური ზრდისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების (ურთიერთგანპირობებულობის) პრობლემასთან დაკავშირებით ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოდგენილი ცალკეული სკოლების, მიმდინარეობების, მეცნიერთა ჯგუფების შეხედულებათა შესახებ ზემოთ მოტანილი ინფორმაცია საერთო წარმოდგენას გვიქმნის **ჯერ-ერთი,** პრობლემის მნიშვნელობაზე, მახასიათებლებზე, მასშტაბებზე და მისი გადაწყვეტის ფორმების, მეთოდების, მექანიზმების და შესაბამისად, ეფექტიანობის მრავალფეროვნებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიანი, ე.წ. სტანდარტული, ყველა დროისა და ყველა ქვეყნისათვის მისაღები მეთოდები არ არსებობს, უნივერსალურ პრინციპებთან მიმართებაში დიფერენ-

ცირებულად უნდა იქნეს განხილული თითოეული ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე, ტენდენციები, ზრდის ფაქტორები და ა.შ.

მეორე, თანამედროვე განვითარებული ქვეყნების, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებადი ახალი ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები, ტენდენციები, კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური პრინციპები მიესადაგება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის სტრატეგიულ მიზნებს. ეს მოვლენა (ახალი ფაქტორი), განმსაზღვრელ როლს შეასრულებს გარდამავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმირებაში.

ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ზრდის სამი ძირითადი ფაქტორი განიხილება: მიწოდების, მოთხოვნის, განაწილების. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება გამოყენების პირობებით, მასშტაბებით, მიზნებით, საერთოდ განვითარებაზე ზემოქმედების ფორმებით. მაგალითად, მიწოდების ფაქტორი მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, შრომით რესურსებს, ძირითად კაპიტალს, გამოყენებულ ტექნოლოგიებს და ა.შ. [127.162] მოთხოვნის ფაქტორი გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს და გასავალს, შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურას, საკრედიტო სისტემის განვითარებას და ა.შ. თითოეული ფაქტორის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეკონომიკურ ზრდაში მის მონაწილეობას. ზოგიერთი მათგანი შეიძლება საკმარისიც იყოს, მაგრამ არ მონაწილეობდეს ან ნაწილობრივ მონაწილეობდეს ეკონომიკურ ზრდაში. მაგალითად, საქართველოში ჰიდრორესურსების პოტენციალი ექსპერტთა გათვლით, 137 მლრდ კვტსაათ ელექტროენერგიის წარმოებას უზრუნველყოფს, თუმცა, ეს იშვიათი რესურსი მინიმალურად არის გამოყენებული – დაახლოებით 5-6% დონეზე; იგივე შეიძლება ითქვას მანგანუმის, ქვანახშირის წარმოების პოტენციალსა და გამოყენებაზე. იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რეალური განვითარება (ზრდა), საჭიროა რესურსების ეფექტიანი განაწილება და გამოყენება. ეს პროცესი ხორციელდება განაწილების ფაქტორების მეშვეობით. მასში იგუ-

ლისხმება წარმოების ფაქტორების ოპტიმალური გაადგილება, შემოსავლების განაწილების, ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ხასიათი, ინფლაციური ტენდენციები, წარმოების მასშტაბის ეფექტი და ა.შ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აღნიშნული რესურსების ამოქმედების ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმები, მექანიზმები გამოიყენებოდა. ზემოთ აღინიშნა, რომ აშშ-ში XX საუკუნის 30-იან წლებში და შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნებოდა ჯ. კეინზის „ეფექტიანი მოთხოვნის“ კონცეფციას, ხოლო მოგვიანებით, 60-იან წლებში აღნიშნული პოლიტიკის ჩანაცვლება **„მიწოდების ეკონომიკის“ თეორიით** მოხდა.

წარმოების ფაქტორების გამოყენების, უფრო სწორად, მათი ურთიერთმოქმედების კომბინაციების მრავალფეროვნება (ხშირად ურთიერთგამომრიცხავი თავისებურებანი) გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის პრობლემისადმი სტანდარტული, ე.წ. ქრესტომათიული მიდგომები ხშირად განვითარების ხელისშემშლელ ბარიერებს ქმნიან. ამიტომ მიზანშეწონილია ეკონომიკური ზრდის ფაქტორთა განსაზღვრა, მით უფრო, გამოყენება, ყველა კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. ამასთანაა დაკავშირებული ეკონომიკური ზრდის ტიპების (ექსტენსიური და ინტენსიური) უპირატესად გამოყენების პრობლემაც.

გარდამავალ პერიოდში ეკონომისტთა დიდი ნაწილი უპირატესობას განვითარების ინტენსიურ ტიპს ანიჭებს. მათი მიდგომის ლოგიკა გამომდინარეობს თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტენდენციებიდან, რომ უმჯობესია გამოყენებულ იქნეს წარმოების უფრო სრულყოფილი ფაქტორები. იგულისხმება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, პროგრესული სტრუქტურა და ა.შ. ფორმალურად თუ მივუდგებით, ასეთი პოზიცია მართებულია. მაგრამ რეალური სინამდვილე გვკარნახობს, რომ ეკონომიკური ზრდა, როგორც ასეთი, მით უმეტეს, საბაზრო პრინციპების დამკვიდრების სასტარტო

ეტაპზე, განვიხილოთ კომპლექსური მიდგომით და ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპების დაცვით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ განვითარების ექსტენსიური ზრდა, რომელიც ძირითადად მიიღწევა მუშაკთა რიცხოვნობის გაზრდით, წარმოებისა და შრომის ინტენსიფიკაციის პროცესთან მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად, კოორდინირებული.

ეკონომიკური ზრდის კონტექსტში უნდა განვიხილოთ ისეთი მოვლენა, როგორიცაა გლობალიზაცია, სახელდობრ, ეკონომიკური გლობალიზაცია. ცნობილია, რომ გლობალიზაციას ახასიათებს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ნიშან-თვისებები. გლობალიზაცია „დადებითია“ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მეცნიერების, ინფორმაციებისა და კომუნიკაციების სფეროში, სადაც პლანეტარული ძალისხმევის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა. მით უმეტეს, მომავალში, როცა ეკონომიკის სოციალიზაციის ამოცანა სტრატეგიულ ნიშან-თვისებებს იძენს და, უპირატესად, ყველაზე მწვავე პრობლემის – სიღატაკის დაძლევის ზოგადსაკაცობრიო მიზანს უნდა ემსახურებოდეს. გლობალიზაციის პოზიტიური როლის სფეროებს განეკუთვნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა – დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ეკონომიკური თავისუფლების დაცვა და სხვ.

გლობალიზაციის „უარყოფითი მხარეა“ ეროვნულ-ისტორიული ტრადიციების, საერთოდ, ეროვნული კულტურის სფეროში ძალდატანებითი პოზიციებით „საკუთარი ხელწერის“ დამკვიდრება.

ამრიგად, გლობალიზაცია დადებითი მოვლენაცაა და უარყოფითიც. ბუნებრივია, ქვეყანამ უნდა შეძლოს დადებითის გამოყენება და უარყოფითის თავიდან აცილება. ამიტომ ლოგიკურია, რომ სუვერენულმა სახელმწიფომ ინდივიდუალურად, საკუთარ ისტორიასთან, ტრადიციებთან მიმართებაში, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების სტრატეგია უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს. სტრატეგიაში ცენტრალური, განმსაზღვრელი როლი უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ მასზე მოქმედი ფაქტორები ყოველ-

მხრივ ანალიზსა და შეფასებას საჭიროებს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება ეკონომიკური ზრდის მიზნობრივ პროგრამას. **ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკაში სტაბილიზაციის პროცესების დაჩქარების მიზნით, მიზანშეწონილია შედგეს ეკონომიკის განვითარების (ზრდის) პროგრამა 2008-2010 წლებისათვის და სტრატეგიულ მიზნად განისაზღვროს 2010 წლის ბოლოსათვის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის რეფორმამდელი (1990 წლის) დონის მიღწევა (2006 წლის შედეგებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1990 წლის შესაბამისი დონის მხოლოდ 59,4% შეადგენს)**[1].

ეკონომიკური ზრდის დასახულ მიზანს უნდა დაექვემდებაროს საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მოცემული სიტუაციისათვის მისაღები ფორმები, მეთოდები, მექანიზმები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპლექსური და მიზანმიმართული ამოქმედება. შესაბამისად უნდა განისაზღვროს მიზანს დაქვემდებარებული ამოცანები, მაგალითად, როგორი უნდა იყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასების პროპორციები, როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო სისტემა, როგორ შეიძლება მივაღწიოთ ბიუჯეტის დეფიციტის ოპტიმიზაციას, სახელმწიფო ვალების მომსახურების სრულყოფას, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის ამაღლებას, სახელმწიფო დაკვეთის როლის გაძლიერებას, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, საექსპორტო პროდუქციის ზრდას, ორგანიზაციულ-მმართველობითი ოპტიმალური სტრუქტურების ფორმირება-ფუნქციონირებას, ეკონომიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას და სხვ.

ისმება კითხვა: რატომ 3 წლიანი პროგრამა? ჯერ-ერთი, დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ დაძლეულ იქნეს განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენა და ახალ პრინციპებზე ეკონომიკის ზრდის მყარი საფუძველი მომზადდეს.

---

1 2007 წელს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მშპ-ის წარმოების 1990 წლის დონე დაძლეული აქვთ რუსეთში, ბელორუსში, ყაზახეთში, ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში, თანაც ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში – 2-ჯერ მეტად. (ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2007, №2, გვ. 34).

ასეთი პროგრამის უპირატესობა ისაა, რომ მასში აისახება ლოგიკური კავშირი დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ და ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის – პოლიტიკური მიზნის ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, რეალურად შეფასდება (განისაზღვრება) ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობების, ფაქტორების, პოტენციალის კომპლექსურად ამოქმედების გზები და საშუალებები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შიდა რესურსების მობილიზაციის პრაგმატულ პოლიტიკაზე გადასვლას. პროგრამა საზოგადოებისათვის გახდება ქვეყნის მაკროეკონომიკური და რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შეფასების საფუძველი გამჭირვალობის მაღალი ხარისხით, რაც, ბუნებრივია, სახელმწიფოს ხელისუფლებას აიძულებს სიტუაციის შესაბამისი იმპულსები მისცეს ეკონომიკის დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანას, იმოქმედოს არა ქრესტომათიული დოგმებით, არამედ სინამდვილის (პრაქტიკის) საზოგადოებისათვის სასურველი მიმართულებით გარდაქმნის პრაგმატული ამოცანებით.

ეკონომიკური ზრდის პროგრამის შემუშავებისას მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს რამდენიმე პრინციპულ მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მიდგომას, მაგალითად, ეკონომიკური ზრდის დასახული მიზნის მიღწევა ლოგიკურად აყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობას. ცნობილია, რომ ამჟამად იგი ემსახურება თვითმიზანს – ინფლაციის რეგულირებას. იგი ფაქტობრივად ვერ ახდენს წარმოების ზრდის სტიმულირებას. ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ ფასების თანაფარდობის დაცვის პრობლემა, რაც, პირველ რიგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების ამჟამად ჩამოყალიბებული მდგომარეობის კომპლექსური შესწავლა-შეფასებით უნდა მოხდეს. სადავო არ უნდა იყოს ფასწარმოქმნის ოპტიმალური სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობაც.

მიზანშეწონილია დიფერენცირებული გადასახადების გამოყენება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს წარმოების სა-

შუალებების (ტექნიკური ნაწარმის) შემოტანას, ასევე მოგების სტიმულირებას. ბიუჯეტის დეფიციტის შეფასების ამჟამინდელი მიდგომაც ახლებურ გააზრებას მოითხოვს. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ დეფიციტი შეიძლება იყოს სასარგებლო, თუ მას ახლავს მაღალი უკუგება სახელმწიფო ინვესტიციებზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა: განათლება და საწარმოო ინფრასტრუქტურა (ენერგეტიკა და გზები).

სახელმწიფო ვალი უნდა დაუკავშირდეს ეკონომიკურ ზრდას. მოწესრიგებას მოითხოვს სახელმწიფო საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები: სახელმწიფო საწარმოების სტრუქტურა, სახელმწიფოს წილი და სხვ. მეთოდოლოგიურად სწორად უნდა განისაზღვროს პროგრამის რეალიზაციის ორგანიზაციული სისტემა – თანმიმდევრულობა, ეტაპობრივი ხასიათი, პასუხისმგებლობა შესრულებაზე და ა.შ. სახელმწიფო საკონტრაქტო (დაკვეთის) მექანიზმის გამოყენებას ფორმირებადი კერძო სექტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მისი როლი განხილულ უნდა იქნეს ეკონომიკურ ზრდასთან კონტექსტში. კონტრაქტი, შეკვეთები, შესყიდვები არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკის სტრუქტურაზე და ემსახურება სამამულო წარმოების დაცვას. ერთ-ერთი პრინციპულია მცირე ბიზნესის განვითარების საკითხი – სტიმულირება პირდაპირი და გარანტირებული სესხებით, სახელმწიფო დაკვეთით, სესხების დაბალი განაკვეთით, უპირატესად სახელმწიფო გარანტიებით.

ყოველმხრივ განხილვას საჭიროებს ეკონომიკური ზრდა და საინვესტიციო გარემოს თავისებურებები. ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდის სამი ძირითადი წყარო არსებობს: ა) კაპიტალური დაბანდებების გადიდება შიდა სამეურნეო დაგროვებით, რაც რთული ამოცანაა, სათანადო პირობები ეკონომიკას დღეს ფაქტობრივად არ გააჩნია. ბ) ბანკის კრედიტები. ამჟამად არსებული მისი რეზერვები მეტად მწირია. გ) უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვა. ამას კი სწორად გააზრებული ეკონომიკური იდეოლოგია სჭირდება. ასეთ

არაორდინალურ სიტუაციაში შემდეგი მიდგომა, კრიტერიუმი უნდა გამოვიყენოთ: შრომის მწარმოებლურობის ზრდა (ამოცანა) – თანამედროვე ტექნოლოგია – ინვესტიციები (ფინანსური საშუალება), პროდუქცია-ბაზარი. ამ ჯაჭვის ყველა რგოლი მოიცავს ორგანიზაციულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს. ამიტომ საჭიროებს სისტემურ მიდგომას და პროცესებზე ზემოქმედების მექანიზმების დიფერენცირებულ შერჩევას.

ამჟამად და ახლო მომავალში სახელმწიფო ინვესტიციების, შესაძლებლობა შეზღუდულია. ამიტომ, ბუნებრივია, კერძო ინვესტიციების უფრო მეტად უცხოეთიდან, მოზიდვის შესაძლებლობანი სწორად უნდა იქნეს შესწავლილ-შეფასებული. ამასთან რეალურად, მაკროეკონომიკური წონასწორობის დაცვის თვალსაზრისით, უნდა განისაზღვროს საინვესტიციო პროექტების შედგენის პრინციპები. საწარმოს ბიზნეს-გეგმა არ არის საკმარისი ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა მხოლოდ ეკონომიკური ამოცანა არ არის, იგი სახელმწიფოს გლობალური პოლიტიკის საგანია.

დიდ ყურადღებას საჭიროებს შრომითი რესურსების შესწავლა. სწორი არ არის მოსაზრება, თითქოს კვალიფიციური მუშახელი გვყავს. ასეთი შეხედულება ყალიბდება ადრინდელი სიტუაციის გავლენით, უფრო სწორად ინერციით. ფაქტობრივად, სამუშაო ძალის დეგრადაცია მოხდა. ამიტომ რეალურად უნდა შეფასდეს მისი პოტენციალი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საწარმოო ინფრასტრუქტურა (ენერგეტიკა, გზები) განვითარების მეტად დაბალ დონეზეა. პოლიტიკური არასტაბილურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც საინვესტიციო კლიმატს განსაზღვრავს.

მეთოდოლოგიური და ფინანსური თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყურადღება გადავიტანოთ ინვესტიციების ეფექტიანობაზე და არა მათ საერთო მოცულობაზე. რისი სტიმულირებაა აუცილებელი: სამომხმა-

რებლო მოთხოვნისა თუ დაზოგვის? რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის. იგი უნდა მივიჩნიოთ ინვესტიციების რეალურ წყაროდ.

ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო თანხმობის წანამძღვრების მომზადებას, ეფექტიანი გამოყენება.

ზემოთ აღნიშნული ტენდენციების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: საქართველოში ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები („გარღვევის სტრატეგია“) აუცილებელია. შესაბამისი ხელშემწყობი ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრებიც ჩამოყალიბებულია. ამასთან, ისინი ცალ-ცალკე არსებობენ და, ბუნებრივია, ურთიერთგანპირობებულობის დაბალი დონით ხასიათდებიან. ამიტომ, სწორედ ასეთ, ფაქტობრივად ექსტრემალურ სიტუაციაში – როდესაც ქვეყანაში სოციალური დაძაბულობა იზრდება, ეკონომიკა კრიზისშია, ეკონომიკური ზრდის პირობა-ფაქტორები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობენ, საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმმართველ როლს – საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად შეხამებას „გარღვევის სტრატეგიის“ შემუშავებასა და განხორციელებაში.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დღევანდელი განვითარებული ქვეყნების მიერ განვლილი გზით (კლასიკური კაპიტალიზმის მოდელით) XXI საუკუნეში საქართველოს, საერთოდ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა ობიექტურად გამორიცხულია. ეს იმიტომ, რომ სულ სხვა იდეები, მიდგომები, პრინციპები, თავისებურებანი, ტენდენციები იკვალავს გზას, ვიდრე ეს ისტორიულად ცივილიზებულმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს. ეროვნულ ეკონომიკას გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების გადაკვეთაზე საკუთარი ადგილი უნდა გააჩნდეს.

6.5. მცირე და საშუალო ბიზნესი სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარდამავალ პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული მეურნეობის ფორმირებასა და ეფექტიანი ფუნქციონირების სოციალური და ორგანიზაციული პირობების მომზადებაში. **ჯერ ერთი:** პოსტსოციალისტურ საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ობიექტური და სუბიექტური პირობები რეალურად არსებობს. კერძოდ, ქვეყნის მეურნეობრიობის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებანი, არსებული ტრადიციები, პრაქტიკა, წვრილი და საშუალო მესაკუთრის ფორმირების ობიექტური წანამძღვრები, სამუშაო ადგილების შექმნის (დასაქმების), სამომხმარებლო ბაზრის ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბების საჭიროება და სხვ. ყოველივე ეს, მცირე ბიზნესის მიზანმიმართულ განვითარებას და შესაბამისად, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ახლებურ განხილვას მოითხოვს.

მეორე, მსოფლიო პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს ტექნიკურ, ეკონომიკურ სიახლეთა დანერგვას, ქვეყნის საფინანსო რესურსების შექმნას, დასაქმებას, მომხმარებელთა რეალური ინტერესების გათვალისწინებას, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების დაახლოებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მატერიალური საფუძვლის მომზადებას, ქვეყნის ეფექტიანი ეკონომიკის სოციალური ბაზის შექმნას და ა.შ.

მესამე, მცირე და საშუალო ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას აძლიერებს მისი განსაკუთრებული ადგილი საქართველოში ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ეკონომიკური თვალსაზრისით, მცირე ბიზნესი აქტიურ როლს ასრულებს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებაში, საწარმოო ინფრასტრუქტურის

შექმნაში, ინტეგრაციული კავშირების გაფართოებაში. ამასთან, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მის სოციალურ მახასიათებელს: კერძოდ, ხელი შეუწყოს მოსახლეობის დასაქმებას და საინოვაციო აქტიურობის სტიმულირებას, თვითრეგულირებადი სისტემის შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას. მცირე და საშუალო მეწარმეობა საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მესაკუთრეთა საშუალო ფენის ჩამოყალიბებით იქმნება დაბალანსებული საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელიც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური რყევების დროს ავლენს ახალ გარემოსთან ადვილად ადაპტირების უნარს, ქმნის სათანადო წანამძღვრებს სოციალური თანხმობის მისაღწევად.

მეოთხე, საქართველოში მცირე ბიზნესმა, სტიქიურად განვითარების წინააღმდეგობრივ პროცესშიც შეძლო სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენა. შეიქმნა და იქმნება უამრავი სამეწარმეო სტრუქტურა მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე, საშუამავლო საქმიანობის სფეროში და სხვ.

საგულისხმოა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა ასრულებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფუნქციას (საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირება), კონკურენციულ-პოლიტიკურ ფუნქციას (ბაზარზე მსხვილი სტრუქტურებისათვის კონკურენციის გაწევა), სტრუქტურულ-პოლიტიკურ ფუნქციას (სხვადასხვა ტიპის საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მოხმარებული საქონლის ოპტიმალური თანაფარდობა), დასაქმებით – პოლიტიკურ ფუნქციას (ახალი სამუშაო ადგილების შექმნა) [15.10-12].

ქვეყანაში მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პირობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, ეკონომიკის (განსაკუთრებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვ.)

რესურსულ პოტენციალს, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და ადგილზე გადამუშავების შესაძლებლობას, სამშენებლო მასალების წარმოების ბუნებრივ პირობებს [49.92].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო კლასიკური მთიანი ქვეყანაა და წვრილი დასახლებული პუნქტების (სოფლების, ქალაქების) სიმრავლით ხასიათდება. აქ მცხოვრები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისათვის ძალიან ხელსაყრელია მცირე საწარმოთა ამოქმედება. ეს, ერთი მხრივ, სასარგებლოა მეწარმესათვის, რადგან მას საშუალება ექმნება დაასაქმოს ადგილზე მცხოვრები იაფი მუშახელი (რომელიც არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს სოციალური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის), ხოლო მეორე მხრივ, თავიდან გვაცილებს მოსახლეობის გადაადგილების (მიგრაციას) შესაძლებლობას სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებით [დ. მურავიძე, საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარების ფაქტორები... საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარების და ხელშეწყობის მიმართულებები, თბილისი-ბათუმი, 2002, გვ. 9-10].

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე მეწარმეობა უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. მათი ურთიერთდამოკიდებულება მრავალმხრივია და გამოიხატება რაოდენობრივი, სტრუქტურული და ხარისხობრივი მახასიათებლებით. კერძოდ, მოკლე დროში სამეცნიერო-ტექნიკური სიახლების დანერგვით, დასაქმების (ახალი სამუშაო ადგილების), შრომის ინტენსიფიკაციის ზრდით, დანახარჯების შემცირების შესაძლებლობით და, რაც არსებითია, სწრაფად ცვალებად სიტუაციაში ადაპტირების უნარით.

მოსახლეობის განუსაზღვრელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება (სოციალური პრობლემა), შეზღუდული რესურსები (ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი), ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა (სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ფაქტორი), თანამედროვე ცოდნაზე დამყარებული შრომის ორგანიზაცია (ცოდნა, როგორც განვითარების

ფაქტორი), კონცენტრირებულად გამოხატავს მცირე მეწარმოების შინაარსს და ანიჭებს მას განსაკუთრებულ როლსა და ადგილს ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში.

საქართველოში მცირე ბიზნესის ფუნქციონირების საკითხების განხილვამდე, მიზანშეწონილია გავეცნოთ სხვა ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას მცირე მეწარმეობის განვითარებაში. საქართველოს ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით მისი კრიტიკული ანალიზი დაგვეხმარება ობიექტურად განისაზღვროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები.

მცირე მეწარმეობის როლის შესახებ დამაჯერებელ ინფორმაციას გვაძლევს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი. XX საუკუნის ბოლო წლებში იტალიაში სამრეწველო საწარმოების 99% მცირე და საშუალო იყო. მცირე და საშუალო ფირმები გერმანიასა და ჰოლანდიაში საექსპორტო პროდუქციის 40%-ს აწარმოებდნენ, საფრანგეთში – 25%-ს, იაპონიაში – 15%-ს, იტალიაში – 60%-ს ინგლისში ფირმების 96% ეკუთვნის მცირე ბიზნესის კატეგორიას. მათზე მოდის მთლიანი პროდუქტის 20%, სამუშაო ძალის – 25%.

იაპონიის მთავრობის დაკვეთებში მცირე საწარმოების ხვედრითი წილი 45%-ია, ხოლო ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაკვეთაში – 32%. მრეწველობაში, მშენებლობასა და მომსახურების სფეროში უმრავლესობას შეადგენენ მცირე საწარმოები. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულია იაპონიის სამუშაო ძალის 80%-ია [189.75].

განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს გამოცდილება. ჯერ კიდევ 1953 წელს ქვეყანაში მიღებულ იქნა კანონი „მცირე ბიზნესის შესახებ“, შეიქმნა სახელმწიფო ორგანო „მცირე ბიზნესის საკითხთა ადმინისტრაცია“ 100 რეგიონული განყოფილებით და 4000 თანამშრომლით. 1992 წელს მცირე საწარმოთა რაოდენობამ 19 მლნ-ს მიაღწია. ეროვნულ პროდუქტში მათი ხვედრითი წილი 40% შეადგენდა [95.87].

სამხრეთ კორეაში მცირე ბიზნესი აღიარებულია ეკონო-

მიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად [189.75]. ცალკეული ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ბიზნესის მიმართულებები განსაკუთრებული სოციალური ფუნქციების შესრულების მიზნით ყალიბდება. მაგალითად, ინდოეთში მცირე ბიზნესი ორიენტირებულია მოსახლეობის იმ ფენების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც დაბალი შემოსავლები აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო საწარმოების პრობლემას, ფართოდაა აღიარებული მათი პოტენციური შესაძლებლობანი სოციალური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში (დასაქმება, შემოსავალი და სხვ.), ამ პრობლემის ბევრი ასპექტი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

მეცნიერებასა და პრაქტიკაში მცირე და საშუალო საწარმოების განსაზღვრისას გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა. ერთმანეთისგან განასხვავებენ რაოდენობრივ, თვისებრივ და კომბინირებულ ვარიანტებს. რაოდენობრივი მიდგომისას იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს: დასაქმებულთა რაოდენობა, ბრუნვის მოცულობა, აქტივების საბალანსო ღირებულება. ამასთან, პრაქტიკაში გვხვდება მათი განსხვავებული, ასევე სხვა კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითად, იაპონიაში გამოიყენება კაპიტალის სიდიდე, მომუშავეთა რაოდენობა, დარგობრივი კუთვნილება, სამხრეთ კორეაში – მომუშავეთა რაოდენობა, აქტივების ჯამი და წლიური ბრუნვის მოცულობა, ინგლისსა და გერმანიაში – მომუშავეთა რაოდენობა, წლიური ბრუნვა, იტალიაში – მომუშავეთა რაოდენობა, ძირითადი კაპიტალის მოცულობა, ინდოეთში – მომუშავეთა რაოდენობა, ინვესტიციების მოცულობა და ზოგიერთ დარგში – ელექტროენერგიის გამოყენებაც.

თვისებრივ ვარიანტში იყენებენ მცირე ფირმის საქმიანობის დამახასიათებელ ნიშნებს. მაგალითად, ჰოლანდიელი **ვან ხორნის** განსაზღვრით, მცირე ფირმას აქვს რამდენიმე ნიშანი: წარმოებული პროდუქციის შედარებით მცირე მოცულობა, შედარებით შეზღუდული რესურსები და სიმძლავრე,

მართვის ნაკლებად განვითარებული სისტემა, მენეჯმენტის არასისტემატურობა, მთავარი თანამდებობები და აქციების უდიდესი ნაწილი აქვთ საწარმოების დამფუძნებლებს[1].

თვისებრივი მიდგომისას მცირე ფირმას განასხვავებენ მსხვილისაგან შემდეგი ნიშნებით: გაურკვევლობის მაღალი ხარისხი, ინოვაციის დანერგვაში პოტენციურად დიდი შესაძლებელობები, ცვლილებების მიმართ ადაპტირების უნარი.

კომბინირებული მიდგომის არსი მდგომარეობს მცირე ფირმის „ეკონომიკური“ და „სტატისტიკური“ განსაზღვრის აუცილებლობაში. ამ მიდგომით მცირეს მიეკუთვნება ფირმები, რომლებიც ფლობენ ბაზრის შედარებით ნაკლებ წილს საბაზრო სივრცეში, ფირმას ხელმძღვანელობს მისი მფლობელი (თანადამფუძნებელი) და არა სპეციალიზებული სტრუქტურა, ფირმა არის დამოუკიდებელი (არ არის მსხვილი საწარმოს ნაწილი).

ასეთი მიდგომების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი მცირე საწარმოს შესახებ. ამიტომაა, რომ მსოფლიოში **„მცირე საწარმოს“** 50-მდე განმარტება არსებობს. ყველა ქვეყანა თავისი სპეციფიკით უდგება მცირე საწარმოს ფუნქციონირების ფაქტორების განსაზღვრას. მაგალითად, ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების მეთოდოლოგიით, XX საუკუნის 90-იან წლებში მცირე საწარმოდ ითვლებოდა საწარმო, რომელშიც დასაქმებული იყო 50-მდე კაცი, წლიური ბრუნვა – 4 მლნ ეკიუ, ბალანსი – 2 მლნ ეკიუ იყო. საშუალო საწარმოდ ითვლებოდა, შესაბამისად – 50-250 კაცი, 16 და 8 მლნ ეკიუ. ბოლტონის კომიტეტის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ მცირე საწარმოდ ითვლება: დასაქმების მიხედვით მრეწველობაში – 200 კაცამდე, მშენებლობაში – არა უმეტეს 25 კაცისა.

ინგლისში ფირმებს 6 კატეგორიად ყოფენ დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით: 1-19, 20-49, 50-99, 100-499, 500-99, 1000 ზევით. ყველაზე ეფექტიანად მიჩნეულია 1-19.

---

1 **ევროპის თანამეგობრობის ახალი მეთოდოლოგიით მცირე და საშუალო საწარმოების განსაზღვრა მიღებულია სამი მაჩვენებლის მიხედვით: დასაქმებულთა რაოდენობა, წლიური ბრუნვა და ბალანსი. [119.51].**

ინტეგრალური ცნება „მცირე ბიზნესი“ აშშ-ში მოიცავს საოჯახო ბიზნესს, მცირე საწარმოებს (100-მდე კაცი), საშუალო საწარმოებს, რომლებშიც მუშაობს 500-მდე კაცი. იაპონიაში მცირედ ითვლება საწარმო არაუმეტეს 50 დასაქმებულისა მომსახურების სფეროში და არაუმეტეს 200 კაცისა სხვა სფეროებში. რუსეთში – მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე 100 კაცი, სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო პროფილის საწარმოებში – 60 კაცი, მომსახურების სფეროში – 30 კაცი. გერმანიაში მცირედ მიიჩნევა საწარმო 9-მდე დასაქმებულითა და 1 მლნ გერმანული მარკა წლიური ბრუნვით [15.9]. დასაქმების მიხედვით ქვედა და ზედა ზღვარი ერთმანეთისაგან განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში ქვედა ზღვარი 10 კაცია, ზედა – 500, შესაბამისად, სამხრეთ კორეაში – 1 და 50, უნგრეთში – 1 და 500, შვედეთში – 1 და 200, დანიაში – 6 და 50, იაპონიაში – 1 და 299, თურქეთში – 5 და 150 [95.80]. ამ მაჩვენებლის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვს ევროკავშირს. იგი მიკროდ მიიჩნევს საწარმოებს, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა 10 კაცზე ნაკლებია, მცირედ – 10-დან და 98-მდე, საშუალოდ – 99-დან 499-მდე, მსხვილად – 500 და მეტი [93.196].

საქართველოში 2002 წლის 4 ივლისს მიღებული კანონით „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ მცირე საწარმოდ ითვლება ყველა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს და წლიური ბრუნვა 500 000 ლარს (საშუალო საწარმოს – შესაბამისად 100 დასაქმებული და 1500 ათასი ლარი).

საქართველოში, მცირე ბიზნესის განვითარების ორი ეტაპი გამოიყოფა. **პირველი,** მე-XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა (კანონებმა), რომლებიც შეეხებოდა მცირე მეწარმეობის (კოოპერატივების და სხვა) განვითარებას, იჯარის პრინციპების გამოყენებას და ა.შ., დააჩქარა მცირე მეწარმეობის ფართოდ განვითარება. სახელმწიფო საკუთ-

რებაზე დამყარებული საწარმოების რესურსების ბაზაზე მასობრივად ჩამოყალიბდა მცირე საწარმოები. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი განსაკუთრებულ პირობებში აღმოჩნდნენ. იაფი ნედლეული, მასალები, შრომის საშუალებები, შეღავათიანი სატრანსპორტო ტარიფები, იაფი კრედიტები, საგადასახადო მექანიზმების ზეგავლენიდან გამოსვლა, ფაქტორთა ერთობლიობად ჩამოყალიბდა, რომელმაც გზა გაუხსნა მეწარმეობას და მასთან ერთად კრიმინალური ეკონომიკის შექმნას. 3-4 წელიწადში დაგროვდა მნიშვნელოვანი კერძო კაპიტალი. ცალმხრივად განვითარდა საცალო ვაჭრობა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი კვება[1]. დაჩქარდა მცირე საწარმოების სტიქიურად შექმნის პროცესი. **მეორე ეტაპი** (1991 წლიდან დღემდე) დაიწყო თვისებრივად ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში. ამ პერიოდში ეროვნული ეკონომიკა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღრმა კრიზისში შევიდა. ნიშანდობლივია, რომ 1993-2000 წლებში მცირე საწარმოების ხვედრითმა წონამ 92,7% შეადგინა [67.150], 2006 წელს კი – 95%.

განვლილ პერიოდში მიღებულ იქნა რიგი კანონები და დადგენილებები, რომლებსაც ხელი შეეწყო ქვეყანაში კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და მეწარმეობის განვითარებისათვის. მათ შორისაა **კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“** (1991 წ.), სამთავრობო დადგენილებები: **„სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“** (1992 წ.), **„ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“** (1992 წ.), **„ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“** (1992 წ.), **„ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“** (1993 წ.), **„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების**

---

1 აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ეროვნულმა ტრადიციებმა. კერძოდ, „დუქნის“ ფენომენმა, რომელიც კარგად იყო ადაპტირებული სოციალისტურ ეკონომიკაშიც და მისთვის მიჩენილ „გეოგრაფიულ წერტილზე“ სარფიანი საქმიანობით გამოირჩეოდა.

დამტკიცების თაობაზე“ (1993 წ.). 1993 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება **„საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“**. 1993 წელს ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა **„მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“**.

1994 წელს 28 ოქტომბერს კანონის **„მეწარმეთა შესახებ“** მიღებით ზემოთ აღნიშნული კანონები და დადგენილებები გაუქმდა. 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ 1994 წლიდან დაიწყო მცირე საწარმოთა რაოდენობის ზრდა. 1994 წელს რეგისტრირებული იყო 12 ათასი საწარმო, 1995 წელს – 17 ათასი, 2005 წელს – 31136 ერთეული (ცხრილი 6.6)

ცხრილი 6.6

საქართველოში ბიზნესის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები გამოკვლეულ საწარმოთა ზომების მიხედვით 2005 წ.

	სულ	მსხვილი		საშუალო		მცირე	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	34934	1074	3,1	2724	7,8	31136	89,1
დასაქმებულთა რიცხვი (კაცი)	388946	200903	51,7	87628	22,5	100415	25,8
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	5838,3	4583,2	78,5	703,9	12,1	551,2	9,4
ძირითადი კაპიტალი (მლნ ლარი)	5415,1	4417,6	81,6	466,0	8,6	531,4	9,8
ბრუნვა (მლნ ლარი)	10076,3	7756,9	77,0	1163,6	11,5	1155,8	11,5
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი)	204,5	271,2		139,3		102,3	

წყარო: ეს და მომდევნო ცხრილები შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისსამინისტროს სტატისტიკური პუბლიკაციის „მეწარმეობა საქართველოში – 2006” მონაცემების საფუძველზე.

1999 წელს მიღებული კანონის **„მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“** საფუძველზე შეიქმნა **„მცირე საწარმოთა განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი“,** რომელსაც უნდა უზრუნველეყო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ამ სფეროში. 2006 წელს აღნიშნული ცენტრი გაუქმდა.

ამჟამად, **„მეწარმეთა შესახებ“** კანონის გარდა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და სამართლებრივი რეგულირება ხდება კანონებით **„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“** (2001 წ.), **„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ (2002 წ.), „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ (2002 წ.)** და სხვა ნორმატიული აქტებით.

მომსახურების სფეროში მცირე საწარმოების რაოდენობაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი სასტუმროები და რესტორნები, ვაჭრობისა და საფინანსო საქმიანობის სფეროები. განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სოციალური დახმარების სფეროებზე მოდის შესაბამისად 51,5% და 46,8%. (ცხრილი 6.7)

ამჟამად ქვეყანაში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სისტემის – ცენტრების, სააგენტოების, პროექტების, პროგრამების – გავლენა მეტად უმნიშვნელოა. მცირე საწარმოები საქმიანობის გაფართოებისას უმეტესად საკუთარი დანაზოგების იმედზე არიან. მათთვის საბანკო კრედიტი ნაკლებად ხელმისაწვდომია.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში უნდა განვიხილოთ როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქცია. სახელმწიფომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების მექანიზმების ფორმირების საწყის ეტაპზე უნდა უზრუნველყოს მცირე საწარმოების მომსახურება – რესურსების განაწილება, სახელმწიფო დაკვეთები, ფინანსური მხარდაჭერა და სხვ. ფორმების გამოყენება, ე.ი. უზრუნველყოს მცირე საწარმოების ფუნქციონირების ხელსაყრელი ეკონომიკური და ორგანიზაციული მომზადება. ამასთან, აუცილებელია ორგანიზა-

ცხრილი 6.7

გამოკვლეულ იურიდიულ პირ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2005 წ.)

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	მთლიანად	მათ შორის					
		მსხვილი		საშუალო		მცირე	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ს უ ლ	14721	1040	7,1	2544	17,3	11137	75,7
ეკონომიური საქმიანობის სახეების მიხედვით							
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	239	10	4,2	38	15,9	191	79,9
თევზჭერა, მეთევზეობა	26	-		3	11,5	23	88,5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	105	8	7,6	22	21,0	75	71,4
დამამუშავებელი მრეწველობა	2055	147	7,2	379	18,4	1529	74,4
ელექტროენერგიის, აირის და წყლის წარმოება-განაწილება	176	36	20,5	78	44,3	62	35,2
მშენებლობა	1043	101	9,7	357	34,2	585	56,1
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5376	371	6,9	489	9,1	4516	84,0
სასტუმროები და რესტორნები	630	12	1,9	60	9,5	558	88,6
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	984	129	13,1	183	18,6	672	68,3
საფინანსო საქმიანობა	48	2	4,2	6	12,5	40	83,3
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებელისათვის მომსახურების გაწევა	2066	43	2,1	231	11,2	1792	86,7
განათლება	526	28	5,3	227	43,2	271	51,5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	939	128	13,6	372	39,6	439	46,8
საქმიანობის დანარჩენი სახეები	508	25	4,9	99	19,5	384	75,6

წყარო: მეწარმეობა საქართველოში 2006, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

ციულ-მმართველობითი საწყისის ეფექტიანი გამოყენებაც, რაც უშუალოდ უკავშირდება მცირე ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვას (ეროვნულ მეურნეობაში მისი როლის განსაზღვრას), ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მოქმედებას, კონტროლს (იგულისხმება შესაბამისი გარემოს შექმნის რთული პროცესის კონტროლი).

იმისათვის, რომ მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა ეფექტიანი იყოს, საჭიროა იგი დაეფუძნოს მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებს, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ ეკონომიკის განვითარების მოცემული ეტაპის თავისებურებებს, ტენდენციებს.

მსოფლიოს სამეურნეო გამოცდილებით აღიარებულია, რომ მცირე მეწარმეობის განვითარების მიზნების, პრინციპებისა და მიმართულებების დაფიქსირება ხდება შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია მცირე მეწარმეობის განვითარების საერთო პროგრამა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი პროგრამა უნდა დაედოს საფუძვლად პრიორიტეტების მიხედვით ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარებას.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხების განსაზღვრას.

პროგრამის სტრუქტურაში ჩვეულებრივ გამოყოფენ 3 ბლოკს: **კონცეპტუალურს,** რომელშიც განისაზღვრება პროგრამის მიზანი, პრინციპები, მეთოდები, კონცეფცია; **ორგანიზაციულს,** რომელიც მოიცავს სახელმწიფო, საზოგადოებრივი მხარდაჭერის ინსტიტუტებს (სტრუქტურებს) და **ფუნქციონალურს,** რომელშიც შედის მხარდაჭერის სისტემის ძირითადი მიმართულებები. პროგრამაში განისაზღვრება მცირე საწარმოს საგადასახადო, საკრედიტო, სატარიფო და სხვა სახის მხარდაჭერის, სახელმწიფო დაკვეთების გამოყენების მექანიზმი, რომლებიც რესურსული უზრუნველყოფისა და რეალიზაციის გარანტიას იძლევა. დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და მსხვილი საწარმოების კოოპერირებას,

მცირე ბიზნესთან სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების ურთიერთობებს, (სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, ლიცენზირება, კონტროლი და სხვა საკითხები). პროგრამაში უნდა განისაზღვროს, თუ როგორ იქნება დაცული მცირე საწარმოები, როგორ განვითარდება მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა, როგორ მოხდება ეკონომიკური კონიუნქტურის რეგულირება, კადრების მომზადება, ინფორმაციული უზრუნველყოფა და ა.შ.

პროგრამაში უნდა იყოს მოცემული მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებათა გატარების მარეგულირებელი სახელმწიფო (სახელმწიფო-საზოგადოებრივი) ორგანოს ფუნქციონირების პრინციპები, სტრუქტურა, უფლება-მოვალეობები.

გარდამავალი პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამები შედგეს **მაკრო-** (საერთო სახელმწიფოებრივი), **მეზო-** (დარგთაშორისი, რეგიონული) და **მიკროდონეზე** (ეკონომიკის პირველადი რგოლები, რომლებიც საბაზრო სუბიექტებს წარმოადგენენ). ეს განპირობებულია იმით, რომ სამივე დონე წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი პროგრამების რეალიზაციის მექანიზმების ურთიერთმოქმედების, ურთიერთგანპირობებულობის ოპტიმალური პირობების შექმნას. ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უპირატესობა უნდა მიეცეს მცირე მეწარმეობის განვითარების რეგიონულ პროგრამებს.

მცირე მეწარმეობის განვითარების სამართლებრივი ბაზის შექმნასთან ერთად აუცილებელია საინფორმაციო, საკონსულტაციო, მარკეტინგის და სხვა ფართო ქსელი. ინფრასტრუქტურის შესაბამისი ინსტიტუტები შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაციულ და სამართლებრივ ბაზაზე ფუნქციონირებდნენ. მსოფლიო პრაქტიკაში მხარდაჭერის შემდეგი ინსტიტუტები გამოიყენება: ფინანსური ფონდები, სპეციალიზებული ბანკები, სადაზღვევო ფონდები, ლიზინგური კომპანიები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნიკური პარკები, მცირე

ბიზნესის განვითარების ცენტრები, ინფორმაციული, საკონსულტაციო, სასწავლო ქსელები და ა.შ.

დასახელებული და სხვა სტრუქტურების არსებობა, მათი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების და თვითრეგულირების ფორმა. იგი სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართება: კერძო ინიციატივისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, მცირე საწარმოების შიდა გარემოზე მარეგულირებელი ზემოქმედება და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სისტემის ორგანიზაციული სრულყოფა.

გამოვყოფთ რამდენიმე საკითხს, რომელთა სწორად გადაწყვეტა გასათვალისწინებელია მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში და რომელზეც არსებითად დამოკიდებულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პერსპექტივა.

სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური ასპექტები. მცირე საწარმოების, ისევე როგორც საერთოდ ეკონომიკის, განვითარება, როგორც წესი, უნდა განვიხილოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროპარამეტრებთან – ინფლაციის დონე, ბიუჯეტის დეფიციტი, საპროცენტო განაკვეთები, საგადასახადო განაკვეთები, უმუშევრობა და სხვ. მიკროეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისობის და ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით. მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიკროდონეზე საწარმოების ფორმირების სასტარტო ეტაპის თავისებურებები, რეგიონების განვითარების სპეციფიკა, საინფორმაციო-კონსალტინგური, ორგანიზაციული, სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებები, მცირე ბიზნესის განვითარების პრიორიტეტები, ფინანსური რესურსების, მათ შორის, უცხოურის, დიფერენცირებულად გამოყენება და სხვ. აუცილებელია შემუშავდეს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსება-დაკრედიტების თვისებრივად ახალი მიდგომები (პრინციპები). პირველ რიგში, ქვეყანაში უნდა

ჩამოყალიბდეს გრძელვადიანი დაკრედიტების სისტემა.

კრედიტები მიზნობრივად უნდა გაიცეს მცირე საწარმოებზე. მაგალითად, სიმძლავრეთა გასაფართოებლად, ახალი საწარმოს შესაძენად, მსხვილ საწარმოებში კაპიტალის დაფინანსებაში მონაწილეობისთვის, სამუშაო ადგილების შენარჩუნება-გადიდებისათვის და სხვ. უნდა განისაზღვროს (განსაკუთრებით სასტარტო ეტაპზე) მიზნობრივი კრედიტის გაცემის, შეღავათიანი დაკრედიტების პირობები, გათვალისწინებულ იქნეს ცალკეულ ქვეყნებში არსებული დაკრედიტების გამოცდილებაც. მაგალითად, იტალიაში კრედიტებს აძლევენ 15 წლით ახალი ინიციატივისათვის, 10 წლით – მოდერნიზაციისათვის. სამხრეთ კორეაში 1,5-ჯერ მეტ კრედიტს იღებენ მცირე საწარმოები, ვიდრე მსხვილები.

იაპონიაში შექმნილია მცირე საწარმოების კრედიტების გარანტიისა და საქმიანობის დაზღვევის მობილური სისტემა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები, რომლებიც კომერციულ საფუძველზე არიან ჩამოყალიბებული, მცირე და საშუალო საწარმოებიდან იღებენ მისაღები კრედიტის ერთ პროცენტს და საკვრო შენატანებით ქმნიან დაზღვევის ფონდს. საზოგადოება გარანტად დგება საკრედიტო ორგანიზაციის წინაშე, ფონდი იღებს საწარმოს ვალს და მისი გადახდისუნარიანობის დაკარგვისას თვითონ ხდება პასუხისმგებელი კრედიტის მიმცემის წინაშე.

საინტერესოა გერმანიის გამოცდილება. აქ ახალ მხარეებში შეიქმნა სპეციალური ბანკები, რომლებიც თავდებად გამოდიან. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს ერთ მლნ მარკას. ამასთან, კრედიტის 80% დაფარვა გარანტირებულია. კრედიტის დაფარვის ვადა 15 წელია (მშენებლობაში 23 წელი). ამ სფეროში დიდ როლს ასრულებს მთავრობა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს გერმანიის სტაბილიზაციის ბანკის მეშვეობით. იტალიაში 1991 წელს მიიღეს კანონი მცირე საწარმოების განვითარებისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერის შესახებ, რომლის მიხედვით ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მცირე საწარმოები 10 წლის მანძილზე საერთოდ არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, იხდიან

ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ ნახევარს. თუ მეწარმე ყიდულობს თანამედროვე ტექნოლოგიას, ინვესტიციების 25% შეღავათიანი გადასახადით იბეგრება, სამეცნიერო სამუშაოების 30% საერთოდ არ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ შეღავათიანი გადასახადებით იფარება მცირე საწარმოების პოტენციური ხარჯების თითქმის 40%. ზოგიერთ ქვეყანაში მცირე საწარმოების დამფუძნებლები კაპიტალიდან მიღებული მოგების 50%-ით იბეგრებიან. რიგ ქვეყნებში გამოიყენება სუბსიდიების მიცემის პრაქტიკაც. მაგალითად, იაპონიაში სამინისტროები გამოყოფენ მცირე ბიზნესის განვითარების თანხებს. ასევე მიზნობრივ პროგრამებშია გათვალისწინებული გარკვეული სახსრებიც. ინდოეთში მცირე ბიზნესის განვითარება გათვალისწინებულია 5-წლიან გეგმებში, წლიურ ბიუჯეტებში [187.76].

არ უნდა გამოვრიცხოთ სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება. ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს ექსტრემალურ სიტუაციებთან, როდესაც საჭიროა რადიკალური ჩარევები დეპრესიული მდგომარეობის განმუხტვისათვის. საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში საერთოდ, განსაკუთრებით საქართველოში, გვერდს ვერ ავუვლით გონივრულ პროტექციონიზმს. იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც ეკონომიკის პოლიტიკის მუდმივი კომპონენტი, არამედ განსაკუთრებულ სიტუაციაში ეკონომიკური მანევრირების დროებითი ფორმა. აუცილებელია ისეთი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეასრულებს მასტიმულებელ და არა მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას მეწარმეობის განვითარებისათვის. მცირე ბიზნესის საწარმოებისათვის გადასახადების სტაბილურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ახლად შექმნილი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის 2-3 წლიანი შეღავათიანი დაბეგვრის დაწესება. მაგალითად, ფუნქციონირების დაწყებიდან სამი წლით საწარმოების განთავისუფლება მოგების გადასახადისაგან, ხოლო შემდგომი ორი წლის მანძილზე მოგების მხოლოდ 50%-ის გადახდის დაკისრება. ეს ხელს

შეუწყობს იმას, რომ მეწარმეს არ დასჭირდება საწარმოო დანახარჯების „გაბერვა“. მოგების ნაწილის ინოვაციურ პროცესებში გამოყენებით მომზადდება მყარი საფუძველი შემოსავლების ზრდისათვის. მიზანშეწონილია დიფერენცირებულად, ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში მცირე ბიზნესის განვითარების ეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინებით ე.წ. საგადასახადო არდადეგების გამოყენებაც.

მიზანშეწონილია ოპტიმალურად განისაზღვროს ნორმატიული დამოკიდებულება სახელმწიფო საკუთრების ფუნქციონირებიდან შემოსავლებსა და მცირე ბიზნესის დაფინანსებას შორის. ჩვენი აზრით, ადგილობრივ ბიუჯეტებში უნდა დარჩეს მცირე საწარმოების საგადასახადო შენატანები. 2-3 წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცენტრალური ორგანოების წილობრივი მონაწილეობის პრაქტიკა ადგილობრივი და რეგიონული პროგრამების დაფინანსებაში.

გარდამავალ პერიოდში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებებში მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაკვეთის განთავსება. ეს უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვიყენოთ მსუბუქ, კვების მრეწველობაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. სახელმწიფო საჭიროებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვოტები, იგი ხელს შეუწყობს გასაღების გარანტირებული ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია მათი საწარმოო და ფინანსური საქმიანობის ოპტიმალური დაგეგმვისათვის. ამასთან, ამ მომენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღია ეკონომიკის პირობებში სამამულო წარმოების, განსაკუთრებით მცირე საწარმოების, დაცვისათვის. ასევე პრინციპულია შემუშავდეს ანტიმონოპოლიური ღონისძიებანი მცირე მეწარმეობის დასაცავად კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია აქტიურ სტრუქტურულ პოლიტიკასთან (იგულისხმება მცირე მეწარმეობის სტრუქტურულ-პოლიტიკური ფუნქციის შესრულება). ეს უმჯობესია განხორციელდეს მიზანმიმართულად, იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ეფექტიანობას.

დღევანდელ პირობებში პერსპექტიულია შემდეგი მიმართულებები: სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება, ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა, მომსახურების სფერო, საექსპორტო პროდუქციის, იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოება, ინოვაციების სფერო, ხალხური რეწვა, მაღალტექნოლოგიური წარმოება [53.V.281].

დღეს გაბატონებული ოფიციალური პოზიცია იმის შესახებ, რომ თითოეულმა მეწარმემ თვითონ იპოვოს ბაზარი და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პროდუქციის შექმნასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების საწყის ეტაპზე არასწორად მიგვაჩნია. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რაც მარტო საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებით არ ამოიწურება. იგი ბაზარზე სწორი ორიენტაციის არჩევაშიც უნდა დაეხმაროს მეწარმეს, ამასთან ერთად დაიცვას იგი საშინაო ბაზარზე, ხელი შეუწყოს საგადასახადო, სატარიფო, საბაჟო მექანიზმების გამოყენებით და სხვ. მის საგარეო ბაზარზე კონკურენტულ გარემოში ადაპტირებას. ჩვენი აზრით, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ხელშეკრულებებში ცალკე სტრიქონად უნდა იყოს გათვალისწინებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები მიკროდონეზე. დღევანდელი პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეურნეობრიობის ახალი ტიპის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების აღმოცენება-ჩამოყალიბების მიმდინარე პროცესში. მყარ ორგანიზაციულ საფუძველზე მცირე საწარმოების შექმნა, მათი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობა, ახალი სამუშაო ადგილების წარმოშობის მყარი გარანტიები, ბუნებრივია, ქვეყნის დაბალანსებული ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების რეალური საფუძველი გახდება.

ბოლო წლებში საქართველოში ფართოდ გავრცელდა

წვრილი საწარმოები, რომლებშიც მომუშავენი პრაქტიკაში ცნობილია „თვითდასაქმებულებად“. ეს არაკორპორაციული, მცირე საწარმოებია, რომლებშიც მუშაობენ მათი მფლობელები, ოჯახის წევრები, მოსწავლეები, რომლებიც ხელფასს არ იღებენ, მუდმივად ან დროებით დაქირავებულნი. მათი საქმიანობის საფუძველია საკუთარი დაბანდებანი, მიღებული შემოსავალი, საკუთარი შრომა, მეწარმეობითი უნარი. „თვითდასაქმებულთა“ შემადგენლობა თითქმის ტიპურია: ქუჩაში მოვაჭრენი, სავაჭრო ფარდულების მფლობელები, საქმიანი მომსახურების სფეროში მომუშავენი: იურისტები, ინჟინრები, ეკონომისტები, ექიმები და სხვ.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ასეთი სახის საწარმოების განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, იაპონიის მრეწველობაში მუშაობს კერძო არაკორპორაციული საწარმოების 63%, რომლებშიც საშუალოდ დასაქმებულია 3 კაცი. 12 მლნ კაციდან, რომლებიც დასაქმებულნი არიან ასეთ საწარმოებში, 1 მლნ-ზე მეტი მუშაობს მარტო, დაქირავების გარეშე, 6 მლნ კაცი იქ, სადაც 2-4 კაცი მუშაობს. მთლიანად დასაქმებულთა 80% შრომობს არაკორპორაციულ საწარმოებში, დასაქმებულთა რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს. ინგლისში 1981-1988 წელში „თვითდასაქმებულთა“ რაოდენობა გაიზარდა – 2 მილიონიდან 3 მილიონამდე. ამასთან საწარმოების 2/3 დაქირავებული შრომის გარეშე მუშაობს, 1/5 საწარმოებში 1-დან და 5-მდე დაქირავებულია, ხოლო უმრავლესობაში – 1-დან 9 კაცამდე მუშაობს, 78% – მუშაობს სახლში, 20%-ზე მეტს აქვს სპეციალური შენობები [120.142].

„თვითდასაქმებულებს“ აშშ-ში დიდ დახმარებას უწევს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია. ბრაზილიაში დაგეგმვის სამინისტრო ამუშავებს პროგრამებს მიკრობიზნესის („თვითდასაქმებულის“) განვითარებისათვის. რიგ ქვეყნებში „თვითდასაქმებულებს“ აძლევენ ბანკის კრედიტებს წლიური 3-5%-იანი განაკვეთით.

საინტერესო გამოცდილება აქვს გერმანიას. აქ იუგოსლავიიდან და თურქეთიდან ემიგრირებული მოსახლეობა აქტი-

ურად ჩაება მიკროსაწარმოების საქმიანობაში. 1988 წელს უცხოელ მოქალაქეებს ეკუთვნოდათ 140 ათასი საწარმო. 1990 წელს თურქებს ჰქონდათ 33 ათასი საწარმო, რომელთა წლიურმა ბრუნვამ 28 მლნ მარკა შეადგინა. აღსანიშნავია, რომ თურქ „თვითდასაქმებულთა“ შორის ქალები – 14,4%-ია, 35 წლამდე ასაკისაა საერთო რაოდენობის 1/3. კაფეებში, სასაუზმეებში, ფარდულებში დასაქმებული იყო საერთო რაოდენობის 66% [120.150].

როგორ შეიძლება შეფასდეს „თვითდასაქმებულების“ როლი და მნიშვნელობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში?

ბუნებრივია, ახალ სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები გააჩნია. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის მთავარი მხარეა ის, რომ ეკონომიკური კრიზისის უმძიმეს პირობებში ადამიანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავის გადარჩენისათვის შემოსავლების წყარო გამონახა. თუ ამას მივიჩნევთ დროებითად, იძულებით ჩამოყალიბებულად, მაშინ მიზანშეწონილია იგი ვაღიაროთ როგორც დადებითი მოვლენა. ამასთან, ამ მოვლენას უარყოფითი ნიშან-თვისებებიც გააჩნია. მაგალითად, იგი კრიმინალური გარემოს ჩამოყალიბებას, ქვეყანაში შრომის პროცესების სახელმწიფო კონტროლიდან გამოსვლას უწყობს ხელს.

მცირე მეწარმეობის განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქმნის პროდუქციის (მომსახურების) წარმოების ისეთი ფორმა, რომელიც ცნობილია „შინ (სახლში) მუშაობით“. პრაქტიკაში შესაძლებელია იგი ორი ძირითადი ფორმით იყოს წარმოდგენილი – დაქირავებით ან ხელშეკრულების საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შემოსავლების წყარო ხელფასია და არა საკუთარი კაპიტალი, თუმცა, შერეული ფორმებიც გამოიყენება. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმოების ეს ფორმა მხარდაჭერით სარგებლობს. მაგალითად, იაპონიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ჰონკონგში და აშშ-ში 80-იან წლებში „შინ“ მუშაობდა მთელი სამუშაო ძალის 11,0%, ინგლისში – 7% [188.78].

დღევანდელ პირობებში საქართველოში „შინ“ მუშაობაში ჩაებნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, მეცნიერები, ინჟინრები, პროგრამისტები, რედაქტორები, მთარგმნელები და სხვ. მომავალში უფრო გაფართოვდება ინტელექტუალთა „შინ მუშაობის“ სფერო. მიზანშეწონილია სამინისტროების, რეგიონების მიხედვით შემუშავებულ პროგრამებში სათანადოდ განისაზღვროს „შინ მუშაობის“ შესაბამისი ფორმები, განვითარების პერსპექტივა, ნედლეულით, მასალებით, ინფორმაციებით მხარდაჭერის ღონისძიებები. „შინ მუშაობის“ ერთ-ერთ უპირატესობად ითვლება ის, რომ დასაქმებულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. მაგალითად, გერმანიაში, იტალიაში, ჰოლანდიასა და საბერძნეთში – 80-95%, საფრანგეთში – 84%, ინგლისში –70%, იაპონიაში – 91,5%. ნიშანდობლივია ის, რომ „შინ მუშაობის“ ფორმა დიდ როლს ასრულებს მცირეწლოვანი შვილების დედების, ინვალიდების, პენსიონერების დასაქმებაში.

მთელ რიგ ქვეყნებში მუნიციპალიტეტები აქტიურად უჭერენ მხარს „შინ მუშაობისა“ და წვრილი დამოუკიდებელი („თვითდასაქმება“) მეწარმეობის განვითარებას. მაგალითად, აშშ-ში, ავსტრალიაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფუნქციონირებენ მოქალაქეთა საბჭოები, იტალიასა და ბელგიაში – კვარტალური საბჭოები, ინგლისში – მეზობელთა საბჭოები. ისინი იცავენ მოქალაქეთა ინტერესებს და ეხმარებიან მათ „შინ მუშაობისა“ და წვრილი სარემონტო და სხვა სახის საწარმოების შექმნაში. ასეთი საბჭოები მუნიციპალიტეტებისაგან გარკვეულ ფინანსურ დახმარებასაც იღებენ.

საქართველოში „შინ მუშაობის“ გაფართოების დიდი პერსპექტივაა საკურორტო და ტურიზმის მეურნეობაში, სახალხო რეწვაში, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებაში, მრავალწლიანი ნარგავების წარმოებაში, მომსახურებაში და სხვ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოჯახური ტურიზმის განვითარება. შესაბამისი ტურისტული ორგანიზაცია, ან საკურორტო დაწესებულება ხელშეკრულებას გააფორმებს სოფლად

(ქალაქად) კერძო სახლის მფლობელთან ფართობის გამოყოფის, კვების ორგანიზაციისა და სხვა საჭირო საკითხების მოგვარების მიზნით. ხელშეკრულებით განისაზღვრება მონაწილეთა პასუხისმგებლობა, მოვალეობები. ეს ფორმა პერსპექტიულია საკურორტო ზონებში, მთის რეგიონებში.

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას მცირე სესხები წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა. 2007 წელს საქართველოში მოქმედებდა ცამეტი არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მათ შეუძლიათ გასცენ სესხები 50-დან 15000 დოლარამდე საპროცენტო განაკვეთით 2%-4%. სესხის ხანგრძლივობა 3 თვიდან 2 წლამდე განისაზღვრება [46]. 2006 წლის 18 ივლისს ამოქმედებული კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ განისაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი დანიშნულება – ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას და სიღარიბის დაძლევას. მიუხედავად კანონის მიღებისა, მცირე მეწარმეობის განვითარებაში მიკროდაფინანსების როლი უმნიშვნელოა, რაც ძირითადად, საკრედიტო რესურსების უკმარისობით აიხსნება. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიკროდაფინანსების წყაროების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. საქართველოში ეს შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არის გამოყენებული. ამასთან, მიზანშეწონილია რეალურად განისაზღვროს სახელმწიფო ფინანსების მონაწილეობა მცირე მეწარმეობის განვითარების სტიმულირებაში.

მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონულ დონეზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება სხვადასხვა ფორმის გამოყენება. მაგალითად, შეიქმნას რეგიონული საგარანტიო ფონდები, ლიზინგური ფონდები, ცენტრები და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიზანშეწონილია ტიპური საინვესტიციო პროექტების ტირაჟირება (გადამუშავება და სხვ.). ბიზნესინკუბატორების, სასწავლო-მეთოდური, საინოვაციო და სა-

მეცნიერო, სახალხო სარეწების, მხატვრული პროდუქციის წარმოების და სხვ. სახის ცენტრების ჩამოყალიბება.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს ორგანიზაციულ-მმართველობით ურთიერთობათა მეტად დაბალი დონე. მხედველობაში გვაქვს ის, რომ მცირე საწარმოები ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად ცდილობს იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც საერთო ძალისხმევით უფრო ეფექტიანად გადაწყდება. ჩანასახობრივ მდგომარეობაშია საწარმოო კოოპერაცია.

მცირე საწარმოების მხარდაჭერის ორგანიზაციულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანია პროფესიული კადრების მომზადება, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაციით უზრუნველყოფა, აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაცია, ინფორმაციული სისტემა, რომელიც მოემსახურება მეწარმეს ბაზრის კონიუნქტურის, ტექნოლოგიების, მენეჯმენტის განვითარების, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ.

ჩვენი აზრით, მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამების შედგენის, მათი რეალიზაციის ფუნქციას უნდა ასრულებდნენ სამინისტროები, შესაბამისი რეგიონული სტრუქტურები, ხოლო მათთან ერთად დაინტერესებული ინსტიტუტების, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინაცია უნდა განახორციელოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე ნაყოფიერ გავლენას მოახდენს მცირე საწარმოების კავშირის (ასოციაციის) და მისი რეგიონული სტრუქტურების ჩამოყალიბება. მათი მთავარი ფუნქციები უნდა იყოს მცირე საწარმოების ინტერესების დაცვა, აუდიტური კონსულტაციების ჩატარება, დაკრედიტების ფონდების ფორმირება, ინფორმაციული ბანკის შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის წარმართვა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარება.

მცირე საწარმოების კავშირი (ასოციაცია) შეიძლება ჩამოყალიბდეს დარგობრივი და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით. კავშირი აქტიურ მონაწილეობას მი-

იღებს მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საშუალო ფენის ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, ამ პრობლემას, მის თეორიულ და პრაგმატულ ასპექტებს, საქართველოში დღესაც სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეს მაშინ, როცა ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების ცენტრალური ამოცანა სწორედ ახალი ტიპის საშუალო ფენის ფორმირება უნდა ყოფილიყო. რეფორმატორთა იმედი, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით, რომელიც, როგორც აღინიშნა, უხეში დარღვევებით და პოლიტიკური და არა ეკონომიკური მიზანშეწონილობით განხორციელდა, ავტომატურად შეიქმნებოდა საზოგადოების მასტაბილიზებელი ფენა (კლასი), რბილად რომ ვთქვათ, ილუზია აღმოჩნდა. თუმცა ეს მოულოდნელი არ ყოფილა. თავად ეკონომიკური გარდაქმნების „სტრატეგია“ საშუალო ფენის შესახებ ეყრდნობოდა სტერეოტიპს, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ფონზე ჩამოყალიბდა და ფაქტობრივად, ქრესტომათიულ დოგმად იქცა. ანგარიში არ გაეწია ობიექტურად ჩამოყალიბებულ სიტუაციას, რომელსაც ისტორიული ანალოგი არ გააჩნდა.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ლოგიკურად იდგა არსებული საშუალო ფენის, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლების საქმიანობის საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკური საფუძვლების (საკუთრებითი ურთიერთობების) განმტკიცებით გადასვლის ამოცანა. იგი, ბუნებრივია, გულისხმობდა საშუალო კლასის (ფენის) ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს (მესაკუთრეს), რომელიც საზოგადოებაში პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის გარანტი იქნებოდა. ასეთი ლოგიკური (ბუნებრივი) გზა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო შეიცვალა „უნიკალური“ პროცესით: საზოგადოების კრიმინალიზაციის გაღრმავებით და ამის ფონზე გამდიდრებისკენ დაუოკებელი სწრაფვით. ადამიანის ეგოისტურმა საწყისმა დომინირებადი და განმ-

საზღვრელი ფუნქცია შეიძინა და საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილის მიერ ძალადობრივი გზით ეროვნული სიმდიდრის (სახელმწიფო ქონების) დატაცებით ჩამოყალიბდა „ახალი მდიდრების“ სოციალური ჯგუფი, რომელიც იმავდროულად შუამავლის როლს ასრულებდა კორუმპირებულ სახელმწიფო სტრუქტურებსა და აღზევებულ კრიმინალურ „საზოგადოებას“ შორის. მეორე მხარეზე აღმოჩნდა ადრინდელი, საშუალო კლასის (ფენის) უკვე გაღატაკებულ წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი.

ექსპერტთა გათვლით, ბოლო 15-20 წლის მანძილზე საქართველოში ძველი (სოციალისტური პერიოდის) საშუალო კლასის შემადგენლობას დაახლოებით 1,5 მლნ კაცი გამოეთიშა, რომელთა 30%-ზე მეტი ქვეყნიდან გავიდა. დარჩენილთაგან კი ძველი სტატუსი (საშუალო კლასის) 10%-მა შეინარჩუნა, გამდიდრდა 5-6 პროცენტამდე, დანარჩენებმა კი ღარიბთა რიგები შეავსეს [6]. ეს თავისებურება დამახასიათებელია თითქმის ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს მაღალი, საშუალო და დაბალი ფენა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ცხოვრების წესით, ფასეულობების მიმართ დამოკიდებულებით, ეკონომიკური სტატუსით, საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის დონით და ა.შ. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ზემოთ აღნიშნულ ფენებს შორის ურთიერთობებში განსაკუთრებულ როლს საშუალო კლასი (ფენა) ასრულებს. მისი წილი განვითარებულ ქვეყნებში 60-80% ფარგლებში მერყეობს და რაც ნიშანდობლივია, განვითარების დონით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქვეყნებში ერთნაირად ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზატორის როლს. აღნიშნული როლის შესრულებისათვის მას აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ინოვაციური საქმიანობის განვითარების საფუძველია, სპეციალური ცოდნა საქმიანობის კონკრეტული ამოცანის განხორციელებისათვის, რომელიც ადეკვატურად

პასუხობს დროის მოთხოვნებს და ადამიანების საქმიანობის მართვის გამოცდილება, რომელიც ცვალებადი სიტუაციის შესაბამისად ღრმავდება და მობილური ხდება. ამიტომაა, რომ საშუალო კლასის (ფენის) განსაკუთრებულ უპირატესობად თვლიან იმას, რომ იგი დროს არ ჩამორჩება მობილურობით, დასაქმების პოტენციალით, კონიუნქტურის მიმართ ადეკვატურობის მაღალი ხარისხით.

საშუალო კლასი (ფენა) ნებისმიერ კონიუნქტურულ სიტუაციაში ასრულებს თავის ტრადიციულ ფუნქციას, საზოგადოებას უზრუნველყოფს იმით, რაც მას ნორმალური ფუნქციონირებისათვის სჭირდება. ნიშანდობლივია, რომ ზემოთ აღნიშნული როლის შესრულებისას, საშუალო კლასი (ფენა) თავის შემადგენლობით ერთგვაროვანი არაა. ტრადიციულად, ეს კლასი (ფენა) მოიცავს წვრილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ფერმერებს, მასწავლებლებს, ექიმებს, მხატვრებს, არტისტებს, ბანკირებს, მეცნიერებს, სასულიერო პირებს, ადვოკატებს და სხვ.

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, მიჩნეულია, რომ საშუალო კლასის როლსა და ადგილს განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: საკუთრება, მისი მაღალი ეფექტიანობით გამოყენების პოტენციალი (მოტივაცია, ცოდნა, ორგანიზატორული უნარი). მისი ეკონომიკური ბაზაა მცირე და საშუალო ბიზნესი, ძლიერი პროფესიული ორიენტაცია, რომელიც საზოგადოების საყოველთაო ყურადღებას (შეფასებას) იმსახურებს და მაღალანაზღაურებადია (მეცნიერის, ადვოკატის, ექიმის, მასწავლებლის და ა.შ. ფუნქციები). საშუალო კლასი (ფენა) უშუალო გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის მიმართულებებზე. როდესაც იგი ძლიერია, მისი გავლენაც პოზიტიურია და ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილურობას, როდესაც იგი სუსტია, მაშინ საზოგადოებაში არასტაბილურობის რისკი იზრდება. სწორედ ეს კლასი (ფენა) ერთმანეთთან აკავშირებს მდიდარ და ღარიბ ფენებს და საკუთარი მდგომარეობით არეგულირებს მათ შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობას და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გარკვეულ

ორიენტირსაც წარმოადგენს ორივე ფენისათვის. ღარიბები ლოგიკურად უნდა მიისწრაფოდნენ საშუალო კლასში (ფენაში) გადასასვლელად, ხოლო საშუალო კლასის წარმომადგენლები მდიდართა (ელიტა) ჯგუფში მოსახვედრად. ამრიგად, იერარქიულ დონეზე დაბალი, საშუალო, მაღალი ინტერესების ერთობლიობა ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და საზოგადოების განუსაზღვრელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების რთულ პროცესში მუდმივად ცვალებად კონიუნქტურულ სიტუაციასთან ადეკვატურობის ხელშემწყობი ფაქტორი ხდება.

განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა საშუალო კლასი და შესაბამისად მისი მოდელიც. მიჩნეულია, რომ მოწინავე ქვეყნებში მასზე საშუალოდ მოდის მოსახლეობის 60-65%, მდიდართა ხვედრითი წილი შეადგენს დაახლოებით – 20%, დანარჩენი 15-20% ღარიბებია [6.35]. XX საუკუნის 70-იან წლებში აშშ-ში ეს თანაფარდობა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: მდიდარი ფენა (ელიტა) – 10%, საშუალო ფენა – 60%, დაბალი ფენა – 30%.

საშუალო კლასის ჯგუფის განსაზღვრისათვის იყენებენ მატერიალურ-ქონებრივ, საშემოსავლო მდგომარეობის, სოციალურ-პროფესიული სტრატეგიისა და თვითიდენტიფიკაციის მაჩვენებლებს. ქართველ ექსპერტთა გათვლით, თავისი **ფაქტობრივი მოხმარებით, კეთილდღეობით საქართველოში საშუალო კლასს ამჟამად შეიძლება მიეკუთვნოს მოსახლეობის 8-9%, ანუ დაახლოებით 320-350 ათასი კაცი. საქართველოს შინამეურნეობათა 86% ღარიბია, 5% - შეძლებულები და მდიდრები. ამავე დროს უმდიდრესი 5%-ის შემოსავლები 63-ჯერ აღემატება უღარიბესი 5%-ის შემოსავლებს. საქართველოში შინამეურნეობათა საშუალო შემოსავალი დაახლოებით 400 ლარია, შემოსავლების სიდიდე კი, რომლის მიხედვით შინამეურნეობა შეიძლება მიეკუთვნოს საშუალო კლასს, მასზე 3-ჯერ მეტია [6.36]. წლების მანძილზე საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა შინამეურნეობათა 3/4-ს. 2006 წლის მონაცემებით, საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს ყოველი ხუთიდან ორ შინამეურ-**

ნეს. ექსპერტთა გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ თბილისში საშუალო კლასისადმი მისაკუთვნებლად საშუალო (4 სულიან ოჯახს) უნდა გააჩნდეს ბინა/სახლით – დაახლოებით 90-100 მ², 4,5-9 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი წლიური მიმდინარე შემოსავალი და არანაკლებ 45-50 ათასი აშშ დოლარის დაგროვილი ქონება (ბინის გარდა), საიდანაც სულ ცოტა, 1/5 და 1/4 სავალუტო დანაზოგი, დეპოზიტი ან სხვა მაღალლიკვიდური ქონებრივი ელემენტია [6.36]. როგორც ჩანს, ქვეყანაში საშუალო კლასის (ფენის) ჩამოყალიბების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს. მთავარი მიზეზი ეკონომიკის განვითარებაში (ტრანსფორმაციაში) ჩამორჩენაა, სხვა მიზეზებთან ერთად, რაც განპირობებულია მცირე და საშუალო ბიზნესის საზოგადოებრივი როლის იგნორირებით.

იმისათვის, რომ დაჩქარდეს საშუალო კლასის ფორმირების პროცესი, საჭიროა **სახელმწიფომ განახორციელოს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, რათა შეიქმნას ეფექტიანი საბაზრო ინფრასტრუქტურა, კონკრეტულ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციას მორგებული კანონმდებლობა, რომელიც ადგილობრივ პირობებთან და საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ კანონებთან ჰარმონიზებული იქნება. საბოლოოდ, ქვეყანაში მიღწეულ უნდა იქნეს ეკონომიკის, სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების ერთიანობა და სტაბილური პოლიტიკური გარემო.**

მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ურთიერთმოქმედებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის ტემპები. მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტიანად ფუნქციონირების გარე პირობებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა მსხვილ ბიზნესს ენიჭება, რომელიც რთულ ინტეგრაციულ პროცესებში განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს და აქვს საწარმოო, ფინანსური და ორგანიზაციული პოტენციალი საშუალო და განსაკუთრებით მცირე ფირმების მხარდაჭერისათვის. ეს მოვლენა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითა-

რების ობიექტურ პროცესს ასახავს და მრავალმხრივი ინტეგრაციული კავშირების გაძლიერებას ადასტურებს. ამასთან, მსხვილ სტრუქტურებს მცირე ბიზნესი სჭირდებათ, როგორც კოოპერაციული კავშირების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. ამიტომ ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთს ავსებს, მათი ურთიერთშეღწევისა და ურთიერთგანპირობებულობის ხარისხით ყალიბდება სრულიად ახალი თვისებრიობა – ინტეგრაციული პროცესები იძენენ მთლიანობითი სისტემის ხასიათს.

საქართველოს ეკონომიკაში მსხვილი და მცირე საწარმოების ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილებში 6.6, 6.7.

ცხრილებიდან ჩანს, რომ გამოშვებული პროდუქციის 78,5%, ძირითადი კაპიტალის 81,6%, ბრუნვის 77% - მსხვილ ბიზნესზე მოდის.

სამეურნეო პრაქტიკასა და მეცნიერებაში აღიარებულია, რომ მსხვილი სამეურნეო სტრუქტურების ტრანსფორმაციის რთულმა პროცესმა, რომელიც არსებითად გამოწვეული იყო კონკურენციის ზრდით ბევრი ახალი ორგანიზაციული და ეკონომიკური პრობლემა დააყენა. გასათვალისწინებელია, რომ სამომხმარებლო მოთხოვნის დიფერენციაციის გამო მომავალშიც თანდათანობით გაძლიერდება ბაზრების ფრაგმენტაციის ტენდენციაც. ასეთ ვითარებაში მსხვილი სტრუქტურები იძულებული არიან ეძებონ სიტუაციურ მოთხოვნებთან სრულად ადაპტირების ახალი გზები.

ნიშანდობლივია, რომ წარმოების სფეროში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია ჩამოყალიბდა. ერთი მხრივ, კონკურენციის გლობალიზაციამ სპეციალიზაციის პროცესი გააღრმავა, რაც მოითხოვდა ბიზნესის ძირითად სფეროში ძალების კონცენტრაციას. მეორე მხრივ, პერსპექტივაში გაურკვევლობა და ბაზრების ფრაგმენტაციის გაძლიერება აიძულებდა მათ მოქნილი სამეურნეო მექანიზმებით ემოქმედათ და რაც არსებითია, გამოშვებული პროდუქციის დიფერენციაციის პირობები შეექმნათ. მსოფლიო პრაქტიკაში ზემოთ დასახელებული წინააღმდეგობის დაძლევის აპრობირებულ ფორმად მოქნილი (დიფერენცირებული) მასობრი-

ვი წარმოებაა მიჩნეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასობრივი და მსხვილსერიული წარმოება, რომელმაც დიდი ცვლილებები (მოდიფიკაცია) განიცადა, ამჟამად მოქნილად რეაგირებს მოთხოვნილებათა ცვლილებებზე და ასორტიმენტის მუდმივად განახლების პროცესის ზეგავლენით ფუნქციონირებს. მასობრივი წარმოების ეფექტიანობა მიიღწევა უნიფიცირებული და სტანდარტიზებული კვანძებისა და დეტალების წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებით, რაც საშუალებას იძლევა ახალი ნიმუშების შექმნა და ტირაჟირება მოხდეს ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ტექნიკურ-ეკონომიკური სქემების დამუშავების გარეშე. კვანძებისა და დეტალების მრავალმხრივი გამოყენების პირობებში მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, მიიღწევა მისი მაღალი ხარისხი, რაც კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებაა.

სამომხმარებლო ინტერესების გაფართოებით, მოხმარების ინდივიდუალიზაციის პროცესის თანდათანობით გაძლიერებით (რასაც სერიოზული კორექტივები შეაქვს საბაზრო სუბიექტების „თამაშის წესებში“). თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო სტრუქტურების მანევრირების შესაძლებლობა – პროდუქციის ახალი წვრილსერიული ტიპების ათვისება, მოძრავი მრავალფუნქციური სამუშაო ძალა, მარკეტინგი და ა.შ. ასეთ სიტუაციაში მცირე საწარმოს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ მისი მოქმედების მასშტაბები იზღუდება იზოლირებულ მდგომარეობაში ფუნქციონირებით. გამოთქმა „მცირე ფირმების პრობლემა ის კი არ არის, რომ ისინი მცირენი არიან, არამედ მათ იზოლირებაშია“ რეალურად ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს. იქმნება სიტუაცია, როცა მცირე საწარმო მზად არის მოერგოს „წერტილოვან“ მოთხოვნას, მაგრამ მოქმედების „ტრაექტორია“ და რესურსები ამის საშუალებას არ აძლევს. ამიტომ იგი ცდილობს მსხვილ ბაზარზე მყარად დამკვიდრებულ ფირმებთან კოორდინაციის წესით ურთიერთობა დაამყაროს. თანამედროვე პირობებში მცირე

ბიზნესის განვითარება უშუალოდ უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალურ პროცესებს. ადრე მცირე ბიზნესის უპირატესობები – მოქნილობა, შემგუებლობა, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება და სხვ. შიდა ბაზართან ორგანულ კავშირში განიხილებოდა, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნული ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებამ არსებითად შეცვალა საბაზრო სუბიექტების ქცევები, მცირე და საშუალო ბიზნესის მოქმედების არეალი გაფართოვდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ტრანსეროვნული კომპანიები მეწარმეობის მცირე ფორმების მეშვეობით ცდილობენ თავიანთი გავლენა გააფართოვონ განვითარებად ქვეყნებში[1]. ამ ტენდენციას ადასტურებს აზიის ქვეყნების („ვეფხვების“) ეკონომიკის განვითარების დღევანდელი თავისებურებებიც, კერძოდ ის, რომ შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით მცირე საწარმოებისთვის მისაწვდომი გახდა თანამედროვე ინფორმაციები, ახალი ტექნოლოგიები და კრედიტები, შეიქმნა მცირე საწარმოების საშინაო ბაზარზე აქტიურად მუშაობისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელსაყრელი გარემო.

მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში მეტად საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში მსხვილი სტრუქტურა იძულებულია იაფი მუშახელის გამოყენების დღემდე ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე უარი თქვას, ოღონდ შეინარჩუნოს ბაზარზე სტაბილიზაცია. ასეთი ორმხრივი ინტერესების გადაკვეთაზე, ბუნებრივია, ჩამოყალიბდა მსხვილი და მცირე სუბიექტების ურთიერთმოქმედების, ურთიერთგანპირობებულობის რეალური წანამძღვრები. მსხვილი სამეურნეო სტრუქტურები მცირე ბიზნესს ინტეგრაციულ პროცესებში გზას უკვალავენ, მისი შესაძლებლობების გამოყენების ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. კერძოდ, საწარმოთა მოდერნიზაციისა და საბაზრო

1 მსოფლიოში მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობამ 53 მლნ-ს გადააჭარბა, მათ შორის ევროპაში – 17, აშშ-ში – 20 მლნ, რუსეთში – 1 მლნ [154.127].

მოთხოვნებთან ადაპტირების ფინანსურ და ორგანიზაციულ საკითხებს მყარ საფუძველზე წყვეტენ.

ამის კარგი მაგალითია იტალიის გამოცდილება ფეხსაცმლის, მზა ტანსაცმლის, კვების მრეწველობაში მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში.

მიზანშეწონილია შევჩერდეთ მსხვილი სტრუქტურისა და მცირე ბიზნესის ინტეგრაციის კიდევ ერთ ტენდენციაზე. ცნობილია, რომ ტექნოლოგიური ძვრები განაპირობებენ ადამიანის მოტივაციის სისტემის შეცვლას და განსაზღვრავენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან განვითარებულ ქვეყნებში გამოიკვეთა მატერიალურნივთობრივი წარმოების წილის შემცირების ტენდენცია, მაგალითად, თუ 1869 წელს აშშ-ში მთლიანი ეროვნული პროდუქტის თითქმის 40% იქმნებოდა სოფლის მეურნეობაში, 1918 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა – 14%, XX საუკუნის 90-იან წლებში – 1,4%. დიდი ცვლილებები მოხდა დასაქმების სტრუქტურაშიც, თუ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ში აგრარულ სექტორში დასაქმებული იყო სამუშაო ძალის თითქმის 60%, ამჟამად ეს მაჩვენებელი 2,7%-ს არ აღემატება. გერმანიასა და საფრანგეთში 1960-1991 წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა შესაბამისად 14-დან 3,4% და 23-დან 5,8%-მდე[1] [154.49].

ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აშშ-ში სამრეწველო წარმოების წილი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე ფაქტობრივად არ შეცვლილა (იგი 21%-დან 23% გაიზარდა), დაახლოებით ასეთ დონეზეა ეს მაჩვენებელი სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც, მაშინ, როცა მომსახურების სფეროს მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, XX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ის მთლი-

1 აღსანიშნავია, რომ 1997 წელს საქართველოს მშპ სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა 28,2%, სოფლად ცხოვრობდა მოსახლეობის 45%, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული იყო 1,3 მლნ კაცი, ანუ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 55 პროცენტი (საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1998, გვ.7). 2006 წელს შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა 47,5% და 54,3%.

ანი ეროვნული პროდუქტის 73% დასახელებულ სფეროში იქმნებოდა. ეს მაჩვენებელი შეადგენდა ევროგაერთიანებაში – 63%-ს, იაპონიაში – 89%-ს [154. 51]. აღსანიშნავია, რომ მომსახურების სფერო არ გაზრდილა წარმოების ახალი ფაქტორების გამოყენების ხარჯზე, არამედ, ზრდა განაპირობა პირველადი მოხმარების პროდუქციაზე მოთხოვნის შეფარდებითმა შემცირებამ. ასეთი გარემო საზოგადოებაში ხელს უწყობს თვისებრივ ცვლილებებს, რაც მოცემულ შემთხვევაში კაპიტალისა და შრომის მომსახურების დარგებში გადატანაში გამოვლინდა.

თუ მომსახურების სფეროს ზრდას ორგანიზაციული თვალსაზრისით განვიხილავთ, უპირველეს ყოვლისა, თვალსაჩინოდ გამოჩნდება მცირე ბიზნესის მზარდი როლი. სწორედ მომსახურების დარგებში გამოვლინდა მისი მაღალი ეფექტიანობა, რაც უპირატესად დასაქმების პრობლემის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული. მცირე ბიზნესის როლთან მიმართებაში მიზანშეწონილია წარმოების ისეთი ფაქტორის აღნიშვნა, როგორიცაა: ცოდნა, ინფორმაცია[1].

თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზისთვის საკმარისი არ არის წარმოების მხოლოდ ობიექტური ფაქტორების შეფასება, აუცილებელია საწარმოო პროცესში მონაწილეთა სუბიექტური თვისებების, ცოდნის, ინფორმაციის გამოყენების დონის (ხარისხი) შესწავლაც. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ ფაქტორის გამოყენებისას დიდ ეფექტს იძლევა მსხვილი სტრუქტურებისა და მცირე ბიზნესის კოორდინაცია, როგორც მსხვილმასშტაბიანი წარმოებისა და შრომის ინდივიდუალიზაციის პროცესის ინტეგრაციის ფორმა. საქმე ისაა, რომ თანამედროვე პირობებში წარმოების სხვადასხვა ფორმის შეხამება ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების პროდუქტია. ამასთან, ისიც

1 **1991 წელს აშშ ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შეძენისთვის გაწეული ხარჯები (112 მლრდ დოლარი) აღემატებოდა საწარმოო ტექნოლოგიებისა და ძირითადი კაპიტალის (107 მლრდ) შესაძენად გაწეულ ხარჯებს. 1995 წელს აშშ-ის ეკონომიკაში ინფორმაციის მეშვეობით იწარმოებოდა მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 2/4 („МЭ и МО“,** 1998, 6, с. 52**).**

გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური დონის ერთგვაროვნებას (უნიფიცირებას), რომელსაც, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფენ შრომატევადი, ტრადიციული მცირე საწარმოები. ამიტომ გარდამავალ ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა მისი ტექნიკური ბაზისა და მომუშავეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

ამ ურთულესი საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს როგორც მსხვილი სტრუქტურის, ისე სახელმწიფოს მიზანმიმართულ მხარდაჭერას.

მსხვილ სამეურნეო სტრუქტურებს, განსაკუთრებით ტრანსეროვნულ სტრუქტურებს, პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაში არსებული რეზერვის – კვალიფიკაციის შედარებით მაღალი დონის, წარმოების მართვის გარკვეული გამოცდილების, ამოქმედებითა და საკუთარ ძლიერ ფინანსურ რესურსებთან შეერთებით აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ წარმოების ახალი მეთოდების ათვისება, რაც შეიძლება განვიხილოთ გლობალურ კონკურენციაში მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად.

მსხვილი სტრუქტურებისა და მცირე საწარმოების კოორდინაციის რთულ სისტემაში მთავარ ელემენტად აღიარებენ „მეწარმეობით ქსელებს“, რომელსაც სხვადასხვა სახის რესურსების განაწილებასა და გამოყენებაში ფირმების ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს [154.94].

„მეწარმეობითი ქსელები“, რომლებიც ფირმებს შორის ურთიერთმოქმედებას სპეციფიკური ფორმით გამოხატავენ, გამოირჩევიან ორგანიზაციულ-მმართველობითი პრინციპების ერთობლიობით. ქსელური მოდელის გამოყენებისას კონსენსუსის საფუძველზე განისაზღვრება ხელმძღვანელი რგოლი. ამასთან, პასუხისმგებლობა გადანაწილდება ყველა რგოლს შორის. ასეთ პირობებში ფირმა-ლიდერი ახორციელებს პარტნიორების საქმიანობის კოორდინაციას. ამიტომ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა მიიჩნია, რომ „მეწარმეობითი

ქსელის“ ფუნქციონირებისას შესაძლებელია ორი პრინციპის – კონკურენციისა და კოოპერაციის შეერთება. მხედველობაში იღებენ იმას, რომ კოორდინაციის ეს ფორმა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, თვით ქსელში ჩართულ სუბიექტებს შორის კონკურენციას (როცა წარმოების სასტარტო პირობები თითქმის თანაბარია) პროდუქციის საერთო მოცულობაში საკუთარი წილის გადიდებისათვის. მეორე მხრივ კი, ასეთ სიტუაციაში ძლიერდება ყველა მონაწილის საქმიანობის კოორდინაცია, რათა ამაღლდეს სისტემის საერთო კონკურენტუნარიანობა გარე ფირმებთან შედარებით. ლიტერატურაში ასეთი ქსელების უპირატესობად მიიჩნევენ: ახალ ბაზრებზე გასვლას, გარიგებებთან დაკავშირებით დანახარჯების შემცირებას, საწარმოო დანახარჯების შემცირებას სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების, ასევე იმ შესაძლებლობის საფუძველზე, რომ კონცენტრაცია მოხდეს გადამწყვეტ ოპერაციაზე და ა.შ.

ამრიგად, მსხვილ, მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კოოპერაციის, კოორდინაციის ქსელური ფორმა მიჩნეულია მსხვილი სტრუქტურების გარე კავშირების სისტემაში ეფექტიანობის ხელშემწყობ ფაქტორად. მისი მოქმედების პარამეტრები განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონით, სტრუქტურით, სპეციალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების მასშტაბით, სიღრმით, ტემპებით. მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში მსხვილი და მცირე საწარმოების ინტეგრაციის ძირითად ფორმებად აღიარებულია სუბიჯარა, რომელიც ძირითადად გამოიყენება წარმოების სფეროში, ფრანჩაიზინგი (საწარმოო-გასაღების სფერო), ვენჩურული დაფინანსება (საინოვაციო სფერო), ლიზინგი (საწარმოო-საფინანსო სფერო) და სხვ.

აღიარებულია, რომ ყველა დასახელებული ფორმა შეესაბამება მცირე მეწარმეობისათვის მხარდაჭერის საყოველთაოდ ცნობილ კრიტერიუმებს. მთავარია, თითოეული მათგანის ან რამდენიმეს ერთად გამოყენება ადგილობრივი პირობების შესაბამისად მოხდეს.

მოკლედ შევეხებით მსხვილ ფირმასა და მის პარტნი-

ორ მცირე საწარმოს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემაში ფრანჩაიზინგის[1] გამოყენების საკითხს. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ამ ფორმის სამ სახეობას: სასაქონლო, საწარმოო და საქმიანს. პირველისთვის დამახასიათებელია ის, რომ მსხვილი მეწარმე უფლებას აძლევს პარტნიორს გაყიდოს ესა თუ ის საქონელი მსხვილი მეწარმის სახელით. მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში ამის მაგალითად ასახელებენ ავტომობილებით ვაჭრობაში დილერთა ქსელს ან ბენზინგასამართი სადგურების სისტემას და სხვ. მეორისთვის – ის, რომ მსხვილი საწარმო პარტნიორს პროდუქციის წარმოების მიზნით მიყიდის ტექნოლოგიასა და ნედლეულს. მაგალითად მოჰყავთ „კოკა-კოლას“ ტექნოლოგია. გულისხმობს ლიცენზიის შეძენას, რომელიც მოიცავს მსხვილი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა ელემენტს: ნედლეულის შესყიდვიდან დაწყებული და საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციით დამთავრებული. ფრანჩაიზინგის ეს სახეობა ფართოდ გავრცელდა საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, სასტუმროების ბიზნესში, საზოგადოებრივ კვებაში. ერთ-ერთ მაგალითად ასახელებენ „მაკდონალდს“.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ფრანჩაიზინ-

---

1 მისთვის დამახასიათებელია მსხვილი ფირმის („ფრანჩაიზერი“) უფლება სავაჭრო მარკის, საფირმო მომსახურების, იდეის, ტექნოლოგიური პროცესის, პატენტის, საქმიანი კავშირების, ნოუ-ჰაუ და სხვა საკუთრებაზე. იგი მის პარტნიორს („ფრანჩაიზი“) მიყიდის ლიცენზიას ზემოთ ჩამოთვლილი სამეურნეო საქმიანობის გამოყენების უფლებით. მსხვილი ფირმა (ლიცენზიის გამყიდველი) ხელშეკრულებით იტოვებს მცირე საწარმოს (ვინც იყიდა ლიცენზია) სამეურნეო საქმიანობის კონტროლის უფლებას, ამასთან იღებს ვალდებულებას გაუწიოს კვალიფიციური დახმარება პარტნიორს კადრების მომზადებაში, შენობის შერჩევაში, მარკეტინგულ გამოკვლევებში. მსხვილი ფირმა ლიცენზიისა და გაყიდული მოწყობილობის საფასურს ერთდროულად იღებს პარტნიორისაგან. იგი იხდის გარკვეულ პროცენტს საქონლის გაყიდვის მოცულობიდან (ან მოგებიდან). ასევე მუდმივად შეაქვს შენატანები ცენტრალიზებულ სარეკლამო ფონდში [167.45]. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხები ვრცლად და არგუმენტირებულად აქვს განხილული და შესაბამისი დასკვნები გაკეთებული პროფ. რ. ასათიანს ნაშრომში „მომსახურება და საბაზრო სისტემა“, თბ., 1993 წ.

გი ფართოდაა გავრცელებული. მის ეფექტიანობაზე მიუთითებს ის, რომ 1990 წელს აშშ-ში ფრანჩაიზინგის საფუძველზე ფუნქციონირებადი საწარმოების მიერ გაყიდული საქონლისა და მომსახურების მოცულობამ შეადგინა 716 მლრდ დოლარი, რაც ორჯერ მეტი იყო 1980 წლის მაჩვენებელზე. აშშ ფრანჩაიზინგის სისტემაში მუშაობს ნახევარ მილიონზე მეტი საწარმო.

რა უპირატესობა აქვს მცირე საწარმოებისათვის ფრანჩაიზინგის სისტემას? პრაქტიკაში დაფიქსირებულია რამდენიმე უპირატესობა: ბაზარზე გასვლის გარანტია, ინფორმაციული უზრუნველყოფის მაღალი დონე, რეკლამის მისაწვდომობა, ფრანჩაიზერისგან ფასდაკლებით აუცილებელი მოწყობილობისა და მასალების ყიდვის შესაძლებლობა, მაღალი ხარისხის სტანდარტებით მუშაობის გამოცდილება და ა.შ. ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ მცირე საწარმოს ამ სისტემაში ექმნება გაკოტრებისგან დაცვის კარგი შესაძლებლობა. ამაზე მიუთითებს აშშ-ში ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიც – 5 წლის მანძილზე ფრანჩაიზინგის სისტემაში ჩართული საწარმოების მხოლოდ 14% გაკოტრდა, მაშინ, როცა იმ პერიოდში დამოუკიდებელი მცირე საწარმოების რაოდენობამ 65% შეადგინა [165.56]. ეს მაგალითიც ადასტურებს იმას, რომ მცირე საწარმოსათვის მსხვილი სტრუქტურა ასრულებს „ქოლგის“ ფუნქციას, რაც კონკურენციის გლობალიზაციის რთულ პროცესში მცირე საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ცალკე უნდა გამოვყოთ მცირე საწარმოებისათვის კადრების მომზადების საკითხი, რომელსაც მცირე ბიზნესის ფუნქციონირების ე.წ. გარე პირობებში ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად მიიჩნევენ. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის პროცესს, რომელიც ეკონომიკის ფუნქციონირების გარემო-პირობების თვისებრივ შეცვლას იწვევს. ტექნოლოგიებსა და მართვის ორგანიზაციაში მომხდარი ძვრების შესახებ ცოდნა, რომელიც სამეურნეო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე

ყალიბდება, თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების კვალობაზე სწრაფად ვრცელდება. ამიტომ მენეჯერთა პროფესიული დონის მუდმივად ამაღლება მეწარმეობის ეფექტიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. ეს ტენდენცია დიდ მოთხოვნებს უყენებს საერთოდ მენეჯმენტს, მეწარმეობით აზროვნებას, სპეციალისტთა მომზადებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პრინციპულად ახალი ბიზნეს-იდეების რეალიზაციას. სხვანაირად შეუძლებელია წარმოებისა და მართვის ორგანიზაცია მოქნილად შეეგუოს მიმდინარე ცვლილებებს, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაუკავშირდება დიდ რისკსა და სოციალურ პასუხისმგებლობას.

კადრების მომზადებაში დიდ როლს ასრულებს მსხვილი სამეურნეო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია ადგილობრივი პირობების შესაბამისად ეფექტიანად გამოიყენოს თავისი სისტემა. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, პარტნიორულ და კოოპერაციულ საწყისებზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ფორმები, როგორიცაა: სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე კადრების გადამზადება, ფირმა-კლიენტებთან ერთობლივი მარკეტინგული გამოკვლევების, კონსულტაციების ჩატარება, ინდივიდუალური სწავლება და ა.შ.

რა სარგებლობა მოაქვს მსხვილი სტრუქტურისათვის მცირე ბიზნესთან ინტეგრაციის აღნიშნულ ფორმას? მსხვილ სტრუქტურას კონტრაქტების მეშვეობით შესაძლებლობა აქვს დააწესოს ბაზრებზე კონტროლი, რაც მას ძირითადად საწარმოს საქმიანობაში კონცენტრირებულს, ხელსაყრელ გარემოს უქმნის. ამასთან, გასაღების კონტროლირებადი ქსელის გაფართოება უფრო ჩქარა შეიძლება მოხდეს, ვიდრე საკუთარი ქსელისა, რაც ეკონომიკური მანევრირების ხელშემწყობი პირობაა.

მსხვილი სტრუქტურებისა და მცირე ბიზნესის ურთიერთობათა მრავალმხრივი ფორმების გამოყენებისას, როგორც წესი, აუცილებელია განვითარებადი ინტეგრაციული პროცესი განხილულ იქნეს კომპლექსურად, რაც ხელს შეუწყობს იმ წინააღმდეგობების გამოვლენასაც, რომლებიც ინტეგრაციულ პროცესს თან ახლავს. მაგალითად, ფრანჩაიზინგის

შემთხვევაში, წინააღმდეგობა ხშირად წარმოიშობა ერთი მხრივ, ერთიან სტანდარტებს, კრიტერიუმებსა და პრინციპებს (მათ მსხვილი სტრუქტურა ცენტრალიზებულად აწესებს და ტექნოლოგიური დონის უნიფიცირებაზეა ორიენტირებული) და, მეორე მხრივ, მცირე საწარმოების კონკრეტულ პირობებში მუშაობის სპეციფიკას შორის. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების ხანგრძლივობის (ჩვეულებრივ იგი ფორმდება 10-15 წლით) და მცირე საწარმოს საქმიანობის პერსპექტივის სწორად განსაზღვრის სიძნელეების გამო მათ შორის შეიძლება წინააღმდეგობამ თავი იჩინოს ან იგი მოსალოდნელია გამოვლინდეს რეგიონის დონეზეც. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს გამოიწვევს მსხვილი სტრუქტურის სწრაფვას მოცემულ რეგიონში წარმოების გადიდებისაკენ, რათა იგი სრულად მოიცვას, მაშინ, როცა მცირე საწარმოს ინტერესებში შედის ის, რომ ტერიტორიის მომსახურებაში განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდეს. დასახელებული და სხვა სახის წინააღმდეგობისას, როგორც იტყვიან, ინტეგრაციული პროცესი შეიძლება კალაპოტიდან ამოვარდეს, რაც ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუშლის. ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მსხვილი და მცირე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების ყველაზე რეალურ გარანტიას შექმნის, ხელშეკრულებაა, რომელშიც ორივე მხარის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის, ინტერესების დაცვა გარანტირებული იქნება.

მსხვილი სტრუქტურებისა და მცირე ბიზნესის ინტეგრაციულ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ობიექტურად განსაზღვრა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს და ზემოთ განხილული არგუმენტები ადასტურებს, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს მსხვილი და მცირე ბიზნესის ინტეგრაციის გაძლიერებას, როგორც ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს. მხარდაჭერის მრავალმხრივი ფორმიდან სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში აისახება მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური გარემოს

შექმნის კონკრეტული მიმართულებები, მექანიზმები. ამასთან, სახელმწიფო, ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ვალდებულია სათანადო ეკონომიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა აღმოუჩინოს ინტეგრაციული პროცესის ორივე მონაწილეს – როგორც მსხვილ, ისე მცირე ბიზნესს, ჩამოაყალიბოს შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები (სტრუქტურები), რომლებიც უზრუნველყოფენ ინტეგრაციული პროცესების გაფართოების სტიმულირებას.

ამრიგად, ეკონომიკის გლობალიზაციის რთულ პროცესში ტრიადა: მცირე და საშუალო ბიზნესი – მსხვილი ბიზნესი – სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მთლიანობითი სისტემაა, რომლის კონკრეტული ფორმები ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებითა და მეურნეობრიობის ტრადიციების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს.

თავი VII. სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვა და განვითარება

7.1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკური დაგეგმვა, როგორც სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქცია. ფართო გაგებით, დაგეგმვა ეკონომიკის მომავალი მდგომარეობის წინასწარ განსაზღვრასთან ერთად მოიცავს დასახული მიზნის განხორციელების გზებს, საშუალებებს, ვადებს. დაგეგმვის შედეგი – გეგმა ორიენტირებულია მიზანზე, დროსა და სივრცეში ამოცანების გადაწყვეტაზე. წინასწარ განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი გამოხატავს განვითარების (მოქმედებების) მიმართულებებს, რესურსების მოცულობებს, შუალედურ შედეგებს. დაგეგმვა, რომელსაც „ეკონომიკის მომავლის მართვის“ ფუნქციას უწოდებენ, შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, სახელმწიფო ეკონომიკური დაგეგმვა და პროგნოზირება, სახელმწიფო სოციალური დაგეგმვა და პროგნოზირება, სახელმწიფო ფინანსური დაგეგმვა და პროგნოზირება და ა.შ. ეკონომიკურ ლიტერატურასა და მსოფლიო პრაქტიკაში სახელმწიფო დაგეგმვის სისტემა წარმოდგენილია შემდეგი ფორმებით: 1. ქვეყნის მასშტაბით ცენტრალიზებულ დაგეგმვას აქვს ინდიკატიური ხასიათი და შემოიფარგლება გეგმა–პროგნოზის შედგენით. პირდაპირი სახელმწიფო დაგეგმვა ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების ობიექტებზე და ვლინდება კომპლექსური პროგრამების სახით. სახელმწიფო დაგეგმვის არაპირდაპირ (ირიბ) ფორმად მიჩნეულია სახელმწიფო დაკვეთები და ეკონომიკური ზემოქმედების ბერკეტების გამოყენება. უპირატესად გამოიყენება სახელმწიფო დაგეგმვის ისეთი ფორმები, როგორიცაა: ფინანსური, საბიუჯეტო დაგეგმვა.

საწარმოების (ფირმების) დონეზე დაგეგმვა ფაქტობრივად წარმოადგენს თვითდაგეგმვას, რომელიც იმავდროულად დაკვეთების სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედებას განიცდის.

აღნიშნული საერთო პრინციპების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია ეკონომიკური დაგეგმვის ფორმები, წესი და მექანიზმები.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეკონომიკაში დაგეგმვა განიხილება მის ორგანულ ნაწილთან–სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებასთან ერთად. **პროგნოზი** არგუმენტირებული ვარაუდია (რაოდენობრივ და თვისებრივ სიდიდეებში) ეკონომიკური განვითარების ობიექტის, პროცესისა და მოვლენის მომავალი პარამეტრების შესახებ. პროგნოზი გეგმისგან იმით განსხვავდება, რომ იგი მრავალვარიანტულია, სავარაუდო ხასიათისაა და მოიცავს ფართო ეკონომიკურ პროცესებს და მოვლენებს. შეიძლება დაიგეგმოს მხოლოდ ის პროცესი, რომლის მართვა შეუძლია საზოგადოებას. პროგნოზირება კი შეიძლება ისეთი პროცესებისა, რომლებიც მართვას არ ექვემდებარებიან. მაგალითად, კლიმატური პირობები, გლობალური პროცესები და ა.შ. თანამედროვე ეკონომიკაში პროგნოზირება განიხილება როგორც ეკონომიკის სამომავლო სავარუდო, მდგომარეობის, განვითარების ტენდენციებისა და თავისებურებების მეცნიერულად წინასწარ დასაბუთებული წარმოდგენა. პროგნოზირების უპირატესობად ითვლება ის, რომ გამოავლენს საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ისეთ პროცესებს და ფორმებს, რომელთა უშუალო შეცნობა (აღქმა), მით უმეტეს პრაქტიკაში შემოწმება, მოცემულ დროში შეუძლებელია. პროგნოზირება ფაქტობრივად იძლევა განვითარების მდგრადი ტენდენციების ან, პირიქით, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში თვისებრივი ცვლილებების გამოვლენის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენის (განჭვრეტის) საშუალებას. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეკონომიკური პროგნოზირება და დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკაში ობიექტური აუცილებლობაა, რაც

რიგი ფაქტორებითაა განპირობებული, კერძოდ, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათით, დარგთაშორისი, რეგიონული და სახელმწიფოთაშორისო კავშირურთიერთობების მასშტაბებით, სახალხო-მეურნეობრივი პროპორციების დაცვის აუცილებლობით, საბაზრო მექანიზმის უუნარობით არეგულიროს კრიზისულ სიტუაციებში აღწარმოებითი ციკლები, ადამიანისეული ფაქტორის როლის მნიშვნელობით, გლობალიზაციის გაღრმავების ფონზე ინტეგრაციული პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანშეწონილობით და ა.შ.

ეკონომიკური პროგნოზი მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდია ეკონომიკის (სისტემის, პროცესის, მოვლენის, ობიექტის) განვითარების შესაძლო მდგომარეობის შესახებ. პროგნოზი სავარაუდო მოსაზრებაა, რომელსაც საჭიროა ჰქონდეს მომავლის შესახებ სიზუსტის მაღალი ხარისხი. ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში პროგნოზირების როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, ეს გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით. **ჯერ-ერთი,** გარდამავალ პერიოდში სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების გამო სპონტანურად იცვლება გარდაქმნების პირობები. ამიტომ, აუცილებელია მოსალოდნელი ცვლილებების წინასწარ განსაზღვრა და ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოცემულ დროში მიმდინარე პროცესებთან უფრო ადექვატური გახდება.

მეორე, საკუთრებისა და მართვის დეცენტრალიზაციის სტიქიურმა პროცესებმა მოვლენებს შორის კავშირურთიერთობების ახალი ფორმები წარმოშვა, ძველი და ახალი პრობლემების რთულ კვანძად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამიტომ აუცილებელია სწორი პროგნოზირება, რათა წინააღმდეგობები შერბილდეს და დასახული მიზნის განხორციელება არ შეფერხდეს.

მესამე, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა მრავალსუბიექტიანია, იგი ღია ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირებს, რაც ართულებს ეკონომიკის განვითარების რეგულირებას. ასეთ პირობებში სხვადასხვა ფაქტორთა გავლენით ფორ-

მირებული, ან ფორმირებადი სიძნელეების (საფრთხეების) განსაზღვრისა და გათვალისწინების გარეშე განვითარების პროცესი მიზანშეწონილ მიმართულებას აცდება [127.279].

პროგნოზები წინ უნდა უძღოდეს გეგმებს, მოიცავდეს გეგმების შესრულების (ან არ შესრულების) შედეგების მოსალოდნელ შეფასებას, ყველაფერს, რაც არ ექვემდებარება დაგეგმვას, გადაწყვეტას. პროგნოზი და გეგმა განსხვავდებიან მომავლის შესახებ ინფორმაციის ოპერირების ხერხებით. შესაძლებლის, ან სასურველის სავარაუდო აღწერა – ეს პროგნოზია. დასაბუთებული გადაწყვეტილება შესაძლებელი, სასურველი შედეგის მიღწევის ღონისძიებებთან ერთად – ეს გეგმაა. პროგნოზი და გეგმა შეიძლება დამუშავდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მაგრამ, იმისათვის, რომ გეგმა ეფექტიანი, ოპტიმალური იყოს, მას წინ უნდა უძღოდეს პროგნოზი, რომელიც საშუალებას იძლევა დასაბუთდეს მოცემული და მომდევნო გეგმები.

როგორც შრომითი საქმიანობის ნებისმიერი პროცესი, პროგნოზირება ხასიათდება მისი სუბიექტითა და ობიექტით, გამოყენებული საშუალებებითა და მეთოდებით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების სუბიექტებს წარმოადგენენ: სახელმწიფო ხელისუფლების, მუნიციპალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კორპორაციები და საწარმოები, აგრეთვე, მათ მიერ მოზიდული სამეცნიერო-კვლევითი და კონსალტინგური ორგანიზაციები, ცალკეული ექსპერტები და სხვ.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ობიექტებია: პროცესები და მოვლენები, რომელზედაც მიმართულია პროგნოზირების სუბიექტების შემეცნებითი და პრაქტიკული საქმიანობა, ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა (მშპ-ს მოცულობა და სტრუქტურა, საქონლისა და მომსახურების წარმოება, რენტაბელობა, ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა, ფასების ინდექსი, მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა, შემოსავლები და ცხოვრების დონე, დასაქმება, სოციალური დაცვა).

დროის ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ **ოპერა-**

ტიულ (მიმდინარე), მოკლევადიან, საშუალოვადიან, გრძელვადიან პროგნოზებს.

ოპერატიული პროგნოზი გათვლილია პერსპექტივაზე, რომლის განმავლობაში არ არის მოსალოდნელი არც რაოდენობრივი, არც თვისებრივი არსებითი ცვლილებები კვლევის ობიექტის განვითარებაში. მოკლევადიანი პროგნოზი გათვლილია პერსპექტივაში მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებზე, გრძელვადიანი – არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ უპირატესად თვისებრივზე.

საშუალოვადიანი პროგნოზი მოიცავს მოკლე და გრძელვადიანს შორის პერიოდს, როცა თვისებრივ ცვლილებებს სჭარბობს რაოდენობრივი ცვლილებები.

როგორც წესი, ოპერატიული პროგნოზები მოიცავენ დეტალურ-რაოდენობრივ შეფასებებს, მოკლევადიანი – ზოგად რაოდენობრივს, საშუალოვადიანი – რაოდენობრივ-თვისებრივს.

სოციალურ-ეკონომიკურ პროგნოზებში მიღებულია შემდეგი დროითი მასშტაბი: ოპერატიული პროგნოზები – ერთ თვემდე. მოკლევადიანი – ერთ წლამდე; საშუალოვადიანი 5 წლამდე და გრძელვადიანი – 10-20 წლამდე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ყველაზე გავრცელებულია მოკლევადიანი პროგნოზები როგორც ანალიტიკოსებში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში (მთავრობა, პარლამენტი) მართვის სხვადასხვა დონეებზე. საშუალოვადიანი პროგნოზები პერიოდის მიხედვით შეესაბამებიან სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების ფუნქციონირების ვადებს.

მართვის დონის მიხედვით გამოყოფენ: მაკროეკონომიკურ (ეროვნული ეკონომიკის), სტრუქტურულ (დარგების, დარგთაშორის, სექტორთაშორის, რეგიონთაშორის), პრობლემურ (მაგალითად, სოციალური და ა.შ.) რეგიონულ, სამეურნეო სუბიექტების, საერთაშორისო პროგნოზებს და ა.შ.

ობიექტების მიხედვით გვხვდება შემდეგი პროგნოზები: სოციალური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური, საგარეო-ეკონომიკური და ა.შ.

ხასიათის მიხედვით განასხვავებენ: კერძო (მაგალითად,

დასაქმების) და განმაზოგადებელ (ძირითადი მაჩვენებლების ერთობლიობა, მაგალითად, ქვეყნის დონეზე), გენეტიკურ (ძველი ტენდენციებიდან და შესაძლო ცვლილებებიდან გამომდინარე), ნორმატიულ (წინასწარ განსაზღვრული მიზნის შესრულების გზები, ფაქტორები, დრო) კომბინირებულ (ორივე მიდგომის გამოყენება), ერთვარიანტიან და მრავალვარიანტიან პროგნოზებს.

ამრიგად, პროგნოზირების სისტემა მოიცავს: პროგნოზებს დროის ჰორიზონტის, მართვის დონის, ობიექტებისა და ხასიათის (შინაარსის) მიხედვით [127.282].

მომავალი მოვლენების გამოკვლევა მოითხოვს მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრას, რომელიც პროგნოზირების გამოყენებითი მეთოდების შემუშავებასა და რეალიზაციას დაედება საფუძვლად.

უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელიც საშუალებას იძლევა ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაზე გაერთიანდეს პროგნოზირების მეთოდების მთელი მრავალფეროვნება, წარმოადგენს **სისტემურობის პრინციპი.** იგულისხმება, რომ ნებისმიერი დონის ობიექტი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების მახასიათებელთა ერთიანობას და იმავდროულად უფრო მაღალი დონის რთული სისტემის ელემენტს.

ობიექტის შესწავლის **ადეკვატურობის პრინციპი** ახასიათებს ეკონომიკის განვითარებაში მდგრადი ტენდენციებისა და ურთიერთკავშირების არა მარტო გამოვლენის პროცესს, არამედ შეფასებასაც და რეალური ეკონომიკური პროცესების თეორიული ანალოგების შექმნას მათი სრული და ზუსტი იმიტაციით.

ალტერნატიულობის პრინციპი დაკავშირებულია კვლევის ობიექტისა და მისი ცალკეული ელემენტების სხვადასხვა ტრაექტორიებით, განსხვავებულ ურთიერთკავშირებში და სტრუქტურულ თანაფარდობებში განვითარების შესაძლებლობებთან.

პროგნოზირების ძირითად ფუნქციებს წარმოადგენენ: პროცესებისა და ტენდენციების გამოვლენა, პროგნოზირების ობიექტის განვითარებაში სოციალურ-ეკონომიკურ მოვ-

ლენათა ობიექტური კავშირების გამოკვლევა კონკრეტულ პირობებში, გარკვეულ პერიოდში პროგნოზირების ობიექტის შეფასება, განვითარების ალტერნატივათა გამოვლენა, მისაღები გადაწყვეტილებების შედეგების შეფასება, სამეცნიერო მასალის დაგროვება გადაწყვეტილებათა დასაბუთებული შერჩევისათვის.

პროგნოზირების მეთოდის არსი და კლასიფიკაცია. პროგნოზირების მეთოდის ქვეშ იგულისხმება ხერხებისა და წესების ერთობლიობა, რომელიც რეტროსპექტიულ მონაცემთა, პროგნოზირების ობიექტთა ეგზოგენური (გარე) და ენდოგენური (შიდა) კავშირების ანალიზის, აგრეთვე განხილული მოვლენის ან პროცესის ფარგლებში მათი გაზომვების საფუძველზე საშუალებას იძლევა გაკეთდეს გარკვეული სიზუსტის დასკვნები ობიექტის მომავალი განვითარების შესახებ.

ცნობილია ეკონომიკური და სოციალური ინდიკატორების პროგნოზირების რამდენიმე მეთოდი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია ექსტრაპოლაციის, ეკონომეტრიკული პროგნოზირების, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, სცენარების აგების, ისტორიული ანალოგების, ექსპერტული შეფასებების და სხვა მეთოდები. თავის მხრივ, თითოეული მათგანი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რაც ზოგჯერ ზღუდავს მათი წმინდა სახით გამოყენების შესაძლებლობას და აუცილებელს ხდის მათ კომპლექსურ-სისტემურ გამოყენებას [127.284].

7.2. სოციალურ-ეკონომიკური პროგრამირება

პროგნოზების საფუძველზე ხორციელდება ეკონომიკის (ობიექტის, პროცესის, მოვლენის) განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა, რათა მომავალში მიღწეულ იქნეს ყველაზე ხელსაყრელი შედეგი. ტრადიციულად სტრატეგიის (დასახული გრძელვადიანი მიზნის) განხორციელების ინსტრუმენტია პროგრამა. ცნება **„პროგრამა“** სხვადასხვა დატვირთვით

გამოიყენება. მაგალითად, **პოლიტიკური პროგრამა, ეკონომიკური ზრდის პროგრამა, სასწავლო პროგრამა, ტელეგადაცემების პროგრამა** და ა.შ. ეკონომიკურ ლიტერატურაში **პროგრამა** განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების (მიზანი, ამოცანები, რესურსები, მექანიზმები) ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ერთიანი მიზნის მისაღწევად.

პროგრამირება შეიძლება მოიცავდეს საქმიანობის ყველა მიმართულებისა და მართვის ყველა დონეს. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პროგრამებს, რაც რიგი ფაქტორებითაა განპირობებული. პრაქტიკა ადასტურებს, რომ პროგრამა, როგორც ასეთი, წარმოადგენს განვითარების სტრატეგიის ყველაზე ეფექტიან საშუალებას. იგი უზრუნველყოფს რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით კონცენტრაციას, იძლევა საშუალებას ახალი რეალობის შესაბამისად მოხდეს შემუშავებული ღონისძიებების კორექტირება, რაც ხელს შეუწყობს ჩამოყალიბებული სიძნელეების უფრო ნაკლები დანახარჯებით დაძლევას.

პროგრამის საშუალებით შესაძლებელია საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ერთობლივად და მიზნობრივად გამოყენება (რაც სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპია), კერძო ინიციატივისა და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება, სოციალური სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე შემოსავლების განაწილება და ა.შ. პროგრამების გამოყენებით შესაძლებელია სისტემური ეფექტის მიღება, რაც საშუალებას იძლევა მიზნობრივად განხორციელდეს დამატებით მიღებული თვისებრივად ახალი რესურსების შემდგომშიც კონცენტრირებულად გამოყენება.

აღნიშნული უპირატესობების გამო პროგრამირება დღეს სტრატეგიული მართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტადაა აღიარებული.

იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა გვქონდეს სახელ-

მწიფოებრივი პროგრამირების მნიშვნელობაზე, მიზანშეწონილია მისი გამოყენების ზოგიერთი ისტორიული და ეკონომიკური ასპექტის განხილვა. ქვეყნის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ეკონომიკის მართვის ისტორიაში „გოელროს“ სახითაა ცნობილი, 1920 წელს იქნა შედგენილი. იგი, როგორც რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა გათვლილი იყო 10-15 წელზე. პროგრამით აღიარებულ იქნა ეკონომიკური ცხოვრების მიზანმიმართული და გეგმაზომიერი განვითარების აუცილებლობა. სწორედ ამაშია აღნიშნული პროგრამის ზოგადისტორიული მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში, **„დიდი დეპრესიის“** პერიოდში, როგორც აშშ-ში, ისე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში შემუშავებულ იქნა კრიზისიდან გამოსვლის მიზნობრივი პროგრამები (მსოფლიო ამის აუცილებლობაში დარწმუნდა). გარდა ამისა, ამავე პერიოდში აშშ-ში შემუშავდა და განხორციელდა მდინარე ტენესის აუზის (მოიცავს ათეულობით შტატების ტერიტორიას) ათვისების რეგიონულ-ენერგეტიკული მიზნობრივი პროგრამა. ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში პროგრამულ საფუძველზე გადაყვანილ იქნა არა მხოლოდ შეიარაღებისათვის წარმოების დაგეგმვა, არამედ ჯარის სახეობების მართვაც. განისაზღვრა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიზანი და მისი განხორციელება პროგრამული მიდგომებით. ცნობილია ბირთვული ენერგეტიკის განვითარების პროგრამა საფრანგეთში, სამხრეთ-კორეის ომის შემდგომი აღდგენის საგანგებო პროგრამა და სხვ. გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროგრამებიც. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ევროპის განვითარების „მარშალის გეგმა“. აშშ-ში, ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს და რეგიონულ დონეზე გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები.

XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში, სადაც დაგეგმვა განვითარების ფუნდამენტურ პრინციპად იყო მიჩნეული, ფართო გამოყენება ჰპოვა პროგრამულმა მიდგომებ-

მა. მიღებულ იქნა სახელმწიფო კომპლექსური სახალხო-მეურნეობრივი პროგრამები. მაგალითად, ყამირი მიწების ათვისების პროგრამა, ენერგეტიკული პროგრამა, სასურსათო პროგრამა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები და სხვ. სამწუხაროდ, საბჭოთა კომპლექსურმა სახალხო მეურნეობრივმა პროგრამებმა მათი მთავარი ამოცანა – ეკონომიკის საკვანძო მიმართულებებზე რესურსების კონცენტრაცია და მისი ეფექტიანი განვითარების უზრუნველყოფა – ვერ შეძლეს. ეს გამოწვეული იყო პროგრამების სიმრავლით, რაც თავისთავად გულისხმობდა ერთდროულად უამრავი პრობლემის გადაწყვეტას, რეალიზაციის პროცესი კი შესაბამისი რესურსებით არ იყო უზრუნველყოფილი.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოებრივი პროგრამების როლი და მნიშვნელობა ფაქტობრივად იგნორირებული იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. საბჭოთა კავშირის, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, სპონტანურად დაშლის შემდეგ, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მოუმზადებლად, სათანადო სამართლებრივი ბაზისა და გარდაქმნების კონცეფციების გარეშე სტიქიურად დაიწყო ე.წ. გადასვლა კლასიკური კაპიტალიზმის XX საუკუნის დასაწყისის მოდელზე. ბუნებრივია, „გარდაქმნები" სტიქიურად წარიმართა. შედეგიც ადეკვატური იყო – **ეროვნული ეკონომიკის სისტემური კრიზისი,** საიდანაც გამოსვლას მიზნობრივი, საგანგებო და თანმიმდევრული პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ღონისძიებების განხორციელება და ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება.

პროგრამირების პრაქტიკა ადასტურებს, რომ სხვადასხვა ქვეყანა, თავისი განვითარების, თავისებურებების, ამოცანების შესაბამისად განსაზღვრავს პროგრამების შედგენის პრინციპებს: ორგანიზაციას, ფორმებს, ობიექტებს და სხვ.

პროგრამების მრავალი სახეობა გამოიყენება. მათი კლასიფიკაცია ხდება ობიექტების, ხასიათის, მოქმედების ვადის, ტერიტორიული მასშტაბის მიხედვით. ობიექტების მიხედვით: **კრებსითი პროგრამები,** რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყნის

ან ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას; **სახელმწიფო პროგრამები ცალკეული მიმართულებების მიხედვით** (საინვესტიციო და ა.შ.); **სახელმწიფო პროგრამები ცალკეული პრობლემების მიხედვით** (სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური და სხვ.); **სახელმწიფო დარგობრივი პროგრამები** (სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განვითარების და სხვ.); **ტერიტორიული პროგრამები** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, მხარის განვითარების და სხვ.); **სახელმწიფოთაშორისი პროგრამები; საერთაშორისო პროგრამები** და ა.შ. [127.287].

მოქმედების ხასიათის მიხედვით გამოყოფენ **კრებსით, ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საგარეო-ეკონომიკურ და სხვა პროგრამებს.**

მოქმედების ვადის მიხედვით შეიმუშავებენ **მოკლევადიან** (ორ წლამდე), **საშუალოვადიან** (3-დან 10 წლამდე) და **გრძელვადიან პროგრამებს** (10-20 წელი).

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით განასხვავებენ **მუნიციპალური, ქალაქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამებს.**

გამოყოფენ პროგრამების განსაკუთრებულ სახეობას, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია **პროგრამა–ორიენტირის** სახით. ასეთ პროგრამებში განისაზღვრება მხოლოდ პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებანი. ისინი კონცეპტუალურ ხასიათს ატარებენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მეთოდოლოგიურად როგორ განისაზღვრება პროგრამის შედგენის ამოცანა, ეტაპები, სტრუქტურა, ორგანიზაციული მექანიზმები და სხვ.

ეკონომიკური პროგრამების შედგენის საყოველთაოდ აღიარებული ტიპური სტრუქტურა არ არსებობს, მაგრამ ცნობილია პროგრამების შედგენის საერთო პრინციპები, სტრუქტურის, რესურსების განსაზღვრის გამოცდილება, მეცნიერულად დასაბუთების, ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების პრინციპები და გამოცდილება. პირობითად შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკური პროგრამის სქემის მაგალითი: პრობლემის აქტუალობა და მისი გადაწყ-

ვეტის აუცილებლობის დასაბუთება, პროგრამის მიზნები და ამოცანები, პროგრამის განხორციელების ეტაპები, პროგრამის სტრუქტურიზაცია, პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა, პროგრამის განხორციელების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა, პროგრამის განხორციელების მონიტორინგი.

7.3. ინდიკატიური დაგეგმვა – სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი

საბაზრო, განსაკუთრებით სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში, **დაგეგმვა** სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელოვანი მეთოდია. დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს, რეგიონების და მეწარმეთა ინტერესების შეხამება. საერთო სახელმწიფოებრივი დაგეგმვით განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ამოცანები.

ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ანალიზისთვის სამ პრინციპულ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

პირველი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რომელ სტადიაზე ვართ? ამ კითხვაზე პასუხი იმიტომ გვჭირდება, რომ გავიგოთ, როგორია სასტარტო ბაზა და რისი მიღწევაა შესაძლებელი. **მეორე,** რა გზით გვინდა ვიაროთ? ამ შემთხვევაში უპირველესად პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემო უნდა შეფასდეს, ქვეყნის განვითარების ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორები დადგინდეს და განისაზღვროს განვითარების მთავარი მიმართულება. **მესამე,** როგორ ვფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას? როგორი უნდა იყოს მიზნის მიღწევის საშუალებები, განხორციელების ეტაპები და ხანგრძლივობა.

ლიტერატურასა და პრაქტიკაში ცნობილია დაგეგმვის ორი ტიპი. **პირველი, დირექტიული დაგეგმვა**. ასეთ შემთხვე-

ვაში წარმოების საშუალებების მესაკუთრე სახელმწიფოა. გეგმით განისაზღვრება განვითარების სტრატეგია, პრიორიტეტები, ეკონომიკური ზრდა. საწარმოებისათვის გეგმური დავალებების შესრულება სავალდებულოა. დირექტიული დაგეგმვა გამორიცხავს ბაზრის ზემოქმედებას. სამეურნეო სუბიექტებს არა აქვთ ავტონომია. ასეთი დაგეგმვის მაგალითი იყო სსრკ ეკონომიკა.

მეორე, ინდიკატიური დაგეგმვა. იგი გამოიყენება შერეულ ეკონომიკურ სისტემაში. გეგმით განისაზღვრება ეკონომიკის სასურველი განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. გეგმა მიზნად ისახავს რესურსების კოორდინირებულად გამოყენებას. გეგმა ბაზარზე უმნიშვნელო გავლენას ახდენს, სამაგიეროდ ორიენტირის ფუნქციას ასრულებს.

არის თუ არა აუცილებელი ინდიკატიური დაგეგმვა, რა როლი განეკუთვნება მას შერეულ ეკონომიკურ სისტემაში, გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესში?

ამ საკითხების თუნდაც კონცეპტუალურად განხილვა აუცილებელია, რათა რეალურად წარმოვიდგინოთ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების და შესაბამისად, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები.

იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ ინდიკატიური დაგეგმვის თეორიულ-მეთოდოლოგიური თავისებურებანი, საჭიროა გავეცნოთ ინდიკატიური დაგეგმვის თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულ მოსაზრებებს.

ინდიკატიურ დაგეგმვას უმნიშვნელოვანესი როლი შეუძლია შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაში. ინდიკატიური დაგეგმვა განსაკუთრებული, წინასწარ დადგენილი წესით კოორდინირებული მეცნიერულ-ანალიტიკურ და პროგნოზულ დამუშავებათა სისტემაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი რეალურად მისაღწევ ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) ჩამოყალიბება და მათ უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა

შემუშავება. ინდიკატიური დაგეგმვის ძირითადი მიზანია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაციას და ამავე დროს, გარკვეულ შემეცნებით როლს ასრულებს, რაც ფართო საზოგადოებისთვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს. ინდიკატური გეგმების მაკროეკონომიკური პარამეტრები სარეკომენდაციო ხასიათისაა [53.VII.141].

ინდიკატიური დაგეგმვის ძირითად ამოცანებად აღიარებულია:

1. მთავრობის მიმდინარე და საშუალოვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და სტრატეგიის ჩამოყალიბება;

2. განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების ძიება;

3. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგის და სოციალური ჯგუფების ინტერესების კოორდინაცია.

ინდიკატური დაგეგმვის ძირითადი ფუნქციებია:

1. ქვეყნისათვის აუცილებელი, რეალურად შესაძლებელი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიჯნების მიღწევის ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

2. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების უზრუნველყოფა აუცილებელი პროგნოზული გათვლებით;

3. კერძო სექტორის განვითარებისთვის ყოველგვარი ხელშეწყობა იმ ვარაუდით, რომ იგი ეკონომიკურად მაქსიმალურად დაინტერესდეს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობაში აქტიური მონაწილეობის მიღებით;

4. ფართო საზოგადოებისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;

5. ინვესტორების, საბაზრო სუბიექტებისა და მომხმარებლებისათვის ორიენტირების მიცემა;

ინდიკატიური დაგეგმვა – მაკროეკონომიკური დაგეგმვაა საწარმოების დამოუკიდებლობის პირობებში. ასეთია საყო-

ველთაოდ გავრცელებული აზრი. მაკროეკონომიკური დაგეგმვა ეფუძნება ეკონომიკის კერძო და სახელმწიფო საკუთრების შეთანაწყობას. დაგეგმვა ჩინეთში არა დირექტიული, არამედ ინდიკატიურია [121.156]. გამოითქვა მოსაზრება, რომ ინდიკატიური დაგეგმვა – ეს პარამეტრების (ინდიკატორების) სისტემის ფორმირების პროცესია, რომლებიც ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობასა და განვითარებას, შეესაბამება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და შეიცავს სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოებრივი ზეგავლენის ზომებს, რათა მიღწეულ იქნეს განსაზღვრული პარამეტრები [189.3]. ინდიკატიური დაგეგმვა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო, ერის ინტერესების, რეგიონებისა და საბაზრო სუბიექტების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ამუშავებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების (მათ შორის, კერძო სექტორის) პროექტებს, განსაზღვრავს კონკრეტულ სამეურნეო ორიენტირებს, მათ შორის, მაკროეკონომიკურ პარამეტრებს... ამით იქმნება საკუთრების ყველა ფორმის მეწარმეთა, ასევე რეგიონების დაინტერესება საერთოდ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციაში“ [164.12].

ნიშანდობლივია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გავრცელდა ინდიკატიური დაგეგმვა.

ამ საქმეში დიდი გამოცდილება გააჩნია იაპონიას, სადაც გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, ჰიპერინფლაციისა და წარმოების დაცემის პირობებში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ქვეყნის მთავრობამ ხელში აიღო ფასწარმოქმნის რეგულირება და შემოიღო საქონლის განაწილების საბარათო სისტემა.

1946 წელს იაპონიაში შეიქმნა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სპეციალური სამსახური – **ეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფასების მართვის შტაბი**, რომლის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების პირდაპირი სახელმწიფო კონტროლი. ამჟამად იაპონიაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის

დასაბუთებასა და ფორმირებას კოორდინაციას უწევს ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველო. ქვეყანას ორი წელი დასჭირდა, რომ შეედგინა პირველი ოთხწლიანი (1948-1952 წწ.) საერთო ნაციონალური გეგმა, რომლის მიზანი იყო ეკონომიკის ომამდელი დონის მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხწლიანი გეგმა მთავრობის მიერ არ იყო დამტკიცებული, იგი წარმატებით შესრულდა და დასახული მიზანი მიღწეულ იქნა. 1956 წლიდან, მიმდინარეობს იაპონიის წლიური და პერსპექტიული ინდიკატიური გეგმების შედგენა და სათანადო წესით დამტკიცება.

იაპონიაში სპეციალისტები თვლიან, რომ ინდიკატიური დაგეგმვის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პრაქტიკულად სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციაში ეკონომიკის კერძო სექტორის ორიენტირება. ამის შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივ გეგმებს არ გააჩნია კანონის ძალა, იგი წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც ეკონომიკური სტრუქტურების ცალკეული რგოლების მამოძრავებელია საერთო-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატიური დაგეგმვის მდიდარი გამოცდილება აქვს საფრანგეთს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლებამ გამოიყენა ეროვნული მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკა. 1946 წელს მიღებული იქნა 1947-1952 წლების ინდიკატიური გეგმა. საფრანგეთის შემდგომი პერსპექტიული ინდიკატიური გეგმები (1954-1957წწ., 1958-1961 წწ., 1962-1965 წწ. და ა.შ.) იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა.

საფრანგეთის ინდიკატიური გეგმა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება არა მარტო ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებისა და მაჩვენებლების პროგნოზირებას ახდენს, არამედ, მათზე აქტიურად ზემოქმედებს.

ქვეყანაში დამუშავებული დაგეგმვის კონცეფციის შესაბამისად, გეგმა, როგორც წესი, ხუთწლიანია და მასში ჩამოყა-

ლიბებულია სასურველი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ორიენტირები. ხშირ შემთხვევაში ინდიკატიური გეგმის შემუშავება წარმოადგენს მრავალსაფეხურიან პროცესს, რომლის შედეგად წარმოებს ინფორმაციის გაცვლა და ეროვნული კონსენსუსი მიიღწევა სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მონაწილეებსა და მეურნეობრიობისა და მართვის სხვადასხვა დონეებს შორის.

საფრანგეთში ინდიკატიური გეგმის ფორმირება წარმოებს **სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე** განისაზღვრება გეგმის მიზნები და ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა ინდიკატორების სახით. ამ ეტაპზე განისაზღვრება აგრეთვე წარმოების განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების პროგნოზები.

ინდიკატიური გეგმის ფორმირების პირველ ეტაპზე გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ინსტრუმენტარიები.

მეორე ეტაპზე წარმოებს საგეგმო მაჩვენებელთა დაწვრილერთეულება (დეზაგრეგირება) ეტაპობრივად და რამდენიმე მიმართულებით. თავდაპირველად ნაერთი ცხრილის დარგობრივი და ტერიტორიული განხილვა ხდება, შემდეგ კი წარმოებს მათი დაყოფა ეკონომიკური სუბიექტების კატეგორიებისა და ფინანსური ოპერაციების მიხედვით.

ინდიკატიური გეგმის შედგენის **მესამე ეტაპზე** კი მუშაობაში ერთვება „მოდერნიზაციის კომისიის“ ექსპერტები და დარგების, მეწარმეებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმის პარამეტრების დაკონკრეტება და მათი ტესტირება შეთავსებადობის, რესურსული დაბალანსებისა და მაკროეკონომიკურ მიზნებთან შესაბამისობის მიმართულებით.

ინდიკატიური გეგმის შედგენის ამ ეტაპის მთავარი ამოცანაა სახელმწიფო და ეკონომიკური სუბიექტების (კერძო მეწარმეების) მენეჯერებს მისცეს ისეთი ორიენტირები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება მათ ინტერესებთან და ამასთან, ხელს შეუწყობს ეროვნული გეგმების ძირითადი ინდიკატორების მიღწევას.

საფრანგეთის ინდიკატიური გეგმის ფორმირების პროცეს-

ში გამოიყენება ის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, რომლებიც უშუალო კავშირშია ეროვნულ ანგარიშთა სისტემასთან. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის ინდიკატიურ გეგმას ამტკიცებს საფრანგეთის პარლამენტი [136.35].

როგორც ჩანს, საფრანგეთში ინდიკატიური დაგეგმვა – სახელმწიფოსა და ეკონომიკის სხვა სუბიექტების მოქმედებისა და ინტერესების კოორდინაციის მექანიზმია. „მთავრობა ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებს კოორდინაციის მეშვეობით და ინფორმაციის უზრუნველყოფით“ [165.48]. აქ დაგეგმვის სისტემის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ იგი ხორციელდება „ქვევიდან“ და ეფუძნება კონსულტირებისა და შეთანხმებების პრინციპს და ითვალისწინებს ე.წ. ჯგუფური ინტერესების წარმომადგენელთა შეთანხმებულ საქმიანობას. საფრანგეთში გეგმები წარმოადგენენ ეკონომიკურ ინდიკატორებს, რომლებიც შეიცავენ მოსალოდნელი ეკონომიკური კონიუნქტურის შესახებ ინფორმაციას. ინდიკატიური გეგმა საფრანგეთში განიხილება, როგორც გეგმა სახელმწიფოსი, რომელიც აწარმოებს საზოგადოებრივ დოვლათს და წარმოადგენს ეკონომიკის დარგობრივი და რეგიონული ქვესისტემების მოქმედების კოორდინაციის მეთოდს. გეგმის სავალდებულო და საპროგნოზო ასპექტები უფრო ნათლადაა გაყოფილი. ინდიკატიურ დაგეგმვაში კოორდინაციაა მთავარი. გეგმების შესრულების არასავალდებულო პრინციპს გადამწყვეტი როლი არ ეკუთვნის. მთავარია, საწარმოების, ასევე სხვა დამოუკიდებელი სუბიექტების, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა საგეგმო პროცესში. ამიტომ, ინდიკატიურ დაგეგმვას ერთდროულად მიიჩნევენ როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, ისე თვითრეგულირების ინსტიტუტად.

ინდიკატიური დაგეგმვის ფორმირებისა და განვითარების საინტერესო გამოცდილება გააჩნია ჩინეთს, სადაც იგი მაკროეკონომიკური დაგეგმვის სახითაა წარმოდგენილი. ამასთან, სამეურნეო სუბიექტებს შენარჩუნებული აქვთ დამოუკიდებლობა. ჩინეთში ინდიკატიური დაგეგმვის საფუძველია

ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების შეთანაწყობა, პირველის პრიორიტეტით.

ინდიკატიური დაგეგმვის ჩინური მეთოდი აგებულია ეკონომიკის მრავალსაფეხურიანი მართვის პრინციპებზე ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმის დომინირების პირობებში. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების დაგეგმვის პრაქტიკასთან შედარებით, ჩინეთში მაკროეკონომიკის ყველა პარამეტრი უშუალოდ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ იგეგმება. ასეთებია: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნები და ტემპები, ძირითადი პროპორციები, ინვესტიციების წყაროები და მათი განაწილება, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ექსპორტ-იმპორტი და საგარეო ვაჭრობა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და ტექნიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება, ფასები ძირითად საქონელზე და მომსახურებაზე, საზოგადოებრივი წარმოებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაბალანსება [136.42].

ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდიკატიურ გეგმას სახელმწიფო სექტორის მიმართ უნდა ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი. შესაბამისად, გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო გეგმას განმარტავენ, როგორც „მაჩვენებელთა სისტემას, რომელთა რეალიზაცია ხდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის (უპირველესად სახელმწიფო) ცენტრალიზებული მართვითა და ირიბი რეგულირებით. იგი შეიცავს, როგორც საორიენტაციო მაჩვენებლებს, რომლებსაც აქვთ საწარმოების ორგანიზაციებისათვის საინფორმაციო მნიშვნელობა, ასევე დირექტიულ მაჩვენებლებს – სახელმწიფო დაკვეთა, ლიმიტები, ეკონომიკური რეგულატორები (ფასები, გადასახადები, საპროცენტო განაკვეთები, ეკონომიკური ნორმატივები) [159.108].

შვედი ეკონომისტი **ლ. იოჰანსენი** წერდა: მაკროეკონომიკური დაგეგმვა ორგანიზებული საქმიანობაა, რომელსაც ახორციელებს ცენტრალური მგეგმავი ორგანო იმისათვის, რომ მომზადდეს გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, რო-

მელთა რეალიზაციას უზრუნველყოფს ცენტრი; ასევე მართვის სისტემის ქვედა რგოლების გადაწყვეტილებისა და ურთიერთმოქმედების შეთანხმება (როგორც ერთმანეთს შორის, ისე ცენტრთან) ეკონომიკური სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების, როგორც ერთი მთლიანის, განვითარების ინტერესებისათვის.

როგორც აღინიშნა, ინდიკატიური დაგეგმვის არსი ისაა, რომ განისაზღვროს განვითარების მიზნობრივი და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ორიენტირები, სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის კონსოლიდაციით მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგები. ამასთან, ინდიკატიურ დაგეგმვაში პრიორიტეტები განისაზღვრება საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივისათვის.

პრაქტიკაში განიხილება ინდიკატიური დაგეგმვის სხვადასხვა ფორმა. კერძოდ, **კონიუნქტურული,** როდესაც ბიუჯეტის მეშვეობით ხდება ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის ტემპსა და პროპორციაზე. ამ პირობებში ეკონომიკური განვითარების პროგნოზები ედება საფუძვლად ბიუჯეტის ფორმირებას. დროთა განმავლობაში ეროვნულ ეკონომიკათა ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების კვალობაზე ინდიკატიური დაგეგმვის კონიუნქტურული ფორმა შეიცვალა მეთოდური და ორგანიზაციული თვალსაზრისით. თუ ადრე ეკონომიკის განვითარების პროგნოზები ფინანსთა სამინისტროებში კეთდებოდა და მათ საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტები დგებოდა, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან რიგ განვითარებულ ქვეყნებში სპეციალური საგეგმო ორგანოები შეიქმნა. მაგალითად, **საფრანგეთში დაგეგმვის გენერალური კომისარიატი, კანადაში – ეკონომიკური საბჭო, იაპონიაში – ეკონომიკური საკონსულტაციო საბჭო, ჰოლანდიაში – ცენტრალური დაგეგმვის ბიურო** და სხვ.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირში ეკონომიკური დაგეგმვა ზენაციონალურ დონეზე ავიდა. შესაბამისი სტრუქტურები ადგენენ მოკლე და საშუალოვადიან პროგრამებს, რომლის საფუძველზე მზადდება სათანადო რეკომენდაციები ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. მაგალითად,

შემუშავდა ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები 1960-1970 წლებში.

აღსანიშნავია, რომ ინდიკატიური დაგეგმვის ახალი სახე–სტრუქტურული ფორმა ეფექტიანად დაინერგა იაპონიაში. მაგალითად, 1962 წელს შემუშავდა ქვეყნის ტერიტორიის კომპლექსური განვითარების პირველი გეგმა (1960-1970 წწ.), ხოლო მეორე – 1969 წელს, იმ რეგიონების განვითარების გათვალისწინებით, რომლებიც მთავარი სამრეწველო აგლომერაციიდან შორს იყო. მესამე გეგმა კი შედგა „ინტეგრირებული განსახლების“ კონცეფციაზე დაყრდნობით. 1987 წელს მიღებულმა ეროვნული განვითარების მეოთხე კომპლექსურმა გეგმამ განსაზღვრა ქვეყნის განვითარება ყველა სფეროში. ინდიკატიური დაგეგმვის სტრატეგიული ფორმა ჩამოყალიბდა შერეული ეკონომიკისა და ბაზრების გლობალიზაციის შედეგად, მაგალითად, საფრანგეთში ინდიკატიური დაგეგმვის სტრატეგიული ფორმა ეყრდნობა პრიორიტეტებს, რომლის რეალიზაციაში გადამწყვეტ როლს სახელმწიფო ასრულებს. მაგალითად, 1989-1992 წლებში მეათე ინდიკატიურ გეგმაში გამოიყო რამდენიმე პრიორიტეტი: ეროვნული ვალუტის განმტკიცება, დასაქმების უზრუნველყოფა, სამეცნიერო გამოკვლევები და სხვ. თითოეული მიმართულების (პრიორიტეტის) მიხედვით შედგა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი დაფინანსებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდიკატიური დაგეგმვის სტრატეგიული ფორმა აღიარებულია როგორც ახალი სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების ძიება, რათა მიღწეულ იქნეს კონკურენციის ხელსაყრელი გარემო, ეკონომიკურ პროცესებში ყოველმხრივი თანამშრომლობის პირობები და ა.შ. [136.54].

როგორც ჩანს, განვითარებულ ქვეყნებში ინდიკატიური დაგეგმვის ფორმები ეროვნული ეკონომიკის დონის ადეკვატურად იცვლებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა. განვითარების რთულ პროცესში ინდიკატიური დაგეგმვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების ძლიერი მექანიზმი გახდა.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში გარდამავალი პერიოდის თავისებურებების ფონზე ეკონომიკური დაგეგმვის აუცილებლობა რეალურად დადგა. ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვდა არა მხოლოდ ინდიკატიური დაგეგმვის განვითარებული ქვეყნების გამოყენებას, არამედ სოციალისტური დაგეგმვის გამოცდილებისაც. მაგალითად, საბჭოთა დაგეგმვის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: **რეგიონების კომპლექსური განვითარება და შიდა საფირმო დაგეგმვა, სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზირება, საშუალო და გრძელვადიანი გეგმის როლი ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში** და ა.შ.

ზემოთ აღინიშნა, რომ 1992-1993 წლებში საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურები (სამინისტროები, უწყებები) ე.წ. **ფუნქციონურ სტრუქტურებად** გარდაიქმნა. ქვეყნის განვითარების ექსტრემალურ პირობებში სახელმწიფომ ფაქტობრივად უარი თქვა თავისი ტრადიციული ფუნქციების შესრულებაზეც. იგი პოლიტიკური ასპარეზიდან გავიდა და ჯგუფური ინტერესების საფუძველზე სპონტანურად ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს დაუთმო ადგილი. ჰიპერინფლაცია, წარმოების კატასტროფული დაცემა, საფინანსო კრიზისი, ეკონომიკის რიგი დარგების ლიკვიდაცია და სხვ., რაც ამ პერიოდში მოხდა, მეტ-ნაკლებად უნდა აიხსნას ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების იგნორირებით და ბაზრის გაფეტიშების მცდელობით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ასეთ პროცესებს ბიძგი მისცა იდეოლოგიურმა დოგმამ, რომლის მიხედვით ეკონომიკური დაგეგმვის პრინციპები მიჩნეულ იქნა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის მთავარ ფაქტორად. სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის, სამეცნიეროც, ამ პოზიციას იცავდა. მიუხედავად ეკონომიკური დაგეგმვის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულებისა, საქართველოში 1993 წელს დამუშავდა ინდიკატიური დაგეგმვის კონცეფცია და მის საფუძველზე 1994 წელს შედგა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატიური გეგმა [104.I.239]. 1995 წელს მიღებულ იქნა

1995-2000 წლების ინდიკატიური გეგმა, 2001 წელს 2001-2005 წლების ინდიკატიური გეგმა.

ქვეყანაში განისაზღვრა, რომ ინდიკატიური გეგმის შედგენას ეკონომიკის სამინისტრო უზრუნველყოფდა. ამით სამინისტროს მაკროეკონომიკური პოლიტიკის რეალურად განმსაზღვრელი და განმახორციელებელი ორგანოს ფუნქცია მიენიჭა და მას გარკვეულწილად სხვა მაკროეკონომიკური სტრუქტურების (ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი) მიერ მაკროეკონომიკური პროგნოზირების განხორციელების კოორდინატორობა დაევალა. შესაბამისად, გაჩნდა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ორი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის – მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მთავრობის შიგნით კოორდინაციის კარგი შესაძლებლობა [52.15].

ინდიკატიური დაგეგმვის აღიარება იმას ნიშნავდა, რომ თავად ფორმირებადი სახელმწიფო რეალურად აცნობიერებდა თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ როლს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაში. სამწუხაროდ, 2003 წლის შემდეგ ინდიკატიური გეგმა საქართველოში არ დგება. 2006 წელს პარლამენტმა ინდიკატიური დაგეგმვა გააუქმა. მის ნაცვლად დაინერგა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის ინსტიტუტი [52.17]. ვიწროუწყებრივი ინტერესების მონოპოლიზებით და სტრატეგიული დაგეგმვის, როგორც ასეთის, იგნორირებით, მინისტრთა კაბინეტმა ეკონომიკის განვითარებაზე მთელი პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტროს დააკისრა, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს „ფუნქციები“ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით ამოიწურა. ეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათის უხეში შეცდომა იყო.

შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ ჩვენი თვალსაზრისი ეროვნულ ეკონომიკაში ინდიკატიური დაგეგმვის როლის შესახებ. საქართველოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის საფუძველი იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის დადგენილება **„საქართველოს რესპუბლიკის ეკონო-**

მიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შესახებ“ და 1997 წელს მიღებული კანონი **„საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“**. კანონის შესაბამისად, ინდიკატიური გეგმა შეიძლებოდა დამუშავებულიყო მოკლე (1-წლიანი), საშუალო (3-5 წელი) და გრძელვადიანი პერიოდისთვის. ინდიკატიური გეგმა მოიცავდა სამ ნაწილს: **1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. 2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზები და 3. საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილი**. გეგმის პირველ ნაწილში ყალიბდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკის მიზნები და პრიორიტეტები, განვითარების ძირითადი ეტაპები და საშუალებები, განისაზღვრებოდა ამოცანების გადაწყვეტის თანმიმდევრობა. გეგმის მეორე ნაწილში აისახებოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, თავისებურებანი, პარამეტრები. ინდიკატიური გეგმის სოციალურ-ეკონომიკური მიზნების რეალიზაცია ხორციელდებოდა ეკონომიკურ რეგულატორთა სისტემით, რომლის მთავარი დანიშნულება იყო ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მისი ძირითადი ელემენტებია: **1. თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. 2. კორექტივები საგადასახადო განაკვეთებში, ამორტიზაციის ნორმებსა და დარიცხვის წესში, კაპიტალის პროცენტში, საბანკო რეზერვების ნორმებში, ბაჟებსა და მოსაკრებლებში, ცალკეულ საქმიანობათა ლიცენზირებაში; ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. 4. ფასების პოლიტიკა და ანტიინფლაციური ღონისძიებები; 5. პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტშემცველი წარმოების სტიმულირება საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით; 6. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და განაწილების მექანიზმი; 7. მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებები; 8. ეროვნული ვალუტის დაცვის მექანიზმი და ა.შ.**

ინდიკატიური გეგმის საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილის უმნიშვნელოვანეს ელემენტად აღიარებული იყო სახელ-

მწიფო მიზნობრივი პროგრამები. ინდიკატიური გეგმის ერთერთი თავისებურებაა ის, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული მეურნეობის სასურველ მდგომარეობამდე მიყვანისათვის განსაზღვრული მიზნის განხორციელებაზე სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურების მონიტორინგის ფორმა-მექანიზმად. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინდიკატიურ გეგმაში ობიექტურად უნდა აისახოს ის თავისებურებები, რომლებიც გამოვლინდა საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში – მასშტაბურობა, სპეციალიზაციის, კონცენტრაციის დონე, რესურსული პოტენციალი, ტრადიციები, მენტალიტეტი და სხვ. გარდამავალი პერიოდის თავისებურებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილია საზღვარგარეთის ქვეყნებში მიღებული დაგეგმვის ზემოთდასახელებული მოდელების არა უშუალოდ გადმოტანა, არამედ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ სიტუაციას მორგებული მათი ელემენტების კომბინირება, მათი „თანაარსებობის“ ხელსაყრელი ორგანიზაციული და ფსიქოლოგიური გარემოსა და რეგულირების შესაბამისი სისტემის ფორმირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გეგმა ინდიკატიურია თავისი ბუნებით, არა აქვს დირექტიული ხასიათი, თუმცა, ხელს უწყობს (სწორი ორიენტაცია) ახალი ტიპის ეკონომიკის დამკვიდრებას. გეგმის უპირატესობა იმაშია, რომ ფართომასშტაბიანი პროგრამების, პროექტების რეალიზაცია რესურსების უკმარისობის, კომუნიკაციების სირთულის გამო ცალ-ცალკე კერძო სუბიექტებს თუ სახელმწიფოს, გაუძნელდებათ. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია. ინდიკატიური გეგმა კი თავისი ფორმითა და შინაარსით კოორდინაციის ყოვლისმომცველი მექანიზმია.

ინდიკატიური გეგმის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ქვეყნის განვითარების მაჯისცემას მუდმივად გრძნობდეს სახელმწიფო, მისი დაინტერესებული სტრუქტურები, საზოგადოება.

ინდიკატიური გეგმა და ბიუჯეტი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური ინდიკატიური გეგმა სახელმწი-

ფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების ხელშემწყობი ინსტრუმენტია. პრაქტიკამ ცხადყო, რომ, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება ხდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მოცემული ეტაპების კომპლექსური ანალიზისა და პერსპექტივის პროგნოზების გარეშე, არამც თუ მისი შესრულებაა საეჭვო, არამედ იქმნება უაღრესად ხელსაყრელი პირობები ფარული ეკონომიკის ყოველმხრივ განვითარებისათვის. ასეთი სიტუაცია ეკონომიკის განვითარებაში აღრმავებს დისპროპორციებს, ზრდის წინააღმდეგობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის: უკიდურესად დაბლა სცემს კვლავწარმოებითი კოლაფსის პირობებში სამეურნეო კავშირების, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული ფაქტორების ურთიერთგანპირობებულობის ხარისხს. ყოველივე ამის მიზეზით, ბუნებრივია, ბიუჯეტი არარეალურ საფუძველზე ყალიბდება. ამიტომ, იგი შესრულების პროცესში (ერთი წლის მანძილზე) დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ამის გამო ბიუჯეტი – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თავისი მნიშვნელობით ყველაზე ძლიერი მექანიზმი, საზოგადოებრივი პროგრესის მუხრუჭი ხდება. სახელმწიფო ასეთ სიტუაციაში გამოდის როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი პოლიტიკური ძალა. პარადოქსია, რომ ეს მოვლენა წარმოიშობა სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში საკუთარი როლის სრულად გაუცნობიერების გამო. ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ობიექტური წანამძღვრების უგულებელყოფა ხდება სუბიექტური ფაქტორის გავლენით.

ინდიკატიურ დაგეგმვაში პრაქტიკულად უნდა გამოვიყენოთ რეალური მიდგომა, რომ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების სწორი ანალიზი და პროგნოზი დაეფუძნოს ალტერნატიულ ვარიანტებს, არსებული მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას, აღწარმოებითი პროცესის მოსალოდნელი ცვლილებების ოპტიმალურ ვარაუდს. მხოლოდ ასეთი პროგნოზი უნდა დაედოს საფუძვლად ბიუჯეტის

ფორმირებას და არა ე.წ. „მიღწეული დონიდან“ - პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით ბიუჯეტის შედგენის ტრადიციული პრინციპი. ამასთან, ბიუჯეტში ადეკვატურად უნდა აისახოს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით გამოწვეული ტენდენციები, განვითარების ორიენტირები (ინდიკატორები), საზოგადოებრივი პროგრესის ხელშემწყობი ფაქტორების დაბალანსებული მოქმედება, ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა და სხვ. ასეთი ბიუჯეტი, თავისი დირექტიული მაჩვენებლებით (მისი შესრულება სავალდებულოა) გამოდის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების მაკოორდინირებელი მექანიზმი და საბიუჯეტო ფედერალიზმის პირობებში ეყრდნობა ცენტრალიზმის პრინციპს.

პროგნოზისა და საბიუჯეტო მაჩვენებლების ორგანული კავშირით არ ამოიწურება ინდიკატიური გეგმის ფუნქცია. ინდიკატიური გეგმა, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, ასრულებს ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის (პოლიტიკური მხარე განსაზღვრავს მისი მიზნისა და პრინციპების ფორმირების საფუძვლებს) დამკვიდრების პროცესის რეგულირების პოლიტიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ფუნქციას. ამას უზრუნველყოფენ: ერთიანი სამართლებრივი ბაზა, განვითარების პრიორიტეტები, ინტეგრაციული კავშირების ინტენსივობა, გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობა, გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის გავლენით სწრაფად ცვალებად გარემოში გარე ეკონომიკური ფაქტორების როლი და ა.შ. ინდიკატიური გეგმა არის საფუძველი (ორიენტირი), რომელსაც საბაზრო და არასაბაზრო სუბიექტები ითვალისწინებენ გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც მაკრო, ასევე მეზო, განსაკუთრებით მიკროდონეზე. ამ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები ურთიერთკავშირების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან (სამეურნეო კავშირების დონე) და ბუნებრივია, ქმნიან საქმიანობის ერთიან სამეურნეო სივრცეს და ურთიერთშეთანხმებით კორექტივი შეაქვთ მოქმედების სტრატეგიაში. ასეთ პირობებში მიკროდონეზე შემუშავებული გეგმები აქტიურ

გავლენას ახდენენ მაკრო პროცესების განვითარებაზე.

ამიტომაა, რომ ოპტიმალური ინდიკატიური გეგმა ერთდროულად ასრულებს ეკონომიკის იერარქიულ დონეზე (მაკრო, მეზო, მიკრო) განვითარების ორიენტირის ფუნქციას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმა ეყრდნობა პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომას, რაც ახალ თვისებრიობას ანიჭებს როგორც გეგმას, ისე პროგრამასაც. გეგმით ხდება მიზნობრივი პროგრამის რეალიზაციის ხელშემწყობი პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტებით გარემოს მოდელის იმიტაცია (სასურველი სიტუაციის განსაზღვრა). გარდა ამისა, გეგმამ უნდა უზრუნველყოს გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტის შესაძლებლობებთან შეთანაწყობა. ეს კი საშუალოვადიან სტრუქტურულ და გრძელვადიან მაკროპროგნოზს უნდა დაეყრდნოს. სხვანაირად, რესურსული, ტექნოლოგიური და ფინანსური მაჩვენებლების შედარება-დაბალანსება რეალურად არ მოხერხდება. ამიტომ, პროგნოზები, ერთი მხრივ, მიზნობრივი პროგრამები, მეორე მხრივ, მომავალი წლების ბიუჯეტებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადეკვატური მაჩვენებლების გათვალისწინება ფაქტობრივად წარმოადგენენ საშუალოვადიანი ინდიკატიური გეგმის წამყვან ელემენტებს. თუ მიზნობრივი პროგრამა ეხება დარგის, რეგიონის განვითარებას, ან ორგანიზაციულ-მმართველობით ურთიერთობათა სრულყოფას და შესაბამისად, მიზნად ისახავს სტრუქტურულ ცვლილებებს, ინდიკატიურ გეგმაში ასეთი პროგრამების შეტანით, როდესაც იგი პროგნოზებთან და ბიუჯეტთან ან დაფინანსების სხვა წყაროებთან შეხამებულია, გეგმა იღებს ინდიკატიური დაგეგმვის სტრუქტურული ფორმის ხასიათს. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მიზნობრივი პროგრამა ინდიკატიური დაგეგმვის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია.

ამრიგად, ინდიკატიური გეგმა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც განვითარების პროგნოზების, მიზნობრივი პროგრამებისა და ბიუჯეტის ან ალტერნატიული წყაროების, კერძოდ, უცხოური ინვესტიციების ან მიზნობრივი სესხების

შეთანაწყობის კონცენტრირებული ფორმა, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების ფუნქციას.

ინდიკატიური დაგეგმვის ორგანიზაცია. ინდიკატიური დაგეგმვა მრავალმხრივი პროცესია. გეგმის პროექტი ამ პროცესის შედეგია. მას გეგმის სტატუსს ანიჭებს პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკა დაბალანსებულია და ეფექტიანად ფუნქციონირებს, შექმნილია შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც საერთოდ ეკონომიკის რეგულირებას, მათ შორის ინდიკატიური დაგეგმვის ფუნქციებს ასრულებენ[1].

საქართველოში ინდიკატიური დაგეგმვის პრაქტიკის ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ შემდეგი. **პირველი,** ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი, ეკონომიკური სუბიექტების მოქმედების კოორდინაციის მექანიზმი. ამის შესაბამისად უნდა განხორციელდეს ცენტრალური ეკონომიკური სტრუქტურების (ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროები, ეროვნული ბანკი, სტატისტიკის დეპარტამენტი და სხვ.) და მათი რეგიონული ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაცია. კოორდინატორის ფუნქცია უნდა დაეკისროს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, როგორც სათაო უწყებას. დადგინდეს წესი, რომლის შესაბამისად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმის ფინანსურ ნაწილს შეიმუშავებს ფინანსთა სამინისტრო,

1 მაგალითად, იაპონიაში ეკონომიკის რეგულირების საკითხებზე მუშაობენ: ეკონომიკური საკონსულტაციო საბჭო, ტერიტორიის კომპლექსური განვითარების დაგეგმვის საკონსულტაციო საბჭო, ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველო, ტერიტორიის კომპლექსური განვითარების დეპარტამენტი, კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტი (რომელიც მუშაობს გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამირებაზე, როგორც მაკრო, ისე რეგიონის დონეზეც, რეგიონული განვითარების ცენტრი, მრეწველობის განვითარების ცენტრი, ადგილობრივი ორგანოების დონეზე ფუნქციონირებენ, საკონსულტაციო ცენტრები ტერიტორიის განვითარება, ადგილობრივი რესურსების დაგეგმვა, დარგების გაადგილება [159.108].

ფულად-საკრედიტო ნაწილს – ეროვნული ბანკი. დარგობრივი სამინისტროები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებენ შესაბამის წინადადებებს და წარუდგენენ მათ ეკონომიკის განვითარების სამინისტროს. სამინისტრო პასუხისმგებელი უნდა იყოს ინდიკატიური დაგეგმვისათვის ქვეყანაში, ამუშავებდეს პროგნოზებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს, სახელმწიფო სექტორის განვითარების გეგმას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიურ გეგმას ბიუჯეტთან ერთად პარლამენტში განიხილვის შემდეგ უნდა ამტკიცებდეს მთავრობა.

მეორე, მიზანშეწონილია ზემოთ აღნიშნული მიდგომების საფუძველზე შედგეს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რომლის შესაბამისად შემუშავდება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში (ერთი წელი, 5 წელი) ინდიკატიური გეგმა, რომელიც შესაბამისი დონის ბიუჯეტის ფორმირების საფუძველი უნდა გახდეს. მას განიხილავს და ამტკიცებს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანო. **მესამე,** როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს პარლამენტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში. **მეოთხე,** სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმის შესრულების საერთო სახელმწიფოებრივ კონტროლს განახორციელებს ქვეყნის პარლამენტი. **მეხუთე,** ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიურ გეგმაში მიზანშეწონილია ცალკე განყოფილებად წარმოდგენილ იქნეს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განვითარების გეგმა.

სახელმწიფო ვალდებულია თავის ერთ-ერთ ფუნქციას – მესაკუთრის ფუნქციას ეფექტიანად ასრულებდეს. ამჟამად ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი ფაქტობრივად საზოგადოებრივ პროგრესს აფერხებს. სახელმწიფოს აღრიცხული არა აქვს საკუთარი ქონებაც. ამასთან, იგი მსხვილ სამეურნეო სტრუქტურებთან წილობრივი ურთიერთობებით გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობაზე.

საშუალოვადიანი პერსპექტივისათვის უნდა შემუშავდეს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განვითარების კომპლექსური გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ასევე განსახელმწიფოებრიობას (პრივატიზაციას), ახალი საწარმოების შექმნას, საერთოდ, საწარმოების რესტრუქტურიზაციას და ა.შ.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმის რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად უნდა მივიჩნიოთ **„განვითარების ბიუჯეტი“**. მან უნდა მოიცვას როგორც სახელმწიფო საინვესტიციო რესურსები, ისე ყველა ის რესურსი, რომელიც ინვესტიციების სხვადასხვა წყაროთია წარმოდგენილი ქვეყნის ტერიტორიაზე. „განვითარების ბიუჯეტის“ შემოსავლების წყაროებია: კერძო ინვესტიციები, შერეული ინვესტიციები, უცხოეთის საინვესტიციო კრედიტები, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი, სახელმწიფოს დივიდენდები და სხვ. სახელმწიფო ბიუჯეტში დაფიქსირებული კონსოლიდირებული ინვესტიციები იძლევა საშუალებას სწორად განისაზღვროს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროპორციები, რასაც ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

„განვითარების ბიუჯეტის“ მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტისაგან გამოცალკევება ხელს უწყობს ბიუჯეტის საინვესტიციო ფუნქციის გაძლიერებას და მიმდინარე ხარჯების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ განაპირობებს სოციალური წონასწორობის შენარჩუნების ფაქტორების ობიექტურად შეფასებას.

ინდიკატიური გეგმა და სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი. გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ სახელმწიფო – როგორც მეწარმე, გამოდის როგორც საქონლის, ისე მომსახურების ძირითად დამკვეთად. ქვეყანაში განსახელმწიფოებრიობის (პრივატიზაციის) პროცესის შედეგად მრავალსუბიექტიანი ეკონომიკა ჩამოყალიბდა, რომელიც ეფექტიანად არ ფუნქციონირებს.

ერთი მხრივ, სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების პროცესების უშუალო რეგულირების ფუნქციისაგან გარკვეულწილად განთავისუფლდა, მეორე მხრივ, სახელმწიფომ შეიძინა თვისებრივად ახალი ფუნქცია – აქტიური გავლენა მოახდინოს მეწარმეობის განვითარებაზე სრულიად ახალ გარემოში – საკუთრების ფორმებისა და ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის მექანიზმების პლურალიზმის პირობებში.

გარდამავალი პერიოდის ამ ტენდენციას საქართველოში ანგარიში არ გაეწია. სახელმწიფომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში სათანადოდ არ გამოიყენა რეგულირების ისეთი პოპულარული და აუცილებელი მექანიზმიც, როგორიცაა **სახელმწიფო დაკვეთის სისტემა**. დაკვეთის ადრინდელი საბჭოური სისტემა ლიკვიდირებულ იქნა როგორც საბჭოთა სოციალიზმის გადმონაშთი და საერთოდ მიუღებელი საბაზრო პირობებისათვის. რა თქმა უნდა, სახელმწიფო დაკვეთის ადრინდელ სისტემას სხვა ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა, იგი ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის მთავარი ბერკეტის როლს ასრულებდა. ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის რადიკალური შეცვლა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა არ მოითხოვდა საერთოდ სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმის უარყოფას, რაც ბოლო წლების პრაქტიკამაც დაადასტურა. საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან მხოლოდ მეცხრე წელს იქნა მიღებული კანონი „სახელმწიფო დაკვეთების შესახებ“.

იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა გვქონდეს სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმზე, ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც. მოკლედ გავეცნოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმის ფორმირებისა და გამოყენების პრინციპებს, ორგანიზაციას, შედეგებს.

ფედერალური საკონტრაქტო სისტემა ის ეკონომიკურ-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მექანიზმია, რომლის მეშვეობით მეურნეობის ყველა სფეროში სახელმწიფოს ფინანსების, ეკონომიკური, შრომითი და სხვა რესურ-

სების გადანაწილება ხდება. აღიარებულია, რომ ტრიადა: ფედერალური საკონტრაქტო სისტემა-ფედერალური ბიუჯეტი-ფედერალური საგადასახადო სისტემა, წარმოადგენს სახელმწიფო მართვის სისტემის საფუძველს, რომელზე დაყრდნობით სახელმწიფო ახორციელებს თავის მთავარ ეკონომიკურ ფუნქციებს [128.49]. როგორი კავშირი არსებობს დასახელებული ტრიადის სტრუქტურებს შორის?

მიჩნეულია, რომ საგადასახადო სისტემა – სახელმწიფო ხაზინის შემოსავლებით შევსების ინსტრუმენტია, ბიუჯეტი – სახელმწიფო შემოსავლების აკუმულირების, პროგრამირებისა და გადანაწილების ინსტრუმენტი ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, ხოლო, საკონტრაქტო სისტემა ფედერალური კონტრაქტების ფორმით გამოდის ამ სახსრების რეალიზაციის ინსტრუმენტად. იგი ემსახურება სახელმწიფოებრივ მოხმარებას. ამის გარდა, ეს უკანასკნელი ასრულებს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სამრეწველო, სამხედრო ტექნიკური პოტენციალის მობილიზაციის, საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო ბაზრის რეგულირებაში ძირითადი ინსტრუმენტის ფუნქციას. განსაკუთრებით ეს ეხება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. უნიკალურია დაკვეთის სისტემის როლი თავდაცვის სფეროში. განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა ნატოს ქვეყნების სამხედრო სამეურნეო ინტეგრაციაში.

ამრიგად, გადასახადები, ბიუჯეტი და სახელმწიფო დაკვეთა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთლიანობითი სისტემის ის რგოლებია, რომლებიც ურთიერთგანპირობებულობის ხარისხით არსებითად განსაზღვრავენ აშშ ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას, მის დონეს, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხასიათს.

იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს საკონტრაქტო სისტემის კომპონენტებზე, მიზანშეწონილია გავეცნოთ მის სტრუქტურას, რომელიც შემდეგი ელემენტებითაა წარმოდგენილი:

სახელმწიფო ადმინისტრაციულ-მმართველობითი მექანიზმი („სახელმწიფო-მეწარმე-უწყება-საქონლისა და მომსახურების დამკვეთები და სახელმწიფო ხაზინის კორპორაციები-მეიჯარეები“); საქონლის და მომსახურების სახელმწიფო ბაზა-

რი; ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმი (ფედერალური კონტრაქტი, ფედერალური კანონმდებლობა, შიდა დარგობრივი რეგულირება, არბიტრაჟი, სასამართლოების გადაწყვეტილებები, ფედერალური საკონტრაქტო სამართალი, ფედერალური საპატენტო-სალიცენზიო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრება); სახელმწიფო ხაზინის მატერიალური რესურსები, ფედერალური ბიუჯეტი და სახელმწიფო და ინტელექტუალური საკუთრების ყველა ფორმა და მატერიალური რესურსები, რომლებიც გადაეცემათ კორპორაციებს დაკვეთების შესრულებისათვის; ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ ხაზინის დაკვეთების შესრულებას. მაგალითად, 90-იან წლებში სახელმწიფო აპარატში მუშაობდა 80 ათასი კაცი, ხოლო ეკონომიკაში საერთოდ 400 ათასი კაცი, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ფედერალური დაკვეთების მართვასთან, შესრულების ორგანიზაციასთან და კონტროლთან [128.48]. ყოველწლიურად აშშ მთავრობა სახელმწიფო ბაზარზე განათავსებს 13-15 მლნ კონტრაქტს, 200-300 ათასს – სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულებით. 100-ათასამდე გენერალური მოიჯარადრე – სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა კორპორაციები), 30-ათასზე მცირე ინოვაციური ფირმები, ლაბორატორიები, კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლებიც სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოების პროგრამებს ასრულებენ – წარმოადგენენ ყველა სახის საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელ მთავარ ბირთვს. აღსანიშნავია, რომ აშშ სახელმწიფო მოხმარება შეადგენს ყოველწლიურად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ნომენკლატურის 92-93% [128.49].

ამრიგად, საკონტრაქტო სისტემის მეშვეობით სახელმწიფო რეალურ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე და კორპორაციების ძირითადი ფონდების განახლებაზე. ყოველივე ეს ქმნის კონკურენტული და საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარების ხელსაყრელ გარემოს. ამიტომაა, რომ აშშ ფედერალურ მთავრობას „სამეცნიერო ტექნიკუ-

რი პროგრესის მთავრობას“ უწოდებენ, სადაც სახელმწიფო მართვის აპარატში ყოველი მეოთხე ამა თუ იმ ფორმით დაკავებულია მტპ-ის დაჩქარების ორგანიზაციით, მართვით ან მისი მხარდაჭერით [128.50].

როგორია საკონტრაქტო სისტემის სამართლებრივი ბაზა? მის სამ დონეს გამოყოფენ. პირველი დონე აერთიანებს 20 ფედერალურ სამოქალაქო და სამხედრო უწყებას. ისინი მთავარი დამკვეთები და მომხმარებლები არიან. მეორე დონე აერთიანებს რეგიონულ სტრუქტურებს და განლაგებულნი არიან 12 რეგიონში. აქ წარმოდგენილია 20-დე ფედერალური უწყება – დამკვეთი. რეგიონული სტრუქტურების ფუნქციაა მთავრობის დაკვეთების კონტროლი, ორგანიზაცია და მართვა. მესამე დონე – სახელმწიფო კონტრაქტების მართვა შტატების ხელისუფლების ორგანოებში [128.50]. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაკვეთების მართვაში დიდი როლი ეკისრება მთავარ საკონტროლო-საფინანსო სამმართველოს და აშშ გენერალურ პროკურორს. ასევე დაკვეთების ორგანიზაციაზე კონტროლს გარკვეულწილად ახორციელებენ სასამართლო ორგანოებიც. სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს პრეტენზიებს სახელმწიფოსა და საიჯარო კორპორაციებს შორის. აღსანიშნავია, რომ კონგრესის ორივე პალატის 48 ძირითადი კომისიიდან და ქვემოკომიტეტიდან 2/3 უშუალოდ უკავშირდება ბიუჯეტის პროგრამებს, სახელმწიფო ხარჯებს საქონელსა და მომსახურებაზე, დაკვეთებს და ა.შ. საკონტრაქტო სისტემის ფუნქციონირებას არეგულირებს სხვადასხვა დროს მიღებული 4 ათასი კანონი, კანონქვემდებარე და შიდაუწყებრივი მარეგულირებელი ინსტრუქცია. ამოსავალ სამართლებრივ საფუძვლად აღიარებულია სამი ფედერალური აქტი: 1947 წლის კანონი „სამხედრო-სამრეწველო დაკვეთის შესახებ“, 1949 წლის კანონი „ფედერალური საკუთრებისა და ადმინისტრაციული სამსახურის შესახებ“, 1950 წლის კანონი „სამხედრო-სამრეწველო წარმოების შესახებ“. სახელმწიფო დაკვეთების პროცესის რეგლამენტირება ხდება განსაკუთრებული დოკუმენტით, რომელიც ცნობილია „ფედერალური რეგულირების კოდექსით“.

აქვე განვიხილოთ სახელმწიფო დაკვეთის ორგანიზაციის რთული და მრავალმხრივი პროცესის ერთი სპეციფიკური მხარეც. კერძოდ, საქონელსა და მომსახურებაზე სახელმწიფო დაკვეთა აშშ-ში ეფუძნება საგეგმო საწყისებს და დაგეგმვის პროგრამულ – მიზნობრივ მეთოდს. ყველა ფედერალური უწყება, რომელიც განათავსებს ფედერალურ კონტრაქტებს, გეგმავს თავის საქმიანობას როგორც მოკლე, ასევე საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის. მაგალითად, 1995-1996 წლებში მეცნიერების, ტექნიკის სფეროში და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში ხორციელდებოდა 700 მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა, ხოლო სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში – 300, სოფლის მეურნეობაში – 80, ბუნებრივ რესურსებში – 85, ტრანსპორტში – 35 და ა.შ. [128.54] სწორედ ასეთი პროგრამების ერთობლიობა ფედერალური კონტრაქტების დაგეგმვის, ორგანიზაციისა და განთავსების საფუძველია.

ამრიგად, აშშ პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა ეყრდნობა შემდეგ ფუძემდებლურ პრინციპებს: საერთო ეროვნული მნიშვნელობის სახელმწიფო დაკვეთების მოკლე, საშუალო და გრძელვადიან საფუძველზე სტრატეგიული დაგეგმვა და პროგრამირება [128.55]; საერთო საუწყებო მნიშვნელობის დაკვეთების უწყებათაშორისი დაგეგმვა და პროგრამირება; ფედერალური უწყების საჭიროებისათვის შიდა უწყებრივი დაგეგმვა და პროგრამირება; სახელმწიფო დაკვეთის რეგიონული დაგეგმვა და პროგრამირება როგორც ფედერალური, ისე რეგიონული სამთავრობო ორგანოების საჭიროებისათვის; დაკვეთების დაგეგმვა და პროგრამირება (სახელმწიფო მოხმარება და კაპიტალდაბანდებები) შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების დონეზე; დაკვეთების სახელმწიფო დაგეგმვა და პროგრამირება საერთაშორისო პროგრამების ჩარჩოში.

ამდენად, სახელმწიფოებრივი მეურნეობრიობა ორიენტირებულია უპირველესად ეროვნული ეკონომიკის იმ დარგების ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსს. ეს დარგებია: თავდაცვა, მეცნიერება და ტექნიკა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი,

კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაციები, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, სოფლის მეურნეობა, დასაქმების უზრუნველყოფა და შრომითი რესურსების აღწარმოება, განათლება და ა.შ.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების რეგულირება შესაბამისი კანონებით ხდება, მაგალითად, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, იტალიაში და სხვ. ბევრ ქვეყანაში შესყიდვების რეგულირებას ახორციელებს სამინისტრო, სააგენტო და სხვ. მათი ორგანიზაციული სტრუქტურა სხვადასხვაა. მაგალითად, სლოვაკეთში – მშენებლობისა და სახელმწიფო სამუშაოების სამინისტრო, უნგრეთში – სახელმწიფო შესყიდვების კომიტეტი, პოლონეთში – სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალური სამსახური, ლიტვაში – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და ა.შ.

ზემოთ მოტანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში მაკროეკონომიკური დაგეგმვა ინდიკატიური დაგეგმვის ფორმას იღებს.

ინდიკატიური დაგეგმვა არის ობიექტური პროცესი შერეული ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ეკონომიკის გლობალიზაციის, რეგიონალიზაციისა და ლიბერალიზაციის ერთიან სივრცეში, ეყრდნობა საკუთრების ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმების შეთანაწყობილ მოქმედებას, ეკონომიკის განვითარების პროგნოზებს, მრავალვარიანტულობას, განსაზღვრავს მაკრო, მეზო და მიკროდონეზე ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელთა სისტემის ინდიკატორებს, პრიორიტეტებს, ინტეგრაციული პროცესების მიმართულებებს, პროპორციებს, ტემპებს. ინდიკატიური გეგმა ეკონომიკის მაორგანიზებელი, მაკოორდინირებელი მექანიზმია ინტერესების სისტემის-პიროვნება-კოლექტივი-საზოგადოება – უკეთ შეხამებისა და მაკროეკონომიკური წონასწორობისათვის, განსაზღვრულ დროში ეკონომიკის სასურველ მდგომარეობამდე მიყვანისათვის. ინდიკატიური გეგმა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების მყარი საფუძველია.

თავი VIII. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა

8.1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა: არსი, ფორმები, რეალიზაციის ინსტრუმენტები

არსებობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის **(ბსპ)** რამდენიმე განმარტება. საერთაშორისო ორგანიზაცია „ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისათვის“ ტერმინს განმარტავს, როგორც „კომერციული წარმატების მიღწევას ისეთი საშუალებებით, რომელიც იცავს ეთიკურ პრინციპებს და პატივისცემით ეპყრობა ადამიანებს, საზოგადოებას და გარემოს“.

„ბიზნეს-ლიდერების საერთაშორისო ფორუმი“-ს აზრით, **ბსპ**-ში იგულისხმება ბიზნესის ისეთი წარმართვა, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებლობა მოაქვს და ხელს უწყობს სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრად განვითარებას ბიზნესის საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციისა და ნეგატიური გავლენის მინიმიზაციის გზით.

„ბიზნესის მსოფლიო საბჭო მდგრადი განვითარებისათვის“ **ბსპ**-ს განსაზღვრავს როგორც ბიზნესის ვალდებულებას, თავისი წვლილი შეიტანოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, შრომით ურთიერთობებში მუშაკებთან, მათ ოჯახებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და მთლიანად საზოგადოებასთან მათი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

„სისტემური ბიზნეს-ტექნოლოგიების ცენტრი „SATIO“ მიიჩნევს, რომ „**ბსპ** არის ბიზნესის ნებაყოფლობითი წვლილი საზოგადოების განვითარებისათვის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროში, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან და სცილდება კანონით დადგენილ მინიმუმს“.

ერთმანეთისაგან აუცილებლად უნდა განვასხვავოთ იურიდიული და სოციალური პასუხისმგებლობა. იურიდიული პასუხისმგებლობა გულისხმობს კონკრეტული კანონებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების დაცვას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რისი უფლება აქვს და რისი უფლება არა აქვს ორგანიზაციას. თითოეული საკითხის მიმართ დადგენილია ნორმა და ნორმატივი. მაგალითად, რამდენ ტოქსიკურ ნივთიერებას უნდა შეიცავდეს სამრეწველო ნარჩენები, როგორ გამოირიცხოს დისკრიმინაცია სამსახურში დაქირავებისას, როგორია მინიმალური მოთხოვნები პროდუქციის უსაფრთხოებისადმი, რა ტიპის საქონელი შეიძლება გაიყიდოს სხვა ქვეყნებში და ა.შ. ორგანიზაცია, რომელიც იცავს იმ კანონებსა და ნორმატივებს, იურიდიულად პასუხისმგებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელიცაა. სოციალური პასუხისმგებლობა, იურიდიულისაგან განსხვავებით, გულისხმობს ორგანიზაციის მხრიდან სოციალურ პრობლემებზე ნებაყოფლობით გამოხმაურებას.

სპეციალურ ლიტერატურაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია დონეების მიხედვით:

– საბაზისო დონე ითვალისწინებს: გადასახადების, შრომის ანაზღაურების დროულ გადახდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;

– მეორე დონე ითვალისწინებს მუშაკების არა მხოლოდ მუშაობის, არამედ ცხოვრების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფას: მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობას, სოციალური სფეროს განვითარებას. პასუხისმგებლობის ასეთ ტიპს პირობითად **„კორპორაციულ პასუხისმგებლობას“** უწოდებენ.

– უმაღლესი დონე გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

განასხვავებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შიდა და გარე მიმართულებებს.

ბიზნესის სოციალურ შიდა პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

შრომის უსაფრთხოება, შრომის ანაზღაურების სტიმულირება, თანამშრომელთა დამატებითი სამედიცინო და სოციალური დაზღვევა, ადამიანური რესურსების განვითარება სასწავლო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამათა მიხედვით, კრიტიკულ სიტუაციებში მუშაკთათვის დახმარების გაწევა.

ბიზნესის სოციალურ გარე პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

სპონსორობა და ქველმოქმედება, ზრუნვა გარემოს დაცვაზე, ურთიერთქმედება ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და ხელისუფლებასთან, მზადყოფნა კრიზისულ სიტუაციებში მონაწილეობის მისაღებად, საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს შორის პასუხისმგებლობა (ხარისხიანი საქონლის გამოშვება).

განასხვავებენ აგრეთვე ღია და ფარულ **ბსპ**-ს.

ბსპ-ს ღია ფორმა ნიშნავს კომპანიის ნებაყოფლობით მონაწილეობას ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლითაც დაინტერესებულია საზოგადოება. კომპანია ჩვეულებრივ დამოუკიდებლად განსაზღვრავს პროგრამებსა და სტრატეგიებს, რომლებიც თვით ამ კომპანიისა და დაინტერესებულ პირთა მიერ აღიქმება როგორც პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

ბსპ-ს ფარული ფორმა გულისხმობს ქვეყნის ოფიციალურ და არაოფიციალურ ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობით კომპანიების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ინსტიტუტების წინაშე შეთანხმებულია კომპანიებთან ან უშუალოდ ეკისრება მათ. **ბსპ**-ს ფარული ფორმა, ჩვეულებრივ, მოიცავს იმ ფასეულობებს, ნორმებსა და წესებს, რომლებიც ხშირად განაპირობებენ სავალდებულო მოთხოვნებს კორპორაციების მიმართ ისეთ საკითხებში, რომლებსაც ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები განიხილავს, როგორც იურიდიული პირების მოვალეობებს.

აშშ-ს **ბსპ** ღია მოდელის, ხოლო დიდი ბრიტანეთის – ფარული მოდელის ნიმუშს წარმოადგენს. კორპორაციის სოცი-

ალური აქტიურობა გამოიხატება სოციალურ პროგრამათა[1] განხორციელებაში. სოციალური აქტიურობის პროგრამების განმასხვავებელ თავისებურებებს წარმოადგენს მათი განხორციელების ნებაყოფლობითობა, სისტემური ხასიათი და კორპორაციის განვითარების მისიასთან და სტრატეგიასთან კავშირი.

კორპორაციები განახორციელებენ:

საკუთარ პროგრამებს, სახელმწიფოებრივი მართვის ადგილობრივ, რეგიონულ და ფედერალურ ორგანოებთან პარტნიორობის პროგრამებს, არაკომერციულ ორგანიზაციებთან პარტნიორობის პროგრამებს, საზოგადოებრივ ორგანოებთან და პროფესიონალურ გაერთიანებებთან თანამშრომლობის პროგრამებს. კორპორაციული სოციალური პროგრამების მართვას რაც შეეხება, იგი შემდეგი ეტაპებისაგან შედგება: კორპორაციის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, სოციალურ პროგრამათა მართვის სპეციალური სტრუქტურის შექმნა, სასწავლო პროგრამათა განხორციელება სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, კორპორაციის სოციალური პროგრამების რეალიზაცია, კორპორაციის სოციალურ პროგრამათა შედეგების შეფასება და დაინტერესებულ პირებზე დაყვანა.

სოციალურ პროგრამათა ძირითადი მიმართულებებია:

კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკა – კორპორაციის სოციალურ პროგრამათა მიმართულება. მისი მიზანია მიმწოდებლებს, ბიზნეს-პარტნიორებს და კორპორაციის კლიენტებს შორის კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის მიღებისა და გავრცელების ხელშეწყობა.

ბუნებისდაცვითი საქმიანობა და რესურსდაზოგვა – კორპორაციის სოციალური პროგრამების მიმართულება, რომლე-

1 სოციალური პროგრამები – კორპორაციის მიერ ნებაყოფლობით განხორციელებული საქმიანობაა გარემოს დაცვის, პერსონალის განვითარების, შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნის, ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების ხელშეწყობის მიმართულებით, საქველმოქმედო საქმიანობა და კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკა. ამასთან, მთავარ კრიტერიუმს წარმოადგნს პროგრამების შესაბამისობა ბიზნესის განვითარების მიზნებსა და სტრატეგიასთან.

ბიც ხორციელდება კორპორაციის ინიციატივით გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით (ბუნებრივი რესურსების ეკონომიური მოხმარების, ნარჩენების განმეორებითი მოხმარებისა და უტილიზაციის, გარემოს დაბინძურების აღმოფხვრის, ეკოლოგიურად უსაფრთხო საწარმოო პროცესის ორგანიზაციის, ეკოლოგიურად უსაფრთხო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციის პროგრამები).

ადგილობრივი საზოგადოების განვითარება – კორპორაციის სოციალურ პროგრამათა მიმართულება, რომელიც ნებაყოფლობით საწყისზე ხორციელდება და მოწოდებულია წვლილი შეიტანოს ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში სოციალური პროგრამებით და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების ხელშეწყობის აქციებით, ბავშვებისათვის დახმარების გაწევით, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ობიექტების შენარჩუნების და განვითარების ხელშეწყობით, ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებათა სპონსორობით, სოციალურად მნიშვნელოვან გამოკვლევათა ხელშეწყობით, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობით და სხვ..

პერსონალის განვითარება კორპორაციების სოციალურ პროგრამათა მიმართულებაა, რომელიც გულისხმობს პერსონალის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვასა და შენარჩუნებას: სწავლება და პროფესიონალური განათლება, შრომის ანაზღაურების მოტივაციური სქემების გამოყენება, დასვენების პირობების შექმნა, ორგანიზაციაში შიდა კომუნიკაციების შენარჩუნება, მუშაკთა მონაწილეობა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში.

სოციალურად პასუხისმგებელი რესტრუქტურიზაცია – კორპორაციის სოციალურ პროგრამათა ისეთი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, რესტრუქტურიზაციას უწინარეს ყოვლისა, კორპორაციის პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით.

სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება, რაც მდგომარეობს არა მარტო ფინანსური შემოსავლების გაზრდაში, არამედ სოციალური მიზნების რეალიზაციაში, ჩვეულებრივ, ეთიკური ნორმების დაცვით, მოქმედ კორპორაციებში ინვესტირების გზით.

სოციალური პროგრამების რეალიზაციის ინსტრუმენტებია:

1. საქველმოქმედო შემოწირულობები და სპონსორის დახმარება. ეს ის ფორმაა, რომელიც გამოიყენება კორპორაციის მიერ სოციალური პროგრამების გასატარებლად როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით (პროდუქცია, ადმინისტრაციული სათავსოები, ტრანსპორტი, საპრიზო ფონდები და სხვ.).

2. კორპორაციის თანამშრომელთა დელეგირება – კორპორაციის თანამშრომელთა ნებაყოფლობითი ჩართვა დახმარების მიმღებზე დროის, ცოდნის, ჩვევების, ინფორმაციის, კონტაქტების უსასყიდლო გადაცემის გზით.

3. ფულადი გრანტები – საფინანსო დახმარების ფორმა, რომელიც გამოიყოფა განათლების სფეროში სოციალური პროგრამების სარეალიზაციოდ და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად. გრანტები – სოციალურ პროგრამათა რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და ტრადიციული ინსტრუმენტია. როგორც წესი, გრანტები ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებულია კორპორაციის ძირითად საქმიანობასთან და ბიზნესის სტრატეგიულ მიზანთან.

4. კორპორაციული სპონსორობა – კორპორაციის მიერ სხვადასხვა რესურსების მიწოდება ობიექტებისა და ნაგებობების შესაქმნელად, ორგანიზაციებისა და ღონისძიებათა მხარდასაჭერად, რომელიც, როგორც წესი, საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს საქმიანობის რეკლამას.

5. კორპორაციული ფონდი – ფონდი, რომელიც იქმნება კორპორაციის მიერ მისი სოციალური საქმიანობის რეალიზაციის მიზნით.

6. სოციალური ინვესტიციები – ფინანსური დახმარების

ფორმა, რომელიც გამოიყოფა კორპორაციის მიერ გრძელვადიანი და როგორც წესი, ერთობლივი პარტნიორული სოციალური პროგრამების სარეალიზაციოდ. გამიზნულია სოციალური დაძაბულობის შესამცირებლად და საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

7. სოციალურად მნიშვნელოვანი მარკეტინგი – საფინანსო დახმარების ფორმა, რომელიც მდგომარეობს კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან გარკვეული პროცენტის გაცემაში კორპორაციის სოციალური პრობლემების გასატარებლად.

8. სპონსორობა – იურიდიული ან ფიზიკური პირის (სპონსორის) მიერ წვლილის შეტანა (ქონების გადაცემა, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების, მომსახურების გაწევა, სამუშაოთა შესრულება) სხვა იურიდიული, ან ფიზიკური პირის საქმიანობაში, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი რეკლამას გაუწევს მის საქონელს, სპონსორობას.

8.2. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია

ბიზნესი გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში წარიმართება და ბუნებრივია, მას არ შეუძლია საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა. ამასთან, ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საზოგადოების სტაბილურობა. სოციალური გარემოს განვითარება და გაუმჯობესება ბიზნესისა და ეკონომიკური სუბიექტების გრძელვადიან ინტერესებს პასუხობს.

შემთხვევითი არ არის, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (ბსპ-ს) კონცეფციას XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. თავდაპირველად მან ამერიკელ ინჟინრებს შორის ჰპოვა განვითარება. ისინი, როგორც ამერიკელმა ისტორიკოსმა ე. ლეიტონ-უმცროსმა აღნიშნა, „სოციალური პასუხისმგებლობის“ დემონსტრირებაში თავიანთი პროფესიის სოციალური პრესტიჟის ამაღლების საშუალებას ხედავდნენ. დროთა განმავლობაში

ეს იდეა **ბსპ**-ს კონცეფციის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამ კონცეფციის მომხრეებს და აქტიურ პროპაგანდისტებს შორის იყვნენ იმ დროის ცნობილი ბიზნესმენები, „ჯენერალ ელექტრიკის“ კომპანიის პრეზიდენტი ჯ. სვოუპი, ამავე კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ო. იანგი, „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფ“ კომპანიის პრეზიდენტი უ. ჯიფორდი და სხვ.

საბოლოოდ, **ბსპ**-ს კონცეფცია XX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში მისი მიმდევრების პოზიციას გამოხატავს კომპანია „ჯონ მენვილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ბრაუნი. „რთული ინდუსტრიული პერიოდის ევოლუციის შედეგად, - წერდა იგი, - მენეჯერების სოციალური პასუხისმგებლობა შესაბამისად გაფართოვდა. მენეჯერები უკვე აღარ წარმოადგენენ მხოლოდ მესაკუთრეთა ინტერესებს... დღეს ნებისმიერი ბიზნესის მმართველი ანგარიშვალდებულია არა მარტო აქციონერების, არამედ თავისი ორგანიზაციის, კლიენტებისა და საზოგადოების წინაშე“ [181..241].

აღნიშნული კონცეფციის კიდევ ერთი მომხრე ფირმა „სირს“-ის ხელმძღვანელი რობერტ ვუდი, 1936 წელს წლიურ ანგარიშში ახსენებს „იმ ფართო სოციალურ ვალდებულებებს, რომელთა მათემატიკური გამოსახვა შეუძლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ“. რ. ვუდს მხედველობაში ჰქონდა საზოგადოების ძლიერი არაპირდაპირი გავლენა ორგანიზაციაზე, რომელიც ფუნქციონირებს ამ საზოგადოებაში. ის ამტკიცებდა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით გამოწვეული დანახარჯების რაოდენობრივი გამოსახვა ადვილი არ არის. საწარმოთა ხელმძღვანელებს შორის ვუდმა ერთერთმა პირველმა აღიარა „ფართო პუბლიკის მრავალფენიანობა“ – გამოყო მომხმარებლები, მუშაკები, აქციათა მფლობელები, რომელთაც ფირმა ემსახურება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის შემუშავებასა და პოპულარიზაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ პერიოდში ცნობილი

ეკონომისტების ფ. ბერტისა და გ. მინზის ნაშრომმა „თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება“. მათ, სახელდობრ, ჩამოაყალიბეს თეზისი, რომლის თანახმადაც, ის, ვინც აკონტროლებს მსხვილ კორპორაციებს, კორპორაციული სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად უნდა გარდაიქმნას „სრულიად ნეიტრალურ ტექნოკრატიად. იგი დააბალანსებს საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა მრავალფეროვნებას და თითოეულ მათგანს შემოსავლების ნაწილს მიაკუთვნებს საზოგადოებრივი პოლიტიკის, და არა კერძო ანგარების საფუძველზე [181..242]. რამდენადაც კორპორაციები კერძო მესაკუთრეობითი ინსტიტუტიდან კერძო სამეწარმეო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, - ამტკიცებდნენ ავტორები, - იგი სოციალური ძალა ხდება, რომელიც არ შეიძლება თავისუფალი იყოს სოციალური პასუხისმგებლობიდან.

ბსჰ-ს შეხედულებებმა მომდევნო წლებში მხარდაჭერა ვერ მიიღო. თუ გავიხსენებთ იმ პერიოდში არსებულ მდგომარეობას, ეს არც არის გასაკვირი: XX საუკუნის 30-იან წლებში (დიდი დეპრესიის პერიოდი) ამერიკულ საწარმოთა ძირითადი საზრუნავი ელემენტარულად თვითგადარჩენა იყო. ასეთ დროს ბიზნესი მოგებისა და სამუშაოს გარდა სხვა მოთხოვნებს ვერ უპასუხებდა.

პროფესორ ლი პრესტონის მიხედვით, ბიზნესის სოციალური როლის კონცეფცია თანდათანობით იცვლება XX საუკუნის 50-იან წლებში. ნაწილობრივ ეს განაპირობა ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განვითარებამ II მსოფლიო ომისა და მის შემდგომ, „ცივი ომის“ პერიოდში. სწორედ მაშინ შეიქმნა ეკონომიკური განვითარების კომიტეტი, რომელშიც მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილი ადამიანები გაერთიანდნენ. კომიტეტის მიზანი იყო მთავრობის კონსულტირება ეკონომიკურ და კომერციულ საკითხებში, თუმცა, იგი გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რამდენადაც ამ გზით გაფართოვდა საქმიანი სამყაროს მონაწილეობა სოციალური და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გადაწყვეტაში.

ბსპ-ს კონცეფციამ ფართო განვითარება ომის შემდგომ პერიოდში ჰპოვა. 1953 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი ეკონომისტის გ. ბოუენის წიგნი **„ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“**. მასში ავტორმა ჩამოაყალიბა სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინა, როგორც „ბიზნესმენების ვალდებულება, მიიღოს ის გადაწყვეტილებები და აირჩიოს საქმიანობის ის მიმართულებები, რომლებიც სასურველია საზოგადოების მიზნებისა და ფასეულობების თვალსაზრისით“ [181.242].

ბიზნესის სოციალური როლის შესახებ დისკუსიამ XX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში გარკვეულ მოვლენებს მისცა ბიძგი. საზოგადოებრივ აზროვნებაში გაჩნდა ბიზნესის ოპოზიცია, გაძლიერდა ინტერესი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: სამოქალაქო სამართალი, ვიეტნამის ომი, გარემოს დაბინძურება ნარჩენებით და საერთოდ, გარემოს მდგომარეობა, აგრეთვე კონსიუმერიზმი (მომხმარებელთა მოძრაობა). 70-80-იან წლებში წინა პლანზე გამოდის განიარაღება, ატომური ენერგეტიკა, „მესამე სამყაროს“ ქვეყნების შიმშილისაგან ხსნა, ფლორისა და ფაუნის დაცვა და სხვ.

კ. უოლტონი თანამედროვე **ბსპ**-ს შემდეგ კომპონენტებს გამოყოფს: **პირველი,** არ შეიძლება დავეყრდნოთ პირადი გამორჩენის კონცეფციას, ვინაიდან მას ყოველთვის არ მოსდევს საზოგადოების კეთილდღეობა. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების კერძო და საზოგადოებრივ დოვლათს შორის კონფლიქტი წამოიჭრა, პირველი მეორეს უნდა დაექვემდებაროს. **მეორე,** ამერიკული ეკონომიკური სისტემა უპირატესად პლურალიზმისა და კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს ემყარება, ვიდრე laisser-faire-ს. **მესამე,** საზოგადოების კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს ცალკე მთავრობა, ან კერძო ორგანიზაციები. ამდენად, ბოლო უნდა მოეღოს ხელისუფლებისა და ბიზნესის დაპირისპირებას. **მეოთხე,** კორპორაციების ხელმძღვანელებმა უნდა დააბალანსონ კონკურირებადი ინტერესები და დაადგინონ პრიორიტეტები, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც ინვესტორების, მუშების,

მომხმარებლების, მიმწოდებლების და კონკურენტების, ისე ნაციონალური და ადგილობრივი თემების, სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების და არაორგანიზებული ჯგუფების ინტერესებს. **მეხუთე,** ამ ინტერესების დაბალანსებით კორპორაციამ უნდა უკუაგდოს „არაგონივრული მოთხოვნები“. ამრიგად, **ბსპ**-ს კონცეფცია ეფუძნება კორპორაციებისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის აღიარებას.

არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი კ. დევისი მიიჩნევდა, რომ „სოციალური პასუხისმგებლობის არსი გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ ეკიდებიან ბიზნესის წარმომადგენლები თავიანთი ქმედების ეთიკურ შედეგებს, ვინაიდან, მათ სხვების ინტერესებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ“. მისი აზრით: „ახალი პირობები ნიშნავს, რომ ბიზნესი უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ როგორ აწარმოოს ეფექტიანად ეკონომიკურ ფასეულობებთან ერთად სოციალური ფასეულობები. საზოგადოება არ უარყოფს მოგების იდეას, მაგრამ აფართოვებს ამ ცნებას, გულისხმობს რა მასში როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ მოგებას“. „სოციალური პასუხისმგებლობის ცნებაში კ. დევისი გულისხმობდა კერძო ორგანიზაციების მიერ თავიანთი ქმედების განხორციელებას საზოგადოების წინაშე ვალდებულებათა გათვალისწინებით. მოცემულ კონტექსტში იგი უპირატესობას ანიჭებდა ცნებებს „სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესი“ და „სოციალური კაპიტალიზმი“.

ამგვარად, განსაზღვრული სოციალური პასუხისმგებლობა კ. დევისისათვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ კანონის შესაბამისად მოქმედება, რამდენადაც „საქმიანი გადაწყვეტილების არა მთელი სისტემური ზემოქმედებაა გათვალისწინებული კანონით“. სოციალური პასუხისმგებლობა, ხაზს უსვამდა იგი, ითვალისწინებს „ფირმის მიერ სოციალურ ვალდებულებათა აღიარებას კანონის მოთხოვნილებათა ფარგლებს გარეთ“ [181.243].

მთლიანობაში, ამტკიცებდა დევისი, სოციალური პასუხისმგებლობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პასიუ-

რი რეაქცია საზოგადოებრივ მოლოდინზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბიზნესი ემოციებისა და წინააღმდეგობრივი მიზნების ტყვეობაშია. ბიზნესმენის სოციალური პასუხისმგებლობა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ იგი „ხელმძღვანელობს სოციალურ სფეროს, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ გამოეხმაუროს საზოგადოების მოთხოვნილებას, იგი ურთიერთქმედებს საზოგადოებასთან და ეხმარება მას სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რასაც ხელს უწყობს თავისი განსაკუთრებული უნარით და ცოდნით. იგი აანალიზებს სისტემურ ზემოქმედებას და კორექტირებად ქმედებათა ინიციატორად გვევლინება სერიოზული პრობლემების გაჩენამდე“. ამგვარი მოსაზრებებიდან გამომდინარე, დევისი აყალიბებს ერთგვარ „პასუხისმგებლობის რკინის კანონს“, რომლის არსს შემდეგი თეზისი გამოხატავს: „საბოლოო ჯამში ის, ვინც ძალაუფლებას არ იყენებს ისე, როგორც ამას საზოგადოება მიიჩნევს საჭიროდ, კარგავს მას“ [181.243].

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის პ. სეთის მოსაზრებები და არგუმენტები. მისი აზრით, კორპორაციების ქმედება სამ ასპექტში განისაზღვრება. როგორც სოციალური ვალდებულება, სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური გამოხმაურება. კორპორაციების ქმედება, რომელიც ბაზრის მოთხოვნებით, ან იურიდიული კანონებითაა შეზღუდული, განისაზღვრება როგორც კორპორაციის სოციალური ვალდებულება. როგორც სეთი ფიქრობს, სოციალურად პასუხისმგებელი მოქმედება: „არ მოითხოვს რადიკალურ განხეთქილებას კორპორაციული საქმიანობის ჩვეულებრივ ფორმებთან... ეს არის უბრალოდ წინ გადადგმული ნაბიჯი, მანამ, სანამ სოციალური მოლოდინი კოდიფიცირებული იქნება კანონში“. სოციალური გამოხმაურების არსი მდგომარეობს შემდეგში: „კორპორაციები პოლიტიკისა და პროგრამების ინიციატორები უნდა იყონ, მათი მოწოდება უნდა იყოს მიმდინარე ან მომავალი ოპერაციების ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა ვიდრე ისინი კრიზისულ მასშტაბებს მიაღწევენ და

ბიზნესის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი საპროტესტო ტალღის კატალიზატორები გახდებიან“ [181.243].

ამ საკითხის სწორი გაგებისათვის არანაკლებ საინტერესოა თვით საქმიანი წრეების წარმომადგენელთა პოზიციები. ყველაზე ნათლად ეს პოზიციები გადმოცემულია აშშ-ს „დიდი ბიზნესის“ გავლენიანი ორგანიზაციის ეკონომიკური განვითარების კომიტეტის განაცხადში, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა. **ბსპ-**ს შინაარსის და რეალიზაციის გზების საკითხებზე განაცხადის ავტორებმა სამი წრის კონცეფცია წამოაყენეს. **პირველი,** შიდა წრე მოიცავს კორპორაციათა მეტნაკლებად მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს ეკონომიკური ფუნქციების ეფექტიან შესრულებაზე – საქონლისა და მომსახურების წარმოება, სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. **მეორე,** საშუალო წრე. იგი მოიცავს პასუხისმგებლობას ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულებაზე ცვალებადი სოციალური პრიორიტეტებისა და ფასეულობათა გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღება საწარმოს საქმიანობის გავლენა გარემოზე, სამსახურში დაქირავებისას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების წილის გაზრდა და „ადამიანურ ფასეულობაზე“ აქცენტი, მომხმარებელთა სურვილის გათვალისწინება და ა.შ. **მესამე**, გარე წრე მოიცავს ბიზნესის წამოჭრილ და ჯერ კიდევ გაურკვეველ ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს მის აქტიურ მონაწილეობას გარემოს გაუმჯობესებაში.

პრობლემის შემუშავების და თავიანთი ხედვის ჩამოყალიბებისას განაცხადის ავტორები გამომდინარეობენ „განათლებული სარგებლის“ კონცეფციიდან. „დღეს ფართოდაა აღიარებული, – ნათქვამია განაცხადში, – რომ კორპორაციის ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების კეთილდღეობას, რომლის განუყოფელ ნაწილს ბიზნესი წარმოადგენს. გაცნობიერებულია, რომ კორპორაცია დამოკიდებულია საზოგადოების კეთილგანწყობაზე, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს მისი არსებობა და განვითარება ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი ზეწო-

ლით. ამდენად, ხაზგასმულია განაცხადში, „განათლებული სარგებლის“ თვალსაზრისით კორპორაციებმა აუცილებლად ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივ კეთილდღეობას“. ბიზნესისათვის გაცილებით ხელსაყრელია ჰყავდეს განათლებული და უკეთეს პირობებში მცხოვრები მოსამსახურეები და მყიდველები, ვიდრე ღარიბი და გაუნათლებლები. ამიტომაც ბიზნესმა უნდა იკისროს „პასუხისმგებლობის სამართლიანი ნაწილი“ სოციალურ გაუმჯობესებაზე, რათა საფრთხე არ შეექმნას კორპორაციების ინტერესებს.

ამ დებულებიდან გამომდინარე, განაცხადში მოცემულია ბიზნესის ვალდებულებათა სისტემატიზაციის მცდელობა ძირითადი მიმართულებების მიხედვით, სადაც თითოეული მათგანი პრობლემების ისეთ გარკვეულ ერთობლიობას მოიცავს, როგორიცაა: განათლება, დასაქმება და სამუშაო ძალის მომზადება, სამოქალაქო უფლებები, ქალაქების განახლება და განვითარება, გარემოს დაბინძურების შემცირება, ბუნებრივი რესურსების დაცვა, დასვენება, კულტურა და ხელოვნება, სამედიცინო დახმარება, ხელისუფლების საქმიანობის სრულყოფა. ასევე, განათლების სფეროში ეკონომიკური განვითარების კომიტეტი ბიზნესს შემდეგ ვალდებულებებს აკისრებს: პირდაპირი საფინანსო დახმარებები სკოლებს, სტიპენდიების, დოტაციებისა და სწავლის საფასურის შეტანის ჩათვლით, სკოლის ბიუჯეტის გაზრდის ხელშეწყობა, მოწყობილობისა და კვალიფიციური პერსონალის წარდგენა, კონსულტაცია სასკოლო პროგრამების შედგენისას ან სხვა სახის ხელშეწყობა, ახალი სკოლების მშენებლობა და მათი საქმიანობის გაძღოლა, კოლეგების დახმარება მართვასა და დაფინანსებაში.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის მნიშვნელობას ადასტურებს ისიც, თუ რა მონდომებით ცდილობენ მოწინააღმდეგები მისი ძირითადი დებულებების დისკრედიტაციას. ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მ. ფრიდმენმა სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია დაახასიათა როგორც „ფუნდამენტურად ძირგამოთხრილი დოქტრინა, რომლის ფართო გამოყენება ანგრევს

თავისუფალ საზოგადოებას“. თუ თავისუფალ ეკონომიკაში, ამტკიცებდა იგი, არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი **ბსპ** – „რესურსების გამოყენება და მოგების გაზრდაზე მიმართული საქმიანობა მანამ, სანამ იგი რჩება, თამაშის წესებს იცავს, ე.ი. მონაწილეობს თავისუფალ ღია კონკურენციაში ყოველგვარი ტყუილისა და თაღლითობის გარეშე“. ამ მოსაზრებას მ. ფრიდმენი განსაკუთრებით თანმიმდევრობით ატარებდა სტატიაში „**ბსპ** მდგომარეობს მოგების ზრდაში“. სოციალური პასუხისმგებლობის უბრალოდ აღიარებაც კი, მისი აზრით, „განამტკიცებს ისედაც არსებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოგებისადმი ლტოლვა ცუდი და ამორალურია და იგი უნდა გაკონტროლდეს გარკვეული ძალებით“. როგორც კი ეს მოსაზრება აღიარებული იქნება, განაგრძობს ფრიდმენი, ბაზრის ალაგმვას დაიწყებს არა მმართველთა „სოციალური სინდისი“, როგორი მაღალგანვითარებულიც არ უნდა იყოს იგი, არამედ „მმართველი ბიუროკრატების რკინის მუშტი“.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმ მკვლევარებს, რომელთა მოსაზრებით, ბიზნესის მიერ მთლიანობაში ფართო შეხედულების აღიარება კორპორაციების სოციალურ როლზე განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის უწყვეტი კავშირის არსებობის გაცნობიერება, საკუთრების გამოყოფა მართვისაგან, თავისუფალი მეწარმეობის იდეოლოგიისა და პრაქტიკის კრიზისი, ბაზრის „უხილავი ხელის“, როგორც სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი და ერთადერთი რეგულატორის კლასიკური წარმოდგენის კრიზისი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კერძო მეწარმეობის სისტემა სრულებითაც არ არის საყოველთაო კეთილდღეობის გარანტი. საქმიან წრეებში გაბატონებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კერძო მეწარმეობის სისტემა საზოგადოების ყველა წევრისათვის მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, სულ უფრო მეტი ადამიანი აყენებს ეჭვქვეშ.

როგორც ჯ. მაკი აღნიშნავდა, ბიზნესის ახალი მიდგო-

მა საზოგადოების წინაშე სოციალურ პასუხისმგებლობაზე, XX საუკუნეში კერძო კორპორაციების ფუნქციონირების შეცვლილ პირობებზე ბიზნესის რეაქციის შედეგს წარმოადგენდა. „ახალი მიდგომა – წერდა იგი, - საკმაოდ ნათელი იყო: როგორც კი ცხადი გახდა, რომ კერძო მეწარმეობის სისტემა თავს ვერართმევს საზოგადოების წინაშე ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას (როგორც მას მთავრობა განმარტავდა), როგორც კი მისი ქმედება რომელიმე მიმართულებით საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მიუღებელი ხდება, საქმეში მთავრობა ერეოდა, რათა აეძულებინა ბიზნესი გაეუმჯობესებინა მისი საქმიანობა სათანადო განკარგულებებით ან მასზე ვალდებულებების დაკისრებით“ [181.245].

ცხადია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზაციის დანახარჯები შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს კორპორაციების ფუძემდებლურ პრინციპებთან, სახელდობრ, მოგების მაქსიმიზაციასთან წარმოების დანახარჯების ზრდის შედეგად. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს დანახარჯები ანაზღაურდება იმით, რომ იზრდება კორპორაციის პრესტიჟი და შესაბამისად, ლეგიტიმურობა საზოგადოების თვალში, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მის მდგომარეობასა და საქმიანობის ეფექტიანობაზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში კორპორაციების მონაწილეობა სოციალურ საქმიანობაში მოგების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სპეციალისტები ასეთი საქმიანობიდან სარგებელს შორის აღნიშნავენ დანახარჯების შემცირებას, ასევე სოციალურ უწესრიგობათა შედეგად წარმოქმნილი საწარმოს ქონების ზიანით გამოწვეული დანაკარგების შემცირებას და ა.შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის სოციალური საქმიანობის სტიმულირებისათვის სახელმწიფოს მიერ აუცილებელი საკანონმდებლო ზღვარის და „სოციალური ინვესტიციების“ მომგებიანობის პირობების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს მასტიმულებელ ფუნქციათა რიცხვს მიე-

კუთვნება ბიზნესისათვის სახელმწიფოებრივი კონტრაქტებისა და სტიმულების შემოთავაზება, ყველა საწარმოსათვის მოქმედების ერთიანი სავალდებულო ნორმების დადგენა, დასჯის მექანიზმის დანერგვა იმ ფირმებისთვის, რომლებიც არ იცავენ თამაშის დადგენილ წესებს და ა.შ. როგორც ნ. ჯეკობი მართებულად აღნიშნავდა, „ბიზნესი მხოლოდ მაშინ ახდენს თავისი პოტენციალის სრულად რეალიზებას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, როდესაც მთავრობა ქმნის სოციალურად სასურველი საქონლისა და მომსახურების ბაზარს“ [181.246].

დიდი მნიშვნელობა აქვს კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციების გაუმჯობესებას, ამასთან, კორპორაციების მიერ საზოგადოების მოთხოვნილებათა გამოვლენისა და მათზე ოპერატიულად რეაგირების უნარს. როგორც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, ხშირად პრობლემა მდგომარეობს არა იმდენად კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის ფუნქციების განაწილებაში, რამდენადაც ეფექტიანი მექანიზმის შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს მათ პასუხისმგებლობას თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ზოგიერთი ამერიკელი ავტორის ძალისხმევა კორპორაციათა საქმიანობის სოციალური ეფექტის რაოდენობრივი გაზომვის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე.

ასეთი მეთოდოლოგია შემოთავაზებულია სახელდობრ, წიგნში „არამდგრადი ნიადაგი: კორპორაციების სოციალური პოლიტიკა დინამიურ საზოგადოებაში“, რომელიც 1974 წელს გამოქვეყნდა. იგი მოიცავს შემდეგ ოთხ მეთოდს: **პირველი,** „სოციალური ინდიკატორების“ გამოყენება, რომელმაც უნდა განსაზღვროს ცხოვრების ხარისხის ინდექსი რაოდენობრივი პარამეტრების გაზომვისა (როგორიცაა: შრომის პირობები, ჯანდაცვის, ტრანსპორტის მდგომარეობა) და კორპორაციების საქმიანობის ცხოვრების ხარისხზე ზემოქმედების მომდევნო შეფასების საფუძველზე. **მეორე,** ბიზნესის სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მეთოდი ერთგვა-

რი „სოციალური ანგარიშის“ შედგენის გზით ჩვეულებრივი საბალანსო ფორმით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის საქმიანობიდან სოციალურ სარგებელს და დანახარჯებს მუშების, კლიენტების, მიმწოდებლებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. მაგალითად, გარემოს გაუმჯობესება და ადგილობრივი გადასახადები მიეკუთვნება ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ სარგებელს, ხოლო მოხმარებული ადგილობრივი მომსახურების ღირებულება – სოციალურ დანახარჯებს. **მესამე,** კომპანიების რანჟირების მეთოდი მათი სოციალური საქმიანობის მიხედვით, მაგალითად, გარემოზე კონტროლის ნორმების დაცვის სფეროში. **მეოთხე,** სისტემის შემუშავებაზე მიმართული სოციალური პროგრამის მართვის მეთოდი, რომელიც მოიცავს სოციალურ პროგრამებზე დანახარჯების შეფასებას და ბიუჯეტის „გონივრული“ შედგენისა და კაპიტალდაბანდებებზე „სოციალური შემოსავლის“ გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

მთლიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია გულისხმობს საზოგადოების ყველა სფეროს, მათ შორის, საზოგადოებისა და კორპორაციების მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარებას და აქედან გამომდინარე, ითვალისწინებს კორპორაციებზე ფართო სოციალურ ვალდებულებათა დაკისრების აუცილებლობას. კონცეფციის ავტორთა აზრით, ხელმძღვანელობს რა მთავრობის მიერ განსაზღვრული სოციალური პრიორიტეტების სისტემით და მოქმედებს რა მომგებიანობის კრიტერიუმის საფუძველზე, კორპორაციები ხელს უწყობენ სოციალური სისტემის სრულყოფას, რომლის მიზნები გამოხატავს მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნილებებს.

ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არ შეიძლება კორპორაციების წარმოდგენა ერთ მთლიანობად, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი მიზნებისა და ამოცანათა კომპლექსის რეალიზაციისათვის მოქმედებს. მართებულად აღნიშნავდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ჩემბერლენი, რომ კორპორაციები მძლავრ დომინირებულ ძალას წარმოადგენს თანა-

მედროვე ინდუსტრიულად განვითარებულ საზოგადოებაში, მაგრამ მათი ერთობლივი სიმძლავრე არ არის გაერთიანებული, კოლექტიური, ორგანიზებული, რათა შეძლოს საზოგადოების საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირება. „ასეთი ორიენტაცია, – ამტკიცებდა ჩემბერლენი, – შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მთავრობის დახმარებით, რომელიც გარდაქმნის წესებს (შეზღუდვებს) და რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ყველა კორპორაცია“ [181.247].

ერთიანი ორგანოს არარსებობის გამო, რომელსაც შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფა შეუძლია, კორპორაციები ხშირად სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, მიიჩნევენ რა, რომ მისი ჩარევის მექანიზმების განმტკიცება შესაძლებელია მათ პოზიციებს დაემუქროს. ამიტომ შეიძლება ჩემბერლენი მართალიცაა, როდესაც ამბობს, რომ ბიზნესმენებს ფართომასშტაბიან ინსტიტუციურ რეფორმას ურჩევნიათ მცირე, თანდათანობითი ცვლილებები, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, კორპორაციული სისტემის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ე.ი. ისინი მზად არიან იკისრონ შეზღუდული პასუხისმგებლობა.

თუმცა, ასეთი შეზღუდული პასუხისმგებლობის რეალიზაციაც კი მთელი რიგი ფაქტორით იზღუდება, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, მოგების მიღების მოსაზრებით სხვა კორპორაციებთან კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, ასევე მოცულობისა და ზრდის ტემპების შენარჩუნებისკენ სწრაფვით, ნიჭიერ მუშაკთა მოსაზიდად, ან ძველი, გამოცდილი კადრების შესანარჩუნებლად. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემა არ წამოიჭრებოდა, თუკი როგორც საზოგადოების მიზნებიდან, ისე ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე ნებისმიერი სასარგებლო რესურსის გამოყენება მომგებიანი იქნებოდა. სოციალური მიზნების რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები ფირმების მოგებას აკლდება, მაგალითად, დანახარჯები განათლებაზე და კერძოდ, სამუშაო ძალის მომზადებაზე, თუმცა, პერსპექტივაში მოგების გადიდების წყაროა.

კორპორაციათა სოციალური პასუხისმგებლობის საზღვრები მით უფრო ფართოა, რაც უფრო დიდია მათი მისწრაფება საზოგადოების წინაშე თავისი ლეგიტიმურობის დამკვიდრებაში. ამ თვალსაზრისით, კორპორაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოციალურ სფეროში განსახორციელებელ პროგრამათა ეკონომიკური დასაბუთება.

ამავე დროს, თავის მხრივ, საზოგადოება უფლებამოსილია ელოდოს ბიზნესისაგან სოციალური პასუხისმგებლობის ამა თუ იმ დონეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა: გარემოს დაცვა, ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მატერიალური უზრუნველყოფა და ა.შ. მაგრამ ბიზნესის ტექნიკური, ფინანსური და სხვა შესაძლებლობები ამ მხრივ შეუზღუდავი არ არის. ამა თუ იმ კორპორაციის ან მთლიანობაში ბიზნესის შესაძლებლობათა შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტის სიცოცხლისუნარიანობისა და არსებობის მთავარი პირობაა მისი ეფექტიანობა (რენტაბელობა).

8.3. სოციალური პასუხისმგებლობა: შეხედულებები და ძირითადი მიდგომები

საზოგადოებაში ბიზნესის სოციალური როლის შესახებ განსხვავებულმა შეხედულებებმა უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტი წარმოშვა.

არგუმენტები სოციალური პასუხისმგებლობის სასარგებლოდ: ბიზნესისათვის ხელსაყრელი გრძელვადიანი პერსპექტივების შექმნა. ფირმების სოციალური ქმედებები აუმჯობესებს საზოგადოების ცხოვრებას ან თავიდან იცილებს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას. საზოგადოება რაც უფრო უზრუნველყოფილია სოციალურად, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ბიზნესისათვის. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სოციალურ ქმედებებთან დაკავშირებული დანახარჯები მაღალია, გრძელვადიან პერს-

პექტივაში ისინი მოგების სტიმულირებას ახდენენ, რამდენადაც მომხმარებლებში, მიმწოდებლებსა და საზოგადოებაში კომპანიის მიმზიდველი იმიჯი ყალიბდება.

ფართო პუბლიკის მოთხოვნილებების და მოლოდინის ცვლილება. ბიზნესთან დაკავშირებული სოციალური მოლოდინი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იცვლება. საზოგადოების მხრიდან ახალ მოთხოვნილებებსა და კომპანიების რეალურ გამოხმაურებას შორის სხვაობის მინიმუმამდე დასაყვანად მათი ჩართვა და მონაწილეობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში სასურველი და აუცილებელიც კი ხდება.

რესურსების არსებობა სოციალური პრობლემების გადაჭრაში დახმარების გასაწევად. რამდენადაც ბიზნესი მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს ფლობს, მას შეუძლია მისი ნაწილი გაიღოს სოციალური საჭიროებისათვის.

მორალური ვალდებულება სოციალურად პასუხისმგებელი ქმედებისათვის. კომპანია საზოგადოების ნაწილია, ამდენად თავის საქმიანობაში იგი მორალური ნორმებით უნდა ხელმძღვანელობდეს. საზოგადოების ინდივიდუალური წევრების მსგავსად, კომპანია უნდა მოქმედებდეს სოციალური პასუხისმგებლობის მიხედვით და ხელს უწყობდეს მისი მორალური საწყისების განმტკიცებას. მეტიც, რამდენადაც შეუძლებელია კანონებმა მოიცვას ცხოვრების ყველა მხარე, კომპანიებმა პასუხისმგებელი ქმედებებით მხარი უნდა დაუჭირონ საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია წესრიგსა და კანონიერებაზე.

არგუმენტები სოციალური პასუხისმგებლობის წინააღმდეგ:

მოგების მაქსიმიზაციის პრინციპის დარღვევა. რესურსების ნაწილის გამოყოფა სოციალურ საჭიროებაზე მოგების მაქსიმიზაციის პრინციპის მოქმედებას გარკვეულწილად ამცირებს.

დანახარჯები სოციალურ პასუხისმგებლობაზე. სოციალურ საჭიროებაზე გამოყოფილი სახსრები ფირმებისათ-

ვის დანახარჯებია. საბოლოო ჯამში ეს დანახარჯები მომხმარებლებს ეკისრება ფასების მომატების სახით. გარდა ამისა, საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი ფირმები, სხვა ქვეყნის იმ ფირმებთან შედარებით, რომლებიც არ აწარმოებენ სოციალურ დანახარჯებს, არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. შედეგად, იზღუდება მათი პროდუქციის გასაღება საერთაშორისო ბაზარზე.

საზოგადოების წინაშე ანგარიშების არასაკმარისი დონე. რამდენადაც მმართველებს არ ირჩევენ, ისინი საზოგადოების წინაშე უშუალოდ ანგარიშვალდებულნი არ არიან. საბაზრო სისტემა კარგად აკონტროლებს ფირმათა ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ცუდად – მათ სოციალურ აქტიურობას. ვიდრე საზოგადოება არ შეიმუშავებს საწარმოთა პირდაპირი ანგარიშგების წესს, უკანასკნელი არ მიიღებს მონაწილეობას სოციალურ ქმედებებში, რომლებზეც ის თავს პასუხისმგებლად არ თვლის.

სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის უკმარისობა. ნებისმიერი კომპანიის პერსონალი ყველაზე კარგადაა მომზადებული ეკონომიკის, ბაზრისა და ტექნიკის სფეროში, მაგრამ მას აკლია სოციალური ხასიათის პრობლემათა გადაჭრის გამოცდილება. სახელმწიფო დაწესებულებებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების სრულყოფას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ოთხი ძირითადი მიდგომა არსებობს: **საბაზრო, სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, „კორპორაციული სინდისის“ და „დაინტერესებული პირის“ პოზიციებიდან.**

საბაზრო მიდგომა. იგი კორპორაციათა საქმიანობის რეგულირების მზა ფორმას უზრუნველყოფს და თავიდან იცილებს სახელმწიფოს ბიუროკრატიული ჩარევის აუცილებლობას. საბაზრო მიდგომის თანახმად, მომხმარებელი ყოველთვის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია ისეთ საზოგადოებაში, სადაც კორპორაციები თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მოგების ზრდის პრინციპით

ხელმძღვანელობენ. ეს მიდგომა მნიშვნელოვან მხარდაჭერას პოულობს ზოგად ეკონომიკურ თეორიაში.

ამ მიდგომის სუსტი მხარე იმაშია, რომ იგი არ მოიცავს სოციალურ პრობლემებს, რომლებიც არ გამოხატავენ ე.წ. ბაზრის „ჩავარდნებს“ (მაგალითად, მეტალურგიული ქარხანა მდინარეს აბინძურებს შხამიანი ნარჩენებით და ზრდის დაავადებულთა რაოდენობას). ამგვარი თანმდევი ეფექტების სულ უფრო მზარდი ხასიათი თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყნებში იწვევს იმის აუცილებლობას, რომ თავისუფალი ბაზრის „უხილავ ხელს“ შეიძლება დახმარება დასჭირდეს. მაგრამ, ვინ გაუწევს მას ამ დახმარებას? სახელმწიფო? მსხვილი სამრეწველო გაერთიანებები? კორპორაციების სპეციალური ქვედანაყოფები?

საბაზრო მიდგომის თანახმად, როგორც კი ბაზრის გარდა სხვა ვინმეს ვანდობთ კორპორაციის საქმიანობის რეგულირებას, ყალიბდება ეკონომიკური არაეფექტიანი ბიუროკრატიული მართვა. ამრიგად, ერთი პრობლემის გადაწყვეტით უამრავი სხვა იჩენს თავს. თუმცა, „ჩავარდნის“, თანმდევი ეფექტების პრობლემა, რასაკვირველია, არცთუ უმნიშვნელოა და საბაზრო მიდგომა კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება, თუ უარს ვიტყვით ბაზრის თავისუფალ კონკურენციაზე და ოლიგარქებისა და მონოპოლიების მხრიდან ბაზარზე ზეწოლის უამრავი ფორმის არსებობას ვაღიარებთ. მიუხედავად ამისა, **ბსპ**-ს მიმართ ასეთ მიდგომას უამრავი მიმდევარი გაუჩნდა აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

მიდგომა სახელმწიფოებრივი რეგულირების პოზიციებიდან. მისი უამრავ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა საპირისპირო არგუმენტი დამოკიდებულია თითოეული პიროვნების წარმოდგენაზე სახელმწიფოსა და ადამიანის ბუნებაზე. ამ მიდგომის მომხრეთა უმრავლესობა სახელმწიფო სტრუქტურებს განიხილავს როგორც საქმიან ცხოვრებაზე უფლებამოსილ დამკვირვებლებს, თუმცა, სახელმწიფო რეგულირება არასოდეს არ არის სრულყოფილი. მეტიც, როგორც წესი, ჩინოვნიკები მიიჩნევენ, რომ ადამიანებს, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა იურიდიული საშუალებებით და-

შინება სჭირდებათ, რათა ცოდვა არ ჩაიდინონ.

ამ მიდგომის სასარგებლოდ მოჰყავთ არგუმენტი, რომ კანონი ხშირად ეთიკური გადაწყვეტილებების საფუძვლად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცუდადაა მორგებული ამ მიზნებს. თავიდათავი კი, სავარაუდოდ, მოქალაქეთა უმრავლესობის დაბალი ზნეობრივი დონეა. როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, ბევრი ადამიანისათვის განსხვავება სწორ და არასწორ საქციელს შორის განისაზღვრება მათი კანონიერების ხარისხით. ასეთ შემთხვევაში კანონი შეიძლება ეთიკური საქციელის დონის ამაღლების ინსტრუმენტად მოგვევლინოს. თუმცა, არის ერთი „მაგრამ“. თუ კანონს მივანიჭებთ საზოგადოების ზნეობრივი აღმზრდელის როლს, ის უნდა იყოს „კარგი“ იმ გაგებით, რომ საფუძვლიანად იყოს გააზრებულ-ჩამოყალიბებული და თანმიმდევრულად გატარდეს ცხოვრებაში. სამწუხაროდ, კანონთა უმრავლესობა იშვიათად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებიდან თუნდაც ერთერთს. ეს მნიშვნელოვნად აკნინებს კანონის ზნეობრივ აღმზრდელობით როლს.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, მიდგომა სახელმწიფო რეგულირების პოზიციებიდან ეფექტიანი აღმოჩნდა ბიზნესის მართვის ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით მომხმარებელთა დაცვაში.

მიდგომა კორპორაციული სინდისის პოზიციებიდან. ამ პოზიციის ძლიერი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მისი კრიტერიუმია მორალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიქმნება კორპორაციის შიგნით და არა როგორც გარე ფაქტორი, ე.ი. აქ არსებობს თვითრეგულირების შესაძლებლობა და არა მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთობათა რეგულირება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ბაზრის და სახელმწიფოს მაღალ ეთიკური ქცევის სტიმულირების აშკარა უუნარობის ფონზე, ვინაიდან მათი ფუნქციები მიმართულია მავნე ქმედებების აღმოფხვრისაკენ, კორპორაციული სინდისის პოზიციებიდან მიდგომა წარმოადგენს გარე რეგულირების მრავლისმომცემ ხერხს.

ამ მიდგომის მამოძრავებელია ჯანსაღი, ეთიკურად გა-

მოცდილი კორპორაციული კულტურა. მის ფასეულობებს შეიძლება თავი მოუყაროთ კორპორაციის ეთიკურ კოდექსში ან უბრალოდ აისახოს მის რეპუტაციაზე. ნებისმიერ შემთხვევაში კორპორაციული სინდისის პოზიციებიდან მიდგომა ეყრდნობა ძირითადად ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს, რომელთაც უფრთხილდება როგორც ხელმძღვანელობა, ისე ხელქვეითები.

მიდგომა „დაინტერესებული პირთა“ პოზიციებიდან. კორპორაციებს გააჩნიათ ვალდებულებები აქციონერთა წინაშე. იგი წმინდა და ურყევია. კორპორაციების საქმიანობა ნაკარნახევი უნდა იყოს აქციონერებზე ზრუნვით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან: აქციების საბირჟო კურსით, აქციაზე შემოსავლით ან ნებისმიერი სხვა საფინანსო მაჩვენებლით. იგულისხმება, რომ აქციონერთა ინტერესებზე ზრუნვა ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მოვალეობა უნდა იყოს. ამრიგად, ნებისმიერი ქმედება, მიღებული ხელმძღვანელობის მიერ, საბოლოო ჯამში უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, ემსახურება თუ არა იგი კორპორაციებისა და მისი აქციონერების ინტერესებს.

თანამედროვე პირობებში გაჩნდა ახალი მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ცნებასთან **„დაინტერესებული პირები“**.

ტერმინი „დაინტერესებული პირები“ (სტაკჰოლდერ), პირველად გამოიყენეს 1963 წელს სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის შიდა მემორანდუმში. მას მიეკუთვნება „ის ჯგუფები, რომელთა მხარდაჭერის გარეშე ორგანიზაცია წყვეტს თავის არსებობას“ [158.178]. დაინტერესებულ პირთა ჩამონათვალი თავდაპირველად მოიცავდა აქციონერებს, მუშა-მოსამსახურეებს, მყიდველებს, მიმწოდებლებს, კრედიტორებს და სხვ. ამ კონცეფციაზე დაფუძნებული ანალიზი, რომელიც სათავეს იღებს ი. ანსოფის და რ. სტიუარტის (კორპორაცია Locrhecd-ის დაგეგმვის განყოფილების), შემდეგ კი მ. დოშერის და რ. სტიუარტის (სტენდორფის კვლევითი ინსტიტუტის) ნაშრომებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს კორპორაციათა საქმიანობის დაგეგმვის პროცესში.

ეს თეორია მოგვიანებით რამდენიმე მიმართულებით განვითარდა. მისი ერთ-ერთი ავტორი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „დაინტერესებულ პირთა“ ზუსტი წანამძღვრების დადგენა შეუძლებელია. თავის კლასიკურ ნაშრომში ი. ანსოფი ამ თეორიის დებულებებს იყენებს. თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, „მოვალეობები“ და „მიზნები“ სულაც არ არის „სინონიმები“. „დაინტერესებულ პირთა“ თეორიაში ისინი ერთ ცნებამდეა დაყვანილი. ამ თეორიის მიხედვით, ფირმის მიზნები აუცილებელია განისაზღვროს ამ ფირმაში „დაინტერესებულ პირთა“ (მენეჯერების, მუშების, აქციონერების, მიმწოდებლების, კრედიტორების და ა.შ.) წინააღმდეგობრივ მოთხოვნილებათა დაბალანსების გზით.

ანალოგიურ მოსაზრებას ანსოფი სხვა ავტორებსაც მიაწერს, მაგრამ განაგრძობს „დაინტერესებულ პირთა თეორიის“ უარყოფას ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებად დაყოფის სასარგებლოდ, ამასთან, ეს უკანასკნელნი „მეორად ცვალებად და შემაფერხებელ გავლენას“ ახდენენ პირველზე.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში „დაინტერესებულ პირთა“ კონცეფციის დამუშავება ნელ-ნელა მიმდინარეობდა. გამონაკლისია შვედი ერიკ რენმანის ნაშრომი, რომელმაც ეს კონცეფცია სამრეწველო დემოკრატიას მოარგო. 70-იანი წლების მეორე ნახევარში მკვლევართა ჯგუფმა სისტემების თეორიის დარგში რასელ აკოფის მეთაურობით ამ კონცეფციის საფუძველზე, „განმეორებით აღმოაჩინა“ ანალიზი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ანსოფის შენიშვნა უფრო სერიოზულად აღიქვა. წარმოადგენს რა ორგანიზაციას, როგორც ღია სისტემას, აკოფი ამტკიცებს, რომ უამრავი სოციალური პრობლემის გადაჭრა შეიძლება ძირითადი ინსტიტუტების გარდაქმნისა და სისტემაში „დაინტერესებულ პირთა“ ხელშეწყობითა და ურთიერთქმედებით.

70-იანი წლების დასაწყისში ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ბიზნესის სკოლის მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა „კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის“ მოდელი. 1977 წელს ჰარტონის

სკოლის გამოყენებითი კვლევების ცენტრში „დაინტერესებულ პირთა“ პროექტის შექმნა დაიწყეს. ამ პროექტის მიზნები ითვალისწინებდა მართვის ისეთი თეორიის შემუშავებას, რომელიც ხელმძღვანელობას მუდმივად ცვალებად ვითარებაში კორპორაციის სტრატეგიის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემდა.

ამჟამად, „დაინტერესებულ პირთა“ კონცეფციის არსი გამოიყენება სამ დონეზე: როგორც **მენეჯმენტის** თეორია, როგორც **პროცესი პრაქტიკოსებისათვის** სტრატეგიულ მართვაში გამოყენების მიზნით და როგორც **კოორდინატთა სისტემა** ანალიზისათვის. სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოცემული ცნება „დაინტერესებული პირის“ თავდაპირველი განმარტება ზედმეტად ზოგად ხასიათს ატარებდა.

რ. ფრიდმენმა და დ. რიდმა წარმოადგინეს „დაინტერესებული პირის“ ორი განმარტება: ერთი – ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ჯგუფებს, სადაც მოკავშირეები ან მოწინააღმდეგები არიან, და მეორე – ვიწრო გაგებით, რომელშიც ძირითადად სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის განმარტების უფრო დაკონკრეტებული არსია გადმოცემული.

„დაინტერესებული პირი“ ფართო გაგებით – ნებისმიერი ჯგუფი ან პირია, რომელთაც გავლენის მოხდენა შეუძლიათ ორგანიზაციის მიერ მიზნის მიღწევაზე. ამ მოსაზრებით „დაინტერესებულ პირებს“ წარმოადგენენ საერთო ინტერესებით გაერთიანებული საზოგადოებრივი ჯგუფები, სამთავრობო ორგანიზაციები, პროფგაერთიანებები, კონკურენტები, კავშირები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეები, მყიდველთა ჯგუფები, აქციათა მფლობელები და ა.შ.

„დაინტერესებული პირი“, ვიწრო გაგებით, – ნებისმიერი ჯგუფი ან პირია, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანიზაციის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობა. ამ გაგებით „დაინტერესებულ პირებს“ წარმოადგენენ მუშა-მოსამსახურეები, მყიდველთა ჯგუფები, ზოგიერთი მიმწოდებელი, ძირითადი სამთავრობო და ფინანსური ორგანოები და ა.შ.

„დაინტერესებული პირის“ კონცეფციის განხორციელების კონკრეტული რეკომენდაციები მრავალფეროვანია. ეს

შეიძლება იყოს, მაგალითად, „დაინტერესებულ პირთა“ ჯგუფების ჩართვა სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ასე, მაგალითად, აშშ-ში საზოგადოებრივი სარგებლობის დოვლათის ზოგიერთი საწარმო ხშირად მიმართავს „დაინტერესებულ პირთა“ რიცხვიდან კონსულტაციური ჯგუფების მომსახურებას.

8.4. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები

დღეისათვის სოციალურმა პასუხისმგებლობამ ქველმოქმედების გაფართოების, სოციალური უსამართლობის მიზეზების აღმოფხვრაზე გამიზნული და ბოლოს, კომერციულ, არაკომერციულ და სახელმწიფო სექტორებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის პერიოდი უკვე განვლო. საბოლოო ჯამში ტერმინ „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის“ **(ბსპ)** ორი გაგება ჩამოყალიბდა: **ამერიკული** (სოციალური ფუნქციების უმეტესობას კორპორაციები საკუთარ თავზე იღებენ) და **ევროპული** (სახელმწიფოს დომინირებული როლით).

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა დიდი ხნის განმავლობაში წმინდა ამერიკულ მოვლენად ითვლებოდა. მართლაც, აშშ-ში ფილანტროპიისა და საზოგადოების სხვა ფენებისათვის ბიზნესის ნებაყოფლობითი დახმარების ტრადიციები ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ XIX საუკუნეში (როკფელერის საჯარო ბიბლიოთეკები, კარნეგის „ინიციატივები“ და ა.შ.).

ამერიკული მეწარმეობის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც სუბიექტთა მაქსიმალურ თავისუფლებას ემყარება, საზოგადოების მრავალი სფერო დღესაც თვითრეგულირებადია. შრომითი ურთიერთობები –„დაქირავებული – დამქირავებელი“ მხარეთა ორმხრივი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს. ჯანდაცვაზე ამერიკელების უფლება მეტწილად სწორედ მოქალაქის არჩევანის უფლებას წარმოადგენს ამა თუ იმ სამედიცინო დაწესებულების მომსახურებით სარგებ-

ლობაზე (აქედანაა სამედიცინო დაზღვევის ნებაყოფლობითობა). სახელმწიფო რეგულირება ამ სფეროებში საზოგადოების წევრთა მხოლოდ საბაზისო, განუყოფელ უფლებებს შეეხება. შესაბამისად, კორპორაციების ყველა ინიციატივა **ბსპ**-ს სფეროში ნებაყოფლობითია.

აშშ-მ საზოგადოების მხარდასაჭერად ბიზნესის მონაწილეობის უამრავი მექანიზმი შეიმუშავა, მაგალითად, მრავალრიცხოვანი კორპორაციული ფონდი, რომელიც ბიზნესის ხარჯზე უამრავი სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადასაჭრელადაა გამიზნული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკულ პროფესიულ განათლებას, ისე როგორც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, კერძო სექტორი აფინანსებს (ცხადია, გამოვრიცხავთ იმ ქვეყნებს, სადაც განათლება, ჯანდაცვა და სხვა სოციალურად მნიშვნელოვან სფეროს სახელმწიფოს მიერ ფინანსდება). ეს უკანასკნელი ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ბიზნესი დაინტერესებულია განათლების, საპენსიო და სადაზღვევო სფეროს და სხვა სოციალურად მნიშვნელოვან პროგრამათა ნებაყოფლობითი დაფინანსებით. კორპორაციების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე წახალისებულია სახელმწიფოს მხრიდან გადასახადებზე შეღავათების დაწესებით.

აშშ-სთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა კერძო სექტორში. ამის მიუხედავად, ქვეყანა ცნობილია ბიზნესის სისტემატური მონაწილეობით მრავალრიცხოვან არაკომერციულ პროექტებში. ამის კლასიკური მაგალითია ბილი და მელინდა გეითსის ფონდი, რომელიც მთლიანად ფინანსდება ამ ოჯახის პირადი ქონებიდან და მიზნად ისახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას.

მიჩნეულია, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკული მოდელი ყველაზე მდიდარი ტრადიციების მატარებელია.

ევროპულმა სისტემამ განვითარების ყველაზე მძლავრი იმპულსი უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე მიიღო. ამერიკულ დოქტრინას კი, ევროპულისგან განსხვავებით, უკა-

ნასკნელი 100 წლის მანძილზე რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

აშშ-გან განსხვავებით, სადაც **ბსპ** თვით კორპორაციების მიერაა ინიცირებული, ევროპული კორპორაციების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე გაცილებით შეზღუდულია. ის კორპორაციული ქმედება, რომელიც აშშ-ში ტრადიციულად განიხილება, როგორც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა (ე.ი. ბიზნეს-სტრუქტურების ინიციატივით ტარდება), ევროპაში, როგორც წესი, შესაბამისი სახელმწიფოებრივი ნორმებით, სტანდარტებითა და კანონებით რეგულირდება.

ბსპ მოდელის მიხედვით, რომელიც კომპანიების ეკონომიკურ, იურიდიულ, ეთიკურ პასუხისმგებლობას და მათ საქველმოქმედო საქმიანობას განიხილავს, შესაძლებელია ამერიკულისგან ევროპული მოდელის შემდეგი განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა:

– ეკონომიკური პასუხისმგებლობა ძირითადად ბიზნესის მომგებიანობასა და აქციონერების წინაშე კომპანიების პასუხისმგებლობაზეა აქცენტირებული (ტიპური ამერიკული მიდგომა). ევროპელები ურთიერთობათა აღნიშნულ ჯგუფს აგრეთვე საწარმოთა მუშაკებსა და ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების წინაშე პასუხისმგებლობას მიაკუთვნებენ.

– იურიდიული პასუხისმგებლობა ევროპაში ნებისმიერი ფორმის სოციალური პასუხისმგებლობის ბაზას წარმოადგენს. ევროპულ ბიზნესს სახელმწიფო მოიაზრებს როგორც ინსტიტუტს, რომელსაც სისრულეში მოჰყავს მოქმედების მიღებული წესები, აშშ-ში კი მსგავსი სახელმწიფოებრივი რეგულირება აღიქმება როგორც პირადი თავისუფლების ხელყოფა.

– სოციალურ პრობლემათა უმეტესობას ევროპული კომპანიები ეთიკური პასუხისმგებლობის სფეროს განაკუთვნებენ. ევროპელები კერძო სექტორის მიმართ გარკვეული სიფრთხილით გამოირჩევიან და სწორედ ამით აიხსნება ბიზნესის მიმართ საზოგადოების მხრიდან უფრო მეტი ყუ-

რადღება, ვიდრე სხვა კონტინენტის ქვეყნებში. ევროპელების დღის წესრიგშია ისეთი აქტუალური პრობლემები, რომლებიც ატომურ ენერგეტიკას, ცხოველებზე სამედიცინო პრეპარატების გამოყენებას, გენური ინჟინერიის საკითხებს და ა.შ. უკავშირდება.

– ქველმოქმედება ისე პოპულარული არ არის ევროპაში, როგორც აშშ-ში. ეს უკანასკნელი საგადასახადო ტვირთის სიმძიმით აიხსნება, რომელიც ამერიკულ ანალოგებს ბევრად აღემატება. შედეგად, ევროპული კომპანიების ფილანტროპიულ აქციებში მონაწილეობა ძირითადად იურიდიულად განმტკიცებული მექანიზმებით არის განპირობებული.

უკანასკნელ პერიოდში **ბსპ**-ს ევროპული ვარიანტის აღსანიშნავად ახალი ტერმინიც კი გაჩნდა – **სოციალური რეაგირების კორპორაციული უნარი.**

ბსპ-ს ევროპული მოდელის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს. ასე მაგალითად, ევროპის მრავალ ქვეყანაში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, მუშაკთა ჯანდაცვა, საპენსიო რეგულირება და მთელი რიგი სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხი კანონმდებლობითაა განმტკიცებული. გარდა ამისა, სამართალ-ურთიერთობები „დაქირავებული – დამქირავებელი“ ევროპაში უფრო დეტალურადაა დარეგულირებული, ვიდრე აშშ-ში. მთლიანობაში **ბსპ**-ს მრავალი ასპექტის სახელმწიფოებრივი რეგულირება მნიშვნელოვნად აღემატება ჩრდილოამერიკულ სისტემას.

ევროპის ქვეყნებში **ბსპ**-ს კონცეფციის გამოყენებაში არსებული განსხვავებების მიუხედავად, მათ შორის გაცილებით მეტი მსგავსებაა. ეს უწინარეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ევროპელი პოლიტიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ **ბსპ**-ს სხვადასხვა ინიციატივების ხელშეწყობას. რამდენიმე წლის წინ **ბსპ** ევროპულმა კომისიამ განმარტა როგორც „კონცეფცია, რომლის ფარგლებში კომპანიები ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიანდებიან სტეიკჰოლდერებთან სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად და ბუნების დაცვითი ღონისძიებების რეალიზაციისათვის“.

ბსპ-ს ევროპულ მოდელში ბრიტანულ მოდელს გამოყოფენ, რომელიც როგორც ამერიკული, ისე ევროპული მოდელის ელემენტებს მოიცავს. ევროპულთან მას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის აქტიური ხელშეწყობა აერთიანებს. ბრიტანეთი ცნობილია კარგად შემუშავებული სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემით. იმავდროულად, მასში წარმოდგენილია **ბსპ**-ს ამერიკული ელემენტებიც, რომლებიც განსაკუთრებით მ. ტეტჩერის მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმის შემდეგ გამოვლინდა.

მთლიანობაში ბრიტანულ მოდელს შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

– **ბსპ**-ს სფეროში დამოუკიდებელი კონსალტინგის სექტორის ფართო განვითარება;

– საფინანსო სექტორის გამახვილებული ყურადღება **ბსპ**-ს სფეროში პროექტების მიმართ (სოციალურად პასუხისმგებელი საინვესტიციო ფონდების რაოდენობის ზრდის ტენდენცია);

– დიდი ბრიტანეთის ბიზნეს-განათლების სისტემა ევროპასთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს **ბსპ**-ს სფეროში სასწავლო კურსების რაოდენობისა და მრავალფეროვნების მიხედვით;

– ხელისუფლების მონაწილეობა **ბსპ**-ს განვითარებაში. ეს ვლინდება საგანმანათლებლო სექტორში კერძო საწარმოებთან პარტნიორობის შექმნაში, **ბსპ**-ს სფეროში პროექტების თანადაფინანსების გზით ინიციატივების ხელშეწყობაში, საგადასახადო შეღავათებში და ა.შ.

პრინციპული მომენტია საკუთრივ ბიზნესის მკაფიოდ გამოხატული ინიციატივიანობა **ბსპ**-ს სფეროში პროექტების შექმნაში, რაც მთლიანად ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის 80-იან წლებამდე **ბსპ**-ს განვითარება ძირითადად ფილანტროპიის ფორმით მიმდინარეობდა როგორც ცალკეულ ბიზნესმენთა ინიციატივები ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების, თანამშრომ-

ლების, მათი ოჯახების და ა.შ. ხელშეწყობის მიზნით.

გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური პრობლემებით, უმუშევრობითა და საზოგადოებრივი უწესრიგობებითაც კი აღინიშნა. მსხვილმა ბიზნესმა გააცნობიერა, რომ ხელისუფლებას არც ფიზიკურად, არც ფინანსურად არ ძალუძს შექმნილ ვითარებასთან გამკლავება. საგადასახადო ტვირთისა და შრომით ურთიერთობათა რეგულირების შესაძლო გამკაცრების თაობაზე სამთავრობო გადაწყვეტილებების პასიური ლოდინის ნაცვლად, მსხვილი ბიზნესი **ბსპ**-ს დანერგვის აქტიურ ინიციატორად გვევლინება, რაც **ბსპ**-ს პირველი ტალღის მაუწყებელი იყო. თავდაპირველად იგი ეროვნულ დონეზე სპეციალურ პროგრამათა ჯგუფის შექმნაში გამოიხატებოდა, რომლის აქტიური მონაწილეობით კორპორაციები ახალგაზრდების პროფესიული სწავლების შესაძლებლობებს ქმნიდნენ. სპეციალურ პროგრამათა ჯგუფები ატარებდნენ თემატურ კონფერენციებს, ურთიერთქმედებდნენ ცალკეულ კომპანიებთან, შუამავლად გამოდიოდნენ კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისას.

90-იანი წლები **ბსპ** ორი მომდევნო ტალღით – საქონლის სოციალურად პასუხისმგებელი წარმოებით (მეორე ტალღა) და პერსონალის მიმართ პასუხისმგებელი დამოკიდებულებით (მესამე ტალღა) აღინიშნა.

ამჟამად, ბრიტანულ კომპანიათა უმრავლესობას თავიანთ სტრუქტურებში **ბსპ**-ს სპეციალური ქვედანაყოფები გააჩნია საკუთარი ბიუჯეტებით და წარმომადგენლობებით დირექტორთა საბჭოს დონეზე. უმსხვილესი ეროვნული კომპანიების 89%-ის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს თან ერთვის სოციალური ანგარიშები.

ბრიტანული მთავრობის აქტიური როლი გამოიხატება იმ კომპანიების ხელშეწყობის პოლიტიკაში, რომლებიც სოციალურ, ბუნებისდაცვით სფეროში და პერსონალთან ურთიერთობებისას თავიანთ საქმიანობას აშუქებენ. მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები კომპანიებისათვის დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმს აწესებს. ისინი თავიანთ ბიზნესს სოციალუ-

რი პასუხისმგებლობისა და საქმიანი ეთიკის პოზიციებიდან გამომდინარე წარმართავენ, განსაკუთრებით ენერგიის ეფექტიანი გამოყენების, წარმოების ნარჩენების მეორადი გადამუშავების საკითხებში და ა.შ..

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში **ბსპ**-ს სფეროში რეგულარულად ტარდება ანალიტიკური გამოკვლევები. უკანასკნელ პერიოდში რუსეთშიც შეინიშნება აღნიშნულ თემატიკაზე პუბლიკაციების მოზღვავება, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ **ბსპ** რუსეთში ჯერ მხოლოდ თავისი განვითარების საწყის ეტაპზეა. რუსეთში ბიზნესის სოციალურ როლსა და **ბსპ**-ს ძირითად თავისებურებებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა 2003 წელს **გაერო**-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მენეჯერთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევა: „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: საზოგადოებრივი მოლოდინი". ამავე ასოციაციის მიერ 2004 წლის ნოემბერში მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ბიზნესის ახალი სოციალური როლის ძიებაში".

ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) – სოციალური პასუხისმგებლობის სუბიექტი. 1970-1980-იან წლებში გაეროს დონეზე განიხილეს **ტეკ**-ების ქცევის კოდექსის შემუშავების საკითხები. 2002 წელს 36 უმსხვილესმა **ტეკ**-მა ხელი მოაწერა განაცხადს „კორპორაციულ მოქალაქეობაზე", რომელშიც აღიარებულ იქნა **ბსპ**-ს აუცილებლობა. 2003 წელს კი გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ მოიწონა „**ტეკ**-ების პასუხისმგებლობის ნორმების" კონვენციის პროექტი, რომელიც მსხვილ ბიზნესს იგივე ვალდებულებებს აკისრებს, რასაც სახელმწიფოს.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს ბიზნესს დიდი და მდიდარი ტრადიციები გააჩნია სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. აქ ქველმოქმედება და ბიზნეს-რესურსების საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო ფართოდ გავრცელებული. ბიზნესმენმა ენდრიუ კარნეგიმ, მაგალითად, 350 მლნ. დოლარზე მეტი ჩადო სოციალურ პროგრამებში და 2000-ზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკა

ააშენა. ჯონ როკფელერმა 550 მლნ. დოლარი გაიღო და როკფელერის ფონდი დააარსა.

დროთა განმავლობაში სოციალური პასუხისმგებლობის ფორმები იცვლება, ფართოვდება და იხვეწება. კომპანიები მსგავს აქციებში ხშირად პირად და თავისი მუშაკების მონაწილეობას ანიჭებენ უპირატესობას. XX საუკუნის 80-იან წლებში 500-ზე მეტმა ფირმამ შეიმუშავა სოციალური პროგრამები, რომლებიც მათ თანამშრომლებს საზოგადოებისათვის სასარგებლო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევდა. კომპანიების მიდგომა ამ საქმის მიმართ არსებითად განსხვავებული იყო.

1984 წლის 18 ივლისს მექსიკის ქალაქ სან-ისიდროში „Mc Donald's"-ის ერთ-ერთ რესტორანში შეიარაღებული ადამიანი შეიჭრა. მან ცეცხლი გაუხსნა იქ მყოფთ და 21 ადამიანი დაცხრილა. კორპორაცია „Mc Donald's"-სმა მომხდარზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება: რამდენიმე დღით ყველგან შეწყვიტა სარეკლამო კამპანია, ტრაგედიის მსხვერპლთა ფონდში შეიტანა 1 მლნ. დოლარი. კორპორაციის წარმომადგენლები დაესწრნენ დაღუპულთა დაკრძალვას. რესტორანი დაიხურა და კომპანიის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიები უსასყიდლოდ გადაეცა ქალაქს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგილზე პარკი გაიხსნა. სოციალურად პასუხისმგებელმა ქმედებებმა ამ კორპორაციის იმიჯი აამაღლა. მისი სახელი უკვე აღარ უკავშირდებოდა მექსიკაში მომხდარ ტრაგედიას, ხოლო კომპანიამ რთულ სიტუაციაში ეთიკური ქმედებებით გამოიჩინა თავი.

ფირმა „Johnson and Johnson~-მა მყისვე მოახდინა რეაგირება თავისი სამედიცინო პრეპარატით – „ტაილენოლით" ჩიკაგოში მოწამვლის ფაქტზე და მისი გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით აკრძალა. ამან ხელი შეუწყო პასუხისმგებლობის უფრო მაღალი დონის დაწესებას სხვა ფარმაცევტულ კომპანიებში.

კოლუმბიის უნივერსიტეტმა (აშშ) დააწესა პრემია ფირმების საუკეთესო სოციალურად პასუხისმგებელი ქმედების გამოვლენაზე. 1984 წელს ამ პრემიით მსოფლიოში ტანსაც-

მლის უმსხვილესი მწარმოებელი ფირმა „Levy Strauss~ დაჯილდოვდა. 140 საწარმოში დაახლოებით 44 ათასი ადამიანი საქმიანობს. ფირმამ თავისი შემოსავლის 2,4 პროცენტი საქველმოქმედო საქმიანობაზე გამოყო. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯა სოციალურ პროგრამებზე იმ ადგილებში, სადაც ფირმა თავის ოპერაციებს აწარმოებს. ამ უკანასკნელს განეკუთვნება, მაგალითად, ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ესპანურენოვან ამერიკელებს ეხმარება ნიუ-მექსიკოში, ობოლთა თავშესაფრის შექმნა არგენტინაში, სასმელი წყლის მიწოდება ფილიპინების მეთევზეთა სოფლებში, სამედიცინო დახმარების ნებაყოფლობითი ბრიგადების შექმნა და სხვ. ზოგიერთ ქალაქში.

8.5. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ბიზნესის სოციალური როლის, მისი სოციალური პასუხისმგებლობის, ბიზნესის მიერ დაფინანსებული სოციალური ინვესტიციების გაზრდის პრობლემას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული, მაგრამ მათ შორის უმთავრესი საბიუჯეტო რესურსების უკმარისობაა.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა უპირატესად ქველმოქმედების სახით გვევლინება, ანუ იგი ლოკალურ ფარულ ხასიათს ატარებს (ცალკეულ მეწარმეთა ინიციატივები სოციალური პროექტების დაფინანსებისა). შეიძლება ითქვას, რომ **ბსპ** თავის განვითარების საწყის ეტაპზეა.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მეწარმეთათვის სოციალური პასუხისმგებლობის ცნება უცხო არასდროს არ ყოფილა. XIX საუკუნის დამლევს, როდესაც აშშ-ში ზოგიერთი მსხვილი მეწარმე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ფირმები უნდა გამოეხმაურონ საზოგადოების პრობლემებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ მათ გადაჭრაში, საქართვე-

ლოში მოღვაწე მეწარმეთა საქმიანობა უკვე სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითს წარმოადგენდა. საკმარისია გავიხსენოთ იმ პერიოდის მეწარმეები: დ. სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, თ. ნიკოლაძე, გ. ბოლქვაძე და სხვ., რომლებმაც ქველმოქმედებით გაითქვეს სახელი. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ. ცნობილი ქართველი მეწარმე დავით სარაჯიშვილი 1884 წლიდან სათავეში ედგა ფირმას, რომელიც აერთიანებდა ლიქიორ-არყისა და კონიაკის ქარხნებსა და საწყობებს რუსეთის იმპერიაში.

ალ. ხახანაშვილი 1911 წელს გაზეთ „თემში“ წერდა: „არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობაში, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, ჟურნალ-გაზეთის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვართულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დამშვენება, ღარიბ-უძლურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება – ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს დავით სარაჯიშვილისა“.

„ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“ – სტეფანე ზუბალაშვილის მიერ მავანის მადლობის პასუხად თქმული ეს სიტყვები მისი საგვარეულოს ცხოვრებისეულ კრედოდ შეიძლება მივიჩნიოთ. სტეფანე ზუბალაშვილი მეწარმეობასთან ერთად საშინაო და საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, თურქეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზუბალაშვილები თბილისის კომერციული ბანკის უმსხვილესი აქციონერებიც იყვნენ. თუმცა, უმთავრესი, რითაც ისინი შემორჩნენ საქართველოს ისტორიას, ქველმოქმედება იყო.

ქველმოქმედება – არის საქმიანობა, რომლის მეშვეობით კერძო საშუალებები მათი მფლობელების მიერ ნებაყოფლობით განაწილდება საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. აქ იგულისხმება არა მარტო გაჭირვებაში მყოფი პირები, არამედ ის ადამიანები (სამოქალაქო

აქტივისტები, სპეციალისტები, მოსწავლეები) და არაკომერციული და არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ინდივიდუალური, პროფესიული, კულტურული და სამოქალაქო ამოცანების გადასაჭრელად დამატებითი სახსრების უკმარისობას განიცდიან.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქველმოქმედება წარმატებული ბიზნესის შედეგია. ამავე დროს, თავისი არსით იგი ეწინააღმდეგება ბიზნესს. როგორც წესი, ბიზნესი ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, სახსრების დაგროვებაზე მათი შემდგომი დაბანდებისა და უფრო მეტი მოგების მიღების მიზნით. ფილანტროპია კი (ბერძნ. „ფილია“ – სიყვარული, „ანტროპოს“ – ადამიანი – იგივეა, რაც ქველმოქმედება) თავისი შინაგანი არსით უანგაროა, მისი მეშვეობით სახსრები განაწილდება, მოგება იხარჯება. მაგრამ სოციალურ ჭრილში ისინი ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენენ. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დროში ფილანტროპია ცხოველ ინტერესს, სკეპტიციზმს და ეჭვს იწვევდა, როგორც ფრიად საჭირო, მაგრამ არცთუ წმინდა საქმე. ერთის მხრივ, ცხადია, ქველმოქმედება დიდი სიკეთეა და ბევრისთვის ხსნის საშუალება, მეორეს მხრივ – ქველმოქმედება მოიაზრება როგორც სოციალური და მორალური ბოროტების წყარო. ყველაზე რადიკალური მოსაზრების მიხედვით, ქველმოქმედება, როგორც ასეთი, უაზრო და უზნეოა, ვინაიდან ის კი არ აუმჯობესებს, არამედ მხოლოდ უფრო ამძიმებს ღარიბების და უმწეოთა მდგომარეობას. ეს მოსაზრება თანმიმდევრულად ასახულია, მაგალითად, პ. ლაფარგის ნარკვევში „ქველმოქმედების შესახებ“. მსგავს არგუმენტებს გამოთქვამდა ლ. ტოლსტოიც. ფილანტროპიის რადიკალი კრიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ უმაღლესი კლასის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ქველმოქმედება სინამდვილეში წარმოადგენს: ა) ბიზნესის ნაირსახეობას (ზოგჯერ მეტად სარფიანის); ბ) პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეგავლენის ინსტრუმენტს; გ) მდიდრების ორგანიზებული გართობის საშუალებას. ასე რომ, ზოგჯერ ფილანტროპიული საქმიანობის ორგანიზაცია უფრო მეტი ჯდება, ვიდრე

უმწეოთა დახმარება. ამასთან, საქველმოქმედო ღონისძიებები ტარდება ისეთი პომპეზურობით, რომ სწორედ თავისი ფორმით იქცევენ ყურადღებას. სხვა კრიტიკოსები მიუთითებენ ქველმოქმედებისა და ძალაუფლებას შორის მჭიდრო კავშირზე. თუ რამდენად არსებითია ეს დამოკიდებულება, შეიძლება ვიმსჯელოთ იმისდა მიხედვით, რომ მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მასშტაბური რევოლუციები (მაგალითად, საფრანგეთის და რუსეთისა) ადრე თუ გვიან კრძალავდნენ საქველმოქმედო საქმიანობას. ქველმოქმედების მასშტაბები განსაზღვრულია ნებისმიერ ტოტალიტარულ ქვეყანაში: ქველმოქმედების აკრძალვით სახელმწიფო ცდილობს თავის ხელში მოაქციოს გამნაწილებლის ფუნქციები და ამით გააძლიეროს საკუთარი ძალაუფლება.

რამდენად სამართლიანი და კორექტულია ამგვარი კრიტიკული არგუმენტები? ის, რომ ქველმოქმედება შეიძლება ორგანიზებულ იქნეს როგორც გართობა, რა თქმა უნდა ცუდია, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უარი უნდა ითქვას საერთოდ ქველმოქმედებაზე, მათ შორის გართობისათვის ორგანიზებულ ქველმოქმედებაზე? ზოგს მიაჩნია, რომ ქველმოქმედება გამოიყენება ძალაუფლების მისაღწევად, გავლენის გაფართოების, თუნდაც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსაპოვებლად, მაგრამ არც ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ საერთოდ უარი ვთქვათ მასზე.

თავის დროზე ბ. მანდევილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ქველმოქმედებისა და მოწყალების მოტივი, როგორც წესი, არის თანამედროვეთა ქების, დამსახურების აღიარების სურვილი, თანამედროვეთა მეხსიერებაში კვალის დატოვება. „სიამაყემ და პატივმოყვარეობამ უფრო მეტი საავადმყოფო ააშენა, ვიდრე სხვა ყველა ღირსებამ ერთად“ [147].

ქველმოქმედებას ზოგჯერ უერთდება პრაგმატული მოტივები (ქველმოქმედებაზე მიმართული სახსრები არ იბეგრება). თუმცა, ეს მთლიანობაში ასეთი ქმედების სოციალურ ღირებულებას არ აკნინებს.

ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევე-

ბიდან ჩანს, რომ ბევრი ამერიკელისთვის აქტიური მონაწილეობა საქველმოქმედო აქციებსა და პროგრამებში განპირობებულია, ერთი მხრივ, საყოველთაო მერკანტილიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევის, სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის წინაშე დანაშაულის გრძნობის დაძლევის სურვილით, მეორე მხრივ, საზოგადოებაში შესვლით გარკვეულ სფეროზე მეტი ინფორმაციის მოძიების, კარიერაში წინსვლის მიზნებით. ცხადია, ეს მოტივები არ გამოირჩევა მაღალი ზნეობით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეგოისტური მოტივების სასიკეთოდ შემობრუნებაც შეიძლება.

კრიტიკოსები მრავალგზის მიუთითებდნენ, რომ ქველმოქმედების მიზნით მდიდრები მათ მიერ ექსპლოატირებული მშრომელებისგან „თავის გამოსყიდვას“ და სოციალური ანტაგონიზმის მოხსნას ცდილობენ. ქველმოქმედება ნამდვილად მიმართულია სოციალური წინააღმდეგობების შემცირებისკენ.

ამ მხრივ საინტერესოა პროფესორ გ. მალაშხიას შემდეგი მოსაზრება: „შემოსავლების განაწილების ელემენტის სახით დღეისათვის არსებული ე.წ. „სოციალური შემწეობის“ სისტემა მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში ადამიანთა გარკვეული ნაწილის საარსებო საშუალებებით გარანტირებული უზრუნველყოფის თვალთახედვით. იგი უთანასწორობისა და უსამართლობის აუტანელი მასშტაბის შერბილებით ადამიანთა გარკვეული ფენის გადარჩენას და თვით მდიდართა მომავალი შემოსავლების გაზრდის საერთო გარემოს შენარჩუნებას ემსახურება (როგორც სამუშაო ძალისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კვლავწარმოების ერთ-ერთი პირობა), ამრიგად, ბუნებრივი აუცილებლობითაა დეტერმინირებული, მაგრამ, იგი უზადო არ არის – არასაკმარისია, ხშირად უსამართლო, ქაოსურია და, ნაცვლად საზოგადოებისაგან კუთვნილი წილის მიღებისა, ატარებს დახმარების ხასიათს, მორალურად დამთრგუნველია. ამრიგად, გლობალური პრინციპის – ობიექტურობის თვალთახედვით, სულაც არ არის ჭეშმარიტი სისტემა. ამიტომაც განაწილების სრულყოფის ფარგლებში ამ სისტემის გარდაქმნაც არის საჭირო.

მზესავით ნათელი უნდა იყოს, რომ განაწილებითი და მთელი საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ჯერ უკიდურეს (უსამართლო) უთანასწორობას წარმოშობს და მერე იღებს ზომებს ამ უსამართლობისა და მანკიერების ოდნავ გასწორებისათვის, არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად და ადამიანურად“ [40.574].

ამასთან, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ საბოლოო ჯამში ქველმოქმედების პრინციპული მიზანი – საზოგადოების ხსნა სიღატაკისაგან – მხოლოდ მასშტაბურ სტრუქტურულ სოციალურ ცვლილებებს შეუძლია. ამიტომაც, არ ღირს პრინციპული უარის თქმა ქველმოქმედებაზე.

ქველმოქმედების საშუალებით, ჯერ ერთი, ხდება ნებისმიერი გაჭირვებულის დახმარების მიღებაზე უფლების რეალიზება. მაგრამ, მეორე მხრივ, ქველმოქმედება ახდენს დახმარებაზე მუდმივი იმედის პროვოცირებას და დახმარების მიღების ჩვევის ფორმირებას. ცნობილი კონფუცის სიბრძნე გვასწავლის, რომ უმჯობესია მშიერს ვაჩუქოთ ანკესი და ვასწავლოთ თევზის დაჭერა, ვიდრე გამუდმებით ვაძლიოთ თევზი და ამით ვიხსნათ სიკვდილისაგან. ამით რეალიზებული იქნება თითოეული ადამიანის უფლება დახმარებაზე. ამასთან, თითოეულს ეძლევა მისი პრობლემების საკუთარი ძალებით გადაჭრის საშუალება.

ქველმოქმედება, რასაკვირველია, აუცილებელია, ამასთან, მან ხელი უნდა შეუწყოს გაჭირვებულ ადამიანთა რაოდენობის შემცირებას, მაგრამ სწორედ ქველმოქმედება, ორგანიზებული როგორც პროფესიული და ფართომასშტაბიანი საქმიანობა, მოსახლეობაში წარმოშობს მუქთახორობას, როცა ადამიანი უუნაროდაა და საკუთარ თავსაც ვერ ეხმარება. ეს განაპირობებს აგრეთვე ადამიანთა ჯგუფის წარმოქმნას, რომლებიც საზრდოობენ ღარიბთათვის დახმარების გაწევის ორგანიზებით. მათი პროფესიული მოტივაციის ნაწილია ირიბი დაინტერესება სიღარიბის და ღარიბთა არსებობაში. ასეთი საზოგადოებრივი დახმარება, წყვეტს რა მიმდინარე პრობლემების ნაწილს, წარმოშობს სხვა, უფრო სერიოზულ

პრობლემებს: შემწეობის ხარჯზე მცხოვრებნი ნებისმიერ შემთხვევაში დამცირებულად გრძნობენ თავს, დამოკიდებულების შეგრძნება იწვევს გაღიზიანებას, ბოღმას, წარმოიშობა დამატებითი სოციალური დაძაბულობის წყარო.

ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით, ქველმოქმედების მეშვეობით ორი მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის რეალიზება ხდება: ჯერ-ერთი, საზოგადოების შენარჩუნებისა და აღწარმოების ფუნქცია და, მეორე, საზოგადოების განვითარების ფუნქცია, რომელსაც მიეკუთვნება სოციალურად პერსპექტიული ინიციატივებისა და წამოწყებათა ხელშეწყობა. მეორე ფუნქციაში ქველმოქმედებას უნდა გააჩნდეს მკაფიო კრიტერიუმები და ჰქონდეს ერთადერთი მიზანი – ადამიანთა ინიციატივების წამოწყებათა წახალისება და არა მუქთახორობის ხელშეწყობა. დახმარება უნდა ასტიმულებს ინიციატივას, აქტიურობას, გამომგონებლობას.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში მეწარმეთა ქმედებებს, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, მეწარმეობის ფორმირების საწყის ეტაპზე, ამ საკითხისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში, ქართველი მეწარმეების ისეთი თვისებები გამოიკვეთა, როგორიცაა: განუვითარებელი სამეწარმეო ეთიკა, სუსტი ინფორმირებულობა, გადასახადების დამალვა, კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობა, საზოგადოებრივი ქონების მიტაცება და სხვ. ამასთან, პროგრესული ტენდენციებიც გამოიკვეთა. კერძოდ, ბიზნესის სტაბილიზაციის ფონზე მეწარმეთა პროგრესული ნაწილი აქტიურადაა ჩართული ქართული საქველმოქმედო ტრადიციების გაღრმავებაში. მათი მონაწილეობით ასეულობით სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები აშენდა და შენდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროს, ეკლესიების, ტაძრების აშენება-რეკონსტრუქციას, ავადმყოფთა და ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერას. საქველმოქმედო საქმიანობას აქტიურად ეწევიან გ. თოფაძე, ბ. ივანიშვილი, ბ. პატარკაციშვილი, თ. ჭყონია, დ. გადელია, პ. თორდია და სხვ.

აღსანიშნავია, რომ რესურსების შეზღუდულობამ და მოგებისადმი მისწრაფებამ ჩვენი ბაზარი გააჯერა ფალსიფიცირებული პროდუქციით (ალკოჰოლური სასმელები, კვების პროდუქტები, რომლებიც იწარმოება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე კონსერვანტების, საღებავების გამოყენებით). სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში სასუქების, შხამ-ქიმიკატების უკონტროლო გამოყენება, რომელთა უდიდესი ნაწილი ჩაედინება მდინარეებსა და ზღვებში, წამლავს ჰაერს და მთლიანად ბუნებას. წესად იქცა განვითარებულ ქვეყნებში დაწუნებული პროდუქციის შემოტანა, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებებიც მეტწილად სოციალური უპასუხისმგებლობის ნიმუშს წარმოადგენდნენ, თუმცა ეს საკმაოდ რბილი გამონათქვამია. სამსახურებრივი დანიშნულების ნივთების დატაცება და პირადი სარგებლობისათვის გამოყენება, კერძო საქმიანი ურთიერთობებისათვის გამიზნული საერთაშორისო სატელეფონო საუბრები, ხშირ-ხშირი მივლინებები ბიუჯეტის ხარჯზე და ა.შ. – ეს ყველაფერი ცხოვრების ნორმად იქცა.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს საზოგადოებაში ქცევის დამკვიდრებულ ნორმებსა და ფასეულობებს, გასაკვირი არც არის, თუ მეწარმეობის ფორმირების საწყის ეტაპზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხიც რომ არ იდგა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბიზნესის წარმართვა განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში სრულად განსხვავებულ პირობებში ხდება. თუ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესმენს აწუხებს წმინდა მეწარმეობრივი პრობლემები: მოგების მიღება, ბიზნესის მართვა, შენარჩუნება და ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ა.შ., ქართველ მეწარმეებს საქმიანობა უწევთ მაღალი ეკონომიკური რისკის განსაკუთრებით არასასურველ პირობებში,

რომელიც წარმოიქმნება როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი არასტაბილურობის შედეგი, კრიმინოგენური ვითარების, მასობრივი კორუფციის, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისადმი უპირატესად ფისკალური ინტერესის პირობებში.

2004 წელს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევით, რომელმაც მოიცვა 121 (26 კვების მრეწველობის, 40 მშენებლობის, 55 სასტუმრო და რესტორანი), საწარმო, გამოვლინდა მიზეზები, რომლებიც აფერხებს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას [36.21].

როგორც ცხრილი 8.1-დან ჩანს, გამოკითხულ მეწარმეთა 30% ხელისშემშლელ მიზეზად მიიჩნევს გადასახადების სიმრავლეს და მაღალ განაკვეთებს, 23% – მოსახლეობის დაბალ მყიდველობით უნარიანობას, 16% - ქვეყანაში არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. მეწარმეთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სამეწარმეო საქმიანობის მთავარი ხელისშემშლელი მიზეზია კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებსა (4%) და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში (3%), დაბალკვალიფიციური კადრების არსებობასა და მენეჯმენტის დაბალ დონეზე ყურადღებას ამახვილებს მეწარმეთა შესაბამისად 2% და 1%. (ცხრილი 8.1)

მსხვილი საწარმოებისათვის სერიოზული პრობლემაა ასევე პროდუქციის გასაღების ბაზრის შეზღუდულობა (ამ გარემოებას ასახელებს გამოკითხულ მსხვილ მეწარმეთა 20%). კვების მრეწველობის და მშენებლობის დარგების მეწარმეებმა ხელისშემშლელი სხვა პირობაც დაასახელეს: კონტრაბანდის დიდი მასშტაბები არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, კერძოდ, იმის შიში, რომ მათი ბიზნესი დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე და პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებენ საქმიანობის შენარჩუნებას.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მეწარმეები სახელ-

ცხრილი 8.1

სამეწარმეო საქმიანობის ხელისშემშლელი მიზეზები (პროცენტებში)

მიზეზები	საწარმოები		სასტუმროები, რესტორნები	სულ
საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობა	მშენებლობის	კვების მრეწველობის	1	4
არაჯანსაღი კონკურენტული გარემო	6	3	22	16
პროდუქციის გასაღების ბაზრის შეზღუდულობა	11	14,5	2	6
გადასახადების სიმრავლე, მაღალი განაკვეთები	9,5	8	23	30
დაბალკვალიფიციური კადრები	27	32,5		2
მენეჯმენტის დაბალი დონე	5	3		1
კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში	2		5	4
კორუფცია მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში	6	3	6	3
კრიმინალური დაჯგუფებები	3	3		1.5
კონტრაბანდის დიდი მასშტაბები	1	5	1	3
მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარი	3	6	24	23
სხვა	22,5	22	16	7
სულ	100		100	100

მწიფოს სამართლიან მოთხოვნებს უყენებენ (ცხრილი 8.2).

გამოკითხულ მეწარმეთა 40,5% პირველ ადგილზე აყენებს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, რაშიც გულისხმობენ საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას, გადასახადის განაკვეთების შემცირებას, მაკონტროლებელი ორგანოების ობიექტურ მუშაობას. მეწარმეთა 29,5%-ს სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისათვის შეღავათიანი კრედიტი ესაჭიროება. ახალი კადრების მომზადებას და უკვე დაქირავებული პერსონალის გადამზადებას სახელმწიფოს

ცხრილი 8.2

მეწარმეთა მიერ სახელმწიფოსადმი წაყენებული მოთხოვნები

მოთხოვნები	მშენებლობის საწარმოები		კვების მრეწ. საწარმოები		სასტუმროები, რესტორნები		სულ	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ახალი კადრების მომზადება	1	2	4	13	4	6	9	6
არსებული კადრების გადამზადება	2	4	1	3	3	4,5	6	4
შეღავათიანი კრედიტის მიღება	15	31	10	32	17	26,5	42	29
სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება	23	48	15	48	23	36	61	42,5
სხვა	7	14	1	3	17	27	25	17,5
სულ	48	100	31	100	64	100	143	100

წყარო: კვირკვაია მ., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., უმუშევრობის შემცირების მიმართულებები, სსკგც, ბიულ., №94, 2005, გვ.28.

დახმარებით აუცილებლად მიიჩნევს მეწარმეთა შესაბამისად 6% და 4%.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ამჟამად, როდესაც საქართველოში უმუშევრობა უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად რჩება და მაღალია შრომითი ემიგრაციის მასშტაბები, მეწარმეებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ის, რომ მეწარმეთა უმრავლესობის აზრით (53%), უმუშევრობის პრობლემების დაძლევაში გადამწყვეტი როლი სწორედ მათ უნდა შეასრულონ, მეტყველებს იმაზე, რომ მათი საქმიანობის მასტიმულებელი, გარდა პირადი ინტერესებისა, არის გარკვეული ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. მეწარმეთა ის ნაწილიც (26%), რომელიც თვლის, რომ აღნიშნული პრობლემა სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს, არ

გულისხმობს უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან სამუშაო ადგილების შექმნას ან საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას. ისინი სახელმწიფოს ფუნქციას აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში, პირველ რიგში, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაში ხედავენ. ამრიგად, მეწარმეთა დიდი ნაწილი მზად არის, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, გარკვეული როლი შეასრულოს უმუშევრობის შემცირებაში [36.36].

როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ქართული ბიზნესის ინტერესები უფრო და უფრო ვრცელდება სოციალურ გარემოზე. გამორიცხული არ არის, ეს ტენდენცია გადაიზარდოს სოციალური ინვესტიციების განვითარების გრძელვადიან პოლიტიკაში, თუ რა თქმა უნდა, სახელმწიფო მხარდაჭერა იქნება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომი განვითარების ძირითადი პრობლემები აგრეთვე გამომდინარეობს კერძო სექტორის სოციალურ აქტივობაზე სუსტად გამოხატულ საზოგადოებრივ მოთხოვნაში. საზოგადოებრივი მოთხოვნა ჩამოყალიბებული არ არის, საზოგადოებრივი წარმოდგენები სამართლიანობაზე დამახინჯებულია, სუსტია კომპანიების სოციალური მუშაობის საზოგადოებრივი შეფასების მექანიზმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია:

– სახელმწიფომ უზრუნველყოს თანაბარი, მკაცრი და ეფექტიანი კონტროლი ბაზრის ყველა სუბიექტის მიერ კანონით დადგენილი საგადასახადო და სხვა ფისკალური ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან, **სახელმწიფომ**: არ უნდა მიმართოს ბიზნესის პირდაპირი ან ირიბი იძულების მეთოდებს სოციალური ვალდებულებების განსახორციელებლად, თუ ეს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული;

– ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული ტრადიციული „ქაოტური“ ქველმოქმედებიდან სოციალურ ინვესტირებაზე გადასვლას, რომელიც დააჩქარებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებას;

– ძალისხმევა მიმართოს პოზიტიური საზოგადოებრივი

აზრის ჩამოყალიბებაზე ქართული ბიზნესის მიმართ და მის კონსტრუქციულ როლზე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში;

– აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, პირველ რიგში, სამოქალაქო ინიციატივების დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის გზით. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და მისი გავლენა ბიზნესზე უფრო ეფექტიანი უნდა იყოს, იგი უნდა განვითარდეს სახელმწიფოს ხელშეწყობით;

– ეკონომიკურმა სუბიექტებმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ კანონით დადგენილი ვალდებულებანი; ქველმოქმედების ნებისმიერი გამოხატულება მისასალმებელია, მაგრამ ფირმების საქმიანობაში ამოსავალი გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და მაქსიმალური უსაფრთხოება უნდა იყოს;

– ფირმებმა გამონახონ თავიანთი სოციალური აქტიურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმირების გზები, მაგალითად, სოციალური ანგარიშის მექანიზმების მეშვეობით. ამასთან, სოციალური ანგარიში ნებაყოფლობითი უნდა იყოს და ფირმებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ სოციალური აქტივობის რომელი ასპექტი განავითარონ.

ბიზნესს კონკურენტულ გარემოში უამრავი პრობლემა და თავსატეხი გააჩნია. ცხადია, საქართველოში ცივილიზებული ბიზნესის ფორმირებას დიდი დრო დასჭირდება, ამიტომ გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი ენიჭება საზოგადოებაში არსებული სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემათა მოგვარებაში. როგორც აღინიშნა, თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის შექმნა და ეფექტიანად გამოყენება. მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ (მთავრობამ), პროფკავშირებმა, სხვა სახის გაერთიანებებმა (მომუშავეთა ინტერესების დაცვა) და საწარმომ (ინდივიდი) ხელი უნდა შეუწყოს სოციალური თანხმობის მიღწევის რთული პროცესების რეგულირებას.

თავი IX. ეკონომიკური უსაფრთხოება – სოციალური ეკონომიკის ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორი

9.1. ეკონომიკური უსაფრთხოება: კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ასპექტები

საქართველო განვითარების უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. ერთი მხრივ, ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა, სიღარიბის პრობლემა მწვავე ხასიათს იძენს, განათლების, მეცნიერების განვითარების დონე დაბალია, ცოდნამ, როგორც განვითარების განსაკუთრებულმა ფაქტორმა, უკანა პლანზე გადაიწია და ამით ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის პროცესი უფრო წინააღმდეგობრივი გახდა. მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლის ობიექტური ფაქტორები (პირობები) ჩამოყალიბდა, მაგრამ სუბიექტური ფაქტორი – სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ტრანსფორმაციული პროცესების დაჩქარებას. მით უმეტეს, დღეს, როცა ეკონომიკის განვითარებაში საქართველო არამცთუ დაწინაურებულ ქვეყნებს ჩამორჩება, არამედ რეფორმამდელ პერიოდში არსებულ დონესაც.

ასეთ ვითარებაში, ქვეყანა რეალურად დადგა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის წინაშე. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ეს გამოიწვია თვისებრივად ახალმა გარე და შიდა ფაქტორებმა. გარე ფაქტორებიდან უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ გლობალიზაციით გამოწვეული მოთხოვნების სიმკაცრეს და ამით განპირობებულ მოვლენათა ერთობლიობას, რომლებსაც მიზანმიმართულად იყენებდნენ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები, სთავაზობდნენ (უფრო ხშირად თავს ახვევდნენ) პოლიტიკურ დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადას-

ვლის მსურველ ქვეყანას. რაც შეეხება შიდა ფაქტორებს, მათი მრავალფეროვნების გამო, გამოვყოფთ რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის მიზეზს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს გარდაქმნების არასწორად წარმართვას. ესენია – ქვეყნის მოსახლეობის ეიფორული მდგომარეობა, რომელიც სპონტანურად პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ გამოიწვია, დასავლეთის კულტურის ზეგავლენით ფართო გზახსნილი დემოკრატიული ფასეულობების ყალბი გაგება, რამაც წარმოშვა საკუთარი წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, საბაზრო მექანიზმების გაფეტიშება, შრომის როლის უგულებელყოფა, კრიმინალური ცნობიერების აღზევება, ეროვნული (სახელმწიფო) დოვლათისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება და სხვ.

საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, თავად ფორმირებადი სახელმწიფო, მზად არ აღმოჩნდა გარე და შიდა ფაქტორების ნეგატიური გავლენისაგან თავი დაეღწია და შექმნილი სიტუაცია – ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობა – გამოეყენებინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

რას ნიშნავს ქვეყნის უსაფრთხოება? ცნობილია, რომ ქვეყნის უსაფრთხოებად იგულისხმება მისი ისეთი ფაქტორების გავლენისაგან დაცვის ხარისხი (დონე), რომლებიც იწვევენ ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის, პროგრესული განვითარების პოტენციალის მოშლის საფრთხეს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ერთიანი (მთლიანი) სისტემა, მოიცავს სამ ძირითად შემადგენელს (ელემენტს): სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის უსაფრთხოებას, საზოგადოების უსაფრთხოებას, პიროვნებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებას [166.4].

ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორებიდან გამოყოფენ **საგარეო** და **საშინაო ფაქტორებს**. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია მოახდინოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გავლენა საერთოდ უსაფრთხოებაზე, ე.ი. ხელი შეუწყოს უსაფრთხოების განმტკიცებას ან მიიღოს

მუქარის ფორმა. ეს თავისებურება ადასტურებს ფაქტორთა ურთიერთგანპირობებულობის მაღალ ხარისხს. ამიტომ თითოეული ფაქტორის მოქმედების პრინციპების, სივრცის, მასშტაბების, ადაპტირების უნარის და სხვ. განსაზღვრა მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს უნდა ეფუძნებოდეს.

თანამედროვე პირობებში სუვერენული სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში ბოლო პერიოდში აქტიურად განიხილება **მდგრადი განვითარება**. ეს ტერმინი ბრუნვაში შემოვიდა 1987 წელს, ხოლო გაეროს ეგიდით ჩატარებულ რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე (1992 წ.) ტერმინი „მდგრადი განვითარება“ შემდეგნაირად განისაზღვრა: **მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანთა დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ცხოვრების მაღალი დონის მიღწევას გულისხმობს [118.128]. ნიშანდობლივია, რომ ამ ამოცანის შესრულებაში განმსაზღვრელია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის რაციონალური გამოყენება.**

აღიარებულია, რომ მდგრადი საზოგადოება უნდა დაეყრდნოს ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა მართვის (რეგულირების) პრინციპებს. ეს კი რთული პროცესია, რომლის დინამიკა განისაზღვრება მეცნიერების (როგორც ასეთის და არა მხოლოდ ერთი დარგის), ეკონომიკის (რომელიც ამჟამად პლანეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე ტრადიციულთან ერთად სპეციფიკურ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების ხარისხის დინამიზმს, განვითარებად ქვეყნებში კი შიმშილისაგან თავის დაღწევას). ბუნების (სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა რესურსებით, პოტენციალით გამოირჩევა და მნიშვნელოვანი შეზღუდვით ხასიათდება, მაგალითად, წყლის, ნიადაგის,

წიაღისეულის მხრივ და სხვ.) და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის მრავალმხრივი მახასიათებლებით. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სწორად განსაზღვრა. იგულისხმება არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების შეხედულებებით საკუთარი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება, არამედ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებული მოქმედებაც საერთო მიზნების მიღწევის აუცილებელი პარამეტრების დაცვის თვალსაზრისით. მაგალითად, ერთნაირად დაიცვან შემდეგი ძირითადი პირობები: სახეობების მიხედვით მოსახმარი რესურსების რაოდენობა, პროდუქციის წარმოების მოცულობა, გარემოს გაჭუჭყიანების ნორმატივები, მოსახლეობის რაოდენობა და ა.შ. ზოგადჰუმანური დატვირთვა აქვს აღნიშნულ კონფერენციაზე მიღებულ პრინციპს, რომ ყველა სახელმწიფო და ყველა ხალხი უნდა თანამშრომლობდეს სიღარიბის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი პირობის – მდგრადი განვითარების – უზრუნველყოფაში, იმ მიზნით, რომ შემცირდეს ცხოვრების დონეებს შორის განსხვავება და უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილდეს მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნილებები. ჰუმანური, თანაც ურთულესი მიზნის მიღწევა, როგორიცაა სიღარიბის დაძლევა, საერთო ძალისხმევას მოითხოვს. ამასთან, ლოგიკურად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მდგრადი განვითარებისა და ყველა ადამიანისათვის ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევისათვის სახელმწიფოები მოვალენი არიან შეზღუდონ და მოახდინონ წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელების ლიკვიდაცია და წაახალისონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა (პრინციპი 8). როგორც ითქვა, მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, დემოგრაფიული, სულიერი პრობლემების გადაწყვეტას. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალ საწყისს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მას უნდა

შეეძლოს მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება და ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ისე, რომ მომავალი თაობებისათვის საჭირო რესურსები არ ამოიწუროს. ბუნებრივია, ასეთი სისტემა უნდა ემყარებოდეს მართვის თანამედროვე პრინციპებს – პროგნოზირებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, მიზნობრივ პროგრამებს და ა.შ. და არა სტიქიურ საბაზრო მექანიზმს. ეს დასტურდება პოსტსოციალისტურ სივრცეში მიმდინარე პროცესებით. ფორმირებადი **საბაზრო მექანიზმების სტიქიურმა მოქმედებამ და ეკონომიკური პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებამ დააჩქარა ეკონომიკის სისტემური კრიზისი და ამით უფრო გაღრმავდა ეკოლოგიური პროცესები. შეიქმნა უნიკალური სიტუაცია: ერთი მხრივ, მზარდი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია და, მეორე მხრივ, მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს როლის გააქტიურებას, რათა მან შეასრულოს გარემოსა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტის ექსკლუზიური ფუნქცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხი.**

ამრიგად, ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა აღიარებულია სუვერენული სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციად. მისი შესრულება არსებითად დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობაზე, რასაც, თავის მხრივ, უამრავი ფაქტორი განაპირობებს.

ბოლო პერიოდში გაძლიერდა ყურადღება საერთოდ საზოგადოებრივი განვითარების შეფასების კრიტერიუმებისადმი. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, უნდა შეიქმნას მაჩვენებელთა ახალი სისტემა. ამ თვალსაზრისით, უფრო საიმედოდ მიაჩნიათ არა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, არამედ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მაჩვენებელთა ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ცნობილია ჰუმანური განვითარების ინდექსით. იგი, როგორც აღინიშნა, შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა

(ჯანმრთელობა), განათლების დონე და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მოცულობა (ეკონომიკური პარამეტრი). ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა მეცნიერულ ლოგიკას ეყრდნობა და სისტემურ ხასიათს ატარებს.

მდგრადი განვითარების კონცეფციისადმი ყურადღების გამახვილებას ადასტურებს ის, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს 117 ქვეყანაში შექმნილი იყო კომისიები მდგრადი ეროვნული განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მსოფლიო თანამეგობრობამ ვერ შეძლო გარემოს დაცვის სტრატეგიული გეგმების ინტეგრირება სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის საერთო სისტემაში. ამასთან, გამოიკვეთა მეტად საშიში ტენდენციაც. **მაგალითად, მდიდარმა ქვეყნებმა არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, რათა დახმარება გაეწიათ ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის და მათთვის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 0,7% გადაეცათ. მოხდა პირიქით, დახმარება 1973 წელთან შედარებით შემცირდა და მან შეადგინა მხოლოდ 0,3%. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასეთი სახის დახმარება შეამცირა 11,7 მლრდ დოლარიდან (1992 წ.) – 7 მლრდ დოლარამდე (1995 წ.). ეს ის შემთხვევაა, როცა ჰუმანური ამოცანების განსაზღვრა-განხორციელებაში ორმაგი სტანდარტი მოქმედებს [118.113].**

თანამედროვე მსოფლიოში სახეზეა წინააღმდეგობა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებებსა და არსებულ რესურსებს შორის. ეს უკანასკნელი ამოუწურავი არ აღმოჩნდა, ხოლო მათ რაციონალურ გამოყენებას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემები ვერ უზრუნველყოფენ. ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისაკენ სწრაფვა, რაც საბაზრო ეკონომიკის უმთავრეს მამოძრავებელ მოტივადაა აღიარებული, ეკონომიკის პოტენციალის, ბიოსფეროსა და ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბუნებრივი საფუძვლების მოშლის მიზეზი გახდა. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა მომავალი თაობების ინტერესების რეალური მუქარა. ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე გა-

დაყვანას, რამაც უნდა უზრუნველყოს დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია ამ სფეროში სახელმწიფოს (სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის) როლის სწორი გაცნობიერება. **ჯერ ერთი,** იგი ვალდებულია ახალ პირობებთან მიმართებაში უზრუნველყოს სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში. **მეორე,** ზემოთ აღნიშნული დეკლარაციის 2 პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება გარემოს დაცვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრონ საკუთარი რესურსები და პასუხს აგებენ იმაზე, რომ მათი იურისდიქციის ჩარჩოში ზიანი არ მიადგეს სხვა ქვეყნების გარემოს. **მესამე,** მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროცესი სახელმწიფოების მხრივ გლობალური პოტენციალის კოორდინაციის მაღალ დონეს მოითხოვს და შესაბამის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზას ეყრდნობა (მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროცესი ხანგრძლივია. იგი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, სადაც თითოეულ ქვეყანას მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია).

9.2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია – სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი

საქართველოს ეკონომიკისა განვითარება, უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარეობს. ამჟამად ერთდროულად ორი რთული ამოცანა უნდა გადაწყდეს. **ჯერ ერთი**, უნდა დაჩქარდეს ფორმირებადი ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანა და **მეორე,** ამასთან ერთად მან მდგრადი და უსაფრთხო განვითარების თვისებრივად ახალ გარემოში ეფექტიანი ფუნქციონირების უნარი უნდა შეიძინოს. ამ ამოცანების შესრულებას ერთიანი სტრატეგიული ხედვა, ერთიანი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომით ქვეყ-

ნის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა-განხორციელება სჭირდება.

ამ მიზნით 2003 წელს ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩვენი ინიციატივით და საერთო ხელმძღვანელობით დამუშავდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ორი სამეცნიერო ნაშრომი: „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია“ და „მეთოდური რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის შესამუშავებლად“.

ორივე ნაშრომი სახელმწიფომ აღიარა – 2003 წელს დაამტკიცა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ.

შემუშავებული მეთოდიკის საფუძველზე 2004 წელს ინსტიტუტი შეუდგა „2020 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამის“ დამუშავებას. შეიქმნა საკმაოდ სოლიდური მარაგ-ნაკეთი. სამწუხაროდ, ინსტიტუტის რეორგანიზაციის შესახებ ნაჩქარევი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო პროგრამაზე მუშაობა დროებით შეჩერდა.

სახელმწიფოს გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამის შემუშავების ამოსავალ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზას ეკონომიკური უსაფრთხოების ზემოთ აღნიშნული კონცეფცია[1] წარმოადგენდა. მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ მისი ზოგიერთი მხარე. კონცეფციაში ჩამოყალიბებულია პოსტინდუსტრიული ეკონომიკის (საქართველოს ორიენტირი) ძირითადი თავისებურებები და ტენდენციები. პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის დამახასიათებელია: **საკუთრების სფეროში** – საკუთრების ფორმების პლურალიზმი, ცოდნაზე, ინფორმაციაზე, ინტელექტუალურ პოტენციალზე საკუთრების წინა პლანზე წამოწევა; **განვითარების**

1 **ჭითანავა ნ., ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური იდეოლოგიის ფორმირების საფუძველი [53.VII.5-33]**

მექანიზმის სფეროში – ცოდნის, ინფორმაციის, შემოქმედებითი უნარის, მენეჯმენტის გადაქცევა განვითარებისა და ეფექტიანობის მთავარ ფაქტორად; **განვითარების სტრატეგიის სფეროში** – მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის განხორციელება; **საქმიანობის მოტივაციის სფეროში** – მატერიალურ მოტივთან ერთად განვითარების კვალობაზე ცოდნის დაგროვების, საზოგადოებაში პრესტიჟის, თვითგანვითარების მოტივების წინ წამოწევა; **ეკონომიკის სტრუქტურის სფეროში** – არამატერიალური წარმოების უპირატესი განვითარება, საქმიანობისა და აზროვნების ვირტუალიზაცია, ნანოეკონომიკის გაბატონება; **რესურსების სფეროში** – განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლა, რესურსების აბსოლუტური იშვიათობის შესუსტება და თანდათან დაძლევა; **კონკურენტუნარიანობის სფეროში** განმსაზღვრელი ხდება კონკურენტუნარიანობა ცოდნის, განათლების, ტექნოლოგიების სფეროში.

ქვეყნები, რომლებიც პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს (კანონზომიერებებს) სრულად პასუხობენ, ფაქტობრივად, გლობალიზაციის განვითარებაზე უშუალო გავლენას ახდენენ. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების დონიდან საქართველო ათეული წლებით არის ჩამორჩენილი, ბუნებრივია, ასეთი ჩამორჩენა გრძელვადიან განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

ასეთი სიტუაციის საერთო ხასიათის მიზეზებიდან უნდა გამოვყოთ უმთავრესი: საქართველოს მზადყოფნის დაბალი ხარისხი მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციისადმი, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებისადმი. ასეთი შეფასების ფონზე კონცეფციაში განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუძემდებლური პრინციპები და მათი განხორციელების ძირითადი მიმართულებები. კერძოდ, განვითარების ისტორიული გამოწვევების, მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა; გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების დაცვა; ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობა უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად; ეროვნულ უსაფრთხოებასთან და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან თავსებადობა.

გვაქვს საფუძველი ვთქვათ: კონცეფციაში სწორად, მაშასადამე, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პირობები, რომლებიც აუცილებელია დაცული იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

კონცეფციაში ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ ინტერესად აღიარებულია საქართველოს იდენტურობის, თვითმყოფადობის, თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, მისი თითოეული მოქალაქის თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარება, საქართველოს მსოფლიო მეურნეობის აქტიურ სუბიექტად გადაქცევა, რის ხელშემწყობ პირობებს ქმნის საერთაშორისო პროექტებით გათვალისწინებული „ტრასეკასა“ და „ენერგეტიკული დერეფნის“ მშენებლობა. იგი ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მნიშვნელოვანი გარანტი იქნება.

კონცეფციაში ჩამოყალიბდა შეხედულება ქვეყნის ე.წ. მეორე ეკონომიკის როლის შესახებ. იგულისხმება ის, რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების საზღვრები უფრო ფართოა და მომავალშიც ასე უნდა იყოს, ვიდრე პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ საზღვრებში ეკონომიკის ფუნქციონირება. ასეთი მიდგომა პასუხობს გლობალიზაციის და ლოკალიზაციის გამოწვევებს.

კონცეფციის მიხედვით, ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიჩნეულია სახელმწიფოს მუდმივ და უმნიშვნელოვანეს მოვალეობად. ამ ხაზგასმას ახალი სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რამდენადაც იგი გლობალიზაციის და ლოკალიზაციის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებში ქვეყნის განვითარების (ტრანსფორმაციის) მიმართულების სწორად განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რაც დააჩქარებს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანას, გააფართოებს მის მონაწილეო-

ბას მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და შესაბამისად, ხელს შეუწყობს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების პრინციპებზე მის გადაყვანას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სისტემური ანალიზისა და გლობალიზაციით ჩამოყალიბებული ტენდენციების შეფასების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეროვნულმა ეკონომიკამ, როგორც გლობალიზაციის პირდაპირი ზემოქმედების ობიექტმა, ეროვნულ ნიადაგზე განვითარების საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების გამოყენება ვერ შეძლო. ამიტომ ქვეყნის გარდაქმნების სასტარტო ეტაპზე მხარდაჭერა ჰპოვა მოდელმა, რომელიც ეყრდნობოდა საბაზრო მექანიზმების შესახებ გაზვიადებულ წარმოდგენებს. არ იქნა გათვალისწინებული დასავლეთის ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ტენდენციებიც (კანონზომიერებანი). კერძოდ, რომ მას ხანგრძლივი დრო დასჭირდა ამჟამინდელი მდგომარეობის მიღწევისთვის. ამასთან, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული ის თავისებურება, რომ დასავლეთის ეკონომიკა ეყრდნობოდა და ეყრდნობა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმის ფილოსოფიას. ამიტომ შემოთავაზებული მოდელის ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრება პოსტსოციალისტურ სივრცეში, პირდაპირ ე.წ. ისტორიული პაუზის გარეშე, ბუნებრივია, წააწყდა დიდ წინააღმდეგობებს, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა რეფორმების წარუმატებლობა. რეფორმების სასტარტო ეტაპზე უგულებელყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის (მემკვიდრეობის) გავლენა ტრანსფორმაციულ პროცესებზე და სხვ.

კონცეფციის მიხედვით, ეროვნული ეკონომიკური მოდელი ადგილობრივი პირობების, თავისებურებების, ტენდენციების და მსოფლიო პროგრესული გამოცდილების (თანამედროვე ტექნოლოგიები, მენეჯმენტი, სპეციალიზაცია და კოოპერაციის ქსელური ფორმები და სხვ.) შეხამების პრინციპებზე, ე.ი. გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების ოპტიმალური თანაფარდობის საფუძველზე უნდა აიგოს, რასაც, ბუნებრივია, სჭირდება შესაბამისი მეთოდო-

ლოგია. შეიძლება მისი ზოგიერთი ასპექტი (თავისებურება) დავასახელოთ. კერძოდ, ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების მიღმა (იზოლაციონალიზმი) ეფექტიანად ფუნქციონირებას ვერ შეძლებს, რომ ეკონომიკის განვითარების სოციალიზაცია ჰუმანიზაციის, როგორც ასეთის, გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია ხორციელდება არა იმდენად განაწილების მექანიზმის სრულყოფით, არამედ უფრო წარმოების აღმავლობით (დინამიკური განვითარებით). ქვეყნის გადარჩენილი ინტელექტუალური პოტენციალის, რომელიც, სამწუხაროდ, კარგავს საზოგადოებრივ ფუნქციას, მომავალში მაინც სწორად გამოყენება უზრუნველყოფს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს მისადაგებული ახალი ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობას. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სისტემის: ბაზარი – სახელმწიფო – სამოქალაქო საზოგადოება ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებები და ტენდენციები. კერძოდ ის, რომ საბაზრო ურთიერთობათა არსებული სიცოცხლისუნარიანი მოდელები (ვთქვათ, აშშ, გერმანიის, იაპონიის და სხვა) ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ე.წ. იდეალური საბაზრო მოდელი და დემოკრატიული ინსტიტუტები. არც საყოველთაო, ერთიანი სტანდარტები არსებობს მათი ფორმირებისათვის. მთავარია, საბაზრო ეკონომიკური სისტემა და დემოკრატიული ინსტიტუტები წარმოვიდგინოთ მთლიანობითი პროცესის ორგანულ ნაწილებად, ვაღიაროთ, რომ ბაზარი ემსახურება მთელ საზოგადოებას და არა პირიქით. აღსანიშნავია, რომ სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები გავლენას ვერ ახდენენ საბაზრო პრინციპების დამკვიდრების წინააღმდეგობრივ პროცესებზე. ამას ხელს უწყობს ის, რომ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ შეძლო საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესების გამოხატვა, იგი ბიზნესში გაითქვიფა, ძირითადად ემსახურება არა მთლიანად საზოგადოების, არამედ მისი შემთხვევით შერჩეულ მცირე ნაწილის კეთილდღეობის ამაღლებას.

კონცეფციაში განსაზღვრულია სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი პრინციპები, მიმართულებები. ნიშანდობლივია, რომ სიღარიბე განიხილება როგორც თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი უმწვავესი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა. მიჩნეულია, რომ მისი შემცირება აუცილებელი პირობაა თანამედროვე საზოგადოებაში მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობის – მოსახლეობის სოციალური პოლარიზაციის კატასტროფული შედეგების – შერბილებისათვის.

გვაქვს საფუძველი დავასკვნათ: „ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში“ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე შეფასებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამჟამად ჩამოყალიბებული პირობა-ფაქტორები, რომელთა თანმიმდევრული ამოქმედებით შესაძლებელია განვიხილოთ შემდეგი მიზნები: **პოლიტიკური** – სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოს როლის გაძლიერება, **სოციალურ-პოლიტიკური** – სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების დაჩქარება, **სოციალურ-ეკონომიკური** – პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება. **ფსიქოლოგიურ-ორგანიზაციული** – ადამიანისეული ფაქტორის გაძლიერება, საყოველთაო და არა მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ჯგუფების კეთილდღეობის, ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური რეგიონალიზაციის როლი ქვეყნის განვითარებაში. ამიტომ აუცილებელია კომპლექსურად განისაზღვროს სხვადასხვა რეგიონულ ალიანსებთან ინტეგრირების ძირითადი პრინციპები, ასევე შიდა რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით დერეგულაციის ტენდენციები. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში ფართოვდება მუნიციპალიტეტების, რეგიონული მართვის ორგანოების უფლებები და მათზე თანდათანობით ხდება სახელმწიფოს რიგი ფუნქციების გადაცემა. მაგალითად, სოციალური სფეროდან ღა-

რიბთა დახმარების, განათლების, ჯანმრთელობის, საბინაო მშენებლობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და სხვ. აღნიშნული ტენდენცია, ფაქტობრივად, გამოხატავს გლობალიზაციის გამოწვევაზე პასუხს და რეალურად უჭვენებს რეგიონების მზარდ როლს ქვეყნის განვითარებაში. ფართოდ მკვიდრდება აზრი იმის შესახებ, რომ მომავალში რეგიონები იქნებიან ის „აგურები“, რომელთაგან გლობალიზაციის უშუალო გავლენით ჩამოყალიბდება მსოფლიო სამეურნეო კავშირების ახალი სისტემა. საკითხის ასე დაყენება მიანიშნებს იმაზე, რომ აუცილებელია რეგიონების განვითარების პრობლემების კომპლექსური შესწავლა.

კონცეფციაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაეთმო თანამედროვე პირობებში ეფექტიანი სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფას. გლობალიზაციის მრავალმხრივ პროცესში ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს როლი, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მაკროეკონომიკური, მეზოეკონომიკური, მიკროეკონომიკური და ტრანსეროვნული მართვის დაბალანსებაში, ეკონომიკურ უსაფრთხოებაში სახელმწიფოს მზარდი როლის განსაზღვრისას ანგარიშგასაწევია შემდეგი თავისებურებებიც: თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის ფონზე საერთაშორისო ეკონომიკურმა ელიტამ მსოფლიო ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დაუქვემდებარა საკუთარი კაპიტალის ინტერესებს და, ბუნებრივია, იგი ამავე პრინციპით პროცესებზე ზემოქმედებას მომავალშიც გააძლიერებს. ამ თვალსაზრისით იყენებენ ზემოქმედების ისეთ ძლიერ მექანიზმს, როგორიცაა **ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია,** რომელმაც შექმნა სრულიად ახალი ეკონომიკური სივრცე. იგი ვაჭრობის (და მასთან ერთად სხვა პროცესების) ტრანსეროვნული კაპიტალის კარნახით ქმნის რეგულირების მისთვის მისაღებ პირობებს. ამ მიზნით ეფექტიანად გამოიყენება ეკონომიკის ლიბერალიზაციის ყოვლისშემძლე „ფენომენი“, რომლის მიზანი და გამოყენების შედეგიც წინასწარ ცნობილია – ეკონომიკის სა-

ხელმწიფოებრივი რეგულირების ეროვნული ინსტიტუტების მოშლა. **ასეთ სიტუაციაში ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც გარედან შემოთავაზებულ ლიბერალიზაციის პროცესს ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილებს. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სახელმწიფო სისტემაში ტრანსფორმაციის წარმმართველის ფუნქციას შეასრულებს. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ახლად შექმნილი საბაზრო ინსტიტუტები ჯერ კიდევ სუსტები არიან, ამასთან, ბუნებრივია, მათ მყარი ტრადიციებიც არა აქვთ, ამიტომ ინტეგრაციული პროცესების ინტენსივობის კვალობაზე ყოველთვის უკანა პლანზე იქნებიან, რაც ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეაფერხებს. გარდა ამისა, საერთაშორისო ფინანსურ ოპერაციებში სპეკულაციის გაძლიერების პირობებში სუსტი საბაზრო სუბიექტები სუსტი საკანონმდებლო ბაზით, არამდგრადი სისტემებით, კონკურენციის დისკრიმინაციული პირობებით „ლიბერალური ეკონომიკის“ იდეოლოგიის პრესინგს ვერ გაუძლებენ და ეფექტიანი საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პროცესს ხელს შეუშლიან.**

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ტენდენციას, რომ თანამედროვე პირობებში აუცილებელია ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების ახლებურად დანახვა და გამოყენება არა მხოლოდ საკუთრივ, არამედ მსოფლიო განვითარების ძირითადი ფაქტორების თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, რომ საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის როლი მომავალ მსოფლიო განვითარებაში მნიშვნელოვნად იზრდება. შესაბამისად, ყალიბდება არა მხოლოდ ხელსაყრელი შესაძლებლობები საქართველოს, მისი ეკონომიკის წარმატებული განვითარებისათვის, არამედ იზრდება აგრეთვე მუქარები, რისკები უსაფრთხოებისათვის. **საქართველომ უნდა შეძლოს ევროპისა და აზიის მრავალფეროვანი ინტერესების გატარების ხიდის ფუნქციის შესრულებასთან ერთად ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხელსაყრელი პირობების თანმიმდევრული გამოყენება. ამისათვის მნიშვნელოვანია**

მან საკუთარი როლი და, შესაბამისად, ობიექტურად ჩამოყალიბებული და ისტორიული განვითარების დღევანდელი ეტაპის თავისებურებებით განპირობებული ფუნქციები სწორად განსაზღვროს და, რაც მთავარია, უზრუნველყოს მათი განხორციელება. ამიტომ აუცილებელია საქართველოს გეოეკონომიკური დოქტრინის შემუშავება, მსოფლიო შემოსავლებში საქართველოს წილის გადიდების უზრუნველყოფა, კავკასიის ეკონომიკურ სივრცეში პოზიციების გაძლიერება (დემოგრაფიული სიტუაცია, ცხოვრების დონე, ეროვნული თვითმყოფადობა და სხვ.), საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ, ინფორმაციულ, ტექნოლოგიურ სივრცეში ინტეგრაციის გაღრმავება და ა.შ. ასეთი რთული ამოცანების გადაწყვეტას სჭირდება ძლიერი სახელმწიფო და სწორ კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ ბაზაზე ჩამოყალიბებული მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კომპლექსური პროგრამა (განვითარების სცენარი).

ქვეყანამ უნდა იცოდეს რა, როდის და როგორ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე ამაღლდეს და მიაღწიოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს (ხარისხს). ეს მხოლოდ ხელისუფლების ერთი თაობის ამოცანა არ არის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპებზე ჩამოყალიბებული მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია. ამისათვის საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორად განისაზღვროს ქვეყნის განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლის ჩარჩო-პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტრიადის: გარემო (ბუნებრივი პირობები) – მოსახლეობა – ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების ერთიანობას.

გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია ძირითადად პასუხობს აღნიშნული ჩარჩო-პირობების ჩამოყალიბების ამოსავალი მეთოდოლოგიური ბაზის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

განვითარების ახალ პრინციპზე გადასვლა მოითხოვს

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კოორდინირებულ მოქმედებას, რაც მხოლოდ სახელმწიფოებრივი რეგულირების დონის ამაღლებით იქნება შესაძლებელი. ამ საქმეში განსაკუთრებით იზრდება მეცნიერების როლი. ჩვენი აზრით, საქართველოში ამჟამად მომზადებულია მატერიალური, ორგანიზაციული და სამეცნიერო პოტენციალი გლობალური პრობლემების გადაწყვეტის, კერძოდ, ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის უზრუნველმყოფი ღონისძიებათა განსაზღვრის მიზნით სპეციალიზებული სამეცნიერო სტრუქტურის (დაწესებულება, ინსტიტუტი, ცენტრი) ჩამოყალიბებისათვის. მან უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს განვითარების (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური) პოლიტიკის სამეცნიერო მომსახურება. საქართველოს ჯერ კიდევ გადარჩენილი ინტელექტუალური პოტენციალი ამის შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყანას დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმისათვის, რომ მსოფლიოში მიმდინარე სწრაფად ცვალებად პირობებთან ადაპტირება უზრუნველყოს. ეს მაშინ არის შესაძლებელი, თუ თავად ფორმირებადი სახელმწიფო ეტაპობრივად, კომპლექსურად განახორციელებს ტრანსფორმაციული პროცესებისა და განვითარების სტრატეგიის ადეკვატურ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას.

9.3. ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა

მსოფლიო პროცესებში ეროვნული ეკონომიკის ჩართვა იმ დროს დაიწყო, როცა თვისებრივად შეიცვალა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების შინაარსი, რესურსების გაცვლის ხასიათი და რეგულირების მექანიზმები. ამჟამად, მსოფლიოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის ძირითად და კანონზომიერ ტენდენციად გლობალიზაციის პროცესს მიიჩნევენ. გამოვლინდა მისი ახალი ნიშან-თვისებები, კერ-

ძოდ, საერთაშორისო კავშირების გაფართოებამ გამოიწვია ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, შესაბამისად ეროვნული მეურნეობების გახსნა და კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ნაკადების დაჩქარება. მსოფლიო ეკონომიკა თანდათანობით გარდაიქმნება მთლიანობით ეკონომიკურ სისტემად, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკების განვითარების სტრატეგიას. დაფიქსირდა მატერიალურ წარმოებასთან შედარებით საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსების და ინვესტიციების მოცულობათა წინმსწრები ზრდა. ეს ახალი მოვლენები ადასტურებს იმას, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ აღნიშნული ტენდენციების გაუთვალისწინებლად სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. ნიშანდობლივია, რომ გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროზე. განსაკუთრებით ძლიერდება გლობალიზაციის ერთ-ერთი წამყვანი სუბიექტის – **ტრანსეროვნული კორპორაციების** როლი ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში. ამასთან, ფართოვდება ეკონომიკის რეგიონალიზაციის პროცესებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესების უპირატესობებს ეფექტიანად იყენებენ უფრო მეტად განვითარებული ქვეყნები. ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტანდარტებით ზემოქმედების მათ მიერ შექმნილი მაკოორდინირებელი მექანიზმები. ასეთ სიტუაციაში ახალ გარემო-პირობებთან ადაპტირების პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის განვითარებად, განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებს ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრისას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას, არის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია და ამის შესაბამისად ეკონომიკის გახსნილობის დონე. ერთი მხრივ, საგარეო-ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა, რაც აძლიერებს ეროვნულ ეკონომიკაზე გარე ფაქტორების ზემოქმედებას,

მეორე მხრივ, ეროვნული თავისებურებების, ტრადიციების თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც საბოლოოდ ეკონომიკური უსაფრთხოებით მოიაზრება, მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრევენციული (წინასწარი) ღონისძიებების განხორციელებას, რაც ისტორიული გამოწვევების, ეკონომიკური მუქარების, უსაფრთხოების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრას და რეალიზაციას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის შესახებ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ცალკეული მკვლევარების აზრით, აუცილებელია (განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში) ზღვრული მაჩვენებლების განსაზღვრა, რომელიც ქვეყნისათვის სტრატეგიული საქმიანობის ორიენტირს წარმოადგენს. საყოველთაო აღიარებით, **ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებია: მშპ მოცულობა, რომლის ფარგლებს იქით შეუძლებელია ეკონომიკის გაფართოებული აღწარმოება; მრეწველობის, მეცნიერტევადი და მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი დარგების, ხვედრითი წილი და ზრდის ტემპები; იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში; მოსახლეობის ცხოვრების დონე (სიღარიბის ზღვარი); ბუნებრივ-ეკოლოგიური პოტენციალის აღწარმოების მაჩვენებლები; სახელმწიფო მატერიალური და ფინანსური რეზერვები; საგარეო ვალი მშპ მიმართ (%), დანახარჯები მეცნიერებაზე მშპ მიმართ – (%), ინვესტიციების წილი მშპ მიმართ (%) და ა.შ.**

საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე საერთო წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 9.1.

საქართველოს ეროვნული ინტერესების შემადგენელი ნაწილია მისი ეკონომიკური ინტერესები. მათ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად განეკუთვნება:

მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება; გაფართოებული აღწარმოების რეჟიმში ეკონომიკის ფუნქციონირების უნარი; ერთიანი ეკონომიკური სივრცე; სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის

ცხრილი 9.1

საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზღვრული სიდიდე	ფაქტობრივად				
		1994 წ.	1997 წ.	2000 წ.	2003 წ.	2006 წ.
1. მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემის დონე (%)	30	72,2	64,7	61,9	53,2	40,6
2. სამრეწველო წარმოების დაცემის დონე (%)	30	80,6	80,5	79,1	75,8	65,6
3. მოსახლეობის რაოდენობა საარსებო მინიმუმს ქვემოთ (%)	10	80,5	44,2	51,8	54,5	40,3***
4. უმუშევრობის დონე (%)	7	-	10,3	10,3	11,5	13,6
5. საგარეო ვალი მშპ მიმართ (%)	25	-	-	44,6	35,5	17,0
7. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	70	72,6*	-	-	71,5	73,1**
8. ინვესტიციების წილი მშპ მიმართ (%)	23	-	18,5	26,1	26,7	25,6

წყარო:

«Обшественные науки», №1, 1999, ст р. 18 და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

* (1989 წ. მონაცემი)

** საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება 2005, სშჯსდ სამინისტრო, თბ., 2007, გვ. 13.

*** სიღარიბის გაანგარიშების ახალი მეთოდიკით.

მიღწევა; ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკის აქტიურ სუბიექტად გადაქცევა; ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვი-

თარების პრინციპებზე გადასვლა;

როგორია დღევანდელი საქართველოსათვის ისტორიული გამოწვევები ანუ ობიექტურად ჩამოყალიბებული რეალობა, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ქვეყნის ისტორიულ განვითარებაზე, ასეთია:

გლობალიზაციით განპირობებული გამოწვევა, უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება, რაც გლობალურ პროცესებს თან ახლავს;

ლოკალიზაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევა. კავკასიის რეგიონში საქართველოს პოზიციების (ეკონომიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული სიტუაცია და ა.შ.) გაძლიერება, სხვადასხვა რეგიონულ გაერთიანებაში ინტეგრაცია.

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებული გამოწვევა.

ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე გამოიკვეთა გარეგანი და შინაგანი მუქარები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. **ზემოთ აღნიშნული კონცეფციით გარეგან მუქარებს მიეკუთვნება:**

საერთაშორისო ეკონომიკაში, მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში საქართველოს მონაწილეობის დაბალი დონე. (ამასთან, საერთაშორისო პროექტების განხორციელებით ყალიბდება ხელსაყრელი პირობები საერთაშორისო შემოსავლებში ეროვნული ეკონომიკის როლის გაზრდისათვის); ეროვნული ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა; სამუშაო ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია (ეს მოვლენა შეიძლება შეიცვალოს თვისებრივად ახალი ტენდენციით, თუ ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევით მათი გამოცდილების – საზღვარგარეთ შეძენილი ცოდნის, უნარის გამოყენების გარემო შეიქმნება); კაპიტალის გადინება (შესაძლებელია საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის თანდათანობით ეროვნულ ეკონომიკაში გადმონაცვლება შესაბამისი სტიმულების ამოქმედებისას. ეს პროცესი დაიწყო, მისი დაჩქარება სახელმწიფოს გონივრული პოლიტიკით რეალურად

შესაძლებელია); საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან, ახალ რეალიებთან ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და მენეჯმენტური შეუთავსებლობა (დაბალი დონე, არასრულყოფილი სტრუქტურები, გამოუცდელობა); ქვეყნის შიდა ბაზრის გაჯერება საზღვარგარეთის ფირმების მიერ ფართო მოხმარების მრავალი სახეობის პროდუქციით (მათ შორის სურსათისა და ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე ქვეყნის არსებითი დამოკიდებულება).

ქვეყნის შინაგან მუქარებს მიაკუთვნებენ: ინტელექტუალური, საგანმანათლებლო, ინოვაციური პოტენციალის ჩამორჩენილობა განვითარებული ქვეყნების დონისაგან; მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება და სიღარიბის მაღალი დონე; საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება; ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, რაც წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის დაბალი დონით, ინფორმაციული სექტორის ჩამორჩენილობითა და სხვა მიზეზებით არის განპირობებული; ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის არამდგრადი ხასიათი; ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის, განვითარებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის უქონლობა; ფინანსური უსაფრთხოების დაბალი დონე; ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და მათი გამოთანაბრების გარემოს უქონლობა; საზოგადოებისა და სამეურნეო საქმიანობის კრიმინალიზაცია (უკანასკნელ წლებში ხასიათდება შემცირების ტენდენციით).

ზემოთ აღნიშნული ისტორიული გამოწვევების, გარეგანი და შინაგანი მუქარების (განვითარების კვალობაზე შეიძლება ზოგიერთი მათგანი შერბილდეს, გაძლიერდეს ან სრულიად ახალი ფორმით გამოჩნდეს) გათვალისწინება და ადეკვატური ზომების განხორციელება სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანაა.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება წარმოდგენილია შემდეგნაირად: **ადამიანის უსაფრთხო-**

ება; მაკროეკონომიკური უსაფრთხოება; მეზოეკონომიკური უსაფრთხოება; მიკროეკონომიკური უსაფრთხოება; მეგაეკონომიკური უსაფრთხოება [53.VII.43]. ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების ძირითად ელემენტებად მიჩნეულია ადამიანის განვითარების პოტენციალის დონე და ცხოვრების ხარისხი; ადამიანის შრომითი, სასურსათო, ფსიქოლოგიური უსაფრთხოება; ადამიანის გაფართოებული აღწარმოების ეკონომიკა; ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობა და სხვ.

კონცეფციის მიხედვით, **მაკროეკონომიკური უსაფრთხოება** მოიცავს: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, გაფართოებული აღწარმოების შემაფერხებელ ფაქტორებს და წინააღმდეგობებს, დისპროპორციების წყაროებს, კრიზისის შემქმნელ დეზინტეგრაციულ ტენდენციებს, ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგან და გარეგან მუქარებს და სხვ.

მეზოეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრად ტრაექტორიაზე გადასვლას, რეგიონთაშორისი ტექნოლოგიური და საწარმოო კომპლექსების ჩამოყალიბებას, ქვეყნის ტერიტორიული და სივრცობრივი ორგანიზაციის, ურბანიზაციისა და რეალიზაციის პროცესების ოპტიმიზაციას და სხვ.

მიკროეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ელემენტებია: განვითარებული ბაზრების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; კონკურენტული გარემოს შექმნა; მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის თანაფარდობის ოპტიმიზაცია; საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების განვითარება; ქსელური ფირმების გავრცელება; რესურსული უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასურსათო, ენერგეტიკული, სანედლეულო, ინფორმაციული, კომუნიკაციური, სავაჭრო უსაფრთხოების სისტემის დამკვიდრებით ნანოეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალიზება; უპირატესად არაგანახლებადი რესურსების გამოყენებიდან უპირატესად განახლებადი რესურსების გამოყენებაზე გადასვლა და სხვ.

თანამედროვე პირობებში იზრდება **მეგაეკონომიკური**

უსაფრთხოების მნიშვნელობა. იგი გულისხმობს გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციას, ეკონომიკის რესურსული დამოუკიდებლობის მიღწევას, ეკონომიკური ზრდისა და ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას, ინტეგრაციულ გაერთიანებებში ქვეყნის წარმატებულ თანამონაწილეობას და სხვ.

ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური მართვა ემყარება მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც, გარდა ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურული ელემენტებისა, ერთდროულად ეკონომიკის ფუნქციონალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ ინდიკატორებსაც ითვალისწინებს.

კონცეფციის მიხედვით **ფუნქციონალური უსაფრთხოების** ინდიკატორთა სისტემა მოიცავს: ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების ინდიკატორებს; სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორებს; ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების მართვისათვის განსაზღვრავენ მისი პარამეტრების პესიმისტურ და ოპტიმისტურ ზღვრულ სიდიდეებს. პესიმისტურს უწოდებენ იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ეკონომიკა მძიმე კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდება, მისი სრული ან ნაწილობრივი ნგრევა, დეგრადაცია და ფუნქციონირების მოშლა იწყება. ოპტიმისტურია ზღვარი, რომლის დროსაც, ან გადაჭარბებისას, ეკონომიკაში დამანგრეველი, ღრმა და ხანგრძლივი კრიზისული პროცესები არ განვითარდება.

თანამედროვე პირობებში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება. მის უზრუნველსაყოფად აუცილებელია იმ პრინციპების განსაზღვრა, რომლითაც შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდება. კონცეფციის მიხედვით ასეთი პრინციპებია:

თითოეული ადამიანის სრულყოფილი დაბალანსებული განვითარება, ადამიანთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის მინიმუმამდე დაყვანა, ადამიანის

აღწარმოების ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისობა. ადამიანის სრულყოფილების განვითარების არსიდან გამომდინარე ისეთი ფასეულობების დაცვა, როგორიცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, ბედნიერება, საკუთარი შესაძლებლობების, უნარის მაქსიმალურად გამოყენება; საკუთარი მოვალეობის, პასუხისმგებლობის რეალიზაცია ოჯახის, შთამომავლობის, სამშობლოს, კაცობრიობის წინაშე. ამასთან, გასათვალისწინებელია ადამიანის ფუნქციონალური მოთხოვნილებების სტრუქტურაც. პირველ რიგში, მატერიალური, სოციალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური, სულიერი მოთხოვნილებები.

აღსანიშნავია შემდეგი თავისებურებაც. მოთხოვნილებების შესაბამისად ყალიბდება ადამიანის არსებობისა და სიცოცხლის მიზნების (პრესტიჟის, ცოდნის, სიმდიდრის, შემოქმედების და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება) მიღწევის მოტივაციები. პირველი – ადამიანის არსებობის, უპირატესად ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მოტივაცია ინდივიდის კეთილდღეობაზე ორიენტირებული და თავისი ხასიათით ეგოისტურია, მეორე – ოჯახის, კოლექტივის, საზოგადოების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული და ალტრუისტულია. მიჩნეულია, რომ ორივე ორიენტაცია ობიექტურია და განვითარების ყველა ეტაპზე მათი ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა აუცილებელია.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დროს ეგოისტური მოტივი უფრო სჭარბობს, ხოლო კეთილდღეობის ამაღლების კვალობაზე ალტრუისტული მოტივაცია ძლიერდება. ეს ტენდენცია ნათლად გამოვლინდა საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში – პირველი, სახელმწიფო ქონების მასობრივი პრივატიზაციის ფონზე, მეორე, ეკონომიკის შედარებითი სტაბილიზაციის კვალობაზე საქველმოქმედო საქმიანობის ცალკეული ფორმების გამოყენებით, როგორიცაა ადამიანების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებისათვის მატერიალური მხარდაჭერა, ტაძრების, ეკლესიების ინდივიდუალური სახსრებით აშენების, რეს-

ტავრაციის მაგალითების ფართოდ გავრცელება და სხვ. პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენების პროცესში მოტივაციურ სისტემაში მთავარ პრინციპად აღიარებენ პიროვნების სრულყოფის, ინტელექტუალური განვითარების, ახალი ცოდნის წარმოების, სოციალური აღიარების პოსტმატერიალისტურ მოტივებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოსავლების, მაქსიმალური მოგების მიღების მოტივებმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს. როგორც არაერთგზის აღინიშნა, შემოსავლების ზრდის გარეშე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, შესაბამისად, საზოგადოების მაღალგანვითარებულობის მიღწევა შეუძლებელია.

მოტივაციის ახალი სისტემის დამკვიდრება მოითხოვს საწარმოო ბაზის თვისებრივ გარდაქმნას, ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფას, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას. როგორც ჩანს, ქვეყანა დღეს ისტორიული განვითარების ისეთ ეტაპზეა, როდესაც ერთდროულად უნდა გადაწყდეს რამდენიმე რთული ამოცანა. კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა. იგი კომპლექსური პრობლემაა და დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ პოლიტიკაზე (მისი მრავალმხრივი გაგებით), მენტალიტეტზე, ფასეულობათა გათავისების ფსიქოლოგიურ გარემოზე, ორგანიზაციულ-მმართველობითი ფუნქციების ადეკვატურობაზე და, რაც ყოველმხრივ გასათვალისწინებელია, დიდ ინვესტიციებზე და სტაბილური განვითარების ხანგრძლივ პერიოდზე. პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების სტრატეგიული ორიენტირი, რომელიც გამომდინარეობს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ლოგიკიდან, შესაბამისი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების, განმტკიცებისა და აღწარმოების უზრუნველყოფა და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა – მიიღწევა საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში მიზანშეწონილობის პრინციპით მონაწილეობის სწორი სტრატეგიის პირობებში.

დროსა და სივრცეში ზემოთ აღნიშნული პრობლემების

ერთდროულად გადაწყვეტის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესში ლოგიკურია გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია. ამ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის კონტექსტში პრიორიტეტულად მიჩნეულია კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური ზრდის, დემოგრაფიული, სიღარიბის დაძლევის, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების, სოციალური დაცვის და სხვ. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების გამოყენება. თითოეულ პროგრამაში საერთო სტრატეგიული ხედვის შესაბამისად განისაზღვრება მიზანი, ამოცანები, ეტაპები, რეალიზაციის მექანიზმები.

9.4. ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები და რეგულირების მეთოდები

კაცობრიობამ „რიო-დე-ჟანეიროს“ 1992 წლის სამიტზე, „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“ დეკლარაციით აღიარა განვითარების მეთოდოლოგიური სამერთიანობა: **სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება**. ეს მიდგომა წარმოადგენს განმსაზღვრელს (წარმმართველს) საზოგადოების შემდგომ პროგრესში. **ჯერ ერთი,** იგი რეალურად გამოხატავს სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთქმედების სრულიად ახალ პრინციპებს და, **მეორე,** შეესაბამება როგორც გლობალურ, ასევე ეროვნული ეკონომიკების საერთო ინტერესებს. ნიშანდობლივია, რომ დღეს განვითარებულ ქვეყნებში გარემოს დაცვისადმი დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება ადრე არსებულისაგან. ამ მოვლენას რიგი ფაქტორებით ხსნიან. სახელმწიფოები ახორციელებენ იმ კერძო საწარმოების წახალისებას, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ გარემოს დაცვაში. შეიცვალა დამოკიდებულება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიმართ. განვითარებული ქვეყნები თავიანთ ეკოლოგიურ პოლიტიკაში ითვალისწინებენ ისეთი ეკონომიკური (ტექნოლოგიური) მოდელების დანერგვას, რომლებშიც მაქსიმალურად იქნება გაერთიანებული ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის

ინტერესები. მატერიალური წარმოების და ენერგოტევადობის შემცირება, ენერგიის ალტერნატიული წყაროების მეცნიერული დამუშავებების დაფინანსება, ეკონომიკური ზემოქმედება, მოსალოდნელი გაჭუჭყიანების თავიდან აცილება (პროფილაქტიკა) და სხვ. თანამედროვე პირობებში განვითარებულ, უპირატესად სოციალური ორიენტაციის, ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებას. შესაბამისად იცვლება ბუნებათსარგებლობის ადრინდელი ნორმატივები, მეთოდები. მთელ რიგ ქვეყნებში ის საკითხები, რომლებიც ბუნებათსარგებლობას (ეკოლოგიას) ეხება, უშუალოდ მიეკუთვნება სახელმწიფოს კომპეტენციას. მიუხედავად ზოგიერთი პოზიტიური შედეგისა, რომელიც თან ახლავს მსოფლიოში ეკოლოგიურ განვითარებას, მდგომარეობა კატასტროფულ ხასიათს იძენს. ეკონომიკის განვითარებამ მწვავე, საყოველთაო მნიშვნელობის ეკოლოგიური პრობლემები შექმნა, რომლებიც გამოირჩევიან სიმძაფრით, მასშტაბებით, წინააღმდეგობრივი ხასიათით. კაცობრიობამ გამოიყენა პრაქტიკა, რომელიც ეყრდნობოდა ბუნებისადმი პრაგმატისტულ მიდგომას, მაღალ ტექნოლოგიებს, ბუნებისადმი მტაცებლური დამოკიდებულობისა და შესაბამისად, მაქსიმალური მოგების მიღების პრინციპს. ნეგატიურმა შედეგებმაც არ დააყოვნეს. ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა რთული კვანძი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა პრობლემებისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური პრობლემა ძლიერი ინტერნაციონალური ბუნებით გამოირჩევა. ამიტომ მისი გადაწყვეტისათვის უნივერსალურ მიდგომებთან ერთად საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით.

დადგა ის დრო, როცა ბუნება მასზე მიყენებული ზიანისათვის ადამიანზე (საზოგადოებაზე) შურს იძიებს. ამას დღევანდელობა ადასტურებს. მსოფლიოს სამეცნიერო, სახელმწიფო და სხვა სტრუქტურების (ცენტრების) გაანგარიშებით, პლანეტაზე ბუნების აუთვისებელი ნაწილის მხო-

ლოდ 39%-ია (ანტრაქტიდას გამოკლებით) შენარჩუნებული, ტყისა – 73%, სასოფლო-სამეურნეო მიწების 25% დეგრადირებულია. ოზონის ფენა, რომელიც ისრუტავს ბიოლოგიურად საშიშ რადიაციას, ინტენსიურად იშლება. მისი ფენის შემცირების სიჩქარე წელიწადში 1-2%. XX საუკუნეში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა ერთი გრადუსით ამაღლდა. მიწის, წყლის, ატმოსფეროს გაჭუჭყიანებამ, მათ შორის რადიაციამ ფართო მასშტაბები მიიღო [190.46].

თანამედროვე პირობებში გარემოს დეგრადაციის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემებია: **წყლის დაბინძურება და დეფიციტი; ჰაერის გაჭუჭყიანება**; **მყარი საშიში ნარჩენები**; **ნიადაგის ეროზია; ტყეების განადგურება**; **ნიადაგის ეროზია; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება; ატმოსფეროს რადიკალური ცვლილებები და ა.შ.**

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი – 1,3 მლრდ ადამიანი ხარისხიანი სასმელი წყლის გარეშეა, ხოლო წყალზე მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს მოსახლეობის 75%. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია XXI საუკუნის მეორე ნახევარში სუფთა წყლის რესურსების ამოწურვა (მტკნარი წყალი აუცილებელია არა მხოლოდ ადამიანებისათვის, არამედ მცენარეებისა და ცხოველებისათვის; მის გარეშე დედამიწაზე არსებობა შეუძლებელი ხდება). ასევე დადგენილია, რომ მეტად საშიშია წყალსაცავებში წყლის ტემპერატურის მომატება, რაც იწვევს წყალში მობინადრე ცოცხალი ორგანიზმის დაღუპვას [179.64].

ნიადაგის გამოფიტვა კვლავაც გრძელდება. ექსპერტების აზრით, ამჟამად უკვე დაკარგულია 20 მლნ ჰა სახნავი. გარდა ამისა, პროდუქტიული მიწების შემცირება ხდება სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვ. მშენებლობის ხარჯზე. გამოთვლილია, რომ კაცობრიობა სახნავი ფართობის შემცირების გამო ყოველწლიურად 30 მლნ. ტონა მარცვალს კარგავს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ტყის ფართობი ყოველწლიურად 6 მლნ ჰექტარით მცირდება. თუ 100 წლის წინ

ხმელეთის 3/4 ტყეს წარმოადგენდა, ამჟამად იგი მხოლოდ 1/4-ს შეადგენს. გაანგარიშებულია, რომ ოკეანეებიდან ყოველწლიურად ადამიანებს თევზისა და ზღვის პროდუქტების პოპულაციის 70% ამოაქვთ, რის გამო თევზის ბევრი სახეობა ნადგურდება. იწურება ნავთობის, ნახშირის, რკინის მადნის რესურსები. ისინი პლანეტაზე არათანაბრად არიან განაწილებული, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს კონფლიქტური სიტუაციების გამწვავებას.

ამჟამად, გარემოზე **ანტროპოგენური დატვირთვა** იზომება ორი ფაქტორით: დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობით და ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბებით. დედამიწის ზღვრული შესაძლებლობების შეფასებისათვის გამოიყენება ორი მოდელი: რესურსული და ბიოსფერული. ორივე მოდელის მიხედვით ცენტრალურ პრობლემად აღიარებულია მოსახლეობის ზრდა. რესურსული მოდელის მიხედვით (დ. მედოუზი და სხვ.) პლანეტაზე დასაშვებია 8 მლრდ ადამიანის ცხოვრება (ამჟამად ცხოვრობს თითქმის 6,5 მლრდ ადამიანი); ბიოსფერული მოდელის მიხედვით (ვ. გორშკოვი) პლანეტაზე მოსახლეობის დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია 1-2 მლრდ ადამიანით ანუ გაცილებით ნაკლები, ვიდრე ამჟამად დედამიწაზე მცხოვრებთა რაოდენობაა [179.65].

ზემოთ აღნიშნული სიტუაცია მეცნიერების მიერ შეფასებულია, როგორც კაცობრიობის შესვლა კატასტროფულ ფაზაში. ექსპერტთა აზრით, ამჟამად კაცობრიობა ეკოლოგიურ კრიზისშია. ეკოლოგიური კრიზისი ნიშნავს გეოგრაფიული გარემოს მდგომარეობაში ისეთ ცვლილებებს, რომელიც საზიანო და მავნებელია ადამიანების ჯანმრთელობისათვის. გამოყოფენ კრიზისის ორ ძირითად მიზეზს: კლიმატის შეცვლას და გარემოზე ანტროპოგენურ (ადამიანის) გავლენას. ორივე შემთხვევაში საზოგადოების განვითარებაში რადიკალური ცვლილებები ხდება. ბუნებრივია, რომ კაცობრიობა გამოსავლის მუდმივ ძიებაშია. მეცნიერთა აზრით, საჭიროა რამდენიმე პრობლემის გამოკვლევა: კრიზისის გამომწვევი მიზეზების, მისი დაძლევის გზების შესწავლა; შესაძლებე-

ლია თუ არა ეკონომიკური ზრდისა და გარემოს დაცვის პრინციპების შეთავსება ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტით; რა საშუალებებითა და მეთოდებით უნდა მოხდეს ეკოლოგიური კრიზისის დაძლევა.

ამ საკითხებზე სხვადასხვა შეხედულება, მიდგომა არსებობს. პირველ რიგში დგება საკითხი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის – ტიპის (მოდელის) შესახებ. ამ თვალსაზრისით ორი ძირითადი მიდგომა დაუპირისპირდა ერთმანეთს. რადიკალური მიდგომის მიხედვით, კაპიტალისტური (საბაზრო) ეკონომიკური სისტემა კაცობრიობას ვერ გამოიყვანს კრიზისიდან, იმდენად, რამდენადაც მას არ გააჩნია შინაგანი მექანიზმი, რომელიც შეაჩერებს ეკოლოგიურ კატასტროფას. არგუმენტებად მოჰყავთ ის, რომ აღნიშნულ სისტემას არ შეუძლია მოგების მიღების, ბუნებრივი რესურსების გაჩანაგების ტრადიციული პრინციპები რადიკალურად შეცვალოს, მათზე უარი თქვას. ამისათვის მან თვისებრივი ცვლილებები უნდა განიცადოს, რაზედაც იგი ნებაყოფლობით არ დათანხმდება. ამ მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ეკოლოგიური სოციალიზმის სისტემას დიდი პერსპექტივა გააჩნია. იგი რეალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემაა, რომელსაც შეუძლია შექმნას მართვადი, პროგრამული ეკონომიკა და მოიცვას მთელი სისტემა – საზოგადოება-ეკონომიკა-ბიოსფერო-გარემო-ბუნებრივი რესურსები, ე.ი. პროცესები უნდა იყოს რეგულირებადი.

ამ მიდგომას უპირისპირდება პოსტკლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნების მეცნიერთა ერთი ნაწილი. მათი აზრით, გლობალური ეკოლოგიური კრიზისიდან გამოსვლა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო ურთიერთობანი შეუზღუდავად განვითარდება [190.50]. ამ მიდგომის ცენტრალური იდეა სახელმწიფოს როლის შეზღუდვას გულისხმობს. როგორც ჩანს, სახეზეა ორი განსხვავებული პოზიცია.

რომელი მივიჩნიოთ ჭეშმარიტებად? ჩვენი აზრით, არც ერთი და არც მეორე. გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მიმართ ცალმხრივი ე.წ. იდეოლოგიური მიდგომები უნდა გამორიცხოს. რთული ეკოლოგიური პრობლემების

გადაწყვეტა კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას მოითხოვს. გლობალური ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე (მოდელზე), პირიქით, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში ახლებურად არის განხილული ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერთდამოკიდებულება. ნათქვამია, რომ კაცობრიობა მაშინ აღწევს დადებით შედეგებს, როცა იგი გააცნობიერებს, რომ ეკოლოგია ეკონომიკის ანტაგონისტი კი არა, არამედ ობიექტურად არსებული სისტემაა, რომლის მოთხოვნების დაცვის გარეშე ეკონომიკა ვერ იფუნქციონირებს, რადგანაც ეკონომიკას აქვს უნარი დაანგრიოს სახლი – დედამიწა – ადამიანის ცხოვრების პირველი საფუძველი.

საინტერესოა ტერმინის **„ეკოლოგია“** წარმომავლობა, პირველად იგი გამოიყენა გერმანელმა ბიოლოგმა ერნსტ ჰეკელმა (1868 წელს) წიგნში „წარმოშობის ბუნებრივი ისტორია“. იგი ბერძნული სიტყვიდან „ოიკოს“ (ნიშნავს სახლს, საცხოვრებელს) წარმოიშვა და ორი მეცნიერების საწყისი არის: ეკოლოგიის და ეკონომიკის. ადამიანების საქმიანობის ეს ორი სფერო (ეკოლოგიური და ეკონომიკური) და მათი შესაბამისი მეცნიერებები მჭიდრო ურთიერთკავშირში განსაზღვრავენ განვითარების საბაზრო და სახელმწიფო მართვის ფორმებს, მეთოდებს და საზღვრებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარებას კომპლექსური ხასიათი აქვს, და არსებითად მას ეკოლოგიური მოთხოვნები განსაზღვრავენ.

როგორც აღინიშნა, დიდი ეკონომისტი უ. პეტი ნივთიერი სიმდიდრის შესახებ ამბობდა, რომ მას ორი მშობელი ჰყავს; დედა – მიწა, მამა – შრომა. იგი 350 წლის წინათ ითქვა, მაგრამ დღესაც ძალაშია ეს გონივრული გამონათქვამი. დღევანდელობის გათვალისწინებით სიტყვა „მიწა“ მიზანშეწონილია შეიცვალოს უფრო ფართო ცნებით „ბუნება“, რამდენადაც მზეც და კოსმოსიც უშუალოდ მონაწილეობენ

ადამიანების ცხოვრებაში, მათ მიზანმიმართულ საქმიანობაში [127.494].

ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას დადებითი ეკოლოგიური შედეგების მიღების გათვალისწინებით, საჭიროა შემდეგი ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობა:

– უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა; დროული გაფრთხილება, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციების აქტიური დანერგვა; რესურსების რაციონალური გამოყენება; საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ამაღლება (იხდის ის, ვინც აბინძურებს). ცხადია, ასეთი ფუნდამენტური მოთხოვნების შესრულებას შესაბამისი მატერიალური, სამეცნიერო და ინტელექტუალური საფუძველი სჭირდება. მისი შექმნა კი ხანგრძლივ დროს და დიდ მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყნის განვითარების ეკოლოგიური სტრატეგია განხორციელდეს? საჭიროა ეკოლოგიური პრობლემების საყოველთაო შესწავლა – გააზრება; ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის (ეკოლოგიური ასპექტი) გაცნობის მიზნით საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება; მიზნობრივ – პროგრამული მიდგომების საფუძველზე სახელმწიფოს სტრუქტურების მიზანმიმართული საქმიანობის განსაზღვრა; წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა; საზოგადოებისა და გარემოს ჯანმრთელობისა და გაჯანსაღების განმტკიცება.

ეკოლოგიური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ინსტიტუციური წანამძღვრების მომზადება. ეს ნიშნავს: ისეთი ინსტიტუტების (სტრუქტურების) შექმნას, რომლებიც გარემოს ფუნქციონირებას კომპლექსურად შეისწავლიან და მიზნობრივ ღონისძიებებს განახორციელებენ, შეიმუშავებენ შესაბამის კანონებს, ნორმატივებს, წესებს, მექანიზმებს ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

რაციონალური ბუნებათსარგებლობის სახელმწიფოებრი-

ვი რეგულირების მეთოდები მრავალფეროვანია. ფართოდ გამოიყენება შემდეგი ძირითადი მეთოდები:

1. ინდიკატიური მეთოდები. ფასიანი ბუნებათსარგებლობა; საჯარიმო სანქციები; ეკოლოგიური დაზღვევა; საგადასახადო შეღავათები (უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვისას), წამახალისებელი ფასების დაწესება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, შეღავათიანი დაკრედიტება (იმათთვის, ვინც ბუნებისდამცავ ღონისძიებებს ატარებს).

2. ადმინისტრაციული მეთოდები. ლიცენზირება; ბუნებათსარგებლობის ლიმიტების დაწესება; ბუნების-დაცვითი პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ექსპერტიზა; კანონმდებლობის სრულყოფა; ეკოლოგიური განათლება; ეკოლოგიური ფონდების შექმნა, იძულებითი ზომები კანონების დასაცავად (პოლიცია, სასამართლო, პროკურატურა).

3. ინსტიტუციური მეთოდები. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების წესებისა და მეთოდების ათვისება ეკოლოგიურ განვითარებაში კონკურენციის ფორმირება; ინფორმაციული უზრუნველყოფა და სხვ.

ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კანონმდებლობის შექმნას. მასში უნდა განისაზღვროს ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დაცვის, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების, შრომისა და დასვენების ხელსაყრელი პირობების შექმნის პრინციპები და მეთოდები.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ქვეყნის ეკოლოგიური სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებად აღიარებულია მდგრად ეკოლოგიურ განვითარებაზე გადასვლა, ერთიანი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის (საზოგადოების) განვითარებისათვის ეკოლოგიური პირობების შექმნას, ბუნების დაცვას და მის გამდიდრებას, უპირატესად განახლებადი რესურსების გამოყენებაზე გადასვლას, უნარჩენო წარმოების ორგანიზაციას. მიწის რესურსების დაცვა მიწის კადასტრის სრულყოფით ეროზიის მკვეთრი შემცირება, მიწის ხარის-

ხისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; ტყისა და სხვა ბიოლოგიური რესურსების დაცვა და გამდიდრება, მათი გამაჯანსაღებელი და საწარმოო ფუნქციების გაძლიერება, ფართობებისა და მოცულობის მკვეთრი ზრდა სწრაფად მზარდი ჯიშებისა და სახეობების გავრცელებით, ფლორისა და ფაუნის დაავადებებისაგან დაცვა; წყლის რესურსების დაცვა, წყლის გამაჯანსაღებელი და საწარმოო ფუნქციების გაძლიერების, საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, დაბინძურების თავიდან აცილება; ატმოსფეროს დაცვა დაბინძურებისაგან [53.VII.92].

ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით სახელმწიფოს ეკოლოგიური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებით. პირველ რიგში აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების კანონმდებლობის სრულყოფა, ნორმატიული უზრუნველყოფა, ხარისხის სტანდარტების, ეკოლოგიური ნორმების დადგენა, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური რეგულირების მექანიზმებისა და დაფინანსების წყაროების, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს, ასევე შინამეურნეობების როლის განსაზღვრა.

9.5. საქართველოს ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლის ძირითადი მიმართულებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროს ფორუმზე მიღებულ იქნა მდგრადი განვითარების კონცეფცია. ამ დოკუმენტში აისახა მეცნიერების თანამედროვე მიღწევები და ხედვები მომავალში კაცობრიობის განვითარების პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონცეფციის ფუძემდებლურ პრინციპებს პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, მათი კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებისა და შემდგომში ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. ამიტომ მთავარია, სწორად განისაზღვროს მდგრადი განვითარების პრინციპებზე ეროვნული ეკონომიკის

გადასვლის ძირითადი მიმართულებანი (ეტაპები). გასათვალისწინებელია, რომ გადასვლის პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია, იგი ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს, რასაც რიგი ფაქტორები განაპირობებენ. გაეროს მიერ შემუშავებული დასკვნის მიხედვით, გარემოს ამჟამინდელი მდგომარეობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები ისეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ საჭიროა მათი ერთობლივად განხილვა. ამასთან, ეკონომიკისა და ეკოლოგიის პრობლემები მხოლოდ ცალკეული ქვეყნებით არ შემოიფარგლება. ამიტომ მიზანშეწონილია გლობალური და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინება. თავად ცნება „მდგრადი განვითარება“ მოიცავს რთულ საზოგადოებრივ პროცესებს, რადგანაც იგი არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზა, დაფუძნებული გარემოს სტაბილურ მდგომარეობაზე, ეს გზა უნდა პასუხობდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და ამავე დროს, მომავალი თაობების განვითარების პერსპექტივებსაც ითვალისწინებდეს. ასეთია მდგრადი განვითარების გაეროს მიერ მოცემული ყოვლისმომცველი შეფასება. გაეროს რეკომენდაციების მიხედვით მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მსოფლიოში განხორციელდეს რამდენიმე მოთხოვნა:

პირველი, დაჩქარდეს ეკონომიკის განვითარება. 2050 წლისათვის ნავარაუდევია ეფექტიანობის ზრდა 5-10-ჯერ, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებანი და მოისპოს სიღატაკე.

მეორე, მსოფლიოში უნდა შენელდეს მოსახლეობის ზრდა. მხედველობაში იღებენ იმას, რომ მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში (ძირითადად აზიასა და აფრიკაში) მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ამის შესაძლებლობას რეგიონის ეკოლოგიური სიტუაცია იძლევა.

მესამე, ძირითადი ბიოლოგიური კაპიტალის შემცირების შეწყვეტა. იგულისხმება ბიოლოგიური რესურსების ოპტიმალური ხარჯვა, რათა მან არ გადააჭარბოს ბუნებრივ აღწარმოებას. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ მოთხოვნას საერთოდ ყურადღება არ ექცევა.

მეოთხე, წარმოების ხასიათის რადიკალური ცვლილება ენერგიის მაქსიმალური დაზოგვით. იგულისხმება ენერგიის ხარჯვის სტაბილიზირება და შემცირებაც კი. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ეს პროცესი წარმატებით ხორციელდება, მაგალითად, შვედეთსა და იაპონიაში, სადაც ენერგია (პროდუქციის ერთეულზე გადაანგარიშებით) წელიწადში 1,3-2% იზოგება.

მეხუთე, კაპიტალდაბანდებების გაზრდა გარემოს დაცვაში და მისი შემცირება შეიარაღებაში. მსოფლიოში შეიარაღებაზე ყოველწლიურად (XX საუკუნის ბოლოს) ტრილიონამდე დოლარი იხარჯებოდა, ეს ბევრად მეტია, ვიდრე თანხები, რომლებიც გარემოს დაცვისათვისაა გამოყოფილი. მაგალითად, ინდუსტრიულ ქვეყნებში გარემოს დაცვის ხარჯები ეროვნული შემოსავლის 1,5-3%-ს შეადგენდა, ხოლო შეიარაღების ხარჯები 5-6%. გაეროს კომისიის დასკვნით, კაპიტალური დაბანდება გარემოს დაცვაში 5-6%-მდე უნდა გაიზარდოს, ხოლო შეიარაღებაში დაახლოებით 2-ჯერ შემცირდეს.

მდგრადი განვითარების კონცეფციაში მოცემულია ფუნდამენტური მოთხოვნები, მათ შორის მნიშვნელოვანია: ადამიანის უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში. გარემოს დაცვა, როგორც მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი, წინააღმდეგობის შემცირება მსოფლიო ხალხებსა და მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის; ბუნების-დაცვითი კანონმდებლობის სრულყოფა; უარის თქმა მდგრადი განვითარების ხელისშემშლელ ტექნოლოგიებზე. ეს მოთხოვნები ქმნიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ ბაზას თითოეულ ქვეყანაში მდგრადი განვითარების პრინციპებზე ეროვნული ეკონომიკის გადაყვანის სახელმწიფო პროგრამების შედგენისა და განხორციელებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის (1992 წ.) შემდგომ პერიოდში ფართოდ გაიშალა მუშაობა მდგრადი განვითარების კონცეფციის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1994 წელს დამუშავებული

„მდგრადი ევროპის“ კონცეფცია. საინტერესოა ამ დოკუმენტის ზოგიერთი მაჩვენებელი. თუ 1990 წელს ევროპის ტერიტორიის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენდა ე.წ. დაცული ტერიტორია, კონცეფციის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 2010 წლისათვის გაიზრდება 10-ჯერ. მდგრადი განვითარების პრინციპებმა შეცვალეს წარმოდგენები საერთოდ განვითარების, კეთილდღეობისა და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, რაც ყველაზე რელიეფურად პოსტსოციალისტურ სივრცეში გამოვლინდა.

განვითარების პროგნოზებით გასათვალისწინებელია ის სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის პროცესთან. **ამიტომ აუცილებელია ამ პროცესის სახელმწიფოებრივი მართვა. ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული პროგრამული მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტის როლს შეასრულებს**. მდგრადი განვითარების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს შეადგენს გაეროს რეკომენდაციებით შედგენილი ინდიკატორთა სისტემა, რომელიც შემოღებულია 1995 წლიდან. პროგრამა შეიცავს 130 ინდიკატორს. თითოეული მათგანის გამოყენების გაადვილების მიზნით დამუშავდა შესაბამისი მეთოდური მითითებანი. მათი გამოყენებით ქვეყნებს საშუალება აქვთ ადგილობრივი პირობების მიხედვით თვითონ განსაზღვრონ, რომელია მათთვის უფრო მისაღები ინდიკატორი. მდგრადი განვითარების გაეროს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორები ფაქტობრივად წარმოადგენენ სოციალური ეკონომიკის განვითარების პროგნოზირების (პროგრამირების) მეთოდოლოგიურ საფუძველს [172.87]. ამიტომ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, ინდიკატორების დაჯგუფებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მდგრადი განვითარების პროგრამების შედგენისა და განხორციელების პროცესში.

ცხრილში 9.2 მოცემულია გაეროს მიერ განსაზღვრული ინდიკატორების მნიშვნელობა და მათი გაზომვის მეთოდიკა.

ცხრილი 9.2

მდგრადი განვითარების ინდიკატორები

მიზნობრივი ამოცანები	ფაქტორების ინდიკატორები	მდგომარეობის ინდიკატორები	რეაგირების ინდიკატორები
1. სოციალური ინდიკატორები			
1. სიღარიბესთან ბრძოლა	– უმუშევრობის პროცენტი	– სიღარიბის ინდექსი – სიღარიბის დონის ინდექსი – სიღარიბის დონის ზუსტი ინდექსი – ჯინის ინდექსი – ქალების საშუალო ხელფასის თანაფარდობა მამაკაცების ხელფასთან	
2. დემოგრაფიული მდგრადობა	– მოსახლეობის ზრდის პროცენტი – მიგრაციის პროცენტი – დაბადების პროცენტი	მოსახლეობის სიმჭიდროვე	
3. განათლების, საზოგადოების ფორმირებულობისა და სწავლების მხარდაჭერა	– სასკოლო ასაკის მოსახლეობის პროცენტი – დაწყებით სკოლაში ჩარიცხვა (სულ და სალდო) – საშუალო სკოლაში ჩარიცხვა (სულ და სალდო) – განათლებულ მოზრდილთა პროცენტი	– ბავშვები, რომლებმაც მიიღეს შეფასება დაწყებითი განათლებისათვის – სასკოლო ცხოვრების მოსალოდნელი შედეგი – ჩარიცხული ვაჟებისა და გოგონების თანაფარდობა – სამუშაო ძალაში ქალების რაოდენობა 100 მამაკაცზე	– მშპ ხარჯების წილი განათლებაზე

4. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და მხარდაჭერა		– სასმელი წყლით უზრუნველყოფა – სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა – დაბადებისას ადეკვატური წონა – ბავშვთა მოკვდაობის პროცენტი – დედათა მოკვდაობის პროცენტი – ბავშვთა კვების სტატუსი	– ბავშვთა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ იმუნიზაცია – კონტრაცეპტივების გავრცელება – საკვებში ქიმიურად საშიში ელემენტების წილი – ჯანმრთელობის ეროვნული ფონდი, რომელიც გამოიყოფა ადგილობრივ ორგანოებისათვის – ჯანმრთელობის ეროვნული ფონდის წილი მეჰ-ში
5. ადამიანთა დასახლებების მდგრადი განვითარების მხარდაჭერა	– ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი – მოსახლეობის ერთ სულზე ავტომანქანების საწვავის ხარჯი – ბუნებრივი უბედურებების შედეგად ადამიანებისა და ეკონომიკის დანაკარგები	– ქალაქის მოსახლეობის პროცენტი – არაფორმალურ საქალაქო დასახლებებში მოსახლოების პროცენტი – ერთ კაცზე საცხოვრებელი ფართი – საცხოვრებლის ღირებულება შემოსავლებთან მიმართებაში	– ინფრასტრუქტურაზე დანახარჯები მოსახლეობის ერთ სულზე

2. ეკონომიკური ინდიკატორები			
1. საერთაშორისო თანამშრომლობა მდგრადი განვითარების დაჩქარებისათვის და შესაბამისი საშინაო პოლიტიკა	– მშპ მოსახლეობის ერთ სულზე – მშპ წმინდა ინვესტიციის წილი – ექსპორტის და იმპორტის ჯამი პროცენტებში მშპ მიმართ	– წმინდა შიდა პროდუქტი გარემოს გათვალისწინებით – წარმოებული საქონლის წილი ექსპორტის მოცულობაში	
2. მოხმარების მოდელების ცვლილება	– ენერგიის წლიური მოხმარება – წარმოებულ პროდუქციაში ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი მრეწველობის წილი	– მოძიებული მინერალური რესურსები – მოძიებული სათბობენერგეტიკული რესურსები – მოძიებული რესურსების გამოყენების ვადა – მასალების გამოყენების ინტენსივობა	
		– მშპ ხედმეტი პროდუქტის წარმოების წილი – განახლებადი ენერგეტიკული რესურსების მოხმარების წილი	
3. ფინანსური რესურსები და მექანიზმები	– წმინდა ტრანსფერების წილი მეპ-ში – კრედიტების საერთო მეტობის პროცენტი მშპ მიმართ	– ვალი/მეპ –ვალის მომსახურება ექსპორტის მიმართ	– მშპ-ის მიმართ გარემოს დაცვის ხარჯების პროცენტი – მდგრადი განვითარებისათვის ახალი ან დამატებითი ფონდების მოცულობა
4. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები, შრომის მწარმოებლურობის უზრუნველყოფა	– ტექნოლოგიური მასალების იმპორტი – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	– ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური საქონლის იმპორტის წილი	– ტექნიკური თანამშრომლობის გრანტები

3. ეკოლოგიური ინდიკატორები			
1. მტკნარი წყლის ხარისხის დაცვა და მისი რესურსებით უზრუნველყოფა	– მოხმარებისათვის უვარგისი, გრუნტის და ზედაპირული წყლების წლიური მოცულობა – ერთ სულზე წყლის შიდა მოხმარება	– გრუნტის წყლების რესურსები – მტკნარ წყალში ფეკალურ ნივთიერებათა კონცენტრაცია – წყლის ბასეინების ბიოქიმიური დასუფთავების მოთხოვნილება	– გამდინარე წყლების იზოლირება – ჰიდროლოგიური ქსელების სიმჭიდროვე
2. ოკეანეების, ზღვების და სანაპირო ზონების დაცვა	– სანაპირო-ზონებში მოსახლეობის ზრდა – წყლებში ნავთობის გადმოღვრა – წყლებში აზოტისა და ფოსფორის რაოდენობა	– თევზჭერის მაქსიმალური სიდიდე – Algae ინდექსი	
3. მიწის რესურსების დაგეგმვისა და მართვისადმი ინტეგრალური მიდგომა	– მიწის გამოყენების შეცვლა	– მიწის მდგომარეობის შეცვლა	– ადგილობრივ დონეზე ბუნებრივი რესურსების დეცენტრალიზებული მართვა
4. სუსტი ეკოსისტემების მართვა: ბრძოლა გაუკაცრიელობისა და გვალვის წინააღმდეგ	– მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს სიღარიბის ზღვრის ქვემოთ გვალვიან ზონებში	– თვიური ნალექების ინდექსი – მცენარეულობის საფარის ინდექსი – მიწა, რომელსაც გაუკაცრიელება მოელის	
5. სუსტი ეკოსისტემების მართვა: მთის ზონაში მდგრადი განვითარება	– მთის ზონაში მოსახლეობის ცვლილება	– ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება მთაგორიან ადგილებში – მთის ზონაში ადამიანების კეთილდღეობა	

6. მდგრადი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების უზრუნველყოფა	– პესტიციდების გამოყენება – სასუქების გამოყენება – სახნავის ირიგაციის პროცენტი – სოფლის მეურნეობაში ენერგიის გამოყენება	– სახნავი მოსახლეობის ერთ სულზე – ზონა, რომელსაც ემუქრება დატბორვა და გამარილიანება	– სასოფლო-სამეურნეო განათლება
7. ბრძოლა ტყის გაჩანაგებასთან	– მერქნის მოსავლის ინტენსივობა	– ტყის ზონის ცვლილება	– ტყის ზონის მართვადობის პროცენტი – ტყის ზონის დაცვის პროცენტი
8. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება		– ადგილობრივი სახეების პროცენტი (რომლებსაც ემუქრება დაღუპვა)	– დაცული ზონის პროცენტი
9. ბიოტექნოლოგიის ეკოლოგიურად ეფექტიანი მართვა			– ბიოტექნოლოგიაში სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები – ბიოუსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირებამ
10. ატმოსფეროს დაცვა	– სათბურებიდან გაზის გამოყოფა – გოგირდმჟავას გამოყოფა – აზოტმჟავას გამოყოფა – ოზონის მშთანთქმელი ნივთიერებათა მოხმარება	– ქალაქის ზონებში გაჭუჭყიანების კონცენტრაცია	– ჰაერის გაჭუჭყიანების შემცირების მიზნით გაწეული ხარჯები

11. მყარი ნარჩენებისა და კანალიზაციის ეკოლოგიურად ეფექტიანი მართვა	– სამრეწველო და მუნიციპალური მყარი ნარჩენების გენერაცია – მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო ნარჩენები		– ნარჩენების გადამუშავებისათვის გაწეული ხარჯები – ნარჩენების გადამუშავება და მეორადი გამოყენება – ნარჩენების მუნიციპალური განკარგვა
12. ტოქსიკური ქიმიკატების ეკოლოგიურად ეფექტიანი მართვა		– ქიმიური შხამიანი ნივთიერებანი	– აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული ქიმიკატების რაოდენობა
13. საშიში ნარჩენების ეკოლოგიურად ეფექტიანი მართვა	– საშიში ნარჩენების გენერაცია – საშიში ნარჩენების ექსპორტი და იმპორტი	– მიწის ზედაპირი, რომელიც დაზიანებულია საშიში ნარჩენებით	– საშიში ნარჩენების გაუვნებელყოფის მიზნით ოპერაციებზე დანახარჯები
14. რადიოაქტიური ანარჩენების უსაფრთხო და ეკოლოგიურად ეფექტიანი მართვა	– რადიოაქტური ანარჩენების გენერაცია		
4. ინსტიტუციური ინდიკატორები			
1. გარემოსა და განვითარების ინტეგრაცია გადაწყვეტილებების მიღებისას			– მდგრადი განვითარების სტრატეგიები – ეკონომიკისა და გარემოს ინტეგრალური აღრიცხვის პროგრამა – გარემოზე მოსალოდნელი გავლენის შეფასება – მდგრადი განვითარების ეროვნული საბჭოები

2. მდგრად განვითარებაში მეცნიერების როლი		– მილიონ მოსახლეობაზე პოტენციური მეცნიერები და ინჟინრები	– მეცნიერები და ინჟინრები, რომლებიც დასაქმებულები არიან გამოკვლევებსა (გ) და დამუშავებებში (დ) (მილიონ კაცზე) – ხარჯები (გ) და (დ) % მშპ მიმართ
3. ინფორმაცია გადაწყვეტილებების მისაღებად		– ძირითადი სატელეფონო ხაზები 100 მცხოვრებზე – ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	– გარემოზე ეროვნული სტატისტიკის პროგრამები

წყარო: Слезингер Г., Социальная экономика, М., 2001, стр. 87-91.

ინდიკატორების განსაზღვრის მეთოდოლოგია გვიჩვენებს, რომ კაცობრიობა დადგა არჩევანის წინაშე: **დარჩეს ორიენტირებული როგორც დღემდე წარმოების განუსაზღვრელ ზრდაზე, თუ ეს ზრდა იყოს განსაზღვრული ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის უნარის რეალური შესაძლებლობებით, თანაც სოციალური განვითარების როგორც უახლესი, ასევე შორეული მიზნების განხორციელების გათვალისწინებით. ინდიკატორები გვიჩვენებენ, რომ დღეს კაცობრიობას აქვს საშუალება გაერთიანდეს თანამედროვე ცივილიზაციის გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში.**

ამისათვის უპირველესი პირობაა ამოცანების შესაბამისი გლობალური აზროვნება, რომლის პროდუქტია „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია. იგი რამდენიმე პრინციპს ემყარება: ეკონომიკის განვითარებამ არ უნდა გამოიწვიოს ბუნებრივი გარემოს დაბინძურება; სხვადასხვა ქვეყნების (ხალხების) სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური გან-

ვითარების ვარიანტების ერთიანობისა და მრავალფეროვნების აღიარება; ადამიანებს შორის, ასევე საზოგადოებასა და ბუნებას შორის ჰარმონიული დამოკიდებულების დამკვიდრება; რწმენა იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველია თავისუფლება და არა ძალადობა, ჰუმანიზმი და არა მტრობა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ინდიკატორების ჩამონათვალი იწყება „სიღარიბესთან ბრძოლის“ ინდიკატორით. ნიშანდობლივია, რომ რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის გახსნისას მისმა თავმჯდომარემ მ. სტრონგმა განაცხადა: **„ეკონომიკური ზრდის პროცესებს, რომლებმაც შექმნეს მდიდარი უმცირესობის კეთილდღეობისა და ძლიერების უპრეცედენტო დონე, საზოგადოება მიჰყავს ერთდროულად რისკებისაკენ და დისბალანსისაკენ, რომლებიც ერთნაირად ემუქრება მდიდრებსაც და ღარიბებსაც. განვითარების ასეთი მოდელი და მისი შესაბამისი მოხმარების ხასიათი არ არის მდგრადი მდიდრებისათვის და არ შეიძლება განმეორებულ იქნას ღარიბების მიერ... ამასთან, კონფერენციის მონაწილეებმა დააფიქსირეს, რომ „გზა, რომლითაც თავის კეთილდღეობასთან მივიდნენ განვითარებული ქვეყნები, მიუღებელია მთლიანად კაცობრიობისათვის... ჩვენ ვერ შევძლებთ პლანეტის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას სოციალურად არასამართლიან სამყაროში“** [184.127].

ამრიგად, მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით, სოციალურ სფეროში სტრატეგიული მიზანია დედამიწაზე შიმშილისა და სიღატაკის აღმოფხვრა: ბავშვებზე, ხანდაზმულ ადამიანებზე, ინვალიდებზე ზრუნვა; სკოლამდელი და სასკოლო საერთო განათლება, ბავშვებისა და მოზარდების აღზრდა; პროფესიული საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ფართო და ხელმისაწვდომი ქსელის განვითარება. დასახული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად ეკონომიკის განვითარება, რაც თვისებრივად ახალი მიმართულების ორიენ-

ტაციას აძლევს საზოგადოებას. მიზნის მისაღწევად ეკოლოგიის სფეროში თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს: შეფარდებითი ჰარმონიის აღდგენა ბუნებასა და საზოგადოებას შორის, ადამიანსა და ბიოსფეროს შორის, რეალური შესაძლებლობების შენარჩუნება არა მხოლოდ ახლანდელი, არამედ მომავალი თაობებისათვის, რათა მათ დაიკმაყოფილონ ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებანი; ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მეთოდების თეორიული დამუშავება და რეალიზაცია; მცირენარჩენიანი, შემდეგი კი უნარჩენო წარმოების ფართოდ განვითარება, ორგანული სათბობის წვაზე დაფუძნებული ენერგეტიკიდან თანდათანობით გადასვლა ალტერნატიულ ენერგეტიკაზე (რომელიც იყენებს ენერგიის განახლებად წყაროებს (მზის, ქარის, წყლის, ბიომასის, მიწისქვეშა სითბოს გამოყენება). ბუნების დაცვის ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი მეთოდების სრულყოფა; ბიოსფეროს მრავალსახეობის შენარჩუნება; მოსახლეობაში სისტემატური ეკოლოგიური აღმზრდელობითი მუშაობა და სხვ.

ეკოლოგიის ზემოთ აღნიშნული და სხვა მოთხოვნების დაცვით ეკონომიკის განვითარებაში მიღწეულ უნდა იქნეს: ეროვნულ მეურნეობაში კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების გონივრული შეთანაწყობა, სოციალური ეკონომიკის ფორმირება-ფუნქციონირება; ეფექტიანი კონკურენტული გარემოს შექმნა; ყველა მცხოვრების ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საკმარისი რაოდენობით პროდუქციის (მომსახურების) წარმოება.

ზემოთ დასახელებული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია, საზოგადოების განვითარების სხვა ფაქტორების, კერძოდ, პოლიტიკური, სამართლებრივი ფაქტორების კომპლექსური და მიზანმიმართული ამოქმედებაც. მაგალითად, განვითარებული დემოკრატია, რეალური მდგომარეობის შესაბამისი კანონმდებლობა, სოციალური სამართლი-

ანობა (შრომის სათანადო ანაზღაურება, ადამიანის უფლებების დაცვა), კანონის წინაშე ყველას პასუხისმგებლობა; სამთავრობო და საზოგადოებრივი სტრუქტურების კოორდინაცია საზოგადოების ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური სტრატეგიის განხორციელებაში.

როგორც ჩანს, გაეროს მიერ აღიარებული „მდგრადი განვითარება“ მრავალი ფაქტორის ერთობლივად (თითოეულის მათგანის როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით) გამოყენებაზეა დამოკიდებული. ამიტომ უნდა გაძლიერდეს სოციალური პროცესების შესწავლის სისტემურ-სტრუქტურული მეთოდის მნიშვნელობა. საერთაშორისო პრაქტიკაში ამის კარგ მაგალითს იძლევა „რომის კლუბი“, რომელსაც ათეულობით გამოკვლევები აქვს ჩატარებული კაცობრიობის გლობალური განვითარების ცალკეულ პრობლემებზე. კლუბმა შეასრულა განმსაზღვრელი როლი „მდგრადი განვითარების“ კონცეფციის პროექტის მომზადებასა და შემდგომ რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე მის მიღებაში. კაცობრიობის მიერ გარემოს დაცვისადმი (მდგრადი განვითარებისადმი) საგანგებო ყურადღების დამადასტურებელია ის, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. მათ შორის წამყვანია გაერო (მისი სხვადასხვა სტრუქტურებით). ნაყოფიერად ფუნქციონირებს ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი. იგი შეიქმნა 1948 წელს და ამჟამად 100-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი, რომელიც შეიქმნა 1961 წელს, დღეისათვის 1300-ზე მეტ პროექტს ახორციელებს. მისი პრიორიტეტული მიმართულებებია: ტყეების, მტკნარი წყლების, ოკეანების და სანაპიროების დაცვა და რაციონალური გამოყენება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეიქმნა 1946 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა. გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია სწავლობს პლანეტის კლიმატზე

ანტროპოგენური ზემოქმედების საკითხებს. გაეროს სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო ორგანიზაციის საქმიანობის სფეროა სახელმწიფოთა კოორდინირება მეურნეობისა და სურსათის სფეროში.

გარდა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისა, მსოფლიოში ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის მცირე სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ გარემოს სტაბილური განვითარების ცალკეული პრობლემების დამუშავებაში და რეალიზაციაში.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

№	მაჩვენებელი	განზომილება	1990	1995	1996	1997
1	**მოსახლეობა**	1000 კაცი	5424,4	4794,2	4674,5	4558,4
2	**მოსახლეობის ბუნებრივი მატება**	მოსახლეობის 1000 სულზე	7,8	1,5	1,5	1,4
3	**რეალური მშპ**	მლნ ლარი, 1996	12111,0	3478,9	3868,5	4275,4
4	**რეალური მშპ ერთ სულზე**	ლარი, 1996	2232,7	725,6	827,6	937,9
5	**მშპ სექტორების მიხედვით** მრეწველობა	% ნომინ. მშპ-დან	24,6	9,9	14,5	13,5
6	სოფლის მეურნეობა		29,9	41,9	33,1	27,5
7	მშენებლობა		9,7	2,4	2,5	3,6
8	**შრომის ბაზარი** სამუშაო ძალა	ათასი კაცი	2763,3	1780,9	2085,2	1999,4
9	დასაქმებული	ათასი კაცი	2763,3	1730,1	2036,0	1847,9
10	უმუშევარი	ათასი კაცი	-	50,8	49,2	151,5
11	უმუშევრობის დონე	%	-	2,9	2,4	7,6
12	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი	ლარი	293,1*** (მან)	13,0	29,0	42,5
13	**სიღარიბის დონე**	პროცენტი	-	-	-	44,2
14	**შინამეურნეობათა მოხმარება**	% ნომინ. მშპ-დან	-	-	-	-
15	**საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები** ექსპორტი	მოქმედ ფასებში, მლნ აშშ §	-	151,7	198,8	239,8
16	იმპორტი	მოქმედ ფასებში, მლნ აშშ §	-	395,1	686,8	941,7
17	ექსპორტ-იმპორტის სალდო			-243,4	-488,0	-701,9
18	**სახელმწიფო ფინანსები** შემოსავალი	მლნ ლარი	4978,8 მლნ. მან	187,8	389,1	593,2
19	ხარჯები	მლნ ლარი	4786,3 მლნ.მან	375,0	611,5	776,8
20	დეფიციტი (-), პროფიციტი (+)	მლნ ლარი	+192,5	-187,2	-222,4	-183,6
21	სახელმწიფო ვალი	მლნ ლარი	-	-	-	-
22	საგარეო ვალი	მლნ ლარი	-	-	-	-
23	**მრეწველობის მთლიანი პროდუქცია**	მლნ ლარი, მოქმედ ფასებში	11,6 მლრდ მან	524	676,6	815
24	**ინვესტიციები ძირითად კაპიტალში**	მლნ ლარი, მოქმედ ფასებში	2 545 მლნ.მან	-	-	840,8
25	**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**	მლნ აშშ §	-	-	-	242,6
26	**სამომხმარებლო ფასების ინდექსი**	(საშუალო წლიური წინა წლის საშუალოსთან, %)		262,7	139,4	107,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული (1999, 2000, 2001, 2004, 2005, 2006წწ.); საქართველოს ეროვნული ანგარიშები 1996-2004წწ; საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი 2007წ,

ძირითადი მაჩვენებლები (1990-2006წწ.) **დანართი 1.**

1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
4504,9	4469,8	4435,2	4401,4	4371,5	4342,6	4315,2	4321,5	4401,3
1,0	0,3	0,3	0,3	0,0	0,1	0,2	0,8	1,3
4408,1	4534,6	4618,0	4839,9	5104,8	5669,3	6001,4	6577,5	7194,7
978,5	1014,5	1041,2	1099,6	1167,8	1305,5	1390,8	1522,0	1634,7
12,4	13,0	17,3	16,6	17,6	17,7	16,1	15,7	14,9
26,2	24,7	20,6	20,6	19,2	19,3	16,4	14,8	11,3
4,7	3,7	3,7	3,9	5,1	6,4	8,1	8,1	6,9
2025,8	2009,5	2051,6	2113,2	2104,2	2050,8	2041,0	2023,9	2021,8
1731,1	1732,6	1839,3	1877,7	1839,2	1814,9	1783,3	1744,6	1747,3
294,7	276,9	212,2	235,6	265,0	235,9	257,6	279,3	274,5
14,5	13,8	10,3	11,1	12,6	11,5	12,6	13,8	13,6
55,4	67,5	72,3	94,6	113,5	125,9	156,8	204,2	277,9
45,9	51,3	51,8	51,1	52,1	54,5	52*/35,7**	39,4**	40,3**
83,5	80,4	89,4	78,6	77,0	71,6	72,8	66,4	78,4
192,3	238,2	322,6	317,6	345,9	461,4	646,9	865,5	992,6
884,3	586,0	709,1	753,2	795,5	1141,2	1 845,6	2490,0	3677,8
-692,0	-347,8	-386,6	-435,6	-449,6	-679,8	-1 198,6	-1 624,5	-2685,2
621,9	650,2	639,6	739,7	817,4	933,1	1 773,7	2 607,9	3773,2
797,3	904,8	873,8	906,4	1 049,4	1 207,1	1 930,2	2 618,6	3821,4
-175,4	-254,6	-234,2	-166,7	-232,0	-274,0	-156,5	-10,7	-48,2
-	-	4 192,5	4 449,5	4 843,3	4 608,0	4 306,6	4 076,1	3 855,4
-	-	2 695	2 957	3 323	3 040	2 731	2 541	2344,5
806	989	1 132,4	1 154,8	1 308,4	1 549,9	1 754,2	2 202,2	2757,3
1 283,3	1 485,6	1 537,8	1 817,7	1 825,6	2 283,6	2 697,3	3 261,4	3524,2
265,3	82,2	131,2	109,8	167,3	340,1	499,1	449,8	1 190,4
103,6	119,2	104,0	104,7	105,6	104,8	105,7	108,2	109,2

www.statistics.ge. * გაანგარიშების ძველი მეთოდიკით. ** გაანგარიშების ახალი მეთოდიკით. * მისაცემლებისა და შეღავათების ჩათვლით.**

დანართი 2.

საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება (1988-2006 წლებში)

მაჩვენებლები	1988	1995	2000	2004	2006	2006 1988 წლის მიმართ
1. ელექტროენერგია მლნ კვ/საათი	14599,7	7082	7451,3	6923,5	7599,2	50,7
2. ქვანახშირი ათასი ტონა	1426	42,6	7,3	8,1	10,6	0,7
3. ნავთობი (გაზის კონდენსატი)	185,6	42,7	109,5	97,6	63,5	34,2
4. მანგანუმი ათასი ტონა	1839	41,9	63,1	218,5	296,5	16,1
5. ცემენტი	1351	59	347,7	441,5	789,5	58,4
6. ქსოვილები, ათასი მ²	136952	2172,3	1218*	0,8	-	-
7. მინერალური წყლები ათ.ნახ.ლიტრი	333915	9403,9	72344,7	8168,4	156474	48,3
8. არაყი, ათასი დალი	429,0	102,6	439,4	425,3	776,5	181
9. ღვინო, ათასი დალი	15830	3669,6	1665,4	26662	2117,8	13,4
10. კონიაკი (ბრენდი), ათასი დალი	2209	157,9	71,3	193,0	151,6	6,9
11. ცქრიალა ღვინო, ათასი დალი	1954,5	49,2	87,7	163,8	136,9	7,1
12. ჩაი ნატურალური, ტონა	122584	4230	3014,7	4052,2	3481,6	2,8

წყარო:
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით
* 1996 წლის მონაცემი

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები (მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა) 1990-2006წწ.

	წლები					
	1990	1995	2000	2004	2005	2005წ. 1990წ. მიმართ (%)
ჩაის ფოთოლი (ათასი ტონა)	501,7	38,5	24	20	22,8	4,5
ხილი (ათასი ტონა)	591,2	383,9	250	160,2	264,9	44,8
ციტრუსები (ათასი ტონა)	283,1	118,2	40,0	38,2	122,4	43,2
ყურძენი (ათასი ტონა)	691,0	422,4	210,0	180,0	250,3	36,2
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები (ათასი ტონა)	666,3	516,2	420,0	679,3	702,9	105,4
ბოსტნეული (ათასი ტონა)	443,2	428,3	354,0	400,5	436,7	98,5
კარტოფილი (ათასი ტონა)	293,8	353,3	302,0	419,5	432,2	147,1
რძე (ათასი ტონა)	659,4	475,4	618,9	780,4	787,7	119,4
ხორცი (დაკლული წონით, ათასი ტონა)	170,3	115,4	107,9	109,2	109,5	64,3
კვერცხი (მლნ ცალი)	769,2	269,4	361,4	496,6	504,6	65,6

წყარო:

1990-1995 წლები – საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999წ. გვ 176-177, 181.

2000-2005 წლები – საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006წ. გვ 188, 192.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ც. სოციალური სფეროს რეფორმირების ძირითადი შედეგები, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №6, 2006.

2. ანთაძე ც. საქართველოში შრომითი ურთიერთობების სფეროში მოქმედი ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №4, 2007.

3. არმსტრონგი გ., კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები, 2007 (თარგმანი ინგლისურიდან ქართულად საქართველოს მარკეტინგის ასოციაციის მიერ).

4. არჩვაძე ი., ეკონომიკა და დრო, თბ., 2000.

5. არჩვაძე ი., ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორის მიხედვით საქართველოს ადგილი მსოფლიოში, საქართველოს ეკონომიკა, №2, 2007.

6. არჩვაძე ი., საშუალო კლასი საქართველოში: მისი სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა (XXI საუკუნის საქართველოს მაგალითზე), ჟურნ., საქართველოს ეკონომიკა, №8, 2007.

7. ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბ., 1993.

8. ასათიანი რ., პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს, თბ., 2005.

9. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.

10. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, თბ., 2007.

11. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.

12. ბენაშვილი ც., სამართლებრივი ვაკუუმი პროგრამულ დაფინანსებაში, ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, №18, 2007.

13. ბორისოვი ვ. დემოგრაფია, თბ., 2001 (თარგმანი რუსულიდან ანზორ სახვაძის).

14. განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2005, 2006 წწ.

15. გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბ., 1999.

16. გელაშვილი მ., რაციონალური მოლოდინის თეორია, ჟურნ. ახალი ეკონომისტი, №2, 2007.

17. გელაშვილი მ., რატომ არის მნიშვნელოვანი ფასების საერთო დონის სტაბილურობა, ჟურნ. გადასახადები, №2, 2007.

18. გელაშვილი მ., ეკონომიკური რეფორმის მიმართულებები საქართველოში, ჟურნ. გადასახადები, №8, 2007.

19. გელიტაშვილი ნ., სოციალური დაცვის ევროპული სისტემა და საქართველო, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №6, 2006.

20. გოგოხია რ., გერმანული „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ სათავეებთან, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №6, 2006.

21. გოცირიძე რ., კანდელაკი ო., გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა, თბ., 2001.

22. ეკონომიკური თეორია, გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1998.

23. ვარდიშვილი ს., საქართველოს შრომის კოდექსი: შენიშვნები, მოსაზრებები, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №5, 2006.

24. ვაშაკიძე თ., ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციონალური საფუძვლები, ჟურნ. ახალი ეკონომისტი, №3, 2007.

25. ვეკუა დ., სოციალური დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1998.

26. თაკალანძე ლ. სახვაძე ა., მოსახლეობის ჯანმრთელობის ფაქტორული ანალიზი, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №1, 2005.

27. თაკალანძე ლ., კვიტაიშვილი ი., სამედიცინო მომსახურების ბაზარი და მენეჯერის პასუხისმგებლობა, ჟურნ., ეკონომიკა, №8, .2006.

28. თაკალანძე ლ., კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები, ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, №15, 2006.

29. თაკალანძე ლ., ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა, თბ., 2006.

30. თაკალანძე ლ., პაპასკირი რ., ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ევოლუცია, ჟურნ. ეკონომიკა, №1-2, 2007.

31. თაკალანძე ლ., ქველმოქმედება, როგორც ბიზნესის სოცი-

ალური პასუხისმგებლობის ძირითადი გამოვლენა საქართველოში, ჟურნ. ეკონომიკა, №3-4, 2007.

32. თაკალანძე ლ., სამწუხარო სტატისტიკა უიმედო პერსპექტივით, ჟურნ., ბიზნესი და კანონმდებლობა, №22-23, 2007.

33. თევზაძე ვ., და სხვ. საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტების სარეიტინგო მაჩვენებლის შესახებ, ჟურნ., მეცნიერება და ტექნოლოგიები, №10-12, 2005.

34. თოქმაზიშვილი მ., არჩვაძე ი., შრომის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური ასპექტები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ივლისი 2007.

35. კაპანაძე გ., სოციალური დიალოგი საზოგადოებასთან არ არსებობს, ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, №19-20, 2007.

36. კვირკვაია მ., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., უმუშევრობის შემცირების მიმართულებები, საქ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №94, 2005.

37. კვირკვაია მ., დვალი ნ., სოციალური პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივები საქართველოში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №94, 2005.

38. კუჭუხიძე რ., დანელია თ., ბაბუნაშვილი თ., სადაზღვევო საქმის მოკლე კურსი, თბ., 2007.

39. მაკონელი კ., ბრიუ ს., ეკონომიკსი, თბ., I-II ნაწ. თბ., 1997.

40. მალაშხია გ., მეტაეკონომიკა, ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1999.

41. მალაშხია გ., ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები, თბ., 2001.

42. მალაშხია გ., საქართველოს ეკონომიკა, საუკუნოვანი პანორამის შტრიხები, თბ., 2002.

43. მესხია ი., გაბელაშვილი კ., მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები), თბ., 2004.

44. მეწარმეობა საქართველოში, 2005, 2006 სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

45. ნაკაიძე გ., ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი, თბ., 2001.

46. ნატროშვილი ნ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, ჟურნ., ბიზნეს ნიუსი, №3, 2007.

47. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბ., 2005.

48. პაიჭაძე ნ., შრომის ეკონომიკა, თბ., 2000.

49. პაპავა ვ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, თბ., მეცნიერება, 1991.

50. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.

51. პაპავა ვ., თანამედროვე ეკონომიკური რეფორმების არსის შესახებ, ანუ რამდენად ევროპულია პოსტრევოლუციური საქართველოს არჩევანი, ჟურნ., სოციალური ეკონომიკა, №5, 2007.

52. პაპავა ვ., ხადური ნ., მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და დაგეგმვის თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №6, 2007.

53. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, შრომების კრებული, I-VII ტ., თბ., 1996-2003.

54. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 2002 წლის სახელმწიფო პროგრამა, სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში, სსდკ, თბ., 2003.

55. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიქსი, (მთარგმნელები: გ. გოშაძე, თ. დემეტრაშვილი), თბ., 1993 წ.

56. სანთელაძე ნ., საბაზრო ეკონომიკის მოდელები, თბ., 1993.

57. საქართველო ციფრებში 1990, თბ., 1991.

58. საქართველოს ეროვნული ანგარიშები, სტატ. პუბლიკაცია, 1996-2004.

59. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2006.

60. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ივნისი 2006, იანვარი, აპრილი, ივლისი, 2007.

61. საქართველოს რესპუბლიკა, გაზეთი, 15 დეკემბერი, 1998.

62. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ პარლამენტის ბიულეტენი, 2005.

63. საქართველოს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“, პარლ. ბიულ., 1998.

64. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამა 2004-2005, 2006 წწ. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, თბ., 2005-2006.

65. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2005.

66. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება – 2005, სშჯსდ სამინისტრო, თბ., 2007.

67. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2001, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

68. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2002-2005, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

69. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

70. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №82, 2003.

71. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა, 1996.

72. საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო პროგრამა, თბ., 2001.

73. საქართველოს შინამეურნეობები 2002, 2003, 2004 – 2005, სტატ. კრებული, საქ. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.

74. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, საქ. ჯანდაცვის სამინისტრო, თბ., 1998.

75. სოციალური ტენდენციები საქართველოში 2003, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2003.

76. ტუღუში მ., ფარესაშვილი ნ., საქართველოში უმუშევრობის რეგულირების მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხები, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №4, 2007.

77. ფაჩულია რ., დაზღვევა: პრობლემები და მოსაზრებები, თბ., 1998.

78. შარიქაძე შ., საქართველოს კავშირგაბმულობის მომსახურებათა ბაზრის ანალიზი და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების თავისებურებანი, საქ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, №65, 2002.

79. შენგელია თ., ყოლბაია ი., დაგროვების ახალი პარადიგმა – ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, ჟურნ. ახალი ეკონომისტი, №5, 2007.

80. შენგელია თ., თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები, ნაწ. I. თბ., 2007.

81. შრომის ბაზარი საქართველოში, 1998-2003, სტატისტიკური პუბლიკაცია, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2004.

82. შრომის ბაზარი საქართველოში, 2002-2004, სტატისტიკური პუბლიკაცია, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

83. შრომის ბაზარი საქართველოში, 2003-2005, სტატისტიკური პუბლიკაცია, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2006.

84. შუბლაძე გ., დოლიკაშვილი ლ. და სხვ. ტურიზმის მენეჯმენტი, 2007.

85. შუბლაძე ვ., ტურიზმის დაჩქარებული განვითარება საქართველოში, თბ., 2006.

86. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997.

87. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006.

88. ჩიქავა ლ., ქართულ გენოფონდს გადაშენების რეალური საფრთხე ემუქრება, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №1, 2007.

89. ცარციძე მ., ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 5, 2005.

90. ძამუკაშვილი დ., შრომის სამართალი, თბ., 2007.

91. ძნელაძე გ., მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენის ანალიზი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე – სოციალური პოლიტიკის წარმართვის საფუძველი, სსკგც, ბიულეტენი №102, 2007.

92. ძნელაძე გ., საპენსიო რეფორმა საქართველოში: წინამძღვრები, პრობლემები და პერსპექტივები, სსკგც, ბიულეტენი №103, 2007.

93. ძნელაძე დ., ძნელაძე ლ., ბიზნესი, ტ. I, თბ., 1999.

94. ღლონტი ვ., ცინცაძე ა., საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის სოციალური ბარომეტრი, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №3, 2007.

95. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე., და სხვ., მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა, თბ., 2004.

96. ყორღანაშვილი ლ., ინტელექტუალური კაპიტალი და ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემა, თბ., 2004.

97. ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა, (მაკროეკონომიკური ასპექტები), თბ., 2006.

98. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა., საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2005, თბილისი, 2005.

99. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა ტომი IV, V, 1990.

100. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები, 1992.

101. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, თბ., 1993.

102. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), I ნაწ., თბ., 1995.

103. ჭითანავა ნ., შერეული, მრავალწყობიანი, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, თბ., 1996.

104. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები I-II-III ნაწილი თბ., 1997, 1999, 2001.

105. ჭითანავა ნ., ვაშინერს, ბატონებო საქართველოს დაშლა, ნაწ. I, თბ., 2005.

106. ხარებავა რ., სოციალური დაცვის ევოლუცია: თეორია და პრაქტიკა, ჟურნ., სოციალური ეკონომიკა, №5, 2006.

107. ხომერიკი თ., მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირების გავლენა მცირე მეწარმეობაზე, ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, №15, 2006.

108. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, 1930.

109. ჯანდაცვა, სტატისტიკური ცნობარი, სშჯსდ სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, საქართველო 2005.

110. ჯანხოთელი გ., საქართველოს ეკონომიკა (ისტორია, რეალობა, პერსპექტივა), თბ., 2007.

111. ჯანჯღავა ჯ., სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ტენდენციები საქართველოში, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №5, .2007.

112. ჯანჯღავა ჯ., ეკონომიკური ზრდა – ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №3, 2007.

113. ჯიბუტი ა., ჯოხაძე ხ., საკუთრების განსახელმწიფოებრიობის სოციალური შედეგები, ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, №2, 2007.

114. Антропов В., С., Система социальной защиты в Италии, журн., Современная Европа, №3, 2005.

115. Бабашкина А.М., Государственное регулирование национальной экномики, М., 2003.

116. Басовский Л.Е., Прогнозирование и планирование в условиях рынка, Уч. пособие, М., ИНФРА М., 2001.

117. Бейкер Дж. Л., Оценка воздействия проектов развития на бедность, Практ. руководство, М., 2002.

118. Валянский С.И., Калюжный Д.В., Третий путь цивилизации или Спасёт ли Россия мир? М., 2002.

119. Вопросы экономики, №7, 1996.

120. Вопросы экономики, №4, 1997.

121. Вопросы экономики, №7, 1997.

122. Вопросы экономики, №8, 1998.

123. Вопросы экономики, №7, 2006.

124. Гайдар Е., Современный экономический рост и динамика населения, www.iet.ru/personal/Gaidar.

125. Гайдар Е., Экономический рост и человеческий фактор, Независимая газета, №81, 2004.

126. Гутник В., Политика хозяйственного порядка в Германии, М., 2002.

127. Государственное регулирование рыночной экономики, Учебник, под общей ред. проф., Кушлина В.И. и проф. Волгина Н.А., М., 2001.

128. Государство и рынок. Американская модель, РАН, институт США и Канада, М., 1999.

129. Дмитриев И., Статистика уровня жизни населения, М., 1995.

130. Дзарасов С., Г.Г. Фельдман – основоположник теории экономического роста, теория капитала и экономического роста, М., 2004.

131. Доклад о развитии человека 2003.

132. Европа вчера, сегодня, завтра, Евр. институт РАН, М., 2002.

133. Здравоохранение зарубежных стран, под ред. Щепина О.П., М., Медицина, 1981.

134. Иванов И., О показателях экономического благосостояния, Вопросы экономики, №2, 2003.

135. Игнатов В.Г., Батурин А.А. и др., Экономика социальной сферы, Уч. пособие, Ростов – на – Дону, 2001.

136. Индикативное планирование: Теория и пути совершенствования, Санкт-Петербург, 2000.

137. Каверина Э.Ю., Высшее образование в США: Источники финансирования, журн., США, Канада – Экономика, Политика, Культура, 2003, №7.

138. Кузьменко М.М., Баранов В.В., Финансовый менеджмент в здравоохранении России, М., 1995.

139. Курс переходной экономики, под ред. Абалкина Л.И., М., 1997.

140. Лавров Е.И., Капогузов Е.А., Экономический рост – теории и проблемы, Уч. пособие, Омск, 2006.

141. Ламперт Х., Социальная рыночная экономика. Германский путь, М., 1994.

142. Леонтьев В., Теория, исследования, М., 1990.

143. Лисицын И.П., Стародубов В.И. и др. Медицинское страхование, М., 1994.

144. Лучкина Л., Проблемы бедности в странах ЦВЕ и России, журн., МЭМО, 2005, №5.

145. Ломакин В.С., Мировая экономика, М., 2005.

146. Львов Д.С., Экономика развития, М., 2002.

147. Мандевиль Б., Опыт благотворительности и о школах благотворительности, М., 1974.

148. Медведев В.А. Перед вызовами постиндустриализма, Взгляд на прошлое, настоящее и будущее экономики России, М., 2003.

149. Мировая экономика и международный бизнес, Учебник, под общ. ред. проф. Полякова В.В. и проф. Щенина Р.К., М., 2005.

150. Михеева Н.А., Галенская Л.Н., Менеджмент в социально-культурной сфере, Уч. пособие, Санкт-Петербург, 2000.

151. Мэнкью Н.Г., Принципы макроэкономики, М., 2004.

152. МЭиМО, №4, 1991.

153. МЭиМО, №11, 1992.

154. МЭиМО, №6, 1998.

155. Надель С., Социальные факторы экономического роста, журн., МЭиМО, 2005, №5.

156. Нуреев Р., Теории развития: новые модели экономического

роста (вклад человеческого капитала), Вопросы Экономики, 2000, №9.
157. Нуреев Р., Экономика развития, М., 2001.
158. Петрунин Ю.Ю., Борисов В.С., Этика бизнеса, М., Дело, 2000.
159. Плановое хозяйство, №11, 1990.
160. Прогнозирование и планирование в условиях рынка, под ред. Морозовой Т.Т. и Пикулькина А.В., М., ЮНИТИ, 2000.
161. Путь в XXI век, Стратегические проблемы и перспективы российской экономики, под рук. Львова Д.С., М., 1999.
162. Российский экономический журнал, №2, 1994.
163. Российский экономический журнал, №1, 1998.
164. Российский экономический журнал, №10, 1995.
165. Российский экономический журнал, №6, 1998.
166. Российский экономический журнал, №5, 2003.
167. Румянцева Е.Е., Стратегия преодоления бедности, Минск, 2001.
168. Рынок труда и социальная политика в ЦВЕ (переходный период и дальнейшее развитие), под ред., Николаса Барра, М., ИКС, «Дис», 1997.
169. Самуэлсон П., Нордхаус В., Экономика, М., 2001.
170. Сажина М.А., Научные основы экономической политики государства, Уч. пособие, М., 2001.
171. Семёнов В.И., Обьязательное медицинское страхование и реформирование в России и за рубежом, журн., «Экономика здравоохранения», 1996, №4.
172. Слезингер Г.Э., Социальная экономика, М., 2001.
173. Современные США, Энциклопедический справочник, М., 1988.
174. Социальные реформы в странах с переходной экономикой (проблемы и опыт), под ред., Кадомцевой С.В., М., ИКС «Дис», 1997.
175. Социально-экономические модели в современном мире и путь России, кн. 1, Трансформация постсоциалистического общества, под ред. Микульского К., М., 2003.
176. США, Канада, (экономика, политика, культура), №7, 2003.
177. Теоретическая экономика, под ред. Журавлёвой Г.П. и Мильчаковой Г.И., М., ЮНИТИ, 1997.
178. Тодаро М., Экономическое развитие, пер. с англ. под ред. С. М. Яковлева и Л. З. Зевина, М. ЮНИТИ, 1997.

179. Тураев В.А., Глобальные вызовы человечеству, Уч. пособие, М., 2002.

180. Фигурнова Н.П. Экономический рост и его устойчивость, ресурсный потенциал экономического роста, М., 2002.

181. Шамхалов Ф., Государство и Экономика Основы взаимодействия, М., Экономика, 2000.

182. Шилова П.С. Изучение поведенческих аспектов здоровья населения (В сб. Проблемы социальной демографии), М., 1987.

183. Шумпетер И., Теория экономического развития, М., 1982.

184. Экология и экономика природопользования, под. ред Гирусова Э. В., М., 2000.

185. Экономика СССР: Выводы и рекомендаций (Доклад группы экспертов МВФ, МБРР, ОЭСР, ЕБРР) – Вопросы экономики, 1991, №3.

186. Экономика, под ред. Булатовой А.С., М., 2001.

187. Экономика Украины, №6, 1993.

188. Экономика Украины, №6, 1996.

189. Экономист, №9, 1993.

190. Экономист, №11, 1995.

191. Экономист, 1999.

192. McConnell, Stenley L. Brue, Macroeconomics (sixteenth edition), 2006.

193. Todaro M. P., Smith S. C., Economic Development (ninth edition), 2006.

ვებ-გვერდები:

1. www.economy.gov.ge
2. www.euro.who.int
3. www.geplac.org.
4. www.gnsf.ge
5. www.government.gov.ge
6. www.iet.ru
7. www.hespa.ge
8. www.reforms.ge
9. www.statistics.ge
10. www.mcs.gov.ge
11. www.mes.gov.ge
12. www.moh.gov.ge
13. www.parliament.gov.ge
14. www.who.int
15. www.worldbank.org

სარჩევი

რედაქტორებისაგან.....4
წინასიტყვაობა.....7

თავი I. სოციალური ეკონომიკის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....18

1.1. სოციალური ეკონომიკის არსი და ამოცანები.....18
1.2. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თეორიული საფუძვლები.....26
1.3. ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე: თავისებურებები და ტენდენციები.....37
1.4. სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელები: თეორიულ-ორგანიზაციული ასპექტები.....44
1.5. სოციალური ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრინციპები და პირობები.....58

თავი II. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება – სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი.....79

2.1. ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების არსი, პრინციპები. შეხედულებათა ევოლუცია.....79
2.2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში.....90
2.3. სოციალური პოლიტიკა: არსი, პრინციპები, მიმართულებები.....103
2.4. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეგიონული თავისებურებები.....121

თავი III. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და ძირითადი ტენდენციები.....139

3.1. სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის არსი, აუცილებლობა.....139
3.2. ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის ორიენტირები და განვითარების ლოგიკა.....148

3.3. გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის
განვითარების ძირითადი ნიშნები და ტენდენციები 162
3.4. საქართველოში სოციალური ეკონომიკის ფორმირების
კონცეპტუალური ასპექტები 176

თავი IV. მოსახლეობის ცხოვრების დონე – სოციალური ეკონომიკის განმსაზღვრელი ინდიკატორი 192

4.1. ცხოვრების დონის არსი 192
4.2. ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკურ
მაჩვენებელთა სისტემა 198
4.3. შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურა საბაზრო
ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში 204
4.4. სიღარიბე – გლობალური სოციალური მოვლენა
და პრობლემა 224
4.5. დასაქმება, როგორც მიზანი და მისი რეგულირება 245

თავი V. სოციალური ინფრასტრუქტურა: როლი და ფუნქციები 278

5.1. სოციალური ინფრასტრუქტურის არსი
და ძირითადი შემადგენელები 278
5.2. ჯანმრთელობის დაცვის როლი სოციალურ ეკონომიკაში 283
5.3. განათლების სისტემა სოციალურ ეკონომიკაში 307
5.4. კულტურა სოციალური ეკონომიკის სისტემაში 317

**თავი VI. ეკონომიკური განვითარება –
სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების პირობა** 337

6.1. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ზრდა:
კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა 337
6.2. ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და თავისებურებები 356
6.3. ეკონომიკური ზრდის ტენდენციები გარდამავალ პერიოდში ... 361
6.4. სახელმწიფოს პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა 388
6.5. მცირე და საშუალო ბიზნესი სოციალურ-ეკონომიკურ
სისტემაში 404

**თავი VII. სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვა
და განვითარება** 444

7.1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება.....444
7.2. სოციალურ-ეკონომიკური პროგრამირება.....450
7.3. ინდიკატიური დაგეგმვა – სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი.....455

თავი VIII. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა 481

8.1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა: არსი, ფორმები,
რეალიზაციის ინსტრუმენტები.....481
8.2. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია.....487
8.3. სოციალური პასუხისმგებლობა: შეხედულებები
და ძირითადი მიდგომები.....500
8.4. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები.....508
8.5. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში.....516

**თავი IX. ეკონომიკური უსაფრთხოება – სოციალური
ეკონომიკის ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორი** 529

9.1. ეკონომიკური უსაფრთხოება:
კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ასპექტები.....529
9.2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია –
სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი.....535
9.3. ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების
მაჩვენებელთა სისტემა.....545
9.4. ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები
და რეგულირების მეთოდები 555
9.5. საქართველოს ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო
განვითარებაზე გადასვლის ძირითადი მიმართულებები.....563

დანართი.....578
გამოყენებული ლიტერატურა.....582

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი:	ზაურ ნაჭყებია
ტექნიკური რედაქტორი:	ლევან ბოჭორიშვილი
ოპერატორები:	მადონა დალაქიშვილი
	თეონა დალაქიშვილი
	სოფო ქილიფთარი
კორექტორები:	ქეთევან წახნაკია
	ბვანცა შანავა

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.

Email: inovacia@caucasus.net